საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თინ. შარაძენიძე

ენათა კლასიფიკაციის პრინციპები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1958

ნაწილი პირველი

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია

თავი პირველი

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპები

§1. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათმეცნიერთა მთელი თაობების კოლექტიური შრომის შედეგს წარმოადგენს. ამ კლასიფიკაციის პრინციპები კონკრეტულ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პროცესში ყალიბდებოდა და ზუსტდებოდა[1]. რა თქმა უნდა, ყველა საკითხი ყოველთვის და ყველა სპეციალისტის მიერ ერთგვარად არ ყოფილა გაშუქებული, მაგრამ არის რამდენიმე ძირითადი დებულება, რომელთა გაზიარების გარეშე ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის მიღება შეუძლებელია. ჩვენ შევეცდებით, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებები გადმოვცეთ, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს გაეცნოთ უფრო რთულ საკითხებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გარკვეული ენათმეცნიერებაში ან აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

გენეალოგიური კლასიფიკაცია ემყარება დიფერენციაციის პროცესს ენათა განვითარებაში. დიფერენციაციის შედეგად ერთი ენისა-

---

[1] ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ისტორია იხ. შემდეგ შრომებში: Bonfey Theodor, Geschichte der Sprachwissenschaft und orientalischen Philologie in Deutschland seit dem Anfange des 19. Jahrhunderts mit einem Rückblick auf die früheren Zeiten, München, 1869. Дельбрюк Б. Введение в изучение языка. Перевод с третьего исправл. издания. 1893 г. (В книге Булича С. К. Очерк истории языкознания в России, Петербург, 1904). Томсен В. История языковедения до конца XIX века, Москва, 1938. Jespersen O., Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung. Vom Verfasser durchgesehene Übersetzung aus dem Englischen, Heidelberg, 1925. აგრეთვე ჩვენი, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია, თ. II, გენეალოგიური კლასიფიკაციის ისტორია. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. III, 1952, გვ. 281—293.

გან რამდენიმე ენა წარმოიშვება. ეს ასე ხდება: ენა დროთა განმავლობაში იცვლება. ცვლილებების სახეობას განსაზღვრავს მთელი რიგი პირობები, რომლებიც ერთი და იმავე ენის გავრცელების სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ამიტომ ერთი და იგივე ენა დროთა განმავლობაში სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახეს იღებს. ენა იშლება დიალექტებად. სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკეთათვის ერთმანეთის მეტყველება გასაგებია, თუმცა სხვაობაც აშკარად იგრძნობა. ცვალებადობის პროცესი ამით არ წყდება. დიალექტებს შორის სხვაობა შეიძლება უფრო და უფრო გაიზარდოს და იმ ზომას მიაღწიოს, რომ ყოველმა დიალექტმა თავისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა გაიჩინოს,—ე. ი. დიალექტები დამოუკიდებელ ენებად იქცნენ და, ამგვარად, ერთი ენა რამდენიმე ენად დაიშალოს. მაგალითად, ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ ხალხური ლათინურისაგან მივიღეთ: იტალიური, ფრანგული, ესპანური და სხვ. ე. წ. რომანული ენები. ასევე, აღმოსავლეთ სლავური (ძველი რუსული) ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა რუსული, უკრაინული და ბელორუსული ენები და სხვ. პროცესი შეიძლება განმეორდეს დიფერენციაციის შედეგად მიღებულ ენათა მიმართ და ისინი თავიანთი მხრივ დაიშალონ ახალ ენებად.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ენათა გარკვეული ჯგუფები საერთო წარმოშობის არიან,—ერთი ენიდან მომდინარეობენ. ასეთ ენებს მონათესავეს უწოდებენ. თუ მსოფლიოს ენებს დავაჯგუფებთ მათი ურთიერთთან ნათესაობის პრინციპის მიხედვით, მივიღებთ ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას.

ენას, რომლის დიფერენციაციითაც მივიღეთ მონათესავე ენები, ფუძე-ენა ეწოდება, ხოლო მონათესავე ენათა ჯგუფს—ენათა ოჯახი. ოჯახი შეიცავს უფრო მცირე ერთეულებს—შტოებს. შტოებში გაერთიანებული იქნება ის ენები, რომლებიც ფუძე-ენისაგან მიღებულ ენათა დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვნენ. ეს ენები, თავიანთი მხრით, წარმოდგენილი იქნებიან დიალექტებით, რომლებიც, აგრეთვე, შეიძლება იქცნენ ენებად და ა. შ.

გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ტერმინები ბუნებისმეტყველებიდან არის შემოტანილი ენათმეცნიერებაში. XIX ს. 70-იან წლებამდე, სანამ ენათმეცნიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ენას ცოცხალ ორგანიზმებს უტოლებდნენ, ენათა გენეალოგიური

კლასიფიკაციაც ცხოველთა და მცენარეთა კლასიფიკაციის შესაბამისად მიაჩნდათ. ასე, მაგალითად. ენათმეცნიერებაში ნატურალისტური მიმდინარეობის თეორეტიკოსი ავგ. შლაიხერი პარალელს ავლებდა ოჯახებად, შტოებად, ენებად, დიალექტებად, კილოკავებად და ა. შ. ენათა დაყოფასა და რაზმებად, ოჯახებად, გვარებად, სახეობებად და ა. შ. ორგანიზმთა დაყოფას შორის. თვით ენათა ნათესაობაც ისეთივე პროცესის შედეგად მიღებულად მიაჩნდათ, როგორიც ბუნების ორგანიზმთა გამრავლებისას ივარაუდება. ასეთი გაგების ამსახველია, გარდა ზემოთ დასახელებული ტერმინებისა, აგრეთვე გამოთქმები: „დედა-ენა“, „შვილი-ენები“, „ძმა-ენები“, „ბიძაშვილი-ენები“ და მისთ.

ძველი ტერმინები შემორჩა ენათმეცნიერებას, მაგრამ მათი შინაარსი შეიცვალა. ახლა ძნელად თუ ვინმე დაიწყებს მტკიცებას, ენა ორგანიზმიაო. ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, განვითარების კანონზომიერება არსებითად განსხვავდება ორგანიზმთა ცვალებადობის კანონზომიერებისაგან. ამიტომ ენათა ნათესაობა და ორგანიზმთა ნათესაობა სრულიად სხვადასხვა შინაარსის შემცველი ცნებებია. ენათა დიფერენციაციას, ერთი ენისაგან რამდენიმე ენის წარმოშობას, არაფერი აქვს საერთო ორგანიზმთა გამრავლებასთან. შესაბამისად განსხვავებულია ნათესაობასთან დაკავშირებული სხვა ტერმინებიც, როგორიცაა: ოჯახი, დედა-ენა, შვილი-ენა და სხვ.

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ფუძე-ენის საკითხზე. ასე უწოდებენ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმ ენას, რომელმაც დასაბამი მისცა მონათესავე ენებს. ამავე მნიშვნელობით ბოლო ხანებამდე ფართოდ იყო გავრცელებული სახელწოდება წინარე-ენა (პრაენა). ამ სახელწოდებას შეეძლო გარკვეული გაუგებრობისათვის მიეცა საბაბი: იქნებ წინარე-ენა ვინმეს ისე გაეგო, თითქოს ეს არის ის ენა, რომელიც ყველა ენას უსწრებდა წინ, ე. ი. უძველესი, პირველყოფილი ენა. სინამდვილეში ასეთი რამ არ იგულისხმება, სახელწოდება გამოყენებულია ისეთი ენისათვის, რომელმაც დიფერენციაცია განიცადა, მაგრამ რომელიც სრულიადაც არ წარმოადგენს კაცობრიობის ძველისძველ, უპირველეს ენას. ასეთია, მაგალითად, ხალხური ლათინური, რომელიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში იხმარებოდა და რომელიც საფუძვლად დაედო რომანულ ენებს. ანდა აღმოსავლეთ სლავური, რომლის დიფერენციაცია მხოლოდ XIII—XIV საუკუნეებში იწყება. ვინაიდან მონათესავე ენათა სხვადასხვა

ჯგუფების დიფერენციაცია სხვადასხვა ეპოქაში უნდა მომხდარიყო. ამიტომ თითოეული მათგანის ფუძე-ენა სხვადასხვა მანძილით იქნება დაშორებული ჩვენგან, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი ოჯახების არც ერთი ფუძე-ენა არ წარმოგვიდგენს ენის თავდაპირველ მდგომარეობას, ყოველი მათგანი უზარმაზარი ეპოქებით არის დაცილებული ენის წარმოშობის მომენტს.

ამგვარად, ვინაიდან ტერმინი წინარე-ენა ორაზროვანი იყო, ამიტომ ამჯობინეს მისი შეცვლა უფრო მარჯვე ტერმინით—ფუძე-ენა[1].

§ 2. მსოფლიოს ყველა ენის ნათესაური ურთიერთობანი ჯერ კიდევ გარკვეული არ არის. გამოყოფენ შემდეგ ენათა ოჯახებს: 1. ინდო-ევროპულ ენათა ოჯახი, 2. სემიტურ ენათა ოჯახი, 3. ქამიტურ ენათა ოჯახი, 4. უნგრულ-ფინურ ენათა ოჯახი, 5. ალთაიურ (თურქულ-მონღოლურ) ენათა ოჯახი, რომელსაც თურქულ-თათრულსაც უწოდებენ არამართებულად, 6. მანჯურიულ-ტუნგუსურ ენათა ოჯახი (სამი უკანასკნელი ბოლო ხანებამდის ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახში იყო გაერთიანებული), 7. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი, 8. ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახი, 9. დრავიდულ ენათა ოჯახი და სხვ.

ერთ ოჯახში შემავალ ენებს შორის ნათესაობის სხვადასხვა საფეხური დასტურდება. ზოგი მათგანი უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ზოგი—უფრო შორს. ეს იმით აიხსნება, რომ ერთი ენის დიფერენციაციით წარმოშობილი ენები შემდეგ კიდევ და კიდევ განიცდიან დიფერენციაციას, თუ საამისო პირობები შეიქმნება. სწორედ ეს გვაძლევს განშტოებებს ოჯახის შიგნით. ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა, თვით ჩვენთვის ცნობილი ოჯახების სათავეში მდგომი ფუძე-ენებიც ხომ არ ენათესაებოდნენ ერთმანეთს, ანუ, სხვაგვარად, ხომ არ შეიძლება სხვადასხვა ოჯახის ერთმანეთთან დაკავშირება? ენათმეცნიერებაში იყო ცდები ერთმანეთისათვის დაეკავშირებინათ ინდოევროპული და სემიტური[2], ინდოევროპული და უნგ-

---

[1] არნ. ჩიქობავა. ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945, გვ. 203.

[2] უკანასკნელი ცდები ამ მიმართულებით ეკუთვნის A. Cuny-ს: Études prégrammaticales sur le domaine des langues indoeuropéennes et chamito-sémitiques. Paris, 1924, მისივე, Invitation à l'étude comparative des langues indoeuropéennes et des langues chamito-sémitiques, Paris, 1946.

რულ-ფინური ენები. ამ ცდებს ჯერჯერობით დადებითი შედეგები არ გამოუღია. ამის მიზეზი ის არის, რომ როდესაც ენათა ოჯახების ნათესაობაზეა ლაპარაკი, აქ საქმე ეხება ენათა განვითარების ისეთ ძველ საფეხურებს, რომელთა შესახებ დაბეჯითებით რამის მტკიცება ენათმეცნიერებას ჯერ კიდევ არ ძალუძს. პრინციპულად არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ზოგი ენათა ოჯახი მართლაც ერთმანეთის მონათესავე აღმოჩნდეს.

უნდა გაიხაზოს: აქ ლაპარაკია მხოლოდ ზოგიერთი ოჯახისა და არა ყველა ენის ნათესაობაზე. არ იქნებოდა გამართლებული დაგვეშვა, თითქოს საბოლოო ანგარიშში მსოფლიოს ყველა ენა ერთი ურუძე-ენისაგან მომდინარეობდეს. ენათმეცნიერებაში გაბატონებული სწორედ ის შეხედულებაა, რომლის მიხედვითაც ადამიანური მეტყველება რამდენიმე ადგილას წარმოიშვა დამოუკიდებლად. მართალია, ისეთი მკვლევრებიც არსებობენ, რომლებსაც შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ყველა ენა ერთი ენისაგან იყოს წარმოშობილი (ასეთ შეხედულებას იცავდა, მაგალითად, მ. მიულერი[1], ფ. ფინკი [2], ტრომბეტი[3]), მაგრამ ამ ავტორთა შეხედულებები არ არის გაზიარებული ენათმეცნიერებაში და, რაც მთავარია, ასეთი შეხედულება სრულიად არ გამომდინარეობს შინაგანი აუცილებლობით ენათა ნათესაობის აღიარებისაგან.

ენათა ნათესაობასთან დაკავშირებით საგანგებოდ ისმის ენისა და რასის ურთიერთობის საკითხი. ხომ არ არსებობს რაიმე შესატყვისობა მონათესავე ენათა ოჯახებსა და რასებად ხალხების დანაწილებას შორის? ეს საკითხი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებიდანვე იქცევდა ყურადღებას და ამ მეცნიერების წამყვანი სპეციალისტები (შლაიხერი, გ. ფონ-დერ გაბელენცი. სოსიური, მეიე. ბოგოროდიცკი, პორჟეზინსკი, უშაკოვი, ვანდრიესი...). მასზე ყოველთვის უარყოფით პასუხს იძლეოდნენ. მართლაც, ფაქტალო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენისა და რასის გავრცელების ფარგლები არ ემთხვევა ერთმანეთს. მრავალი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ერთი და იმავე რასის ხალხები არამონათესავე ენებზე მეტყველებენ და, პირუკუ, როდესაც

---

[1] М. Мюллер, Лекции по науке о языке. 1865, გვ. 250 და შემდ.

[2] F. Finck. Die Haupttypen des Sprachbaues, 1910, გვ. 155. შდრ. აგრეთვე, იმავე ავტორის Die Sprachstämme des Erdkreises. Zweite Auflage, 1915, გვ. 6.

[3] შრომებში: L'unità d'origine del linguaggio, Bologna, 1905 და Elementi di glottologia. Bologna. 1922. მოგვყავს სოსიურის მიხედვით. იხ. Ф. Де-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933, გვ. 175.

სხვადასხვა რასის ხალხებს მონათესავე ენები აქვთ. ასე, მაგალითად, ამერიკაში მცხოვრებ ზანგთა ერთადერთ ენას ამჟამად წარმოადგენს ინგლისური, ე. ი. ინდოევროპული ოჯახის ენა, რომელზედაც მეტწილად ევროპეოიდული რასის ხალხები ლაპარაკობენ. ევროპეოიდული რასის ფარგლებშიაც გამოყოფენ უფრო მცირე ერთეულებს თავის ქალის ფორმის, თმის ფერისა და მოყვანილობის და სხვ. ნიშანთა მიხედვით. აქ კიდევ უფრო აშკარა ხდება, რომ ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები რასის თვალსაზრისით სრულიად არ არიან ერთგვაროვანი. იგივე ითქმის ენათა სხვა ოჯახების შესახებ.

ენა და რასა რომ არ შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს, ეს ბუნებრივად გამომდინარეობს იქიდან, რომ გარკვეულ ისტორიულ პირობებში ყოველმა ხალხმა შეიძლება გამოიცვალოს ენა.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ფრ. მიულერმა სცადა მსოფლიოს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია შეეფარდებინა რასების კლასიფიკაციისათვის. იგი განიხილავდა: ღინღლიანთმთიანი ხალხების ენებს, სწორთმიანი ხალხების ენებს და ხუჭუჭთმიანი ხალხების ენებს[1]. ეს იყო უშედეგო ცდა ენისა და რასის დაკავშირებისა და მან ენათმეცნიერებაში დამსახურებულად მიიღო უარყოფითი დახასიათება[2].

ფრ. მიულერის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ ფ. ფინკმაც რასების მიხედვით დაალაგა ენათა ოჯახები შრომაში „დედამიწის ენათა ოჯახები“[3] (კავკასიური რასის ენები, მონღოლური რასის ენები, ამერიკული რასის ენები, ეთიოპური რასის ენები). აქაც, ისევე როგორც ფრ. მიულერთან, ენათა და რასათა კლასიფიკაციების დაკავშირება კრიტიკას ვერ უძლებს.

ფრ. მიულერისა და ფ. ფინკის ცდები ენათმეცნიერებაში ერთეულ გამონაკლისს წარმოადგენს. მათ ოდნავადაც არ შეურყევიათ ის

---

[1] Fr. Müller, Grundriß der Sprachwissonschaft, Wien, 1876 — 1888. 4 ტომად. I Band. Die Sprachen der wollhaarigen Rassen. II B. Die Sprachen der schlichthaarigen Rassen. IIIB. Die Sprachen der lockenhaarigen Rassen.

[2] იხ. მაგ.: Ж. Вандриес, Язык. Лингвистическое введение в историю, 1937. გვ. 218. A. Meillet, Les langues dans l'Europe nouvelle, Paris, 1928, II გამოც. გვ. 70, სადაც ავტორი აღნიშნავს, ფრ. მიულერმა ენები დააჯგუფა ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანთა ფიზიკური ნიშნების მიხედვით და ამაზე უარეს პრინციპს იგი ვერ იპოვიდაო.

[3] Dr. Franz Nikolaus Finck, Die Sprachstämme des Erdkreises, Leipzig und Berlin, 1915. II გამოც.

ერთადერთი სწორი შეხედულება, რომ ენათა გენეალოგიური დაჯგუფება არ შეესატყვისება რასების კლასიფიკაციას[1].

რა თქმა უნდა, ენის შესახებ ჰეშმარიტ მეცნიერებასთან არაკითარი კავშირი არ ჰქონია რასიზმის მქადაგებელთა ფუჭ ცდებს გერმანიაში ერთმანეთისათვის დაეკავშირებინათ ენა და რასა, რათა ენებზედაც გაევრცელებინათ თავიანთი რასისტული „თეორიები“. ასეთი „დაკავშირება“ თვით საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაშიაც იწვევდა კრიტიკულ გამოძახილს. ამის კარგ ნიმუშს წარმოადგენს ფრანგი ენათმეცნიერის ალბერტ დოზას წიგნი „ლინგვისტური ევროპა“, სადაც ავტორი შემდეგს აღნიშნავს:

„ყველაზე მცდარი თეორია, რომლის გავრცელებასაც ცდილობდა პანგერმანიზმი, ეს არის ენისა და რასის იგივეობის თეორია... არანაკლებ მცდარი და არამეცნიერულია «არიული რასის» კონცეფცია. თუ ინდოევროპული ლინგვისტური ჯგუფის არც ერთი ოჯახი არ შეესაბამება რომელიმე რასას, არამედ მასზე ლაპარაკობენ ნარევი ხალხები, როგორღა უნდა გავიაზროთ ჯგუფის ეთნიკური ერთიანობა? ყველაზე უცნაური ის არის, რომ გერმანელებს თავი მიაჩნიათ ამ არარსებული «რასის» ყველაზე წმინდა წარმომადგენლებად, მაშინ, როდესაც მხოლოდ გერმანული წარმოგვიდგენს ინდოევროპულში დამახინჯებულ ტენდენციებს, რომლებიც ხასიათდება მის ისტორიაში სამგზის თანხმოვანთა გადაწევებით. ეს თანხმოვანთა გადაწევანი, როგორც მეიემ გვიჩვენა, შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ მნიშვნელოვან არაინდოევროპულ სუბსტრატს, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია მას: ამგვარად, სავარაუდოა, თუ დამტკიცებული არა, რომ გერმანელები წარმოადგენენ უცხო ტომის ხალხს, რომელმაც მიიღო ინდოევროპული.

ამგვარად, ენა არ არის რასის სიმბოლოო, ასკვნის სავსებით საფუძველიანად დოზა[2].

§3. ენათა ნათესაობის დადგენისათვის აუცილებელია ამ ენათა ისტორიის გათვალისწინება. რაც უფრო ადრინდელ საფეხურებს

---

[1] ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტი: თუმცა ფრ. მიულერიცა და ფრ. ფინკიც რასათა ტიპების მიხედვით ალაგებდნენ ენათა ოჯახებს, ისინი ენასა და რასას შორის შინაგანი კავშირის არსებობას არ აღიარებდნენ. ფ. ფინკი წერდა, ადამიანური მეტყველება არსებითად დამოუკიდებელია რასისაგანო (დასახ. შრ., გვ. 6), ხოლო ფრ. მიულერის სიტყვით, რასები ქმნიან გენეალოგიური სისტემის მხოლოდ ამოსავალ პუნქტს და არა საფუძველს (Grundriβ, ტ. I, გვ. 71).

[2] Allbert Dauzat, L'Europe linguistique, 1940, გვ. 14—16.

აღვადგენთ მონათესავე ენათა განვითარებაში, მით მეტი საერთო დადასტურდება მათ შორის.

ენათა განვითარების ადრინდელ საფეხურთა გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს ძველი წერილობითი ძეგლები. მაგრამ ეს არ კმარა. ბევრი ენისათვის ძველი ტექსტები სრულიად არ მოიპოვება (ასეთ მდგომარეობაშია იბერიულ-კავკასიურ ენათა უმრავლესობა). ხოლო სადაც ისინი გვაქვს, იქაც ამ ძეგლებში მოცემულით ვერ დავკმაყოფილდებით.

სალიტერატურო ენა ნორმირებულია, რამდენადმე ხელოვნურიც: მასში არ აისახება ენაში შემავალ დიალექტთა ნაირსახეობანი, მისი განვითარების ტემპები ჩამორჩება ცოცხალი მეტყველების ტემპებს. ამიტომ სალიტერატურო ენა ვერ წარმოგვიდგენს ცოცხალი მეტყველების სრულ სურათს. ამას ერთვის ის გარემოებაც, რომ საჭიროა ბევრად უფრო ადრინდელი პერიოდების კვლევა, ვიდრე წერილობით ძეგლებშია მოცემული. ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის თვით ამ ენებს უნდა მივმართოთ, მათში უნდა ვეძებოთ წარსულ დროთა გადმონაშთები ან მითითებანი იმაზე, თუ როგორი ცვლილებები განუცდიათ მათ. ამ ამოცანათა განხორციელება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით ხდება.

შედარებითი მეთოდი ენათმეცნიერების სპეციალურ მეთოდს წარმოადგენს და იგი გარკვეულ პრინციპთა მიხედვით ენათა შედარებას ვარაუდობს. მონათესავე ენათა შედარება გამოავლენს მათ შორის მსგავსებას და გაგვათვალისწინებინებს ამ ენათა განვითარების ადრინდელ საფეხურებს.

თავისთავად ცხადია, რომ ენათა შედარებას წინ უნდა უსწრებდეს შესადარებელ ენათა აღწერა. იმისათვის, რომ შევადაროთ ერთმანეთს სხვადასხვა ენათა ფაქტები, უნდა ვიცნობდეთ ამ ფაქტებს თითოეულ ენაში ცალ-ცალკე.

როგორი მსგავსებები უნდა ჩავთვალოთ ენათა შორის ნათესაობის დამამტკიცებლად? ზოგადი პასუხი ამ კითხვაზე იქნებოდა: ისეთი მსგავსებები, რომლებიც არ შეიძლება შეგვხვდნენ არამონათესავე ენებს შორის. ამიტომ ნათესაობის დასამტკიცებლად არ გამოდგება მორფოლოგიური ტიპების მსგავსება. მორფოლოგიური ტიპი გვიჩვენებს, თუ რა საშუალებით გამოხატავს ენა გრამატიკულ კატეგორიებს. ენის განკარგულებაში გამოხატვის საშუალებათა მეტად მცირე რაოდენობა იმყოფება. ესაა, ბგერათა კომპლექსები (აფიქსები, ფუძის ფლექსია), მახვილი, ინტონაცია, სიტყვათა ად-

გილი წინადადებაში. ისინი მეორდებიან ისეთ ენებში, რომლებსაც ერთმანეთთან არასოდეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ; ხოლო, მეორე მხრივ, განვითარების შედეგად მონათესავე ენები შეიძლება სხვადასხვა მორფოლოგიურ ტიპს მიეკუთვნონ. ასე, მაგ., ქართული და თურქული ორივე აგლუტინაციური ენაა, მაგრამ მათ შორის ნათესაობა არ არსებობს. ქართულის მონათესავე აფხაზური კი თავისი პოლისინთეზურობით განსხვავდება ზოგი სხვა იბერიულ-კავკასიური ენისაგან. ცნობილია, აგრეთვე, რომ ძველ ინდოევროპულ ენათა სინთეზურ წყობას მნიშვნელოვნად დაშორდნენ ინგლისური, ფრანგული, დანიური, რომლებიც ანალიზური გახდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ ინდოევროპულ ენათა ოჯახში რჩებიან.

ენათა ნათესაობის დამტკიცების დროს ვერ გამოგვადგება აგრეთვე სხვადასხვა ენებში ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის არსებობა ან არარსებობა. გრამატიკული კატეგორიები ხომ საგანთა შორის არსებულ მიმართებებს გამოხატავს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ერთი და იგივე კატეგორიები შეგვხვდეს არამონათესავე ენებში. ასე, მაგ., ენათა უმრავლესობაში გვხვდება ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: დრო, პირი, რიცხვი... სხვადასხვა წარმოშობის ენები განასხვავებენ სუბიექტს ობიექტისაგან, სახელს ზმნისაგან.

მაგრამ, შეიძლება, მონათესავე ენებში შეგვხვდეს ისეთი კატეგორიები, რომლებიც სპეციფიკურია ამ ენათათვის და სხვა ენებში არ გვხვდება. ასეთია მოთხრობითი ბრუნვა (ერგატივი) იბერიულ-კავკასიურ ენებში. იგი უცხოა ინდოევროპული, სემიტური, ქამიტური, ურალურ-ალთაური ოჯახებისათვის. ასეთი კატეგორიის არსებობა შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ერთ-ერთი დამატებითი საბუთი იმისა, რომ ამ ენებს შორის ნათესაობა მართლაც არსებობს. მაგრამ მხოლოდ ამ ტიპის საბუთებით ენათა ნათესაობა ვერ დამტკიცდება. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეგევე კატეგორია რომელიმე დაშორებულ ენათა ოჯახში გვქონდეს დამოუკიდებლად შექმნილი. მართლაც, მიუთითებენ მოთხრობითის ანუ ერგატივის არსებობაზე პალეოაზიურ ენებში.

სხვადასხვა ენებში ერთგვარ ბგერათა სისტემის არსებობაზედაც არ შეიძლება ავაგოთ გენეალოგიური კლასიფიკაცია. ერთგვარი ბგერები გვხვდება არამონათესავე ენებშიც. ამიტომ სხვადასხვა ენებში ერთგვარ ბგერათა არსებობა არაფრის მთქმელია მათი ნათესაობის თვალსაზრისით. მაგრამ აქაც, ისევე როგორც გრამატიკულ

კატეგორიებთან. შეიძლება შეგვხვდეს სპეციფიკური ბგერები, ენათა ამა თუ იმ ოჯახისათვის დამახასიათებელი. ასეთია: წ, ჭ, ყ და სხვა აბრუპტივები იბერიულ-კავკასიურ ენებში, რომლებიც ამ ბგერებით გამოირჩევიან მათ მეზობელ არამონათესავე ენათაგან, მაგ.. რუსულისაგან, აზებაიჯანულისაგან.

ასეთ მსგავსებათა მიმართაც დიდი სიფრთხილე გვმართებს. დასახელებული ბგერები შეიძლება არამონათესავე ენებშიაც შეგვხვდეს. მაგ., წ, ჭ, ყ ინდოევროპულ ოსურსა და სომხურს შეთვისებული აქვთ იბერიულ-კავკასიურ ენათაგან. მაინც სპეციფიკურ ბგერათა არსებობა გარკვეული მიმართულებით აღძრავს მკვლევართა ინტერესს და ბუნებრივად ბადებს კითხვას, ხომ არ ენათესავებიან ერთმანეთს ამ თავისებურ ბგერათა შემცველი ენები? თვით ნათესაობის დამტკიცება კი ასეთ მსგავსებებს არ შეუძლია, ამისათვის საჭიროა დადასტურდეს ისეთი მსგავსებანი, რომლებიც ყოველგვარ შემთხვევითობას გამორიცხავს.

ჩვენ გამოვრიცხეთ ისეთი მსგავსებები, რომლებიც არ გამოდგება ან ნაკლებად გამოდგება გენეალოგიური კლასიფიკაციის შექმნისათვის. დავუბრუნდეთ კითხვას, როგორი მსგავსებები ამტკიცებს ენათა ნათესაობას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა მოვიგონოთ შემდეგი:

1. ენა ნიშანთა სისტემას წარმოადგენს. ენობრივი ნიშნები ნებისმიერია აღსანიშნის მიმართ, ე. ი. არ არსებობს არავითარი აუცილებელი კავშირი საგანსა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის ბგერით მხარეს შორის. ამიტომაა, რომ სხვადასხვა ენებზე ერთი და იგივე საგნები ბგერათა სხვადასხვა კომპლექსებით აღინიშნება. მაგ., ქართ. „სახლი“; რუს. «дом»; თურქ. «ev»; არაბ. بيت (ბაითუნ).

ნიშნის მნიშვნელობა ხშირად ერთნაირია სხვადასხვა ენობრივი კოლექტივებისათვის. ის სპეციფიკური, რაც განასხვავებს ერთ ენას მეორისაგან, მათი ბგერითი მხარეა,—ის, რომ ერთი ენა ამა თუ იმ საგანს ამ ბგერებით აღნიშნავს, მეორე კი იმავე საგნისათვის სრულიად სხვა ბგერებს ხმარობს.

2. ცვლილებები ენაში კანონზომიერად ხდება. ბგერითი მხარის მიმართ ეს ნიშნავს: რომელიმე ენის ესა თუ ის ბგერა ან ბგერათა კომპლექსი გარკვეულ პირობებში და გარკვეულ დროს განიცდის გარკვეულ ცვლილებებს და ეს ცვლილებები ვრცელდება ამ ენის ყველა ბგერაზე ან ბგერათა კომპლექსზე, რომელიც ამ პირობებში მოხვდება.

აქედან მეტად მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს: როდესაც ენა დიფერენციაციას განიცდის, მისი ბგერებიც იცვლება; ფუძე-ენის a, b, c, d, e... ბგერები A ენაში მიიღებს a_1, b_1, c_1 d_1 e... სახეს (სავალდებულო არ არის, რომ ფუძე ენის ყველა ბგერა შეიცვალოს). B ენაში ისინი მიიღებენ a_2, b_2, c, d_1, e... სახეს (ფუძე-ენის c და e ბგერები უცვლელად არის შემონახული, d ბგერამ A და B ენებში ერთგვარი მოდიფიკაცია განიცადა).

როდესაც A და B ენებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ერთი და იმავე საგნების აღმნიშვნელ სიტყვებში A ენის a_1, b_1, c_1, d_1, e ბგერებს შეესატყვისება B ენაში: a_2, b_2, c, d_1, e ბგერები.

პირველ პუნქტში ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ ასეთი შესატყვისობანი აღსანიშნ საგანთა ბუნებით არ შეიძლება იყოს გამოწვეული. ვერც შემთხვევითი იქნებიან ისინი, რადგან შესატყვისობებს რეგულარული ხასიათი აქვს. შეიძლებოდა გვეფიქრა, სესხებასთან გვაქვს საქმეო, მაგრამ ნასესხები სიტყვები სისტემატურ შესატყვისობებს ვერ მოგვცემდნენ, ამაზე—ქვემოთ.

ერთადერთი ახსნა რჩება: ერთმანეთის შესატყვისი ბგერითი შედგენილობის სიტყვები სხვადასხვა ენებში საერთო წარმოშობის მქონეა. ხოლო საერთო წარმოშობის ეს ნიშნები მაშინ იქნებიან, თუ ენები, რომლებშიაც ისინი გვხვდებიან, ერთი ენისაგან მომდინარეობენ, ე. ი. მონათესავე არიან.

ამგვარად, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ბგერათ-შესატყვისობათა დადგენის გზით ამტკიცებს ენათა ნათესაობას.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ქართველურ ენათა შორის არსებულ ბგერათშესატყვისობებს. ქართულსა და მეგრულ-ჭანურს შორის ასეთი შესატყვისობანი დასტურდება[1]:

ქართ.	ს		ზ	ძ	წ	ც	შ		ჯ	ჭ	ჩ	(ლ)	(რ)ე	ა	(ი)
მეგრ.-ჭან.:	შ[||სქ]		ჟ	ჯ	ჭ	ჩ	შქ||სქ		ჯგ	ჭკ	ჩქ	(რ)	(ჯ)ა	ო	(ე)
							შკ||სკ			ჩკ					

ეს შესატყვისობები წარმოდგენილია სიტყვებში:

ქართ. **ხსი**: მეგრ.-ჭან. **ოში**, ქართ. **სხვა**: მეგრ. **შხვა**, ქართ. **შენი**: მეგრ.-ჭან. **სკანი**, ქართ. **ხარი**: მეგრ.-ჭან. **ხოჯი**, ქართ. **ფური**: მეგრ.-ჭან. **ფუჯი**, ქართ. **პირი**: მეგრ.-ჭან. **პიჯი**, ქართ. **ღორი**: მეგრ.-ჭან. **ღეჯი**, ქართ. **ცხვარი**: ჭან. **მჩხური**, მეგრ. **შხუ-**

[1] შესატყვისობათა სქემაც და საილუსტრაციო მასალაც ამოღებულია არნ. ჩიქობავას წიგნიდან „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი", 1938.

რი, ქართ. ძაღლი: მეგრ.-ჭან. ჯოლოხრი, ქართ. ძელი: მეგრ.-ჭან. ჯა (←ჯალ), ქართ. რძე: ჭან. მჯა, მეგრ. ბჟა, ქართ. სიძე: ჭან. სიჯა, მეგრ. ხინჯა, ქართ. შვილი: ჭან. სქირი, მეგრ. სქი (←სქი რი), ქართ. შველი: ჭან. მსქვერი, მეგრ. სქვერი, ქართ. ვაშლი: ჭან. ოშქური, მეგრ. უშქური, ქართ. ქათამი: მეგრ. ქოთომი, ქართ. ცოლი: მეგრ.-ჭან. ჩილი, ქართ. წაბლი: მეგრ.-ჭან. ჭუბური, ქართ. ცეცხლი: მეგრ.-ჭან. და-ჩხ-ური, ქართ. ერთი: მეგრ.-ჭან. ართი, ქართ. ცხრა: მეგრ.-ჭან. ჩხორო, ქართ. ოცი: მეგრ.-ჭან. ეჩი, ქართ. წით-ელი: მეგრ.-ჭან. ჭითა და სხვა მრავალი.

შესატყვისობათა საკითხი ქართულსა და სვანურს შორის, ამ უკანასკნელის ნარეობის გამო, უფრო რთულია. ძირითადი შესატყვისობები ასეთია:

ქართ. თ შ ს ძ გ კ ქ ზ ს ც ძ უ.

სვან. შდ სგ||შგ შ ჯ ჯ ჭ ჩ ძ ც შ ჟ ო.

მაგალითები: ქართ. თაგვი: სვან. შდუგვ, ქართ. დათვი: სვან. დაშდვ, ქართ. ათი: სვან. ჲეშდ, ქართ. ვაშლი: სვან. ვისგვ, ქართ. შვიდი: სვან. ი-შგვიდ, ქართ. იგი: სვან. ეჯი, ქართ. გველი: სვან. ვიჯ, ქართ. ასე: სვან. აშ, ქართ. მი-ხტ-ამ-ს: სვან. მი-შტ-ა, ქართ. ძმა: სვან. ჯგმილ, ქართ. კაცი: სვან. ჭაშ, ქართ. ხუცესი: სვან. ხოშა, ქართ. ვაცი: სვან. ლ-ვაშ, ქართ. ქვე: სვან. ჩუ, ქართ. ზღვა: სვან. ძულვა, ქართ. მ-სხ-ალ-ი: სვან. იცხ, ქართ. ძაღლი: სვან. ჟელ, ქართ. გა-ძღ-ოლა: სვან. ლი-ჟოლ და სხვ.

§4. ენათა შედარების დროს მთელ რიგ გარემოებათა გათვალისწინება არის საჭირო:

1. ენები ერთმანეთისაგან იზოლირებული არ არის. არა მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ენობრივი კოლექტივები ერთმანეთთან მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფება. ეს უთიერთობა გავლენას ახდენს მათ ენებზედაც. დიფერენციაციის შემდეგ მონათესავე ენები სხვადასხვა ენათა გავლენას განიცდიან და ამიტომ თითოეულ მათგანში ადგილი ექნება ისეთ ცვლილებებს, რომლებიც არ მოგვცემს შესატყვისობებს მეორე მონათესავე ენაში. ბუგავსსავე შედეგს გვაძლევს ისეთი ცვლი-

---

1 ქართულ-სვანურ შესატყვისობათა უდიდესი ნაწილი დაადგინა ნ. მარმ. ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები მოგვყავს ვ. თოფურიას შრომებიდან: ფონეტიკური დაკვირვებანი ქრთველურ ენებში. 1. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა, „მიმომხილველი", 1, 1926; ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან III. სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XV, 1940.

ლებები, რომლებიც მონათესავე ენებში მათი დაშორების შემდეგ არის განვითარებული ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ყველა ეს ცვლილებანი ჩქმალავენ მონათესავე ენათა პირვანდელ სიახლოვეს.

განცდილ ცვლილებათა თვალსაზრისით უნდა განვასხვავოთ ენის ლექსიკური შემადგენლობა გრამატიკული წყობისაგან. ლექსიკური შემადგენლობა უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე გრამატიკული წყობა. ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ის, რომ არ არსებობს ენა, რომელსაც არ გააჩნდეს სხვა ენიდან ნასესხები სიტყვები. ნასესხები სიტყვები ან ენის მკვიდრ სიტყვათა ადგილს იჭერენ და, გამოდევნიან რა მათ ხმარებიდან, გვიკარგავენ შესაძლებლობას მოვძებნოთ და შევადაროთ ერთმანეთს მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის სიტყვები (მაგ., ბატს მეგრულად „ღორღონჯი" ეწოდება. არავითარი კავშირი არ ჩანს ამ ფრინველის დღევანდელ ქართულსა და მეგრულ სახელწოდებებს შორის. ეს იმიტომ, რომ „ბატი" არ არის ქართული სიტყვა. იგი ნასესხებია. „ბატმა" განდევნა მეგრულის შესატყვისი ქართული სიტყვა „ღერღედი" || „ღერღეტი")[1].

ანდა, ენა სესხულობს სიტყვებს იმისათვის, რომ აღნიშნოს ახალი საგნები და მოვლენები, რომელთათვისაც მას არ გააჩნია საკუთარი სიტყვები, მაგ., ქართულში: კომბაინი, ელექტრონი, ატომი, რადიო... ამ შემთხვევაშიაც, ცხადია, ისინი არ გამოდგებიან ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად.

გრამატიკული წყობა ბევრად უფრო გამძლეა. აფიქსთა სესხება ერთი ენიდან მეორეში, ჩვეულებრივ, არ ხდება.

რადგან ენები ბევრად უფრო ინახავენ საერთო წარმოშობის გრამატიკულ მაწარმოებლებს, ვიდრე ლექსიკურ მარაგს, ამიტომ შედარებისათვის მეტ მასალას იძლევა გრამატიკა, ვიდრე ლექსიკა.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ლექსიკური შემადგენლობა არ გამოდგება შედარებისათვის. ლექსიკური შემადგენლობის მთავარი ნაწილი,—ძირითადი ლექსიკური ფონდი, ძლიერ გამძლეა. ამიტომ გრამატიკულ წყობასთან ერთად ისიც წარმოგვიდგენს მონათესავე ენათა საერთო მარაგს. სწორედ ამიტომ არის, რომ ენათა ნათესაობის მტკიცებისას პირველყოვლისა მიმართავენ ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს, ცხოველებისა და მცენარეების სახელებს, რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებს, საყოველთაო მეტყველებაში სახმარ ზედსართავებსა და ზმნებს (მაგ., ჰამა, სმა, სელა, ქმნა, ნდომა...)

---

[1] არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 103.

და სხვ.. რადგან მათში სხვებზე მეტად არის მოსალოდნელი საერთო წარმოშობის სიტყვათა დადასტურება.

2. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ უცხო ენათა გაელენის შედეგად ლექსიკა შედარებით მცირე რაოდენობით წარმოგვიდგენს მონათესავე ენათა საერთო მარაგს. ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: სესხების შედეგად საერთო სიტყვები შეგვხვდება არამონათესავე ენებში. ცნობილია, მაგალითად, რომ სპარსულ ენას ძალიან ბევრი სიტყვა აქვს ნასესხები არაბულისაგან. ხომ არ შეიძლება, რომ ასეთმა სიტყვებმა შეცდომაში შეგვიყვანოს და გაგვაკეთებინოს დასკვნა. სპარსული სემიტური ენააო!

საფრთხე არც ისე დიდია: ჯერ ერთი, ნათესაობისათვის გადამწყვეტია ფორმანტებში შესატყვისობათა არსებობა, და მეორეც, ნასესხები სიტყვა ან უცვლელად გადმოვა მსესხებელ ენაში ან, შეიძლება, ამ უკანასკნელის ფონეტიკურ სისტემას შეეგუოს, მაგრამ სისტემატურ შესატყვისობებს, რომლებიც ენათა ნათესაობას გვაწარმოებინებს, არ მოგვცემს. ამიტომ არც თუ ისე ადვილად აირევა ნასესხები სიტყვა საერთო წარმოშობის სიტყვებში.

შდრ. ერთი მხრივ: ქართულში—„სტოლი“, „პოლი“, „აკოშკა“— რუს. «стол», «пол», «окошко»

და მეორე მხრივ: ქართ. „ვაშლი“—მეგრ. „უშქური“,— სვან. „უისგუ“[1]. ქართ. „ძაღლი“,—მეგრ. „ჯოღორი“,—სვან. „ჟელუ“[2].

იგივე ითქმის იმ შემთხვევებზე, როდესაც სესხება მონათესავე ენებს შორის ხდება. შეიძლება ნასესხები იქნეს საერთო წარმოშობის სიტყვა, რომლის შესატყვისი მსესხებელ ენას აქვს. მაგალითად, ქართულში იხმარება—„ძეწკვი“ და „ჯაჭვი“. ამათგან, „ძეწკვი“ საკუთრივ ქართული სიტყვაა, „ჯაჭვი“ კი მისი ზანური კანონზომიერი შესატყვისია. „ჯაჭვი“ ქართულში მეგრულ-ჭანურიდან არის შემოსული[3].

შეიძლება ნასესხებმა სიტყვამ კიდევაც გამოდევნოს მისი შესატყვისი საკუთარი სიტყვა. მაგალითად, ქართული „ძმარ“-ის ზანური შესატყვისია „ჯუმორი“. იგი დაცულია ჭანურში. მეგრულში კი „ძმარი“ იხმარება მხოლოდ. ქართულიდან შესულ სიტყვას გამოუდევნია მისი ზანური შესატყვისი[4].

---

[1] არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 121.

[2] იქვე, გვ. 82.

[3] Н. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических. Материалы по яфетическому языкознанию, ტ. V, 1912, გვ. 22—23.

[4] არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 176.

ბოლოს, არა საერთო წარმოშობის სიტყვაც შეიძლება გადავიდეს ერთი მონათესავე ენიდან მეორეში.

არც ერთ ამ შემთხვევაში ნასესხები სიტყვები არ დაექვემდებარება მონათესავე ენებს შორის არსებულ ბგერათშესატყვისობის კანონებს. ამიტომ შესაძლებელია მათი გამოყოფა საერთო წარმოშობის სიტყვებისაგან.

3. აქამდე ჩვენ ვეხებოდით ისეთ ცვლილებებს, რომლებიც არა საერთო წარმოშობის ფონდს ქმნის მონათესავე ენებში (სესხება). ახლა უნდა განვიხილოთ ცვლილებები, რომლებსაც განიცდის საერთო წარმოშობის ფაქტები.

საერთო წარმოშობის ენობრივმა ნიშანმა თითოეულ მონათესავე ენაში შეიძლება განიცადოს მნიშვნელობის ან ბგერითი მხარის ცვალებადობა.

მნიშვნელობის ცვლის შესაძლებლობა იმას მოასწავებს, რომ როდესაც ორ ენაში ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებს შორის შესატყვისობა არ არსებობს, აქედან კიდევ არ შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა, თითქოს ეს სიტყვები საერთოდ ვერ პოულობდეს შესატყვისს ამ ენებში. შეიძლება, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა წარმოდგენილია ორივე ენაში, მაგრამ რომელიმე მათგანში მან მნიშვნელობა იცვალა. საჭიროა ამ სიტყვის დაძებნა. მაგ., ქართ. „თავ“-ის შესატყვისი სიტყვა სვანურში „შდა“ (ქართ. თ: სვან. შდ) დღესდღეობით იმავე მნიშვნელობით არ გვხვდება. მაგრამ ეს სიტყვა იხმარება სხვა მნიშვნელობით: „შდა“ აღნიშნავს პურის თავთავს. ეგეთ სიტყვა შედის კომპოზიტში „ჩერშდა“-ჩერიის თავი, კვირისტავი[1].

ისიც ხდება, რომ საერთო წარმოშობის სიტყვა ენამ დაკარგა, მაგრამ იგი შემონახულია გაქვავებულ გამოთქმაში, ნაწარმოებ სიტყვაში ან კომპოზიტში. მაგ., იგივე „შდა“ „ჩერშდა“-ში, ანდა მეგრ. „კუჩხი“-ს, სვან. „ჲიშხი“-ს ქართული შესატყვისი „კუჭარცხლ“ ნაწარმოებ სახელში „მკვირცხლი“ („ფეხით მავალი“[2])...

4. სხვადასხვაგვარი ბგერათცვლილებების კანონზომიერი ხასიათის გამო მონათესავე ენებში ვიღებთ ბგერათშესატყვისობებს. მაგრამ ბგერათცვლილებები დიფერენციაციის[3] შემდეგაც ხდება. ამ

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტ. დაკვირვ. ქართვ. ენებში, I, გვ. 201.

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 62.

[3] „დიფერენციაციის შემდეგო“ რომ ვამბობთ, აქ პირობით ვგულისხმობთ მონათესავე ენათა ჩამოყალიბებას ცალკე ერთეულებად. ისე, რა თქმა უნდა, დიფერენციაცია ამის შემდეგაც გრძელდება და მანამდეც ხდებოდა (დიალექტთა გამოყოფა).

გვიანდელმა ცვლილებებმა, შეიძლება, დაჩრდილონ არსებული ბგერათშესატყვისობანი. ამიტომ, საჭიროა, გავითვალისწინოთ შესადარებელ სიტყვათა ისტორია, აღვადგინოთ მათი ის სახე, რომელიც მათ უშუალოდ ერთმანეთისაგან გამოყოფის შემდეგ ექნებოდათ.

მაგ., არ შეიძლება სვან. „ლი-ჯიშ"-ს პირდაპირ შევუპირისპიროთ ქართ. „ქსოვა", რადგან ამ უკანასკნელს განუცდია ფონეტიკური ცვლილებანი: პირველ ორ თანხმოვანს შორის უნდა ყოფილიყო რაღაც ხმოვანი, რომელიც შემდეგ დაიკარგა. თვით პირველი თანხმოვანი ჭ არაა პირველადი; ის გ-საგან არის მიღებული. როდესაც ხმოვანს რედუქცია მოუვიდა, გ უშუალოდ ს-სთან მეზობლობაში მოხვდა და ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად დაყრუვდა, მაშ, ქსოვა←გვსოვა (v-თი აღნიშნულია დაკარგული ხმოვანი). ამის შემდეგ აშკარაა ამ სიტყვის შესატყვისობა სვანურთან: ქართ. გ: სვან. ჯ, ქართ. ს: სვან. შ, ქართ. გვს-ოვა: სვან. ლი-ჯიშ"[1].

ერთმანეთისაგან გამოყოფის შემდეგ მონათესავე ენებში სხვადასხვა დროს მომხდარ ცვლილებათა დაყვანას ერთსა და იმავე ეპოქამდე, განვითარების ერთნაირ საფეხურამდე „გაერთმნიშვნელიანებას" უწოდებენ. ასეთი გაერთმნიშვნელიანების გარეშე შედარება ნაყოფიერი ვერ იქნება.

რაც მეტი დრო არის გასული დიფერენციაციის შემდეგ, მით უფრო მეტია ენაში მომხდარ ცვლილებათა რაოდენობა. ამ ცვლილებათა გათვალისწინებაში გვეხმარება წერილობითი ძეგლები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას თვალი მივადევნოთ ენათა განვითარების წინა საფეხურებს. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაში არიან ინდოევროპულ ენათა მკვლევრები, რადგან მათ განკარგულებაშია საკმაოდ ადრინდელი ხანის ტექსტები თითქმის ყოველი ჯგუფის ინდოევროპულ ენებზე. რამდენად ართულებს ძველი წერილობითი ძეგლების უქონლობა ენათა ისტორიულ-შედარებით შესწავლას, ეს ჩანს იქიდან, რომ, სპეციალისტთა თქმით, მეტად გაჭირდებოდა ფრანგულის, ბულგარულისა და სომხურის ერთმანეთთან ნათესაობის დამტკიცება, მათ მხოლოდ თანამედროვე სახეს რომ ვიცნობდეთ[2].

---

[1] ვ. თოფურია, ფონეტ. დაკვირვ. ქართვ. ენებში, I, გვ. 209.

[2] A. Meillet, Le problème de la parenté des langues. Linguistique historique et linguistique générale, Paris, 1921, გვ. 94.

ოშის ნათელსაყოფად, თუ როგორ და რა საშუალებებით ხდება ენობრივ ნიშანთა ისტორიის აღდგენა, მოვიყვანოთ მაგალითები: მეგრ.-ჭან. „თუთა“-ს (=მთვარე, თვე), სვან. „დოშდულ“-ის (მთვარე) შესატყვისი „თვე“ საკმაოდ შეცვლილად არის დღეს წარმოდგენილი. ამ სიტყვის უფრო ადრინდელი სახე დაცულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. ეს არის „თთუე“. მაგრამ თვით „თთუე“-ც არ შეესატყვისება შესაბამ მეგრულ-ჭანურ და სვანურ ფუძეებს. ამ სიტყვის უფრო ადრინდელი სახის აღსადგენად უნდა მივმართოთ მონათესავე ენებს. „თუთა“ და „დოშდულ“ მიუთითებენ იმაზე, რომ ქართულში პირველ ორ თანხმოვანს შორის ხმოვანი უნდა ყოფილიყო. სვანური ო ქართულში უ-ს გვავარაუდებინებს (სვან ო: ქართ. უ). ამ ხმოვანს შემდეგ ადგილი გადაუნაცვლებია „თთუე“-ში იგი გ-ს წინ არის წარმოდგენილი.

აგრეთვე, ქართველურ ენათა შორის არსებულ ბგერათაშესატყვისობათა საფუძველზე ასკვნიან, რომ პირველი თანხმოვანი ო ხმოვნის გადასმის შემდეგ მეორე თ-სთან დამსგავსებით არის მიღებული. მისი პირვანდელი სახე იქნებოდა დ, რადგან სვან. დ: მეგრ.-ჭან. თ (←დ): ქართ. დ.

ამგვარად: თვე←თთუე←*დუთე. „დუთე“ კი სვან. „დოშდ-ულ“-ისა და მეგრ.-ჭან.—„თუთა“-ს სრული შესატყვისია[1].

ამ სიტყვის განვითარების ერთი საფეხური წერილობითი ძეგლების საშუალებით იქნა გათვალისწინებული. მეორე, უფრო ადრინდელი კი,—მონათესავე ენებთან შედარების საფუძველზე.

ენობრივ ფაქტთა ისტორიის დადგენაში გვშველის, აგრეთვე, ცოცხალი დიალექტები.

მაგ., მეგრულში გვაქვს—„ჯიმა“, ჭანურში—„ჯუმა“, ქართულში კი—„ძმა“ (მეგრ.-ჭან. ჯ: ქართ. ძ). მეგრულ-ჭანურში ეს სიტყვა ორმარცვლოვანია, ქართულში—ერთმარცვლოვანი. მთელი რიგი ანალოგიური შემთხვევებიდან ირკვევა, რომ ქართულს ადრიდანვე ხმოვანთა ძლიერი რედუქცია ახასიათებდა. მაშ, ქართულშიაც უნდა გვქონოდა ხმოვანი, სახელდობრ ა, რადგან მეგრ. ჯიმა ← ჯუმა (შდრ. ჭან. ჯუმა) ← ჯომა, ხოლო მეგრ.-ჭან. ო: ქართ. ა. „ძმა“-ს ადრინდელი სახე იქნებოდა „ძამა“.

ეს დასკვნა მონათესავე ენებთან შედარების საფუძველზე გაკეთდა, მაგრამ რომ ვარაუდი სწორია, ამას ამტკიცებს ქართულ დიალექტებში ხმარებული „ძამია“, „ძამიკო“[2].

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტ. დაკვირ. ქართვ. ენებში, გვ. 216—218.

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., I, გვ. 25—27.

ჩვენს მაგალითებში მონათესავე ენათა შედარება, ძველ ტექსტებში დადასტურებული ფორმები და ცოცხალ დიალექტთა მონაცემები ავსებენ ერთმანეთს და ამით უფრო დამაჯერებელს ხდიან დასკვნებს (არც ერთ ქართულ კილოში რომ ამჟამად „ძამ“ არ იხმარებოდეს, მაინც მეგრულ-ჭანურთან შედარების საფუძველზე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ პირველი ხმოვანი ამ სიტყვაში ჩავარდნილია და რომ ეს ხმოვანი ა იყო). ჩამოთვლილი საშუალებებიდან ყველაზე შორს ისტორიის სიღრმეში შედარება მიდის. იგი იძლევა შესაძლებლობას აღვადგინოთ სიტყვათა ისეთი ადრინდელი სახეხურები, რომლებიც წინ უსწრებს როგორც წერილობით ძეგლებში, ისე დიალექტებში შემონახულ არქაიზმებს (მაგ., „*დუთე“[1]). ასეთ ვითარებაში ყოველთვის არ არსებობს დასკვნის სისწორის საკონტროლო საშუალება, მაგრამ ის შემთხვევები, როდესაც შედარების გზით აღდგენილი ფორმები დასტურდება ძველ ტექსტებში ან დიალექტებში (მაგ., „*ძამ“-), გვაფარაუდებინებს, რომ შედარებითი მეთოდი საიმედო იარაღია ენის ისტორიის გათვალისწინებისათვის. ინდოევროპულ ენათა კვლევის ისტორიიდან არა ერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც შედარების გზით აღდგენილი რომელიმე სიტყვა შემდეგ მართლაც აღმოუჩენიათ ძველ წერილობით ძეგლებში.

5. შედარებაზე როცა ვმსჯელობთ, უნდა მოვიგონოთ, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სიტყვის მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი—ფუძე და დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილი—აფიქსი.

პირველთა სესხება ადვილად ხდება ენის მიერ; მაგრამ ნასესხები ფუძეები მსესხებელი ენის საკუთარი აფიქსებით გაფორმდება ჩვეულებრივ. მაგ., კომუნისტ-ური, სა-ავიაცი-ო.

მეორე მხრივ, მონათესავე ენებმა დიფერენციაციის შემდეგ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება განავითაროს გარკვეული გრამატიკული კატეგორიები. მაგ., დაშორებითი ბრუნვა მეგრულ-ჭანურში (მეგრ. „კოჩი-შე“ =კაცისაგან). შეიძლება პირუკუც მოხდეს, ზოგი მაწარმოებელი დაკარგოს ამა თუ იმ მონათესავე ენამ. მაგალითად, სვანურ სახელებს მოკვეცილი აქვთ სახელობითი ბრუნვის დაბოლოება.

ამ მიზეზის გამო, შეიძლება შესატყვისობა არსებობდეს სიტყვათა ძირებში და არ არსებობდეს აფიქსებში და პირუკუ. მაგ.,

---

1 შედარების გზით ამგვარად აღდგენილ ფორმებს ვარსკვლავით აღნიშნავენ (მაგ. * დუთე), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი დოკუმენტურად დადასტურებული არაა.

შესატყვისი ძირები და არაშესატყვისი აფიქსებია: „ქმნა“ ← „ქამ-ენ-ა“ და სვან. „ლიჩვმე“ ← „ლი-ჩომ-ე“. ან ქართ. ბაღ-ლ-მა და სვან. ჟაღვ-ემ. პირუკუ, აფიქსებში გვაქვს შესატყვისობა, ძირებში კი არა[1]. ქართ. გ-შია—სვან. ჯ-ბად (მეორე ობიექტ. პირის ნიშანი ქართ. ვ: სვან. ჯ); ქართ. სახლ-ის— სვან. ქორ-იშ (ნათ. ბრუნვის ნიშანი ქართ. -ის: სვან.-იშ).

ზემომოყვანილიდან აშკარა ხდება, რომ შედარების დროს უეჭველად უნდა იქნეს გათვალისწინებული შესადარებელ სიტყვათა შედგენილობა. სიტყვები უნდა დაიშალოს, ძირი ძირთან იქნეს შედარებული, აფიქსი—აფიქსთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ანალიზი სასურველ დამაჯერებლობას მოკლებული იქნება. სანიმუშოდ ზემომოყვანილ ერთ მაგალითს დავუბრუნდეთ. ჩვენ ვნახეთ, რომ ქართ. *ძამა: ზან. ჯომა. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. კერძოდ. გასარკვევია, რატომ მოხდა, რომ ქართულის პირველმა ა-მ ზანურში კანონზომიერი შესატყვისი ო მოგვცა, მეორე ა კი ზანურშიაც ა-ს სახით არის წარმოდგენილი. ამ კითხვას გარკვეული პასუხი მოეპოვება: არც ქართული „ძამა“, არც ზანური „ჯომა“ არ წარმოადგენს მარტივ ფუძეს, ორივე იშლება: ქართ. ძამ-ა, ზან. ჯომ-ა. ძირია ქართ. ძამ-: ზან. ჯომ- და აქ სრული შესატყვისობა გვაქვს. რაც შეეხება ა-ს, იგი სუფიქსისეულია. ამ სუფიქსს ქართულშიაც და ზანურშიაც თანხმოვნითი ელემენტი მოკვეცილი აქვს. უნდა ყოფილიყო ქარო. *ძამ-ან, ზან. *ჯომ-ალ[2] შდრ. სვან. ჯგმ-ილ). ქართ. -ან და ზან. -ალ მორფოლოგიურად ერთმანეთს შეესატყვისება, ერთი და იმავე ფუნქციის მქონეა, ისინი ფუძის დეტერმინატივებს წარმოადგენენ. მაგრამ ფონეტიკური შესატყვისობა მათ შორის არ არსებობს[3]. ამგვარად, გაირკვა, რომ განხილულ სიტყვებში ძირები ერთმანეთის შესატყვისი ყოფილა, აფიქსები კი—არა. ბუნებრივია, რომ ქართ. ა ზანურში ო-ს გვაძლევს, მხოლოდ იქ, სადაც ამ ენათა შორის ფონეტიკური შესატყვისობა ვლინდება.

---

1 სიმარტივის გამო აღარ ვჩერდებით იქით შემთხვევებზე, როდესაც შესატყვისობა ფუძეებშიაც დასტურდება და აფიქსებშიაც.

2 ეს სუფიქსები დაცულია მრავლობითის ფორმებში. გურ. და იმერ. ძმ-ან-ები, მეგრ. ჯიმ-ალ-ეფი. (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 26—27).

3 როგორც -ან ისე -ალ თანაბრად იხმარება ორივე ენაში. მაგალითად, -ალ დეტერმინანტი გამოიყოფა ქართულ სიტყვებში: დედ-ალ-ი, მამ-ალ-ი, მსხ-ალ-ი, ვაშ-ლ-ი ←*ვაშ-ალ-ი და სხვა (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სპეციალის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში).

- ზემოთქმულიდან ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გამომდინარეობს. გარკვეულ შემთხვევებში შედარება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ნაწარმოები ფუძის სწორი ანალიზი და გამოვყოთ მასში ამჟამად უქმი აფიქსი. მაგ., საკმარისია ქართ. თხილ-ს და მეგრ. თხირ-ს შევუპირისპიროთ სვანური „შდიხ“, რომ ნათელი გახდეს ქართულ და მეგრულ სიტყვათა რთული შედგენილობა: -ილ და -ირ დეტერმინანტი სუფიქსებია. ისინი რომ ძირის კუთვნილებას არ წარმოადგენენ, იქიდანაც ჩანს, რომ მათ რედუქცია გამოუწვევიათ. სვანური „შდიხ“ გვავარაუდებინებს „თიხ-ილ“-ს ქართულში[1].

სხვა შემთხვევაში ქართული და ზანური დაგვეხმარება სვანური სიტყვის დაშლაში. მაგალითად, ქართ. ასი: ზან. ოში: სვან. აშირ-ის შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ სვანურში -ირ ისეთივე სუფიქსია, როგორც -ილ თხილ-ში და -ირ თხირ-ში[2].

6. შედარება ბგერათშესატყვისობებს ემყარება, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ ფუძე-ენის ყველა ბგერას განეცადა დიფერენციაცია მონათესავე ენებში. სინამდვილეში ასეთი შემთხვევები არც გვხვდება. თუ, ერთი მხრივ, გვაქვს შესატყვისობები მონათესავე ენათა ბგერებს შორის, მეორე მხრივ, არსებობს მთელი რიგი ბგერები, რომლებიც უცვლელად არიან წარმოდგენილი ამ ენებში. მაგალითად, ღ ან ჲ სამივე ქართველურ ენაში. შდრ. ქართ. ძაღ-, ზან. ჯოღ-, სვან. ჯეღ; ქართ. ძამ-, ზან. ჯომ-, სვან. ჯიმ-.

როდესაც საქმე გვაქვს ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უცვლელად დარჩენილ ბგერებთან ერთად შესატყვის ბგერებსაც შეიცავენ, მაშინ სიძნელე არ იქმნება. მაგრამ ისეთი ფუძეების ან აფიქსების შედარება, რომლებიც მხოლოდ ასეთი არადიფერენცირებული ბგერებისაგან შედგება, ენათა ნათესაობის თვალსაზრისით შედეგს ვერ მოგვცემს.

მაგ., ქართული: ჭ, დ, ხ, თ, უ მეგრულ-ჭანურშიაც იმავე სახით არიან წარმოდგენილი. ამიტომ ორივე ენაში გვექნება: „ქუდი“, „ხუთი“ [3]. ამ ტიპის სიტყვები, შეიძლება, ფუძე-ენიდან მომდინარეობდეს და, შეიძლება, აგრეთვე ნასესხები იყოს ერთ-ერთი ამ ენათაგანიდან მეორეში ან ორივეში რომელიმე მესამე ენიდან.

---

[1] არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 124.

[2] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 103.

[3] არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 178, 215.

აქედან აშკარაა, რომ შედარებას არ ძალუძს გამოიცნოს ისეთი საერთო წარმოშობის ფაქტები, რომლებსაც ბგერითი დიფერენციაცია არ განუცდიათ მონათესავე ენებში.

7. დამოუკიდებელ ენებად გამოყოფის შემდეგ მონათესავე ენები არა მხოლოდ მნიშვნელობისა და ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან, არამედ ახალ გრამატიკულ კატეგორიებსაც განავითარებენ.

აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან იქმნება. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მონათესავე ენებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვება ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორია და რადგან მასალა, რომელსაც თითოეული მათგანი იყენებს ამ კატეგორიის აღსანიშნავად, საერთო წარმოშობისაა, თვით ეს ახლად წარმოქმნილი აფიქსებიც შესატყვისობებს მოგვცემს ამ ენებში.

ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად ასეთ ფაქტებს იგივე ღირებულება აქვს, რაც დანარჩენებს. ისინი არსებულ შესატყვისობათა კანონებს მიჰყვებიან. მაგრამ ისინი შეგვიყვანენ შეცდომაში მათი ხნოვანების განსაზღვრის დროს. რადგან ეს კატეგორიები ერთმანეთის შესატყვისი ფორმებით იქნება წარმოდგენილი მონათესავე ენებში, დავასკვნით, რომ ისინი ფუძე-ენიდან მომდინარეობენ, მაშინ როდესაც სინამდვილეში გვიან არიან წარმოქმნილი.

ამ გზით წარმოშობილი უნდა იყოს ქართველურ ენებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ნ**, რომელიც ქართულსა და ზანურში იხმარება[1]. სვანურში მისი შესატყვისია **ლ**, რომელიც **ნ**-საგან მომდინარეობს. მაგრამ მაშინ, როდესაც ეს პირის ნიშანი ქართულსა და ზანურში სუფიქსად იხმარება, სვანურში იგი პრეფიქსული წარმოებისაა. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დასახელებული ფორმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა ქართველურ ენებში საერთო წარმოშობის მასალისაგან. კერძოდ, ეს პირის ნიშნები ნაცვალსახელებისაგან მომდინარედ არის მიჩნეული, და მართლაც, ქართულისა და ზანურის **ნ** ნაცვალსახელურ ძირს სვანურში **ლ**-იანი ფორმა შეესატყვისება (ალა — ეს).

8. დასასრულ, ერთი საკითხიც უნდა განვიხილოთ. როდესაც სესხებას ვეხებოდით, ჩვენ გამოვტოვეთ ერთი შესაძლებლობა: სესხება ფუძე-ენაში. მართლაც, ფუძე-ენაც ხომ არ იქნებოდა დაზღვე-

---

1 არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, „ენიმკი-ს მოამბე", V—VI, 1940.

ული უცხო ენათა გავლენისაგან? მაშასადამე, მასაც ექნებოდა ნასესხები სიტყვები. ამ სიტყვებს იგივე ბედი ეწეოდათ მონათესავე ენებში, რაც საკუთარ სიტყვებს, ე. ი. ისინიც შესატყვისობებს მოგვცემდნენ. ამიტომ გენეალოგიური კლასიფიკაციის დადგენისათვის მათ იგივე ფასი აქვთ, რაც საკუთარ სიტყვებს. პირველნი ისევე, როგორც მეორენი, ნათელყოფენ, რომ ენები, რომლებშიაც ისინი გვხვდებიან, საერთო წარმოშობის, ე. ი. მონათესავე არიან. რა თქმა უნდა, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყოველი ენის სიტყვათა კლასიფიკაცია მათი სადაურობის მიხედვით, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ისეთ დაშორებულ ეპოქებს, რომლებშიაც თანამედროვე მონათესავე ენათა ფუძე-ენები უნდა არსებულიყო, ამ საკითხის გადაჭრა ყოველთვის ვერ ხერხდება.

§3. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები. აქ თავმოყრილი იყო ელემენტური საკითხები, რომლებიც ენათმეცნიერებაში შედარებით მტკიცედ დადგენილად და საყოველთაოდ გაზიარებულად შეიძლება ჩაითვალოს. უკვე ამ საკითხებიდანაც ჩანდა, რომ ენათა ნათესაობის კვლევის დროს გარკვეული სიძნელეები წარმოიშვება. ამ სიძნელეებთან არის დაკავშირებული რიგი სადავო საკითხი, რომელთა ანალიზი მომდევნო თავებში იქნება წარმოდგენილი. მაგრამ ზემოგანხილულ პრობლემათა ფარგლებშიაც გვხვდება სხვადასხვაობა ზოგიერთი მკვლევრის შეხედულებებში. ამიტომ მოკლედ შევჩერდებით ზოგ ასეთ საკითხზე.

1. მეიე ენათა ნათესაობის განმსაზღვრელად თვლის მოლაპარაკეთა შეგრძნებას ან სურვილს ილაპარაკონ ერთსა და იმავე ენაზე, იმ ენაზე, რომელზედაც მათი მამა-პაპანი მეტყველებდნენ. ამ მკვლევრის თქმით, ერთი ენა მიღებულია მეორისაგანო, ვიტყვით, თუ პირველი და მეორე ენის ხმარებას შორის გასულ ყველა მომენტში „მოლაპარაკე სუბიექტებს ჰქონდათ შეგრძნება და სურვილი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკისა ან რადგანაც ეს ენა ნორმალურად გადადიოდა თაობიდან თაობაში, ანდა რადგან ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფებმა მიიღეს იგი თავიანთი ძველი ენის ნაცვლად"[1].

„ამგვარად, ენათა ნათესაობა გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ლინგვისტური ერთიანობის გრძნობის განუწყვეტლობისაგან"[2].

---

[1] Le problème de la parenté des languos, გვ. 81.
[2] იქვე.

შუხარდტი ეკამათება მეიეს ამ საკითხში. შუხარდტის შენიშვნით, ენათა ნათესაობა ორ მომენტს შეიცავს: იგივეობას და სხვაობას (ე. ი. მონათესავე ენები ერთსა და იმავე დროს მსგავსნიც არიან და განსხვავებულნიც). ამიტომ ნათესაობა ერთ მიზეზს კი არ ემყარება, არამედ ორს. ერთი არის სიახლისადმი მიდრეკილება, ხოლო მეორე—გასაგებად ლაპარაკის მოთხოვნილება. პირველ მიზეზს ემყარება დიალექტებად გახლეჩა და ის რომ არ იყოს, გვექნებოდა მხოლოდ ერთი და არა რამდენიმე ენა.

გასაგები მეტყველებისაკენ მიდრეკილებას შუხარდტი ბევრად მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე გარკვეული ენის ხმარების შეგნებულ სურვილს[1].

მართლაც, განმსაზღვრელი წინაპართა ენაზე ლაპარაკის სურვილი რომ იყოს, მაშინ ენაში ცვალებადობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ადამიანები შეგნებულად კი არ ცვლიან თავიანთ ენას, არამედ ცვალებადობა შეუგნებლად ხდება და დროთა განმავლობაში ენამ შეიძლება ისეთი სახე მიიღოს, რომ წინაპართა მეტყველება სრულიად გაუგებარი გახდეს შთამომავალთათვის. თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთ თაობას არ ექნებოდა იმის შეგრძნება ან სურვილი, რომ თავისი მამა-პაპის მეტყველებისათვის ეღალატა.

ამგვარად, მოლაპარაკე ინდივიდთა შეგრძნება ან სურვილი არაფერს არ იძლევა ენათა ნათესაობის განსაზღვრისათვის. მიუღებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ინდოევროპული ენები იმიტომ არის ერთმანეთის მონათესავე, რომ ინდოევროპული ფუძე-ენის ხმარების ეპოქიდან დღემდე თითოეულ ხალხს ჰქონდა ერთსა და იმავე, ტრადიციულ ენაზე ლაპარაკის შეგრძნება და სურვილი.

აღსანიშნავია, რომ მეიესთან ჩვენ ვხვდებით ენათა ნათესაობის მეორე განსაზღვრას, რომელიც საყოველთაოდ არის ენათმეცნიერებაში გაზიარებული. ამ განსაზღვრის მიხედვით, „ორ ენას მონათესავე ეწოდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე, ოდესღაც არსებული, ენის ორი სხვადასხვაგვარი ევოლუციის შედეგს"[2].

2. სადავოა ვანდრიესის შეხედულება იმ საშუალებათა შესახებ, რომლებითაც ენათა ნათესაობის დამტკიცება ხდება. ამ მკვლევრის

---

[1] Schuchardt-Brevier, II Aufl. Halle, 1928, გვ. 194.

[2] А. Мейе. Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, გვ. 50.

თქმით, ფონეტიკა ენათა ნათესაობისათვის არაფერს არ იძლევა. ფონეტიკური ცვლილებანი მექანიკურად, შეუგნებლად ხდება და აბსოლუტურია, ე. ი. ისინი არ ტოვებენ ძველის გადმონაშთებს. მორფოლოგიაში კი გვაქვს ძლიერი ფორმები, რომლებიც უძველეს ვითარებას წარმოგვიდგენს[1].

ფონეტიკა არა თუ არაფერს იძლევა ენათა ნათესაობისათვის, არამედ გენეალოგიური კლასიფიკაცია არსებითად ფონეტიკაზეა დაფუძნებული (შესატყვისობათა სისტემა). ფონეტიკური ცვლილებანი რომ აბსოლუტურნი არიან, სწორედ ეს იძლევა ენათა ნათესაობის აღმოჩენის საშუალებას. ინდოევროპული p, t, k გერმანულ ენებში სიტყვის თავში f, þ, h-დ იქცა. რადგანაც ყველა შემთხვევაში, როდესაც ინდოევროპულში p, t, k არის, გერმანულ ენებში f, þ, h გვხვდება, ვასკვნით, რომ ასეთი შესატყვისობა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. და რადგანაც ამ ენათა ისტორიული შესწავლა მეტ სიახლოვეს გვიჩვენებს მათ შორის წარსულში, ვიდრე ამჟამად არის, ვამბობთ, რომ ეს ენები საერთო წარმოშობისაა.

არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ ფონეტიკა, მორფოლოგია და ლექსიკა. ფონეტიკას საქმე აქვს ენობრივ მასალასთან— ბგერებთან. სწორედ ამ მასალის ოდინდელი იდენტობა უნდა ნათელყოს მან, ვისაც ენათა ნათესაობის დადგენა სურს. მაგრამ ბგერები განცალკევებით არ არსებობს ენაში. ბგერები გარკვეულ მნიშვნელობას მაშინ იძენს, როდესაც სიტყვებში ერთიანდება. სიტყვას კი სემასიოლოგია და მორფოლოგია შეისწავლიან. პირველს სიტყვის შინაარსი (ფუძე) აინტერესებს, მეორეს— ფორმა (აფიქსები).

ამგვარად, ფონეტიკა, როგორც ენობრივი მასალის შემსწავლელი, ერთნაირად უპირისპირდება როგორც სემასიოლოგიას, ისე მორფოლოგიას.

3. როგორც ზემოთ ვნახეთ, ენათა ნათესაობის დამტკიცება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს დაცული ენებს საერთო წარმოშობის მასალა. ენათა ნათესაობის დადგენა ვერ ხერხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ენათა შორის მსგავსების კვალი წაშლილია. ეს მაშინ ხდება, როდესაც ენათა დიფერენციაციის შემდეგ ძალიან დიდი დროა გასული ან ენის ცვალებადობა ძლიერ სწრაფად ხდებოდა და არ მოგვეპოვება ძველი ტექსტები, ან სხვა რაიმე საშუალება, რომ შევძლოთ ამ ენათა ისტორიის გათვალისწინება.

---

[1] Ж. Вандриес, Язык. Лингвистическое введение в историю, 1937, გვ. 280.

ამ საკითხის შესახებ ვანდრიესი წერს: მხოლოდ თანამედროვე ფრანგულს რომ ვიცნობდეთ, ძლიერ გაჭირდებოდა ინდოევროპულ ენებთან მისი ნათესაობის დამტკიცება და, ვინ იცის, იქნებ ალმოჩენილიყო უფრო სერიოზული მოსაზრებანი, რომ ფრანგული ენა სემიტური ან ფინურ-უნგრული ოჯახისათვის მიეკუთვნებინათო[1]. ეს მოსაზრება შუხარდტსაც მართებულად მიაჩნია[2]. მსჯელობის პირველი ნაწილი გასაზიარებელია, მეორე კი —არა. ინდოევროპულ ენებთან ფრანგულის ნათესაობას ვერ დავამტკიცებდით იმიტომ, რომ მასში დღეს სხვა მონათესავე ენებთან საერთო ფაქტები მეტად მცირე რაოდენობითაა შემონახული. მაგრამ რა მოსაზრებები შეიძლება წამოჭრილიყო, რაც გვავარაუდებინებდა ფრანგულის ნათესაობას სემიტურ ან ფინურ-უნგრულ ენებთან?—არავითარი. ენათა ნათესაობის დადგენა ბგერათაშესატყვისობებს ემყარება. შესატყვისობები მხოლოდ მონათესავე ენებს შორის შეიძლება არსებობდეს, შემთხვევით ისინი არ წარმოიშვება. მაშასადამე, ასეთი შესატყვისობები არ შეიძლება დადასტურებულიყო ფრანგულსა და სემიტურს ან ფინურ-უნგრულ ენებს შორის. ამიტომ ვერც დავუკავშირებდით ამ ენებს ერთმანეთს.

ფრანგულსა და დასახელებულ ენებს შორის მსგავსი შეიძლება აღმოჩენილიყო სტრუქტურა ან ბგერითი შედგენილობა. მაგრამ ამის საფუძველზე რომ გამოგვეტანა დასკვნა მათი ნათესაობის შესახებ, ეს გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპთა დამახინჯება იქნებოდა.

4. როდესაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ხმარების წესებს ვეცნობოდით, აღნიშნული იყო, რომ ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის არ გამოდგება მორფოლოგიური ტიპის მიხედვით მსგავსება, ისევე როგორც მორფოლოგიური ტიპის განსხვავება არ მოასწავებს უეჭველად იმას, რომ შესადარებელი ენები არამონათესავე არიან. დღეს ეჭვს არ იწვევს ის, რომ არამონათესავე ენები შეიძლება ერთ მორფოლოგიურ ტიპს განეკუთვნებოდნენ, მონათესავე ენებში კი, პირუკუ, შესაძლებელია სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპი გვქონდეს წარმოდგენილი. მაგრამ ენათმეცნიერების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე სხვაგვარად ფიქრობდნენ. ჯერ კიდევ ფრ. შლეგელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს ამ

[1] Язык. გვ. 281.

[2] Schuchardt—Brevier, გვ. 230.

ენათა შინაგანი სტრუქტურა ანუ შედარებითი გრამატიკა[1], რაშიაც იგი სწორედ მორფოლოგიურ ტიპოლოგიას გულისხმობდა. ფრ. შლეგელის აზრით, ინდოევროპული ენები იმით განსხვავდებიან ყველა სხვა ენათაგან, რომ ისინი ფლექსიური წყობის არიან. თუმცა ფრ. შლეგელი იძულებული იყო აღეარებინა, რომ არაინდოევროპულ ენებში მორფოლოგიური სტრუქტურის მსგავსება არ მიუთითებს მათ ნათესაობაზე, მაინც მის მიერ წამოყენებული დებულება კარგა ხანს დარჩა ძალაში და ჰუმბოლდტიც, შლაიხერიც მორფოლოგიური ტიპის მიხედვით მსგავსებას ენათა ნათესაობის ერთ-ერთ მაჩვენებლად მიიჩნევდნენ.

ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამს ბოდუენ-დე-კურტენე 1871 წ. წერილში „ზოგიერთი ზოგადი შენიშვნა ენათმეცნიერებისა და ენის შესახებ". ბოდუენის აზრით, მონათესავე ენები არ შეიძლება სხვადასხვა მორფოლოგიურ ტიპს განეკუთვნებოდნენ, არამონათესავე ენები კი შესაძლებელია ერთ მორფოლოგიურ ტიპს ეკუთვნოდნენ[2].

ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა, რომ ეს შეხედულება არ არის მართებული. განვითარების პროცესში, შესაძლებელია, მონათესავე ენებში სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპი ჩამოყალიბდეს[3].

თავი მეორე

ენათა დიფერენციაციის პროცესი და მისი მიჰართება ენათა ინტეგრაციის (უნიფიკაციის) პროცესთან

§6. როგორც ზემოთ ვნახეთ, მონათესავე ენები დიფერენციაციის პროცესის შედეგად წარმოიშვება. ამიტომ საჭიროა გაირკვეს, როგორ ხორციელდება ეს პროცესი. დიფერენციაციის ბუნების სრულად გამოვლენისათვის დაგვჭირდება აგრეთვე გავეცნოთ ენათა

---

[1] Friedrich Schlegel, Ueber die Sprache und Weisheit der Indier. Heidelberg, 1808. გვ. 28.

[2] И. Бодуэн-де-Куртенэ, Некоторыя общия замечания о языкознании и языке (Вступительная лекция по кафедре сравн. грамм. индоевр. языков, читанная 17/29 декабря 1870 г. в Петерб. университете), Журнал Министерства народного просвещения, 1871, გვ. 308.

[3] საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თუ ამ ერთ საკითხს არ მიეღებთ მხედველობაში, ბოდუენის დასახელებულ სტატიაში კარგად არის ჩამოყალიბებული გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი საკითხები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავტორის მიერ ისტორიზმის პრინციპთა მტკიცე დაცვა (გვ. 289) და ნატურალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება (გვ. 312—314) ჯერ კიდევ 1870 წ., ე. ი. ნეოგრამატიკოსებამდე რამდენიმე წლით ადრე.

ინტეგრაციის ანუ უნიფიკაციის. კონვერგენციის პროცესს, რამდენადაც დიფერენციაცია და ინტეგრაცია, ესაა ორი ძირითადი პროცესი, რომლებიც ენათა განვითარებაში შეინიშნება, ამასთან თავიანთი შედეგებით ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან.

ენათა დიფერენციაცია, როგორც ენის განვითარების ერთ-ერთი პროცესი, მთლიანად დამოკიდებულია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებაში შექმნილ პირობებზე. სანამ საზოგადოება ერთ მთლიანს წარმოადგენს, სანამ მისი წევრები ინარჩუნებენ ერთმანეთთან ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ ურთიერთობას, მანამ შეუძლებელია ენამ დიფერენციაცია განიცადოს, შეუძლებელია ერთი ენისაგან რამდენიმე მონათესავე ენა მივიღოთ. ენათა დიფერენციაცია განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მანამდის ერთიანი და ერთი ენის მქონე საზოგადოება იყოფა რამდენიმე ნაწილად და თითოეული ნაწილი, მოწყდება რა ერთმანეთს, იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამგვარად გამოყოფილ ნაწილებში სხვადასხვაგვარი პირობები იქმნება ენის განვითარებისათვის და ამიტომ ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში ხანგრძლივი და თანდათანობითი განვითარების შედეგად საწყისში ერთი და იგივე ენა სხვადასხვაგვარ სახეს მიიღებს. სხვადასხვა ენად იქცევა. ამგვარად, ენათა დიფერენციაციას წინ უნდა უსწრებდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საზოგადოების სათანადო დიფერენციაცია (რა თქმა უნდა, არა სოციალური აზრით). ამიტომ ენათა დიფერენციაციის პროცესის შესწავლისათვის უნდა გავითვალისწინოთ, როდის და როგორ ხდება საზოგადოების ისეთი დიფერენციაცია, რომ მისგან გამოყოფილი ნაწილები წყვეტენ ერთმანეთთან ურთიერთობას და დამოუკიდებლივ იწყებენ განვითარებას.

ასეთი განვითარების სურათს გვიხატავს ენგელსი თავის ცნობილ შრომაში „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა". აქ ლაპარაკია პირველყოფილ-გვაროვნული საზოგადოების შესახებ. ამ საზოგადოების ძირითადი ერთეულებია გვარი და ტომი. ორივე სისხლით ნათესაობის პრინციპს ემყარება. რამდენიმე მონათესავე გვარი ტომს შეადგენს.

როდესაც ტომი მეტად გაიზრდება, ის იყოფა რამდენიმე ტომად[1]. ვიღებთ სისხლით მონათესავე ტომებს[2]. ტომისათვის დამა-

[1] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრ. და სახელმწ. წარმოშობა. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 369.

[2] იქვე, გვ. 362.

ხასიათებელია თავისებური დიალექტი: ტომს აქვს „განსაკუთრებული, მხოლოდ ამ ტომისათვის დამახასიათებელი დ ი ა ლ ე ქ ტ ი. სინამდვილეში ტომი და დიალექტი არსებითად ერთმანეთს ემთხვევა“[1].

მონათესავე ტომები მონათესავე დიალექტებზე ლაპარაკობდნენ. იროკეზების „ყველა ხუთ ტომში რამდენიმე საერთო გვარი იყო; ისინი ლაპარაკობდნენ ერთი და იმავე ენის მონათესავე დიალექტებზე“[2].

ეს გასაგებიცაა: ისევე, როგორც ეს ტომები ერთი ტომის გამონაყოფები იყვნენ, მათი ენებიც ერთი ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენდნენ. „ტომების და დიალექტების ახლად შექმნა გათიშვის შემწეობით ამერიკაში ამ ცოტა ხნის წინათ ხდებოდა და, საეჭვოა, რომ იგი დღესაც მთლად შეწყვეტილი იყოს“[3]. იროკეზთა ხუთ ტომში „საერთო ენა, რომელიც მხოლოდ კილოკავებით განსხვავდებოდა, საერთო წარმოშობის გამოხატულება და დამადასტურებელი საბუთი იყო“[4].

ერთმანეთისაგან გამოყოფილი ტომები ვრცელი ტერიტორიებით იყვნენ ერთმანეთს დაშორებული. ურთიერთობა ტომებს შორის მეტად სუსტი იყო (მხოლოდ დროებითი კავშირი ტომებისა საერთო მტრის წინააღმდეგ). ამის შედეგად სხვადასხვა დიალექტებს შორის გაგებინების მოთხოვნილება არ შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი. ამიტომ ძლიერ სუსტი იქნებოდა დიალექტებს შორის უნიფიკაციის ტენდენციის მოქმედება. სამაგიეროდ, დიფერენციაციისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა. ერთმანეთს მოწყვეტილი დიალექტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწყებდნენ განვითარებას და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს. ასე რომ, შესაძლებელი იყო სხვაობა იმდენად გაზრდილიყო, რომ მონათესავე დიალექტები მონათესავე ენებად ქცეულიყვნენ, და ასეც ხდებოდა. ამის ნიმუშებს ვხვდებით ამერიკის ინდიელებში:

„ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, როგორ ვრცელდება თანდათან უზარმაზარ კონტინენტზე ის ტომი, რომელიც თავდაპირველად მთლიანი იყო; როგორ გადაიქცევიან

---

[1] ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 292.

[2] იქვე, გვ. 294.

[3] იქვე, გვ. 292.

[4] იქვე, გვ. 295.

ტომები გათიშვის გზით ხალხებად, ტომთა მთელ ჯგუფებად; როგორ იცვლებიან ენები იმდენად, რომ არა თუ გაუგებარნი ხდებიან ერთმანეთისათვის, არამედ პირვანდელი ერთიანობის თითქმის ყოველ ნიშანკვალსაც კი კარგავენ"[1].

ფრ. ენგელსი ხარაერთხელ გახაზავს, რომ სურათი, რომელიც მან დაგვიხატა ამერიკის ინდიელთა მაგალითის მიხედვით, კერძოობით მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ტიპობრივია გვაროვნული წყობილებისათვის და რომ განვითარების ანალოგიური გზა გაუვლია სხვა ხალხებსაც[2].

ეს იმას ნიშნავს, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში დიფერენციაციის გზით მონათესავე ენათა წარმოშობა ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ამაზეც მიუთითებს მარქსის სიტყვები:

„გვაროვნული ორგანიზაციის ელემენტებში მოცემული იყო დაყოფის მუდმივი ტენდენცია; მას აძლიერებდა ენაში სხვადასხვაობის წარმოქმნის ტენდენცია, რომელიც აუცილებელი იყო მათი (ე. ი. ველური და ბარბაროსული ტომების) საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის სიდიდის გამო. თუმცა ზეპირი მეტყველება ძლიერ გამძლეა თავისი ლექსიკური შედგენილობით და კიდევ უფრო გამძლეა თავისი გრამატიკული ფორმებით, მაგრამ იგი არ შეიძლება უცვლელად დარჩეს. ლოკალური გათიშვა—სივრცეში—იწვევდა დროთა განმავლობაში სხვადასხვაობათა წარმოშობას ენაში; ეს იწვევდა ინტერესების განკერძოებულობას და სრულ დამოუკიდებლობას"[3].

როგორც ვხედავთ, აუცილებელ პირობას ენის დიფერენციაციის განხორციელებისათვის წარმოადგენს ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების ნაწილთა გამოყოფა ერთმანეთისაგან ისე, რომ კონტაქტი გამოყოფილ ნაწილებს შორის შეუძლებელი გახდეს. გვაროვნულ საზოგადოებაში ასეთი პირობა სისტემატურად იქმნებოდა.

ენათა დიფერენციაცია კლასობრივ საზოგადოებაშიაც ხორციელდება. იმ თავისებურ პირობათა შესახებ, რომლებიც კლასობრივ საზოგადოებაში იქმნება ამ თვალსაზრისით, ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. ჯერ-ჯერობით კი ენათა ინტეგრაციის რაობას გავეცნოთ.

§7. თუ ენათა დიფერენციაცია ერთგვაროვან პროცესს წარმოადგენს, ინტეგრაციის ანუ უნიფიკაციის სახელწოდების ქვეშ გაერ-

---

[1] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 291.

[2] იხ. მაგ. დასახ. შრ., გვ. 297; 302.

[3] Архив К. Маркса и Ф. Энгельса. т. IX, 1941, გვ. 79.

თიანებულია რამდენიმე პროცესი. ესენია: სესხება, შეჯვარედინება ანუ შერევა და შერწყმა. საერთო მათ შორის ის არის, რომ ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი ენის გავლენასთან მეორეზე (ეს გავლენა შეიძლება ცალმხრივიც იყოს, მაგ., სესხების დროს, და ორმხრივიც, მაგ., შერწყმის დროს) ანუ სხვადასხვა ენის დაახლოებასთან. ენობრივი თვალსაზრისით, დასახელებული სამი პროცესი გავლენისა თუ დაახლოების ინტენსივობით განსხვავდება ერთმანეთისაგან. სესხების დროს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ლექსიკური შედგენილობის სიტყვები გადადის ერთი ენიდან მეორეში; შეჯვარედინების დროს გავლენა უფრო ძლიერია, იგი ლექსიკის დიდ რაოდენობას მოიცავს, ზოგიერთ ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვასაც კი სწვდება, ამასთან ერთად შეიძლება ადგილი ჰქონდეს აგრეთვე გამოთქმათა, ბგერათა და აფიქსთა გადატანას ერთი ენიდან მეორეში. რაც შეეხება შერწყმას, აქ ურთიერთგავლენა მაქსიმალურ დონეს აღწევს, ორი ან რამდენიმე ენა ისე შეეზრდება ერთმანეთს, რომ ახალ ენას ვიღებთ.

ენათა დიფერენციაციის პროცესთან მიმართების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შეჯვარედინების ანუ ენათა შერევის პროცესი, ამიტომ ქვემოთ სწორედ მასზე შევჩერდებით უფრო დაწვრილებით.

ენათა შერევა ფართოდ არის გავრცელებული კლასობრივ საზოგადოებაში. კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ექსპლოატატორული კლასების გაბატონება. ხალხებისა და ერების უთანასწორობა, რასაც მოჰყვება ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა. ამ უკანასკნელ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ხალხთა და ერების ჩაგვრის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს ენობრივი ჩაგვრაც. გაბატონებული ერი (ხალხი) ძალდატანების გზით ცდილობს თავს მოახვიოს თავისი ენა დაჩაგრულ ერს (ხალხს), ხმარებიდან გამოდევნოს, მოსპოს ადგილობრივი ენა. ასეთ პირობებში ხორციელდება ენათა შეჯვარედინება.

აუცილებელი ლინგვისტური პირობა ენათა შეჯვარედინებისათვის არის ორენოვნობა (ე. წ. ბილინგვიზმი). გამარჯვებული ერი (ან ხალხი) მის ხელში არსებული ყოველგვარი საშუალებებით აიძულებს დამარცხებულ ერს მიიღოს მისი ენა, ამ ენაზე ალაპარაკდეს. ბაგრამ დამარცხებული ერი ადვილად როდი თმობს თავის საკუთარ ენას. მშობლიური ენისათვის ბრძოლა ეროვნული ბრძოლის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. ამგვარად, ერთი ერი (ხალხი)

ერთდროულად ორ ენაზე მეტყველებს. ეს გარემოება კი ზეგავლენას ახდენს ორივე ენაზე, ერთი ენიდან მეორეში გადადის ენობრივი მოვლენები, ხდება ამ ენათა შერევა.

ამგვარად, ენათა შეჯვარედინებას ის თავისებური პირობები განსაზღვრავს, რომლებსაც კლასობრივი საზოგადოება უქმნის ენათა განვითარებას. ჟ. ვანდრიესი, რომელიც საერთოდ უყურადღებოდ არ ტოვებს ენის განვითარების საზოგადოებრივ პირობებს, ენათა შერევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ენის პრესტიჟს და ენის ღირებულებას[1].

ლათინური ენის პრესტიჟს მიაწერს ვანდრიესი იმას, რომ რომაელი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა შეეთვისებინა ბარბაროსთა ენები. იმავე მიზეზით ხსნის იგი ლათინურის მიერ ეტრუსკული, ოსკური და უმბრული, აგრეთვე გალიური ენების ჩაყლაპვას. მეორე მხრივ, ენათა სხვადასხვაგვარი ღირებულების გამოვლინებად მიაჩნია ავტორს ის, რომ XIX საუკუნეში სომხურმა ენამ უკან დაიხია რუსულის წინაშე. პოლონურმა კი გაუძლო მის გავლენას[2].

უნდა ითქვას, რომ პრესტიჟი და შეფარდებითი ღირებულება ისეთ აბსტრაქტულ, გარკვეულ შინაარსს მოკლებულ ცნებებს წარმოადგენს, რომლებიც არა თუ ვერ აგვიხსნიან ენათა შერევის ბუნებას, არამედ ბევრი გაუგებრობის წყაროდაც კი შეიძლება იქცნენ. მართლაც, რას წარმოადგენს „პრესტიჟი"? ვის თვალში უნდა ჰქონდეს ენას პრესტიჟი? თუ აქ ლაპარაკია ამ ენის მომხმარებელ საზოგადოებაზე, მაშინ ცნობილია, რომ საკუთარი ენა ყოველ ხალხთან დიდი პრესტიჟით სარგებლობს, ყოველ ხალხს ურჩევნია, რომ მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ენაზე, როგორი ღირსებებიც არ უნდა ჰქონდეს ამ უკანასკნელს. განა გალებმა იმიტომ მიატოვეს საკუთარი ენები, რომ დარწმუნდნენ ლათინურის უპირატესობაში? ანდა განა რომაელები იმიტომ უკადრისობდნენ სხვა ენათა შესწავლას, რომ მათ ენას განსაკუთრებული „ღირებულება" ჰქონდა?—სრულიადაც არა. საქმეს წყვეტს არა ენათა თავისებურებანი და უპირატესობანი[3], არამედ ის კონკრეტულ-ისტორი-

---

[1] Ж. Вандриес, Язык. Лингвистическое введение в историю, 1937, გვ. 259.

[2] იქვე.

[3] ასე რომ ყოფილიყო, მაშინ უნდა დამდგარიყო საკითხი იმის შესახებ, რომ საბოლოო ანგარიშში ერთ, ყველაზე მეტი „პრესტიჟისა" და უკეთესი „ღირებულების" მქონე ენას შთაენთქა ყველა სხვა ენები. ასეთ დიდმპყრობელურ თვალსაზრისს მეცნიერულად არაეითარი საფუძველი არ მოეპოვება, ამასთან იგი საზოგადოებრივად უაღრესად მავნეა, ვინაიდან შეიძლება გამოიყენონ იმისათვის,

ული პირობები, რომლებშიაც ამ ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებებს უხდებათ განვითარება. იქ, სადაც უთანასწორობა არსებობს ხალხებსა და ერებს შორის, სადაც ისინი ერთმანეთს ებრძვიან ბატონობისათვის, გადამწყვეტია ძალთა შეფარდება. გამარჯვებული ხალხის ან ერის ენა გამოდევნის დამარცხებულისას, თუნდაც ეს უკანასკნელი უფრო განვითარებულიც იყოს. ლათინურს სწორედ იმიტომ ჰქონდა „პრესტიჟი“, რომ იგი გამარჯვებულთა ენა იყო. სხვა პირობებში შესაძლებელი იყო იგივე ლათინური ენა გამოსულიყო ხმარებიდან, ისევე როგორც ლათინურმა გამოდევნა რიგი ენა. თუ ისტორიული პირობები ხელს არ შეუწყობდა, „პრესტიჟი“ და თვით კულტურის მაღალი დონეც კი მას ვერ დაიცავდა. მაღალი კულტურის მატარებელი არა ერთი ენა აღგვილა დედამიწის ზურგიდან და მის ადგილას კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, მაგრამ უფრო ძლიერი ხალხის ენა გაბატონებულა.

იმ მცირერიცხოვან შემთხვევებშიაც კი, როდესაც გამარჯვებულები ითვისებენ დამარცხებულს, მაგრამ კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხის ენას, მთავარ როლს საზოგადოებრივი პირობები თამაშობს. კერძოდ, ეს მაშინ ხდება, როდესაც დამპყრობლები იმდენად მცირერიცხოვანი არიან დაპყრობილებზე, რომ არ შესწევთ ძალა მოახდინონ მათი სრული ასიმილაცია ან არადა, ეჭცევიან რა ამ უკანასკნელთა კულტურული გავლენის ქვეშ, თანდათანობით ითქვიფებიან მათში.

საერთოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მთელმა რიგმა ისტორიულმა გარემოებამ შეიძლება ითამაშოს როლი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ხალხებისა და ერების ურთიერთობა წყვეტს ენათა ურთიერთობის ბედს. ენები თავისთავად კი არ უპირისპირდებიან და ებრძვიან ერთმანეთს, არამედ იმდენად, რამდენადაც ისინი ადამიანთა გარკვეულ საზოგადოებებს ემსახურებიან. ამიტომ არის, რომ ენის გამძლეობაზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული თვითშეგნება, მაგრამ არა „პრესტიჟი“ და „შეფარდებითი ღირებულება“, რომლებიც თითქოს ზოგ ენას მეტი აქვს, ზოგს კი—ნაკლები.

„პრესტიჟისა“ და „ღირებულების“, განყენებული ცნებები ჩქმალავს იმ მძაფრ ბრძოლას, რომელიც ხალხებსა და ერებს შორის წარმოებს კლასობრივ საზოგადოებაში და რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას ენათა შეჯვარედინება წარმოადგენს. ეხება რა ბრეტო-

---

რომ გამართლებულ იქნეს გარკვეულ ხალხთა და მათ ენათა მიერ სხვა ხალხთა და მათ ენათა შევიწროების რეაქციული პოლიტიკა.

ნულ და ფრანგულ ენათა ურთიერთობას, ვანდრიესი აღნიშნავს, თითქოს აქ გვქონდეს მშვიდობიანი შეღწევა ერთი ენისა მეორეში და არა დაპყრობა[1]. იქვე, ცოტა ქვემოთ, ვანდრიესი მაინც აღიარებს იმას, რომ ბრძოლას აქვს ადგილი დასახელებულ ორ ენას შორის და ამ ბრძოლას იგი ბრეტონულისათვის უიმედოდ მიიჩნევს. ვანდრიესი იმ პირობებსაც ახასიათებს, რომლებიც ფრანგული ენის მიერ ბრეტონულის გამოდევნას იწვევს. მისი სიტყვით, ფრანგული ენის ცოდნით მიღებული სარგებლობა უსასრულოდ დიდია, ვიდრე სარგებლობა, რომელსაც მხოლოდ ბრეტონული ენის ცოდნა იძლევა. ფრანგული ენა წარმოადგენს ბურჟუაზიის ენას, ქალაქის საზოგადოების ერთადერთ ენას; ამიტომ სოფლელი ქალი-შვილები ცდილობენ ილაპარაკონ ამ ენაზე, ისევე როგორც ისინი ცდილობენ ატარონ მოდური ტანსაცმელი. მაგრამ ამის გარეშეც ბრეტონულად მოლაპარაკე მცხოვრებთა ურთიერთობა ფრანგულ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან სულ უფრო და უფრო ცხოველი ხდება; მოსამსახურეები, შინა მოსამსახურენი თავიანთ უფროსებსა და ბატონებს ფრანგულად ელაპარაკებიან. ტურიზმის განვითარება ადგილობრივი მცხოვრებისათვის შემოსავლის წყაროდ აქცევს უცხოელს და ბურჟუას. აქედან—ფრანგული ენის დაუფლების აუცილებლობა და სარგებლიანობა[2].

მხოლოდ ამ დახასიათების ფარგლებშიაც აშკარად ჩანს, რომ ფრანგული ენის „პრესტიჟის“ გამო კი არ ეუფლებიან ბრეტონელები ამ ენას, არამედ ეკონომიური საჭიროების შედეგად. თვით ვანდრიესიც ასკვნის, მაშასადამე, საბოლოო ანგარიშში ბრეტონულ და ფრანგულ ენათა ბრძოლა ეკონომიურ ბრძოლამდე დაიყვანებაო[3], მაგრამ ამ ბრძოლის თავისებურ პირობებს, მისი აზრით, ამ ორი ენის შეფარდებითი სიძლიერე შეაპირობებს[4]. აქაც კელავ ენათა სიძლიერეზეა ლაპარაკი და არა ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისა.

ენათა შერევისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პრესტიჟს ანტ. მეიეც. მისი სიტყვით, ყოველთვის მეტი პრესტიჟის მქონე ენა გამოდევნის ადგილობრივ დიალექტებს[5].

---

[1] Ж. Вандриес, Язык, გვ. 261.

[2] იქვე, გვ. 261.

[3] იქვე, გვ. 262.

[4] იქვე.

[5] A. Meillet, Les langues dans l' Europe nouvelle. Paris, 1928, II გამოცემა, გვ. 118.

საერთოდ, მეიე, რომელსაც ენათა დიფერენციაციის პროცესის განხილვის დროს ბევრი საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება აქვს გამოთქმული, იძლევა ენათა უნიფიკაციის არსებითად მცდარ გაშუქებას. მეიესათვის ამოსავალია დებულება, რომ ცივილიზაცია საერთოა მთელი კაცობრიობისათვის. საერთოა მეცნიერება, ტექნიკა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტანისამოსის მოდა და სხვ... ავტორი მუშათა ლოზუნგსაც კი იხსენიებს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"-ო. ამ საყოველთაო ერთიანობის დროს, მისი აზრით, ძალაში რჩება მხოლოდ ენათა განსხვავება. ამიტომ აქაც შეინიშნება უნიფიკაციის ტენდენცია. ამ ტენდენციის გამოვლინებას მეიე იმაში ხედავს, რომ გარკვეული ენები, რომლებიც ცივილიზაციის დიდ ენებს წარმოადგენენ, მთელ მსოფლიოში ვრცელდებიან და სხვადასხვა ხალხების მეორე ენად იქცევიან. ასეთებად მიაჩნია მას ფრანგული, ინგლისური, გერმანული[1].

მეიე არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ ცეცხლითა და მახვილით, დაპყრობილ ხალხთა ჩაგვრისა და მათი ენების ძალად ასიმილაციის გზით ვრცელდებოდა დასახელებული ენები.

ზემომოყვანილმა დებულებამ განსაზღვრა ანტ. მეიეს უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკის მიმართ. მეიეს აკვირვებს ის, რომ საბჭოთა კავშირში ყოველ ლინგვისტურად მცირე ერთეულსაც კი ენიჭება უფლება ჰქონდეს თავის ენაზე სკოლა და განათლება[2], რომ უკრაინაში უნივერსიტეტებია, კიევში აკადემიაც კი არსებობს, რომ უნივერსიტეტები გახსნეს საქართველოში—თბილისში და სომხეთში—ერევანში[3], რომ ბელორუსულად ტექნიკური ლინგვისტური ლიტერატურა გამოდის[4].

მეიე მხოლოდ იმას ამჩნევს, რომ არსებობს განსხვავება საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაში. მისი აზრით, დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში უნიფიკაციის ტენდენცია ბატონობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცივილიზაციის ენები საყოველთაო ხმარების ენებად იქცევა, საბჭოთა კავშირში კი თითქოს ადგილი აქვს ლინგვისტური დანაწილების ტენდენციას, რაც ენათა გამრავლებას იწვევს. აქ უკვე ვლინდება ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. არ არის საჭირო გამრავ-

---

[1] A. Meillet, დასახ. შრ. თ. XXX L' isolement linguistique და თ. XXXI De l'emploi des grandes langues de civilisation comme langues secondes.

[2] იქვე, გვ. 231.

[3] იქვე, გვ. 236.

[4] იქვე, გვ. 234.

ლებულ იქნეს ცივილიზაციის ენათა რაოდენობაო, აცხადებს მეიე[1]-ამგვარად, არა ენობრივი (და ეროვნული, რადგანაც პირველი მეორის შედეგია) თავისუფლება, არამედ რამდენიმე ენის გაბატონება სხვა ენათა ხარჯზე, ასეთია მეიეს თვალსაზრისი.

იგი ვერ ხედავს, რომ საბჭოთა კავშირში ენათა დანაწილებასა და გამრავლებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ უკვე არსებულ ენათა შენარჩუნებასა და განვითარებასთან. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დაიცვა უკრაინული, ბელორუსული, ქართული, სომხური და მრავალი სხვა ენა ასიმილაციისაგან, რასაც მათ ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკა უქადდა. ეს პროგრესული მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში მეიეს უარყოფით მოვლენად მიაჩნია. სრულიად უადგილოა მისი შიში, თითქოს უკრაინულის (რომელიც მას სავსებით უსაფუძვლოდ პროვინციულ და სპეციალურ ენად მიაჩნია) ქცევა ცივილიზაციის ენად გამოიწვევს მთელი დანარჩენი მსოფლიოსაგან მის იზოლაციას[2].

არსებითად მცდარად ესმის მეიეს აგრეთვე რუსული ენის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ეროვნულ ენათა განვითარების საქმეში. იგი ვერ ამჩნევს, რომ ჩვენს ქვეყანაში რუსული ენა სულ სხვა პირობებში ვრცელდება, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის ენა, რომ ჩვენში გამორიცხულია იძულებისა და ძალდატანების მომენტი. სოციალისტურ სახელმწიფოში რუსული ენის მიმართება სხვა ეროვნულ ენებთან მშვენივრად დაახასიათა ვლ. ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე. აკრიტიკებდა რა ლიბერალთა ენობრივ პოლიტიკას, ლენინი წერდა:

„რუსული ენა დიადი და მძლავრიაო, გვეუბნებიან ლიბერალები. ნუთუ თქვენ არა გსურთ, რომ ყოველმა ადამიანმა, რუსეთის რომელ განაპირა კუთხეშიც ცხოვრობდეს იგი, იცოდეს ეს მძლავრი ენა? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ რუსული ენა გაამდიდრებს უცხოტომელთა ლიტერატურას. საშუალებას მისცემს მათ—ეზიაროონ დიად კულტურულ ღირებულებებსო და სხვ.?

ყველაფერი ეს მართალია, ბატონო ლიბერალებო,—ვუპასუხებთ ჩვენ მათ. ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, რომ ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადია და მძლავრი. ჩვენ თქვენზე მეტად გვსურს, რომ რუსეთში მოსახლე უკლებლივ ყველა ერის ჩაგრულ კლასთა შორის დამყარდეს რაც შეიძლება მჭიდრო

---

1 ანტ. მ ე ი ე, დასახ. შრ., გვ. 233.

2 იქვე, გვ. 234.

ურთიერთობა და ძმური ერთიანობა. და ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის შომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს შეისწავლოს დიადი რუსული ენა.

ჩვენ არა გვსურს მხოლოდ ერთი რამ: **იძულების** ელემენტი. ჩვენ არა გვსურს კეტით ვერეკებოდეთ ვინმეს სამოთხეში. ვინაიდან რაგინდ ლამაზ-ლამაზი ფრაზებიც უნდა თქვათ თქვენ „კულტურის“ შესახებ, **სავალდებულო** სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან, ძალით ჩანერგვასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიად და მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას **ჯოხის შიშით** სწავლობდეს ვინმე... ისინი, ვისაც თავისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენის ცოდნა სჭირდება, მას უჯოხოდაც შეისწავლიან. ხოლო ძალდატანება (ჯოხი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს: იგი დააბრკოლებს დიადი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია,—გაამწვავებს მტრობას, შექმნის ათასგვარ ახალ უთანხმოებას, გააძლიერებს შუღლს, ურთიერთგაუგებრობას და სხვ.

ვისთვისაა ეს საჭირო? რუს ხალხს, რუს დემოკრატიას ეს არ ესაჭიროება. იგი არ ცნობს **არავითარ** ეროვნულ ჩაგვრას, თუნდაც „რუსული კულტურის სახელმწიფოებრიობის ინტერესებისათვის“[1].

§8. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ იმ პროცესთა შორის, რომლებიც ენათა ინტეგრაციის ანუ უნიფიკაციის სახელქვეშ არიან ვაერთიანებული, ენათა ნათესაობის თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებო შეჯვარედინების ანუ შერევის პროცესია. ამიტომ უნდა განვიხილოთ საკითხი, რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს ენათა დიფერენციაციისათვის შეჯვარედინებას?

ნ. მარი და მისი მიმდევრები, რომლებიც უგულებელყოფდნენ დიფერენციაციის პროცესის არსებობას ენათა განვითარებაში, აცხადებდნენ, რომ მონათესავე ენები სხვადასხვა ენათა დაახლოების, შეჯვარედინების შედეგად წარმოიშვნენ. ამ შეხედულებას საფუძვლად ედო ენათა შეჯვარედინების პროცესის მცდარი გაგება. მარისტები ფიქრობდნენ, რომ შეჯვარედინება აფეთქების გზით ხორციელდება და მის დროს ორი ენისაგან ახალი, მესამე ენა წარმოიშვება.

---

[1] ვ. ლენინი, საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა? თხზულებანი, 1951, გამოცემა მეოთხე, ტ. XX, გვ. 72—73. (ხაზი ყველგან ავტორისაა. — თ. შ.).

შეჯვარედინების შედეგად მონათესავე ენათა წარმოშობის ნიადაგზე „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევრები ხშირად ასახელებდნენ რომანულ ენებს. ასე, მაგალითად, ი. მეშჩანინოვი წერდა:

„ნ. ი. მარის მიერ გამოთქმული ამ დებულებიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: თუ რომანული ენები, მათ შორის ფრანგული და ესპანური, წარმოიშვნენ რიგი სხვა ენების შერევის შედეგად და მოგვცეს მრავალი მომენტი შეხვედრებისა, მაშინ ამ დაახლოებულ ენებში, რომლებსაც რომანულს უწოდებდნენ, მონაწილეობდნენ მსგავსი კომპონენტები ისევე, როგორც ისინი მონაწილეობდნენ შესაბამისი ხალხების, მოგვიანებით ერების წარმოქმნაში“[1].

აქ იგულისხმება შემდეგი ფაქტი: როგორც ცნობილია, ლათინური ენა (ხალხური ლათინური) რომის იმპერიის ბატონობის ხანაში გავრცელდა ამ იმპერიის პროვინციებში. ლათინურმა პროვინციებში გამოდევნა ადგილობრივი ენები (გალიური, იბერიული). შეჯვარედინდნენ რა ლათინურს, ეს ენები გაქრნენ. შემდეგ იმავე პროვინციებში ახალი ენები წარმოიშვა: ფრანგული და ესპანური. ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, თითქოს შეჯვარედინებამ წარმოშვა ახალი ენები, მონათესავე ენები, ე. წ. რომანული ენები (ფრანგული და ესპანური).

ასეთი დასკვნა არ შეეფერება რეალურ ვითარებას. რომანულ ენათა ისტორიაში ადგილი ჰქონდა როგორც ინტეგრაციის, ისე დიფერენციაციის პროცესთა მოქმედებას და მათი გამოწვლილვით განხილვის გარეშე ვერ მივიღებთ სწორ დასკვნას დასახელებულ ენათა განვითარების გზების შესახებ.

ხალხურ ლათინურს შეერია გალიური, იბერიული ენები, მაგრამ ამ შერევას ახალი ენები სრულიადაც არ წარმოუშვია. შეჯვარედინებას რომ შეძლებოდა ახალი ენის წარმოშობა, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო ორენოვნობის პერიოდში, როდესაც ლათინური და გალიური ან ლათინური და იბერიული ერთდროულად იხმარებოდა და, მაშასადამე, ამ ენებს შორის უშუალო კონტაქტი არსებობდა. ცნობილია, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. მას შემდეგ, რაც გალიური და იბერიული მოისპო, საუკუნეთა განმავლობაში გალიაში და იბერიაში მხოლოდ ლათინური იხმარებოდა. და თუმცა საფიქ-

---

[1] ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი, აკად. ნ. ი. მარის მემკვიდრეობის შემოქმედებითი განვითარებისათვის, „პრავდა“, 1950, 15. V.

რებელია, რომ ეს ლათინური არ იყო სავსებით ერთნაირი ამ ორ პროვინციაში, ისევე როგორც იგი, ალბათ, არ ემთხვეოდა იტალიაში ხმარებულ ლათინურს (ვინაიდან გალიაში ლათინურს შეთვისებული ჰქონდა ზოგი მოვლენა გალიურისაგან, იბერიაში კი იბერიულისაგან), მაგრამ ეს სხვაობა არ სცილდებოდა ტერიტორიული დიალექტების ფარგლებს, მაშასადამე, იგი ვერ დაარღვევდა ენის ერთიანობას. სხვანაირად შეუძლებელიც იყო მომხდარიყო. ლათინური გავრცელდა რომის იმპერიის პროვინციებში, როგორც ასიმილატორთა ენა. გამარჯვებულებმა თავს მოახვიეს თავიანთი ენა დამარცხებულებს, აიძულეს ისინი გამოეყენებინათ ურთიერთობისათვის ლათინური. რომაელები ცდილობდნენ ერთი ენა (ლათინური) ყოფილიყო გაბატონებული მთელს იმპერიაში, ამიტომ ავიწროებდნენ ისინი გალიურსა და იბერიულ ენებს. გალიასა და იბერიაში რომ შეჯვარედინების შედეგად ახალი ენები წარმოქმნილიყო, მაშინ ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩებოდა. არავითარი აზრი არ ექნებოდა ლათინურის შეტანას ამ პროვინციებში, თუ იგი თითოეულ მათგანში სხვადასხვა ენად გადაიქცეოდა, ხოლო იმპერიის ცენტრში (იტალიაში) ისევ ლათინურად დარჩებოდა.

ვთქვათ, ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ლათინური ენის ადგილას რამდენიმე რომანული ენა წარმოიშვა? საქმე ის არის, რომ რომანული ენები ჩამოყალიბდნენ არა ინტეგრაციის, არამედ დიფერენციაციის პროცესის შედეგად. ეს დიფერენციაცია მას შემდეგ განხორციელდა, რაც ლათინურის შეჯვარედინება ადგილობრივ ენებთან უკვე დამთავრებული იყო. ლათინურმა დიფერენციაცია განიცადა იმიტომ, რომ რომის იმპერია დაიშალა, მასში შემავალი პროვინციები დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ, მათ შორის ერთიანობა გაწყდა. ამგვარად, შეიქმნა ის აუცილებელი პირობა, რომელიც ენათა დიფერენციაციას იწვევს: მანამდის ერთიანი საზოგადოება დაიშალა და გამოყოფილ ნაწილებს შორის ენობრივი ურთიერთობა მოისპო. ამის შედეგად ლათინური ენა სხვადასხვა პირობების შესაბამისად სხვადასხვა გზით განვითარდა სხვადასხვა, ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში და დროთა განმავლობაში ერთიანი ლათინურის ადგილას რამდენიმე თვისობრივად განსხვავებული ენა მივიღეთ. რომ რომის იმპერია სახელმწიფოებრივად არ დაშლილიყო, რა თქმა უნდა, ლათინურისაგან რომანული ენები არ წარმოიშვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამას წინ უსწრებდა ლათინურის შეჯვარედინება ადგილობრივ ენებ-

თან. გალიაში, ესპანეთში გეექნებოდა ლათინური ენის ადგილობრივი დიალექტები მხოლოდ. რომ დიფერენციაცია შეჯვარედინებისაგან დამოუკიდებლად განხორციელდა, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იტალიაშიც, სადაც ამ ეპოქაში რომელიმე სხვა ენასთან შეჯვარედინება არ ივარაუდება, ლათინურის თანდათანობითმა განვითარებამ ისევე მოგვცა თვისობრივად ახალი ენა—იტალიური, როგორც საფრანგეთში იმავე ლათინურის სხვაგვარ პირობებში განვითარებამ ფრანგული ენა წარმოშვა, ესპანეთში კიდევ—ესპანური.

რომ დიფერენციაცია არ შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოებრივი დაშლის, საზოგადოების ნაწილთა ერთმანეთისაგან მოწყვეტის გარეშე, ამის ნიმუშად შეიძლებოდა დაგვესახელებინა ქართული ენის დასავლური კილოები,—ქვემო იმერული და გურული, რომლებიც სპეციალისტთა აზრით[1], ზანურად მოლაპარაკე მცხოვრებთა მიერ ქართული ენის შეთვისების შედეგად წარმოიშვნენ. მაშ, აქაც შეჯვარედინება მომხდარა, მაგრამ ამ შემთხვევაში დიალექტურ სხვაობებს იქით საქმე არ წავიდა. ეს იმიტომ, რომ არ შეიქმნა ხელსაყრელი პირობა დიფერენციაციისათვის. ქვემო იმერეთი, გურია არ გამოყოფია საქართველოს, მსგავსად ესპანეთისა და საფრანგეთისა, ამიტომ გურული და ქვემო იმერული დიალექტებიც არ ქცეულან დამოუკიდებელ ენებად. ამგვარად, განსხვავება რომის იმპერიასა და ჩვენს მაგალითს შორის ის არის, რომ პირველ შემთხვევაში შეჯვარედინების შემდეგ დიფერენციაცია განხორციელდა, მეორეში კი მხოლოდ შეჯვარედინება მოხდა. თუმცა ორივე შემთხვევაში შეჯვარედინებამ დიალექტური სხვაობები წარმოშვა, ეს დიალექტები დამოუკიდებელ ენებად მხოლოდ იქ გადაიზარდა, სადაც დიფერენციაციას მიეცა გასაქანი (რომის იმპერიაში), თვით შეჯვარედინებას კი ახალ ენათა წარმოშობა არ მოჰყოლია. აქედან ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ შეჯვარედინებით ვერ ავხსნით ენათა ნათესაობას. ენათა მატერიალური ნათესაობა საპირისპირო პროცესის—დიფერენციაციის შედეგია.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან მნიშვნელოვანი შედეგები გამომდინარეობს. დიფერენციაციის პროცესს რომ ვახასიათებდით, ჩვენ განვიხილეთ ისეთი შემთხვევა, როდესაც საზოგადოების (და ამის შედეგად ენის) დაშლა მის წევრთა რაოდენობრივი ზრდის შე-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 57; არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 8.

დეგად ხდებოდა. ახლა ვრწმუნდებით, რომ შეიძლება უფრო რთული შემთხვევა შეგვხვდეს, როდესაც დიფერენციაციას წინ უსწრებს შეჯვარედინება. ეს მაშინ ხდება, როდესაც ენა ახალ ტერიტორიაზე, ახალ მოსახლეობაში ვრცელდება.

თუ ენათა განვითარების საზოგადოებრივ პირობებს გავითვალისწინებთ, აშკარა გახდება, რომ პირდაპირ გახლეჩის გზით დიფერენციაცია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო პირველყოფილ-გვაროვნული წყობილებისათვის, როდესაც სისტემატურად ხდებოდა გაზრდილ ტომთა გაყოფა. ხოლო ისეთი დიფერენციაცია, რომელსაც შეჯვარედინება უსწრებს, ძირითადად კლასობრივ საზოგადოებაში უნდა ხდებოდეს. რადგანაც სწორედ აქა აქვს ადგილი ხალხთა და ერთა უთანასწორობას და მათ ბრძოლას ერთმანეთზე ბატონობისათვის (რა თქმა უნდა, კლასობრივ საზოგადოებაშიაც არ არის გამორიცხული, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „წმინდა დიფერენციაციის“ შემთხვევები, როდესაც მას არავითარი შერევა არ უსწრებს).

ენათმეცნიერებაში შეინიშნება ტენდენცია გადაჭარბებით იქნეს შეფასებული დიფერენციაციის მეორე შემთხვევა (ჯერ შერევა, შემდეგ დიფერენციაცია). როდესაც ინდოევროპულ ენებზე მსჯელობენ, სპეციალისტები (ა. მეიე, ბ. სერებრენიკოვი[1]) ამ ენათა ფართოდ გავრცელების ძირითად და თითქმის ერთადერთ მიზეზად მიიჩნევენ მათ შეტანას ახალ მოსახლეობაში. სათანადო ანგარიში არ ეწევა იმას, რომ განვითარების ადრინდელ ეპოქებში, განსაკუთრებით კლასობრივი საზოგადოების წარმოშობამდე, არანაკლები (და ალბათ უფრო მეტიც) მნიშვნელობა ექნებოდა თავიდანვე ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის შინაგან ზრდასა და დაყოფას.

მონათესავე ენათა ისტორიული შესწავლის დროს საჭიროა გარკვეს, რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მარტივ გახლეჩასთან თუ შერევის შემდეგ მომხდარ დიფერენციაციასთან. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ შერევის კონკრეტული შედეგები. ეს კი მთელ რიგ სიძნელეებს უქმნის ისტორიულ-შედარებით კვლევას, რაზედაც მომდევნო თავებში გვექნება საუბარი.

---

[1] იხ. მაგ., A. Meillet, Les langues dans l'Europe nouvelle, X. Le renouvellement des langues; XIII Differentiation des langues communes. Б. А. Серебренников, Сравнительно-исторический метод и критика так называемого четырехэлементного анализа Н. Я. Марра. Вопросы языкознания в свете трудов И. В. Сталина, 1952, გვ. 257, 263 და სხვ.

§6. როგორც ვნახეთ, დიფერენციაცია და ინტეგრაცია ერთმანეთის საპირისპირო პროცესებია. ენათა განვითარებაში ერთიც შეინიშნება და მეორეც. ამასთან, ენაში მომხდარი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები საზოგადოებაში მომხდარი ანალოგიური პროცესების შედეგს წარმოადგენს[1].

ისმის კითხვა: ხომ არ შეინიშნება რაიმე კანონზომიერება სხვადასხვა ეპოქაში ამ პროცესთა გავრცელებულობის თვალსაზრისით. ხომ არ შეიძლება საზოგადოებრივი პირობების ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ თითოეული მათგანის ხვედრითი წონა სხვადასხვა დროს? ჩვენი აზრით, ასეთი რამ შესაძლებელია. დავიწყოთ დიფერენციაციის პროცესით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, იმისათვის რომ ენის დიფერენციაცია განხორციელდეს, აუცილებელია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება დაიშალოს და შეწყდეს ურთიერთობა გამოყოფილ ნაწილებს შორის. პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების დროს ასეთი დაყოფა ნორმალურ მოვლენას წარმოადგენდა. გვაროვნული საზოგადოების შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარეობდა ის, რომ გაზრდის შედეგად ტომი იყოფოდა და ახლად წარმოქმნილი ტომები, შორდებოდნენ რა ერთმანეთს ვრცელი ტერიტორიით, წყვეტდნენ ერთმანეთთან კავშირს. ცხადია, ასეთ პირობებში მონათესავე ტომების დიალექტები დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ ენებად გადაიქცეოდნენ. მაშასადამე, პირველყოფილ-გვაროვნულ საზოგადოებაში დიფერენციაციის გზით მონათესავე ენათა წარმოქმნა ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო, ამ საზოგადოების განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებული. ალბათ, ამიტომ არის, რომ ენათმეცნიერთა განკარგულებაში არსებულ მონათესავე ენათა დიდი უმრავლესობა სწორედ ამ ეპოქაში ჩანს ჩამოყალიბებული.

გვაროვნული წყობილების უკანასკნელ საფეხურზე ხდებოდა მონათესავე ტომთა გაერთიანება ჯერ დროებით გარეშე მტრის წინააღმდეგ, შემდეგ კი სულ უფრო და უფრო ხანგრძლივად. ტომთა

---

[1] ამიტომ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ბ. სერებრენიკოვის სიტყვები: **„Языки могут дробиться независимо от состояния их носителей** (ხაზი ჩვენია.—თ. ზ.). **Один язык мог быть навязан нескольким родовым ячейкам. Несколько племен могли приобретать один язык, который в свою очередь мог где-то дробиться, давая начало нескольким родственным языкам и т. п.** (Б. А. **Серебренников**, **Сравнительно-исторический метод и критика т. н. четырехэлементного анализа** გვ. 257). ამ განმარტების მიხედვით ძნელია ენათა დიფერენციაციის პროცესის კონკრეტულად წარმოდგენა.

გაერთიანება გვაროვნული წყობილების რღვევის მაუწყებელი იყო. ტომთა გაერთიანება ამზადებდა ნიადაგს კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობისათვის. მონათესავე ტომთა კავშირები უეჭველად დამაბრკოლებელი იქნებოდა ენათა დიფერენციაციისათვის. აქამდის ეს პროცესი ხორციელდებოდა იმის გამო, რომ ერთი ენის დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებს ურთიერთობა არ ჰქონდათ ერთმანეთთან, ხოლო როდესაც ტომების გაერთიანების შედეგად ასეთი ურთიერთობა დამყარდებოდა და განმტკიცდებოდა, ბუნებრივია, რომ დიალექტები თანდათანობითი დაშორების გზით დამოუკიდებელ ენებად კი არ გადაიქცეოდნენ, არამედ, პირუკუ, უფრო და უფრო მეტად დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ კლასების ჩამოყალიბებისას სახელმწიფოს ძირითად ბირთვს მონათესავე ტომები ქმნიან, ე. ი. ერთი ენის დიალექტებზე მოლაპარაკე ტომები. საზოგადოების დანაწილების ძველი—სისხლით ნათესაობის—პრინციპი იშლება და მის ადგილს ტერიტორიული პრინციპი იჭერს[1].

ერთ სახელმწიფოში შემავალ ადამიანებს ცხოველი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოში ძლიერ იზრდება მოსახლეობის სიმჭიდროვე, აქ უკვე აღარა გვაქვს ის უზარმაზარი დაუსახლებელი ტერიტორიები და გაუვალი ტყეები, რომლებიც ყოფდნენ ტომებს ერთმანეთისაგან. ერთიანი საერთო ენის მოთხოვნილება აუცილებელია სახელმწიფოს შიგნით. ამის გამო სახელმწიფოს ფარგლებში არსებულ დიალექტებს, ჩვეულებრივ, არ ექმნებათ პირობები დიფერენციაციისათვის.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ენათა დიფერენციაცია არ ხდება?—არა, არ ნიშნავს. დიფერენციაცია გამორიცხულია სახელმწიფოს ფარგლებში, მაგრამ თუ რაიმე მიზეზის გამო სახელმწიფო დაიშალა, თუ მისმა პროვინციებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწყეს განვითარება, მაშინ შეიქმნება ხელსაყრელი პირობა იმისათვის, რომ ამ პროვინციების დიალექტები დიფერენციაციის გზით აგრეთვე დამოუკიდებელ ენებად გადაიქცნენ.

სახელმწიფოებრივი დაშლის ფორმები სხვადასხვა კონკრეტულ პირობებში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, სახელმწიფოს გარკვეული კუთხე სხვა სახელმწი-

---

[1] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 384.

ჟომ მიიტაცოს (როგორც, მაგალითად, თურქეთმა მიიტაცა რამდენიმე საუკუნის წინ ჭანეთის უდიდესი ნაწილი), მეორე შემთხვევაში ახლად შემოსრილმა ხალხმა შეიძლება გათიშოს ერთ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება. დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა გადასახლებებს (მოსახლეობის ერთი ნაწილი აიყრება და სხვაგან გადადის საცხოვრებლად). ისიც ხდება, რომ ერთიანი სახელმწიფოს ადგილას რამდენიმე დამოუკიდებელი ერთეული ყალიბდება. ასე მოუვიდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, რომის იმპერიას, რის შედეგადაც წარმოიშვა რომანული ენები.

აშკარაა, რომ კლასობრივ საზოგადოებაში დიფერენციაციის ხვედრითი წონა შეუდარებლივ უფრო მცირეა, ვიდრე გვაროვნულში. ამ უკანასკნელში ენათა დიფერენციაცია ბუნებრივად გამომდინარეობდა საზოგადოების განვითარების შინაგანი კანონზომიერებისაგან, კლასობრივ საზოგადოებაში კი ასე არ არის. დიფერენციაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ სახელმწიფო დაიშალა, ე. ი. ეს პროცესი საზოგადოების განვითარებას კი არ უკავშირდება, არამედ განვითარებისათვის საჭირო პირობების უქონლობის შემთხვევაში (რაც სახელმწიფოს დაშლას იწვევს) შეიძლება განხორციელდეს. ამასთანავე, საფიქრებელია, რომ სახელმწიფოებრივი დაშლის შედეგად ყოველთვის არც კი მოხდეს დიფერენციაცია, ვინაიდან დაშლის შედეგად გამოყოფილ ერთეულებს კლასობრივ საზოგადოებაში ხშირად იმორჩილებენ სხვა ხალხები, ხოლო ასეთ შემთხვევაში ასიმილაციის პოლიტიკის შედეგად ადგილი აქვს ენათა შეჯვარედინებას, ე. ი. დამარცხებული ხალხის ენის სრულად გამოდევნას გამარჯვებული ენის მიერ.

თვით კლასობრივ საზოგადოებაშიაც სხვადასხვა წყობილების დროს სხვადასხვაგვარი პირობებია ენათა განვითარებისათვის. ასე, მაგალითად: თუმცა ფეოდალური სახელმწიფო ბევრად უფრო ამჭიდროვებს ადამიანებს, შეუდარებლად ზრდის მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობებს, ვიდრე ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო, მაგრამ იგი საგრძნობლად ჩამორჩება ამ მხრივ კაპიტალისტურ წყობილებას. ფეოდალური მეურნეობა კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობაა. ცალკეულ სამთავროებს შორის კავშირი სუსტია. ხოლო რამდენადაც სუსტია ენობრივი კოლექტივის გამაერთიანებელი სოციალური ფაქტორები, მით უფრო სუსტია უნიფიკაციის ტენდენცია ენაში და მით უფრო ძლიერია დიფერენციაციის ტენდენცია. უნიფიკაცია ურთიერთობის

პროცესში ხდება, სოლო თუ ერთ ენობრივ კოლექტივში შემავალი ადამიანები იმდენად არიან მოწყვეტილი ერთმანეთს, რომ მეტ-ნაკლებად იშვიათად უხდებათ ერთმანეთთან ურთიერთობა, როგორ უნდა მოხდეს მათი მეტყველების ნიველირება? მაგალითად, წარმოვიდგინოთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ურთიერთობა ფეოდალიზმის დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს შორის?—რა თქმა უნდა, არაინტენსიური; და ამიტომ სუსტი იქნებოდა ის ტენდენციაც, რომელიც ამ კუთხეების მეტყველების დიფერენციაციას ეწინააღმდეგებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი დაშლის ძლიერი ტენდენცია, რის გამოც ყოველი სამთავრო მიისწრაფვის სავსებით გამოეყოს დანარჩენებს და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცეს.

კაპიტალისტური წყობილება ბოლოს უღებს ფეოდალურ კარჩაკეტილობას. იზრდება პოლიტიკურ-ეკონომიურ-კულტურული კავშირი არა მხოლოდ ერთ სახელმწიფოში შემავალ ერთეულებს შორის, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორისაც. ამავე დროს, აქამდე არნახულ დონეს აღწევს ტექნიკის განვითარება. ამის შედეგად სივრცე და გეოგრაფიული დაბრკოლებები (მთა, ზღვა) აღარ ქმნიან გარდაუვალ ზღუდეებს ურთიერთობისათვის. ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებს ენათა უნიფიკაციას და აბრკოლებს მათ დიფერენციაციას. მართლაც, კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელშიაც ერები ყალიბდება, ახალ მონათესავე ენათა გამოყოფის ფაქტები შენიშნული არ არის. ამის მიზეზი უნდა იყოს პირველ რიგში ის ძლიერი ეკონომიური და პოლიტიკური კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, რაც კაპიტალიზმისათვის არის დამახასიათებელი. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ეროვნულ თვითშეგნებასაც, რომელიც ენის ერთიანობასაც ემყარება. დიფერენციაციის ხელისშემშლელი ძლიერი ფაქტორია აგრეთვე ნაციონალური ენების არსებობა, რამდენადაც ეს უკანასკნელები, წარმოადგენენ რა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს და ემყარებიან რა დამწერლობის ტრადიციას, მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან და ბევრად ნელა იცვლებიან, ვიდრე წინანდელ ფორმაციათა ენები. ამასთანავე ნაციონალური ენები სულ უფრო და უფრო მეტად იმორჩილებენ დიალექტებს და შლიან მათ შორის ზღვარს. რა თქმა უნდა, თუ კაპიტალიზმის ჩამოყალიბებამდე ენის დიფერენციაცია უკვე დაწყებული იყო, ე. ი. ერთ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების ნაწილები მოწყვეტილი იყო

ერთმანეთს, მაშინ ეს პროცესი კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაგრძელდება, მაგრამ ზემოდასახელებულ მიზეზთა გამო ბევრად უფრო ნელა წარიმართება, ვიდრე წინა ფორმაციებში[1]. გამორიცხული არ არის დიფერენციაციის შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხები კაპიტალისტური საზოგადოების შექმნის პროცესში ერთ ერად კი არ ერთიანდებიან, არამედ სხვადასხვა ერს ქმნიან.

დიფერენციაციის გზით ერთი ენის დაშლა რამდენიმე მონათესავე ენად არ ხდება სოციალისტურ წყობილებაში, ვინაიდან აქ ადგილი არა აქვს არც საზოგადოების ბუნებრივ გათიშვას, რაც პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების დროს ხდებოდა, არც, მით უმეტეს, განვითარების ეკონომიური პირობების უქონლობის გამო სახელმწიფოებრივ დაშლას, რაც კლასობრივ საზოგადოებას ახასიათებს.

ამგვარად, დიფერენციაციის გზით ერთი ენისაგან რამდენიმე მონათესავე ენის წარმოშობისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები ყოფილა პირველყოფილ გვაროვნულ საზოგადოებაში, მომდევნო ეპოქებში კი ისეთი საზოგადოებრივი პირობები იქმნება, რომლებიც სულ უფრო და უფრო ნაკლებ უწყობს ხელს ამ პროცესის განხორციელებას. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ ჩვენთვის ცნობილ მონათესავე ენათა დიდი უმრავლესობა წინარე ისტორიულ ხანაშია წარმოშობილი.

ისმის კითხვა: იყო თუ არა პირველყოფილ გვაროვნულ საზოგადოებაში ხელსაყრელი პირობები ენათა შეჯვარედინებისათვის?

ენათა ინტეგრაცია შეიძლება განხორციელდეს ამ ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებათა მეტისმეტად მჭიდრო კონტაქტის შედეგად, რაც ორენოვნობას წარმოქმნის. გვაროვნულ საზოგადოებაში კი არათუ სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე, არამედ ერთი ენის დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებიც კი მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ პირობებში მინიმალური შესაძლებლობა იქნებოდა ენათა შერევისათვის. მაინც, არ არის გამართლებული ამ ეპოქაში ენათა ინტეგრაციის პრინციპულად გამორიცხვა.

---

[1] ალბათ, ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგლისური ენა ერთმანეთს მოწყვეტილ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე საუკუნის შემდეგაც კი უმნიშვნელო სხვაობებს გვიჩვენებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ერთი გარემოება: გვაროვნულ საზოგადოებაში ხდებოდა გვარის მიერ უცხო ტომელთა შვილად აყვანა[1].

ამასთან დაკავშირებით სპეციალურ შესწავლას მოითხოვს საკითხი, შეიძლებოდა თუ არა ენათა ინტეგრაცია მომხდარიყო იმ შემთხვევაში, როდესაც გვარი (და ტომი) შეივსებოდა უცხოტომელებით. საფიქრებელია, როდესაც სხვა ენაზე მოლაპარაკე თითო-ოროლა პირს იშვილებდნენ, ამ უკანასკნელთა მეტყველებას არ ექნებოდა სერიოზული გავლენა მთელი ტომის ენის განვითარებაზე, მაგრამ, როდესაც უცხოტომელთა მიღება მასობრივად ხდებოდა (თუ ეს მიღებულები მთლიანად ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ), მაშინ არ არის გამორიცხული შერევის შესაძლებლობა.

ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ეპოქაში ასიმილაციის პოლიტიკა სრულიად უკუგდებულია, მაშასადამე, გამორიცხულია ენათა შეჯვარედინებაც. ენები, რომლებიც კაპიტალიზმის დროს ასიმილაციის პოლიტიკის წყალობით გადაშენების გზაზე იდგნენ, კვლავ გამოცოცხლდებიან და მათ განვითარების სრული შესაძლებლობა ეძლევათ. ამ ეპოქის შესახებ ი. სტალინი წერდა: „ეროვნული ენები არათუ არ ქრებიან და არ ერთიანდებიან ერთ საერთო ენად, არამედ პირიქით, ეროვნული კულტურები და ეროვნული ენები ვითარდებიან და იფურჩქნებიან. განა ცხადი არ არის, რომ თეორია ეროვნული ენების კვდომისა და მათი ერთ საერთო ენად შეერთებისა ე რ თ ი სახელმწიფოს ფარგლებში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, ე რ თ ქვეყანაში სოციალიზმის არსებობის პერიოდში, არის მცდარი, ანტიმარქსისტული, ანტილენინური თეორია“[2].

ვასკვნით: ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესების განხორციელება დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებსაც საზოგადოება უქმნის ენათა განვითარებას. თუ საამისო პირობები შეიქმნება, ყოველ ეპოქაში, ყოველი ენის მიმართ შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთი, ისე მეორე პროცესი. ამასთან სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თითოეულ მათგანში, ამ წყობილებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა შესაბამისად, განსხვავებულია ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესთა გავრცელებულობა. ზოგადი კანონ-

---


[1] ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. გვ. 287.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 13, 1952, გვ. 7.

ზომიერება ასეთი ჩანს: პირველყოფილ-გვაროვნულ საზოგადოებაში გაბატონებული იყო ენათა დიფერენციაციის პროცესი, რომელმაც დასაბამი მისცა თანამედროვე მონათესავე ენათა ოჯახებს. საგანგებო შესწავლას მოითხოვს საკითხი, რამდენად იყო ამ საზოგადოებაში გავრცელებული ინტეგრაციის პროცესი და რა თავისებურებები ახასიათებდა მას. კლასობრივ საზოგადოებაში ენათა დიფერენციაცია ძლიერ არის შენელებული. სულ უფრო და უფრო ძლიერდება ინტეგრაცია ენათა შეჯვარედინების გზით. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია კაპიტალიზმის დროს.

სოციალისტურ საზოგადოებაში ახალ მონათესავე ენათა გამოყოფა არ ხდება. ასიმილაციის პოლიტიკის უკუგდების შედეგად გამორიცხულია შეჯვარედინების გზით ენათა ინტეგრაცია. აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ენათა თანამშრომლობასა და ურთიერთგამდიდრებას.

§10. ენათა დიფერენციაციის პროცესთან დაკავშირებით დგება საკითხი მონათესავე ენათა ურთიერთმიმართების შესახებ. ყოველ ოჯახში ენათა საკმაოდ დიდი რაოდენობა შედის. გასარკვევია, რა დამოკიდებულებაში არიან ეს ენები ერთმანეთთან, ყველა ერთბაშად გამოეყო ფუძე-ენას თუ არა?



Indogerm. Ursprache


სქემა 1[1]

თუ გავითვალისწინებთ მრავალრიცხოვანი წევრებისაგან შემდგარ ენათა ოჯახებში დიფერენციაციის პროცესის სირთულეს, აშკარა გახდება, რომ მონათესავე ენათა ურთიერთმიმართება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ზოგი მათგანი უფრო ახლოს დგას ერთ-

[1] იხ. Schleicher, Die deutsche Sprache, გვ. 82.

მანეთთან (რადგანაც გვიან არიან გამოყოფილი ერთმანეთს), სხვები კი მეტ-ნაკლებ სიშორეს გვიჩვენებენ. ეს საკითხი ადრიდანვე იქცევდა სპეციალისტთა ყურადღებას. ასე, მაგალითად. ინდოევროპული ენების განვითარების თეორიები შექმნეს ავგ. შლაიხერმა და იოჰან შმიდტმა.

შლაიხერმა შეადგინა ინდოევროპულ ენათა გენეალოგიური ხის სქემა (ე. წ. Stammbaumtheorie—იხ. სქემა 1). მას საფუძვლად მიგრაციის თეორია უდევს: ფუძე-ენას რიგრიგობით გამოეყო შტოები. რაც უფრო დაშორებულია ენა ფუძე-ენისაგან, მით უფ-



სქემა 2[1]

რო ადრე უნდა გამოყოფოდა ის ფუძე-ენას. და რამდენადაც ახლოს დგანან ერთმანეთთან ფუძე-ენისაგან მიღებული შტოები, მით უფრო გვიან არიან ისინი დაშორებული ერთმანეთს. მთლიანად აზიის ენები (ინდური, ირანული) უფრო ახლოს დგანან ინდოევროპულ

[1] იხ. Schrijnen, Einführung, გვ. 66.

ფუძე-ენასთან, ვიდრე ევროპის ენები. ეს იმის მაჩვენებელია, შლეიხერის აზრით, რომ ინდოელები და ირანელები ყველაზე გვიან დაიძრნენ უძველესი სამშობლოდან.

განსაკუთრებული შეხედულება, ე. წ. ტალღათა თეორია (Wellentheorie) წამოაყენა იღპან შმიდტმა 1872 წ. ვაიმარში გამოსულ შრომაში „Die Verwandtschaftsverhältnisse der indogermanischen Sprachen“(ინდოგერმანულ ენათა ნათესაური ურთიერთობანი[1]. იხ. სქემა 2). შმიდტის აზრით, ინდოევროპული ფუძე-ენა დიალექტებისაგან შედგებოდა. დიალექტები არ იყვნენ გათიშული ერთმანეთისაგან რაიმე საზღვრებით[2], მათ შორის არსებობდა უწყვეტი გადასვლა. ახალი მოვლენები, რომლებიც ამ ენათა (თუ დიალექტთა) სხვადასხვა სფეროში წარმოიშვებოდნენ, ტალღების მსგავსად ვრცელდებოდნენ სხვადასხვა რადიუსით ყოველი მიმართულებით. ამიტომ გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს მყოფებს მეტი საერთო მოვლენები ექნებათ, ვიდრე დაშორებულებს. ის ურთიერთობანი, რომლებიც არსებობდა ინდოევროპულ დიალექტებს შორის, ბოლომდე იქნა შენარჩუნებული. ამის გამო ენათა ცალკეულ ჯგუფებს შორის მჭიდრო კავშირი შეინიშნება. ასე, იტალიური ენები წარმოადგენენ გარდამავალ საფეხურს ბერძნულსა და კელტურს შორის, კელტური ენები გარდამავალი არიან იტალიურსა და გერმანულს შორის, ეს უკანასკნელნი—კელტურსა და სლავურს შორის და ა. შ. ინდოევროპული ენები, შმიდტის თქმით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სხვადასხვა რგოლებისაგან შემდგარი ჩახშული ჯაჭვი, რომელსაც არა აქვს არც თავი, არც ბოლო.

ენათა რომელიმე ორ ჯგუფს შორის განსაკუთრებული სიახლოვე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ერთმანეთის მეზობლად ვითარდებოდნენ. თუ ამჟამად ცალკეულ ინდოევროპულ ენათა ჯგუფებს შორის თანდათანობითი გადასვლა არ შეინიშნება (მაგ., ერთმანეთისაგან მკვეთრადაა გათიშული გერმანული და სლავური ან კელტური ჯგუფები), ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა მიზეზების შედეგად გარდაშავალი დიალექტები მოისპო.

ცალკეულ ჯგუფთა ურთიერთობას მათ შორის მორფოლოგიური და ფონეტიკური მოვლენათა ერთიანობა განსაზღვრავს. მაგ.,

---


[1] ეს შრომა ჩვენ ხელთ არ გვქონდა. ვსარგებლობდით დელბრიუკისა და სხრეინენის (Schrijnen) წიგნებით.

[2] ეს გარემოება პირველად რომანულ დიალექტებში შენიშნა 1868 წ. შუხარდტმა.

ძველ ინდურში და ირანულში ხდება ფუძე-ენის ა, ე, ო ხმოვანთა ა-დ ქცევა. ეგევე ენები უკავშირდებიან ბალტურ-სლავურს, სომხურსა და თრაკიულ-ფრიგიულს იმით, რომ ყველა მათში ინდოგერმანული პალატალები სპირანტებად იქცევიან.

ტალღათა თეორიას იზიარებს ფერდინანდ დე სოსიური[1], მასვე ემხრობა ანტუან მეიეც, რომელმაც ინდოევროპულ დიალექტთა ურთიერთობის სქემაც შეადგინა[2] (სქემა 3).

Stammbaumtheorie და ტალღათა თეორია, როგორც აღნიშნავენ (დელბრიუკი, სოსიური), პრინციპულად. არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. ისინი ინდოევროპულ დიალექტთა განვითარების სხვადასხვა საფეხურებს ეხებიან. შმიდტი ამბობს, რომ ინდოევროპული დიალექტები ერთმანეთში გადადიოდნენ თანდათანობით და მათ შორის უწყვეტი კავშირი არსებობდა, მაგრამ ის აღიარებს, რომ შემდეგ გარდამავალი დიალექტები დაიკარგნენ და შეიქმნა მკვეთრი



სქემა 3[3]

საზღვრები ენებს შორის. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც, შლაიხერის მიხედვით, ხდება ენათა მოწყვეტა ერთმანეთისაგან.

დელბრიუკი ეჭვის თვალით უცქერის როგორც შლაიხერის, ისე შმიდტის თეორიას. ორივე თეორია მონათესავე ენათა ურთიერთ სიახლოვის ხარისხის განსაზღვრისათვის ემყარება იმ მსგავსებებს, რომლებიც მონათესავე ენების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებობს დღესდღეობით. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ყველა ენა არ ინახავს საერთო წარმოშობის ფაქტებს. ამიტომ, როდესაც ბერძნულსა და ლათინურში ვხვდებით ისეთ მსგავს მოვლენებს, რომლებიც

[1] Фердинанд де-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933, გვ. 189.
[2] A. Meillet, Les dialectes indo-européens, Paris, 1922, გვ. 135.
[3] იხ. იქვე, გვ. 134.

სხვა ენებში არ დასტურდება, სრულიად არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს მოვლენები ფუძე-ენიდან მომდინარეობენ, მაგრამ სხვა მონათესავე ენებმა ისინი დაკარგეს. ამ შემთხვევაში შეცდომა იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ბერძნული და ლათინური გვიან გამოეყვნენ ერთმანეთს. ამიტომ, შენიშნავს დელბრიუკი, ასე ხშირად ნავარაუდევი ბერძნულ-იტალიური ერთიანობის შესახებ, „არ შეიძლება დანამდვილებით ვამტკიცოთ, რომ ის არასდეს არ არსებობდა, მაგრამ ასევე ნაკლებ შესაძლებელია, რომ ის ოდესმე დამტკიცდეს"-ო[1].

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ჰირტიც[2].

გარდა ზემოთ თქმულისა, აღნიშნული თეორიები ერთ შენიშვნას იწვევს: გაუგებარია, რატომ უნდა დაეცვათ ინდოევროპულ ენებს ერთმანეთის მიმართ ის განლაგება, რომელიც ინდოევროპული ფუძე-ენის დიალექტებს ჰქონდათ?

ინდოევროპულ დიალექტებს მთელი რიგი ნიშნებით ყოფდნენ ორ ჯგუფად, რომლებსაც მათი გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით აღმოსავლურს და დასავლურს უწოდებდნენ. ამ ჯგუფებს მეორე სახელიც აქვს იმის მიხედვით, თუ როგორ აღინიშნება „ასი" თითოეულ მათგანში. აღმოსავლურ ჯგუფში შემავალი ენები სატემენებია, დასავლურში—კენტუმ-ენები.

მაგრამ ტოქარული ენის აღმოჩენამ შეარყია ეს განლაგება. ტოქარული ტერიტორიულად აღმოსავლეთშია, მაგრამ ის კენტუმ-ენაა, ე. ი. დასავლეთის ენებს უკავშირდება. ამაში უცნაური არაფერია; გასაკვირი სწორედ ის იქნებოდა, რომ მონათესავე ენებს ბოლომდე შეენარჩუნებინათ ერთმანეთის მიმართ ის განლაგება, რომელიც ფუძე-ენის დიალექტებად ყოფნის დროს ჰქონდათ. აღმოსავლეთში არსებული ენა, მასზე მოლაპარაკეთა გადასახლების გამო, შეიძლება დასავლეთში მოქცეულიყო, დასავლეთისა კი პირუკუ—აღმოსავლეთში.

ინდოევროპული ენები ყველა სხვა ოჯახზე უკეთაა შესწავლილი, მაინც ამ ენათა ურთიერთმიმართება ზუსტად დადგენილი არ არის. შლაიხერის გენეალოგიური ხე თანამედროვე ენათმეცნიერებაში განვლილ საფეხურად ითვლება, მას სერიოზულად აღარავინ უყურებს. არსებობს მთელი რიგი ჰიპოთეზები ინდოევროპული ოჯა-

---

[1] Б. Дельбрюк, Введение в изучение языка. Перевод с третьего исправленного издания, 1893 г. (В книге Булича С. К. Очерк истории языкознания в России. Петербург, 1904), გვ. 145.

[2] H. Hirt, Die Verwandtschaftverhältnisse der Indogermanen. Indogermanische Forschungen, B. IV, 1894.

ხის ცალკეულ წევრთა ან მთელი შტოების ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. ეს აიხსნება საკითხის სირთულით. როგორც ვნახეთ, ენათა დიფერენციაცია საზოგადოებაში შექმნილ გარკვეულ პირობებზე არის დამოკიდებული. ეს პირობები კი სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ამიტომ თითოეულ ოჯახში შემავალ ენათა განლაგება ამ ენათა ხანგრძლივი და სისტემატური შესწავლის შედეგად შეიძლება გაირკვეს.

თავი მესამე

ნარევი ენები და ენათა ნათესაობა

§11. ნარევი ენები ენათა შეჯვარედინების ანუ შერევის პროცესის შედეგად წარმოიშვება. ნარევ ენებად ითვლება ინგლისური, ფრანგული, სომხური, სვანური და სხვ. ნარევი ენა ორი ან რამდენიმე ენის ფენას შეიცავს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სხვადასხვა ფენები ნარევ ენაში თანაბარი მოცულობისა იყოს. როდესაც შეჯვარედინების პროცესს გავეცანით, ჩვენ ვნახეთ, რომ ამ დროს ერთ-ერთი ენა, ჩვეულებრივ, იმარჯვებს. გამარჯვებული ენა ინარჩუნებს თავის ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობას. ამის შესაბამისად ნარევი ენის თვისობრიობას განსაზღვრავს გამარჯვებული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. დამარცხებული ენიდან (ან ენებიდან) შემოსული მასალა კი უფრო მცირე მოცულობისაა.

ასე, მაგალითად, ფრანგულში ძირითადია ხალხური ლათინურიდან მომდინარე ფენა, გალიური ენებიდან კი შედარებით მცირერიცხოვანი ელემენტებია შემოსული. სომხურში ძირითადია ინდოევროპული წარმოშობის ფენა, არაძირითადი კი ის ფენა, რომელიც რომელიღაც იბერიულ-კავკასიური ენებისაგან მომდინარეობს. სვანურს რამდენიმეჯერ განუცდია შეჯვარედინება. მასში ძირითადია ის ფენა, რომელიც სხვა ქართველურ ენებთან კანონზომიერ შესატყვისობას იძლევა, არაძირითადი ფენებია: ადიღეური, ზანური, ქართული. ისინი სხვადასხვა ეპოქაში არიან შემორეული ამ ძირითად ფენთან. ასევე რამდენიმეჯერ ნარევს წარმოადგენს ინგლისური ენა, რომელშიაც ძირითადი ფენა გერმანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდება მითითება ე. წ. „ჰიბრიდ“ ენებზე. ამ ენათა თავისებურება ისაა, რომ ისინი რამდენიმე ენის ლექსიკის შერევით არიან შექმნილი, ხოლო გრა-

მატიკული წყობა მინიმუმამდე არის დაყვანილი. ერთ-ერთი ასეთი ენის ნიმუშად ჟ. ვანდრიესი ასახელებს საბირს, რომელიც ფრანგულის, ესპანურის, ბერძნულის, იტალიურისა და არაბულის ნარევს წარმოადგენსო[1].

ასეთი მაგალითებიდან, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შესაძლებელი იყოს, რომ სხვადასხვა ენამ თანაბარი მონაწილეობა მიიღოს შერევაში. მაგრამ საკმარისია ახლოს გაეცნოთ საკითხს, რათა აშკარა გახდეს, რომ „ჰიბრიდი“ ენების წარმოქმნის პირობები იმდენად თავისებურია, რომ ამ ენათა ვითარება არ გამოდგება საერთოდ ნარევი ენების რაობის გარკვევისათვის. მართლაც, რა პირობებში არის შექმნილი საბირი?—ესაა ხმელთაშუაზღვის ნავსადგურების ენა. იგი წარმოადგენს არა, საურთიერთო, ჩვეულებრივ ენას, რომლის დანიშნულება არის მოემსახუროს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, არამედ სპეციალურ ენას: ეს ენა მხოლოდ იმ მცირერიცხოვან ლექსიკას მოიცავს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მეზღვაურთა ხანმოკლე ურთიერთობისათვის არის აუცილებელი. ამით აიხსნება ის, რომ მისი გრამატიკული წყობა ძლიერ ღარიბია. ვანდრიესი აღნიშნავს, რომ მის მიერ დასახელებული სხვა ენებიც (კრეოლთა ენები, პიჯინ-ინგლიში, ბროკენ-ინგლიში) სპეციალური ენებია[2].

ამგვარად, ე. წ. „ჰიბრიდი ენები“ ერთგვარ ჟარგონებს წარმოადგენს, მათი გამოყენება ამა თუ იმ ვიწრო სფეროთია შემოფარგლული და ისინი არ შეიძლება გავუტოლოთ ისეთ ნარევ ენებს, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში იქმნებიან ენათა და ამ ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებათა ნორმალური ურთიერთობის დროს[3].

ამგვარად, ეჭვს არ იწვევს დებულება, რომლის მიხედვითაც ნარევ ენაში ძირითადია გამარჯვებული ენიდან მომდინარე ფენა, დამარცხებული ენის ფენა კი მას თავისი მოცულობით ვერ უტოლდება. ეს გარემოება მხედველობაში უნდა გვქონდეს ყოველთვის, როდესაც

---

[1] Ж. Вандриес, Язык, გვ. 269.

[2] ჟ. ვანდრიესი, დასახ. შრ., გვ. 270.

[3] ასეთ ენათა ნიმუშები განხილული აქვს ბ. სერებრენიკოვს წერილში „Об устойчивости морфологической системы языка“ (Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В. Сталина по языкознанию, 1952). ავტორი ასკვნის: Различные языковые смеси, креольские языки, жаргоны и т. п. могут быть отнесены к разряду своеобразных лингвистических уродств и аномалий, გვ. 224.

ჰიბრიდი ენების შესახებ იხ. Б. В. Горнунг, К постановке вопроса об исторической общности индоевропейских языков, ИАН СССР, Отд. литературы и языка, 1950, т. IX, вып. 5, გვ. 339—340.

ნარევი ენების შესახებ გვაქვს მსჯელობა. მაგრამ აღნიშნულ ფარგლებშიაც დამარცხებული ენის ხვედრითი წონა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, ფრანგულში, როგორც მიუთითებენ, კელტური ელემენტები ძლიერ მცირე რაოდენობითაა გადმოსული. ბევრად უფრო თვალსაჩინოა იბერიულ-კავკასიური ფენა სომხურში. თვით ზეგავლენაც. სხვადასხვაგვარი ხასიათისა შეიძლება იყოს. ასე, მაგალითად, ინდოევროპულ ენათა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზოგგან გაბატონებული ენა სავსებით იმარჯვებს და მხოლოდ უცხო სიტყვათა გადმოღება ხდება, სხვაგან ადგილობრივი ენა იწვევს ინდოევროპული ენის სტრუქტურის დაშლას, ზოგგან არტიკულაციის სრული შეცვლა და მახვილის გადანაცვლება ხდება, ზოგგან კი მხოლოდ გრამატიკის ფლექსიური წყობაა შენარჩუნებული, სიტყვათა მარაგი კი სრულიად უცხოა და ა. შ.

შერევის სხვადასხვა ხარისხი დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებშიაც შეჯვარედინება მიმდინარეობს. მთელი რიგი ფაქტორები მოქმედებს ამ პროცესზე. დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ეროვნულ გაცნობიერებას და, ამასთან დაკავშირებით, იმ წინააღმდეგობის ძალას, რომელსაც დამარცხებული ერი უწევს გამარჯვებულს, აგრეთვე, გამარჯვებულ და დამარცხებულ ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობრივ შეფარდებას; იმას, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ორენოვნობა (რაც მეტ ხანს, სხვა თანაბარ პირობებში, მით მეტია შერევის ხარისხი), გამარჯვებულ და დამარცხებულ ხალხთა კულტურულ დონეს (ზოგჯერ ისიც ხდება, რომ დამარცხებული ხალხის ენას ითვისებს კულტურულად მასზე დაბლა მდგომი გამარჯვებული ხალხი); იქ, სადაც დამწერლობა და სალიტერატურო ენები არსებობს, ენათა შერევა ნაკლებ ინტენსიურია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც სალიტერატურო ენები არა აქვს ხალხებს და ა. შ.

ამ ფაქტორთა მნიშვნელობისა და თითოეული მათგანის ხვედრითი წონის გარკვევა ჯერ კიდევ ბევრ კვლევას საჭიროებს.

როგორც ხშირად მიუთითებენ, მონათესავე, ერთმანეთთან ახლოს მდგომ ენათა შერევა სხვაგვარად მიმდინარეობს, ვიდრე არამონათესავე, სტრუქტურულად დაშორებულ ენათა შერევა.

გარჩეულ უნდა იქნეს, აგრეთვე, შერევის ორი შემთხვევა: 1) როდესაც მეტი ან ნაკლები ხანგრძლივობის ორენოვნობის შემდეგ დროებით დამარცხებული ხალხი იბრუნებს თავისუფლებას, თავიდან იცილებს დამპყრობელთა ენას და თავის ერთადერთ ენად კვლავ მშობლიურ ენას აქცევს; 2) როდესაც ორენოვნობას მოსახ-

ლეობის საკუთარი ენის გაქრობა მოჰყვება, ე. ი. გამარჯვებული ხალხის ენა იქცევა დამარცხებული ხალხის ერთადერთ ენად.

პირველი შემთხვევის მაგალითი იქნება ბალკანელი ხალხების ენები, რომელთა ასიმილაციას ასეული წლების განმავლობაში ცდილობდნენ თურქი დამპყრობლები. ეს ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ თურქი დამპყრობლები და მასთან ერთად თურქული ენა თავიდან მოიცილეს ბალკანეთის ხალხებმა. მეორე შემთხვევის ნიმუშად შეიძლებოდა დაგვესახელებინა გალიური, იბერიული ენები, რომლებიც გამოდევნა რომაელ დამპყრობელთა ენამ—ლათინურმა.

ვინაიდან ორენოვნობა ორივე შემთხვევაში გვაქვს, შერევას ორივეგან ექნება ადგილი, მაგრამ პირველ შემთხვევაში, როდესაც საბოლოოდ ადგილობრივი ენა იმარჯვებს, შერევის ინტენსიურობა ნაკლებია, ვიდრე მეორე შემთხვევაში, როდესაც დამპყრობელთა ენა გამოდევნის ადგილობრივ მკვიდრთა ენას.

მოსული ხალხის ენას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ენას შეერია, სუპერსტრატი ეწოდება, ხოლო ადგილობრივი ენა, რომელიც გამოდევნა დამპყრობელთა ენამ, მაგრამ რომელიც დალექილია ამ უკანასკნელში, სუბსტრატი იქნება.

ენობრივი სუბსტრატის საკითხი ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ითვლება. სუბსტრატ ენათა გავლენის მნიშვნელობას ინდოევროპულ ენებზე იტალიელმა ენათმეცნიერმა ასკოლიმ მიაქცია ყურადღება. იგი ითვლება სუბსტრატის თეორიის ფუძემდებლად. ამავე საკითხს იკვლევდნენ შუხარდტი, მეიე და სხვები.

სუბსტრატისა და სუპერსტრატის როლის გათვალისწინება აუცილებელია ნარევ ენათა შესწავლის დროს. მაგრამ ზოგ ენათმეცნიერთან შეინიშნება ტენდენცია, სხვადასხვაგვარი სუბსტრატის გავლენას მიაწერონ ყველა ის თავისებურებანი, რომლებიც მონათესავე ენებს განასხვავებს ერთმანეთისაგან. ანგარიში არ ეწევა იმას, რომ ერთმანეთს დაშორებულ მონათესავე ენებში სხვა ენათა გავლენის გარეშეც შეიძლება წარმოიშვას ერთმანეთისაგან განსხვავებული მოვლენები.

სპეციალურად გასარკვევია საკითხი, თუ ენის რა სფეროებამდე აღწევს შერევა. ცნობილია, რომ ენის ყველა მხარე ერთგვარად არ ექვემდებარება სხვა ენის გავლენას. ამ აზრით ლაპარაკობენ ენის შემადგენელ ნაწილთა მეტ-ნაკლები შეუვალობის შესახებ[1].

[1] იხ. მაგ. ბ. სერებრენიკოვთან „проницаемые и непроницаемые сферы языка" (Сравнительно-исторический метод и критика так называемого четырехэлементного анализа Н. Я. Марра. კრებულში: Вопросы языкозна-

რომ ლექსიკური შემადგენლობის სიტყვები ადვილად გადადის ერთი ენიდან მეორეში, ეს საყოველთაოდ ცნობილია. არც ის იწვევს დავას, რომ შერევა ძირითადი ლექსიკური ფონდის ზოგიერთ სიტყვასაც შეიძლება შეეხოს. უფრო რთულია გრამატიკული წყობის საკითხი. გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს მორფოლოგია სრულიად შეუვალი იყოს (ბ. სერებრენიკოვი[1]. ამ შეხედულებას უფრო ადრე ჰ. პაული და ანტ. მეიე იცავდნენ, მაგრამ ამაზე ქვემოთ). ამასთან გახაზულია ის, რომ აფიქსთა სესხება თუ ხდება, ეს ეხება სიტყვაწარმოებით აფიქსებს, რომლებიც სიტყვებთან ერთად გადადიან ენიდან ენაში, სიტყვაცვლილების აფიქსთა გადატანა კი თითქოს არასოდეს არ წარმოებს[2].

ვფიქრობთ, ასეთი შეხედულება ზუსტად არ ასახავს რეალურ ვითარებას. უდავოა, რომ აფიქსთა სესხება ძალიან ძნელად ხდება; ისიც აშკარაა, რომ სიტყვაწარმოებითი აფიქსები უფრო ადვილად გადადის ერთი ენიდან მეორეში, ვიდრე სიტყვაცვლილების აფიქსები. მაგრამ სიტყვაცვლილების აფიქსთა სესხების სრული უარყოფა შეუძლებელია. აფიქსთა სესხების ფაქტები ცნობილია სხვადასხვა ენაში. მაგალითად, მეგრულში ქართული ენიდან არის შესული სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი, რომელმაც გამოდევნა ადგილობრივი ე[3]. უფრო საინტერესო შემთხვევები გვაქვს სვანურში, რომელშიაც ადიღეურიდან არის შეთვისებული მოთხრობითი ბრუნვის -ემ და ზმნათა III პირის მრავლობითი რიცხვის დაბოლოება -ხ[4]. მეგრულიდან შემოსულად ითვლება ნათესაობითი ბრუნ-

---

ния в свете трудов И. В. Сталина, 1952, გვ. 274—275). აგრეთვე იხ. А. Б у л а х о в с к и й, Вопросы исторического развития языка в свете работы И. В. Сталина по языкознанию. იმავე კრებულში, გვ. 222—224.

[1] Б. А. С е р е б р е н н и к о в, დასახ. შრ., გვ. 274.

[2] იქვე, გვ. 251—253. შდრ. იმავე ავტორის Об устойчивости морфологической системы языка, კრებულში: Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В. Сталина по языкознанию, 1952. გვ. 204 და შემდ. სხვაგან ავტორი წერს: „Невозможность переплетения, перемешивания двух разнородных языков обусловлена также абсолютной непроницаемостью флексии. Личные глагольные окончания и окончания падежей никогда не заимствуются одним языком из другого". Б. А. Серебренников. О праязыке. ჟურნალში „Иностранные языки в школе", 1951, № 3, გვ. 16.

[3] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 53.

[4] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხედრები, „ენიმკი-ს მოამბე", XII, 1942, გვ. 262, 265.

ვის -ი̆ს სუფიქსი[1]. ქართულიდან ან ზანურიდან ნასესხები უნდა იყოს მესამე პირის ნიშანი ს, რომელიც მხოლოდ კავშირებით კილოსთან იხმარება.

ამგვარად, თუმცა ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც, შერევის დროს სიტყვაცვლილების აფიქსთა სესხებაც ხდება[2]. ამიტომ მართებულად გვეჩვენება ლ. ბულახოვსკის შეხედულება: „შეუძლებელია უარვყოთ, რომ ადრე თუ გვიან შეიძლება შეიცვალოს ენის სისტემის ძლიერ გამძლე ელემენტებიც კი, ელემენტები, რომლებიც ყველაზე ნაკლებ ექვემდებარებიან ერთი ენიდან მეორეში გადატანას“-ო[3].

აფიქსთა სესხება რომ ხდება ერთი ენიდან მეორეში, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ნარევ ენაში შესაძლებელი იყოს ორი ენის გრამატიკული წყობის თანაბარი ოდენობით შერწყმა. აქ ვლინდება შერევის პროცესის თავისებურება. ძირითადი და განმსაზღვრელია გამარჯვებული ენის გრამატიკული წყობა მისი მორფოლოგიითა და სინტაქსით. მაგრამ მასში შეიძლება შემოტანილ იქნეს დამარცხებული ენის ზოგიერთი მორფოლოგიური ელემენტი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გავლენა ფონეტიკაში, რადგან მისი შედეგები ხშირად მეტად თვალსაჩინოა.

§12. ხალხის მიერ ენის გამოცვლისას მომხდარ ცვლილებათა მიზეზად ხშირად იმას ასახელებენ, რომ ახალი ენის სრულყოფილად დაუფლება არ ხდება. ადგილი აქვს გარკვეულ გადახრებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ: 1. ადამიანები ვერ აღიქვამენ სწორად უცხო ენის ბგერებს. 2. ისინი ვერ აწარმოებენ საკმაო ზუსტად უცხო ენის ბგერათათვის საჭირო მოძრაობებს სამეტყველო ორგანოებისას.

---

[1] Н. Я. Марр, Где сохранилось сванское склонение? ИАН. С. VI6., 1911, გვ. 1200. ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. V, № 3, 1944, გვ. 344.

[2] ვინაიდან სიტყვაწარმოების აფიქსთა სესხება ნაკლებ ეჭვს იწვევს, ამიტომ ნიმუშები აღარ მოვიყვანეთ. შეიძლებოდა მიგვეთითებინა სლავურ ზმნურ პრეფიქსებზე რუმინულ ენაში: за-, из-, о-, под-, при-, про-, раз-. აგრეთვე სლავურ სახელურ სუფიქსებზე იმავე ენაში—ița, -iște, -ca, -nic (С. Б. Бернштейн К проблеме языковых смешений. კრებულში Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании, ч. II, Москва, 1952, გვ. 302).

[3] Л. А. Булаховский, Вопросы исторического развития языков в свете трудов И. В. Сталина, გვ. 222.

ამგვარად უნდა ხდებოდეს მაშინ, როდესაც ადამიანი ერთ ენას უკვე ფლობს და მხოლოდ შემდეგ იწყებს ახალი ენის შესწავლას. მაგრამ ენის გამოცვლისას ბოლოს და ბოლოს ხომ დგება ისეთი პერიოდი, როდესაც სუბსტრატი ენა გამოდის ხმარებიდან ან, შესაძლებელია, თვით ორენოვნობის პერიოდშიაც ბავშვი ერთდროულად სწავლობდეს ორივე ენას. ასეთ შემთხვევებში გაუგებარია, რატომ ვერ უნდა ახერხებდეს ბავშვი მისი საზოგადოების მიერ მიღებული ენის სრულყოფილად დაუფლებას? მან ჯერ არც ერთი ენა არ იცის, ამიტომ სხვა ენის ჩვეები ვერ შეუშლის ხელს ამ ენის შესწავლაში. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ფაქტი ენათმეცნიერებაში ცნობილ დებულებას, რომ ბავშვი იმ ენაზე ალაპარაკდება, რომელ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებაშიაც იგი მოექცევა და რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელ ენაზე მეტყველებდნენ მისი მშობლები (მაგალითად, ქართველი მშობლების შვილი, რომელიც, ვთქვათ, რუსეთში დაიბადა და მხოლოდ რუსულ ენობრივ გარემოში აზრდებოდა, ისევე ილაპარაკებს რუსულ ენაზე, როგორც რუსი მშობლების შვილი).

თუ ასეა, რატომ არის, რომ ქართულ ან რუსულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელებს გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს არტიკულაციაში და ინტონაციაში? რატომ ახლავს ზანგების ინგლისურ მეტყველებას ამერიკაში მთელი რიგი თავისებურებანი, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ინგლისური ზანგთა ერთადერთ ენას წარმოადგენს? ხომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში ენობრივ თავისებურებათა მემკვიდრეობით გადაცემასთან საქმე?

ეს კითხვა კიდევ უფრო მწვავედ დადგება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნარევ ენებში მას შემდეგაც კი, რაც სუბსტრატი ენა უკვე კარგა ხნის წინ გამოვიდა ხმარებიდან, ხორციელდება ზოგი ისეთი ცვლილება, რომელიც სწორედ სუბსტრატის ტენდენციებისაგან გამომდინარეობს. ასე, მაგალითად, ფრანგულში ლათინური ū იცვალა ü-დ, ანალოგიური ცვლილება მხოლოდ კელტურ ენებში (ბრიტულში) შეინიშნება და ამიტომ კეთდება დასკვნა, რომ ū→ü გალიური სუბსტრატის გავლენით არის გამოწვეული ფრანგულში[1]. ანალოგიური ხასიათისა უნდა იყოს ზოგი ისეთი თავისებური მოვლენა ქვემო იმერულსა და გურულში, რომლებიც, ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, მათ საერთო აქვთ

---

1 А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, გვ. 59.

მეგრულთან. ასეთია, მაგალითად, ფონეტიკიდან რედუქციის სისუსტე, პროგრესიული ასიმილაციის გავრცელება; მორფოლოგიიდან III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნის (-ენ) გამოყენება ინვერსიულ ზმნებთან ნაცვლად I და II პირის მრ. რ.-ის ნიშნისა (შდრ. ქვ. იმერ. აქვ-ენ, გინდები-ენ, ძინავ-ენ, შეუშინებიენ და ლიტერატ. აქვ-თ, გინდა-თ, ძინავ-თ, შეუშინებია-თ) და სხვ.

ანტ. მეიე ანალოგიურ შემთხვევათა საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, „შესაძლებელია, რომ ყოველ მოსახლეობას ახასიათებს ზოგიერთი მემკვიდრეობითი ტენდენციები, რომლებიც არ იცვლება ერთი ენიდან მეორეზე გადასვლის შედეგად და რომლებიც განსაზღვრავენ ახალ ენაში მათ მნიშვნელოვან ცვლილებებს"-ო[1].

განსაზღვრავს თუ არა მემკვიდრეობა ენის განვითარებას? ამ საკითხს ყურადღება მიაქცია რუსლომ[2]. რუსლო აღნიშნავს, რომ როდესაც ადამიანები ახალ ენობრივ წრეში მოხვდებიან (ლაპარაკია ერთი ენის დიალექტებზე მოლაპარაკე ადამიანთა შესახებ), ისინი იქ უცხო ელემენტებს წარმოადგენენ. ენობრივი ჩვევები, რომლებიც ძველ ენობრივ კოლექტივში იყო გამომუშავებული, განსხვავდება იმ ჩვევებისაგან, რომლებიც ახალი ენობრივი კოლექტივის წევრებს აქვთ.

საყურადღებო ის არის, რომ, რუსლოს დაკვირვებით, ახალ ენობრივ გარემოში მოხვედრილ მშობელთა შვილებიც კარგა ხნის განმავლობაში კი არ ითქვიფებიან ახალ ენობრივ კოლექტივში, არამედ ინარჩუნებენ მეტყველების იმ თავისებურებებს, რომლებიც მათ მშობლებს ახასიათებდა და, უფრო მეტიც, სხვა სოფლიდან მოსული მშობლების შვილებთან ხდება ის ენობრივი ცვლილებები, რომლებიც მათ მშობლიურ სოფელში მხოლოდ მომზადებული იყო. მეორე მხრივ, ისინი კარგა ხნის განმავლობაში არ ექვემდებარებიან იმ ევოლუციას, რომელსაც მათ ახალ საცხოვრებელ ადგილას აქვს ადგილი.

თუ ეს ასეა, თითქოს გამოდის, რომ მემკვიდრეობა განსაზღვრავს ენის განვითარებას. სწორედ ასე ასკვნის რუსლო. რუსლოს

---

[1] A. Meйe, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 59.

[2] ნაშრომში: Les modifications phonétiques du langage étudiées dans le patois d'une famille de Gellefruin. Paris, 1891. ჩვენ ვსარგებლობდით მეიეს წერილით: Les lois du langages. I. Lois phonétiques, 1893, Revue internationale de sociologie, № 4.

მოსაზრებას უერთდება ა. მეიეც, რომელიც ენის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მემკვიდრეობას აცხადებს.

ამგვარად, ჩვენ ორი ერთმანეთის საპირისპირო დასკვნა მივიღეთ. ერთის მხრივ, მემკვიდრეობას არა აქვს მნიშვნელობა, ბავშვი იმ ენას ითვისებს, რომელზედაც მის ირგვლივ ლაპარაკობენ, ხოლო, მეორე მხრივ, გამოდის, თითქოს წინაპართა მეტყველების გარკვეული თავისებურებები მაინც გადაეცემა მემკვიდრეობით.

დებულება, რომ ბავშვი იმ ენაზე ალაპარაკდება, რომელ ენობრივ კოლექტივშიაც მოექცევა, ჩრავალი ფაქტით არის შემოწმებული და სწორედ ამ მყარი დებულებიდან უნდა ამოვიდეთ ჩვენი საკითხის გადაჭრისას. რაკი რუსლო დიალექტებზე აწარმოებდა დაკვირვებას, ჩვენც დიალექტთა განხილვით დავიწყოთ.

ენის ადგმას ბავშვი რამდენიმე წელიწადს ანდომებს. რუსლოს დაკვირვებით 6—8 წლის ბავშვს უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული აქვს მეტყველება. ამიტომ ცხადია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა იმისათვის, თუ რომელ ენაზე ან ენის რომელ დიალექტზე დაიწყებს ლაპარაკს ბავშვი, აქვს გარემოს, რომელშიაც ის მეტყველების საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე, ე. ი. თავისი არსებობის პირველი წლების განმავლობაში მოხვდება.

ენობრივი გარემოო რომ ვამბობთ, აქ იგულისხმება ადამიანთა ის საზოგადოება, რომელთანაც ინდივიდს უხდება ენობრივი ურთიერთობა. ცხადია, ამ საზოგადოების სიდიდე სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მკირეწლოვანი ბავშვისათვის ასეთ საზოგადოებას, პირველ რიგში, მისი ოჯახი ქმნის. ცხოვრების პირველ წლებში საკუთარი ოჯახის წევრები წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებიც განუწყვეტლივ ურთიერთობაში იმყოფებიან ბავშვთან, რომელთა მეტყველებასაც იგი მუდამ ისმენს; ე. ი. ოჯახის წევრები არიან ის პირები, რომელთაგანაც ბავშვი სწავლობს ენას[1].

გასაგებია, რომ ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასული სრულწლოვანი ადამიანები თავიანთი ძველი კუთხის ენობრივ თავისებურებებს ინარჩუნებენ. მაშ, იმერლის ოჯახი რომ ქართლში გადმოსახლდება, ამ ოჯახის უფროსი წევრები იმერულ კილოზე გა-

[1] ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი პირობები, როგორსაც ვარაუდობს რუსლოს დაკვირვებანი, ე. ი. როდესაც ბავშვი პირველი წლების განმავლობაში ოჯახში იზრდება. ამჟამად, განსაკუთრებით ქალაქებში, ასე არ არის. ბავშვებს უკვე ადრიდანვე აბარებენ საბავშვო ბაგებში და ბაღებში, სადაც ისინი თავიანთ აღმზრდელთა და ამხანაგთა მეტყველების ძლიერ ზემოქმედებასაც განიცდიან.

ნაგრძობენ მეტყველებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი ბავშვები პირველი წლების განმავლობაში ყველაზე მეტად იმერული მეტყველების გავლენას განიცდიან, მათი ენის ჩამოყალიბება იმერულ სამეტყველო გარემოში ხდება. ამგვარად, არაფერი უცნაური არ არის იმაში, რომ ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასული მშობლების შვილები თავიანთ მშობელთა ენობრივ ტრადიციებს განაგრძობენ კარგა ხნის განმავლობაში და უცხო ელემენტებს წარმოადგენენ ახალ გარემოში.

ამგვარად, რუსლოს მიერ შენიშნული ფაქტი ენის მემკვიდრეობით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ ბავშვის მეტყველების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტია ენობრივი გარემო, ამ შემთხვევაში,—მშობელთა მეტყველების ზეგავლენა. მშობლები კი სხვა ენაზე ან დიალექტზე მეტყველებენ.

ასევე უნდა იქნეს ახსნილი შერევის დროს სუბსტრატი ენის გავლენა. მემკვიდრეობა აქაც არავითარ როლს არ თამაშობს. განმსაზღვრელია ენობრივი გარემო.

უცხო ენის შემთვისებელ პირველ თაობათათვის მშობლიურ ენას სხვა ენა წარმოადგენს. ამიტომ, ჯერ ერთი, ახლადმიღებულ ენას ისინი სრულყოფილად ვერ ეუფლებიან და, გარდა ამისა, უცხო ენაზე ამეტყველებულ ადამიანებს მშობლიური ენის ჩვევები გადაჰყვათ ამ ენაზე: ამ უკანასკნელის სიტყვებში ისეთ მახვილს ხმარობენ, როგორიც სუბსტრატ ენას აქვს, გაურბიან იმ ბგერათკომპლექსების წარმოთქმას, რომლებიც სუბსტრატ ენას არ ახასიათებს და, რაც მთავარია, იმგვარ ფონეტიკურ ცვლილებებს (ასიმილაცია, დისიმილაცია, რედუქცია, სუბსტიტუცია...) ახდენენ, როგორიც სუბსტრატ ენაში იყო გაბატონებული.

თაობები, რომლებიც სუბსტრატი ენის ხმარებიდან გამოსვლის შემდეგ ჩნდებიან, ენას სწავლობენ წინა თაობათაგან, ე. ი. მათგან, რომელთათვისაც მიღებული ენა წარმოადგენდა უცხო ენას, რომელიც მათ თავიანთი მშობლიური ენის შემდეგ შეისწავლეს და რომელმაც ამის გამო სუბსტრატი ენის გავლენა განიცადა. ამიტომ არის, რომ სუბსტრატის გავლენა იქ იგრძნობა, სადაც მოსახლეობა, რომელმაც ენა გამოიცვალა, კომპაქტურად არის წარმოდგენილი, ერთ ენობრივ კოლექტივს ქმნის და სადაც ადგილი აქვს ენის უწყვეტ გადაცემას თაობიდან თაობაში. სწორედ ასეთი ვითარება დასტურდება იმ შემთხვევებში, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (ამერიკელი ზანგების ინგლისური, ქართველი ებრაელების მეტყველება და ა. შ.).

რომ ახალი თაობები, რომლებმაც სუბსტრატი ენა სრულიად არ იციან, დაბადებისთანავე ჩამოვაშოროთ ოჯახს და იმ გარემოში მოვაქციოთ, სადაც მათი ენობრივი ჭოლექტივის მიერ მიღებული ენა მშობლიურ ენას წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ეს თაობები სავსებით ისევე იმეტყველებენ ამ ენაზე, როგორც ამ უკანასკნელის საკუთარ ენობრივ კოლექტივში ლაპარაკობენ. ახლად დაბადებული გალი ბავშვები რომ მშობლებისათვის მოეცილებინათ და რომში აღეზარდათ, მათი ლათინური არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული რომაელთა ლათინურისაგან, მაგრამ გალიის ის თაობებიც კი, რომლებმაც გალიური სრულიად აღარ იცოდნენ, სხვაგვარად ლაპარაკობდნენ ლათინურად, ვიდრე რომაელები. იმიტომ, რომ ეს თაობები ლათინურს თავიანთი მშობლებისაგან სწავლობდნენ, მათი მშობლები კიდევ თავიანთი მშობლებისაგან და ა. შ. ამ გზით თაობიდან თაობაში მეტ-ნაკლებად გადადიოდა ის თავისებურებები, რომლებიც გალების ლათინურს ახასიათებდა და რომლებიც სწორედ გალიურის გავლენის შედეგს წარმოადგენდა.

ამგვარად, რადგანაც ყოველ თაობას წინა თაობისაგან გადაეცემა ენა და გარკვეული ენობრივი ჩვევები, ამიტომ, მაშინაც კი, როდესაც მომდევნო თაობები უკვე ვეღარ ფლობენ სუბსტრატ ენას, ისინი თავიანთი წინაპრებისაგან შეითვისებენ ზოგიერთ თავისებურებებს, რომლებიც სუბსტრატი ენის ხმარების დროს გამომუშავდა.

სუბსტრატი ენის ამგვარმა გავლენამ, შესაძლებელია, თავი იჩინოს რამდენიმე თაობის შემდეგაც კი. საქმე ის არის, რომ ცვალებადობა ენაში ერთბაშად კი არ ხდება, არამედ მთელ თაობებში მზადდება ნიადაგი ამა თუ იმ ევოლუციისათვის. ასე, მაგალითად, ვთქვათ გარკვეულ ეპოქაში რომელიმე ენაში აი → ეი. სანამ ეს ცვლილება განხორციელდებოდა, მანამ უნდა გვქონოდა გარკვეული მიდრეკილება მისკენ. უკვე წინა თაობებში ი-ს წინ -ა დავიწროებული, ე. ი. ე-საკენ გადახრილი იქნებოდა.

აშკარაა, რომ ენაში ყოველთვის იქნება მიდრეკილებანი გარკვეული ცვლილებებისადმი, რომელთა განხორციელებაც მომავალ თაობებს ეკისრება.

ენის გამოცვლის შემთხვევაში ახალი თაობები ახორციელებენ ზოგ ისეთ ცვლილებას, რომლისთვის ნიადაგი სუბსტრატ ენაზე მეტყველების დროს მზადდებოდა, მაგრამ ახორციელებენ არა სუბსტრატ ენაში, რადგან ამ უკანასკნელს ისინი უკვე აღარ ფლობენ, არამედ მიღებულ ენაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლად მიღებულ-

მა ენამ, შესაძლებელია, ზოგი ისეთი ცვლილება განიცადოს, როგორიც სუბსტრატ ენაში მზადდებოდა, მაგრამ რომელიც ამ უკანასკნელში ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებული.

სწორედ სუბსტრატ-ს ასეთ გავლენას უნდა მიეწეროს ლათინურის u-ს შეცვლა ü ფრანგულში. რომ შერევა არ მომხდარიყო, ე. ი. რომ გალიური ენები არ გამოედევნა ლათინურ ენას, მაშინ, საფიქრებელია, რომ თვით ამ ენებში, მათ საკუთარ მასალაზე განხორციელდებოდა ეს ცვლილება, ისე როგორც ეს ბრიტულში მოხდა. შერევისა და გალიურ ენათა გაქრობის შემდეგ კი, მოსახლეობამ, რომელიც წინათ ამ ენებზე ლაპარაკობდა, ახლად შეთვისებულ ლათინურ ენაში მოახდინა ის ცვლილება, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, გალიურ ენებში უკვე ჩასახული იყო.

იმავე რიგისაა ცნობილი ბგერათგადაწევა გერმანულ ენებში. რიგი მკვლევარი მას ადგილობრივ ენათა გავლენის შედეგად მიიჩნევს, იმ ენათა გავლენისა, რომლებიც გათქვეფილი უნდა იყვნენ გერმანულ ენებში. მაგრამ ბგერათგადაწევა, რა თქმა უნდა, არ დაიყვანება ბგერათა სესხებაზე. იმიტომ კი არ განხორციელებულა ეს პროცესი, რომ ახლად მიღებული ენის ბგერები ადგილობრივმა მკვიდრებმა თავიანთი საკუთარი ენის ბგერებით შეცვალეს. არა! ბგერათგადაწევა მეტწილად უკვე არსებულ ბგერათა შორის მოხდა და თუ ის ადგილობრივ ენათა გავლენით აიხსნება, ეს გავლენა სწორედ ისეთი ხასიათისა უნდა ყოფილიყო, რომლის შესახებაც ჩვენ ამჟამად გვქონდა საუბარი, ე. ი. გერმანულ ენებში ბგერათგადაწევის სახით განხორციელდა გარკვეული ცვლილება, რომლისაკენ მიდრეკილებაც ადგილობრივ არაინდოევროპულ ენებში იყო. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმ არაინდოევროპულ ენებში, რომლებსაც თანამედროვე გერმანული ენები ემეზობლება, შეიმჩნევა სწორედ ანალოგიური ბგერათგადაწევა.

ენობრივი მასალის გადმოღება მხოლოდ ორენოვნობის პერიოდში შეიძლება წარმოებდეს. მას შემდეგ, რაც სუბსტრატი დავიწყებას მიეცემა, ვერც ერთი სიტყვა, ვერც ერთი ბგერა ან ფორმანტი ვერ შევა გამარჯვებულ ენაში მისგან.

რაც შეეხება ენობრივ ჩვევებსა და ტენდენციებს, ისინიც, რა თქმა უნდა, მაშინ შემოდიან მიღებულ ენაში, როდესაც ხალხი ერიდროულად ორ ენაზე მეტყველებს, მაგრამ მათი ზემოქმედების შედეგები, შესაძლებელია, თანდათან უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდეს, რადგან ეს ჩვევები და ტენდენციები ენის ცვალებადობას იწვევენ, ცვალებადობა კი მთელ რიგ თაობებში ხორციელდება.

რაკი სუბსტრატი ენიდან შემოსული ჩვევები და ტენდენციები მოქმედებენ გამარჯვებულ ენაზე, ცხადია, რომ ეს უკანასკნელი ახალ კოლექტივში სხვაგვარად შეიცვლება, ვიდრე თავის ძველ კოლექტივში. ეს კი დასაწყისია ენის დიფერენციაციისა.

ამგვარად, ჩვენ ერთხელ კიდევ ვხედავთ, რომ ენათა შერევამ შეიძლება ერთგვარი ბიძგი მისცეს დიფერენციაციის პროცესს. მაგრამ როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს სუბსტრატის გავლენა, მის მიერ შემოტანილი ყველა თავისებურება ერთად არ აღემატება იმ თავისებურებებს, რომლებიც ერთ ტერიტორიულ დიალექტს განასხვავებს მეორისაგან. ამგვარად, ყველაზე ინტენსიური შერევის დროსაც კი მხოლოდ დიალექტები შეიძლება შეიქმნას გამარჯვებულ ენაში, ახალი ენები ამ პროცესის შედეგად არ წარმოიშვება.

§13. ნარევ ენებს განსაკუთრებული ყურადღება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიექცა, მაგრამ ერთიანი თეორია ენათა შერევის შესახებ არ შექმნილა. თვით ძირითადი საკითხებიც კი სრულიად სხვადასხვაგვარ გაგებას პოვებდა. ამასთანავე, ნარევ ენათა პრობლემის ასე თუ ისე გადაწყვეტა გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისადმი დამოკიდებულებაზეც.

პირველ ყოვლისა, საკამათო იყო თვით ის, არსებობს თუ არა ნარევი ენები. ორი ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრება იქნა გამოთქმული. ერთის მხრივ, შუხარდტი[1], ბოდუენ-დე-კურტენე[2], ნ. მარი[3] ამტკიცებდნენ, რომ ყველა ენა ნარევია, შეურეველი ენა არ არსებობსო. მეორე მხრივ, ანტ. მეიე აცხადებდა, ნარევი ენები არ არსებობსო.

ა. მეიეს აზრით, მხოლოდ სესხება ხდება ენებს შორის. სესხება შეიძლება სხვადასხვა ინტენსიობისა იყოს და მან სიტყვაწარმოების ახალი საშუალებები შექმნას. სესხება მორფოლოგიაში არ ხდება. თავის მოსაზრებას მეიე იმით ასაბუთებს, რომ მოლაპარაკეებს ყოველთვის აქვთ ორი ენის გარჩევის უნარი. ისინი ყოველთვის გრძნობენ, რომელ ენაზე ლაპარაკობენ და მათ აქვთ თავიანთ

---

[1] Schuchardt-Brevier, გვ. 153.

[2] Бодуэн-де-Куртенэ, О смешанном характере всех языков. Журнал Министерства народного просвещения, CCCXXXVII, Сентябрь. Петербург, 1901. გვ. 14.

[3] ნ. მარს ეს მოსაზრება არაერთგზის აქვს გამოთქმული.

ტრადიციულ ენაზე მეტყველების სურვილი. მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობისაა სესხება ენაში, მოლაპარაკეები არასოდეს არ აურევენ ერთი ენის მორფოლოგიას მეორეში. ამიტომ შერევა მხოლოდ მორფოლოგიის არმქონე ენებში შეიძლებაო[1].

მეიეს ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. მართალია, მოლაპარაკე ინდივიდებს აქვთ ორი ენის გარჩევის უნარი, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, თითქოს მათ არ გადმოჰქონდეთ ერთი ენის ელემენტები მეორეში. ფაქტია, რომ არსებობს ენები, რომლებსაც ზოგი მორფოლოგიური ელემენტი ნასესხები აქვთ. ამის მაგალითები ზემოთ უკვე მოვიყვანეთ.

აღსანიშნავია, რომ ერთი ენიდან მეორეში აფიქსთა სესხების შესაძლებლობას უარყოფს პაულიც. მისი აზრით, მხოლოდ მთელი სიტყვები გადადის ენიდან ენაში, მაწარმოებელი და ფლექსიის სუფიქსები კი—არასოდეს[2]. ამავე დროს მას თვითონ მოჰყავს ერთი ენიდან მეორეში აფიქსთა შესვლის მაგალითები: ფრანგულს ქვემოგერმანულისათვის უსესხებია მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ინგლისურიდან კი ინდოპორტუგალიურს მიუღია ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსი—s[3]. პაული ვარაუდობს, რომ ეს მაშინ ხდება, როდესაც ერთი და იმავე აფიქსით ნასესხებია ბევრი სიტყვა, ეს სიტყვები გარკვეულ ჯგუფს ქმნიან და მათი სუფიქსი, შეიძლება, მოქმედიც კი გახდესო. როგორც არ უნდა აიხსნას ეს მოვლენა, ფაქტია, რომ ერთი ენა მეორისაგან აფიქსებსაც სესხულობს.

მაშასადამე, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ნარევი ენები არსებობს. მაგრამ უეჭველად გადაჭარბებულია შუხარდტის, ბოდუენისა და ზოგი სხვა ენათმეცნიერის შეხედულება, თითქოს ყველა ენა ნარევი იყოს. საქმე ის არის, რომ შუხარდტიცა და მეიეც აიგივეებენ სესხებასა და შერევას. ოღონდ პირველი სესხებასაც შერევად თვლის, მეორეს კი, პირუკუ, შერევაც სესხებამდე დაჰყავს.

საერთოდ, სესხებასა და შერევას ენათმეცნიერები (პაული, ვანდრიესი...) მკვეთრად არ ითიშავენ ერთმანეთისაგან, თუმცა კი განასხვავებენ სიტყვათა სესხებას და აფიქსთა სესხებას (განსა-

---

[1] A. Meillet, La méthode comparative en linguistique historique. Oslo. 1925. გვ. 81—82. შდრ. აგრეთვე: Les parentés des langues. კრებულში: Linguistique historique et linguistique générale, 1921, გვ. 104, 105, 107, 108.

[2] H. Paul, Prinzipien der Sprachgeschichte, 1909, გვ. 399.

[3] იქვე, გვ. 400.

კუთრებით ვანდრიესი). ამის მიზეზი ის არის, რომ, პრინციპულად, როგორც სესხების, ისე შერევის დროს ადგილი აქვს ერთი ენის ფაქტთა გადატანას მეორეში. მაგრამ, ვინაიდან სესხება და შერევა სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ პირობებში მიმდინარეობს, და ვინაიდან ამის შესაბამისად არსებითად სხვადასხვაგვარია ერთი ენის გავლენის ინტენსიობა მეორეზე, ამიტომ ამ ორი მოვლენის გამიჯვნა აუცილებელია.

როგორც ვხედავთ, ენათა შერევის საკითხი სათანადოდ დამუშავებული არ ყოფილა ენათმეცნიერებაში. ამიტომ შეიძლება ერთგვარი გამართლება ჰქონდეს შუხარდტის სიტყვებს, იმ პრობლემებიდან, რომლებსაც დღეს ენათმეცნიერება განიხილავს, არც ერთი არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ენათა შერევის პრობლემაა[1]. საქმის ვითარებას უფრო ზუსტად ასახავდა ლ. შჩერბას შენიშვნა, ენათა შერევის ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში ყველაზე ნაკლებ ნათელთაგანიაო. მაგრამ არ არის გასაზიარებელი დასკვნა, რომელიც ავტორს აქედან გამოჰყავდა: შეიძლება საჭიროც იყოს დავეთანხმოთ მეიეს, რომ იგი (შერევა) სრულიად ამოვიღოთ საენათმეცნიერო ცნებათა ინვენტარიდანო[2].

ფაქტია, რომ გარკვეულ შემთხვევებში წარმოებს ენათა შერევა. ამიტომ ენათა შერევის ცნების ამოღება კი არ არის საჭირო, არამედ აუცილებელია შერევის არსის გარკვევა და იმ საზოგადოებრივ პირობათა შესწავლა, რომლებშიაც შერევა მიმდინარეობს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ენათა შერევის საკითხისადმი დამოკიდებულება ზეგავლენას ახდენდა გენეალოგიური კლასიფიკაციის შეფასებაზე. თუ, ერთის მხრივ, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის დამცველი ანტ. მეიე უარყოფდა ენათა შერევის შესაძლებლობას, მეორე მხრივ, შუხარდტი და ბოდუენ-დე-კურტენე ფიქრობდნენ, რომ ნარევ ენათა არსებობა ეჭვის ქვეშ აყენებს ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას. ნარევ ენებს ორი საწყისი მაინც აქვთ, ე. ი. ორ ნათესაობაში იმყოფებიან, ამიტომ მათი კლასიფიკაცია შეუძლებელიაო.

გამოდის, თითქოს ან გენეალოგიური კლასიფიკაცია უნდა აღვიაროთ და ენათა შერევის შესაძლებლობა უარვყოთ, ან არა და ნარევ ენათა არსებობა დავადასტუროთ და გენეალოგიური კლასიფიკაცია არამეცნიერულად მივიჩნიოთ.

---

[1] Schuchardt-Brevier, გვ. 151. შუხარდტის ამ სიტყვებს იმეორებს პაული, Prinzipien der Sprachgeschichte, გვ. 390.

[2] L. Ščerba, Sur la notion de mélange des langues. Лфетический сборник, IV, Ленинград, 1926. გვ. I.

სინამდვილეში ასეთი დილემა სრულიად არ დგას. ენათა შერევის შესაძლებლობის აღიარება არ მოითხოვს გენეალოგიურ კლასიფიკაციაზე ხელის აღებას. იმის საფუძველზე, რომ ნარევი ენები არსებობს, არ იქნება გამართლებული დავასკვნათ, თითქოს ენათა დიფერენციაციას არ ჰქონდეს ადგილი. ნამდვილად ერთიც ხდება და მეორეც. თუ კი დიფერენციაცია არსებობს, მაშინ არ შეიძლება პრინციპულად უარვყოთ გენეალოგიური კლასიფიკაცია, რომელიც დიფერენციაციის შედეგად მიღებულ ენებს აჯგუფებს. მაგრამ გასარკვევია, რა ახალ საკითხებს სვამს ენათა შერევა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინაშე?

ზოგი ენათმეცნიერის აზრით, ნარევი ენა ორი (შეიძლება მეტიც) ენისაგან მომდინარეობს, ორივეს ენათესავება. რომელ ჯგუფში უნდა მოვათავსოთ იგი?—ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ შერევაში ორი ენა ერთგვარ როლს არ თამაშობს. ნარევ ენაში გამოიყოფა ძირითადი ფენა, რომელიც გამარჯვებული ენისაგან მომდინარეობს. მეორე ფენას სუბსტრატი ენა ქმნის, მისი სიდიდე დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებშიაც შერევა ხდება, მაგრამ ეს ფენა ყოველთვის ძირითად ფენაზე უფრო მცირეა. ამის საფუძველზე ენას იმ ოჯახს მიაკუთვნებენ, რომელსაც ის უმთავრესი ფენის მიხედვით ენათესავება[1].

ამიტომ გადაჭარბებულია ანტ. მეიეს შიში ენათა შერევის გამო. იგი შენიშნავს, რომ არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს ხელსაყრელ პირობებში არ შეიძლებოდეს ნამდვილი „შერევა". ასეთ შემთხვევას თუ შევხვდებოდით, ენათმეცნიერების ამოცანა მეტად გართულდებოდაო, განაგრძობს ავტორი. შედარების საშუალებით ენის ისტორიის შექმნა იმიტომ შეძლეს, რომ თითოეულ ახალ სისტემას ერთი მთლიანი სისტემიდან მომდინარედ თვლიდნენ. თუ ორ თაედაპირველ სისტემასთან გვექნება საქმე, თანამედროვე მეთოდები აღარ იკმარებს, რადგანაც დადგება ორი სერიიდან საწყის ფორმათა არჩევის საკითხი და აქ ისეთ ნებისმიერობას ექნება ადგილი, რომ თითქმის შეუძლებელი იქნება რამის მტკიცება. საბედნიეროდ, ასეთი რთული შემთხვევები ენათმეცნიერებას დღემდე არ შეხვედრიაო, წერს მეიე და დასძენს: ასეთი სიძნელე თუ მართლა შეხვდება, ენათმეცნიერებამ უნდა გამოიმუშაოს ახალი, უფრო დახვეწილი მეთოდებიო[2].

---

[1] G. von der Gabelentz. Die Sprachwissenschaft, ihre Aufgaben, Methoden und bisherigen Ergebnisse. Leipzig, 1891, გვ. 272.

[2] A. Meillet, La méthode comparative, გვ. 83.

ალბათ ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ანტ. მეიე უარყოფს ენათა შერევის შესაძლებლობას.

ერთი გარემოება არ უნდა დავივიწყოთ: გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათმეცნიერების თვითმიზანი კი არ არის, ე. ი. მთავარი ის კი არ არის, რომ რომელიმე ენას ამა თუ იმ ოჯახში მივუჩინოთ ადგილი. გენეალოგიური კლასიფიკაცია აუცილებელია იმისათვის, რომ შედარებითი გზით შესწავლილ იქნეს მონათესავე ენათა ისტორია. ნარევ ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევას უდავოდ რიგი სიძნელეები ახლავს.

პირველ ყოვლისა საჭირო ხდება ნარევი ენის დაშლა შემადგენელ ფენებად, რომ შემდეგ თითოეული მათგანი მის მონათესავე ენებს შევადაროთ. მაგრამ ნარევი ენაო რომ ვამბობთ, საქმე გვაქვს არა მექანიკურ ნარევთან, რომლის დაშლა ადვილად ხერხდება, არამედ მთლიან მონაცემთან, რომლის ნაწილები, თუმცა სხვადასხვა წარმოშობისაა, მაგრამ ერთ სისტემაშია გაერთიანებული და ამ სისტემის შემადგენელ ნაწილთა გამოყოფა წარმოშობის მიხედვით რთულ პრობლემას წარმოადგენს.

ფენების გამოყოფის ერთადერთი საშუალება ისევ შედარება ჩანს. თუ მიკვლეულ იქნა ენის ერთ-ერთი ფენის ნათესაობა სხვა ენებთან, ამ უკანასკნელებთან შედარებით გამოიყოფა ის, რაც მათ შორის საერთოა, ე. ი. ერთი ფენა.

უფრო ადვილია ნარევი ენის ძირითადი ფენის გამოყოფა. ეს ფენა თავისი მოცულობით სჭარბობს მეორე ფენას, ამიტომ მეტ მასალას იძლევა შედარებისათვის და ამდენად სხვა ენებთან მისი ნათესაობის დადგენისათვისაც.

რაც შეეხება სუბსტრატი ენის ფენას, აქ მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია. ეს ფენა იმ ენიდან მომდინარეობს, რომელიც ხმარებიდან გამოვიდა, ე. ი. რომლის შესახებაც უფრო ხშირად არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება გარდა იმისა, რაც ნარევ ენაში არის შემოსული მისგან. როგორ გამოვყოთ ეს ფენა? მდგომარეობა მით უფრო რთულია, რაც უფრო მცირე მოცულობის არის სუბსტრატი ენის ფენა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, თუ ბირითადი ფენის გამოყოფას მოვახერხებთ მონათესავე ენებთან შედარების საფუძველზე, რაც ამის გარეშე დარჩება, ის იქნება სუბსტრატი ენიდან შემოსული. მაგრამ ასეთი დასკვნა შემცდარი იქნება ორი მიზეზის გამო:

ა) შედარების საშუალებით ვერ გამოვყოფთ ყველაფერ იმას, რაც მონათესავე ენებში საერთო წარმოშობისაა, რადგან ზოგი რამ

შეიძლება მხოლოდ ამ ენაში იყოს დაცული, სხვებს კი დაეკარგოს. მაშ, ნაწილი იმისა, რაც შედარების გარეშე რჩება, შეიძლება ძირითადი ფენის კუთვნილებას წარმოადგენდეს.

ბ) ზოგი რამ იქიდან, რაც მონათესავე ენებში შესატყვისობას არ პოულობს, შეიძლება თითოეულ მათგანში დამოუკიდებლად იყოს განვითარებული და არ მომდინარეობდეს სუბსტრატი ენისაგან.

ამგვარად, ნარევი ენები ართულებს მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებით შესწავლას. ამიტომ ენობრივი კვლევა-ძიების შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელია იმ საკითხთა დამუშავება, რომლებიც ნარევ ენათა თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

თავი მეოთხე

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის კრიტიკა უცხოურ ენათმეცნიერებაში

§14. XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ენათმეცნიერებაში შეინიშნება სკეპტიკური დამოკიდებულება ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისადმი. ასეთი დამოკიდებულება ნარევ ენათა შესწავლის სიძნელეებთან დაკავშირებით შეიქმნა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის კრიტიკა მოცემული გვაქვს ისეთ ენათმეცნიერებთან, როგორიცაა შუხარდტი და ბოდუენ დე-კურტენე, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ენათა შერევას.

როგორია ამ ავტორთა მიერ წამოყენებული დებულებები? შუხარდტს ექვი შეაქვს ფუძე-ენათა არსებობაში. იგი წერს: ამბობენ, მაგალითად, რომ ეულგარული ლათინური რომანულ ენათა ფუძე-ენაა. მაგრამ ეულგარული ლათინური, როგორც მთლიანი ენა, არ არსებობდა არასოდეს. რომაელი ჯარისკაცები და კოლონისტები სხვადასხვაგვარად მეტყველებდნენ. ამ სხვადასხვაგვარად მოლაპარაკე ადამიანებმა გაავრცელეს თავიანთი ენა რომს გარეთ (გალიაში, ესპანეთში...)[1].

შუხარდტის ამ აზრს იმეორებს ა. მეიეც[2].

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ინგლისელი კოლონისტები სხვადასხვა დიალექტზე ლაპარა-

[1] Schuchardt-Brevier, გვ. 178—9.

[2] A. Meillet, Les parentés des lungues, გვ. 103.

კობდნენ. ახალ სამშობლოში მათი მეტყველება ძლიერ გავლენას ახდენდა ერთმანეთზე. წარმოვიდგინოთ, რომ ოდესმე შეწყდეს ყოველგვარი ურთიერთობა ამერიკასა და ინგლისს შორის. საფიქრებელია, რომ ამას მოჰყვება ამერიკულის ცალკე ენად ქცევა და მასში დიალექტთა განვითარება. შუხარდტის აზრით, არ იქნებოდა მართებული ამერიკული ჩაგვეთვალა ამ დიალექტთა დედაენად, რადგან ამერიკული, როგორც ერთიანობა, არასოდეს არ არსებობდა. ახალ ტერიტორიაზე გადატანისთანავე მასში უკვე იყო სხვადასხვაობა, რაც, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი იქნება დიალექტებად მისი დიფერენციაციისა[1]. ასევე საეჭვოდ არის მიჩნეული ინდოევროპული ფუძე-ენის არსებობა[2].

შუხარდტს მაგალითისათვის მოჰყავს ისეთი შემთხვევები, როდესაც დიფერენციაცია ენის ახალ ტერიტორიაზე გავრცელების შედეგად ხდება და ეს ენა, რომელსაც ახალი მოსახლეობა იღებს, უკვე შეიცავს კუთხურ სხვაობებს. არ არის აუცილებელი, უეჭველად ამ ტიპის მაგალითებს მივმართოთ. უფრო ხელშესახები იქნება დასმული პრობლემა, თუ ენის გახლეჩის შემთხვევებს განვიხილავთ.

შუხარდტის მსჯელობას რომ გავყვეთ, გამოგვივა: ენა, როგორც მთლიანობა, არ არსებობს, რადგან ის დიალექტებად იშლება; არც დიალექტებია სინამდვილეში, რადგანაც ისინი კილოკავებს შეიცავენ; მაგრამ არც კილოკავია რეალური მონაცემი, ესეც ხომ ქცევებად იყოფა და ა. შ. ამ გზით ბოლოს ინდივიდუალურ ენათა აღიარებამდე მივიდოდით. მართლაც, შუხარდტის მსჯელობას საფუძვლად ენის ინდივიდუალისტური გაგება უდევს[3].

ენა, როგორც მთლიანობა, რეალურად არსებობს. მაგრამ არ უნდა ვეძებოთ ის დიალექტების გარეთ ან ისტორიულად დიალექტებზე წინ, ისევე, როგორც საერთოდ მთელი არ არსებობს ნაწილებისაგან განცალკევებით. ქართულ ენას ქართლურ-კახურ-გურულ-იმერულ და სხვა დიალექტთა ერთიანობა ქმნის და არა სხვა რამ. რომ მართლაც ასეა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთი ენის სხვა-

---

[1] Schuchardt-Brevier, გვ. 176—8.

[2] იქვე, გვ. 234.

[3] შუხარდტი მხოლოდ ინდივიდუალურ ენებს მიიჩნევს რეალურად. მისთვის არა მხოლოდ ფუძე-ენა არ არსებობდა, არამედ ესპანური, ფრანგული ან იტალიური ენებიც მხოლოდ გეოგრაფიულ კოლექტიურ გამოთქმებს (geographische Kollektivausdrücke) წარმოადგენს. Schuchardt-Brevier, გვ. 172.

დასხვა დიალექტზე მოლაპარაკეთათვის ერთმანეთის მეტყველება გასაგებია, რომელიმე სხვა ენა კი—გაუგებარი.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, ვულგარული ლათინურისაგან წარმოიშვა რომანული ენებიო, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ფუძე-ენების შესახებ ისეთივე უფლებით, როგორითაც ვამბობთ, რომ დღეს არსებობს ქართული ენა, არსებობს რუსული და სხვ.

შუხარდტი თვითონ წერს: „ჩვენ იმ პუნქტამდე მივედით, როდესაც საჭიროა ენობრივ ერთიანობაზე დაფუძნებული ენობრივი მრავალფეროვნება ავხსნათ"-ო, და ამ მოვლენის მიზეზად ორ ფაქტორს, ცენტრისკენულ და ცენტრიდანულ ძალებს, მიიჩნევს[1]. ამის შემდეგ არათანმიმდევრულია მისივე მსჯელობა, რომ „ამერიკული. როგორც ერთიანობა, არასოდეს არ არსებობდა".

შუხარდტი და ბოდუენ-დე-კურტენე სვამენ საკითხებს, რომლებიც, მათი აზრით, საეჭვოს ხდის გენეალოგიური კლასიფიკაციის ღირებულებას. აი, ეს საკითხები:

1. რომანულ დიალექტთა შესწავლამ შუხარდტი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დიალექტებს შორის საზღვრები არ არსებობს[2]. თითოეულ ენობრივ მოვლენას თავისი გავრცელების საზღვრები აქვს. სხვადასხვა მოვლენათა საზღვრები არ ემთხვევა ერთმანეთს. რადგან დიალექტები არ წარმოადგენენ თავისთავადს, ერთმანეთისაგან მკვეთრად გათიშულ ერთეულებს, შეუძლებელი ხდება მათი კლასიფიკაცია, შეუძლებელია დიალექტთა გენეალოგიური ხის შედგენა. ასეთი რამ მაშინ იქნებოდა მოსახერხებელი, რომ ადგილი ჰქონდეს ერთი პუნქტიდან სხვადასხვა მიმართულებით კოლონიათა გამოყოფის და შეწყდეს ყოველგვარი კავშირი ამ კოლონიებს შორის[3]. მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. დიალექტები მუდმივ ურთიერთობაში არიან და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

დიალექტების კვლევიდან მიღებულ შედეგებს შუხარდტი ენებზე

---

[1] Schuchardt-Brevier, გვ. 171. ცენტრიდან ძალას შუხარდტი დიფერენციაციის ტენდენციას უწოდებს, ცენტრმიმსწრაფს კი—უნიფიკაციისას.

[2] ეს მოსაზრება შუხარდტმა პირველად გამოთქვა 1868 წ. ნაშრომში: Der Vokalismus des Vulgärlateins. III. შემდეგ განავითარა 1870 წ. წაკითხულ საცდელ ლექციაში, რომელიც 1900 წ. დაიბეჭდა სათაურით Über die klassifikation der romanischen Mundarten. ამ შეხედულებებმა, რომლებიც გამოხატულებას პოვებს გეოგრაფიული ცვალებადობის (geographische Abänderung) თეორიაში, საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმდინარეობას, რომელიც ლინგვისტური გეოგრაფიის სახელით არის ცნობილი.

[3] Schuchardt-Brevier, გვ. 172.

ავრცელებს და ეპვი შეაქვს მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობაში. იგი ილაშქრებს შლაიხერის გენეალოგიური ხის თეორიის (Stammbaumtheorie) წინააღმდეგ.

ასევე ბოუდენ-დე-კურტენეც წერს, რომ არის შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია სრული სიზუსტით ვუჩვენოთ, თუ სად თავდება ენობრივი გამოვლენანი (языковые проявления) და თავისებურებები, რომლებიც გარკვეულ ენობრივ შტოს ან ოჯახს ახასიათებს. არ ხერხდება, მაგალითად, ზუსტი საზღვრების დადგენა რომანულ ან სლაეურ ენებს შორის[1].

2. დასახელებული მკვლევრები ენათა ისტორიაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ შერევას. შეურეველი ენები, მათი აზრით, არ არსებობს.

შერევის შედეგად ყოველი ენა იმყოფება რამდენიმე ნათესაობაში, რომლებიც თავიანთი მოცულობით და ღირებულებით არათანაბარი არიან. კლასიფიკაციის დროს გვხვდება ენები, რომლებსაც საშუალო მდგომარეობა უჭირავთ ორ ოჯახს შორის[2]. ასეთ ენად მიაჩნია ბოუდენს სომხური, რომელიც თანაბრად ეკუთვნის ინდოევროპულ ოჯახს და კიდევ რომელიღაც სხვას[3].

შერევის გვერდით შუხარდტი ყურადღებას ამახვილებს ენათა ელემენტარულ ნათესაობაზე[4]. ეს უკანასკნელი, მისი აზრით, ადამიანური მეტყველების ზოგად ერთიანობას ემყარება. ელემენტარულ ნათესაობაში შუხარდტი გულისხმობს ისეთ საერთო მოვლენებს ენათა შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან წარმოშობილი მათში პარალელური უძველესი შემოქმედების შედეგად[5] და ამგვარად არ აიხსნებიან ისტორიული ნათესაობით. ელემენტარული ნათესაობა პირველ ყოვლისა ენათა შინაგან ფორმაში დასტურდება, თუმცა, ავტორის აზრით, იგი შესაძლებელია გარეგან, ბგერით ფორმაშიაც გამოვლინდეს.

ამგვარად, შუხარდტს შესაძლებლად მიაჩნია სამგვარი ნათესაობის არსებობა: 1. წარმოშობითი ანუ ისტორიული ნათესაობა

---

[1] Бодуэн-де-Куртенэ, Языкознание, გვ. 524.

[2] Schuchardt-Brevier, გვ. 96.

[3] Языкознание, გვ. 524—525.

[4] ელემენტარული ნათესაობის აღსანიშნავად შუხარდტმა შემოიღო აგრეთვე ტერმინი Affinität, რომელიც ჭიმიიდან და მუსიკიდან არის ნასესხებიო (Schuchardt-Brevier, გვ. 197).

[5] Parallele Urschöpfung (Schuchardt-Brevier, გვ. 219).

(Urverwandtschaft). 2. სესხება (Entlehnung) და 3. ელემენტარული ნათესაობა (Elementarverwandtschaft)[1]. ამასთან იგი გაჯაზავს, რომ ამ სამი შემთხვევის გამიჯვნა ერთმანეთისაგან ხშირად ძალიან ძნელია. ხშირად გაურკვეველი რჩება, ისტორიულ ნათესაობასთან გვაქვს საქმე თუ ელემენტარულთან[2].

3. ჩვენი შეხედულებები ენათა გენეტურ და ისტორიულ ნათესაობაზე არ არის ზუსტად და საბოლოოდ დადგენილი, წერს ბოდუენ-დე-კურტენე. იგი ასახელებს ამის მიზეზებს: 1) კერძო ფაქტთა არასაკმარისად ცოდნა, 2) კვლევის არაზუსტი მეთოდი. 3) საკვლევ ობიექტთა ბუნება. ენები, რომლებიც ერთ დროს თითქმის ერთგვარი თუ არა, ერთმანეთთან ახლოს მყოფნი და მსგავსნი მაინც იყვნენ, დროთა განმავლობაში ისე იცვლებიან, რომ იკარგება მათი ისტორიული ერთიანობის ყოველგვარი კვალი. მაგალითად მხოლოდ ახალი ინდური, სომხური, ბულგარული და ინგლისური ენები რომ ყოფილიყო შემონახული ინდოევროპულიდან, ვერ დავამტკიცებდით მათ ერთმანეთთან ნათესაობას. ამიტომ, ასკვნის ბოდუენი, არ არის არაფერი გასაოცარი იმაში, რომ შეხედულებანი ცნობილ ენობრივ ოჯახთა და მათ განშტოებათა ნათესაობაზე მერყეევი და დაუდეგარი არიან, ანდა—იცვლებიან დროთა განმავლობაში[3].

უკანასკნელ საკითხს უკავშირდება შუხარდტის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ენათა ნათესაობის მტკიცებისას სიმძიმის ცენტრი გადააქვთ გრამატიკაზე, რადგან ის უფრო გამძლედ ითვლება, ვიდრე ლექსიკა, მაგრამ ეს გამძლეობა არ წარმოადგენს კანონს. ამის ნიმუშია ფრანგული გრამატიკის მიმართება ლათინური ენის გრამატიკასთანო[4].

4. ბოლოს, შუხარდტი იმაზედაც მიუთითებს, რომ მორფოლოგიის არმქონე ენათა ნათესაობა ვერ მტკიცდება.

განვიხილოთ შუხარდტისა და ბოდუენის მიერ დასმული საკითხები. პირველად დიალექტთა გამოყოფის შესახებ მოგვიხდება ლაპარაკი.

---

[1] Schuchardt-Brevier, გვ. 248—249. აღსანიშნავია, რომ სხვა ადგილას შუხარდტი მხოლოდ ორგვარი,—ისტორიული (გენეტური) და ელემენტარული—ნათესაობის შესახებ ლაპარაკობს (იქვე, გვ. 197, 209—210).

[2] იქვე, გვ. 197, 212.

[3] Бодуэн-де-Куртенэ, Языкознание, გვ. 525.

[4] Schuchardt-Brevier, გვ. 230.

წინააღმდეგ შუხარდტის და ლინგვისტური გეოგრაფიის წარმომადგენელთა მტკიცებისა, დიალექტი არ არის რეალობას მოკლებული მეცნიერული აბსტრაქცია. მის საზღვრებს კუთხის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საზღვრები წარმოადგენს. და თუმცა ამა თუ იმ მოვლენის გავრცელების იზოგლოსები დიალექტიდან დიალექტში გადადის, მაინც ენობრივად დიალექტის ინდივიდუალობას ქმნის მასში გავრცელებულ მოვლენათა თავისებური კომბინაცია, რაც სხვა დიალექტში ამ სახით არ მეორდება.

ენის დაყოფა კილოებად, კილოკავებად, თქმებად და ა. შ. ენის საზოგადოებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს და ემყარება ამ ენაზე მეტყველ ადამიანთა სხვადასხვაგვარ დაჯგუფებებს. ამიტომ დიალექტთა ურთიერთმიმართება სხვადასხვაგვარია სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებაში.

გვაროვნულ წყობილებაში მონათესავე დიალექტებზე მოლაპარაკე ტომები ვრცელი ტერიტორიებით იყვნენ ერთმანეთს დაშორებული და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა არ შექმნილა სიძნელეს.

კლასობრივი საზოგადოების შექმნისას ადამიანთა ნათესაური ურთიერთობის მიხედვით განაწილება შეიცვალა ტერიტორიული განაწილებით. ამას უეჭველად მოჰყვებოდა დიალექტთა საზღვრების გადანაცვლებაც. კარჩაკეტილ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად დაყოფილ ფეოდალურ სახელმწიფოებშიც დიალექტები საკმაოდ მკვეთრად გამოეყოფოდნენ ერთმანეთს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილები აღარაა ერთმანეთისაგან გათიშული. ისინი ცხოველ პოლიტიკურ-ეკონომიურ-კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებიან. ამის შეღეგად სხვადასხვა დიალექტი ინტენსიურად მოქმედებს ერთმანეთზე, ხდება მათი უნიფიკაცია.

შუხარდტი და ლინგვისტური გეოგრაფიის წარმომადგენლები სწავლობდნენ დიალექტებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მათ მიერ გამოტანილი დასკვნების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ წინა ფორმაციებში დიალექტთა ბუნებაზე.

თვით კაპიტალისტურ საზოგადოებაშიაც, როგორც აღნიშნული იყო, არ შეიძლება ითქვას, რომ დიალექტები არ არსებობენ. ეს კია, რომ ისინი ისე მკვეთრად აღარ გამოეყოფიან ერთმანეთს, როგორც წინა ფორმაციებში, რაც ართულებს მათ კლასიფიკაციას. ამის მიზეზებია: 1) დიალექტთა შერევა, 2) ის, რომ ნაციონალური ენები სპობენ მკვეთრ დიალექტურ სხვაობებს. 3) პოლიტიკურ სა-

ზღვართა გადანაცვლება აძნელებს დიალექტთა შორის საზღვრების დადგენას, რადგანაც ძველი საზღვრები კარგა ხანს ძალაში რჩება, ხოლო ამასთანავე იწყება ახალ საზღვართა მოქმედება.

რაც შეეხება ენათა შორის საზღვრების არსებობას, აქ საკითხი უფრო ნათელია. დიალექტისაგან განსხვავებით ენას მკვეთრი საზღვრები აქვს. შუხარდტი ამბობს: ერთი პუნქტიდან სხვადასხვა მიმართულებით რომ წავიდოდნენ ახალშენები და შეწყდეს ყოველგვარი კავშირი ამ ახალშენებს შორის, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა კლასიფიკაციაო. და განა, როდესაც ენებთან გვაქვს საქმე, ასე არ ხდება? განა ინდური და ბერძნული ასეთ ახალშენებს არ წარმოადგენენ? განა ვინმეს გაუჭირდება დადოს საზღვარი ქართულსა და სვანურს შორის? განა არსებობს თანდათანობითი გადასვლა მეგრულსა და სვანურს შორის ისე, რომ ვერ გაარჩიო, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე? ი. შმიდტიც ხომ აღიარებს, რომ შუამავალი დიალექტები, რომლებიც აერთიანებდნენ ინდოევროპულ დიალექტთა განუწყვეტელ ტერიტორიებს, გაქრნენ. განუწყვეტელი გარდამავლობა გვექნებოდა დიფერენციაციის პროცესის დასაწყისში, როდესაც დიალექტების ჩამოყალიბება ხდებოდა. შემდეგ გაწყდა კავშირი ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ტომთა შორის, „გამოეყო ახალშენები სხვადასხვა მიმართულებით“ და ამან განსაზღვრა დიალექტთა ქცევა ენებად, რომლებიც მკვეთრად გამოვლენილ მთლიანობებს წარმოადგენენ და, მაშასადამე, მათ კლასიფიკაციასაც არაფერი უშლის ხელს.

ამგვარად, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ენა და დიალექტი. ერთის კანონზომიერებანი ყოველთვის არ ხვდებიან მეორისას.

სიძნელე მაინც შეიძლება შეგვხვდეს, ოღონდ არა ენის გამოყოფის ან მის თავისებურებათა გარკვევის, არამედ ენის გეოგრაფიული საზღვრების დადგენის დროს. ეს უმთავრესად მაშინ ხდება, როდესაც მონათესავე ენათა დიფერენციაცია შორს არ არის წასული და საქმე გვაქვს დიალექტებიდან დამოუკიდებელ ენებზე გარდამავალ მდგომარეობასთან. ამის მიზეზი კი ის შეიძლება იყოს, რომ ბევრ ხანს არ გაუვლია ენათა ერთმანეთისაგან დაშორების შემდეგ და, ამასთანავე, მათზე მოლაპარაკე ჯგუფები მთლიანად არ მოწყვეტილან ერთმანეთს, მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა არ მოსპობილა. იმ ზონაში, სადაც ასეთი ენები ერთმანეთს ემეზობლებიან, მათ შორის სხვაობა არ არის მკვეთრი იმიტომ, რომ ურთიერთობა აძნელებს

დიფერენციაციის განსაკუთრებით შორს წასვლას. ამის გამო, შეიძლება, გაჭირდეს ასეთ ენათა შორის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა. ასეთ მდგომარეობაში უნდა იყოს რომანულ ენათა უმრავლესობა. ეს ენები გვიან გამოეყვნენ ერთმანეთს. ამავე დროს, კონტაქტი მათ შორის მთლიანად არასოდეს არ შეწყვეტილა. ამიტომ არის, რომ იტალია-საფრანგეთის საზღვარზე, მაგალითად, ძნელდება სადემარკაციო ხაზის გავლება იტალიურსა და ფრანგულ ენებს შორის. მაგრამ სიძნელეს არ წარმოადგენს რუმინული ენის საზღვრების დადგენა, რადგან ამ ენაზე მოლაპარაკენი მოწყვეტილი არიან სხვა რომანულ ენებზე მეტყველთაგან.

ზოგჯერ დიალექტი ენის როლში გამოდის მასზე მოლაპარაკე ხალხის დამოუკიდებელ ნაციონალურ ერთეულად გამოყოფის გამო. ხოლო დიალექტთა კლასიფიკაცია, როგორც აღნიშნული იყო, ამჟამად უფრო რთულია, ვიდრე ენებისა, რადგანაც ჩვენი ეპოქისათვის უნიფიკაციის პროცესია მეტად დამახასიათებელი. და ეს პროცესი ბევრად უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ერთი ენის დიალექტებში, ვიდრე სხვადასხვა ენებში.

ამგვარად, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზოგიერთი სიძნელე შეგვხვდეს მონათესავე ენათა გამიჯვნის დროს, მაგრამ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ ამის გამო ეჭვი შეგვეპაროს საერთოდ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის შესაძლებლობაში.

ანგარიშგასაწევია ბოდუენის შენიშვნები იმის შესახებ, თუ რა უშლის ხელს ენათა ნათესაობის ზუსტად დადგენას. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ პუნქტზე, სადაც ბოდუენი ამბობს, რომ დროთა განმავლობაში ენათა ოდინდელი ნათესაობის კვალი შეიძლება გაქრეს და ამიტომ შეუძლებელი გახდეს მათი ურთიერთობის გარკვევა.

მორფოლოგიის არმქონე ენებში გენეალოგიური კლასიფიკაციის მოხდენის სიძნელეებიც, რაზედაც შუხარდტი მიუთითებს, მწვავედ იგრძნობა.

ორივე დასახელებული ავტორი ამახვილებს ყურადღებას ნარევ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის სიძნელეებზე. ვინაიდან ამ საკითხებზე წინა თავში სპეციალურად გვქონდა საუბარი, ამიტომ მათ აღარ დავუბრუნდებით.

ყურადღებას იქცევს შუხარდტის მიერ ელემენტარული ნათესაობის გამოყოფა. უდავოა, რომ მსგავსი მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ენათა.

სტრუქტურაში. რაც შეეხება ბგერით მხარეს, აქ მხოლოდ ხმაბაძვით სიტყვებში ან ინსტინქტურ წამოძახილებში თუ გვექნება ელემენტარული მსგავსება. მაგრამ ასეთ სიტყვათა ხვედრითი წონა ძლიერ მცირეა ენის მთელ ლექსიკურ მარაგთან შედარებით. ამიტომ გაზვიადებულია იმის საშიშროება, თითქოს ელემენტარული ნათესაობა შეიძლება აირიოს წარმოშობით ნათესაობაში, რომელიც ენის ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობას ემყარება. ასეთი საფრთხე შეიძლება არსებობდეს არა მთლიანად ენათა ურთიერთმიმართების გარკვევის დროს, არამედ მხოლოდ ერთეულ ფაქტთა ისტორიის დადგენისას.

მიუთითებს რა ზემომოყვანილ სიძნელეებზე, შუხარდტი მართებულად შენიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვართ უარი ვთქვათ ენათა ნათესაობის მტკიცებაზე, რადგან იგი არ არის გამოვლენილი. მაგრამ სრულიად გაუგებარია დასკვნა, რომელიც მას აქედან გამოაქვს: ეს იმაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, რომ ნათესაობა მეტად ღრმად არის დაფარული, განაგრძობს იგი, არამედ ის საერთოდ არ უნდა არსებობდესო. და სვამს კითხვას: შეესატყვისება თუ არა რეალურ სინამდვილეს ენათა ნათესაობაო?[1]

იმის გამო, რომ ზოგ შემთხვევაში ენათა ნათესაობა არ არის მკაფიოდ გამოვლენილი და არ ხერხდება მისი დადგენა, არ არის გამართლებული ეჭვი შევიტანოთ საერთოდ ენათა ნათესაობაში. ცნობილია მთელი რიგი ოჯახები, რომლებში შემავალი ენებიც ერთმანეთის მონათესავედ ითვლება. არის თუ არა რაიმე საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ენები არ არიან საერთო წარმოშობისა? შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ მათ შორის არსებული მსგავსებანი შემთხვევითი ხასიათისა არიან:—არც შუხარდტს, არც ბოდუენს არ მოჰყავთ რაიმე მოსაზრება, რომელმაც ასეთი საკითხები დასვას. ამ მკვლევრებს არ შეაქვთ ეჭვი იმაში, რომ ინდოევროპული ენები მართლა საერთო წარმოშობისა არიან.

განა მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგ ენაში ნათესაობა დაჩრდილულია, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ასეთ ენათა საერთო წარმოშობის დამტკიცება, სადაეო უნდა გახდეს უდავო ფაქტი, რომ, მაგალითად, რუსული ენა პოლონურის მონათესავეა?—რა თქმა უნდა, არა.

ერთია ნათესაობის რეალურად არსებობა და მეორე—ენათმეცნიერების შესაძლებლობანი ამ ნათესაობის აღმოსაჩენად. ყველაფერი, რაზედაც ბოდუენი და შუხარდტი მიუთითებენ, მეორე

[1] Schuchardt-Brevier, გვ. 230.

საკითხს ეხება, ე. ი. იმას, თუ როდის ვერ ხერხდება გენეალოგიური კლასიფიკაციის მოხდენა. და მართლაც, მთელ რიგ შემთხვევებში ენათმეცნიერება უძლურია დაადგინოს ენათა ნათესაობა. მაგრამ ეს სრულიადაც ვერ დაგვაეჭვებს ნათესაობის არსებობაში იქ, სადაც ის უკვე დადგენილია. მაშასადამე, არ შეიძლება დავსვათ საკითხი, შეესაბამება თუ არა რეალურ სინამდვილეს ენათა ნათესაობა.

ა. მეიეც მიუთითებს გენეალოგიური კლასიფიკაციის სიძნელეებზე, მაგრამ აქედან მას მხოლოდ ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საჭიროა ამ სიძნელეთა გადალახვა[1].

იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებს შუხარდტი ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას, მოსალოდნელი იყო, რომ იგი სავსებით უარყოფდა მას, მაგრამ ასე არ მოხდა. ენათა ნათესაობა არ შეიძლება მკაცრ მეცნიერულ ცნებად ჩავთვალოთ, მაგრამ ის მაინც არ უნდა უკუვაგდოთო, წერს ეს მკვლევარი[2]. სხვა ადგილას ნათქვამია, ენათა ნათესაობის ცნებას მე არ უარვყოფ, მე მხოლოდ ვაცლი მას მტკიცე საზღვრებს და აქამდე მე ცოცხალ ენებზე დაკვირვებით მივედიო[3].

§ 15. 30-იან წლებში ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება თანდათანობით ძლიერდება. თუ შუხარდტი, ბოდუენ დე-კურტენე და მათ თვალსაზრისზე მდგომი ენათმეცნიერები ჩვენი საუკუნის დამდეგს ერთეულ გამონაკლისებს წარმოადგენდნენ, ხოლო ენათმეცნიერება ძირითადად მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის გზით ვითარდებოდა, 30-იანი წლებიდან მოყოლებული გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპთა კრიტიკა ბევრად უფრო ფართო ხასიათს იღებს და, რაც მთავარია, ამის შედეგად თვით კონკრეტულ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლაც იზღუდება. მონათესავე ენათა კვლევიდან ყურადღების გადანაცვლება კარგად ჩანს ულენბეკის ერთ-ერთ წერილში, სადაც ავტორი აღნიშნავს: ამ ორმოცდაათი წლის წინ ბასკური ენის კვლევა რომ დავიწყე, ჩემი თვალთახედვა, რომელიც ჩემი ცოდნის შეზღუდულობის გამო მეტად შეზღუდული იყო, პირველ ყოვლისა მიმართული იყო იქითკენ, რომ წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობა (Urverwandtschaftverhältnissen) გამერკვია. მას შემდეგ თანდათანობით მე იმ შეხედულებამდე მი-

[1] A. Meillet, Le problème..., გვ. 97—98.

[2] Schuchardt-Brevior, გვ. 231.

[3] იქვე, გვ. 234.

ვედი, რომ ჩვენი პირველი ამოცანა შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში ის კი არ არის, რომ წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობა დავადგინოთ, არამედ ბევრად უფრო მეტად ისაა, რომ თავისთავად მეტად რთული ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური თანხვედრები აღმოვაჩინოთ სხვადასხვა ენებს შორის და ამგვარად გავიკაფოთ გზა კიდევ უფრო ძნელი კვლევისათვის, თუ რა ხასიათისაა ასეთი თანხვედრები და როგორ აიხსნებიან ისინი ისტორიულ-გენეტურადო[1].

ძირითადი დებულებები, რომლებსაც ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ აყენებენ, ამჟამადაც იგივეა, რაც შუხარდტთან გვხვდებოდა. მთავარი არგუმენტია ენათა შერევის არსებობა. მიუთითებენ, რომ შერევის (ან სესხების) დროს ხდება სხვადასხვა წარმოშობის ენათა დაახლოება. ამის საფუძველზე ენათა წარმოშობითი ანუ პირველადი ნათესაობის (გერმ. Urverwandtschaft, ფრანგ. parenté) გვერდით გამოყოფენ მეორეულ ნათესაობას ანუ დამსგავსებას (გერმ. sekundäre Verwandtschaft, ფრანგ. parenté secondaire, l'affinité) და გაბაზავენ, რომ წარმოშობითი და მეორეული ნათესაობა ძალიან გვანან ერთმანეთს.

ამ ორს ემატება მესამე შემთხვევაც. ესაა ენათა პარალელური განვითარება ანუ, შუხარდტის ტერმინით, ელემენტარული ნათესაობა (Elementarverwandtschaft, l'affinité élémentaire), რაც იმას გულისხმობს, რომ მსგავსი მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც წარმოიშვება სხვადასხვა ენებში.

საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს ამ სხვადასხვაგვარი წარმოშობის მსგავსებათა გარჩევა შეუძლებელი იყოს და ამდენად საეჭვო ხდებოდეს ენათა გენეტურ ნათესაობაზე დამყარებული გენეალოგიური კლასიფიკაციის ღირებულება.

მნიშვნელოვან გალაშქრებას ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ენათმეცნიერთა მესამე საერთაშორისო კონგრესზე 1933 წ. რომში. ამ კონგრესის დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად შეტანილი იყო: ენათა ურთიერთგავლენა, როგორც ცვალებადობის მიზეზი. ამასთან დაკავშირებით მსჯელობა კვლავ ენათა შეჯვარედინებას, ენათა წარმოშობითს ნათესაობასა და ენათა დაახლოებას შეეხო.

---

[1] C. C. Uhlenbeck. Vorlatcinische indogermanische Anklänge im Baskischen. Anthropos. B. XXV—VI, 1940—41, H. 1—3, გვ. 202.

ყურადღების ცენტრში იყო ჰოლანდიელი ენათმეცნიერის ვან გინეკენის მოხსენება[1]. გინეკენი შეეცადა ცვლილება შეეტანა ენათა ნათესაობის ტრადიციულ გაგებაში. იგი ენაში სამ სართულს გამოყოფს: 1. სარდაფი—ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის სფერო. 2. პირველი სართული და ბელეტაჟი—ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სფერო და 3. მეორე სართული—კულტურის, სტილისტიკის, კონკურენციისა და პოლიტიკის სფერო.

სარდაფს ქმნის სამეტყველო ორგანოთა ბიოლოგია, რომელსაც უკავშირდება ენათა ნათესაობის შლაიხერისეული თეორია მისი გენეალოგიური ხითურთ. ეს თეორია მცდარად, ცალმხრივად მიაჩნია ავტორს. იგი აღნიშნავს, ჩვენი იდეები ენათა ნათესაობაზე ამჟამადაც გაჟღენთილია ამ თეორიითო და აცხადებს, მე წლების მუშაობა დამჭირდა იმისათვის, რომ სავსებით გავთავისუფლებულიყავი მისგანო[2].

რას უპირისპირებს გინეკენი ენათა ნათესაობის ტრადიციულ გაგებას? იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენათა შეჯვარედინებას. მისი აზრით, თითოეული რომანული ენა ენათესავება, ერთის მხრივ, ლათინურს, რომლისგანაც მომდინარეობს ის, რაც ამ ენებს საერთო აქვს, ხოლო მეორე მხრივ, იმ სუბსტრატ ენას, რომელიც ადგილობრივ შეუჯვარედინდა ლათინურს და რომელიც განსხვავებული იყო ყოველი მათგანისათვის. სუბსტრატის მქონე ენები თანაბრად განეკუთვნებიან ორ ლინგვისტურ ოჯახსო, აღნიშნავს გინეკენი და ასახელებს სომხურს, რომელიც ინდოევროპული ენაცაა და კავკასიურიც, რუმინულს, რომელიც რომანულიცაა და სლავურიც და ბასკურს, რომელიც კავკასიურიც არის და ქამიტურიც[3]. ხშირად ერთ ენას რამდენიმეჯერ აქვს განცდილი შეჯვარედინება. მაგ., რუმინულს, ალბანურს, ინგლისურს.

თვით ენათა შეჯვარედინების პროცესი ვან გინეკენს მეტად გამარტივებულად და მექანიკურად ესმის, ზუსტად ისევე, როგორც ეს მცენარეებთან და ცხოველებთან გვხვდება. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა შეუღლებისას ბავშვები მემკვიდრეობით იღებენ ორგვარ საარტიკულაციო ბაზისს, რომელთა კომბინაცია

---

[1] Actes du III ème Congrès international de linguistes (Rome, 19—26 septembre 1933—XI). Florence, 1935. Il. prof. Jacques van Ginneken dà lettura della relazione ufficiale a lui affidata (გვ. 29—47).

[2] იქვე, გვ. 30.

[3] იქვე, გვ. 33.

გვაძლევს ბავშვის საარტიკულაციო ბაზისს. ამგვარად, ფონეტიკური თავისებურებები მემკვიდრეობით გადაცემულად ცხადდება. რომაელი ჯარისკაცები ქორწინდებოდნენ ადგილობრივ ქალებზე გალიაში, იბერიაში... მათი ბავშვები მემკვიდრეობით იღებდნენ საარტიკულაციო ბაზისს, როგორც მამისაგან, ისე დედისაგან ბიოლოგიის კანონების მიხედვით. სწორედ ამ შთამომავლობამ მისცა სათავე ფრანგ, ესპანელ და რუმინელ ხალხებსო. გვეუბნება გინეკენი[1]. ამიტომ იგი შლაიხერის გენეალოგიურ ხეს, რომლის მიხედვითაც:

ინდოევროპული


|

ლათინური

|

ფრანგული

შემდეგნაირად ცელის:[2]



ამის საფუძველზე ვან გინეკენი განასხვავებს ორგვარ ნათესაობას: პარალელურ ნათესაობას და იზოლირებულ ნათესაობას (la parenté isolée). პირველი გულისხმობს შვილი-ენების ნათესაობას ფუძე-ენასთან. ასეთ ნათესაობაში იმყოფებიან რომანული

[1] Actes du III ème Congrès..., გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 26.

ენები ლათინურთან, ინდოევროპული ენები თავიანთ ფუძე-ენასთან[1].

იზოლირებულ ნათესაობაში ავტორს ესმის თითოეული ამ შვილი-ენის ნათესაობა თავის სპეციალურ ენასთან. ასეთ ნათესაობაში იმყოფება ესპანური იბერიულთან, სომხური სამხრეთ-კავკასიის ენებთან[2].

ორმხრივი ნათესაობის შემოტანა, ვან გინეკენის აზრით, ასწორებს შლაიხერის დამახინჯებულ გენეალოგიურ ხეს. ამასთან ის ფიქრობს, რომ იზოლირებული ნათესაობა, რომელსაც აქამდის ანგარიში არ ეწეოდა, როგორც უფრო მარტივი, უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე რთული პარალელური ნათესაობა[3]. იზოლირებული ნათესაობის კვლევას სხვა მეთოდი სჭირდება, ვიდრე პარალელურ ნათესაობას, რომელიც უგამონაკლისო ფონეტიკურ კანონებს ემყარება[4].

გარდა პარალელური და იზოლირებული ნათესაობისა შეჯვარედინებულ ენათა ნათესაობაში, ვან გინეკენის აზრით, გარჩეული უნდა იქნეს: პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული ნათესაობა[5]. აგრეთვე მონოჰიბრიდული, დიჰიბრიდული, ტრიჰიბრიდული და პოლიჰიბრიდული შეჯვარედინებები[6].

შეჯვარედინებაზე დამყარებული იზოლირებული ნათესაობა მხოლოდ საარტიკულაციო ბაზისს და ფონეტიკურ ტენდენციებს ეხება, მაშინ როდესაც ტრადიციული გაგება ნათესაობისა მორფოლოგიასა და სინტაქსსაც მოიცავს. მაგრამ ამ სფეროში ვან გინეკენი სავსებით უარყოფს წარმოშობით ნათესაობას, როგორც ჩემზე ადრე სხვებმა უჩვენეს, მორფოლოგიისა და სინტაქსისათვის ნათესაობის იდეა მცდარი აზრიაო, აღნიშნავს იგი[7]. ამის საფუძვლად ის არის მოყვანილი, რომ ინდოევროპულ ან რომანულ ენათა მორფოლოგიური სისტემა თანდათანობით ვითარდებოდა და ვრცელდებოდა ტალღათა მსგავსად. ჩვენ ფუძე-ენას ვიცნობთ შვილი-ენების

---

[1] Actes du III ème Congrès..., გვ. 34.
[2] იქვე. გვ. 34—35.
[3] იქვე, გვ. 35.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 34.
[6] იქვე, გვ. 35.
[7] იქვე, გვ. 38.

მონაცემთა მიხედვით, მაგრამ არ შეიძლება ფუძე-ენას მივაწეროთ ყველაფერი ის, რაც შვილ-ენათა მორფოლოგიურ სისტემაში დასტურდება.

ამგვარად, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში შლაიხერის გენეალოგიური ხე ვან გინეკენს სრულიად გამოუსადეგრად მიაჩნია. აქ ტალღათა თეორიაზე უნდა გადავიდეთო, აცხადებს ის[1]. ნათესაობას იგი უპირისპირებს ლინგვისტურ დაახლოებას (l'affinité linguistique). ავტორისავე განცხადებით, ამ უკანასკნელს ნათესაობის იდეასთან საერთო არაფერი აქვს[2].

დაახლოებაში იგულისხმება გავლენა, რომელსაც მეზობელი ენები ახდენენ ერთმანეთზე და მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ასეთი დაახლოება ვლინდება როგორც ფონეტიკაში, ისე ლექსიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში[3]. დაახლოებაზე მსჯელობისას ვან გინეკენი ლინგვისტური გეოგრაფიის მონაცემებს ემყარება: ახალი მოვლენები ტალღისებურად ვრცელდება მეზობელ დიალექტებში. აქ ჩვენ ლინგვისტური ბიოლოგიის სფეროში კი არა ვართ, როგორც ეს ენის შენობის „სარდაფში" იყო, არამედ უკვე პირველ სართულში ამოვედით, სადაც ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორები ბატონობს. აქ ძირითადია ტრადიცია, მიბაძვა და ანალოგია[4].

ავტორისავე სიტყვებით რომ შევაჯამოთ, ინდოევროპულ ენათა ტრადიციული გენეალოგიის დოქტრინას იგი ორ ძლიერ განსხვავებულ ნაწილად ყოფს: 1. შვილ-ენათა პარალელური ნათესაობა, რომელიც თავის საფუძველს პოვებს ფუძე-ენის საარტიკულაციო ბაზისის სხვადასხვაგვარ შეჯვარედინებათა სერიაში მთელ რიგ სხვა საარტიკულაციო ბაზისებთან.

2. დაახლოება ანუ კონვერგენცია (l'affinité ou la convergence ორი ან მეტი მეზობელი მხარის ენებისა, რაც მომდინარე-

---

[1] Actes du III ème Congrès..., გვ. 38.

[2] იქვე, გვ. 37. საყურადღებოა გინეკენის განცხადება, რომ ამ ტერმინს იგი პიზანის :გავლენით ხმარობს, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული აზრით. იქვე იგი მიუთითებს „დახლოება" ცნების სიახლოვეზე ტრუბერცკოის ენათა კავშირთან, მაგრამ დასძენს: პიზანის დაახლოება (l'affinité) და ტრუბეცკოის ენათა კავშირი (Sprachbund) გამორიცხავენ ნათესაობას, მაშინ როდესაც ჩვენი ახალი დაახლოება აბსტრაქციას ახდენს ნათესაობისაგანო. გინეკენის გაგებით, ყოველ ნათესაობას ახლავს დაახლოება, მაგრამ დაახლოება შეიძლება განხორციელდეს ყოველგვარი ნათესაობის გარეშეც.

[3] Actes du III ème Congrès..., გვ. 37, 41, 49.

[4] იქვე, გვ. 37.

ობს ამ მხარის მცხოვრებთა ხშირი ურთიერთობიდან და ემყარება ტრადიციის, გადმოცემის, მიბაძვისა და ანალოგიის ფსიქო-სოციოლოგიას.

შვილ-ენათა ნათესაობა ეხება მხოლოდ სხვადასხვაგვარ შეჯვარედინებულ საარტიკულაციო ბაზისებს და ვლინდება არტიკულაციურ ტენდენციებში, რომლებიც პარალელური არიან, მაგრამ არა იდენტურნი. ამ პარალელიზმის გამო ჩვენ შეგვიძლია ხელსაყრელ შემთხვევებში აღვადგინოთ ფუძე-ენის ფონემები. ვუდარებთ რა ფუძე-ენის ამ ფონემებს შვილ-ენათა ფონემებს სიტყვებსა და მორფემებში, ჩვენ აღმოვაჩენთ შესატყვისობათა კანონებს.

მსგავსი ენების დაახლოება ვლინდება ენის ყველა სხვა შემადგენელ ნაწილში, ე. ი. ფონოლოგიურ სისტემაში, ლექსიკოლოგიაში, გრამატიკაში, სინტაქსში. თუმცა სხვადასხვა ტალღები განსხვავებული არიან დროსა და სივრცეში, აქ მაინც არის მრავალმხრივი პარალელიზმის შემთხვევები, რომლებიც ჩვენ მიგვითითებენ საერთო სიახლეებზე და რადიაციის განსხვავებულ ცენტრებზე. ეს გვაძლევს შესაძლებლობას, ხელსაყრელ შემთხვევებში მაინც, აღვადგინოთ ფონოლოგიური სისტემის, ლექსიკის, გრამატიკის, სინტაქსის თანმიმდევრული ევოლუცია[1].

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ავტორი გარკვევით მიჯნავს ერთმანეთისაგან ნათესაობას და დაახლოებას. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ თითოეული მათგანი ენის ისტორიის გარკვეულ ნაწილს გამოავლენს და იმ გავლენებზე მიუთითებს, რომლებსაც ენები ერთმანეთზე ახდენენ[2], მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ ბევრ შემთხვევაში ნათესაობისა და დაახლოების შედეგები ირევა ერთმანეთში. ფონეტიკურ ცვლილებათა დროს ჩვენ ყოველთვის ვერ ვარჩევთ, ბიოლოგიურ ნათესაობასთან გვაქვს საქმე თუ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური დაახლოების რადიაციასთან[3]. და თუმცა ავტორი ცდილობს დაამყაროს მათ შორის სხვაობა, მაგრამ რაიმეს გარკვეულს იგი ამის შესახებ ვერ გვეუბნება[4].

ვან გინეკენის ზემომოყვანილი მსჯელობა მთელ რიგ შენიშვნებს იწვევს. ჯერ ცალკეული საკითხების შესახებ: ვან გინეკენი, შუხარდტისა და ბოუდენ დე-კურტენეს მსგავსად, გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ენათა შეჯვარედინებას. შეუჯვარედინებელ

---

[1] Actes du III ème Congrès..., გვ. 42.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 42.
[4] იქვე, გვ. 43.

ენათა არსებობას იგი უარყოფს. ამასთან არის დაკავშირებული სუბსტრატი ენის როლის გადამეტებით შეფასება. ინდოევროპულ ენათა დიფერენციაცია მხოლოდ სხვადასხვაგვარ სუბსტრატებს მიეწერება. არ არის გათვალისწინებული, რომ შეჯვარედინების გარეშეც ერთი ენის დიალექტები შესაძლებელია გადაიქცნენ დამოუკიდებელ ენებად, თუ მათ შორის გაწყდება კონტაქტი. მონათესავე ენათა ყოველგვარი განსხვავების დაყენა სუბსტრატის გავლენამდე ამ ენათა საკუთარი განვითარების შინაგან კანონთა უგულებელყოფას იწვევს. ამასთან, როგორც ვნახეთ (თ. II), წინაკლასობრივ საზოგადოებაში, როდესაც ინდოევროპულ და ბევრ სხვა მონათესავე ენათა დიდი ნაწილი ჩამოყალიბდა, ენათა შეჯვარედინების მინიმალური შესაძლებლობა იყო. ვან გინეკენი, არ უწევს რა ანგარიშს სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ პირობებს, შეჯვარედინებას ისევე დამახასიათებლად მიიჩნევს განვითარების ყველა ეტაპისათვის, როგორც ეს კლასობრივ საზოგადოებაშია.

ვულგარულად არის გაგებული თვით შეჯვარედინების პროცესიც. ჯერ ერთი, თვალში გვეცემა ბიოლოგიზმი. მეტად უცნაურად გაისმის XX საუკუნეში ენათა ნათესაობის გათანაბრება მცენარეთა და ცხოველთა ნათესაობასთან და საარტიკულაციო ბაზისისა და ფონეტიკურ ჩვევათა გამოცხადება მემკვიდრეობით ფაქტებად[1].

თვით შეჯვარედინების პირობებიც გამარტივებულად არის წარმოდგენილი: რომაელი ლეგიონერები ქორწინდებოდნენ გალიელ ქალებზე და ამას მოჰყვა ფრანგული ენის წარმოშობა. ჯერ ერთი, ორენოვნობისათვის, რაც შეჯვარედინების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ ოჯახი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ცოლ-ქმრისაგან შედგებოდეს. შეუძლებელიცაა რომ დამპყრობელთა მამაკაცები მთლიანად დაპყრობილი ხალხის ქალებზე ქორწინდებოდნენ. ასეთი შეუღლების გარეშეც დაპყრობილი მოსახლეობა ორენოვანი ხდება საზოგადოებრივ პირობათა ზეგავლენით.

რაც მთავარია, ვან გინეკენთან ენათა შეჯვარედინება ერთი თაობით ამოიწურება: რომაელმა მამაკაცმა ითხოვა გალიელი ქალი და მათ შვილს ორივე მშობლის საარტიკულაციო ბაზისი გადაეცა მემკვიდრეობით, მივიღეთ შეჯვარედინებული ენა. ასე რომ ყოფი-

---

[1] აღსანიშნავია, რომ ნათესაობის ასეთი გაგებისა და განსაკუთრებით მემკვიდრეობის თეორიის წინააღმდეგ კონგრესზე მთელმა რიგმა ენათმეცნიერმა გაილაშქრა (მათ შორის ტრუბეცკოიმ, ეანდრიესმა, სეშე-მ...).

ლიყო, ეს შვილი უკვე ახალ ენაზე მოლაპარაკე უნდა გამოსულიყო. მაშინ როდესაც თვით ვან გინეკენის სქემაში რომანული ენები იულიოს კეისრის დაპყრობის რამდენიმე საუკუნის შემდეგ ჩნდება მხოლოდ. ცხადია, გინეკენის ბიოლოგისტურ თვალსაზრისს არ შეუძლია აგვიხსნას ენათა შეჯვარედინების პროცესი, რომლის საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებშია.

მეტად სქემატურია და დაუმუშავებელი ენათა დაახლოების თეორია ვან გინეკენთან. არ ჩანს, რა გზებით ხორციელდება მეზობელ ენათა ურთიერთგავლენა, რომელიც ვან გინეკენის აზრით, უფრო ღრმა კვალსაც კი აჩნევს ენებს, ვიდრე შეჯვარედინება (თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ საარტიკულაციო ბაზისზე მოქმედებს, დაახლოების დროს ზეგავლენა ენის ყველა მხარეს აღწევს: ფონეტიკასაც, ლექსიკასაც, მორფოლოგიასაც და სინტაქსსაც).

გაუმართლებელია ისიც, რომ გინეკენი ტოლობის ნიშანს სვამს სხვადასხვა ენის ურთიერთგავლენასა და ერთი ენის დიალექტებში ერთგვარ მოვლენათა გავრცელებას შორის. ეს მით უფრო უსაფუძვლოა, რომ იგი გავლენას შესაძლებლად მიიჩნევს არა მხოლოდ მონათესავე, არამედ მეზობელ არამონათესავე ენებს შორისაც.

ყველაფერი ზემოთქმული ცალკეულ საკითხებს ეხება. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითია ვან გინეკენის მთელი წერილის მიზანდასახულობა. მთავარი ამ მხრივ არის ენათა ნათესაობის თეორიის გადასინჯვა. ვან გინეკენი აღნიშნავს, მე ვაფართოებ ნათესაობის იდეასო, მაგრამ ეს გაფართოება, სამწუხაროდ, წარმოშობითი ნათესაობის უარყოფას იწვევს. ეს უარყოფა ბუნებრივად გამომდინარეობს იქიდან, რომ ავტორი აერთიანებს წარმოშობითს მატერიალურ ნათესაობას (მისი ტერმინით—„პარალელურ ნათესაობას") და შეჯვარედინებას („იზოლირებულ ნათესაობას"), მაშინ როდესაც აქ სრულიად სხვადასხვა რიგის მოვლენებთან გვაქვს საქმე. ფაქტიურ ვითარებას არ ასახავს გინეკენის განცხადება, თითქოს შეჯვარედინებული ენები (სომხური, ფრანგული) თანაბრად განეკუთვნებოდნენ ორ ლინგვისტურ ოჯახს.

არსებითად მართებულად ახასიათებდა ვან გინეკენის თვალსაზრისს ვანდრიესი, როდესაც აღნიშნავდა, ენათა ისტორიაში მემკვიდრეობითი გავლენის შემოტანა ლინგვისტური ნათესაობის გაფართოებას კი არ ნიშნავს, არამედ მის უარყოფასო[1].

[1] Actes du III ème Congrès ..., გვ. 48.

ეს, რაც შეეხება წარმოშობითი ნათესაობისა და შეჯვარედინების ურთიერთობას. უფრო გაურკვეველი მდგომარეობა გვაქვს ნათესაობისა და დაახლოების მიმართების საკითხში. ვან გინეკენმა ძალიან ადვილად გამორიცხა წარმოშობითი ნათესაობის სფეროდან მორფოლოგია და სინტაქსი. რატომ, რის საფუძველზე, ეს მას არ გაურკვეევია. განა მხოლოდ იმის გამო, რომ მონათესავე ენათა განვითარებული მორფოლოგიური სისტემა არ ემთხვევა ფუძე-ენისას, შეიძლება ვთქვათ, თითქოს ამ ენებს არაფერი მიუღიათ მორფოლოგიაში და სინტაქსში ფუძე-ენისაგან?

თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ გინეკენის განცხადებით, ფონეტიკაში წარმოშობითი ნათესაობისა და დაახლოების ფაქტები ხშირად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან, მაშინ აშკარა გახდება, რომ ეს დაახლოება ვან გინეკენთან მხოლოდ ნათესაობის საპირისპირო ცნებას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი ირევა წარმოშობითს ნათესაობაში და ღირებულებას უკარგავს ამ უკანასკნელს.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ვან გინეკენის წერილიდან? ავტორის მთელი მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს წარმოშობითი ნათესაობის სრული უარყოფა თუ არა, მისი ძლიერ შეზღუდვა და გაუფასურება მაინც. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, თუ რა გზით მივიდა აქამდე ავტორი. როგორც დავრწმუნდით, ვან გინეკენი წარმოშობითი ნათესაობის რაობას არსებითად არც კი ეხება. იგი წარმოშობითი ნათესაობის თეორიის პრინციპთა ანალიზმა კი არ მიიყვანა ამ ნათესაობის წინააღმდეგ გალაშქრებამდე, არამედ ენათა შეჯვარედინებისა და ენათა დაახლოების პროცესთა არამართებულმა გაგებამ. ასეთი გაგების გამო ეს სხვადასხვა პროცესები ცირია ერთმანეთში, შეჯვარედინება და დაახლოება შემოტანილ იქნა იმ სფეროში, რომელიც წარმოშობით ნათესაობას განეკუთვნება. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ნათესაობის უგულებელყოფა.

§16. ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა ენათმეცნიერებთანაც. ასე, მაგალითად, იტალიელი ენათმეცნიერი ვ. პიზანი (Vittore Pisani) წერილში „ლინგვისტური ნათესაობა“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „ლინგვა“-ში[1], განიხილავს ენათა სიახლოვის სამ შემთხვევას: ელემენტარულ მსგავსებას (l'affinité élémentaire), სესხებასა და ნათესაობას (parenté).

---

[1] Vittore Pisani, Parenté linguistique (Lingua, 1952. Vol. III, I. Haarlem—Holland).

ავტორის განმარტებით, ელემენტარული მსგავსება გულისხმობს ისეთ თანხვედრებს ენებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის აღმოცენებული. ლექსიკიდან ამ სფეროს განეკუთვნება ხმაბაძვითი სიტყვები. ელემენტარული ნათესაობა შეიძლება მჭლავნდებოდეს სინტაქსურ და სტრუქტურულ შეხვედრებშიც. ავტორის აზრით, რიგი მსგავსება მონათესავე ენებს შორის შეიძლება ელემენტარულ მსგავსებას ემყარებოდეს. ელემენტარული მსგავსება შემთხვევითია. ნიმუშად მოყვანილია ინგლისური bad და სპარს. bad „ცუდი". რომ არ ვიცოდეთ ამ სიტყვათა ისტორია, არავინ არ დაეჭვდებოდა, რომ ისინი საერთო წარმოშობის არიანო, აღნიშნავს ავტორი. სინამდვილეში კი ეს სიტყვები სრულიად სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობენ: ინგლ. bad← შუა ინგლ. badde←ანგლო-საქს.bæddel „ჰერმაფროდიტი, სუსტი". სპარს. bad← ფალაური vat[1]. ამიტომ, პიზანის აზრით, ისეთი სიტყვები, კონსტრუქციები და სტრუქტურული ფენომენები, რომლებიც შეიძლება ელემენტარული მსგავსების შედეგს წარმოადგენდნენ, არ უნდა იქნენ მხედველობაში მიღებული ენათა ნათესაობის განსილვის დროს.

წინააღმდეგ ელემენტარული მსგავსებისა, ნათესაობა და სესხება ისტორიულ შესატყვისობებს გულისხმობს. ამ საკითხზე მსჯელობის დროს პიზანი შლის ზღვარს წარმოშობით ნათესაობასა და სესხებას შორის.

ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, რომანულ ენებს შორის არსებული იგივეობანი (équations) მიუთითებს ამ ენათა საერთო წარმოშობაზე, მათ ნათესაობაზეო, წერს ავტორი. მაგრამ იგი შენიშნავს, რომ 1. „ვულგარული ლათინური", რომელიც რომანული ენების ფუძე-ენაა, არ იყო ჰომოგენური. ეს ენა შეიქმნა ლათინურის ელემენტების შერევის შედეგად ოსკურ-უმბრულთან, მესაპურთან, ეტრუსკულთან, ლიგურიულთან, გალიურთან, იბერიულთან, თრაკიულთან და ა. შ. ამას ერთვის გარეშე ელემენტები, განსაკუთრებით ბერძნული და გერმანული. აქედან წარმოდგება ტერიტორიული დიალექტების დიდი სხვაობა.

2. სიტყვები, რომლებიც მემკვიდრეობით აქვთ მიღებული რომანულ ენებს, ლათინურში ნასესხები იყვნენ გალიურიდან, გერმანულიდან ან ბერძნულიდან[2].

---

[1] პიზანი, დასახ. შრ., გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 9.

პიზანი წერს: არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ვულგარული ლათინურის დიალექტებში ლათინური და განსაკუთრებით რომანული წარმოშობის ელემენტები ქმნიან აბსოლუტურ უმრავლესობას და ეს გვაძლევს ვულგარული ლათინურის ძირითად ერთიანობას; მაგრამ ასევე უეჭველია, რომ სხვა ელემენტები ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი იყვნენ, ვიდრე საერთოდ ფიქრობენ. ეს სხვა ელემენტები შემოტანილი არიან დამორჩილებული ენების მიერ და აგრეთვე სხვა ენების მიერ ლექსიკაში, სინტაქსში და, ალბათ, თვით ფონეტიკაშიც კი. ყოველივე ამან შექმნა არსებითი მხარეები ვულგარულ ლათინურში და რომანულ ენებში, რომლებიც ამის გარეშე არ იქნებოდნენ ისეთნი, როგორიც არიან. ასეთი მსჯელობის შედეგად პიზანი ასკვნის, რომ რომანული ენები მომდინარეობენ დიდი ნაწილით ლათინურისაგან, მაგრამ აგრეთვე ოსკურ-უმბრულისაგან, გალიურისაგან, ბერძნულისაგან, გერმანულისაგან და ა. შ. ამგვარად, ენათა პირველადი ნათესაობის გვერდით იგი აღგენს მეორეულ ნათესაობას (une parenté secondaire)[1].

ენათა აბსოლუტური ნათესაობა არ არსებობსო, აცხადებს პიზანი. ინგლისური პირველ რიგში გერმანულ ენებს ენათესავება, მერე კი—რომანულ ენებს. ასევე რუმინული ყველაზე ახლოს ენათესავება რომანულ ენებს, ნაკლებ ახლოს—სლავურ ენებს. შორეული ნათესაობა აქვს ჯერ ალბანურთან, შემდეგ ბერძნულთან, თურქულთან და ა. შ. ნათესაობის მეტ-ნაკლები ხარისხი განსაზღვრულია საერთო ელემენტების მეტ-ნაკლები რაოდენობით ორ (ან მეტ) ენას შორის[2].

სესხების ცნება, ჩვეულებრივი გაგებით, ქრონოლოგიურ ტერმინებს უკავშირდებაო, გვეუბნება პიზანი: რადგანაც ლათინურის შემადგენელ ელემენტთა დიდი ნაწილი ინდოევროპული წარმოშობისაა, ამიტომ ლათინურს ინდოევროპულ ენად მიიჩნევენ, ხოლო ყველა იმ ელემენტს, რომლებიც სხვა ენებიდან (ხმელთაშუაზღვის ენებიდან, ოსკურ-უმბრულიდან, მესაპურიდან, გალიურიდან, ბერძნულიდან...) მომდინარეობენ და რომლებმაც მისი ისტორიის განმავლობაში (II საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და I საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვისა) ხელი შეუწყვეს ლათინურის შექმნას, ნასესხებად თვლიან. მაგრამ პირველი საუკუნიდან მოყოლებული ლაპარაკობენ ვულგარული ლათინურის შესახებ, სადაც ეს სესხებები აღარ მიიჩნევა სესხებად; მაშინ როდესაც ყველაფერი, რაც რომანულ ენებში

---

[1] პიზანი, დასახ. შრ., გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 11.

არ აიყვანება ეულგარული ლათინურის ელემენტებამდე, კვლავ ნასესხებად ითვლება. ეს ტერმინოლოგია შეიძლება იქნეს გამოყენებული პრაქტიკული მიზნით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ამახინჯებს სინამდვილესო, აღნიშნავს პიზანი[1]. მისი აზრით, ორი ლინგვისტური ჯგუფი ერთმანეთს ენათესავება განსაზღვრული ელემენტებით, რომელთა შედარება შესაძლებელია, ხოლო ყველა სხვა ელემენტებისათვის არსებობს ნათესაობის ნაირსახეობანი, რომელთა აღიარება ჩვენ არ შეგვიძლია დოკუმენტთა უქონლობის გამო.

ნათესაობის ცნებას, ავტორის შეხედულებით, მცდარ წარმოდგენამდე მივყავართ, რაც უკავშირდება გენეალოგიურ ხეს[2]. იმის თქმა, რომ თანამედროვე იტალიური ინდოევროპული ენიდან მომდინარეობს, ნიშნავს მოვლენების ცალმხრივად გაგებას: ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მხოლოდ იმას, რაც იტალიურში აიყვანება ინდოევროპულამდე და ეტოვებთ ყველა სხვა მიმართებებს, მათ შორის აგრეთვე ნაკლებ თვალსაჩინო მიმართებებს, რომლებმაც შეაპირობეს ტრადიციული ლათინურის ინდოევროპულ ელემენტთა ევოლუცია და ტრანსფორმაცია (მაგ. ოსკურ-უმბრული ელემენტები). ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია ენის ისტორიის შექმნა, შეიძლება შეექმნათ მხოლოდ ცალკეული ელემენტების ისტორია. მაგრამ თუ ასეა, მაშინ ყოველ მომენტში ჩვენ საქმე გვაქვს ახალ ენასთან, რომელიც შედგენილია სხვადასხვა წარმოშობის სხვადასხვა ელემენტთა შერწყმისა და შერევის შედეგად და ლინგვისტური ერთიანობა წარმოადგენს მხოლოდ ელემენტთა ერთიანობას, რასაც ამგვარად ვადგენთ ენასა და ენას შორის[3].

როგორც ვხედავთ, პიზანი ორი მხრიდან ზღუდავს ენათა გენეტურ ნათესაობას. ერთის მხრივ, იგი შესაძლებლად თვლის, რომ ნათესავე ენებს შორის სიახლოვე ელემენტარულ მსგავსებას ემყარებოდეს. ხოლო, მეორე მხრივ, სესხებასაც ნათესაობად მიიჩნევს. ავტორი ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ როგორც ელემენტარული მსგავსება, ისე სესხება ძირითადად იგივეობრივი ბგერითი შემადგენლობის ელემენტებს გვაძლევს, მაშინ როდესაც წარმოშობითი ნათესაობა კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს ემყარება. ინგლისური და სპარსული bad რომ ემთხვევა ერთმანეთს, ამდაგვარი

---

[1] პიზანი, დასახ. შრ., გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] იქვე, გვ. 14.

თანხვედრები კი არ ამტკიცებს ენათა ნათესაობას, არამედ ისეთი შემთხვევები, როდესაც შესადარებელ ენებში ერთმანეთის შესატყვისი ბგერებისაგან შემდგარი სიტყვები და აფიქსები გვხვდება სისტემატურად.

პიზანი ერთმანეთში ურევს წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობას და სესხებას ენებს შორის, მაშინ როდესაც ეს ორი მოვლენა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც თავიანთი მიმდინარეობით, ისე შედეგებით. ის, რასაც პიზანი სესხებას უწოდებს, წარმოადგენს ენათა შეჯვარედინებას. აქ ლაპარაკია ვულგარული ლათინურის შეჯვარედინებაზე იმ ხალხების ენებთან, რომლებიც რომაელებმა დაიპყრეს და რომელთა ასიმილაცია მათ მოახდინეს. ენათა გენეტური ნათესაობა კი დიფერენციაციის პროცესის შედეგია. რომანული ენები ერთმანეთის მონათესავეა იმიტომ, რომ თითოეული მათგანი წარმოადგენს ხალხური ლათინურის თავისებურად შეცვლის შედეგს. სხვადასხვა ასიმილირებული ენისაგან შემოტანილი თავისებურებები ახალ თვისობრიობას კი არ წარმოშობდაენ ლათინურისაგან, არამედ მხოლოდ ტერიტორიული დიალექტების ზოგიერთ თავისებურებას ქმნიდნენ. ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ, ინგლისური ენა გერმანულ ენებსაც ენათესავება და რომანულ ენებსაც. არ შეიძლება ვილაპარაკოთ პირველადი და მეორეული ნათესაობის შესახებ, რადგან თითოეული მათგანი სრულიად სხვადასხვა პროცესს გულისხმობს. „პირველადი ნათესაობა" მართლაც ნათესაობაა, წარმოშობის მიხედვით ნათესაობა, ხოლო ე. წ. „მეორეული ნათესაობა" კი სრულიად სხვა რამეს,—ენათა შეჯვარედინებას წარმოადგენს. ენათა განვითარების ამ ორი განსხვავებული მიმართულების გაერთიანება, წარმოშობით ნათესაობასა და სესხებას (resp. შეჯვარედინებას) შორის ზღვარის მოშლა, ისტორიული პერსპექტივის დაკარგვას მოასწავებს.

რაც შეეხება იმას, რომ ფუძე-ენაშიაც ექნებოდა ადგილი სესხებებს, რომ მაგალითად, ხალხურ ლათინურშიაც იყო სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები, ეს, რა თქმა უნდა, სწორია. სწორია ისიც, რომ ასეთი სიტყვების ისტორიას ისტორიულ-შედარებითი კვლევა ძნელად ითვალისწინებს. აქ ლაპარაკია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების ფარგლებზე. ფუძე-ენის იქით წასვლა მას არ შეუძლია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საერთოდ ხელი უნდა ავიღოთ ენათა წარმოშობითი ნათესაობის კვლევაზე იქ, სადაც იგი წარმატებით მიმდინარეობს.

როგორც ვხედავთ, მთლიანად პიზანის სტატია უარყოფს ენათა წარმოშობითი ნათესაობის მნიშვნელობას. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთი ენა მრავალ ენას ენათესავება მეტნაკლებად, ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ ცალკეულ ელემენტთა და არა მთლიანად ენათა ნათესაობაზეო. ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ პიზანის მიერ მოყვანილი შენიშვნები სრულიადაც არ უკარგავს ძალას ენათა გენეტურ ნათესაობას. ნათესაობა ემყარება ენის საფუძველს, მის ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობას. თვითონ ავტორი იძულებულია აღნიშნოს, რომ რომანულ ენებში ლათინური წარმოშობის ელემენტები ქმნიან აბსოლუტურ უმრავლესობას. სწორედ ეს არის ის საერთო მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა რომანულ ენას და რომელმაც მათი თვისობრიობა განსაზღვრა.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპთა შერყევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ დამტკიცდება, რომ ენათა დიფერენციაციას სრულიად არა აქვს ადგილი და მხოლოდ შეჯვარედინება ხდება ენებს შორის. ამას პიზანი არ ამბობს, რაც შეეხება იმას, რომ ცალკეულ შემთხვევებში ძნელია ენათა შერევისა და ენათა შეჯვარედინების შედეგთა გამიჯვნა ერთმანეთისაგან, აქედან ის დასკვნა კი არ გამომდინარეობს, რომ ამ ორ პროცესს შორის განსხვავება საერთოდ უნდა უგულებელვყოთ, არამედ მხოლოდ ის, რომ საჭიროა მიკვლეულ იქნეს ისეთი სპეციალური ნერწები, რომლებიც მოგვცემს შესაძლებლობას ყველა შემთხვევაში შეუცდომლად გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან.

როგორც შუხარდტისა და ბოდუენის, ისე გინეკენისა და პიზანის მაგალითები გვარწმუნებენ, რომ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ გალაშქრებას საფუძვლად ედება ენათა შერევის პრობლემის მცდარი ინტერპრეტაცია. მაგრამ ეს არ არის გენეალოგიური კლასიფიკაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთადერთი მიზეზი. თანამედროვე უცხოურ ენათმეცნიერებაში ამას ემატება მეორე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე, გარემოება. ეს არის ანტიისტორიზმი. როგორც ცნობილია, თანამედროვე საზღვარგარეთული ენათმეცნიერების ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ისტორიზმის პრინციპთა შეზღუდვა და სტატიკური, სინქრონიული თვალსაზრისის წინ წამოწევა. ამავე დროს ისიც ცხადია, რომ მონათესავე ენათა შედარებითი კვლევა მათი ისტორიის გათვალისწინების საშუალებაა. ამიტომ წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობის შესწავლის უკანა რიგში მოქცევა, ენათა გენე-

ალოგიური კლასიფიკაციის მნიშვნელობას. უეჭველია, ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შეზღუდვას ან მთლიანად უარყოფას იწვევს. აქ კონკრეტულ ენათა კვლევის სფეროში ვლინდება ის ანტიისტორიზმი, რომელიც თანამედროვე უცხოურ ენათმეცნიერებას ახასიათებს. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები თავიანთ ზოგად ლინგვისტურ კონცეფციებში ცდილობენ დაასაბუთონ, თითქოს სინქრონიული (სტატიკური) თვალსაზრისი იყოს ძირითადი და არა დიაქრონიული (ისტორიული). ამის შესაბამისად საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკაშიაც მონათესავე ენათა ისტორიული შესწავლა უმნიშვნელო საქმედ იქცევა.

ეს კარგად ჩანს უცხოეთში ამჟამად ყველაზე უფრო გავრცელებული მიმდინარეობის, სტრუქტურალიზმის, წარმომადგენლებთან. ენათა გენეტური ნათესაობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ნათლად გამოჰვივის კოპენჰაგენის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ვიგო ბრონდალის, შრომაში[1]. ავტორი სპეციალურად არ ეხება ენათა ნათესაობის საკითხს, იგი სტრუქტურალურ ენათმეცნიერებას ახასიათებს და უპირისპირებს მას XIX საუკუნის ენათმეცნიერებას[2]. ამ უკანასკნელის სინონიმად ბრონდალი ხმარობს ტერმინს შედარებითი გრამატიკა და სწორედ აქ ვლინდება მისი უარყოფითი დამოკიდებულება ენათა ნათესაობის შედარებითი კვლევისადმი. შედარებითი გრამატიკის ნაკლოვანებად ავტორს ის მიაჩნია, რომ იგი ისტორიულია, კანონების შესახებ მეცნიერებას წარმოადგენს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონკრეტულ ფაქტებს. ყველა ეს თავისებურება იმის გამოვლინებად არის აღიარებული, რომ შედარებითი გრამატიკა პოზიტივისტურია. პოზიტივიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ავტორი მიიჩნევს ისტორიზმს. მისი სიტყვით, შედარებითი გრამატიკა პირველყოველისა ისტორიულია. იგი სწავლობს უპირატესად სიტყვებისა და ენების წარმოშობას და ბიოგრაფიას და მისი მდიდარი მოქმედების სფეროა განსაკუთრებით ეტიმოლოგია და გენეალოგია. თავისი პრესტიჟით მან თანდათანობით გააქრო ზოგადი (და რაციონალური) გრამატიკა და თვით პრაქტიკულმა და ნორმატულმა გრამატიკამაც კი დაიწყო ისტორიით ხელმძღვანელობაო, დანანებით აღნიშნავს ბრონდალი[3]. თუ ამას დავუპირისპირებთ ბრონდალის შეხედულებას იმის შესახებ, რომ მეცნიერებისა-

---

[1] Viggo Brøndal, Essais de linguistique générale, Copenhague 1943.

[2] თავი X. Linguistique structurale, გვ. 90—97.

[3] იქვე, გვ. 90—91.

თვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის მდგომარეობებს, რომლებიც უცვლელად მიიჩნევა, რომ შესწავლილ უნდა იქნეს ის, რაც მუდმივი და იდენტურია[1], აშკარა გახდება, რომ ენათა გენეალოგიის კვლევა, ე. ი. მონათესავე ენათა შედარებითი შესწავლა მცირე მნიშვნელობის მქონეა კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმისათვის სწორედ იმის გამო, რომ იგი ისტორიულია, ენათა განვითარების პროცესს ითვალისწინებს და არ კმაყოფილდება მდგომარეობათა აღწერით.

უფრო ვრცლად ეხებიან ენათა ნათესაობის საკითხებს სტრუქტურალიზმის მეორე ფრთის—პრაღის სკოლის—წარმომადგენლები: ტრუბეცკოი, იაკობსონი. მათთანაც სრულიად ნათლად ჩანს სკეპტიკური დამოკიდებულება ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისადმი. ამასთან ეს ავტორები გენეალოგიური კლასიფიკაციის კრიტიკით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ ამასთან ერთად ისინი ცდილობენ შექმნან ენათა ახალი კლასიფიკაცია (ენათა კავშირები), რომელიც ენათა დაახლოების პროცესს უნდა ემყარებოდეს. რაკი დასახელებულ ენათმეცნიერთა მიერ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ წამოყენებული დებულებები შინაგანად უკავშირდება მათ პოზიტიურ მსჯელობას ენათა კავშირზე, ამიტომ მათ შეხედულებებს ენათა კავშირის განხილვის დროს წარმოვადგენთ (იხ. ნაწ. VII). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არც პრაღელ სტრუქტურალისტებს წამოუყენებიათ რაიმე ახალი არგუმენტები ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ.

საერთო ვითარება, ვფიქრობთ, ისედაც ნათელია: თანამედროვე უცხოურ ენათმეცნიერებაში აშკარად შეინიშნება სკეპტიკური დამოკიდებულება ენათა ნათესაობის თეორიისადმი. მართალია, ამ ენათმეცნიერების წარმომადგენლები მთლიანად არ უარყოფენ ენათა წარმოშობითს ნათესაობას, მაგრამ ისინი სულ უფრო და უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მის შესწავლას. საენათმეცნიერო ლიტერატურაში იშვიათად გვხვდება ენათა ნათესაობისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები. უკვე ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ საკითხს არ თვლიან ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხად. თვით კონკრეტულ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის ადგილს აღწერითი ხასიათის მქონე სტრუქტურალური ძიებანი იჭერს.

ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ სტრუქტურალისტებთან არ გვხვდება. ამ

[1] ვ. ბრონდალი, დასახ. შრ., გვ. 91.

ვხვრივ დამახასიათებელია ის პოლემიკა, რომელიც ჟურნალ „Language"-ის ფურცლებზე გაიმართა რ. ჰოლსა (R. A. Hall) და ერთ-ერთი თანამედროვე მიმდინარეობის, ნეოლინგვისტიკის, წარმომადგენელს— ბონფანტეს—შორის.

ჰოლმა „Language"-ის 22-ე ტომში გამოაქვეყნა წერილი „ბარტოლის ნეოლინგვისტიკა"[1], სადაც იგი კრიტიკულად განიხილავს ნეოლინგვისტიკის ფუძემდებელთა ბარტოლისა და ბერტონის შრომებს, აგრეთვე ბონფანტეს წერილებს ამ მიმდინარეობაზე, რომელიც გეოგრაფიული ლინგვისტიკის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ ჰოლი იცავს შედარებით მეთოდს, მაშინ როდესაც ბარტოლი ცდილობს მის უკუგდებას და გეოგრაფიული მეთოდით შეცვლას. ჰოლი წერს:

გეოგრაფიული ლინგვისტიკა, იქნება ეს ბარტოლის მიერ ინტერპრეტირებული, თუ რომელიმე სხვა მეთოდი, შეიძლება იყოს დამხმარე შედარებითი ენათმეცნიერებისათვის, და მას შეუძლია დააზუსტოს შედარების საშუალებით მიღწეული შედეგები, მაგრამ იგი ვერ დაიკავებს შედარებითი მეთოდის ადგილს. ეს მეთოდი ემყარება ნეოგრამატიკოსთა ჰიპოთეზას და ენის ისტორიის შესწავლის ძირითად ხერხს წარმოადგენს. შედარებითი მეთოდის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ წარსული ისტორია და ვიწინასწარმეტყველოთ, რა შეიძლება შემდგომში იქნეს აღმოჩენილი მის შესახებ. და ეს ჩვენი რეკონსტრუქციები და წინასწარმეტყველებანი ხშირად დადასტურებულან, როდესაც ახალი საბუთები აღმოჩენილა. ბარტოლის მეთოდით ჩვენ ვერაფერს ვერ აღვადგენთ და ვერ ვიწინასწარმეტყველებთ[2].

ჰოლის საპასუხოდ ბონფანტე ალაგებს ნეოლინგვისტთა ძირითად პრინციპებს და უპირისპირებს მათ ნეოგრამატიკოსთა შეხედულებებს, რომლებიც მას მატერიალისტურ-დოგმატისტურად ეჩვენება[3]. ამასთან ბონფანტე აღიარებს, რომ ნეოლინგვისტიკა ვიკოსა (Vico) და კროჩეს იდეალისტურ ფილოსოფიას ემყარება[4].

---

[1] R. A. Hall, Bartoli's 'Neolinguistica' (Language. 1946. Vol. 22, № 4, გვ. 273—283).

[2] იქვე, გვ. 281—282.

[3] Guiliano Bonfante, The Neolinguistic Position. (A reply to Hall's criticism of Neolinguistics). Language, 1947. Vol. 23, № 4, გვ. 356.

[4] იქვე, გვ. 347.

სხვა საკითხებთან ერთად ბონფანტე ენათა ნათესაობის პრობლემასაც ეხება. იგი გადმოგვცემს ლინგვისტური გეოგრაფიის ცნობილ დებულებას, რომ არ არსებობს რეალური საზღვრები არა მხოლოდ ერთი და იმავე ჯგუფის ენათა (მაგ., ფრანგულს, პროვანსულსა და იტალიურს) შორის, არამედ აგრეთვე ერთი ოჯახის ენათა (მაგ., ფრანგულსა და გერმანულს ან გერმანულსა და ჩეხურს) ან სხვადასხვა ოჯახის ენათა (მაგ. რუსულსა და ფინურს) შორის[1]. ამის საფუძველზე ავტორი აკრიტიკებს შლაიხერის გენეალოგიური ხის თეორიას (Stammbaumtheorie) და უპირისპირებს მას შმიდტის ტალღათა თეორიას (Wellentheorie), რომელიც გეოგრაფიულ პრინციპს უდებს საფუძვლად ენათა კლასიფიკაციასო[2].

ბონფანტეს მთავარ ყურადღებას, ისევე როგორც ზემომოყვანილ სხვა ავტორებთან შეგვხვდა, ენათა შერევის საკითხი იქცევს. იგი ბავშვურად თვლის ნეოგრამატიკოსთა შეხედულებას, თითქოს ინგლისური გერმანული ჯგუფის ენა იყოს, იტალიური—რომანული. ბულგარული კი—სლავური. გერმანული ჯგუფის ინგლისური სავსეა ფრანგული, ლათინური, იტალიური ელემენტებით, სლავური ჯგუფის ბულგარული გვიჩვენებს არასლავურ (საფიქრებელია, ბერძნულ) ელემენტებს, ხოლო რომანული ჯგუფის რუმინულს სლავურ ენათა გავლენა ეტყობაო, აღნიშნავს ბონფანტე. ამიტომ მას არამეცნიერულ გამარტივებად მიაჩნია ინგლისური ენის შეტანა გერმანულ ენათა ჯგუფში, ბულგარულისა სლავურ ენათა ჯგუფში, ხოლო რუმინულისა—რომანულ ენათა ჯგუფში[3].

აბსურდულად მიიჩნევს იგი ნეოგრამატიკოსთა მოსაზრებას, თითქოს ინგლისური, რუმინული, ალბანური, სომხური თავისებური, ნარევი ენები იყვნენ, ხოლო მათ გვერდით არსებობდნენ წმინდა ენები. ეს მოსაზრება, მისი აზრით, ფილოსოფიურ უცოდინარობას ამჟღავნებს, თეორიულ კაპიტულაციას წარმოადგენს და გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ მაინც გენეალოგიური ხის თეორია ვერ გამოგვადგებაო[4].

ასევე აბსურდულია, ბონფანტეს მიხედვით, ენაში არსებით და არაარსებით ელემენტთა გამოყოფა. ნეოგრამატიკოსები ფიქრობენ, რომ გენეალოგიური ხე უნდა შეიქმნას არსებით ელემენტთა მხედველობაში მიღებით და არაარსებით ელემენტთა უგულებელყოფი–

---

[1] G. Bonfante, დასახ. შრ., გვ. 349.
[2] იქვე, გვ. 350.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 350—351.

თო, აღნიშნავს ავტორი და დასძენს: რა არის არსებითი და რა არაარსებითი, ეს საკმაოდ ნათლად არასოდეს არ ყოფილა გარკვეულიო. თვითონ მას მიაჩნია, რომ ენის ყოველი ელემენტი ადვილად შეიძლება გადავიდეს ერთი ენიდან მეორეში. აქედან გამომდინარეობს ნეოლინგვისტთა დებულება, რომ მთლიანად ენა სხვა ენათა გავლენას შედეგად შეიძლება ერთი ჯგუფიდან მეორეში გადავიდეს. მაგალითად, ფრანგული შეიძლება განისაზღვროს, როგორც ლათინიზებული გალიური, ე. ი. გალიური ისე ღრმად გაჟღინთა ლათინური ელემენტებით, რომ იგი მთლიანად ლათინური გახდა. შემდეგ გერმანული გაელენის ქვეშ მან მთლიანად დატოვა თავისი საკუთარი ოჯახი და გერმანულ ჯგუფში შევიდა. ასევე ავტორს შესაძლებლად მიაჩნია, რომ რუმინული სლავურ ენად გადაიქცეს, ინგლისური კი—რომანულ ენად[1].

ასეთია ბონფანტეს არგუმენტები ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ, მათშიც ახალი არაფერია. ყველაფერი ისევ და ისევ ენათა შერევის საკითხის ირგვლივ ტრიალებს. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ნარევ ენათა არსებობა ართულებს ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას, მაგრამ სრულიადაც არ იძლევა საფუძველს მისი უარყოფისათვის.

არც ის არის მართებული, თითქოს ენაში არ გამოიყოფოდეს არსებითი ელემენტები. არსებითია ის ელემენტები, რომლებიც ენის საფუძველს ქმნის, ე. ი. მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. ეს არის ყველაზე გამძლე მხარეები ენისა. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ენათმეცნიერების ობიექტს მხოლოდ ეს გამძლე ელემენტები წარმოადგენენ, ხოლო დანარჩენები უნდა უგულებელყოფილ იქნენ. ენათა ნათესაობა დასახელებულ ელემენტებს ემყარება არა იმიტომ, რომ სხვა ელემენტები უმნიშვნელოა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი გამძლეობის გამო ისინი ყველა სხვა ელემენტებზე მეტ ხანს ინარჩუნებენ სხვა მონათესავე ენებთან საერთო წარმოშობის კვალს. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს შედარებითი მეთოდით შევისწავლოთ მათი ისტორია. ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეეფერება რეალურ ვითარებას ბონფანტეს განცხადება, თითქოს ყველა ენობრივი ელემენტი ერთგვარად ადვილად გადადიოდეს ერთი ენიდან მეორეში.

აღსანიშნავია, რომ, თუმცა ბონფანტეს მახვილი მიმართულია ენათა ნათესაობის თეორიის წინააღმდეგ, თვით ნათესაობის საკითხს

[1] G. Bonfante, დასახ. შრ., გვ. 391.

იგი პირდაპირ არ სვამს. იგი ებრძვის შლაიხერის გენეალოგიური ხის თეორიას იმ ვარაუდით, რომ ამ თეორიის უარყოფა ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის უარყოფასაც მოასწავებს. ვინაიდან გენეალოგიური კლასიფიკაციის სხვა მოწინააღმდეგენიც ხშირად ზედმეტად ამახვილებენ ყურადღებას შლაიხერის გენეალოგიური ხის სქემაზე, ამიტომ საჭიროა გაიბაზოს, რომ ეს სქემა სრულიადაც არ წარმოადგენს ენათა ნათესაობის თეორიის აუცილებელ საფუძველს. შლაიხერის სქემის მიზანი იყო ეჩვენებინა, კონკრეტულად როგორ მიმდინარეობდა ინდოევროპულ ენათა დიფერენციაციის პროცესი. ის გარემოება, რომ ეს სქემა მცდარია, რომ იგი ვერ ასახავს ინდოევროპულ ენათა განვითარების სურათს, სრულიადაც არ გვავალებს დავასკვნათ, თითქოს ენათა დიფერენციაცია საერთოდ არ ხდებოდა, თითქოს წარმოშობითი ნათესაობა არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ, თუმცა ბონფანტეს მთელი მსჯელობის ლოგიკურ დასასრულს სწორედ ასეთი დასკვნა უნდა წარმოადგენდეს, თვით ავტორი თავის საბოლოო მსჯავრს გარკვევით არ გვამცნობს. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ენათა დაჯგუფება ოჯახებად შეუძლებელია, მაგრამ არ ამბობს, ენათა ნათესაობა არ არსებობსო.

ასევე ბოლომდის გაურკვეველი რჩება ნეოლინგვისტიკის დამოკიდებულება შედარებითი მეთოდისადმი. ბონფანტე უსაყვედურებს ნეოგრამატიკოსებს იმას, რომ ისინი 1947 წ. იმავე მეთოდებს იყენებენ, რომლებსაც 1880 წელს ხმარობდნენ და არ ითვალისწინებენ მეცნიერების პროგრესს ამ 70 წლის განმავლობაში, კერძოდ ლინგვისტურ ატლასებს. იგი წერს: ნეოგრამატიკოსებს, რომლებიც ჩვეულებრივ მცირე ინტერესს იჩენდნენ თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემებისადმი, არასოდეს არ გაუანალიზებიათ, რას წარმოადგენს სინამდვილეში შედარებითი მეთოდი, როგორ შეიძლება იგი იქნეს გამოყენებული, როგორია მისი სარგებლიანობა და საზღვრები; მათ დოგმატიკურად გამოაცხადეს, რომ შედარებითი მეთოდი კარგიაო და იყენებდნენ მას[1].

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ შედარებითი მეთოდი უნდა გაუმჯობესდეს, დაზუსტდეს, მაგრამ მაინც დარჩეს ენათმეცნიერების ძირითად მეთოდად, თუ იგი უარყოფილ უნდა იქნეს და შეცვლილი სხვა (მაგ., გეოგრაფიული) მეთოდებით? ამაზე პირდაპირ პასუხს ბონფანტე არ იძლევა, მაგრამ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნი-

[1] G. Bonfante, დასახ. შრ., გვ. 358.

ერებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ისე ნათლად გამოსჭვივის მისი სტატიიდან, რომ მას ზეგავლენაც კი მოუხდენია უნგრელ ენათმეცნიერ ჰარმატაზე.

როგორც ვ. აბაევის რეცენზიიდან ჩანს[1], სწორედ ბონფანტეს ზემოგანხილული წერილისა და მარისტების (რ. შორისა და ნ. ჩემოდანოვის, ა. დესნიცკაიას) სტატიების გავლენით, ჰარმატა 1951 წ. ეჰვის ქვეშ აყენებს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დებულებებს. ბონფანტეს მსგავსად იგი გენეალოგიური ხის თეორიის კრიტიკის საბაბით უარყოფს ირანულ ენათა საერთო წარმოშობილობას, ამასთანავე უარყოფს ირანული ფუძე-ენის არსებობას[2].

საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში არსებული ვითარების დახასიათებისათვის საინტერესოა ამერიკელი ენათმეცნიერის ლეინის წერილი „ინდოევროპული ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ"[3], სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში უკანასკნელი თაობის ლინგვისტთა გამოკვლევების უდიდესი რაოდენობა მიძღვნილი იყო აღწერითი ენათმეცნიერებისადმი. გამონაკლისები თუ გვხვდება, იგი ძველი თაობის ენათმეცნიერთა მოღვაწეობის შედეგია. ლეინი, რომელიც ისტორიულ-შედარებითი კვლევის დამცველია, მიუთითებს, რომ XIX საუკუნის ლინგვისტური ძიებანი უგულებელყოფილია ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ, რომლებმაც კვლევა-ძიების ახალ ასპექტებს მოჰკიდეს ხელი. სანიმუშოდ იგი იმოწმებს ახალ ჟურნალებს, როგორიცაა, შვედური Studia Linguistica (1947 წ.), ჰოლანდიური Lingua (1948), ინგლისური Archivum Linguisticum. როგორც ლეინი გადმოგვცემს, ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკას ბევრი მიიჩნევს ანაქრონიზმად, ლინგვისტური კვლევის განვლილ საფეხურად, ხმად XIX საუკუნიდან[4].

---

[1] В. И. Абаев—J. Harmatta. Studies in the language of the Iranien tribes in South Russia (Й. Гарматта, О языке иранских племен в Южной России). Acta Orientalia. Academiae scientiarum Hungaricae, tomus I, fasciculi 2—3, pp. 261—314, Budapest, 1951. ჟურნალში: ИАН СССР, Отд. лит-ры и языка, т. XII, вып. 5, 1953.

[2] იქვე, გვ. 287—288.

[3] Georg S. Lane, On the present state of Indo-European linguistics. Language, 1949. Vol. 25. № 4.

[4] იქვე, გვ. 333.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის კრიტიკა ფართოდ არის გავრცელებული საზღვარგარეთ, უახლეს ენათმეცნიერებას არ წამოუყენებია რაიმე სერიოზული მოსაზრება ენათა ნათესაობის არსებობის წინააღმდეგ. არც იმის დასაბუთება უცდია ვისმე, რომ ენათმეცნიერების მიერ ისტორიულ-შედარებითი გზით მოპოვებული მიღწევები არასაიმედოა და უსარგებლო. მაშ, რა საფუძველი გვაქვს უგულებელვყოთ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია?!

აშკარაა, რომ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის მნიშვნელობის შეუფასებლობა და ისტორიულ-შედარებითი კვლევის მნიშვნელოვნად შესუსტება, რაც გარკვევით შეინიშნება თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში[1], ანტიისტორიზმის გზაზე მისი დადგომის მაჩვენებელია. მას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია ენათმეცნიერებისათვის.

თავი მეხუთე

„ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია

§ 17. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის სრული უარყოფა მოცემული გვაქვს ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“. ნ. მარმა და მისმა მოწაფეებმა ჭელაღებით უარყვეს ყველა ის მიღწევა, რომელიც ენათმეცნიერებაში ნ. მარამდე იყო მოპოვებული. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევრები ნ. მარამდელ ენათმეცნიერებას ძველ, დრომოჭმულ ენათმეცნიერებას უწოდებდნენ და ყველაზე მეტი თავგამოდებით სწორედ ენათა ნათესაობის თეორიისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წინა-

---

[1] როგორც ლეონიც აღნიშნავს, ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში საკმაოდ გამოდევნილი არ არის, მაგრამ მას მეტწილად ძველი სკოლის ენათმეცნიერები მისდევენ. ამ მხრივ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ცნობილი კრებულის „მსოფლიოს ენები“ (Les langues du monde) მეორე გამოცემა 1952 წ. ამ გამოცემას ა. მეიეს გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობს მარსელ კოჰენი, რომელიც თავის შრომებში „ენათმეცნიერება და დიალექტიკური მატერიალიზმი“ (Linguistique et matèrialisme dialectique. 1948) და „ენა, სტრუქტურა და ევოლუცია“ (Le langage. Structure et évolution. 1950), იცავს ისტორიზმის პრინციპებს და ამასთან ერთად ენათა ნათესაობასა და ისტორიულ-შედარებით მეთოდსაც.

აღმდეგ ილაშქრებდნენ. ამგვარად, ისინი უარყოფდნენ იმას, რაც ენათმეცნიერების ყველაზე თვალსაჩინო და ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს.

რა მოსაზრებებს აყენებდნენ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევრები ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ?

პირველ ყოვლისა ნ. მარი და მისი მოწაფეები უარყოფდნენ იმ პროცესის არსებობას, რომელმაც, ენათმეცნიერებაში მიღებული შეხედულების თანახმად, ეს ნათესაობა წარმოშვა. ისინი უარყოფდნენ ენათა დიფერენციაციის პროცესის, ე. ი. იმის შესაძლებლობას, რომ განვითარების შედეგად ერთი ენისაგან რამდენიმე ენა წარმოიშვას. ნ. მარი აცხადებდა, ენათა ნათესაობა ენათა დიფერენციაციის შედეგად კი არ მიიღება, ე. ი. მონათესავე ენები ერთი ენისაგან კი არ მომდინარეობენ, არამედ ისინი სხვადასხვა ენის დაახლოების, შეჯვარედინების შედეგს წარმოადგენენო[1].

ნაცვლად ენათა ოჯახისა, ნ. მარმა შემოიღო ახალი ტერმინი „ენათა სისტემა“, რომელიც ენათა იმავე დაჯგუფებას აღნიშნავდა, რასაც ოჯახი. ოღონდ მონათესავე ენათა ოჯახის ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, სისტემა ემყარებოდა არა დიფერენციაციის, არამედ შეჯვარედინების პროცესს. ასეთი გაგება ენათა სისტემისა ენათა ოჯახის ცნების საპირისპიროდ ფართოდ იყო გავრცელებული ნ. მარის მიმდევრებთან[2].

---

[1] Н. Я. Марр, избр. раб., ტ. I, გვ. 150; ტ. II, გვ. 57, 399; ტ. III, გვ. 50, 72—73.

[2] იხ. მაგ., А. В. Десницкая, О мнимом структурном единстве индоевропейских языков. Изв. АН СССР, Отд. лит-ры и языка, 1941, вып. I, გვ. 76. წარმოშობითი ნათესაობის უარყოფას ისახავდა მიზნად იმავე ავტორის მეორე წერილიც: К проблеме исторической общности индоевропейских языков (Изв. АН СССР, Отд. лит-ры и языка. 1948, вып. 3), სადაც ინდოევროპულ ენათა სისტემა სხვადასხვა წარმოშობის ენათა დაახლოების შედეგად იყო გამოცხადებული. აგრეთვე: М. М. Гухман. Сравнительно-исторический метод и советское языкознание. Труды Московского государственного ин-та истории, философии и литературы, т. VIII, 1941, გვ. 151. შდრ. იმავე ავტორის—К вопросу о сравнительно-историческом методе. Ученые записки Военного ин-та иностранных языков, т. 2, вып. 3. საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ ნ. მარის ყოფილმა მიმდევრებმა გამოაქვეყნეს წერილები, სადაც ისინი აკრიტიკებენ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ დამოკიდებულებას ენათა ნათესაობის პრობლემისადმი. იხ. А. В. Десницкая, Сравнительно-исторический метод и изучение истории языка. ИАН СССР, Отд. лит-ры и языка, 1951, т. X, вып. 4. А. В. Дес-

ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნდა შეჯვარედინების შედეგად წარმოშობილიყო მონათესავე ენები იმის გამო, რომ მას არსებითად მცდარად ესმოდა შეჯვარედინების პროცესის ბუნება. იგი ფიქრობდა, რომ შეჯვარედინების დროს ხდება ენათა თვისობრივი გარდაქმნა, ორი ენისაგან აფეთქების გზით წარმოიშვება ახალი, მესამე ენა. ნ. მარი თავისი „მოძღვრების“ ერთ ძირითად დებულებად იმას აცხადებდა, რომ ენათა ახალი სახეობები წარმოიშვება ძველთა მასობრივი შეჯვარედინებით[1]. ი. მეშჩანინოვიც ნ. მარის ერთ მთავარ მიღწევად იმას თვლიდა, რომ ის განიხილავს ცალკეულ ენათა შეჯვარედინების მოქმედებას, რაც შედეგად გვაძლევს ახალ თვისობრივ წარმონაქმნს, ახალ ენას. რომ შეუჯვარედინებელ ენათა არსებობას ნ. მარი უარყოფს[2].

ნ. მარი შეცდომას უშვებდა არა მხოლოდ იმით, რომ გვაძლევდა ენათა შეჯვარედინების დამახინჯებულ სურათს, არამედ იმითაც, რომ შეჯვარედინების გვერდით იგი ვერ ამჩნევდა ენათა დიფერენციაციის პროცესს. უარყო რა ენათა დიფერენციაცია, ნ. მარმა ენათა შეჯვარედინება ენათა განვითარების ერთადერთ პროცესად აღიარა. მისი აზრით, შეჯვარედინება არის ენის განვითარების ერთადერთი საწინდარი[3]; ამ პროცესის გარეშე ბგერითი მეტყველება ვერ განვითარდებოდა[4].

როდესაც ნ. მარის მიმდევრები ილაშქრებდნენ ენათა ნათესაობისა და დიფერენციაციის პროცესის არსებობის წინააღმდეგ, ისინი ლიტონსიტყვიერად აცხადებდნენ, თანამედროვე ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მონაცემები პრინციპულად ეწინააღმდეგებიან ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის სქემასო[5].

ницкая, О взглядах „нового учения“ о языке на исследование вопросов сравнительной грамматики индоевропейских языков. ИАН СССР, Отд. лит-ры и языка, 1952, т. XI, вып. 4. М. М. Гухман, Критика взглядов Н. Я. Марра по вопросам родства языков (на материале германских языков). კრებულში: Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании, II. 1952.

[1] Н. Я. Марр, Избр. раб., т. II, გვ. 72.

[2] И. И. Мещанинов, За творческое развитие наследия академика Н. Я. Марра. „Правда“, 1950, 16.V.

[3] Н. Я. Марр, Избр. раб., т. I, გვ. 189.

[4] იქვე, ტ. IV, გვ. 60.

[5] იხ. მაგალითად, Ф. Филин, Против застоя, за развитие советского языкознания. „Правда“, 1950, 30.V. Н. Чемоданов, Пути развития советского языкознания, „Правда“, 1950, 23.V.

ნ. მარი არა მხოლოდ მონათესავე ენებს, არამედ ერთი და იმავე ენის დიალექტებსაც კი დამოუკიდებელი ენებისაგან წარმოშობილად მიიჩნევდა. „სინამდვილეში, რამდენი კილოცაა, იმდენი გადმონაშთია რომელიმე დამოუკიდებელი ენისა. არსებული დიალექტების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა არანაკლებ ათეული ენისა“[1].

ასეთი დებულება „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ იმიტომ გაჩნდა, რომ მისი შემოქმედი მხოლოდ ენათა შეჯვარედინების პროცესს ცნობდა. თუ ენათა ნათესაობა ენათა დაახლოების შედეგია, ცხადია, მონათესავე ენებს შორის მით უფრო ნაკლები საერთო მოვლენები უნდა დასტურდებოდეს, რაც უფრო ადრინდელ საფეხურებს ვითვალისწინებთ მათ განვითარებაში. მაგრამ ფაქტობრივი ვითარება სრულიად სხვაგვარია. ყველა მონათესავე ენაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, წარსულში მეტი საერთო დასტურდება, ვიდრე აწმყოში. და თუ ფაქტები ეჭვმიუტანელს ხდის, რომ მონათესავე ენები წარსულში უფრო ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, ხოლო შემდეგ მათ შორის სხვაობა თანდათანობით იზრდებოდა, ცხადია, რომ ეს ენები დიფერენციაციის შედეგად ყოფილან წარმოშობილი და არა ინტეგრაციის შედეგად. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ დიალექტები ოდესღაც დამოუკიდებელი ენების გადმონაშთები კი არ არიან, არამედ, პირუკუ, საერთო-სახალხო ენის განშტოებებს წარმოადგენენ და არავითარი საფუძველი არ არის იმ შეხედულებისათვის, თითქოს საქართველოში ოდესღაც იმდენი დამოუკიდებელი ენა არსებობდა, რამდენიც ამჟამად დიალექტია.

რაკი მხოლოდ შეჯვარედინების პროცესს აღიარებდა ენათა განვითარებაში, ნ. მარს უნდა დაესკვნა, რომ ენის წარმოშობის მომენტში ურიცხვი ენები არსებობდა და შემდეგ შეჯვარედინების შედეგად მათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო იკლებდა. ამგვარად. ყალიბდება „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ფორმულა: საწყისი მრავალენიანობიდან მომავალი ერთიანი ენისაკენ[2].

თავის შეხედულებას ენათა განვითარების შესახებ გრაფიკულად ნ. მარი ფუძით მდგომი პირამიდით გამოხატავდა. ამის საპირისპი-

---

[1] Н. Я. Марр, Избр. раб., т. II, გვ. 191.

[2] იქვე, т. III, გვ. 72; იქვე, ტ. II, გვ. 24.

როდ შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისის შესაბამისად იგი მიიჩნევდა წუეროთი მდგომ პირამიდას, რომელიც, მისი აზრით, ენათა დიფერენციაციის პროცესს ასახავდა[1].

რომ არ შეეჩერდეთ ფაქტობრივ მხარეზე, ფუძით მდგომი პირამიდა ეწინააღმდეგება „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ძირითად პრინციპს მსოფლიოს ყველა ენის ოთხი ელემენტისაგან წარმოშობის შესახებ. თუ თავდაპირველად მხოლოდ ოთხი ელემენტი იყო, როგორღა მოხერხდება უამრავი ენის დაშვება?[2].

რაც შეეხება წუეროთი მდგომ პირამიდას, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები ყოველთვის იმ მოსაზრებას გამოთქვამდნენ, რომ მსოფლიოს ყველა ენა ერთი ენისაგან არ მომდინარეობს. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ენათმეცნიერების დახასიათებისას ი. მეშჩანინოვი აღნიშნავდა: „სამეცნიერო აზრმა დაიწყო მთელი კაცობრიობისათვის ერთიანი პრაენის. ძიება. ასეთი ენა, ცხადია, ბუნებაში არ აღმოჩნდა, მაინც მეცნიერები ხელს კიდებდნენ თეორიული გზით მის აღდგენას“[3]. საკითხავია, XIX საუკუნის რომელი ენათმეცნიერი ირთობდა თავს ისეთი ფუჭი საქმით, როგორიცაა მთელი კაცობრიობის ერთიანი, არარსებული პრაენის თეორიული გზით აღდგენა?!

აშკარაა, პირამიდა არ გამოდგება ენათა დიფერენციაციის პროცესის გრაფიკულად გამოხატვისათვის. ერთი ენისაგან წარმოიშვა არა მსოფლიოს ყველა ენა, არამედ მხოლოდ ერთმანეთის მონათესავე ენები. ასე რომ, თუ მაინცდამაინც პირამიდას გამოვიყენებდით (აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ პირამიდა მეტისმეტად გამარტივებული სქემაა დიფერენციაციის რთულ პროცესში ენათა ურთიერთმიმართების ასახვისათვის), მაშინ დაგვჭირდებოდა რამდენიმე პირამიდა (იმდენი, მონათესავე ენათა რამდენი ოჯახიც არსებობს).

რაც შეეხება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მთლიან თვალსაზრისს ენათა განვითარებაზე, მას პირამიდა ოდნავი მიახლოებითაც კი ვერ გამოხატავს, რადგანაც ისტორიულ-შედა-

---

[1] Н. Я. Марр, Избр. раб., т. III, გვ. 31.

[2] ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, მესამე გამოცემა, 1946, გვ. 214.

[3] И. И. Мещанинов, Новое в учении о языке, 1945, გვ. 5—6.

რებითი ენათმეცნიერება მხოლოდ დიფერენციაციის პროცესის არსებობას კი არ ცნობს ენათა განვითარებაში, არამედ უნიფიკაციისასაც.

როგორც ვხედავთ, „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევართა პირველი საბუთი ენათა გენეტური ნათესაობის წინააღმდეგ არ საბუთობს. არ შეიძლება უარყოფილ იქნეს ენათა დიფერენციაციის პროცესი, რომელსაც ემყარება წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობა.

განსაკუთრებული ძალით ილაშქრებდნენ ნ. მარი და მისი მიმდევრები ფუძე-ენის არსებობის წინააღმდეგ. ნ. მარი აცხადებდა:

წინარე ენა წარმოადგენს ფიქციას, ერთ დროს სასარგებლოს, მაგრამ ამჟამად მავნებელს, რადგან იგი ხელს უშლის ენის განვითარების საკითხის სწორად დაყენებასო[1].

ფუძე-ენის არსებობის უარყოფა მოასწავებს გენეალოგიურ კლასიფიკაციაზე ხელის აღებას, რადგანაც აზრი ეკარგება ძირითად დებულებას, რომ მონათესავე ენები ერთი ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ: არ არსებულიდან არ შეიძლებოდა მიგვეღო თანამედროვე ენები. ამგვარად, ვისაც გენეალოგიური კლასიფიკაცია მეცნიერულად მიაჩნია, მისთვის უდავო უნდა იყოს ფუძე-ენათა არსებობა. ასევე, ენათა დიფერენციაციის პროცესის უარყოფიდან ბუნებრივად გამომდინარეობს ფუძე-ენათა უარყოფაც.

„ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევრები აცხადებდნენ, რომ არ შეიძლება მონათესავე ენები ერთი საერთო ენისაგან იყვნენ წარმოშობილი, რადგანაც საერთო ენები არ არსებობდნენ იმ შორეულ ეპოქებში, როდესაც თანამედროვე მონათესავე ენათა ჩამოყალიბება ხდებოდაო.

მათ მიაჩნდათ, რომ გვარების, ტომებისა და ხალხების ენები არ წარმოადგენდნენ საერთო-სახალხო ენებს, რომ ყოველ გვარს, ყოველ ტომს თავისი საკუთარი ენა ჰქონდა. ასე, მაგალითად, ი. მეშჩანინოვის სიტყვით:

„თუ გვაროვნული უჯრედების ენებისაგან მოგვიანებით წარმოიშვნენ ტომობრივი ენები, ხოლო ამათგან, თავისი მხრივ, წარმოიშვნენ ხალხებისა და შემდეგ ეროვნული ენები, მაშინ სად შეიძლება აქ დავინახოთ ერთიანი პრაენა?—მე მას ვერ ვხედავ.

---

[1] Н. Я. Марр, Избр. раб., т. I, გვ. 213, შდრ. იქვე, ტ. IV, გვ. 3.

ხალხის ენას საფუძვლად უდევს ტომობრივი ენები. საერთო ტომობრივმა ენამ გააერთიანა ტომობრივ ენათა რიგი. ტომობრივი ენა გამოვიდა ცალკეული გვარების ენებისაგან. მათ სათავეებში, ამგვარად, დასტურდება მრავალი ენა და არა ერთიანი მეტყველება. შეიძლება ვილაპარაკოთ რომელიმე ენის პრაენობრივ მდგომარეობაზე, მაგრამ არა მთელი ენობრივი მრავალფეროვნებისათვის ერთიან პრაენაზე"[1].

საერთო ენად მარისტებს მხოლოდ ეროვნული ენა მიაჩნდათ[2]. ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი მსჯელობა: „სრულიად აშკარაა, რომ დიალექტთა კონსოლიდაცია ეროვნული ენის ერთიანობაში გვიანდელი მოვლენაა ენათა ისტორიულ განვითარებაში. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს მცდარობას XIX საუკუნის ენათმეცნიერების მიერ დახატული სურათისა ერთმანეთთან დაკავშირებულ ენათა ჯგუფების უძველესი მდგომარეობის შესახებ ერთიანი პრაენის სახით და მისი განვითარების შესახებ ერთიანობიდან სიმრავლისაკენ"[3].

ზემომოყვანილ ციტატებში ერთმანეთშია აღრეული საერთოსახალხო ენა და ნაციონალური ენა. იმ ფაქტიდან, რომ ეროვნული ენები გვიან შეიქმნა (ერების ჩამოყალიბების შემდეგ), ავტორებს გამოაქვთ დასკვნა, თითქოს წინა ეპოქებში საერთო ენები არ არსებობდა, იყო მხოლოდ სხვადასხვა ენები და დიალექტები. ეს შეხედულება ძირშივე მცდარია.

სინამდვილეში ენა ყოველთვის, განვითარების ყველა საფეხურზე საერთოა ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისათვის. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ენა გაგებინების საშუალებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის და რომ მან თავისი დანიშნულება შეასრულოს, ამისათვის აუცილებელია, იგი გასაგები იყოს ამ საზოგადოების ყველა წევრისათვის, ე. ი. ერთიანი და საერთო იყოს ყველასათვის.

---

[1] Акад. И. И. Мещанинов, Новое учение о языке на современном этапе развития, 1948, გვ. 35.

[2] როდესაც ნ. მარის მიმდევრები ენის კლასობრიობის საკითხს განიხილავდნენ, მაშინ ისინი იმასაც უარყოფდნენ, თითქოს ეროვნული ენა საერთო-სახალხო ენას წარმოადგენდეს. მაგრამ როდესაც ისინი ეხებოდნენ ეროვნული ენის ტერიტორიულ დიალექტებთან მიმართების საკითხს, აქ იმეორებდნენ ცნობილ მარქსისტულ გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ეროვნულ ენაში ხდება დიალექტების კონსოლიდაცია. ამასთან მიაჩნდათ, რომ ეროვნულ ენათა წარმოშობამდე ადგილი არა აქვს დიალექტთა კონსოლიდაციას საერთო ენაში.

[3] Р. О. Шор и Н. С. Чемоданов, Введение в языкознание, 1945. გვ. 220.

ამგვარად, არ შეეფერება სინამდვილეს ნ. მარისა და მისი მიმდევრების შეხედულება, თითქოს გვარების, ტომებისა და ხალხების ენები არ წარმოადგენდნენ საერთო-სახალხო ენებს. მარისტების აზრით, ყოველ გვარს, ყოველ ტომს თავისი საკუთარი ენა ჰქონდა, სინამდვილეში კი არამონათესავეთა გვერდით არსებობდა ისეთი გვარები და ტომები, რომლებიც ერთი ენის დიალექტებზე მეტყველებდნენ. ეს იყო მონათესავე გვარები და ტომები, რომლებიც წარმოიშვნენ ერთი და იმავე გვარის ან ტომის დიფერენციაციის, გათიშვის გზით.

ზემომოყვანილ ციტატში ი. მეშჩანინოვი ხალხების წარმოშობის პროცესს იმგვარად ახასიათებს, თითქოს ამ დროს ხდებოდა სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ტომების გაერთიანება. არც ეს შეხედულება არის მართებული. ახლად წარმოშობილი ხალხების ძირითად ბირთვს მონათესავე ტომები, ე. ი. ერთი ენის დიალექტებზე მოლაპარაკე ტომები ქმნიდნენ. ამგვარად, ხალხის ენაც, ჩვეულებრივ, საერთო, დიალექტებით განსხვავებულ ენას წარმოადგენდა.

ენათა მატერიალური ნათესაობის თეორიისათვის რომ სახელი გაეტეხათ, მარისტები სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებდნენ, თითქოს ერთი ფუძე-ენისაგან რამდენიმე მონათესავე ენის წარმოშობის აღიარება იმას ნიშნავს, რომ მთელი კაცობრიობის მეტყველების დასაბამად ერთი ენა გამოვაცხადოთ, ე. ი. ბიბლიური წინარე ენის თეორიის თვალსაზრისზე დავდგეთო[1].

ზემოთ ჩვენ ვნახეთ (იხ. თ. I), რომ ერთი ენისაგან რამდენიმე ენის წარმოშობის შესაძლებლობას სრულიადაც არ მივყავართ იმ გაუმართლებელი დასკვნისაკენ, თითქოს მსოფლიოს ყველა ენა ერთი წინარე ენისაგან მომდინარეობდეს. ნათესაობის თეორიის მიხედვით, ერთი ფუძე-ენისაგან არის წარმოშობილი მხოლოდ მონათესავე ენები, ერთ ოჯახში შემავალი ენები. მსოფლიოს ყველა ენა კი სრულიადაც არ უკავშირდება ერთმანეთს. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წარმომადგენლები ენათა პოლიგენეზისს უპერდნენ მხარს და არა მონოგენეზისს.

ამგვარად, ისევე, როგორც დიფერენციაციის პროცესთან დაკავშირებით იყო, აქაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მა-

---

[1] Н. Я. Марр, Избр. раб., т. I, გვ. 132; იქვე, ტ. I, გვ. 150. И. И. Мещанинов, За творческое развитие наследия акад. Н. Я. Марра. „Правда", 1950, 16.V.

ჩისტების გალაშქრება ფუძე-ენის რეალურად არსებობის წინააღმდეგ. ფუძე-ენა არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა ენის რაობის თვალსაზრისით. ის იყო ისეთივე ენა, როგორც ამჟამად არსებული ყოველი ენაა, ოღონდ მისი განვითარების პროცესში ისეთი პირობები შეიქმნა, რომ მისი დიალექტები დამოუკიდებელ ენებად გადაიქცა. ფუძე-ენას არაფერი საერთო არა აქვს იმ ბიბლიურ ენასთან, რომლისაგანაც თითქოს წარმოიშვა მსოფლიოს ყველა ენა.

ნ. მარის მიმდევრები ისეთი თავგამოდებით ილაშქრებდნენ მონათესავე ენათათვის ერთი საერთო ამოსავალი ენის არსებობის წინააღმდეგ, ისე ხშირად იმეორებდნენ ისინი თავიანთ უსაფუძვლო ბრალდებას, თითქოს ეს ამოსავალი ენა ბიბლიურ პრაენად იყოს მიჩნეული ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, რომ ტერმინი „წინარე-ენა", როგორც ეს არაერთგზის იყო აღნიშნული ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში, ოდიოზური გახდა. მის ხმარებას გაურბოდნენ 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგაც კი. ასე, მაგალითად, ლ. ბულახოვსკის აზრით, არ ღირს ამჟამად დავიცვათ ტერმინი „პრაენა", იმიტომ, რომ წლების განმავლობაში იგი ოდიოზური გახდა და ძნელია ამჟამად იგი გავათავისუფლოთ მის მიერ მიღებული ემოციური ელფერისაგან[1]. ავტორი იქვე დასძენს, შედარებით-ისტორიული მეთოდი თავის პრაქტიკულ გამოყენებაში ნაკლებ საჭიროებს „პრაენის" ცნებას, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენო[2].

ამ შეხედულებას იზიარებდა 1950 წ. ბ. გორნუნგიც, რომელიც სტატიაში „ინდოევროპულ ენათა ისტორიული ერთიანობის შესახებ საკითხის დასმისათვის"[3] გაურბის ფუძე-ენის საკითხის პირდაპირ

---

[1] Проф. Л. А. Булаховский, Вопросы исторического развития языка в свете работ И. В. Сталина по языкознанию, Вопросы языкознания в свете трудов И. В. Сталина, 1952, გვ. 236 (მოხსენება წაკითხულია 1950 წ.).

[2] ლ. ბულახოვსკი, დასახ. შრ., გვ. 237. რომ პრაენის შემნაცვლებელი რაიმე ტერმინი მაინც საჭიროა, ეს იქვე ჩანს, რადგანაც აეტორი წინადადებას იძლევა ვიხმაროთ „უძველესი ენა".

[3] Б. В. Горнунг, К постановке вопроса об исторической общности индоевропейских языков. ИАН СССР, Отд. лит-ры и языка, 1950, т. IX, вып. 5. 347-ე გვ.-ზე ავტორი ლაპარაკობს ფიქტიური „პრაენის" შესახებ. ამასთან „პრაენა" (ისევე როგორც ბულახოვსკის ზემოდასახელებულ წერილშიაც) ნახმარია იმ მნიშვნელობით, რომლითაც ამჟამად ფუძე-ენა იხმარება.

და გარკვევით დასმას და იმის თქმას, რომ თუ ენათა ნათესაობა ენათა დიფერენციაციის პროცესს ემყარება, მაშინ შინაგანი აუცილებლობით უნდა დავუშვათ არსებობა ერთი საწყისი ენისა, რომლისგანაც წარმოიშვა მონათესავე ენები.

ეს საკითხი საჭირო სიზუსტითა და გარკვეულობით არის განხილული ბ. სერებრენიკოვის სტატიაში „პრაენის შესახებ“, სადაც ავტორი სავსებით მართებულად აღნიშნავს: „ნ. ი. მარი სისტემატურად ურევდა ფუძე-ენას, როგორც ენათა ოჯახის წარმოშობის საერთო წყაროს. მთელი კაცობრიობის საერთო ბიბლიურ ენაში“[1]. გასაზიარებელია დასკვნაც: „მაშასადამე, პრაენა ამ ტერმინის ბიბლიური გაგებით არასოდეს არ არსებობდა, მაგრამ წარმოშობის ერთიანი წყარო. ენა, რომელიც მონათესავე ენათა მომდევნო ჯგუფის ფუძემდებელს წარმოადგენდა, შეიძლებოდა ყოფილიყო ისტორიული რეალობა[2].

აღსანიშნავია, რომ თუ გორნუნგი 1950 წ. ეჭვის ქვეშ აყენებდა ფუძე-ენის რეალურად არსებობას[3], მოგვიანებით იგი უკვე გარკვევით აღნიშნავს, ფუძე-ენა რეალურად არსებობდაო[4].

ყოყმანი, რომელიც გორნუნგთან შეიმჩნევა, წარმოადგენს ჩვენს ენათმეცნიერებაში ფუძე-ენის საკითხთან დაკავშირებით არსებული

---

[1] Б. А. Серебренников, О праязыке. Иностранные языки в школе, 1951, № 3, გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 17.

[3] სიზუსტისათვის მოგვყავს რუსულად. სჭოლიოში ბ. გორნუნგი თავისი თავის შესახებ შენიშნავს: „Автор совершенно далек от мысли как-либо связывать эту „общеиндоевропейскую норму“ с основными чертами грамматического строя и словарного состава какого-то „праязыка“. Даже если допускать реальное существование „индоевропейского праязыка“, этот „праязык“ (или гораздо лучше—„язык-основа“, как предлагает проф. А. С. Чикобава) должен был представлять собою нечто совсем иное, чем та „система соответствий“, которую называют „праязыком“ такие лингвисты, как А. Мейе (Б. В. Горнунг, К постановке вопроса об исторической общности индоевропейских языков. НАН СССР, Отд. лит-ры и языка, 1950, т. IX, вып. 5, გვ. 337).

[4] „Чтобы не сводить в одну плоскость черты реконструируемого языка-основы (реального, развивающегося)...“ Б. В. Горнунг, О границах применения сравнительно-исторического метода. Вопросы языкознания. 1952, № 4, გვ. 34. შდრ. აგრეთვე Б. В. Горнунг, В. Д. Левин, В. Н. Сидоров, Проблема образования и развития языковых семей. Вопросы языкознания, 1952. № 1, გვ. 46, სადაც ლაპარაკია ისეთ რეალურად დადასტურებულ ფუძე-ენებზე, როგორიცაა აღმოსაელურ სლავური (რუსულის უკრაინულისა და ბელორუსულის ფუძე-ენა) და ვულგარული ლათინური (რომანული ენების ფუძე-ენა).

ვითარების ტიპობრივ მაგალითს. იგი უშუალო შედეგია იმისა, რომ თავიანთ დაუსაბუთებელ ბრალდებათა ხშირად გამეორებით მარრისტებმა მაინც შეძლეს სახელი გაეტეხათ ფუძე-ენისათვის და საკამათოდ გაეხადათ ფუძე-ენის რეალურობის საკითხი მას შემდეგაც კი, რაც აღიარებულ იქნა ენათა წარმოშობითი ნათესაობა[1].

ფუძე-ენის რეალურობაში ამჟამად არავის შეაქვს ეჭვი. რაც შეეხება „წინარე ენის" საკითხს, როგორც აღნიშნული იყო, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბების შემდეგ ამ სახელწოდების ქვეშ ჩვეულებრივ გულისხმობდნენ სწორედ იმ საერთო ენას, რომელმაც საწყისი მისცა მხოლოდ მონათესავე ენებს. ამ გაგებით „წინარე ენა" და „ფუძე-ენა" სინონიმებია. მაგრამ უფრო ადრე—ენათმეცნიერების შექმნამდე—წინარე ენა აღნიშნავდა იმ ბიბლიურ თავდაპირველ ენას, რომელმაც თითქოს წარმოშვა მსოფლიოს ყველა ენა.

„წინარე ენაში" მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გულისხმობს იმ ზღაპრულ თავდაპირველ ენას, რომლისგანაც თითქოს წარმოიშვა დედამიწის ყველა ენა. ასეთი წინარე ენის არსებობა სჯეროდათ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში: მსოფლიოს ენათა ლექსიკის შედარებით ლამობდნენ კიდეც ამ თავდაპირველი ენის მიკვლევას"[2].

ამგვარად, ტერმინი „წინარე ენა" ორაზროვანია, ერთი გაგება ადვილად შეიძლება აირიოს მეორეში. გარდა ამისა, მარისტებმა მართლაც ოდიოზურად აქციეს ეს ტერმინი (რასაც სავსებით სამარ-

---

[1] არსებული ვითარების დახასიათება მოცემულია ჟურნალ „Вопросы языкознания"-ს სარედაქციო წერილში, სადაც აღნიშნული არის, რომ ფუძე-ენის ცნება ერთბაშად არ დამკვიდრებულა საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ბევრ ენათმეცნიერს ეშინოდა ფუძე-ენის აღიარებისა, რადგან ამაში ხედავდნენ შედარებითი ენათმეცნიერების ძველი დებულებისადმი მთლიანად დაბრუნებას, აიგივებდნენ რა ფუძე-ენის ცნებას და პრაენის ძველ ცნებას. აქვე გარკვევით წერია, აღიარებულია ფუძე-ენა, როგორც მონათესავე ენათა თითოეული ჯგუფისა და ოჯახის საერთო ენაო. Задачи советского языкознания в свете трудов И. В. Сталина и журнал „Вопросы языкознания". „Вопросы языкознания", 1952, № 1, გვ. 21.

[2] არნ. ჩიქობავა, საბჭოთა ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. „საქართველოს კომუნისტი", 1953, № 6, გვ. 50. ყველა ენის ერთი ენიდან წარმოშობის თეორია, რომელიც XVIII საუკუნეში ფართოდ იყო გავრცელებული, კრიტიკულად აქვს განხილული ვ. პორჟეზინსკის თავის „ენათმეცნიერების შესავალში". ავტორი აღნიშნავს: „Скоро, однако, ученые разочаровались в попытках свести все языки к одному праязыку вследствие очевидной невозможности доказать это положение. В. Поржезинский, Введение в языковедение, 1916, გვ. 16.

თლიანად აღნიშნაედა ლ. ბულახოვსკი). ამიტომ ბუნებრივია, რომ „წინარე ენა“ შეცვლილ იქნა ორაზროვნებას მოკლებული ტერმინით—„ფუძე-ენა“.

„ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ წარმომადგენლები იმაშიაც კი სდებდნენ ბრალს ენათა ნათესაობის თეორიას, თითქოს იგი რასისტულ თვალსაზრისზე იდგეს.

„ამ მოძღვრებას ახასიათებს, აგრეთვე, ენათა რასობრივი დანაწილება, რამდენადაც რჩება პრეზუმპცია, რომ ენათა თითოეულ დიდ დაჯგუფებას, ივარაუდება, აქვს თავისი წინარე სამშობლო და წინარე ენა, რომელიც დამოუკიდებელია სხვა წარმოშობის ჯგუფთა ენებისაგან და მათი წინარე ენებისაგან“,—წერდა ნ. მარი[1].

სინამდვილეში, როგორც ამაზე სპეციალურად გვქონდა საუბარი (იხ. თ. I), არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ ენათა ნათესაობის აღიარება რასისტულ თვალსაზრისს დაეუკავშიროთ. ენათმეცნიერების ჩამოყალიბებიდანვე გაბატონებულია შეხედულება, რომ არ არსებობს არავითარი პარალელიზმი ოჯახებად ენათა დაყოფასა და რასების მიხედვით ხალხთა კლასიფიკაციას შორის.

ასეთი შეხედულება ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევრებმა იმიტომ მიაწერეს გენეალოგიურ კლასიფიკაციას, რომ ამით ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისთვის. საილუსტრაციოდ ერთი ნიმუშიც კმარა. რ. შორისა და ნ. ჩემოდანოვის ნაშრომში „ენათმეცნიერების შესავალი“ ვკითხულობთ: „ცნებამ „ენათა ნათესაობა“ XIX საუკ. ენათმეცნიერებაში მიიღო შინაარსი ბიოლოგიური, გენეტური კავშირისა ერთი „ოჯახის“ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს შორის. ხალხებს შორის ენათა მიხედვით კავშირი გაიგივებულ იქნა ტომობრივ და რასობრივ კავშირთან. შლაიხერის მიხედვით... ენა უნდა განხილულიყო, როგორც მოვლენა, რომელიც უშუალო კავშირში იმყოფება რასის მოვლენებთან (ხაზი ავტორისაა.—თ. შ.)“[2].

სინამდვილეში კი ავგ. შლაიხერს აზრადაც არ მოსვლია ენათა და რასების ნათესაობის გათანაბრება. პირიქით, იგი ყოველთვის გაბაზავდა, რომ ენებად დაყოფა არ ხვდება რასებად დანაწილებას. ერთ-ერთ თავის შრომაში ამის საილუსტრაციოდ ავგ. შლაიხერი

[1] Н. Я. Марр, Избр. раб., т. IV, გვ. 3.

[2] Р. О. Шор и Н. С. Чемоданов, Введение в языкознание, 1945, გვ. 187.

ასახელებს თურქულ ენათა ოჯახს, რომელზედაც მონღოლური და კავკასიური რასების ხალხები ლაპარაკობენო[1].

კიდევ უფრო გაუმართლებელი იყო ის, რომ ნ. მარი და მისი მიმდევრები ცდილობდნენ ფუძე-ენის არსებობის დაშვებაც კი რასისტულ თვალსაზრისთან დაეკავშირებინათ. მარისტთა ამ უსაფუძვლო შეხედულებას იმეორებდა პ. კუზნეცოვი თავის შენიშვნებში ვანდრიესის წიგნის გამო. იგი აღნიშნავდა, ფუძე-ენაზე, ალბათ, გარკვეული ხალხი ლაპარაკობდა, ე. ი. ენობრივი ერთიანობა ეთნიკურ ერთიანობასაც გულისხმობსო და ასკვნიდა. რასობრივ თეორიასთან თანმიმდევრულმა ბრძოლამ უეჭველად უნდა მიგვიყვანოს პრაენის კონცეფციის სრულ უარყოფამდეო[2].

ეს მსჯელობა სრულიად მიუღებელია. არავითარი გამართლება არ მოეპოვება ფუძე-ენის დაკავშირებას რასისტულ თვალსაზრისთან. ფუძე-ენა, როგორც არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, ისეთსავე ენას წარმოადგენდა, როგორიცაა ნებისმიერი თანამედროვე ენა. ცხადია, ფუძე-ენაზე გარკვეული ხალხი ლაპარაკობდა და ენობრივი ერთიანობა ეთნიკურ ერთიანობასაც გულისხმობს. მაგრამ რა შუაშია აქ რასიზმი?! განა ქართულ, რუსულ, ჩინურ და სხვა ენებზე არ ლაპარაკობენ გარკვეული ხალხები, რომელნიც გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლეობენ და რომელთაც აქვთ საერთო კულტურა და ეთნიკური ნიშანთა ერთობლიობა! ამის აღიარება რომ რასიზმს მოასწავებდეს, მაშინ თანამედროვე, ცოცხალ ენათა არსებობაშიც ეჭვი უნდა შეგვეტანა!

როგორც ვხედავთ, ნ. მარსა და მის მიმდევრებს არ წამოუყენებიათ არც ერთი დებულება, რომელიც ბადებდეს ეჭვს, რომ წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობა არსებობს. მარისტების გალაშქრება ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ მოკლებული იყო ყოველგვარ საფუძველს.

აქედან ცხადია, თუ როგორ სერიოზულ ზიანს მიაყენებდა საბჭოთა ენათმეცნიერებას ენათა ნათესაობის ხელაღებით უარყოფა

---

[1] A. Schleicher, Sprachvergleichende Untersuchungen. Die Sprachen Europas in systematischer Uebersicht, 1850, გვ. 36.

[2] П. С. Кузнецов, Примечания, წიგნში: Ж. Вандриес, Язык. 1937, გვ. 383. ამჟამად პ. კუზნეცოვი უკვე აღარ უკავშირებს ფუძე-ენის, როგორც მონათესავე ენათათვის საერთო, ამოსავალი წყაროს, დაშვებას რასისტულ თვალსაზრისს. იხ. П. С. Кузнецов, Ошибки Н. Я. Марра в его взглядах на родство и историческое развитие языков. კრებულში: Против извращения и вульгаризации марксизма в языкознании, т. II, გვ. 209.

მარისტების მიერ. ჯერ ერთი, იმისათვის, რომ დამაჯერებლობა მიენიჭებინათ მცდარი დებულებისათვის, ენათა ნათესაობა არ არსებობსო. ნ. მარი და მისი მიმდევრები, როგორც ზემოთ ვნახეთ, სრულიად უსაფუძვლო შეხედულებებს აყენებდნენ: უარყოფდნენ საერთო ენათა არსებობას საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპებზე, არ ცნობდნენ ენათა დიფერენციაციის პროცესის რეალურობას, დიალექტებს დამოუკიდებელ ენათა გადმონაშთებად თვლიდნენ და ა. შ. ამდენად, მარისტები ამახინჯებდნენ ენათა განვითარების რეალურ სურათს და თეორიული არევ-დარევა შემოჰქონდათ ენათმეცნიერებაში.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. როგორც აღნიშნული იყო, ენათა ნათესაობის დადგენა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ვაწარმოოთ კონკრეტულ ენათა მეცნიერული კვლევა. მარისტები ენათა ნათესაობასთან ერთად ისტორიულ-შედარებით მეთოდსაც უარყოფდნენ[1].

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის უკუგდებით ნ. მარის მიმდევრები სპობდნენ იმის შესაძლებლობას, რომ საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანი ენები ისტორიული თვალსაზრისით ყოფილიყო შესწავლილი. ამის გარეშე კი, როგორც აღნიშნული იყო, შეუძლებელია კონკრეტულ ენათა მეცნიერული კვლევა.

თავი მეექვსე

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის მნიშვნელობა. ისტორიულ-შედარებითი კვლევის წარმატებები და სიძნელეები

§ 18. წინა თავებში ჩვენ გავეცანით როგორც ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპებს, ისე იმ მოსაზრებებსაც, რომლებიც ამ კლასიფიკაციის წინააღმდეგ ყოფილა წამოყენებული სხვადასხვა დროს. როგორც დავრწმუნდით, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის საფუძველთა შერყევა ვერ შეძლეს ვერც საზღვარგარეთული ენათმეცნიერების წარმომადგენლებმა, ვერც ნ. მარმა და მისმა მიმდევრებმა.

---

[1] Н. Я. Марр, Избр. раб., т. II, гл. 234. И. И. Мещанинов, За творческое развитие наследия акад. Н. Я. Марра, „Правда", 1950, 16. V. Ф. Филин, Против застоя, за развитие советского языкознания, „Правда", 1950, 30. V.

ენათა წარმოშობითი. მატერიალური ნათესაობა ეჭვმიუტანელი ფაქტია. აქედან ცხადია, მეცნიერული იქნება ის კლასიფიკაციაც, რომელიც ენათა ნათესაობას არკვევს.

მაგრამ ენათა ნათესაობის აღიარება და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მიჩნევა ენათა მეცნიერული კვლევის მეთოდად არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ სფეროში ენათმეცნიერებას აღარაფერი ჰქონდეს გასაკეთებელი. თითქოს ყველა საკითხი საბოლოოდ და ამომწურავად იყოს გაშუქებული. თანამედროვე ენათმეცნიერების ამოცანას წარმოადგენს ენათა ნათესაობის თეორიის შემდგომი გაღრმავება. გენეალოგიური კლასიფიკაციის ზოგი სადაო საკითხის გარკვევა, გზების გამონახვა იმ დაბრკოლებათა გადასალახავად, რომლებიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების დროს გვხვდება გარკვეულ შემთხვევებში.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ენათა ნათესაობის დადგენა შედარების საშუალებით ხდება, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება კი მხოლოდ მონათესავე ენათა მიმართ შეიძლება. თითქოს მოჯადოებული წრე გამოდის. პრაქტიკულად კვლევა ასე ხორციელდება: სანამ ენათა ნათესაობა დადგინდებოდეს, ადარებენ ერთმანეთს სხვადასხვა ენებს, რომელთა შორის რაიმე მსგავსება შეინიშნება. მათი ნათესაობა სამუშაო ჰიპოთეზად არის მიღებული. ეს ჰიპოთეზა ისეთ მსგავსებებს ემყარება, რომელიც პირველადვე თვალში ეცემა ადამიანს. ამას მოჰყვება ამ ენათა მეცნიერული შედარება. შედარებამ შეიძლება გაამართლოს წინასწარი ვარაუდი, ე. ი. შესასწავლ ენათა ნათესაობა დადასტურდეს. შესაძლებელია, პირუკუ მოხდეს, ე. ი. შესადარებელ ენათა შორის შენიშნული მსგავსებები შემთხვევითი აღმოჩნდეს. ამ გზით მოხდა, მაგალითად, ინდოევროპულ ენათა შესწავლა. ამ ენათა შორის შენიშნული მსგავსებები მათი ნათესაობის გამომხატველი აღმოჩნდა, ხოლო ამ ენათა შედარებითმა შესწავლამ ბევრად მეტი სიახლოვე დაადასტურა მათ შორის, და, ამგვარად, მეცნიერულად დამტკიცდა ინდოევროპულ ენათა ნათესაობა. სამაგიეროდ, ბოპის ვარაუდი, რომ ქართველური ენებიც იმავე ოჯახს ეკუთვნიან, არ გამართლდა.

ამგვარად, ენათმეცნიერებას არ მოეპოვება საშუალება, რომლის მიხედვითაც წინასწარ შეიძლებოდეს განსაზღვრა, გარკვეული ენები მონათესავე არიან თუ არა. ამ საკითხის მეცნიერული სიზუსტით გარკვევა მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგად შეიძლება.

ნათესაობის დამტკიცება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის შემონახული ენებში საერთო წარმოშობის ფაქტები და რამდენად არის შესაძლებელი საერთო წარმოშობის ფაქტთა მიკვლევა. სამართლიანად შენიშნავს ვანდრიესი, რომ „ენათა ნათესაობის განსაზღვრა შეფარდებითი რამ არის. იგი, უპირველესად ყოვლისა, ენობრივ საბუთებზე არის დამოკიდებული“[1].

ისტორიულ-შედარებითი კვლევა ყველაზე ნაყოფიერი იქ არის, სადაც ენები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და შესატყვისობა თავს იჩენს ბგერითი სისტემის მნიშვნელოვან ნაწილში. სადაც ენათა დიფერენციაცია ჯერ კიდევ ძლიერ შორს არ წასულა, სადაც შესატყვისობებს იგივეობრივი ბგერითი შემადგენლობის სიტყვები და აფიქსები სჭარბობს, იქ ისტორიის კვლევა უფრო გაძნელებულია. ამის მიზეზი ის არის, რომ პირველ შემთხვევაში წარმოებს დიფერენციაციის შედეგად ერთმანეთს დაშორებულ ფორმათა აყვანა საერთო ამოსავალ მდგომარეობამდე, მეორეში კი ეს ერთიანობა ჯერ კიდევ არ არის დარღვეული, მაშასადამე, წარსულის გათვალისწინებისათვის შედარება ბევრს არაფერს მოგვცემს. სწორედ ამიტომ არის, რომ ინდოევროპული ენები, რომლებიც მრავალრიცხოვანი არიან და ძლიერაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ბევრად უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის, ვიდრე, მაგალითად, სემიტური ენები, რომლებიც ჯერ კიდევ ძლიერ ახლოს დგანან ერთმანეთთან და რომლებშიაც შესატყვისობებს იგივეობა სჭარბობს. უკანასკნელ შემთხვევაში მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ იგივეობრივი ბგერითი შემადგენლობის მასალა ორ ენაში უეჭველად ამ ენათა საერთო წარმოშობაზე კი არ მიუთითებს, არამედ, შესაძლებელია სესხების, ე. ი. მეორეული დაახლოების, შედეგსაც წარმოადგენდეს.

თუ ერთმანეთთან ძლიერ ახლოს მდგომ ენათა შედარება ნაკლებ ნაყოფიერია მათი ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის, კიდევ უფრო ძნელდება ისეთ ენათა შედარება, რომლებიც მეტისმეტად არიან დაშორებული ერთმანეთს. ასეთ ენათა შედარებისას ძნელია მათი აყვანა განვითარების ერთსა და იმავე დონემდე („გაერთმნიშვნელიაბება“), ე. ი. მათი ისტორიის იმ მონაკვეთის წინასწარი გათვალისწინება, რომლის განმავლობაშიც მიიჩქმალა ადრინდელი კანონზომიერი შესატყვისობანი. მეტისმეტად დაშორებულ ენათა ნათესაობის ძიების დროს დიდ დახმარებას გვიწევს წერილო-

[1] Ж. Вандриес, Язык, გვ. 283.

ბითი ძეგლები. მაგრამ იქ. სადაც ასეთ ძველ ტექსტებს მოკლებული ვართ. ნათესაობის დამტკიცება და მონათესავე ენათა შედარებითი შესწავლა სერიოზულ დაბრკოლებებს ხვდება. აქედან აშკარაა. რომ შესაძლებელია ზოგ ენას შორის არსებობდეს შორეული ნათესაობა, მაგრამ ეს ენები იმდენად გადასხვაფერებული იყვნენ. რომ ჩვენ ვერ ვახერხებდეთ ამ ნათესაობის მიკვლევას.

ზემოთქმული თანაბრად ეხება ყველა ენას. რა ტიპისაც არ უნდა იყოს იგი. მაგრამ გარდა ამ საერთო სიძნელეებისა, სხვადასხვაგვარ ენებში ისტორიულ-შედარებითი კვლევის დროს გვხვდება დაბრკოლებები. რომლებიც ამ ენათა სტრუქტურის ან მათი ისტორიის თავისებურებებთან არის დაკავშირებული. ასე, მაგალითად. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ძნელია ძირეულ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა. ამის მიზეზი ის არის, რომ ძირეული ენები მოკლებულია აფიქსებს, ხოლო ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის ყველაზე მეტსა და საიმედო მასალას სწორედ აფიქსები იძლევა, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ენის ყველაზე გამძლე ნაწილს და ამიტომ დიდხანს ინახავენ საერთო წარმოშობის კვალს.

სხვაგვარი სიძნელე იქმნება ნარევ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის დროს. აქ პირველ ყოვლისა საჭიროა ნარევი ენის დაშლა შემადგენელ ფენებად. რომ შემდეგ თითოეული ფენა მის მონათესავე ენებთან იქნეს შედარებული. ნარევ ენაში სხვადასხვა წარმოშობის ფენათა გამოყოფა, როგორც ამაზე სპეციალურად გვქონდა საუბარი. ადვილი არ არის. ნარევ ენათა შედარებითი შესწავლის სპეციფიკას შემდეგნაირად ახასიათებს არნ. ჩიქობავა: „შედარების საკითხი თავისებურად დგება ნარევ ენაში. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია წამოვაყენოთ ისეთი შესატყვისობანი. რომელთაც ძალა ექნებოდა მთელი ენობრივი მასივისათვის; მთლიანი ენობრივი მასივი ასეთ შემთხვევაში არც გამოიყოფა. ნარევ ენაში სიმძიმის ცენტრი ცალკეულ ფენათა გამოვლენაზე გადადის; ესაა ერთად-ერთი გზა, თუ გვინდა მოვიპოვოთ შედარებისათვის საჭირო წინაპირობა, გავითვალისწინოთ შესადარებელ ოდნობათა ისტორია... ნარევ ენათა შესწავლის მეთოდიკა დამუშავებული არაა“[1].

[1] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, 1945, გვ. 226. ხაზი ყველგან ავტორისაა.

ზემოთქმულით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება ის სიძნელეები, რომლებიც ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის დროს გეხვდება. მაგრამ ჩვენს ამოცანას არც წარმოადგენს ყველა ამ სიძნელის ძიება. ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია პრინციპული მხარე. კერძოდ, რა ხასიათისაა ეს სიძნელენი.

როგორც ვნახეთ, გარკვეულ შემთხვევებში ენათა ნათესაობის შესწავლას სერიოზული დაბრკოლებები ეღობება წინ. ისტორიულ-შედარებით მეთოდს არ ძალუძს უზრუნველყოს ყოველგვარ პირობებში და ყველა ტიპის ენის ისტორიული კვლევა. ეს მეთოდი, რომელიც ძირითადად ინდოევროპულ ენათა შესწავლის პროცესში ჩამოყალიბდა, საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და სრულყოფას იმ მიმართულებით, რომ გათვალისწინებულ ექნეს სხვა ტიპის ენათა თავისებურებანი.

§ 19. ასეთია საქმის ვითარება იმ შემთხვევებში, როდესაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ხმარება შეზღუდულია. ახლა ვნახოთ, რას ვაღწევთ ამ მეთოდის საშუალებით მაშინ, როდესაც იგი წარმატებით გამოიყენება.

ამ საკითხთან დაკავშირებით კანონზომიერად დგება ფუძე-ენის რეკონსტრუქციის საკითხი. გასარკვევია, რამდენად შორს შეუძლია შედარებითს მეთოდს წარსულში შეჰრა? გვაძლევს თუ არა ის საშუალებას აღვადგინოთ ფუძე-ენა?

ენის ცოდნა იმას ნიშნავს, რომ ვიცოდეთ: ბგერათა რა კომპლექსებით იყო აღნიშნული ესა თუ ის საგნები და მოვლენები, რა გრამატიკული კატეგორიები ჰქონდა ენას და როგორ გამოხატავდა ის მათ.

თუ მოვიგონებთ იმას, რაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესახებ იყო თქმული (იხ. თ. I), აშკარა გახდება, რომ განცდილ ცვლილებათა შედეგად მონათესავე ენები არ წარმოგვიდგენენ ფუძე-ენის სიტყვათა მთელ მარაგს. ისინი არ ინახავენ აგრეთვე ყველა გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც ფუძე-ენას ჰქონდა. ენათმეცნიერებას არ მოეპოვება საშუალება აღადგინოს ის სიტყვები და ფორმანტები, რომლებიც ფუძე-ენას ჰქონდა, მისგან წარმოშობილ მონათესავე ენებმა კი დაკარგეს.

ამას ზედ ერთვის შემდეგი გარემოება: ფუძე-ენის ფაქტებზე მსჯელობა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი დიფერენციაციით მიღებულ ენათა შედარების საფუძველზე. მაგრამ, ჩვეულებრივ, ჩვენამდე ვერ აღწევს ყველა ენა, რომელიც ამა თუ იმ ფუძე-ენიდან იყო წარმოშობილი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დაკარგულ ენათა შედარება ცნობილ ენებთან დაადასტურებდა ამ უკანასკნელებში ისეთ ფაქტებს, რომლებიც ფუძე-ენიდან მომდინარეობენ, მაგრამ რომელთა ამგვარად შეფასების შესაძლებლობას ჩვენ ამჟამად, შესადარებელი მასალის უქონლობის გამო, მოკლებული ვართ.

რომ უფრო გასაგები გახდეს ნათქვამი, მოვიყვანოთ მაგალითი. ჩვენ ვიცნობთ სამ ქართველურ ენას: ქართულს, ზანურსა და სვანურს. არის შემთხვევები, როდესაც მხოლოდ ორი მათგანი იძლევა შესატყვისობებს, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ქართველური ფუძე-ენის შესახებ. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ამ ენათაგანს, ვთქვათ ზანურს, არ მოეღწია ჩვენამდე. ცხადია, ჩვენ მიერ შექმნილი სურათი ქართველური ფუძე-ენისა ბევრად უფრო ღარიბი იქნებოდა. თუმცა ქართულში და სვანურში შემონახული იქნებოდა საერთო წარმოშობის იგივე ფაქტები, რომლებსაც მათში დღეს ვხვდებით, მაგრამ ჩვენ არ გვექნებოდა საშუალება შეგვენიშნა ეს ფაქტები.

მაგალითად, ქართული—„ქმარი", „ცოლი", „ყური" არ გვაძლევს სვანურში შესატყვისობებს (შდრ. სვან. ჰაშ, ხეხვ, შდიმ). მხოლოდ ქართული და სვანური რომ იყოს ჩვენს განკარგულებაში, ვერ გადავწყვეტდით საკითხს, ჰქონდა თუ არა აღნიშნული სიტყვები ფუძე-ენას და თუ ჰქონდა, ქართულში გვაქვს ფუძე-ენისაგან ნამემკვიდრევი სიტყვები შემონახული თუ სვანურში. ზანურთან შედარება შესაძლებლობას გვაძლევს გავარკვიოთ ეს საკითხი. ზემომოყვანილი ქართული სიტყვები ზანურში კანონზომიერ შესატყვისობათა სახით არის წარმოდგენილი (ქართ. ქმარი: ჭან. ქომოჯი, მეგრ. ქომონჯი, ქართ. ცოლი : ზან. ჩილი, ქართ. ყური : ჭან. ყუჯი, მეგრ. ცუჯი), რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ფუძე-ენის საერთო მასალის დიფერენციაციით არიან მიღებული. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ოდესღაც, ალბათ, სვანურსაც ჰქონდა დასახელებულ სიტყვათა შესატყვისები და შემდეგ დაეკარგა ისინი.

განხილული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი მონათესავე ენის გაჭრობა აუნაზღაურებელ დანაკლისს ქმნის მონათესავე ენათა ისტორიის ზოგიერთი მხარის გათვალისწინებისა და ფუძე-ენის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით.

არანაკლებ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ისეთ სიტყვათა და აფიქსთა შედარება, რომლებიც შესატყვის ბგერებს კი არ შეიცავენ, არამედ იგივეობრივს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული

(იხ. თ. I). იგივეობის შემთხვევაში არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ასეთი სიტყვები ნასესხები იყოს ან ერთ-ერთი მონათესავე ენიდან დანარჩენებში, ანდა რომელიმე არამონათესავე ენიდან. ამიტომ ასეთი სიტყვები ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის არ გამოდგება. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ იგივეობრივ სიტყვათა მიმართ მას შემდეგ, რაც შესასწავლ ენათა ნათესაობა უკვე ეჭვს აღარ იწვევს? შეიძლება თუ არა ერთი ხელის მოსმით გამოვრიცხოთ ისინი მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის ფონდიდან? რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა გამართლებული. როგორც ფუძე-ენის ყველა ბგერა არ განიცდის დიფერენციაციას, ასევე, შესაძლებელია, რიგი სიტყვები ერთნაირად ჰქონდეს შემონახული ჯგუფ ნათესავე ენებს. მაგრამ იმის გარკვევისათვის, ნასესხებია თუ საერთო წარმოშობისაა ესა თუ ის სიტყვა მონათესავე ენებში, უნდა ვიცოდეთ ამ სიტყვათა ისტორია, რაც მით უფრო ძნელი დასადგენია, რაც უფრო ადრინდელ ეპოქებს ეხება საქმე.

ნიმუშისათვის შეიძლებოდა დაგვესახელებინა საერთო სიტყვები ქართულსა და ზანურში: ცხენი, კაკალი, მელა, ცა, ქერი...[1] ეს სიტყვები დასახელებულ ენათა უძველეს ფონდს განეკუთვნება და სავსებით კანონზომიერია იმის დაშვება, რომ ისინი საერთო წარმოშობის იყვნენ. მაგრამ სრული დამაჯერებლობით ამის მტკიცება (როგორც ეს ხდება შესატყვისობის შემთხვევაში) ძლიერ ძნელი ან ზოგჯერ შეუძლებელიც კია, რადგანაც ამისათვის აუცილებელია გამოვრიცხოთ სესხების შესაძლებლობა. ხოლო სესხება ენებს შორის სავსებით ნორმალურ მოვლენას წარმოადგენდა მათი განვითარების უძველეს საფეხურებზედაც. თვით ისეთი სიტყვაც კი, როგორიცაა ქართ. და ჭან. ბიჭი, რომელიც ჩვენ ენათათვის სპეციფიკურ ბგერას (ჭ-ს) მოიცავს, ნასესხებად ითვლება სპარსულიდან.

ამგვარად, ფუძე-ენას ვერ მივაკუთვნებთ ისეთ ენობრივ ნიშნებს, რომლებსაც მონათესავე ენებში დიფერენციაცია არ განუცდიათ. თუმცა, შესაძლებელია, ისინი სწორედ ფუძე-ენიდან მომდინარეობდნენ. მაგრამ არა გვაქვს საშუალება გამოვრიცხოთ მათი გვიანდელი სესხების შესაძლებლობა.

ასეთ შემთხვევებში ენათმეცნიერი ვალდებულია მის განკარგულებაში არსებული მასალის საფუძველზე ყოველი ცალკეული მაგალითის მიმართ ცადოს საკითხის გადაწყვეტა.

---

[1] ქართულისა და ზანურის მაგალითები ყველგან ამოღებულია არნ. ჩიქობავას წიგნიდან „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“.

ერთი შეხედვით, იმავე რიგისაა ისეთი შემთხვევები, როდესაც იგივეობრივია არა მთელი სიტყვები, არამედ მათი ცალკეული ელემენტები (ძირი ან რომელიმე აფიქსი). დანარჩენი ელემენტები კი შესატყვისობებს აყალიბებენ. მაგრამ აქ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს შაშინ, როდესაც ერთგვარი ძირები სხვადასხვა მონათესავე ენაში გაფორმებულია უძველესი აფიქსებით, რომლებიც ან შესატყვისი არიან ფონეტიკურად ანდა მასალობრივად სრულიად სხვადასხვაგვარი არიან.

მაგალითები:

ქართ.	წიფ-ელ-ი	პ-ირ-ი	ხ-არ-ი ‖ ჯ-არ-ი
მეგრ.	წიფ-ურ-ი	პ-იჯ-ი	ხ-ოჯ-ი
სვან.	წიფ-რა	პ-ილ	ჯ--ან
ქართ.	ფ-რ-ცხ-ილ-ი	სა-რ-ტყ-ელ-ი	სა-ვა-რ-ცხ-ელ-ი
მეგრ.	ბი-რ-ცხა←ბუ-ცხა	ო-რ-ტყ-აფ-უ	ო-რ-ცხ-ონჯ-ი
სვან.	ცხა	ლა-რ-ტყ-ა	ლა-ცხ-ნ-ირ

ყველა დასახელებულ შემთხვევაში სამივე ქართველურ ენაში ძირები საერთოა და არა შესატყვისი. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, შაინც უდავოა, რომ ეს ძირები ფუძე-ენიდან მომდინარეობს და, მაშასადამე, ისინი არ წარმოადგენენ სესხების შედეგს. ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას ის გვაძლევს, რომ ფუძეები გაფორმებულია ან ერთმანეთის შესატყვისი აფიქსებით ან არა და სრულიად სხვადასხვაგვარად. ამასთან გამოყენებულია ფუძეთა მაწარმოებელი უძველესი აფიქსები.

მაგრამ ყოველთვის ასე ადვილი არ არის ამ საკითხის გადაწყვეტა. ასე, მაგალითად, გარკვეულ შემთხვევებში სვანური და მეგრული ერთგვარ შესატყვისობებს გვიჩვენებენ ქართულის მიმართ: ქართ. ს : მეგრ.-სვან. შ; ქართ. ძ : მეგრ. -სვან. ჯ. ეს მოვლენა ორგვარად შეიძლება აიხსნას:

1. მეგრულ-სვანურის საერთო ვითარება იმ ეპოქის გადმონაშთია, როდესაც ეს ორი ენა ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი და არსებობდა მხოლოდ ორი ქართველური ენა: ერთი ის, რომლის გაგრძელებასაც თანამედროვე ქართული წარმოადგენს, ხოლო მეორე ის, რომლის დიფერენციაციამაც შემდეგში ზანური და სვანური მოგვცა.

2. შესაძლებელია, მეგრულთან იგივეობრივ ბგერათა შემცველი ენობრივი ნიშნები სვანურს მეგრულისაგან ჰქონდეს შეთვისებული გვიან შერევის შედეგად (მეგრული ფენა სვანურში).

მაგალითში მეგრ. ოშ-ი: სვან. აშ-ირ (ასი) პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამაზე მიუთითებს ხმოვანთა შესატყვისობა ძირებში (მეგრ. ო : სვან. ა), აგრეთვე ის, რომ სვანურში ძირს დეტერმინანტი სუფიქსი ერთვის, მეგრულში კი ძირი უსუფიქსოა.

იმავე რიგისა ჩანს მეგრ. ჯვ-ეშ-ი ← სვან. ჯვ-ინ-ელ (ქართ. ძვ-ელ-ი). რადგანაც, მიუხედავად ძირთა დამთხვევისა, ფუძეები სხვადასხვაგვარად არის აგებული ამ ენებში.

უფრო რთულია ვითარება მეგრ. ჯიმ-ა ჯომ-ალ სვან. ჯევ-ილ (ძმა) შემთხვევაში. სუფიქსებში განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი არ გამორიცხავს სესხების შესაძლებლობას.

კიდევ უფრო ძნელი გადასაწყვეტია ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსის საკითხი. ეს სუფიქსი -იშ || -ეშ დაბოლოების სახით არის წარმოდგენილი მეგრულშიაც და სვანურშიაც. არაფერი არ მიუთითებს იმაზე. საერთო წარმოშობისაა ეს დაბოლოება მეგრულ-სვანურში, თუ იგი სვანურს შეთვისებული აქვს მეგრულისაგან. ჩვეულებრივ, ნათესაობითის ნიშანი ნასესხებად ითვლება სვანურში, მაგრამ. ვფიქრობთ, არც ის არის გამორიცხული, რომ აქ დიფერენციაციის გარეშე დარჩენილ მასალასთან გვქონდეს საქმე.

როგორც ვხედავთ, არ ხერხდება გამოიყოს ყველა ის ფაქტი, რომელიც ფუძე-ენისაგან მომდინარეობს მონათესავე ენებში. ეს ეხება ისეთ სიტყვებს, რომლებშიაც ფონეტიკური შესატყვისობები არ დასტურდება.

როგორი ვითარება გვაქვს იქ, სადაც შესატყვისობები იჩენს თავს? სხვადასხვა ენაში რეგულარულ შესატყვისობათა არსებობა ამ ენათა ნათესაობის მაჩვენებელია. ქართ. ს, ზ. ძ, წ, ც-ს და ა. შ. რომ ზანურში შ. ჟ. ჯ, ჭ. ჩ და ა. შ. შეესატყვისება სისტემატურად, ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასახელებული ენები ერთი ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვნენ. მაგრამ თვით ამ ფუძე-ენის აღდგენისათვის სრულიადაც არ კმარა შესატყვისობათა დადასტურება. უნდა ვიცოდეთ, რა ვითარება გვქონდა ფუძე-ენაში. შესაძლებლობა კი სხვადასხვაგვარია. ერთ შემთხვევაში შეიძლება ერთ ენას ჰქონდეს უძველესი ვითარება შემონახული, მეორე შემთხვევაში— მეორეს და ა. შ. ამ მხრივ საყურადღებოა ინდოევროპულ ენათა შესწავლის ისტორია. შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში ფიქრობდნენ, ფუძე ენის მდგომარეობა ყველაზე უკეთ დაცულია იმ ენებში, რომლებიც უფრო ძველი სა-

ხითაა ცნობილიო. ამიტომ ინდოევროპული ენებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველ ინდურს. რადგანაც ინდურს სამი ხმოვანი ჰქონდა (ა, ი, უ), დაასკვნეს, ინდოევროპულ ფუძე-ენაში მხოლოდ ეს ხმოვნები უნდა ყოფილიყოო. შემდგომმა კვლევა-ძიებამ სწორედ საწინააღმდეგო შედეგები მოგვცა. ინდური სამი ხმოვანი მეორეული აღმოჩნდა, ე-სა და ო-ს დაკარგვის შედეგად მიღებული. სხვა ბგერათა მიმართაც დადასტურდა, რომ შეუძლებელია რომელიმე ენა მთლიანად წარმოგვიდგენდეს ფუძე-ენის ვითარებას. ფუძე-ენის ზოგი ბგერა ყველა ენაში განიცდის დიფერენციაციას, ზოგი შემონახულია ერთ ენაში, ზოგი—მეორეში, ზოგიც უცვლელად დარჩენილი ყველა ენაში[1].

დასახელებულთაგან ყველაზე რთული ის შემთხვევაა, როდესაც ფუძე-ენის მდგომარეობა არც ერთ მონათესავე ენაში არ არის შენარჩუნებული. ასეთი შემთხვევა ქართველურ ენებშიაც დასტურდება. გ. როგავას გამოკვლევით[2], იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ხშულ თანხმოვანთა ოთხეულებრივი სისტემა (მჟღერი-ფშვინვიერი-მკვეთრი-პრერუპტივი). შემდეგ ოთხეულებრივი სისტემა სამეულებრივით შეიცვალა. მეოთხე რიგის ბგერები (პრერუპტივები) ხმარებიდან გამოვიდა. მაგრამ ისინი უკვალოდ კი არ დაკარგულან, არამედ შენაცვლებულ იქნენ იმავე ადგილას ნაწარმოები სხვა ბგერებით (მჟღერით, ფშვინვიერით ან მკვეთრით). ამის შედეგია იბერიულ-კავკასიურ ენებში, კერძოდ ქართველურში, ერთსა და იმავე ადგილას ნაწარმოებ ხშულთა შესატყვისობა. მაგ. ქართ.-სვან. დ : მეგრ. თ, ქართ. შვიდი, სვან. იშგვიდ: მეგრ. შქვითი[3].

არც ქართულ-სვანური დ არის ფუძე-ენიდან მომდინარე და არც მეგრული თ, ორივე გამქრალი პრერუპტივის ნაცვალია.

როგორც ვხედავთ, შესატყვისობათა არსებობის შემთხვევაშიაც ხშირად ძნელია სიტყვებისა და აფიქსების იმ სახით აღდგენა, რა სახითაც ისინი ფუძე-ენაში უნდა ყოფილიყვნენ. თვით შესატყვისობათა ფაქტი მტკიცე საფუძველს იძლევა სათანადო ენათა გენეტურად დაკავშირებისათვის, მაგრამ ფუძე-ენის ფაქტები რომ აღვად-

---

1 სათანადო ნიმუშები ქართველური ენებიდან იხ. გ. როგავას წერილში: ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV.

2 გ. რ ო გ ა ვ ა, ხშულთა ოთხეულებრივი სისტემისათვის კავკასიურ ენებში, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე", ტ. IV, № 8, 1943.

3 იქვე, გვ. 839.

გინოთ, ამისათვის აუცილებელია ახსნილი გვქონდეს, რა ცვლილებები განუცდია მისგან წარმოშობილ თითოეულ ენას დიფერენციაციის პროცესში. ამის დადგენა კი მეტ-ნაკლები სიზუსტით ხერხდება სხვადასხვა შემთხვევაში.

ამიტომ არის, რომ მონათესავე ენათა შედარების დროს ენათმეცნიერთა მიერ აღდგენილი ამოსავალი ფორმები (ე. წ. არქეტიპები) აბსოლუტური ღირებულების მქონედ არ ითვლება. მეცნიერების წინსვლასთან და კვლევა-ძიების გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტი მიახლოვებით ხერხდება უძველეს ფორმათა აღდგენა.

ისევ ინდოევროპულ ენებს რომ მივმართოთ, ამ ენათა ნათესაობა ჯერ კიდევ ბოპის დროიდან საკმაოდ დამაჯერებლად იყო დამტკიცებული. მაგრამ რაც შეეხება რეკონსტრუქციის საკითხს. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა იმ ორ ეპოქას შორის, რომელიც ავგ. შლაიხერსა და ანტ. მეიეს აცილებს ერთმანეთისაგან. შლაიხერის მომდევნო თაობებმა ინდოევროპულ ენათა ისტორიის მთელ რიგ საკითხებს სრულიად ახლებური გაშუქება მისცეს, რაც ინდოევროპული ენათმეცნიერების პროგრესის ერთ-ერთ გამოსახულებას წარმოადგენდა.

ფუძე-ენის რეკონსტრუქციის საკითხთან დაკავშირებით იმასაც სამართლიანად მიუთითებენ, რომ არ ხერხდება აღდგენილ ფორმათა ზუსტი დათარიღება. ჩვენ ვარკვევთ იმას, თუ რა ფორმა რას უსწრებდა (მაგ., თვე ←თთუე←*დთუე←*დუთე), მაგრამ რომელ კონკრეტულ ეპოქაში რომელი ამათგანი იხმარებოდა, ამის დადგენა მეტწილად (ლიტერატურულ ძეგლებში დადასტურებულ შემთხვევათა გამოკლებით) შეუძლებელია. ამგვარად, საქმე გვაქვს შედარებითს ქრონოლოგიასთან.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ მიერ აღდგენილი ყველა ფორმა ერთსა და იმავე ეპოქას არ განეკუთვნებოდა ალბათ[1]. ფუძე-ენას, ისევე როგორც ყველა სხვა ენას, ხანგრძლივი ისტორია ექნე-

---

[1] მაგალითად, ქართ. ა : ზან. ო უფრო გვიანდელად არის მიჩნეული, ვიდრე ქართ. ს : ზან. შ, ქართ. ც : ზან. ჩ, ქართ. ძ: ზან. ჯ და ა. შ. ამ საკითხს არკვევს სვანური, რომლისთვისაც თანხმოვანთა შესატყვისობებში ზანურის გითარებაა ნმოსავალი, ხმოვნის საკითხში კი იგი ქართულს ემხრობა (ა-ს წარმოგვიდგენს). მაშასადამე, მანამ, სანამ ზანურისა და სვანურის დიფერენციაცია მოხდებოდა, აღნიშნული შესატყვისობები თანხმოვნებში არსებობდა, ხმოვნის გადაწევა კი (ა→ო) უფრო გვიან განხორციელდა მხოლოდ ზანურში, მაშინ როდესაც სვანურმა ძველი ვითარება შეინარჩუნა (გ.როგავა, ა. ჩიქობავა).

ბოდა. ასევე თანდათანობით და სხვადასხვა დროს ხდებოდა ამ ენისაგან მრავალრიცხოვან მონათესავე ენათა დიფერენციაცია. ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ის, რასაც შესატყვისობათა შედარების გზით აღვადგენთ, წინ უსწრებდა მონათესავე ენებში სათანადო ფაქტებს შორის სხვადასხვაობის წარმოშობას. მაგრამ, სახელდობრ, განვითარების რომელ ეტაპზე წარმოიშვა ესა თუ ის განსხვავება. როგორ ლაგდება დროის თვალსაზრისით მონათესავე ენათა სხვადასხვა ფაქტები. ეს საკითხები ისტორიულ-შედარებითი კვლევის ურთულეს საკითხთა რიგს განეკუთვნება და მათი ზუსტად გარკვევა ყოველთვის ვერ ხერხდება.

ბოლოს. ისიც გასათვალისწინებელია. რომ მორფოლოგიურ მაწარმოებლებში შესატყვისობათა არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს სათანადო კატეგორიები ფუძე-ენაშიაც არსებობდა. ზოგი კატეგორია, შესაძლებელია, გვიან იყოს განვითარებული მონათესავე ენებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, და ამ კატეგორიის აღსანიშნავად თითოეულმა მათგანმა საერთო წარმოშობის მასალა გამოიყენოს. შეცდომა იქნებოდა, თუ ასეთ კატეგორიებს ფუძე-ენას მივაკუთვნებდით.

ამგვარად, თუმცა შედარებითი მეთოდი ენათა ისტორიის გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს. მისი შესაძლებლობები განსაზღვრულია. ფუძე-ენის სრულად აღდგენა მას არ ძალუძს.

§ 20. ფუძე-ენის რეკონსტრუქციის საკითხი ენათმეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ენათმეცნიერის მიერ ერთგვარად არ შუქდებოდა. ამის საჩვენებლად საკმარისი იქნება, თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ შლაიხერისა და მეიეს შეხედულებებს. თუ შლაიხერს ფუძე-ენის რეკონსტრუქცია სავსებით რეალურად მიაჩნდა და იგი იგავსაც კი თხზავდა ამ თითქოსდა აღდგენილ ინდოევროპულ ფუძე-ენაზე[1], მეიე, პირუკუ, ფიქრობდა, რომ შედარებითი გრამატიკის მიზანი არ არის ინდოევროპული ფუძე-ენის აღდგენა[2]. ფუძე-ენის აღდგენას იგი შეუძლებლად თვლიდა[3]. ერ-

---

[1] ეს იგავი დაიბეჭდა 1868 წ. „Beiträge zur vergleichenden Sprachforschung"-ის მეხუთე ტომში. იგი მოყვანილი აქვს ო. იესპერსენს თარგმანითურთ (O. Jespersen, Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung, გვ. 63).

[2] А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 74.

თადერთი რეალობა, რომელთანაც ენათმეცნიერსა აქვს საქმე. ესაა შესატყვისობანი დადასტურებულ ენებს შორისო, აღნიშნავდა მეიე[1], და ამიტომ შედარებითი გრამატიკის ამოცანად იგი მიიჩნეოდა არა გამქრალი ფუძე-ენის აღდგენას, არამედ დადასტურებულ ენებს შორის შესატყვისობათა შესწავლას[2].

ფუძე-ენის კონკრეტული სახით აღდგენა შეუძლებლად მიაჩნია ვანდრიესაც, რომელიც აღნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვთქვათ ამ ენაზე ისეთი მარტივი ფრაზაც კი, როგორიცაა „ცხენი მირბის“ ან „სახლი დიდია“. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სქემატური სახით აღვადგინოთ გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც ფუძე-ენას ჰქონდა და გავარკვიოთ მის სუფიქსთა მნიშვნელობაო, დასძენს ვანდრიესი[3].

ერთი შეხედვით, სხვა თვალსაზრისზე დგას სოსიური, რომელიც გამოთქვამს შეხედულებას, რომ შედარების მიზანი მხოლოდ რეკონსტრუქციებია[4], მაგრამ თვით რეკონსტრუქციის შესაძლებლობანი მასაც ისევე ესმის, როგორც ზემოდასახელებულ ორ ლინგვისტს: ინდოევროპული ფუძე-ენის აღდგენა იმ სახით, როგორც მასზე ლაპარაკობდნენ, არ შეიძლებაო, აღნიშნავს იგი. წარმოებს მხოლოდ ინდოევროპული ფუძე-ენის ძირითად დამახასიათებელ ნიშანთა რეკონსტრუქცია. ამასთან ზოგი აღდგენილი ფორმა უეჭველია, ზოგი სადავოა, ზოგი კი—პრობლემატური. რეკონსტრუქციის მიზანია ჩვენი მეცნიერების მიღწევათა რეგისტრაციაო, მიუთითებს სოსიური[5].

ფუძე-ენის რეკონსტრუქციის საკითხის დასმა სავსებით კანონზომიერია, როდესაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესაძლებლობებზე გვაქვს საუბარი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რამდენად შორს შეუძლია შეგვიყვანოს ისტორიის სიღრმეში ამ მეთოდმა. ფუძე-ენა ხომ მისგან წარმოშობილ მონათესავე ენათა განვითარების ერთ-ერთ ძველის-ძველ საფეხურს წარმოადგენს.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ მარრის მიმდევრები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი ენათმეცნიერები ერთმანეთში ურევდნენ ფუძე ენის რეალურად არსებობისა და ფუძე-

---

[1] А. Мейе. Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 73—74.

[2] იქვე, გვ. 77, შდრ. გვ. 79.

[3] Ж. Вандриес, Язык, გვ. 275.

[4] Ф. де-Соссюр, Курс общей лингвистики, გვ. 196, 197.

[5] იქვე, გვ. 198.

ენის რეკონსტრუქციის პრობლემებს. ამიტომ, თუ რომელიმე ენათმეცნიერი ეჭვს გამოთქვამდა ფუძე-ენის აღდგენის შესაძლებლობაში, ისინი აკეთებდნენ დასკვნას, თითქოს ამ ენათმეცნიერს თვით ფუძე-ენის არსებობა მიაჩნდა არარეალურად. ასეთ შეხედულებას გამოთქვამდა, მაგალითად, რ. შორი ა. მეიეს შესახებ. იგი ისე წარმოგვიდგენდა საქმის ვითარებას, თითქოს მეიე ფუძე-ენის ცნებას ზედმეტად და უსარგებლოდ მიიჩნევდა[1], ხოლო პ. კუზნეცოვი აღნიშნავდა, თითქოს ვანდრიესი, უკიდურეს ორთოდოქს კომპარატივისტებისაგან განსხვავებით, ინდოევროპულ ენას მიიჩნევდა წმინდა სქემად, შესატყვისობათა სისტემად, რომელიც არ შეესაბამება არავითარ კონკრეტულ რეალობას და რომელიც მხოლოდ გვეხმარება იმაში, რომ აღვადგინოთ ამჟამად არსებულ ინდოევროპულ ენათა გრამატიკული სტრუქტურის პრინციპთა ისტორიული წარსული[2].

სინამდვილეში არც მეიესა და არც ვანდრიესს არ შეპარვია ეჭვი ფუძე-ენის არსებობაში[3]. ეს რომ ასე ყოფილიყო, მათ თვით ენათა ნათესაობის თეორიაც უნდა უკუეგდოთ. დასახელებული ავტორები მხოლოდ იმას უარყოფდნენ, თითქოს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით შესაძლებელი იყოს პრეისტორიულ ხანაში არსებულ ფუძე-ენათა რეკონსტრუქცია. თვითონ ის ფაქტი, რომ ეს მკვლევრები საგანგებოდ მსჯელობდნენ ფუძე-ენის აღდგენის შესაზებ, გვიჩვენებს, რომ მათთვის უდავო იყო ფუძე-ენათა არსებობა. ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა იმის აღდგენის შესახებ ლაპარაკი, რაც რეალურად არ არსებობდა, რაც მეცნიერული ფიქციაა მხოლოდ.

ფუძე-ენის რეკონსტრუქციის საკითხს ზოგ საბჭოთა ენათმეცნიერთან უკანასკნელ წლებშიაც აკლდა გარკვეულობა. ასე, მაგა-

---

[1] იხ. რ. შორის შენიშვნები ა. მეიეს წიგნზე Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 489, 502.

[2] იხ. პ. კუზნეცოვის შენიშვნები ვანდრიესის წიგნზე Язык, გვ. 383.

[3] ამჟამად პ. კუზნეცოვი მართებულად აღნიშნავს, რომ მარისტულ შეხედულებათა ბატონობის დროს ზოგი ენათმეცნიერი მეიეს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ფუძე-ენის აღდგენა, ისეთ მცდარ ინტერპრეტაციას აძლევდა, თითქოს მეიე უარყოფდა საერთოდ ფუძე-ენის არსებობას. ავტორი მიუთითებს რ. შორზე, ვ. ჟირმუნსკიზე, ვ. სერგიევსკიზე (იხ. რ. ა ვ ა ნ ე ს ო ვ ი ს ა და პ. კ უ ზ ნ ე ც ო ვ ი ს წინასიტყვაობა მეიეს წიგნზე Общеславянский язык 1951, გვ. IX—X), მაგრამ კუზნეცოვი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სწორედ ასეთსავე მცდარ ინტერპრეტაციას აძლევდა თვითონ იგი ვანდრიესის ანალოგიურ შეხედულებებს.

ლითად. ბ. გორნუნგი, რომელიც 1950 წ. ჯერ კიდევ უარყოფდა ფუძე-ენათა არსებობას, აღნიშნავდა, კიდევაც რომ დავუშვათ რეალურად არსებობა „ინდოევროპული წინარე ენისა“, ეს „წინარე ენა“ (ან უკეთ—„ფუძე-ენა“ როგორც ამას გვთავაზობს ა. ს. ჩიქობავა) უნდა ყოფილიყო სრულიად სხვა რამ. ვიდრე ის „შესატყვისობათა სისტემა“, რომელსაც „წინარე ენას“ უწოდებენ ისეთი ლინგვისტები, როგორიცაა ა. მეიე[1].

ამგვარადვე ახასიათებდა მეიეს შეხედულებას ბ. გორნუნგი უფრო გვიან, როდესაც იგი ფუძე-ენას უკვე რეალურ მოვლენად მიიჩნევდა. აქ ნათქვამია: ისტორიზმი რომ დავნერგოთ ლინგვისტურ რეკონსტრუქციათა მეთოდებში, ამისათვის საჭიროა გადაჭრით უარვყოთ ა. მეიეს მიერ მოცემული გაგება ფუძე-ენისა, როგორც „შესატყვისობათა სისტემისა“ სოსიურის სინქრონიის გაგებით[2]. და შემდეგ: ფუძე-ენის აღდგენის დროს, ჩვენ სრული ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენს თავს იმის შესახებ, რომ რეკონსტრუქციათა შედეგი ჰიპოთეზურია და ერთგვარად პირობითი, მაგრამ იმავე დროს თვით რეკონსტრუქციის მეთოდში უნდა გამოვდიოდეთ რეალური ხალხის ისტორიულად განვითარებული რეალური ენის წარმოდგენიდან და არა იმ მისწრაფებიდან, რომ ავაგოთ „შესატყვისობათა სისტემა“, რომელიც თავისთავად არ შეესაბამება არავითარ ისტორიულ რეალობას[3].

ა. მეიეს შეხედულებათა ამგვარი გადმოცემა არამართებულად მიგვაჩნია. მეიე იქითკენ კი არ მიისწრაფოდა, რომ აეგო „შესატყვისობათა სისტემა“, რომელსაც არავითარი რეალობა არ შეესაბამება, არამედ იგი აღნიშნავდა, რომ ენათმეცნიერებას არ მოეპოვება საშუალება სრული სიზუსტით, ე. ი. იმ საზით აღადგინოს ფუძე-ენა, როგორც იგი სინამდვილეში არსებობდა. ამგვარად, მეიესთან ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესაძლებლობათა შესახებ და არა ფუძე-ენის რეალურად არსებობა-არარსებობის შესახებ. „შესატყვისობათა სისტემას“, მეიეს აზრით, წარმოადგენს არა ფუძე-ენა, რომელიც ოდესღაც არსებობდა (და რომლის რეალურობაშიც, ბ. გორნუნგისაგან განსხვავებით, ა. მეიეს

---

[1] Б. В. Горнунг, К постановке вопроса об исторической общности индоевропейских языков. ИАН СССР, Отд. лит-ры и языка, 1950, т. IX, вып. 5, გვ. 337 სქოლიო.

[2] Б. В. Горнунг, О границах применения сравнительно-исторического метода в языкознании. Вопросы языкознания, 1952, № 4, გვ. 34.

[3] იქვე, გვ. 35.

ეჭვი არასოდეს არ შეპარვია), არამედ ის აღდგენილი ფორმები, რომლებიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების შედეგად მიიღება.

ამავე საკითხთან დაკავშირებით ნამდვილ ვითარებას არ ასახავს არც რ. შორის შენიშვნა, თითქოს ა. მეიეს აზრით, ინდოევროპული ფუძე-ენის აღდგენა მხოლოდ შეუძლებელი კი არაა, არამედ საჭიროც არ არის[1]. ასეთ რამეს მეიე არ ამბობს[2] და რომ ეთქვა, შეცდომა იქნებოდა. ენათა განვითარების რამდენადაც უფრო ძველ საფეხურებს აღადგენს ენათმეცნიერება, მით უკეთესია. ფუძე-ენის აღდგენა მას არ შეუძლია და ეს მისი სისუსტეა.

§ 21. როგორც დავრწმუნდით, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით ჩვენ ვიკვლევთ მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის მასალას, ამასთანავე შედარებითი მეთოდი ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ ამომწურავად იქნეს შესწავლილი ამ საერთო წარმოშობის მასალის ისტორია.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ საერთო წარმოშობის მასალა წარმოადგენს მონათესავე ენათა სისტემების მხოლოდ ნაწილს. მართალია, ყველაზე მნიშვნელოვან, ძირითად ნაწილს, რომელიც ამ ენათა საფუძველს ქმნის, მაგრამ მაინც ნაწილს. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მონათესავე ენებშიაც ისტორიულ-შედარებითი კვლევის გარეშე რჩება გარკვეული ფაქტები, კერძოდ, ის ფაქტები, რომლებიც ფუძე-ენიდან არ მომდინარეობენ. ასეთი არასაერთო წარმოშობის მოვლენათა კვლევისათვის ენათმეცნიერებაში სპეციალური მეთოდები ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

საქმეს ისიც ართულებს, რომ არასაერთო წარმოშობის მასალა მონათესავე ენებში ერთგვაროვანი არ არის: აქ, ერთის მხრივ, გამოიყოფა ის, რაც მონათესავე ენებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თავიანთი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით განავითარეს დიფერენციაციის შემდეგ. მეორე მხრივ კი გვექნება ისეთი მოვლენები, რომლებიც სხვა ენათა გავლენით, სესხების ან შერევის შედეგად არის წარმოქმნილი ცალკეულ მონათესავე ენებში. ცხადია, ამ ორი რიგის მოვლენათა შესწავლა სხვადასხვა გზით უნდა წარმოებ-

---

[1] Р. Шор, Примечания ა. მეიეს წიგნში Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 489.

[2] რ. შორი მიუთითებს 74-ე გვერდზე, სადაც ნათქვამია: „Положительными фактами являются только соответствия, а „восстановления". сводятся лишь к знакам, с помощью которых сокращенно выражаются соответствия". უფრო ზემოთ მეიე წერს: „Индоевропейский язык восстановить нельзя".

დეს. თუ პირველ შემთხვევაში ჩვენ არ დაგვჭირდება გავცილდეთ ამა თუ იმ ენის ფარგლებს, მეორე შემთხვევაში აუცილებელი იქნება იმ ენის მონაცემთა გათვალისწინება, რომელმაც გავლენა მოახდინა ჩვენთვის საინტერესო ენაზე.

გავლენის მომხდენი ენა შეიძლება მონათესავეც იყოს და არამონათესავეც იმ ენისა, რომელმაც მისი გავლენა განიცადა. ამგვარად, ენათა შედარება, უკეთ რომ ვთქვათ, შეპირისპირება, საჭირო ხდება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ერთი ენის დიფერენციაციით წარმოშობილ მასალასთან არა გვაქვს საქმე. ასეთი შეპირისპირება პრინციპულად განსხვავდება ისტორიულ-შედარებითი მეთოდისაგან. ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, გარკვეულ სპეციალურ მეთოდს წარმოადგენს და სრულიადაც არ გულისხმობს ყოველგვარ შედარებას. მაშინ როდესაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელიც ბგერათშესატყვისობებს ემყარება, მხოლოდ საერთო წარმოშობის, დიფერენციაციის გზით მიღებულ მასალას იკვლევს მონათესავე ენებში, შეპირისპირების დროს ასეთი საერთო წარმოშობის მასალასთან არა გვაქვს საქმე.

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შეპირისპირებას? იგი გამოავლენს ენათა შორის ისეთ მსგავსებებს, რომლებიც არ აიხსნება ამ ენათა საერთო წარმოშობით. ასეთი მსგავსებები შენიშნულია როგორც ერთმანეთის მეზობელ, ისე ერთმანეთს ძლიერ დაშორებულ არამონათესავე ენებში. ეს მსგავსებები შეიძლება ენობრივ მასალასაც ეხებოდეს და უფრო მეტად კი სტრუქტურას[1].

შეპირისპირება გამოავლენს აღნიშნულ მსგავსებებს, მაგრამ მათი ახსნა მას არ ძალუძს. ახსნისათვის საჭიროა მსგავს მოვლენათა ისტორიის გათვალისწინება თითოეულ შესადარებელ ენაში. ამ მხრივაც არსებითად განსხვავდება შეპირისპირება ისტორიულ-შედარებითი მეთოდისაგან. ეს უკანასკნელი თვით შედარების პროცესში ითვალისწინებს სათანადო მოვლენათა ისტორიას, შეპირისპირების დროს კი ფაქტებისადმი სტატიკურ მიდგომასთან გვაქვს საქმე. წარმოებს მხოლოდ მსგავს მოვლენათა აღნუსხვა. მათი ისტორიული შესწავლა კი მომავლის ამოცანად რჩება. მსგავს მოვლენათა აღნუსხვას მათი ისტორიის გათვალისწინების გარეშე მცირე მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მსგავსებათა წარმომშობი მიზეზები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ენათმეცნიერებაში დადგე-

---

[1] ამიტომ არის, რომ შეპირისპირებისათვის ხშირად ხმარება ტერმინი ტიპოლოგიური შედარება.

ნილია. რომ მსგავსი მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ენაში (ე. წ. პარალელური განვითარება). მეორე მხრივ, მსგავსებანი, შესაძლებელია, ენათა ურთიერთგავლენის შედეგი იყოს. ამ შემთხვევათა გაუდიფერენცირებლად სხვადასხვა ენებში მსგავსი ფაქტების დაგროვება საკმარისი არ არის. ხოლო მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან თვით შეპირისპირებას არ ძალუძს. ამისათვის სპეციალური გზების ძიებაა საჭირო.

თუ შეპირისპირებას დავურთავთ შეპირისპირებულ ფაქტთა ისტორიას, მაშინ სხვადასხვა ენაში მსგავს მოვლენათა აღმოჩენა უეჭველად მნიშვნელოვანი იქნება ენათმეცნიერებისათვის. იგი შესაძლებლობას მოგვცემს, ერთის მხრივ, შევისწავლოთ ენათა ურთიერთგავლენის, უნიფიკაციის თავისებურებანი, ხოლო, მეორე მხრივ კი—დავადგინოთ საერთო, ზოგადი კანონზომიერებანი სხვადასხვა ენებში.

მაგრამ როგორი საყურადღებოც არ უნდა იყოს ასეთი შეპირისპირება, ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ადგილს იგი ვერ დაიჭერს. როგორც ვნახეთ, ისტორიულ-შედარებითი შესწავლა და შეპირისპირება სრულიად სხვადასხვა სიბრტყეზე ექცევიან, და ერთი მეორეს არ გამორიცხავს. უფრო მეტიც, შეპირისპირებას მაშინ მოაქვს ნაყოფი, როდესაც იგი ენათა ისტორიას ემყარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეპირისპირების დროს უეჭველად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისტორიულ-შედარებითი კვლევის გზით მოპოვებული შედეგები. ამის გარეშე ჩვენ გაგვიძნელდებოდა არა მხოლოდ პარალელური განვითარებისა და ენათა ურთიერთგავლენის გამიჯვნა ერთმანეთისაგან, არამედ მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის (ე. ი. დიფერენციაციის გზით მიღებული) მოვლენებიც აგვერეოდა პირველ ორში.

ამიტომ, ვაღიარებთ რა შეპირისპირების მნიშვნელობას იმ ფარგლებში, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, არ შეიძლება უარყოფითად არ შევაფასოთ ის ტენდენცია. რომელიც თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში შეინიშნება და რომელიც იმაში ვლინდება, რომ იჩქმალება ისტორიულ-შედარებითი კვლევის მნიშვნელობა და ზედმეტი ყურადღება ენიჭება სხვადასხვა ენებში მსგავს მოვლენათა შეპირისპირებას (ე. წ. უნივერსალური შედარება) ამ მოვლენათა ისტორიის გათვალისწინების გარეშე[1].

[1] სპეციალური აღნიშვნის ღირსია ამ საკითხის შესახებ ჟ. ვანდრიესის წერილი „შედარება ენათმეცნიერებაში" (La comparaison en linguistique. Bullet-

* * *

საბოლოოდ, მიღებული დასკვნები შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ისტორიულ-შედარებით მეთოდს რიგი სიძნელეები ხვდება. ჯერ ერთი, ნაკლებ ნაყოფიერია ან მეტისმეტად ძნელდება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება ზოგიერთი ტიპის ენათა მიმართ. ასეთებია: ა) მონათესავე ენები, რომლებიც ძლიერ ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომელთა დიფერენციაცია შორს არ წასულა.

ბ) ენები, რომლებიც მეტისმეტად დაშორებული არიან ერთმანეთს, რის გამოც არ ხერხდება მათი ოდინდელი ნათესაობის დამტკიცება.

გ) ძირეული ენები, რომლებიც მოკლებული არიან მიმართებათა გამომხატველ აფიქსებს.

დ) ნარევი ენები, რომლებიც სხვადასხვა წარმოშობის ფენებისაგან შედგებიან და რომელთა ისტორიული ანალიზისათვის აუცილებელია შემადგენელი ფენების გამოყოფა.

თვით წარმატებით გამოყენების შემთხვევაშიაც ისტორიულ-შედარებით მეთოდს არა აქვს შესაძლებლობა შეჭი მოჰფინოს მონათესავე ენათა ყველა მხარეს, აგრეთვე მათი ისტორიის ყოველ ეტაპს. მას თვით ფუძე-ენის აღდგენაც არ ძალუძს მთლიანად. გარდა ამისა, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ვერ გაგვათვალისწინებინებს მონათესავე ენათა იმ ფაქტებს, რომლებიც მათში საერთო წარმოშობისა არ არის, არამედ დამოუკიდებლად განვითარდა ან სხვა ენათა გავლენით შეიქმნა.

ამგვარად, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი სრულიადაც არ შეიძლება ჩავთვალოთ ენათა ისტორიული კვლევის ყოვლისშემძლე მეთოდად. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ მეთოდზე ხელი უნდა ავიღოთ, რომ იგი უვარგისია?

---

in de la Société de linguistique de Paris. Tome quarante-deuxième, fasc. 1, № 124, 1946, გვ. 1—18). ვანდრიესი, რომელიც მისივე სიტყვების მიხედვით, განაგრძობს სოსიურისა და მეიეს ტრადიციებს, არ უარყოფს ისტორიულ-შედარებითი კვლევის მნიშვნელობას, მაგრამ მასთანაც კი იგრძნობა მონათესავე ენათა შედარებიდან ენათა უნივერსალურ შედარებაზე ყურადღების გადანაცვლება. არამონათესავე ენებში საერთო მოვლენათა შედარება (ავტორი ვან-გინეკენ?ე მიუთითებს), ვანდრიესის აზრით, იწვევს გადატრიალებას მეთოდშიაც და მთელ ენათმეცნიერებაშიაც. ამავე დროს იგი აღიარებს, რომ ასეთი შედარება წარმოადგენს დაბრუნებას XVIII საუკუნის ფილოსოფოსთა ზოგადი გრამატიკის თვალსაზრისისაკენ.

არსებითად პასუხი ამ კითხვაზე ზემოთ უკვე გაცემული გვაქვს: სხვა უკეთესი მეთოდი ენათა ისტორიული შესწავლისათვის ენათმეცნიერებას არ მოეპოვება. ამასთან, მართალია, რასაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ვაღწევთ, ეს არ არის ამომწურავი. მაგრამ იგი ცოტა როდია. გარკვეულ ფარგლებში (რომელთა განსაზღვრა აუცილებელია ამ მეთოდის შეუცდომლად გამოყენებისათვის) მისი საშუალებით მიღებული შედეგები სავსებით სანდოა და მნიშვნელოვანიც. ამიტომ უნდა დაისვას არა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის უარყოფის საკითხი, არამედ მისი გაუმჯობესებისა და სხვა სპეციალური მეთოდებით შევსების საკითხი. სიძნელეები, რომლებიც ამ მეთოდს ხვდება, შესასწავლი მასალის სირთულითა და თავისებურებით არის გამოწვეული. ამგვარად, ესაა ობიექტური ხასიათის სიძნელეები, როგორი სიძნელეების გადალახვაც ყოველ მეცნიერებას უხდება.

ენათმეცნიერების წინსვლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გაუმჯობესებაშიაც გამოიხატებოდა აქამდის. მით უფრო მოეთხოვება მისი გაუმჯობესება თანამედროვე ენათმეცნიერებას, რომლის განკარგულებაშიაც ბევრად მეტი ენის მასალაა, ვიდრე XIX საუკუნის ენათმეცნიერთა განკარგულებაში იყო. ამ მხრივ თანამედროვე ენათმეცნიერების წინაშე ორი ამოცანა დგას:

1. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი უნდა დაიხვეწოს ან ახალი მეთოდებით შეივსოს სხვადასხვა ტიპის ენათა სპეციფიკის შესაბამისად. ცხადია, ამ საკითხის გადაწყვეტა კონკრეტულ ენათა კვლევის პროცესში უნდა მიმდინარეობდეს და იგი თვითონ ამ ენათა სპეციალისტების საქმეს წარმოადგენს.

2. ენათა ნათესაობის თეორია უნდა გაღრმავდეს და ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრინციპები უნდა დაზუსტდეს ენის რაობისა და მისი განვითარების შესახებ იმ თვალსაზრისის მიხედვით, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერებას აქვს. აქ მთელი სიგრძე-სიგანით დგება მონათესავე ენათა დამოუკიდებელი განვითარებისა და ენათა შერევის საკითხები.

XIX საუკუნის ენათმეცნიერებმაც იცოდნენ, რომ ენები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, მაგრამ კონკრეტულ ენათა კვლევის დროს ამ გარემოებას სათანადო ანგარიშს არ უწევდნენ. მათი შესწავლის საგანი იყო დიფერენციაციის პროცესი (საერთო წარმოშობის ფაქტები მონათესავე ენებში). თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის აშკარაა, რომ დიფერენციაციის გვერდით კანონზომიერად

მოქმედებს ენათა ინტეგრაციის პროცესიც. ამ უკანაკნელის შედეგთა გათვალისწინების გარეშე ვერ მივიღებთ სრულ სურათს ენათა განვითარების შესახებ. მაშასადამე, საჭიროა სპეციალური ხერხები, რომლებიც ისევე მოგვცემს ენათა დაახლოების შედეგთა შესწავლის საშუალებას, როგორც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გაგვათვალისწინებინებს დიფერენციაციის პროცესის შედეგებს.

ყველაფერი ზემოთქმული განსაზღვრავს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ადგილს ენათმეცნიერებაში. ეს კლასიფიკაცია, როგორც ენათა ნათესაობაზე დამყარებული, აუცილებელია შედარებითი მეთოდის გამოყენებისათვის. მაშასადამე, კონკრეტულ ენათა ისტორიული კვლევა-ძიება ამ კლასიფიკაციის გარეშე შეუძლებელია. სწორედ ეს გარემოება ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას, რომელიც უფრო ფასეულია ენათმეცნიერებისათვის, ვიდრე რომელიმე სხვა კლასიფიკაცია.

ნაწილი მეორე

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია

შესავალი

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი ცნებები

§ 22. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია აჯგუფებს ენებს სიტყვათა აგებულების მიხედვით ანუ, სხვაგვარად, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება სიტყვათა ფორმა, რა საშუალებებს მიმართავს ენა სიტყვებს შორის დამოკიდებულების აღსანიშნავად.

ტრადიციულ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში, ჩვეულებრივ, ენათა ოთხ ტიპს გამოყოფენ. ესაა: იზოლირებული, აგლუტინაციური, ფლექსიური და პოლისინთეზური ენები.

იზოლირებული ენები უპირისპირდება ყველა დანარჩენებს იმით, რომ მათში სიტყვა მიმართების აფიქსებს არ დაირთავს, ფორმას არ იცვლის. საგანთა შორის მიმართებანი იზოლირებულ ენებში გამოხატულია სიტყვათა ადგილმდებარეობის, ინტონაციის, დამხმარე სიტყვების (ე. წ. ცარიელი სიტყვების) საშუალებით. იზოლირებული ენის ტიპობრივ ნიმუშად, ჩვეულებრივ, ასახელებენ ჩინურს. ჩინურისათვის დამახასიათებელია სიტყვათა ერთმარცვლოვნობა. ერთმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც ფორმაცვლილების აფიქსებს არ დაირთავენ, წინადადებაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილის როლში შეიძლება მოგვეელინონ. მაგალითად, „ტა“ შეიძლება ნიშნავდეს: „სიდიდე“ (არსებითი სახელი), „დიდი“ (ზედსართავი სახელი), „ადიდებს“ (ზმნა), „ძალიან“ (ზმნისართი). „შან“ შეიძლება ნიშნავდეს: „სიკეთე“ (არსებითი სახელი), „კეთილი“ (ზედსართავი სახელი), „მოწონება“ (ზმნა), „კარგად“ (ზმნისართი).

ინტონაცია იძლევა როგორც მნიშვნელობის განსხვავებას, ისე გრამატიკული ფუნქციის მიხედვით განსხვავებას. მაგალითად, ში-

„დაკარგვა, ში² „ათი“, ში³ „ისტორია“, ში⁴ „საქმე“. „ხაო“ მესამე ტონით ზედსართავი იქნება „კარგი“, მეოთხე ტონით კი—ზმნა „სიყვარული“.

სიტყვათა განლაგება წინადადებაში ჩინურ ენაში მტკიცე წესებს ექვემდებარება. მაგალითად, ქვემდებარე დაისმის შემასმენლის წინ, მსაზღვრელი საზღვრულის წინ, გარემოება ზმნის წინ, დამატება ზმნის შემდეგ და ა. შ.

გარდა ჩინურისა, იზოლირებულ ენებს მიაკუთვნებენ აგრეთვე ბირმულს, ტიბეტურს, სიამურსა და სხვ.

რაკი იზოლირებულ ენებში სიტყვა ფორმაცვლილების ელემენტებს არ დაირთავს, ამიტომ ამ ენებს უფორმოს ანუ ამორფულს უწოდებდნენ ერთ დროს. ამჟამად ეს ტერმინი, როგორც უვარგისი, უკუგდებულია.

იზოლირებული ტიპის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე ტერმინი ძირეული. ამ ტერმინის ხმარებასაც გარკვეული უხერხულობა ახლავს, რაზედაც ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი.

აგლუტინაციური და ფლექსიური ენები აფიქსებიანი ენებია. ამ მხრივ ისინი ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდებიან. განსხვავებას მხოლოდ ის ქმნის, თუ როგორ, რა წესით უკავშირდება აფიქსი ფუძეს.

აგლუტინაციურ ენაში აფიქსი მექანიკურად ერთვის ფუძეს. აფიქსის დართვისას არც ფუძე განიცდის ცვლილებას და არც აფიქსი. ფლექსიურ ენაში კი ფონეტიკური ცვლილებები ხდება ფუძეში (და შეიძლება აფიქსშიაც), რის გამოც ფუძე და აფიქსი შეერწყმიან ერთმანეთს. ამიტომ აგლუტინაციურ ენაში სიტყვის დაშლა შემადგენელ ელემენტებად ადვილია, ფლექსიურ ენაში კი—ძნელი.

ნიმუშისათვის შეიძლება შევადაროთ აგლუტინაციური ქართული ენა ფლექსიურ რუსულს:

ქართ. მხოლ. რიცხ. ყურ-ი — მრავლ. რიცხ. ყურ-ებ-ი

რუს. ух-о уш-и

როგორც ვხედავთ, ქართულში ფუძე მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში უცვლელი რჩება, რუსულში კი—არა, მხოლობით რიცხვში გვაქვს ух-, მრავლობითში—уш-. ანალოგიური მდგომარეობაა ზმნებშიაც:

ქართ. 1 პ. მხოლ. რიცხ. ვ-ხედავ მრავლ. რიცხ. ვ-ხედავ-თ

რუს. виж-у вид-им.

ჩვენთვის საინტერესო ტიპთა ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად ისიც ითვლება, რომ აგლუტინაციურ ენაში ერთ აფიქსს მხო-

ლოდ ერთი ფუნქცია აქვს; ფლექსიურში კი—ერთზე მეტი. მაგალითად, ქართულში -ებ- მხოლოდ მრავლობით რიცხვს აღნიშნავს, -ი კი სახელობით ბრუნვას (ყურ-ებ-ი), რუსულში კი -и მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაზე მიუთითებს. ასევე ზმნაშიაც ქართულში გარჩეულია პირისა (ვ-) და რიცხვის (-თ) ნიშნები (ვ-ხედავ-თ), რუსულში კი -им დაბოლოება მრავლობითობასაც აღნიშნავს და პირველ პირსაც.

გარდა ქართულისა, აგლუტინაციურ ენებს განეკუთვნება სვანური, მეგრული და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენები, აგრეთვე, თურქული, ფინურ-უნგრული ენები და სხვ. სახელწოდება აგლუტინაციური მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან **agglutinare** „შეწებება“. ამით გახაზულია აფიქსსა და ფუძეს შორის მექანიკური კავშირი ამ ტიპის ენებში.

რაც შეეხება ტერმინს „ფლექსიური“, ივი ფუძის ფლექსიის საფუძველზეა წარმომდგარი. საქმე ისაა, რომ გარდა აფიქსთა და ფუძეთა შერწყმისა, ამ ენებს ახასიათებს ფუძის ფლექსია, ე. ი. ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობა მორფოლოგიური დანიშნულებით. მაგალითად, თუ ქვემომოყვანილი ზმნისაგან ქართულში დრო იწარმოება მხოლოდ აფიქსების დართვით, გერმანულ ენაში მის წარმოებაში ფუძის ხმოვნის ცვალებადობაც მონაწილეობს. შდრ.:

ქართ. აწმყო:	ვ-წერ—ნამყო უწყვეტ.:	ვ-წერ-დ-ი
გერმ.	ich schreibe	ich schrieb

ანალოგიური ვითარება გვაქვს რიცხვის წარმოების დროსაც:

ქართ. მხოლ. რიცხ.	სახლ-ი	მრავლ. რიცხ. სახლ-ებ-ი
გერმ.	das Haus	die Häuser

ფლექსიური ენებია ინდოევროპული ენები და სემიტური ენები.

მორფოლოგიური კლასიფიკაციის მეოთხე ტიპს შეადგენს ინკორპორაციული (შთასხეულებითი) ანუ პოლისინთეზური ენები. ამ ენათათვის დამახასიათებელია ის, რომ ზღვარი სიტყვასა და წინადადებას შორის მოშლილია. ის, რაც სხვა ენებში მთელი წინადადებით გადმოიცემა, ინკორპორაციულ ენაში გამოხატულია ერთი მთლიანი კომპლექსით, რომელიც, ამგვარად, თავისი შინაარსით სხვა ენათა წინადადებას უდრის, ფორმით კი სიტყვას ეტოლება, რადგანაც დამოუკიდებელ სიტყვებად არ იშლება. ამიტომ ასეთ კომპლექსს სიტყვა-წინადადებასაც უწოდებენ. მაგალითად, ესკიმო-

სურად ma ʒtṛax-pi—xpä-lg-u- ŋa ნიშნავს: „მე მაქვს დიდი ადგილი, განკუთვნილი საცხოვრებლად“[1]. ჩუკჩურ ენაზე ты-мэин'ы—левты—пытты—ркын იქნება: „მე ძალიან მტკივა თავი“.

ინკორპორაციულია ამერიკის ინდიელთა ენები და ჩრდილოეთ აზიის (პალეოაზიური) ენები.

ზოგი ენათმეცნიერი პოლისინთეზურ ენებს ცალკე ტიპად არ გამოყოფს, აგლუტინაციურ ენათა ჯგუფში აქცევს მათ და ამგვარად სამწევროვანი კლასიფიკაციით (იზოლირებული, აგლუტინაციური, ფლექსიური) კმაყოფილდება.

უნდა გაიხაზოს, რომ აბსოლუტური განსხვავება მორფოლოგიურ ტიპებს შორის არ არსებობს. ფლექსიურ ენებში დასტურდება აგლუტინაციის ნიშან-თვისებები და პირუკუ. თვით იზოლირებულ ენებშიაც არ არის გამორიცხული აფიქსთა არსებობა და აფიქსებიან ენებში ხომ საკმაოდ ხშირად გვხვდება უაფიქსო (ფორმაუცვლელი) სიტყვები. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციისათვის გადამწყვეტია ის, თუ რომელი ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები სჭარბობს ამა თუ იმ ენაში.

ფლექსიურ ენებს, ჩვეულებრივ, ორ ჯგუფად ყოფენ: ანალიზურ და სინთეზურ ენებად. ანალიზურ ენაში გრამატიკული კატეგორიები აღწერითი გზით, დამხმარე სიტყვებისა და ნაწილაკების საშუალებით იწარმოება, სინთეზურ ენაში კი იმავე კატეგორიათა საწარმოებლად გამოყენებულია აფიქსები. ცნებები „ანალიზური“, „სინთეზური“ შეფარდებითია. ანალიზურ ენაში სინთეზურ (ორგანულ) წარმოებას სჭარბობს ანალიზური (აღწერითი) წარმოება, სინთეზურ ენაში კი—პირუკუ. არ არსებობს ისეთი ფლექსიური ანალიზური ენა, რომელიც სრულიად არ იყენებდეს აფიქსებს ან ისეთი სინთეზური ენა, რომელსაც აღწერითი ფორმები არ მოეპოვებოდეს. მაგალითად, რუსულ ენაში, რომელიც სინთეზურ ტიპს განეკუთვნება, უსრული მყოფადი ანალიზურადაა ნაწარმოები დამხმარე ზმნის საშუალებით: буду писать (შდრ. სრულ მყოფადს—напишу). ხარისხთა წარმოებაშიაც გვაქვს სინთეზური და ანალიზური ფორმები: красивее (სინთეზურია), более красивый (ანალიზურია).

ინდოევროპულ ენათაგან ანალიზურად ითვლება ინგლისური, ფრანგული, დანიური, ახალი სპარსული და სხვ.

---

[1] ამოღებულია Богораз-ის წიგნიდან „Материалы по языку азиатских эскимосов“. 1949, Ленинград, გვ. 61.

მართლაც, ფრანგულში ბრუნვები ნაცვლად აფიქსებისა წინდებულებით არის გამოხატული:

მიც. à la table „მაგიდას“

ნათ. de la table „მაგიდის“

ზმნის პირს ნაცვალსახელები აწარმოებს, დროებს კი დამხმარე ზმნები:

I პ. j'ai fini „დავამთავრე“

II პ. tu as fini „დაამთავრე“

III პ. il a fini „დაამთავრა“.

ინდოევროპულ ენებში ანალიზური წყობა მეორეულია, მას ისტორიულად სინთეზური წყობა უსწრებდა წინ.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ისტორია ენათმეცნიერებაში სათანადო სიზუსტით არ არის დადგენილი. მაგრამ ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ამ კლასიფიკაციის სრული ისტორიის გათვალისწინება. უდავოა, რომ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშეს ფრიდრიხ შლეგელმა, ავგუსტ შლაიხერმა და ვილჰელმ ჰუმბოლდტმა. ჩვენც სწორედ ამ ავტორთა შრომებს განვიხილავთ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავერკვეთ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის რაობაში, მის დადებითსა და უარყოფით მხარეებში და ამის საფუძველზე სპეციალურად ვიმსჯელოთ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთახედვით ისმის ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით.

თავი პირველი

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ფრ. შლეგელთან

§ 23. ფრ. შლეგელის მიზანს არ წარმოადგენდა ენათა სრული მორფოლოგიური კლასიფიკაციის შექმნა. 1808 წ. გამოსულ შრომაში „ინდოელთა ენისა და სიბრძნის შესახებ“[1] ფრ. შლეგელი განიხილავს საკითხს სანსკრიტის ნათესაობის შესახებ ლათინურთან, ბერძნულთან, გერმანულთან და სპარსულთან. დასახელებულ ენებს მრავალი მსგავსი ძირი აქვთო, აღნიშნავს შლეგელი, მაგრამ ეს მას არ მიაჩნია გადამწყვეტად იმის მტკიცებისათვის, რომ ეს ენები ს-

[1] **Friedrich Schlegel**, Ueber die Sprache uud Weisheit der Indier, Heidelberg. 1808.

ერთო წარმოშობის არიან. რომ მათ შორის მსგავსებები შემთხვევითი არ არის და ენათა შერევით ვერ აიხსნება, ამაზე მიუთითებს, ავტორის აზრით, ის, რომ აღნიშნული ენები ერთმანეთს ემთხვევიან თავიანთი შინაგანი სტრუქტურითა და გრამატიკით[1].

შინაგან სტრუქტურაში ანუ შინაგან წყობაში შლეგელი ენათა მორფოლოგიურ ტიპოლოგიას გულისხმობს. ამგვარად, მისი აზრით, ის ფაქტი, რომ ინდოევროპული ენები მორფოლოგიური აგებულების თვალსაზრისით გვანან ერთმანეთს, მათი წარმოშობითი ნათესაობის ერთი ძირითადი დამამტკიცებელია. ეს დებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს მისაღები, თუ აღმოჩნდება, რომ ინდოევროპულ ენათა სტრუქტურა განსხვავდება ყველა სხვა ენის სტრუქტურისაგან. შლეგელიც ცდილობს გაამართლოს მის მიერ გამოთქმული შეხედულება და ამ მიზნით იგი ინდოევროპულ ენათა აგებულებას ადარებს სხვა ენებისას.

ამგვარად, შლეგელი ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციამდე ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ძიებამ მიიყვანა. და ისიც აშკარაა, რომ მისი ყურადღების ცენტრში ის საკითხი კი არ იდგა, რომ საერთოდ ენებს შორის არსებული ტიპოლოგიური სხვაობანი დაედგინა, არამედ მას აინტერესებდა ინდოევროპული ენების სტრუქტურული დახასიათება, მათი მორფოლოგიური აგებულების ერთიანობის ჩვენება და ამასთან იმის ნათელყოფა, რომ ამდაგვარი აგებულება მსოფლიოში არც ერთი სხვა ჯგუფის ენებს არა აქვს. ეს უნდა ყოფილიყო ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ერთი ძირითადი დამამტკიცებელი საბუთი.

ასეთმა მიზანდასახულობამ თავისი კვალი დააჩნია თვითონ კლასიფიკაციასაც. შლეგელთან ენები ორ ჯგუფად იყოფა. ერთ ჯგუფს ქმნის ინდოევროპული ენები, მეორეს კი—ყველა დანარჩენი ენები. პირველებს ახასიათებს ძირისეული ბგერის შინაგანი ცვალებადობა ანუ ფლექსია. მეორე ჯგუფში შემავალ ენებს აერთიანებს ნეგატიური ნიშანი. ესენი არაფლექსიური ენებია. ამგვარად, შლეგელი ენათა ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფს[2]. მაგრამ მას კარგად უსმის, რომ ეს ჯგუფები ვერ ამოწურავს ენათა მრავალფეროვნებას და აღნიშნავს, ყველა დანარჩენი ენები ამათი ქვესახეობებიაო[3]. ეს ქვესახეობები შლეგელთან მეორე ჯგუფში გვაქვს მხოლოდ. რო-

---

[1] Friedrich Schlegel, Ueber die Sprache und Weisheit der Indier, გვ. 1, 28.

[2] ფრ. შლეგელი, დასახ. შრ., გვ. 45.

[3] იქვე.

გორც კი ავტორი შეუდგება არაინდოევროპულ ენათა პოზიტიურ დახასიათებას, მაშინვე გამოჩნდება, რომ ეს ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ფრ. შლეგელი ითვალისწინებს თითქმის ყველა იმ ენას, რომლებიც თავიანთი ჯგუფის ტიპობრივ წარმომადგენლებად ითვლება ამჟამადაც ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში. ეს ენებია: ჩინური, ამერიკის ინდიელთა ენები, ბასკური, კოპტური, სემიტური ენები.

ჩინურს სრულიად არა აქვს ფლექსიაო, აღნიშნავს ავტორი. ამ ენას, მისი აზრით, თავისი უცნაური ერთმარცვლიანობისა და სტრუქტურის სრულყოფილი სიმარტივის გამო დიდი მნიშვნელობა აქვს ენათა მთელი სამყაროს გაგებისათვის[1].

ამერიკის ენებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი ყოველგვარ მიმართებებს აღნიშნავენ სიტყვებისა და ნაწილაკების საშუალებით, რომლებიც, მართალია, ძირეულ სიტყვას (Wurzelwort) შეეზრდებიან, მაგრამ თავისთავად და ცალკეც იმავე მნიშვნელობას ატარებენ, რასაც ძირეულ სიტყვას ანიჭებენ. ამერიკულ ენებთან აქვს გაერთიანებული ავტორს ბასკური და კოპტურიც. ყველა ისინი აფიქსებიანი ენებია და მეტად მდიდარი არიან ნაცვალსახელოვანი მიმართებებით. ხოლო იმას, თუ სად დაურთავს ასეთი ენა ძირეულ სიტყვას ნაწილაკებს, არა აქვს შლეგელისათვის არსებითი მნიშვნელობა. იგი მიუთითებს იმ განსხვავებებზე, რომლებიც ამ მხრივ დასახელებულ ენებში შეინიშნება. ბასკურში ნაწილაკები ძირეულ სიტყვას ბოლოს ერთვის, ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ამერიკული ენების ბრუნებაში. კოპტურში პირუკუ—ისინი წინ დართული არიან, პერუული, მექსიკური და სხვა ამერიკული ენები უღვლილების დროს ხან ერთ ხერხს მიმართავენ, ხან—მეორეს, ხოლო ზოგ ამერიკულ ენაში ასეთი ნაწილაკები თვით სიტყვაში არის ჩაქსოვილი (eingeflochten)[2]. ყველა ამ შემთხვევაში გრამატიკული ფორმები იწარმოება გარედან მირთვით (Anfügung) და არა ფლექსიით[3].

არაფლექსიურ ენათა ჯგუფში არის შეტანილი სემიტური ენებიც. ამ უკანასკნელებს, ავტორის აზრით, ახასიათებს მოჩვენებითი ფლექსია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მირთული ნაწილაკები, რომელთა გამოცნობა ვერ ხერხდება, შერწყმულია ძირითად სიტყვას-

---

[1] ფრ. შლეგელი, დასახ. შრ., გვ. 45.

[2] იქვე, გვ. 46—48.

[3] იქვე, გვ. 48.

თან. მაგრამ ყველაზე არსებითი მიმართებები (როგორიცაა პირის მიმართება ზმნასთან) ამ ენებში ცალკე მნიშვნელობის მქონე ნაწილაკების მირთვით (Anfügung) აღინიშნება და ამიტომ თვლის ამ ენებს შლეგელი არაფლექსიურ ენებად. მათში სუფიქსაციისადმი მიდრეკილება მეტად ღრმა ჩანს და ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სუფიქსაცია გვქონდა სხვა შემთხვევებშიაც, სადაც ამჟამად უცხო ნაწილაკების მირთვა აშკარად შესამჩნევი არააო, წერს ავტორი[1]. მისი აზრით, დარწმუნებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ არაბული და მისი მონათესავე ენები მთლიანად ენათა მეორე (ე. ი. არაფლექსიურ) ჯგუფს ეკუთვნოდნენ, თუმცა მათ ცალკეულ შემთხვევებში შერევის ან ხელოვნური განვითარების წყალობით ნაწილობრივ სხვა და უფრო მაღალი ხასიათი მიიღეს[2].

ამგვარად, თუმცა ფრ. შლეგელი ენათა ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფს, მას შემჩნეული აქვს ყველა მორფოლოგიური ტიპის თავისებურებანი. ფრ. შლეგელმა იცის, რომ ჩინურს არ მოეპოვება დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები. იგი გამოყოფს ენებს, რომლებსაც აფიქსთა მირთვა (Anfügung) ახასიათებს. ასეთია, ბასკური, კოპტური და ამერიკის ენები. ამგვარად, ტერმინში „მირთვა“ ფრ. შლეგელთან გაერთიანებულია შემდეგდროინდელი ორი ტიპი: აგლუტინაციური (ბასკური, კოპტური) და ინკორპორაციული (ამერიკის ენები).

ფრ. შლეგელის მიერ მოცემული ენათა დახასიათება რომ სქემის სახით წარმოვადგინოთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

I ფლექსიური			ინდოევროპული ენები
II არაფლექსიური	უაფიქსო		ჩინური
	მირთვითი (Anfügende)		ბასკური, კოპტური (ამჟამად—აგლუტინაც.)
			ამერიკის ენები (ამჟამად — ინკორპორაც.)
	მოჩვენებით ფლექსიური		სემიტური ენები

ენათმეცნიერების ისტორიაში ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება, თითქოს ფრ. შლეგელს ორი მორფოლოგიური ტიპი

[1] ფ რ. შ ლ ე გ ე ლ ი, დასახ. შრ., გვ. 46.

[2] იქვე.

ჰქონდა გამოყოფილი[1]. როგორც ვრწმუნდებით, ეს შეხედულება ზუსტად არ ასახავს საქმის ვითარებას. მართალია, ავტორი ენათა ორი კლასის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ მეორე კლასში მას სხვადასხვა ტიპის ენა აქვს გაერთიანებული[2].

რომ მეორე კლასში წარმოდგენილი ენები ხელოვნურად არის გაერთიანებული, ეს თვითონ შლეგელის შრომაშიაც ნათლად იკრძნობა. ავტორი აღნიშნავს, ჩინურ ენას არავითარი ფლექსია არ მოეპოვებაო, სხვა ადგილას კი იგი მეორე ჯგუფის ენებს აფიქსებიან ენებს უწოდებს[3]. ცხადია, შინაგანი წინააღმდეგობა იქმნება: უაფიქსო ენა (ჩინური) არ შეიძლება მოექცეს აფიქსებიან ენათა ჯგუფში. ასეთივე აშკარა წინააღმდეგობა გვაქვს სემიტურ ენათა მიმართაც. ავტორი ვერ უარყოფს, რომ სემიტურ ენებს ფუძ-ს ფლექსია ახასიათებს, მაგრამ იგი მაინც ცდილობს გამოთიშოს ეს ენები ინდოევროპულ ენათაგან და ამიტომ მოჩვენებითს ფლექსიას არქმევს სემიტურ ენათათვის დამახასიათებელ ფლექსიას, რაც სრულიად დაუსაბუთებელია.

სემიტურ ენათა ჩარიცხვა არაფლექსიურ ენათა ჯგუფში ფრ. შლეგელთან ორი გარემოებით არის გამოწვეული. ერთის მხრივ,

---

[1] იხ. მაგ. А. А. Реформатский, Введение в языковедение, 1955, გვ. 338—339.

[2] რომ ფრ. შლეგელს 3 ტიპი ჰქონდა გამოყოფილი, ამას აღნიშნავდა შტაინთალი, რომლის სიტყვითაც, ფრ. შლეგელთან გვხვდება უფლექსიო (flexionslose), აფიქსებიანი (affigierende) და ფლექსიური (flectierende) ტიპები. H. Steinthal, Charakteristik der hauptsächlichsten Typen des Sprachbaues, Berlin, 1860, გვ. 4. ბ. დელბრიუკიც, თუმცა ჯერ წერს ფრ. შლეგელს ორი ძირითადი ჯგუფი აქვსო (Einleitung in das Studium der indogermanischen Sprachen, VI Aufl., 1919, გვ. 42), მაგრამ შემდეგ მესამე კლასზედაც მიუთითებს (იქვე, გვ. 44).

სრულიად სხვა შეხედულებას გამოთქვამს პოტი, რომლის მიხედვითაც, ფრ. შლეგელისაგან მომდინარეობს ცნობილი დაპირისპირება სინთეზური (ფლექსიური) და ანალიზური ენებისა, რომელიც ჯერ კიდევ ადამ სმიტის მიერ იყო მოხმადებული. A. F. Pott, Wilhelm von Humboldt und die Sprachwissenschaft, გვ. XLIII.

ფრ. შლეგელის კლასიფიკაციის არსებითად სწორ დახასიათებას იძლევა ო. იესპერსენი, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ ფრ. შლეგელის ორი კლასი სამწევროვანი დაჯგუფების ჩანასახს ატარებს. ამას იესპერსენი იმით ასაბუთებს, რომ ჩინური, როგორც უაფიქსო ენა, თვით შლეგელის თვალსაზრისითაც არ შეიძლება შედიოდეს აფიქსებიან ენათა ჯგუფში. მეორე მხრივ, ფრ. შლეგელი კარგად გრძნობს, რომ სემიტური ენები ფლექსიურ ენებს გვანანო. ამ შესწორებებს თუ შევიტანთ, ფრ. შლეგელთან სამწევროვან კლასიფიკაციას მივიღებთო, ასკვნის იესპერსენი. O. Jespersen, Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung, 1925, გვ. 17—18.

[3] ფრ. შლეგელი, დასახ. შრ., გვ. 54.

ავტორის ამოცანა იყო ეჩვენებინა, რომ ინდოევროპულ ენათა სტრუქტურა განსხვავდება ყველა სხვა ენის სტრუქტურისაგან და ამ გზით დაემტკიცებინა ინდოევროპულ ენათა ნათესაობა. თუ სემიტური ენებიც ფლექსიური აღმოჩნდებოდა, მაშინ სტრუქტურული მსგავსება აღარ იქნებოდა გამოსადეგი ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად. მეორე მხრივ, როგორც ჭვეშთ ვნახავთ, ინდოევროპულ ენებს ფრ. შლეგელი ყველაზე სრულყოფილ ენებად თვლის. თუ სემიტური ენებიც ფლექსიური აღმოჩნდებოდნენ, ისინიც ასევე სრულყოფილი უნდა ყოფილიყვნენ. ეს კი ეწინააღმდეგებოდა ავტორის წინასწარმიღებულ შეხედულებას ინდოევროპულ ენათა განსაკუთრებული ღირებულების შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორი მიზეზის გამო არ შეიტანა ფრ. შლეგელმა სემიტური ენები ფლექსიურ ენათა ჯგუფში, თუმცა, როგორც ჩანს, იგი გრძნობდა ამ ენათა ტიპოლოგიურ სიახლოვეს ინდოევროპულ ენებთან.

დამახასიათებელია, რომ ფრ. შლეგელი დებულებას იმის შესახებ, რომ შინაგანი სტრუქტურის მიხედვით მსგავსება ენათა საერთო წარმოშობილობაზე მიუთითებს, არ განაზოგადებს მეორე ჯგუფის ენებზე. მაშინ, როდესაც ფლექსიური ენები, შლეგელის აზრით, წარმოშობით მონათესავე არიან, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არაფლექსიური ენები სრულიადაც არ დაიყვანებიან ერთ საერთო წყარომდე[1]. აქედანაც ჩანს, რომ თვითონ შლეგელისთვისაც მეორე ჯგუფის ენები ერთ მთლიანს არ ქმნიან.

ეს კიდევ უფრო ნათელი ხდება ავტორის შეხედულებიდან ენათა საფეხურებრივი განვითარების შესახებ. შლეგელი ინდოევროპულ ენებს ყველა სხვა ენებზე უფრო მაღალ საფეხურზე მდგომად თვლის. ძაგოამ თვით მეორე ჯგუფის ენებშიაც იგი რაძდენიმე საფეხურს გამოყოფს.

თუმცა შლეგელი გვაფრთხილებს, მე სრულიადაც არ მსურს ენათა ერთი სახე განსაკუთრებით ავამაღლო, მეორე კი უეჭველად დავადაბლო. ენათა სამყარო მეტად მდიდარი და დიდია იმისათვის, რომ საკითხი ასე მარტივად ერთი გადამწყვეტი განაჩენით გაირკვეს, მაკრამ მას უდავოდ მიაჩნია ის, რომ ისეთ ენებს, რომელთა სტრუქტურაშიაც ფლექსია ბატონობს, საერთოდ უპირატესობა აქვს[2].

---

[1] ფრ. შლეგელი, დასახ. შრ., გვ. 52—55.

[2] იქვე, გვ. 55—56.

რაში გამოიხატება ინდოევროპულ ენათა უპირატესობა სხვა ენებთან შედარებით? შლეგელის სიტყვით, სანსკრიტში ან ბერძნულში ყოველი ძირი, მართლაც, ცოცხალი მარცვალია. რადგან მიმართებათა ცნებები შინაგანი ცვლილებით აღინიშნება, ამიტომ განვითარებას თავისუფალი არე ეძლევა, განვითარების სისრულე შეიძლება დაუსრულებლივ გაფართოვდეს და იგი ხშირად, მართლაც, გასაოცრად მდიდარია. მაგრამ ყველაფერი, რაც ამგვარად მარტივი ძირიდან გამომდინარეობს, ინახავს მაინც თავისი ნათესაობის კვალს, დაკავშირებულია ერთმანეთთან. აქედანაა ამ ენების სიმდიდრე, ერთის მხრივ, და გამძლეობა და ხანგრძლიობა, მეორე მხრივო, აღნიშნავს აუტორი. იგი ინდოევროპულ ენებს ორგანულად წარმოქმნილ ენებად თვლის, ისინი ორგანულ ქსოვილს ქმნიანო, გვეუბნება. ამის შედეგად მიაჩნია შლეგელს ის, რომ საუკუნეების შემდეგ შესაძლებელია საკმაოდ ადვილად მივხვდეთ, რომ შორეულ ქვეყნებში ერთმანეთს დაცილებულ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ[1].

თუ ყველაზე მაღლა მდგომად ინდოევროპული ენები ცხადდება, ყველაზე დაბალ საფეხურს, შლეგელის მიხედვით, ჩინური ქმნის. ამ ენის შესახებ იგი წერს: ჩინურში ნაწილაკები, რომლებიც მნიშვნელობის დამატებითს განსაზღვრას იძლევიან, თავისთავადს, ძირისაგან სრულიად დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ. ამის საფუძველზე იგი ასკვნის: ამ, სხვა მხრივ უაღრესად დახვეწილი, ხალხის ენა, ამგვარად, ყველაზე დაბალ საფეხურზე უნდა იდგესო და ამის ახსნასაც ცდილობს: ალბათ, იმიტომ, რომ მისი ბავშვობა მეტად ადრე იქნა ფიქსირებული უაღრესად ხელოვნური დამწერლობის წყალობითო[2].

მომდევნო საფეხურს ქმნიან ბასკური, კოპტური და ამერიკის ენები. მათ ის ახასიათებს, რომ დართული ნაწილაკები იწყებენ სიტყვასთან შერწყმას და ქმნიან პრეფიქსებსა და სუფიქსებს, რომელთა გამოყოფა ადვილია და რომლებსაც თავისთავადი მნიშვნელობა ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვთ. შლეგელის აზრით, იმ ენებში, რომლებსაც ფლექსიის ნაცვლად მხოლოდ აფიქსები აქვთ, ფლექსიური ენებისაგან განსხვავებით, ძირები არ წარმოადგენენ ნამდვილ ძირებს. ისინი ნაყოფიერ მარცვლებს კი არ ქმნიან, არამედ გვანან ატომების გროვას, რომელ ატომებსაც შემთხვევითობის ყოველ-

---

[1] ფრ. შლეგელი, დასახ. შრ., გვ. 50—51.

[2] იქვე, გვ. 49.

გვარი ქარი ადვილად დააშორებს ან დააახლოვებს ერთმანეთს. დაკავშირება მხოლოდ მექანიკურია, გარეგანი მირთვის საშუალებით. ამ ენებს აკლიათ პირველი წარმოშობისას ცოცხალი განვითარების მარცვალი. წარმოება მათში მუდამ ღარიბია. როდესაც შემდეგ სულ უფრო მეტად დართული აფიქსების საშუალებით ხელოვნურობა მეტის მეტად ძლიერდება, ამით მარტივი სილამაზე და სიმსუბუქე კი არ მიიღება, არამედ სიმძიმე იზრდება. ამ ენათა მოჩვენებითი სიმდიდრე სინამდვილეში სიღარიბეს წარმოადგენს[1].

შლეგელის აზრით, ყველაზე მაღლა მეორე ჯგუფში სემიტური ენები დგანან. არაბულისა და ებრაულის შესახებ იგი წერს, რომ უეჭველია ისინი წარმოებისა და სრულყოფის უმაღლეს საფეხურზე იმყოფებიან თავიანთ სახეობაში, რომელსაც ისინი მთლიანად არ ეკუთვნიან და არაერთი მხრივ უახლოვდებიან მეორე სახესო. მაგრამ ავტორი დასძენს: ამ ენების მცოდნეებს ხშირად უთქვამთ, რომ ეს ხელოვნება მოგვიანებით ნაწილობრივ ძალად წარმოიშვა ძველი უხეში ძირისაგანო და საბოლოოდ ასკვნის: უნდა აღვიაროთ, რომ ისეთ ენებს, რომელთა სტრუქტურაშიაც ფლექსია ბატონობს, საერთოდ უპირატესობა აქვსო[2].

როდესაც ფრ. შლეგელის შეხედულებებზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი შრომა გამოქვეყნდა 1808 წელს, ე. ი. ენათმეცნიერების ფუძემდებელ შრომებზე რამდენიმე წლით ადრე. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა თავისი კვალი არ დაეჩნია მის თვალსაზრისზე ენის რაობის შესახებ. მართლაც, ზემომოყვანილის მიხედვითაც ადვილად ვრწმუნდებით, რომ შლეგელის მსჯელობა საკმაოდ პრიმიტიულია და მოკლებულია საჭირო საბუთიანობას. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს ენათა საფეხურებრივი განლაგების საკითხთან დაკავშირებით. ფრ. შლეგელს ვერ მოჰყავს ვერავითარი სერიოზული მოსაზრება იმის სასარგებლოდ, რომ თითქოს ინდოევროპულ ენათა წყობა ყველაზე სრულყოფილია. აშკარა არის, რომ შეხედულება, თითქოს ინდოევროპულ ენებს უპირატესობა ჰქონდეთ ყველა სხვა ენებთან შედარებით, აპრიორულად არის დაშვებული და შემდეგ ავტორი ცდილობს რაიმე გამართლება მოუპოვოს ამ მცდარ შეხედულებას. გამართლებას შლეგელი ინდოევროპულ ენათა

---

[1] ფრ. შლეგელი, დასახ. შრ., გვ. 51—52.

[2] იქვე, გვ. 55.

სტრუქტურაში ეძებს: რაც ამ ენებს ახასიათებს, ის პირდაპირ, დასაბუთების გარეშე, საუკეთესოდ ცხადდება, რაც ამ ენებს არ მოეპოვებათ, ის კი განვითარების დაბალ საფეხურებად არის მიჩნეული[1].

ფრ. შლეგელმა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ზოგი ინდოევროპული ენა ფლექსიას კარგავს. აქედან მან დაასკვნა, წმინდა გრამატიკული ხელოვნებისა და წარმოქმნის მსვლელობა ენათა ორ ძირითად სახეში ერთმანეთის საპირისპიროა. აფიქსებიანი ენა, შლეგელის აზრით, დასაწყისში სრულიად დაუხვეწელია, მაგრამ ივი მით უფრო დახვეწილი ხდება, რამდენადაც მეტად შეერწყმიან აფიქსები ძირითად სიტყვას. ფლექსიურ ენებში, პირუკუ, სტრუქტურის სილამაზე და ხელოვნება შემსუბუქების მიდრეკილების გავლენით თანდათან უფრო და უფრო იკარგება, რასაც შევამჩნევთ, თუ გერმანულ, რომანულ და თანამედროვე ინდურ დიალექტებს შევადარებთ უფრო ძველ ფორმას, რომლიდანაც ისინი არიან მიღებული[2].

---

[1] აღსანიშნავია, რომ, თუმცა ფრ. შლეგელს ამერიკის ენები განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომად მიაჩნია, იგი მაინც აღნიშნავს: მიუხედავად ამისა, ზოგი ასეთი ენა არა მხოლოდ მეტად ძლიერი და გამომხატველია, არამედ შესაბამისად განათლებული და დახვეწილიცო (გვ. 57),

[2] ფრ. შლეგელი, დასახ. შრომა, გვ. 56.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის შემდგომ დახუსტებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფრ. შლეგელის ძმას ავგ. შლეგელს. მან უკვე გარკვევით სამი მორფოლოგიური ტიპი გამოყო:

1. ყოველგვარ გრამატიკულ სტრუქტურას მოკლებული ენები (იგულისხმება ერთმარცვლიანი ფორმაუცვლელი სიტყვებისაგან შემდგარი ჩინური).

2. აფიქსებიანი ენები.

3. ფლექსიური ენები.

ავგ. შლეგელის დამსახურებად ითვლება ანალიზურ და სინთეზურ ენათა გარჩევა. ეს ჯგუფები მან ფლექსიურ ენებში გამოყო. ავგ. შლეგელს მიაჩნდა, რომ სინთეზური ენები უხსოვარ დროში წარმოიშვნენ, ანალიზური ენები კი ახალი არიან და სინთეზურ ენათა დაშლის შედეგს წარმოადგენენ.

თავისი შეხედულებები ავგ. შლეგელს წარმოდგენილი აქვს 1818 წ. შრომაში „დაკვირვებანი პროვანსული ენისა და ლიტერატურის შესახებ“ (Observations sur la langue et la littérature provençale, 1818). სამწუხაროდ, ეს შრომა ხელთ არ გვქონდა და ამიტომ მის შესახებ სპეციალურად ვერ ვიმსჯელებთ.

ზემომოყვანილი ცნობები ამოღებულია ო. იესპერსენის შრომიდან Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung, გვ. 18. შდრ. აგრეთვე Fr. Müller, Grundriss der Sprachwissenschaft, I Band, გვ. 66.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ვილჰ. ჰუმბოლდტთან

§24. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ მსჯელობა ვილჰ. ჰუმბოლდტს პირველად წარმოდგენილი აქვს 1822 წ. სტატიაში „გრამატიკულ ფორმათა წარმოშობისა და მათი გავლენის შესახებ იდეათა განვითარებაზე“[1], ხოლო უფრო ვრცლად ეგევე საკითხი განხილულია შრომაში „ადამიანის ენათა აგებულების სხვადასხვაობისა და კაცობრიობის გონითს განვითარებაზე მისი გავლენის შესახებ“[2]. ეს უკანასკნელი წარმოადგენს შესავალს ჰუმბოლდტის ცნობილი, დაუმთავრებელი შრომისა „კავი-ენის შესახებ კუნძულ იავაზე“[3], რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა 1836, 1838 და 1839 წლებში.

შრომაში „გრამატიკულ ფორმათა წარმოშობის... შესახებ“ ენათა მორფოლოგიური ტიპები გარკვევით არ არის ჩამოყალიბებული. ავტორი მიზნად ისახავს განიხილოს გრამატიკული ფორმები სრულყოფილობის თვალსაზრისით და აზროვნებასთან მათი მიმართების თვალსაზრისით.

---

[1] „Über das Entstehen der grammatischen Formen und ihren Einfluss auf die Ideenentwicklung“, 1822.

[2] „Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts“.

[3] Über die Kawi-Sprache auf der Insel Java. ჰუმბოლდტის თხზულებები გერმანულად რამდენიმეჯერ არის გამოცემული. ჩვენ ვსარგებლობდით შტაინთალის კომენტარებით გამოსული კრებულით „Die Sprachphilosophische Werke Wilhelms von Humboldt“ (herausgegeben und erklärt von Dr. H. Steinthal. Erste Hälfte, Berlin, 1883), რომელშიაც ორივე ზემოდასახელებული შრომა შედის. „კავი-ენის შესავალი“, როგორც მას სიმოკლისათვის უწოდებენ, თარგმნილია რუსულ ენაზე 1859 წ. პ. ბილიარსკის მიერ: О различии организмов человеческого языка и о влиянии этого различия на умственное развитие человеческого рода. Посмертное сочинение Вильгельма фон-Гумбольдта. Введение во всеобщее языкознание. Перевод П. Билярского. Ученое пособие по теории языка и словесности в военно-учебных заведениях. 1859. დედანთან შედარებამ გვიჩვენა, რომ თარგმანი არადამაკმაყოფილებელია. ხშირია არაზუსტად თარგმნის შემთხვევები (ეს ჩანს თუნდაც სათაურში, სადაც Sprachbau ენის ორგანიზმად არის თარგმნილი), ჩამატებული არის სიტყვები, და არც თუ იშვიათად, ისიც მეტად არსებით საკითხებთან დაკავშირებით, აზრი მთლიანად დამახინჯებულიც კი არის. ამიტომ ჰუმბოლდტის შეხედულებათა გათვალისწინებისათვის ამ თარგმანზე დაყრდნობა არ არის მიზანშეწონილი.

ჰუმბოლდტის სიტყვით, ენაში წარმოდგენილია სიტყვები და გრამატიკული ურთიერთობანი. პირველნი საგნებს აღნიშნავენ, მეორენი—კავშირებს. რაც ენაში გრამატიკულ ურთიერთობებს ახასიათებს. ეს არის მისი გრამატიკული ფორმა. გრამატიკულ ურთიერთობათა გამოხატვის საშუალებები შემდეგია:

1. მირთვა (Anfügung) ან ჩართვა (Einschaltung) მნიშვნელობის მქონე მარცვლებისა, რომლებიც ოდესღაც წარმოადგენდნენ ან ახლაც წარმოადგენენ დამოუკიდებელ სიტყვებს.

2. მირთვა ან ჩართვა მნიშვნელობას მოკლებული ასოების ან მარცვლებისა მხოლოდ გრამატიკული მიმართების აღსანიშნავად.

3. ხმოვანთა გარდაქმნა (Umwandlung) ერთის მეორით შეცვლის, ქვანტიტეტის შეცვლის ან მახვილის შედეგად.

4. თანხმოვანთა შეცვლა სიტყვის შიგნით.

5. ერთმანეთზე დამოკიდებული სიტყვების ადგილმდებარეობა უცვლელი კანონების მიხედვით.

6. მარცვალთა განმეორება[1].

მიმართებათა გადმოცემის ეს საშუალებები განვითარების სხვადასხვა საფეხურებზეა წარმოქმნილი ასეთი თანმიმდევრობით:

თავდაპირველად ყველა ენა მხოლოდ საგნებს აღნიშნავდა, მიმართებებს კი მსმენელი უნდა მიმხვდარიყო. დამხმარედ გამოიყენებოდა სიტყვათა ადგილი. ეს უდაბლესი საფეხურია.

მეორე საფეხურზე ადგილმდებარეობა მტკიცე ხდება. მას ემატება ის, რომ საგნის აღმნიშვნელი ზოგი სიტყვა კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას, გრამატიკული სიტყვის როლში გვევლინება, შერყეობს საგნობრივსა და ფორმალურ მნიშვნელობას შორის.

მესამე საფეხურზე ფორმის აღმნიშვნელი სიტყვები აფიქსებად იქცევიან, ოღონდ მათი კავშირი ფუძეებთან სუსტია, მთლიანობა აგრეგატის სახითაა მოცემული. ეს არის ფორმის ანალოგები (Analoga der Formen) და არა ნამდვილი ფორმა.

ბოლოს, სიტყვა მართლაც ერთიანი ხდება, მას სამიმოხრო უცვლელი ბგერა ერთვის. ყოველი სიტყვა რომელიმე მეტყველების ნაწილია და წარმოადგენს არა მხოლოდ ლექსიკურ, არამედ აგრეთვე გრამატიკულ ინდივიდუალობასაც. მის მთლიანობას ხელს უწყობს მახვილი. ფორმის აღმნიშვნელ სიტყვებს აღარა აქვთ დამოუკიდებე-

---

[1] Über die gram. Form, გვ. 80.

ლი მნიშვნელობა, ისინი მხოლოდ ურთიერთობას გამოხატავენ. აქ უკვე გვაქვს ნამდვილი ფორმა და ნამდვილი გრამატიკული სიტყვები[1].

დასახელებულთაგან სხვადასხვა ტიპის ენა სხვადასხვა გრამატიკულ საშუალებას ანიჭებს უპირატესობას:

იზოლირებულ ენაში სიტყვას ნიშანთა კატეგორიები არა აქვს. სიტყვები მოცემული არიან ძირის ფორმით და არ იცვლებიან. მიმართება ადგილმდებარეობით აღინიშნება. ასეა ჩინურში. ადგილმდებარეობით ძალიან ცოტა მიმართებათა გადმოცემა შეიძლება. მექსიკურში და სხვა ამერიკულ ენებში ეს ხერხი გაფართოებულია იმით, რომ ზმნა არსებით სახელს ჩაირთავს. მაინც მისი საზღვრები ვიწროა[2].

იზოლაციას უპირისპირდება ფლექსია[3]. ფლექსიურ ენაში სიტყვა აღჭურვილია გრამატიკული ნიშნით. იგი ფორმის მქონეა. ფლექსიური ენა ურთიერთობის გადმოსაცემად იყენებს ზემოჩამოთვლილი საშუალებებიდან მეორეს, მესამესა და მეოთხეს, ე. ი. მნიშვნელობას მოკლებულ ბგერათა დართვას და ფუძისეულ ხმოვანთა და თანხმოვანთა ცვლას. ფუძის შინაგანი ცვლილების დროს საუკეთესოდაა დაცული სიტყვის იდენტობა მისი გადასხვაფერების მიუხედავად.

თუ ფლექსიური ენა სიტყვას მნიშვნელობას მოკლებულ ბგერებს ურთავდა, აგლუტინაციურთან დანართს ჯერ კიდევ არა აქვს გაწყვეტილი კავშირი იმ სიტყვასთან, რომლისგანაც ის მომდინარეობს.

როდესაც საკითხი დასახელებულ ტიპებს შორის ენათა განაწილებას ეხება, ავტორი გვაფრთხილებს, რომ ერთი ენა შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ტიპის ნიშნებს. არ შეიძლება ერთ ენას მხოლოდ მიმართვა (Anfügung) ანუ აგლუტინაცია მივაწეროთ, მეორეს კი მხოლოდ მიმოხრა (Beugung) ანუ ფლექსია, რადგან ორივეს ელემენტები გვხვდება მათში. ნამდვილ გრამატიკულ ფორმას მოკლებულ ენებშიაც დასტურდება ფლექსიის მაგვარი რამ.

§25. „კავი-ენის შესავალში" უფრო დაწვრილებით არის ენათა მორფოლოგიური ტიპები განხილული. ამ შრომაში გადმოცემულია

---

[1] Über die gram. Form, გვ. 92—94.

[2] იქვე, გვ. 81.

[3] ფლექსიის სინონიმად განსაკუთრებით „Über die gram. Form"-ში ავტორი ხმარობს მიმოხრას (Beugung).

ჰუმბოლდტის შეხედულებები ენის რაობის შესახებ. ენათა კლასიფიკაცია ავტორის კონცეფციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ქვემოთ ჩვენ შევეხებით ავტორის იმ შეხედულებებს, რომლებიც ენათა კლასიფიკაციის პრობლემასთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, როგორ ესმის ჰუმბოლდტს ენის ფორმა.

ავტორის განმარტებით, ენის ფორმას ქმნის ის მუდმივი და ერთგვარი (gleichförmige), რაც მოცემულია ენის მოქმედებაში, მიმართულში წარმოთქმული ბგერის მიერ აზრის გამოხატვისაკენ, გაბულია, რაც შეიძლება სრულყოფილად მის კავშირში (Zusammenhang) და წარმოდგენილია სისტემატურად[1].

ფორმის უფრო დაწვრილებით განხილვისას ირკვევა, რომ მასში არ იგულისხმება მხოლოდ გრამატიკული ფორმა, რადგან გრამატიკისა და ლექსიკის გათიშვა ხელოვნურია, იგი მხოლოდ პრაქტიკულ მოთხოვნილებებს ემსახურება. ფორმის ცნება სცილდება სიტყვაშეერთებისა და სიტყვაწარმოების წესების ფარგლებს. იგი ძირეულ სიტყვათა (Grundwörter) წარმოების მიმართ გამოიყენება[2]. ენის ფორმამ უნდა გამოგვაცნობინოს გზა, რომლითაც ხალხი აზრს გამოხატავს. უნდა გვიჩვენოს ენათა განსხვავება, როგორც მიზნის გამოხატვის, ისე ხალხის გონითს მოქმედებაზე უკუქმედების მხრივ. ფორმა წარმოადგენს ცალკეულ, მის საპირისპიროდ მასალად მიჩნეულ ენობრივ ელემენტთა აღქმას გონითს მთლიანობაში. ასეთი მთლიანობა ყველა ენაშია და მხოლოდ გათიშული ელემენტებიდან ამ მთლიანობაზე გადასვლით შევიცნობთ ენის ნამდვილ ბუნებასო,—ასკვნის ჰუმბოლდტი[3].

ჰუმბოლდტის აზრით, ენათა შორის განსხვავება მათი ფორმის, კერძოდ ბგერითი ფორმის, სხვაობას ემყარება, ხოლო ეს სხვაობა ასე თუ ისე თავს იჩენს ენის ყველა მხარეში. ერთ-ერთ ისეთ მხარეს, რომელშიაც თვალსაჩინოდ ვლინდება ენათა შორის განსხვავება, წარმოადგენს სიტყვების ფორმა. სწორედ აქ ისმის ჰუმბოლდტთან ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის საკითხი.

კლასიფიკაციის საფუძვლად სიტყვათა წარმოებაა მიჩნეული. სიტყვა შეიძლება ვაწარმოოთ ზოგადი, მთელი კლასისათვის დამახასიათებელი ცნების დართვით (იგულისხმება სიტყვაწარმოება)

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 264.
[2] იქვე, გვ. 267.
[3] იქვე, გვ. 269.

და შეიძლება იმავე საშუალებით განვსაზღვროთ მისი ადგილი წინადადებაში (იგულისხმება მიმართებათა აღნიშვნა). ენათა ამ მოქმედ თვისებას უწოდებენ სიტყვათა იზოლირებას, ფლექსიას და აგლუტინაციასო, აღნიშნავს ავტორი[1].

აქაც, ისევე როგორც შრომაში „გრამატიკულ ფორმათა წარმოშობის... შესახებ", მორფოლოგიური ტიპები ცალ-ცალკე და დაწვრილებით არ არის დახასიათებული. ავტორი მათ ერთმანეთთან შეპირისპირებით განიხილავს[2].

მისი აზრით, სიტყვათა წარმოების დროს ორი მისწრაფება გვაქვს: ცნებათა აღნიშვნა და მათი აღქურვა გარკვეული გვარის, გრამატიკული კატეგორიის ნიშნით. ეს უკანასკნელი ვერ ხორციელდება ენებში, რომლებშიაც სიტყვები ძირების ფორმით არიან მოცემული და არ იცვლებიან (იზოლირებულ ენებში). სხვა ენებში კი სიტყვა გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად იცვლება. ეს ცვალებადობა ორგვარად შეიძლება განხორციელდეს: შინაგანი ცვლილებებითა და გარეშეგანი დანართით.

შინაგანი ცვლილებების დროს საუკეთესოდაა დაცული სიტყვის იდენტობა მისი გადასხვაფერების მიუხედავად. დანართთან სხვაგვარი მდგომარეობაა. ეს უკანასკნელი შეერთებას წარმოადგენს, მაგრამ ისე, რომ სიტყვის სიმარტივე არ უნდა დაზიანდეს. ორი ცნების შეერთებამ მესამე კი არ უნდა მოგვცეს, არამედ ერთი გარკვეულ მიმართებაში უნდა იქნეს მეორესთან. ამ თვალსაზრისით, ჰუმბოლდტის სიტყვით, ორი შემთხვევა გვაქვს: მირთვა (**Anfügung**) და მიზრდა (**Anbildung**). მიზრდის შემთხვევაში დანართი მოკლებულია დამოუკიდებლობას, ნამდვილ სუფიქსს წარმოადგენს. იგი სიტყვას შეერწყმის და ამიტომ სიტყვა ორგანულ მთლიანად გვევლინება. მირთვის დროს კი მექანიკური დართვა ხდება, რადგანაც დანართებს დამოუკიდებლობა არა აქვთ დაკარგული. ასეთი დანართებისაგან შემდგარი სიტყვა აგრეგატს წარმოადგენს. პირველი შემთხვევა დამახასიათებელია ფლექსიური ენებისათვის, მეორე—აგლუტინაციური ენებისათვის, რომლებსაც, ჰუმბოლდტის აზრით, ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ ნამდვილი ფორმისათვის, მათ მხოლოდ ფორმის ანალოგები აქვთ[3].

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 389.

[2] იქვე, § 14.

[3] აღსანიშნავია, რომ ჰუმბოლდტის აზრით, წინდართული აფიქსი არ შეერწყმის სიტყვას სუფიქსივით, ის ნამდვილი დანართი არ არის.

ფლექსიურ ენებს, გარდა სუფიქსებისა, ახასიათებს შინაგანი ცვლილება. შინაგან ცვლილებასა და სუფიქსს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველს საწყისი მნიშვნელობა არასოდეს არ ჰქონია, მეორეს კი უნდა ჰქონოდა. ამიტომ შინაგანი ცვლილება მუდამ სიმბოლური ხასიათისააო, გვეუბნება ჰუმბოლდტი.

ფლექსია წმინდა სახით არც ერთ ენაში არ არის განხორციელებული. ფლექსიურია სანსკრიტული ძირის (ე. ი. ინდოევროპული) და სემიტური ენები. ამასთანავე სანსკრიტულ ენებში იგი უკეთაა გამოვლენილი, ვიდრე სემიტურში.

პრინციპული დაპირისპირება არსებობს მხოლოდ იზოლაციასა და ფლექსიას შორის. ეს არის ორი ერთმანეთის გამომრიცხველი ტიპი. სიტყვათა ნიშნების კატეგორიათა არ არსებობასა (როგორც ჩინურშია) და ნამდვილ ფლექსიას შორის არ შეიძლება იყოს ენის წმინდა ორგანიზაციასთან შეხამებული მესამეო, აღნიშნავს ავტორი. აგლუტინაცია ემყარება შეერთებას (Zusammensetzung) და ამდენად იგი წარმოადგენს განზრახულ, მაგრამ სრულყოფამდე მიუყვანელ ფლექსიას. აქ ჩვენ გვაქვს არაადეკვატურად გამოსაცნობი ორაზროვანი საშუალება, მექანიკური მირთმა (Anfügung) და არა მიზრდა (Anbildung). აგლუტინაცია ენობრივი აზრის (Sprachsinn) სისუსტის ან მცდარი მიმართულების შედეგად წარმოიშვება. თუმცა მას შეიძლება ჰქონდეს მოჩვენებითი და ზოგჯერ ნამდვილი გრამატიკული ფორმებიც, მაგრამ ნამდვილი ფორმის ცნებას ის ვერ აღწევს. ამგვარად, ჰუმბოლდტის აზრით, აგლუტინაციური ენები ფლექსიურისაგან თვისობრივად კი არ განსხვავდებიან, არამედ ხარისხობრივად. მათში შეინიშნება ბუნდოვანი მისწრაფება ფლექსიისაკენ, რომელიც მეტად ან ნაკლებ ხორციელდება. ამიტომაა, რომ აგლუტინაციურ ენებშიაც შეიძლება შეგვხვდეს სიტყვათა შინაგანი ცვლილების შემთხვევები და დროს შეუძლია ნამდვილი შეერთებანი (Zusammensetzungen) მოჩვენებით ფლექსიად აქციონ, ასე რომ შეუძლებელი გახდეს თითოეული შემთხვევის სწორი განსჯა. მაგრამ, გვეუბნება ავტორი, გადამწყვეტია არა ცალკეული შემთხვევები, არამედ ყველა ერთად, ე. ი. ის, თუ რამდენად არის გავრცელებული ფლექსია.

მორფოლოგიური ტიპის მიხედვით ენათა სხვაობანი თავს იჩენს ენის სხვა მხარეებშიაც. უპირველესად ყოვლისა, იგი დაკავშირებულია სიტყვის მთლიანობასთან, რაც ფლექსიურ ენებში მიღწეულია, აგლუტინაციურში კი—არა. გარდა ამისა, იგი ენის ფონეტიკურ ჩვევებზეა დამოკიდებული: ფლექსიური ენა უკავშირებს ბგერებს ერთ-

მანეთს, ცელის მათ ერთმანეთის გავლენით[1], იზოლირებული კი-ბგერებს მკვეთრად გამიჯნავს ერთმანეთისაგან[2]. ენათა განსხვავება თავს იჩენს აგრეთვე ზმნის, კავშირისა და მიმართებით ნაცვალსახელთა წარმოებაში[3]. მეტყველების ნაწილთა გამოყოფაც იმავე დაჯგუფებასთანაა დაკავშირებული. მეტყველების ნაწილები მხოლოდ ფლექსიურ ენებს აქვთ, მხოლოდ მათში აზის ყოველ სიტყვას გარკვეული კლასის ბეჭედი[4].

ბოლოს, ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას შეესაბამება წინადადების სხვადასხვაგვარი გაფორმება. ავტორი წინადადების სამ ტიპს გამოყოფს:

1. სიტყვები გრამატიკულად გაფორმებული არიან წინადადებაში. ასეთი წინადადებები ფლექსიურ ენებში გვხვდება. მისი ნიმუშია სანსკრიტული ენები.

2. სიტყვათა ურთიერთობა არ არის ბგერებით აღნიშნული. ასეა იზოლირებულ ენებში, მაგალითად, ჩინურში.

3. მთელი წინადადება ერთ ფორმაშია მოქცეული. ამ ტიპს ჰუმბოლდტი შთასხეულებითს (Einverleibende) უწოდებს და მის ნიმუშად მექსიკურსა და ჩრდილოეთ ამერიკის ენებს ასახელებს. უფრო სუსტად იგივე მოვლენა ბასკურშიაც გვხვდებაო[5].

წინადადების მთლიანობა სიტყვის მთლიანობისაგან გარჩეულია მხოლოდ ფლექსიურ ენებში. იგი არა გვაქვს არც ჩინურში და, მით უმეტეს, არც მესამე ტიპის ენებში. სადაც სიტყვის ფარგლები გაფართოებულია და სიტყვის ფორმა წინადადებაზე არის გადატანილი. ფლექსიური ენა წინადადების აგებას ნაწილებიდან იწყებს, შთასხეულებითი კი—მთელიდან.

§26. ზემომოყვანილი ამონაწერებიდან უკვე ჩანდა, რომ ჰუმბოლდტი ერთგვარ ღირებულებას არ ანიჭებს ენათა სხვადასხვა ტიპს. მისი ყურადღების ცენტრში სწორედ ის საკითხი დგას, თუ როგორ განსხვავდებიან ენები ერთმანეთისაგან სრულყოფილობის თვალსაზრისით. ასეთი დამოკიდებულება მკვეთრად არის გატარებული პირველსავე შრომაში „გრამატიკულ ფორმათა წარმოშობის... შესახებ“. გაკვრით უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ აქ ავტორი

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 400.
[2] იქვე, გვ. 652.
[3] იქვე, გვ. 545 და შემდ.
[4] იქვე, გვ. 456.
[5] იქვე, გვ. 436—437.

განასხვავებს ნამდვილ გრამატიკულ ფორმას არანამდვილისაგან, მოჩვენებითისაგან.

ნამდვილ ფორმად მას მხოლოდ ფლექსია მიაჩნია, ეს იმიტომ, რომ მიმართებათა გამოხატვის ყველაზე კარგი საშუალება, ავტორის აზრით, არის მნიშვნელობას მოკლებულ ელემენტთა დართვა და ხმოვანთა ან თანხმოვანთა ცვლა ფუძეში. ფლექსიურ ენებში გამოთქმა ერთ ფორმაშია ჩამოსხმული, ნაწილთა მნიშვნელობა მივიწყებულია, სიტყვა შეკრულია ერთი აქცენტით, იგი ორგანულ სხეულს წარმოადგენს და გრამატიკოსებიც კი ვერ შლიან მას[1]. მხოლოდ ფლექსიურ ენებში გამოიყოფა მეტყველების ნაწილები. მიმოხრა იმიტომ არის კარგი, რომ მნიშვნელობას მოკლებულ ბგერებს ურთიერთობის გადმოცემის გარდა არაფერი არ ევალებათო, აღნიშნავს ჰუმბოლდტი მეორე ადგილას[2]. გრამატიკულ სიტყვებში (წინდებულებში, კავშირებში) კი დამატებითი ცნებებია ჩართული.

ავტორი წერს: ჩვენთვის ცნობილ ენებს შორის სანსკრიტი არის უძველესი და ერთადერთი ენა, რომელმაც გრამატიკულ ფორმათა ნამდვილ წყობას მიაღწია იმ ზომამდე, რომელამდეც გვიან ძალიან ცოტა ენა მივიდა. სემიტური ენები მას გვერდში უდგას. მაგრამ წყობის უმაღლესი დასრულება უეჭველად ბერძნულში გვაქვს მოცემულიო[3].

ზემოთქმულის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ იზოლირებული ენები, რომლებშიაც მიმართებები ბგერითად არ არის გამოხატული, განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან.

არასრულყოფილად ცხადდება აგრეთვე აგლუტინაციური ენები. ამ უკანასკნელებს თუმცა აქვთ გრამატიკული ფორმები, მაგრამ არანამდვილი. ეს იმიტომ, რომ ამ ენებში გამოყენებულია მნიშვნელობის მქონე ბგერათა მირთვა, რაც, ავტორის სიტყვით, არ გამოდგება ფორმის აღნიშვნისათვის, რადგან ასეთი სიტყვები იჩენენ სხვებთან შეერთების ტენდენციას.

მაინც რაში მდგომარეობს ენათა სრულყოფილობის არსი? ავტორის აზრით, იმაში, თუ როგორ ემსახურება ენა აზროვნებას. იგი გვეუბნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთი ხალხის გონითი ინდივიდუალობა უკეთ არის შეგუებული ენობრივ წარმოებასთან და ფორმა-

---

[1] Über die gram. Form, გვ. 86.

[2] იქვე, გვ. 91.

[3] იქვე, გვ. 101.

ლურ აზროვნებასთან, ვიდრე სხვებისა[1]. ენა თავის წყობაში შეძლებისდაგვარად უნდა შეესატყვისებოდეს აზროვნების ორგანიზმს. ენა უნდა ახლდეს აზროვნებას. გონი ენისაგან მოითხოვს, რომ წმინდად იქნეს გარჩეული ნივთი და ფორმა, საგანი და მიმართება. სადაც ისინი შერეულია ან მათი გარჩევა გაძნელებულია, იქ ენა აყალბებს აზროვნების შინაგან მოქმედებას. საგნისა და მიმართების გარჩევა მოცემულია ნამდვილი გრამატიკული ფორმის მქონე ენებში ფლექსიის ან გრამატიკული სიტყვების საშუალებით[2].

„კავი-ენის შესავალშიაც“ ენათა სრულყოფილობის საკითხს ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ერთმანეთთან დაუკავშირებელი ენები და ენათა ოჯახები წარმოგვიდგენენ მათი წარმოების პრინციპის თანდათანობითს წინსვლას. ენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გონის მოქმედება ენის სრულყოფილობის იდეის მისაღწევად. ეს მიზანი სხვადასხვაგვარად ხორციელდება სხვადასხვა ენაში. უკეთესი ნიჭით და ხელსაყრელი პირობებით დაჯილდოებული ხალხები უფრო სრულყოფილ ენებს ფლობენ. სრულყოფილობისაკენ ენის მისწრაფების კვლევა არის ენათმეცნიერების საბოლოო მიზანიო, გვეუბნება ჰუმბოლდტი.

პროგრესი ენებში, მისი აზრით, გამოვლინდება ყოველ მხარეში, კერძოდ, სრულყოფილ ენებში ჯერ მის ბგერათა გარკვეულსა და დასრულებულ დანაწევრებაში, ამაზე დამოკიდებულ მარცვალთა წარმოებაში, მათ შემადგენელ ელემენტთა წმინდა სახით გამოჯვნაში და უმარტივეს სიტყვათა წყობაში; შემდეგ—სიტყვების, როგორც ბგერათმთლიანობის დამუშავებაში და ამით ცნების მთლიანობის შესაბამისად სიტყვის ნამდვილი მთლიანობის მიღწევაში. ბოლოს, იმის გამოჯვნაში, რაც ენაში დამოუკიდებელია, იმისაგან, რაც მხოლოდ ფორმას წარმოადგენს და დამოუკიდებელთან ერთადაა მოცემული. ამისათვის საჭიროა გავარჩიოთ ენაში ის, რაც მხოლოდ ერთმანეთთანაა შეერთებული, სიმბოლურად შერწყმულისაგან. ამ თვალსაზრისით ენათა განხილვისას უნდა გვთიშოთ ენის თავდაპირველი საწყისი ფორმა იმ ცვლილებათაგან, რომლებიც მასში გვიან სხვა ენათა გავლენითაა მომხდარი. საწყის ფორმათა რაოდენობა განსაზღვრულია და თანამედროვე პირობებში ისინი აღარც წარმოიშვება. ამასთან საწყის ფორმათა წარმოშობა ვარაუდობს ხალხთა ერთმანეთისაგან მოწყვეტილობას, რაც ამჟამად წარმოუდგენელია[3].

---

[1] Über die gram. Form, გვ. 83.

[2] იქვე, გვ. 95—96.

[3] კავი-ენის შესავალი, გვ. 196.

ჰუმბოლდტი გვაფრთხილებს, ენათა უპირატესობა არ უნდა მივაწეროთ კულტურას და განათლებასო. მართალია, ცივილიზაცია და განათლება ამდიდრებს ხალხს ახალი ცნებებით და მათ შესაბამისად სიტყვებითაც, მაგრამ ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ენის შეფასება. საკითხს ის წყვეტს, თუ როგორ ემსახურება ენა აზროვნებას. უნდა გაირკვეს, რამდენად უწყობს ან უშლის ხელს ენა ცნებათა გარკვეულობას და მათ სწორ მოწესრიგებას. ამ მხრივ ენათა განსხვავება კი დამოკიდებულია ენათა ინდივიდუალურ ფორმაზე, მათ თავდაპირველ წყობაზე. უფრო გვიან წარმოშობილი კულტურა და ცივილიზაციაც მოქმედებენ ენათა განვითარებაზე, მაგრამ კულტურისა და ცივილიზაციის გაელენით მომხდარი წინხვლა ვერ გასცილდება იმ საზღვრებს, რომლებსაც ენას თავდაპირველი წყობა უქმნის. ხალხმა, შესაძლებელია, თავისი ენა ისეთი იდეების წარმოქმნის ორგანოდ აქციოს, რომლებამდეც მას თავდაპირველი ბიძგი არ მიიყვანდა, მაგრამ მას არ შეუძლია მოხსნას შინაგანი შეზღუდულობანი, რომლებიც ამ ენაში ღრმად არის დაფუძნებული[1].

სრულყოფილობის თვალსაზრისით ენათა მიმოხილვას ისახავს მიზნად ჰუმბოლდტი, როდესაც იგი სხვადასხვა ენის წყობას ადარებს ერთმანეთს. ავტორი ეხება ენის სხვადასხვა მხარეს: ბგერას, შინაგან ფორმას, სიტყვას, მორფოლოგიურ ტიპებს, წინადადების წყობას, იმისათვის რომ გამოავლინოს ენათა სხვადასხვაობანი ამ ცალკეული მხარეების მიხედვით და ამით მოამზადოს საფუძველი ენათა შორის ძირითადი განსხვავების დადგენისათვის. ძირითად განსხვავებს იგი წარმოქმნის პრინციპის (Bildungsprinzip) სიწმინდეში ხედავს.

უნდა შევნიშნოთ, რომ „წარმოქმნის პრინციპის“ სინონიმურად ჰუმბოლდტი ხმარობს აგრეთვე ტერმინებს: ფორმა, წყობა[2]. ენის პრინციპისაგან ენის სტრუქტურა ვითარდებაო, აღნიშნავს იგი[3].

მისი აზრით, ყოველ ენას საფუძვლად უდევს თავდაპირველი პრინციპი, რომელიც ენის ელემენტთა მთლიანობას ქმნის და მისი განვითარების მიმართულებას განსაზღვრავს.

ენის პრინციპი შეიძლება წმინდა სახით იქნეს წარმოდგენილი. ეს მაშინ, როდესაც იგი მაქსიმალურად უახლოვდება ენის წარმო-

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 212.
[2] იქვე, §§ 19, 22, 24.
[3] იქვე, გვ. 481.

ქმნის ზოგად პრინციპს და მთლიანად გამსჭვალავს ენას. ასეთი პრინციპის მქონე ენა განვითარების ყველა სტადიას გაივლის. ენის კანონზომიერ განვითარებას კი გონებრივ შესაძლებლობათა განვითარება უკავშირდება. ამიტომ წმინდა პრინციპის ენით დაჯილდოებული ხალხი რომ გონებრივ სისუსტეში ჩავარდეს, მას ენა ადვილად გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან. წმინდა პრინციპის ენების თავისუფლება არაფრით არ არის შეზღუდული.

მაგრამ, შესაძლებელია, თავდაპირველ პრინციპს ერთოდეს ისეთი რამ, რაც არ არის აუცილებელი ენის ზოგადი პრინციპისათვის. შეიძლება პრინციპი არ გამსჭვალავდეს მთლიანად ენას, ადგილი ჰქონდეს გადახრას და დამახინჯებებს. ასეთ ენას არ შეუძლია განვითარებისათვის ახალი ძალების მოპოება, მის ბუნებრივ განვითარებას უცხო ძალა ეღობება წინ. ასეთი ენის მქონე ხალხი რომ გონებრივად დასუსტდეს, მას ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში ეხმარება, გონებრივმა შესაძლებლობებმა თვით უნდა დაეხმარონ თავიანთი აღდგენის საშუალება. გონების მიერ შექმნილი საშუალებები ენაზეც იმოქმედებს, მაგრამ არა შემოქმედებითად, რადგანაც ენის წარმონაქმნები თვით ენის საკუთარი სასიცოცხლო ძალებიდან უნდა ჩამოყალიბდნენ, არამედ შეკეთების, ენის ფორმებისადმი აზრის მიცემისა და მათი ისეთი გამოყენების მიმართულებით, რომელიც მათ თავდაპირველად არ ჰქონიათ.

ამგვარად, ენები ორ ჯგუფს ქმნიან:

1. წმინდა პრინციპისაგან კანონზომიერ თავისუფლებაში განვითარებული ენები, და

2. ასეთ უპირატესობას მოკლებული ენები. მათ ახასიათებს გადახრა სწორი ფორმისაგან, რაც ორი მიზეზითაა გამოწვეული: ენობრივი აზრის (Sprachsinn) უქმარობით და ცალმხრივი დამახინჯებებით, როდესაც ენის ბგერითი ფორმა, რომელიც თვითონ არ არის აუცილებლობით შექმნილი, იწვევს კიდევ სხვა ფორმებს[1].

როგორც ვხედავთ, ენათა განსხვავება პრინციპის (ანუ ფორმის) მიხედვით, ჰუმბოლდტთან მათ სხვადასხვაგვარ ღირებულებაზედაც მიუთითებს. თვით ავტორის სიტყვით, ენათა ზოგადი განხილვიდან ცხადია, რომ უნდა არსებობდეს ენის მიზნებთან ყველაზე უკეთ შეთანხმებული ფორმა. ეს ის ფორმაა, რომელიც ყველაზე მეტადაა შეგუებული ადამიანური გონის საერთო განვითარებასთან, ხელს

[1] კავი-ენის შეს., გვ. 461—464.

უწყობს მის ზრდასა და მოქმედებას და, მეორე მხრივ, თავისი შემოქმედებით აადვილებს მსოფლმხედველობის ძეცხიერული შენობის აგებას[1]. ასეთი ფორმის მქონე ენები სრულყოფილად არის მიჩნეული.

ენათა სრულყოფილობას ბგერისა და ცნების სინთეზის ძალაში ხედავს ავტორი. სინთეზი ენის ყველა მხარეში გვაქვსო, აღნიშნავს იგი. ყველაზე მკვეთრად იგი წინადადების წარმოებაში ვლინდება, შემდეგ ფლექსიით ან აფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებში. ბოლოს საერთოდ ბგერასთან ცნების ყოველგვარ დაკავშირებას[2].

ამგვარად, საწყისი პრინციპის მიხედვით ენათა სხვაობა დაუკავშირდა ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას. თურმე ყველაზე ნაყოფიერი სასიცოცხლო პრინციპი ფლექსია ყოფილა[3]. ბგერისა და ცნების სინთეზი სრულად გამოხატულა ყოფილა მხოლოდ ფლექსიურ ენებში[4]. შთასხეულებითსა და სიტყვის ნამდვილი მთლიანობის გარეშე მირთვის მეთოდებთან შედარებით ფლექსიური მეთოდი გენიალური, ენის ნამდვილი ინტუიციიდან გამომდინარე ჩანსო, გვეუბნება ავტორი[5].

ამგვარად, ენის წყობის წმინდა პრინციპს ფლექსიური ენები წარმოგვიდგენენ. მხოლოდ ისინი ანიჭებენ სიტყვას გონისათვისაც და ყურისათვისაც ნამდვილ შინაგან სიმტკიცეს და ამასთანავე აზრთა აუცილებელი მდინარების შესაბამისად ანაწილებენ წინადადების ნაწილებს[6].

ფლექსიურობის მწვერვალს მთლიანად ვერც ერთი ენა ვერ აღწევს. ყველაზე წმინდად იგი სანსკრიტული ძირის ენებშია წარმოდგენილი. სემიტურში ფლექსია შეზღუდულია შემთხვევითი კანონებით, სიტყვის ორმარცვლიანობით, მორფოლოგიური დანიშნულებისათვის მხოლოდ ხმოვანთა გამოყენებით და არ არის გატარებული ენის ყველა ნაწილში[7]. ამ მიზეზთა გამო სემიტური ენებიც წმინდა პრინციპს მოკლებულ ენებადაა ჩათვლილი[8].

უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით ასეთი კითხვა ისმის: თუ ფლექსია არის უნაყოფიერესი სასიცოცხლო პრინციპი, რატომ ხდება

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 607.
[2] იქვე, გვ. 544—545.
[3] იქვე, გვ. 578.
[4] იქვე. გვ. 574.
[5] იქვე, გვ. 465.
[6] იქვე, გვ. 464.
[7] იქვე, გვ. 465.
[8] იქვე, § 23.

გვიანდელ ეპოქებში სანსკრიტული ძირის ენებში (გერმანულში, ინგლისურში) მისი დაცემა, ფორმებით გაღარიბება? ავტორი გაბაზავს იმას, რომ ენის წარმოქმნის პირველ ხანებში, როდესაც ადამიანები თვით ენით არიან გატაცებულნი და ენის ელემენტები ნათლად შეიგრძნობა, ისინი (ელემენტები) არც იცვლებიან. შემდეგ მთავარი ყურადღება გაგებას ენიჭება, ენის შედგენილობა ბუნდოვანი ხდება, ფორმები დამხმარე ზმნებად და წინდებულებად იქცევა. გრამატიკულ დამხმარე სიტყვათა ხმარება კი ფლექსიას აღარიბებს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ უკვე აღარ არიან მოხიბლული ბგერათა პოეტური მხრით. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სამეტყველო ორგანოთა მოუქნელობას და სმენის სისუსტეს[1].

ენები ფლექსიას ორგვარი გზით კარგავენ: პირველ შემთხვევაში ენა მთლიანად ინგრევა და შემდეგ ახალი, ნაკლებ სრულყოფილი აიგება (მაგ., ლათინურისაგან რომანული ენები), მეორეში კი სრულიად ახალი ენა არ წარმოიშვება, ენა შინაგანი განვითარებით გარდაიქმნება და განაგრძობს არსებობას (ბერძნული). თითოეულ ამ გზას გარეშე გარემოებანი განსაზღვავს (მაგ., რომში სხვა ხალხთა შემოჭრა).

როგორიც უნდა იყოს გვიანდელ ეპოქებში ფლექსიის გაღარიბების მიზეზები, მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ ფლექსიადაკარგული ენები იზოლირებულს მთლიანად არასოდეს არ დაემთხვევიან. ჩინურში იზოლაციას საფუძვლად პირვანდელი წარმოების არასრულყოფილობა უდევს. სანსკრიტულს რომ მთლად დაეკარგა ფორმები, მისი თავდაპირველი ფლექსიური წყობა მაინც გამოვლინდებოდა მასში და ჩინურზე მაღლა დააყენებდა მას. გარდა ამისა, ფლექსია აქა-იქ შემოგვრჩებოდა, როგორც ეს ინგლისურშია[2].

რომანულ ენებში დარღვევა კონკრეტულ ფორმებს შეეხო და არა ენის მთლიან ფორმას. ეს ენები ცრანაკლებ ფლექსიური არიან, ვიდრე ლათინური. მატერიალურ და ფორმალურ ცნებათა გარჩევა მათ შეინარჩუნეს. არ შეიძლება რომანული ენები გავუთანაბროთ სხვა ენებს, რომლებიც ამათ მსგავსად შეიძლება ბრუნვათა ნაცვლად თანდებულებს იყენებდნენ ან ზმნაში პირის აფიქსები ნაცვალსახელებით ჰქონდეთ შენაცვლებული. განსხვავება საწყის სასაცოცხლო პრინციპშია[3].

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 578.
[2] იქვე, გვ. 580.
[3] იქვე, გვ. 583—91.

სანსკრიტული მოდგმის გარდა ყველა ენა არასრულყოფილადაა მიჩნეული. სანსკრიტულის[1] საპირისპირო ტიპია ჩინური. გამოდის, რომ ჩინური ყველაზე ნაკლებ სრულყოფილი უნდა იყოს. მაგრამ ავტორი ამ შეხედულებას არ იზიარებს. პირუკუ, სწორედ ჩინური მთელ რიგ უპირატესობებს გვიჩვენებს და ხელს უწყობს გონებრივი უნარის განვითარებასო. ამის მიზეზს ჰუმბოლდტი ჩინურის ადრინდელ მეცნიერულ დამუშავებასა და მის მდიდარ ლიტერატურაში ეძიებს, თუმცა ამ უკანასკნელთათვის თვით ენას უნდა შეეწყო ხელი. მართალია, ჩინური სანსკრიტულზე უფრო დაბლა დგას, მაგრამ მისი ღირსება ისაა, რომ გარეგანი გრამატიკის უქონლობით იგი ამახვილებს ხალხის აზრს მეტყველების ფორმალური კავშირის გაგებაზე, მაშინ როდესაც ენები, რომლებშიაც გვხვდება უნაყოფო, ბოლომდე განუხორციელებელი ცდა გრამატიკულ ურთიერთობათა გადმოცემისა, პირუკუ, ადუნებენ გონებას და ერთმანეთში ურევენ მატერიალურსა და გრამატიკულ შინაარსს[2].

როდესაც ადამიანური გონი ხელსაყრელ პირობებში მთელი თავისი ძალების დაძაბვით მუშაობს, იგი ყოველგვარი იარაღით აღწევს მიზანს, თვით ძნელი და ნელი გზითაც. მაგრამ სიძნელის დაძლევა არ ნიშნავს, რომ იგი მოხსნილია. გრამატიკულ ფორმას მოკლებული ან არასრულყოფილი გრამატიკული ფორმის მქონე ენები, ნაცვლად იმისა, რომ ხელს უწყობდნენ ინტელექტუალურ მოქმედებას, აბრკოლებენ მას[3].

ყველა ენა სანსკრიტულსა და ჩინურს შორის თავსდება. გამონაკლისია სემიტური ენები. ესენი სანსკრიტულის კლასს განეკუთვნებიანო, ამბობს ავტორი[4], თუმცა სემიტურ ენებს იგი სანსკრიტულზე დაბლა მდგომად მიიჩნევს და არასრულყოფილ ენათა ჯგუფში განიხილავს მათ. რაც შეეხება დანარჩენ ენებს, ისინი ან ჩინურისაკენ იხრებიან ან სანსკრიტულისაკენ. თვით შთასხეულებითი ენები (მაგ., მექსიკური) შუაშია მოქცეული, რადგან ისინი შთასხეულებით ვერ აღნიშნავენ ყველა ურთიერთობებს და იძულებული არიან მიმართონ ნაწილაკებს, რომლებიც ან ერთვიან სიტყვებს, ან ცალკე რჩებიან[5].

---

[1] ტერმინ „სანსკრიტულში“ იგულისხმება ინდოევროპულ ენათა მთელი ოჯახი და არა მხოლოდ სანსკრიტი.

[2] კავი-ენის შეს., გვ. 650—652.

[3] Über die gram. Form, გვ. 100.

[4] კავი-ენის შეს., გვ. 654.

[5] იქვე, გვ. 467.

არასრულყოფილ ენებსაც შეიძლება ჰქონდეთ ცალკეული უპირატესობანი. ასე, მაგალითად, ძველი სტილის ჩინური დიდ ღირსებას აღწევს მნიშვნელოვან ცნებათა უშუალოდ ერთმანეთის გვერდით მოთავსებით და მარტივ სიდიადეს აღწევს იმით, რომ ყველა უმნიშვნელო მიმართების აღნიშვნის თავიდან მოცილებით თითქოს ენის საშუალებით წმინდა აზროვნებაში გადადის. მალაურს აქებენ სიმსუბუქისა და დანართების სიმარტივის გამო. სემიტური ენები ფლობენ ხმოვანთა გრადაციებში მნიშვნელობის გარჩევის საოცარ ხელოვნებას. ბასკურში სიტყვათა წყობა და შესიტყვება იძლევა განსაკუთრებულ ძალას გამოთქმის სიმოკლითა და გამბედაობით. დელავარული და სხვა ამერიკული ენები ერთ სიტყვას ისეთ ცნებებს უკავშირებენ, რომლებისთვისაც ჩვენ რამდენიმე სიტყვას ვხმარობთ[1].

ეს მაგალითები ავტორისათვის მხოლოდ იმისი მაჩვენებელია, რომ ადამიანურ გონს, რა ცალმხრივი გზითაც არ უნდა მიდიოდეს იგი, მუდამ რაიმე დიადისა და მასზე ნაყოფიერად და შთამაგონებლად უკუმოქმედის წარმოქმნა ძალუძს. მაგრამ ეს ცალკეული შეხვედრები უპირატესობის საკითხს ვერ წყვეტს. ენის ნამდვილი უპირატესობა ისაა, რომელიც ერთი პრინციპიდან თავისუფლად ვითარდება, ისე რომ ადამიანის მთელ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ცოცხალ მოქმედებაში ინახავს, მას დამაკმაყოფილებელ ორგანოდ ემსახურება და მოქმედებისათვის აღაგზნებსო, გვეუბნება ჰუმბოლდტი[2].

ამგვარად, სრულყოფილ და არასრულყოფილ ენათა არსებობის აღიარებით ჰუმბოლდტი ენებს სხვადასხვა ღირებულების მქონედ მიიჩნევს. ასეთი შეფასება კიდევ უფრო შორს შეიძლება წავიდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი აზრით, ენა ხალხის გონითს შესაძლებლობებზე მიუთითებს. გამოდის, რომ ენების მიმართ გამოტანილი მსჯავრი ხალხებსაც ეხება. ჰუმბოლდტი ითვალისწინებს ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას და არამართებულად მიიჩნევს მას. მისი თქმით, ენათა უპირატესობანი დამოკიდებულია გონითი მოქმედების იმ ენერგიაზე, რომელიც აზრის ბგერად გარდაქმნისაკენ არის მიმართული. არასრულყოფილ ენაში ხალხის გონი არასაკმარისი ენერგიით მოქმედებს ენაში, მაგრამ ეს არ წყვეტს სხვა ინტელექტუალურ უპირატესობათა საკითხს. ჩვენ გვაინტერე-

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 466.

[2] იქვე, გვ. 467.

სებს მხოლოდ ენათა წყობის სხვადასხვაობაო, აღნიშნავს ავტორი და მას უდავოდ მიაჩნია, რომ სანსკრიტის წყობა მაღალია ჩინურისაზე, ბერძნული ენისა კი—არაბულისაზე.

მაგრამ ენა უკუქმედებას ახდენს ხალხის გონზე და ინტელექტუალობაზე. ენათა ცალკეულმა უპირატესობებმა შეიძლება განავითარონ ხალხის გარკვეული გონებრივი მხარეები. სირთულისა და შერევის შედეგად ხალხთა გონითი ნიჭის ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. ხოლო ენათა ნამდვილი უპირატესობანი მათ ყოველმხრივ და ჰარმონიულად მოქმედ ძალაში უნდა ვეძებოთ. ენა იარაღია, რომელსაც გონითი მოქმედება იყენებს. ის არის გზა, რომელსაც გონი მისდევს. ამიტომ მართლაც სრულყოფილი ის ენაა, რომელიც გონის მოქმედებას აადვილებს, შთამაგონებლად მოქმედებს მასზე. სწორ ფორმას მოკლებულ ენებს, მიუხედავად მათი ცალკეული უპირატესობებისა, არა აქვთ უნარი ისე ყოველმხრივ და ჰარმონიულად იმოქმედონ გონზე, როგორც ეს სწორი ფორმის ენებს ძალუძთ.

მე სრულიადაც არა ვარ განწყობილი უარყოფითი მსჯავრი დავდო რომელიმე, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილი ველურების ენასო, წერს ავტორი. ასეთი მსჯავრის გამოტანა მას მიაჩნია დამამცირებლად კაცობრიობის თავისებური ნიჭისათვის. იგი არ ეგუება ენათა შესახებ ჩვენს ცოდნას, რადგან ყოველი ენა ენობრივი ნიჭის ანასახს წარმოადგენს და თავის მიზანს ყოველი ენა ისეთი დახვეწილი წყობით აღწევს, რომ მისი შესწავლა მკვლევრისათვის აუცილებელია. ამასთანავე ყოველ ენას აქვს უნარი დაუსრულებლად განვითარდეს შინაგანი ძალების მოქმედებით. კიდევ უფრო მეტის თქმაც შეიძლება: ერები სხვა ენათა ზემოქმედებას განიცდიან და ამით მათი ენები ისეთ დონემდე ვითარდებიან, რომელსაც ისინი თავიანთი საკუთარი ძალებით ვერ მიაღწევდნენ. ენა არასოდეს არ იქცევა ადამიანისათვის აბსოლუტურ ზღვრად. განსხვავებას ენათა შორის ის ქმნის, თვითონ ენაშია მის ძალთა ამაღლებისა და იდეათა გაფართოების ამოსავალი პუნქტი, თუ მის გარეთ და ენა პასიურად ექვემდებარება უცხო გავლენას.

ამ თვალსაზრისით ენათა სხვაობა, ავტორის აზრით, ყველაზე მკვეთრად წინადადების წყობაში ჩანს, ხოლო იგი ვლინდება ენის ყველა მხარეში[1].

შემდეგი საკითხი, რომელსაც თვით ავტორი სვამს, ასეთია: ხომ არა გვაქვს ენებში თანდათანობითი მიახლოება სრულყო-

[1] კავი-ენის შეს., 630—633.

ფასთან? მაშინ ჩინური უძველესი ენა აღმოჩნდებოდა, სანსკრიტული კი—უახლესი. ამ საკითხზე პასუხი უარყოფითია. ყველაზე სრულყოფილი ენა უეჭველად ყველაზე გვიანდელი არ არის. მთავარი კი ისაა, რომ, როგორც ვნახეთ, არასრულყოფილი ენები ცალკეულ უპირატესობებს ავითარებენ. ეს უპირატესობანი სულ სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს და მათი კლასიფიკაცია შეუძლებელია. შესაძლებელია დავაჯგუფოთ მხოლოდ ენათა ნაკლოვანებანი; რამდენად შორდებიან ისინი სრულყოფილ ტიპს? აი, ამ უარყოფითი თვალსაზრისით დაჯგუფებისას ენები, მართლაც, აღმავლობას გვიჩვენებენ[1].

ჰუმბოლდტი იმაზედაც მიუთითებს, რომ ჩინურსა და სანსკრიტულს შორის მოქცეული ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ისინი ერთ ჯგუფში პირობითად შეიძლება იქნენ მოთავსებული. მათ საერთო აქვთ მხოლოდ ნეგატიური თვისებები. ზოგიერთი გრამატიკული მიმართების არსებობა, რაც მათ იზოლირებულ ენათაგან გამოყოფს და ფლექსიის უქონლობა, რაც ფლექსიური ენებისაგან განასხვავებს[2].

ენათა მრავალფეროვნების არსებობის გამო ავტორს ეჭვი შეაქვს, საერთოდ, ენათა სრული კლასიფიკაციის შესაძლებლობაში. დაჯგუფება შეიძლება მოვახდინოთ ცალკეული ნიშნების მიხედვით, მაგრამ, როდესაც საქმე ენათა არსებით თვისებებს და ენისა და ერის გონითი ინდივიდუალობის შინაგან მიმართებას ეხება, მდგომარეობა ძლიერ რთულდება. სრულყოფილი სისტემის შექმნა იმიტომაც არის შეუძლებელი, რომ ენათა დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელია[3].

§27. ჰუმბოლდტის შეხედულებებზე მსჯელობის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ჰუმბოლდტი მეტად ძნელად გასაგებ ავტორს წარმოადგენს. თვით მისი გამომცემელი და კომენტატორი ჰ. შტაინთალი აღნიშნავს, მე არ შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანად და სწორად მესმის ჰუმბოლდტი[4]. მართლაც, ჰუმბოლდტის მეორე გამომცემელი ა. პოტი გაცხარებით ეკამათებოდა შტაინთალს ჰუმბოლდტთან რიგი ადგილის გაგებასა და შეფასებაში[5].

---

[1] კავი-ენის შესწ., გვ. 657.

[2] იქვე, გვ. 654.

[3] იქვე, გვ. 658—59.

[4] H. Steinthal, Die sprachphilosophische Werke Wilhelms von Humboldt, გვ. 1.

[5] A. F. Pott, Wilhelm von Humboldt und die Sprachwissenschaft, 1880, II Aufl.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენათა კლასიფიკაცია ჰუმბოლდტს მთლიანი, დალაგებული სახით არა აქვს წარმოდგენილი. ჩვენ მოგვიხდა ამოგვეკრიფა კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ადგილები მის შრომათა სულ სხვადასხვა თავებიდან. ამასთან, ავტორი არსად არ ხმარობს გამოთქმას „მორფოლოგიური კლასიფიკაცია". რ. ჰაიმი, ავტორი შრომისა ჰუმბოლდტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, იმ აზრსაც კი გამოთქვამს, რომ ჰუმბოლდტი არ ისახავდა მიზნად კლასიფიკაციას, გაურბოდა კიდევაც მასო[1].

შეიძლება სწორედ ზემოდასახელებული ორი მიზეზით 1. რომ ჰუმბოლდტის ნააზრევის გაგება საერთოდ მეტად ძნელია და 2. რომ კლასიფიკაცია ავტორს სისტემატურად დალაგებული არა აქვს) აიხსნებოდეს ის, რომ ჰუმბოლდტის როლი მორფოლოგიური კლასიფიკაციის ისტორიაში სწორად არ არის შეფასებული[2]. ენათმეცნიერებაში ამ საკითხის შესახებ გავრცელებული ზოგი შეხედულება არ შეესაბამება სინამდვილეს.

აშკარაა, რომ ჰუმბოლდტს არ შეუქმნია ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ახალი სქემა. ყველა ის ტიპი, რომელიც მის შრომებში გვხვდება, გამოყოფილი იყო მანამდის. ჰუმბოლდტი სარგებლობდა ენათმეცნიერებაში უკვე არსებული კლასიფიკაციით და თავისი თვალსაზრისის შესაბამისად გარკვეულ გაშუქებას აძლევდა მას. ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ ცალკეული მორფოლოგიური ტიპების აღწერით ჰუმბოლდტი მაინცდამაინც არ იწუხებს თავს.

ენათმეცნიერების ისტორიაში ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება, თითქოს ტერმინი „აგლუტინაციურის" ავტორი ჰუმბოლდტია[3], ჰუმბოლდტს მიეწერება აგრეთვე ენათა მეოთხე მორფოლოგიური ტიპის—შთასხეულებითი (ინკორპორაციული) ენების გამოყოფა[4].

---

[1] Р. Гайм, Вильгельм фон-Гумбольдт, описание его жизни и характеристика, Перевод с немецкого, Москва, 1898, გვ. 438.

[2] ჰაიმი რომ დავიმოწმოთ: «Нигде результат гумбольдтовских изысканий в области языкознания не является столь трудным для понимания и столь мало устойчивым, как в отделе о классификации языков, იქვე, გვ. 439.

[3] მაგალითად, ო. იესპერსენი წერს, ამ გამოთქმის (აგლუტინაციის.—თ. შ.) შემქმნელი ჰუმბოლდტი უნდა იყოსო (1821 წ.) და მიუთითებს შტრაიტბერგზე—Indogermanische Forschungen, 35. 191. (Otto Jespersen, Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung, გვ. 40).

[4] იხ. მაგ., Р. О. Шор и Н. С. Чемоданов, Введение в языкознание, 1945, გვ. 194; ა. სუხოტინის შენიშვნები სეპირის წიგნზე „ენა", გვ. 198; А. А. Реформатский, Введение в языкознание, 1947, გვ. 148.

რაც შეეხება ტერმინს „აგლუტინაცია“, თვითონ ჰუმბოლდტი გარკვევით მიუთითებს, რომ იგი მისგან არ მომდინარეობს. ახასიათებს რა ენათა მორფოლოგიურ ტიპებს, ავტორი აღნიშნავს, ენათა აქ მოქმედ თვისებას უწოდებენ იზოლაციას, ფლექსიას და აგლუტინაციასო[1]; სხვა ადგილას ნათქვამია: ეს არაადვილად გამოსაცნობი ორაზროვანი სამუალება ამ ბოლო დროს აგლუტინაციით აღნიშნესო[2]. შტაინთალიც გაბაზავს, რომ სახელწოდებები „ფლექსია“ და „აგლუტინაცია“, აგრეთვე მათთან დაკავშირებული თვალსაზრისი, ჰუმბოლდტისეული არ არის და შრომაში „გრამატიკულ ფორმათა წარმოშობის... შესახებ“ ისინი იშვიათად და ისიც თითქმის მუდამ ბრჭყალებში იხმარება[3].

საყურადღებოა, რომ სხვა შრომაში შტაინთალი პირდაპირ აღნიშნავს, შლეგელის სამწევროვანი კლასიფიკაცია, რომელიც შეცდომით ჰუმბოლდტს მიაწერეს, ძალიან გავრცელდაო. ეს სამწევროვანი კლასიფიკაცია მოიცავს იზოლირებულს, აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებს[4].

იმავე შტაინთალთან ჩანს, რომ ინკორპორაციულ ენათა გამოყოფაც არ მომდინარეობს ჰუმბოლდტისაგან[5]. მართლაც, როგორც ფრ. შლეგელის კლასიფიკაციის გაცნობის დროს დავრწმუნდით, ინკორპორაციის ფაქტი ამერიკის ენათა მაგალითზე ფრ. შლეგელისათვის უკვე ცნობილი იყო.

მეორე საკითხი, რომელიც აგრეთვე სპეციალურ გარკვევას საჭიროებს, ეხება უკვე იმას, თუ რამდენი მორფოლოგიური ტიპი გვაქვს თვითონ ჰუმბოლდტთან. ერთი შეხედვით, საკითხის ამგვარად დასმა უცნაური ჩანს. თითქოს უდავოა, რომ ჰუმბოლდტი ოთხ ტიპს გამოყოფს: იზოლირებულს, აგლუტინაციურს, ინკორპორაციულსა და ფლექსიურს. სწორედ ეს შეხედულება არის დამკვიდრებული ენათმეცნიერებაში. მაგრამ როდესაც საქმის ვითარებას უფრო ახლოს ვეცნობით, ირკვევა, რომ ჰუმბოლდტთან ორი კლასიფიკაცია გვაქვს წარმოდგენილი. ერთია სიტყვათა ფორმის მიხედვით კლასიფიკაცია, ე. ი. საკუთრივ მორფოლოგიური კლასიფიკა-

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 389.

[2] იქვე. გვ. 401.

[3] კავი-ენის შეს., § 14, გამომცემლის შესავალი, გვ. 386—7.

[4] H. Steinthal, Charakteristik der hauptsächlichsten Typen des Sprachbaues, Berlin, 1860, გვ. 10.

[5] იქვე, გვ. 10.

ცია, ხოლო მეორე—წინადადების აგებულების მიხედვით, ე. ი. სინტაქსური კლასიფიკაცია. და აი, სწორედ აქ წარმოიშვება გაუგებრობა. როდესაც სიტყვათა ფორმის მიხედვით კლასიფიკაციას ახდენს, ჰუმბოლდტი სამ ტიპს ასახელებს: იზოლირებულს, აგლუტინაციურსა და ფლექსიურს. შემდეგ ამ დაჯგუფებას იგი წინადადებათა კლასიფიკაციას უკავშირებს. აქ გვექნება: 1) გრამატიკულად გაფორმებული სიტყვებისაგან შემდგარი წინადადება, 2) გრამატიკულად გაუფორმებელი სიტყვებისაგან შემდგარი წინადადება და 3) სიტყვა-წინადადება (შთასხეულებითი ტიპი). ამგვარად, ჰუმბოლდტთან შთასხეულებითი არის წინადადების ტიპი და არა სიტყვისა. სირთულეს ის ქმნის, რომ ეს ისეთი ფორმაა, რომელშიაც სიტყვასა და წინადადებას შორის საზღვრები არ არსებობს.

მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ წყდება. წინადადებათა კლასიფიკაცია შეესაბამება მორფოლოგიურ კლასიფიკაციას. გრამატიკულად გაფორმებული სიტყვებისაგან შემდგარი წინადადება ფლექსიურ ენებს აქვთ, გრამატიკულად გაუფორმებლისაგან შემდგარი—იზოლირებულებს. წინადადებათა პირველ ორ ტიპს ავტორი სპეციალურ სახელებს არ უწოდებს, აქაც იგივე ტერმინები „იზოლირებული“ და „ფლექსიური“ იხმარება, რაც სიტყვათა დაჯგუფებისას. ამიტომ გამოდის, რომ ფლექსიურსა და იზოლირებულს უპირისპირდება შთასხეულებითი. მაგრამ არ ჩანს, რა თვალსაზრისით უპირისპირდება, მორფოლოგიურით თუ სინტაქსურით. სწორედ ეს უნდა იყოს გაუგებრობის წყარო.

ბუნებრივად ისმის საკითხი: თუ მორფოლოგიურ ტიპებს წინადადებათა ტიპები შეესაბამება, რა ურთიერთობა არსებობს ამ ორი კლასიფიკაციის მესამე წევრებს, ე. ი. აგლუტინაციასა და შთასხეულებას შორის. აგლუტინაციურ მორფოლოგიურ ტიპს ჰუმბოლდტთან ინკორპორაციული წინადადება ხომ არ შეესაბამება? ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის, რომ როდესაც აგლუტინაციის შესახებ ლაპარაკობს, ავტორი მექსიკურ ენას ასახელებს, ეგევე მექსიკური ენა ინკორპორაციულადაც არის გამოცხადებული.

მაგრამ ამის გვერდით ისეთი ადგილებიც გვხვდება, სადაც აგლუტინაცია და ინკორპორაცია თითქოს არ შეესაბამება ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ერთგან ავტორი პირდაპირ ამბობს, წინადადების განხილვისას ყოველგვარ ფორმას მოკლებულ ჩინურს გარდა დავადასტურეთ ენათა სამი შესაძლებელი ფორმა: ფლექსი-

ური, აგლუტინაციური და შთასხეულებითიო[1]. მართალია, აქ წინადადების ფორმაზეა ლაპარაკი და ინკორპორაციული ტიპის დასახელება ბუნებრივი ჩანს, მაგრამ ამ კონტექსტში გაუგებრობას იწვევს „აგლუტინაციური“, რადგან წინადადების აგლუტინაციური ტიპი ჰუმბოლდტს არსად არ უხსენებია[2].

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ჰუმბოლდტის მთელი აზრთა მსვლელობიდან გამომდინარეობს სამი მორფოლოგიური (იზოლირებული, აგლუტინაციური და ფლექსიური) და სამი სინტაქსური (იზოლირებული, ინკორპორაციული და ფლექსიური) ტიპის არსებობა. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ზემომოყვანილი ადგილის (სადაც 4 ტიპი არის დასახელებული) ორიოდე გვერდის შემდეგ ჰუმბოლდტი კვლავ სამი ტიპის შესახებ ლაპარაკობს[3]. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, შტაინთალიც იმ მოსაზრებას უჭერს მხარს, რომ ჰუმბოლდტთან სამწევროვანი კლასიფიკაცია გვაქვს.

ამგვარად, გამოდის, რომ „აგლუტინაცია“ ჰუმბოლდტთან იძლევა ენათა მორფოლოგიურ დახასიათებას, „შთასხეულება“ კი იმავე ენათა სინტაქსურ დახასიათებას. ეს მოვლენა ერთბაშად გა-

---

[1] კავი-ენის შეს., გვ. 629.

[2] ამ წინააღმდეგობას რ. ჰაიმიც ამჩნევს, მაგრამ მისი კომენტარი საკითხს გარკვეულობას ვერ მატებს. იგი წერს, „Гумбольдт в самом деле изображает влияние приема всесовокупления на метод обозначения отношений; но он точно таким же образом мог бы наоборот, представить влияние приема агглютинации (приставок) на метод образования предложений. Связь между обоими мотивами деления стала бы тогда яснее; основание соединить одно деление с другим выступило бы тогда с полною ясностью. Теперь же это сочетание мотивируется одною только в общем доказанною связью между обозначением отношений и образованием предложений, и именно с этой точки зрения надо смотреть на то единственное место, в котором Гумбольдт действительно соединяет оба деления в одно и выставляет образование предложений высшим принципом для этого одного деления. Для того, чтобы достигнуть образования предложения, как осторожно выражается Гумбольдт, он в общем выставил четыре возможные формы языков: изолирующую, флективную, агглютинирующую, приставочную (!) и всесовокупляющую». დასახ. შრ., გვ. 432. თუ არ ვიგულისხმებთ, რომ „приставочная форма“ აგლუტინაციურის სინონიმია, მაშინ, ჰაიმის მიხედვით, ხუთი ტიპი გამოდის და არა ოთხი!

[3] „Dieselbe Geistesstimmung, aus welcher jene drei verschiedenen Verfahrungsarten (ხაზი ჩვენია.—თ. შ.) entspringen, erstreckt sich auch von selbst über die Formung aller übrigen Sprachelemente, und wird nur an der Satzbildung vorzugsweise erkannt“,—კავი-ენის შეს., გვ. 633.

საგები გახდება, თუ მოვიგონებთ ფრ. შლეგელს, რომელთანაც არ იყო დიფერენცირებული აგლუტინაციური (ბასკური) და ინკორპორაციული (ამერიკის) ენები. საერთოს მათ შორის ავტორი იმაში ხედავდა, რომ ყველა ამ ენაში ადგილი აქვს გრამატიკულ ელემენტთა მექანიკურ მირთვას (Anfügung). განსხვავებას კი მხოლოდ ის ქმნიდა თითქოს, თუ სად მიერთვის ეს ელემენტები სიტყვას, თავში (კოპტურში), ბოლოში (ბასკურში) თუ შიგნით ჩაერთვის (ამერიკის ენებში). არსებითად იმავე თვალსაზრისზე დგას ჰუმბოლდტიც. მასთანაც აგლუტინაციური და ინკორპორაციული ენები არ არიან გამიჯნული ერთმანეთისაგან. ნაშრომში „გრამატიკულ ფორმათა წარმოშობის... შესახებ", სადაც ენათა სინტაქსური კლასიფიკაცია ჯერ კიდევ არ არის მოცემული, ინკორპორაციის, როგორც ცალკე ტიპის, შესახებ ლაპარაკი სრულიად არ გვხვდება. ჰუმბოლდტი, მსგავსად ფრ. შლეგელისა, ერთ სიბრტყეზე აყენებს მნიშვნელობის მქონე მარცვალთა მირთვას (Anfügung) ანუ აგლუტინაციას და ჩართვას (Einschaltung), რაც სწორედ ამერიკის ინკორპორაციულ ენებს ახასიათებს[1].

თუ შემდეგში ჰუმბოლდტმა მაინც ორი ტერმინი იხმარა ამ ენათათვის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარად ახასიათებს მათ თავისებურებებს. „აგლუტინაცია" მიუთითებს იმაზე, რომ აფიქსების მექანიკურად დართვა ხდება, „შთასხეულება" კი იმაზე, რომ სიტყვა-წინადადებასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამიტომაა, რომ პირველი ტერმინი ჰუმბოლდტმა მორფოლოგიური კლასიფიკაციისათვის გამოიყენა, მეორე კი— სინტაქსურისათვის.

ამგვარად, ამ შემთხვევაშიაც არამართებული აზრია დამკვიდრებული ჰუმბოლდტის შესახებ. მასთან სამი მორფოლოგიური ტიპი გვაქვს და არა ოთხი. ესენია: იზოლირებული, აგლუტინაციური და ფლექსიური. აგლუტინაციური მოიცავს როგორც საკუთრივ აგლუტინაციურს, ისე ინკორპორაციულ ენებს. ეს ორი ტიპი ჰუმბოლდტთანაც ჯერ კიდევ არ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან.

დასასრულ, კიდევ ერთი გაუგებრობა ჰუმბოლდტის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. შტაინთალი თავის შრომაში „ენობრივი წყობის ძირითად ტიპთა დახასიათება" იძლევა ჰუმბოლდტის კლასიფიკაციის ასეთ სქემას:

[1] Über die gram. Form, გვ. 80.

A) არასრულყოფილი ენები	a) წინსართოვანი ენები (Partikel-Sprachen), რომლებშიაც ზმნას არავითარი მახასიათებელი არ ერთვის.	მალაურ-პოლინეზიური, ბირმული და სხვ.
	b) ნაცვალსახელოვანი ენები (Pronominal-Sprachen), რომლებშიაც ზმნას ნაცვალსახელები ერთვის	ამერიკის ენები
B) სრულყოფილი ენები	a) იზოლირებული	ჩინური
	b) ფლექსიური	a) სემიტური b) ინდოევროპული[1]

რაკი ზემოთ გადმოცემული გვქონდა ენათა კლასიფიკაცია ჰუმბოლდტთან, შეიძლება მოკლედ მოვჰრათ: არც ნომენკლატურის თვალსაზრისით და არც არსებითად ეს სქემა არ შეესაბამება ჰუმბოლდტისეულ კლასიფიკაციას:

1. ამ სქემაში არ ჩანს აგლუტინაციური (და არც შთასხეულებითი) ტიპი.

2. თუმცა ჰუმბოლდტი ენებს ყოფს სრულყოფილ და არასრულყოფილ ენებად, მაგრამ სრულყოფილი ენებისათვის იგი ხმარობს ტერმინს „წმინდა პრინციპის ენები“, არასრულყოფილთათვის კი — „წმინდა პრინციპიდან გადახრილი ენები“.

3. სრულყოფილ ენებად ჰუმბოლდტს მხოლოდ ინდოევროპული ენები მიაჩნია. მასთან არა მხოლოდ იზოლირებული ჩინური, არამედ ფლექსიური სემიტური ენებიც გადახრილ ენათა ჯგუფშია მოქცეული.

ამგვარად, შტაინთალი არამართებულად ალაგებს ჰუმბოლდტის კლასიფიკაციას. ამის მიზეზი ის არის, რომ დასახელებულ შრომაში შტაინთალმა თავისებურად გადაამუშავა და გააზრიანა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. მის მიერ მოყვანილი სქემა ჰუმბოლდტის კლასიფიკაციას კი არ გამოხატავს, არამედ თვითონ შტაინთალის თვალსაზრისთან არის შეგუებული. ეს ნათელი გახდება, როდესაც გაეცნობით შტაინთალის კლასიფიკაციას (იხ. ნაწ. III).

---

[1] H. Steinthal, Charaktoristik der haupt. Typen... გვ. 70.

სხვა საკითხებიდან ენათა დაჯგუფების თვალსაზრისით ჰუმბოლდტთან ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

1. განსხვავებით ფრ. შლეგელისაგან სემიტური ენები ფლექსიურ ენათა ჯგუფშია სამართლიანად შეტანილი.

2. ჰუმბოლდტი მართებულად მიუთითებს, რომ მორფოლოგიური (და აგრეთვე სინტაქსური) ტიპები წმინდა სახით არ არსებობს; აგლუტინაციურ ენებში შეინიშნება ფლექსიის მოვლენები და პირუკუ. თვით იზოლირებული ენებიც კი იჩენენ გრამატიკული კატეგორიების აღსანიშნავად ნაწილაკების გამოყენების ტენდენციას.

3. სამი მორფოლოგიური ტიპიდან ძირითადად ორი გვევლინება: იზოლირებული და ფლექსიური. ესენი არსებითად უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც უაფიქსო და აფიქსებიანი ენები. რაც შეეხება აგლუტინაციურს, იგი გარდამავალი ტიპია და მრავალფეროვან ენებს მოიცავს. ჰუმბოლდტი გრძნობს, რომ ამ ენათა გაერთიანება ხელოვნურია, რომ უნდა დაისვას მათი კლასიფიკაციის საკითხი და ამიტომ პოზიტიური ნიშნის მიხედვით კი არ ახასიათებს აგლუტინაციურ ენებს, არამედ ნეგატიურის, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რით განსხვავდებიან ისინი იზოლირებული და ფლექსიური ენებისაგან.

4. საყურადღებოა ჰუმბოლდტის გამონათქვამი, აგლუტინაციასა და ფლექსიას შორის გარდაუვალი ზღვარი კი არ არსებობს, არამედ მხოლოდ ხარისხობრივი განსხვავება არისო. სამწუხაროდ, ამ მართებულ აზრს ავტორი ბოლომდის ვერ იცავს და, აფასებს რა ენებს სრულყოფილობის თვალსაზრისით, ხელოვნურად უპირისპირებს ერთმანეთს აგლუტინაციასა და ფლექსიას.

5. ჰუმბოლდტს, მსგავსად ფრ. შლეგელისა, მიაჩნია, რომ ენათა ფორმის ერთგვაროვნება დაკავშირებულია ამ ენათა წარმოშობითს ნათესაობასთან. ეს მოსაზრება მცდარია. ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ განვითარების შედეგად წარმოშობით მონათესავე ენებმა შესაძლებელია, სხვადასხვა მორფოლოგიურ ტიპს განეკუთვნონ და პირუკუ, არამონათესავე ენებშიაც გვხვდება ერთგვარი მორფოლოგიური წყობა.

6. საჭიროა გაიხაზოს, რომ კლასიფიკაცია იზოლირებულ, აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებად ჰუმბოლდტისათვის არ წარმოადგენს ისეთ დაჯგუფებას, რომელიც ერთი, ცალკე აღებული, ნიშნის მიხედვით ახასიათებს ენებს. ავტორის თვალსაზრისით, ეს

ისეთი ნიშანია, რომელიც ენის ყველა მხარეში იჩენს თავს. იგი ვლინდება ენის ფონეტიკურ ჩვეულებაში, მეტყველების ნაწილთა აგებულებაში, განსაკუთრებით ზმნის, ნაცვალსახელისა და კავშირის წარმოებაში, წინადადების წყობაში. სწორედ ამიტომაა, რომ ჰუმბოლდტს შესაძლებლად მიაჩნია ტიპოლოგიის გათვალისწინების საფუძველზე აწარმოოს ენათა მთლიანი შეფასება სრულყოფილობის თვალსაზრისით.

§28. და აი, ჩვენ მივადექით ჰუმბოლდტისათვის ყველაზე არსებით საკითხს, საკითხს ენათა სრულყოფილობის შესახებ. პრობლემის დასმა სავსებით კანონზომიერად გვეჩვენება. უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, გრამატიკული აგებულების მიხედვით ენათა შორის არსებული სხვაობა ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ენები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი არიან? დამაფიქრებელია ჰუმბოლდტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სრულყოფილობა უნდა ვეძებოთ იმაში, თუ რამდენად უკეთ ემსახურება ენა აზროვნებას. აღტორი გვეუბნება, მის წინაშე წამოჭრილ მოთხოვნილებებს ყველა ენა ასრულებს, აზრის გამოხატვას ყველა აღწევს, მაგრამ სრულყოფილი უფრო იოლად და კარგად, არასრულყოფილი კი უფრო ძნელად, მეტი დაბრკოლების გადალახვითო.

უნდა აღვიაროთ, რომ საკითხი მარჯვედ არის დასმული, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი მართებულად იყოს გადაწყვეტილი ჰუმბოლდტთან. პირუკუ, გადაწყვეტა მცდარია. სრულყოფას ჰუმბოლდტი არ ეძიებს ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებაში, არც მისი გრამატიკული წყობის დახვეწაში. იგი გვეუბნება, ლექსიკის სიმდიდრე არ არის ენის უპირატესობის მაჩვენებელიო. ენათა სრულყოფის განმსაზღვრელად ავტორი მიიჩნევს თვითონ მორფოლოგიურ ტიპებს და როგორც ვნახეთ, ყველაზე მაღალ შეფასებას იგი აძლევს ფლექსიურ, კერძოდ, ინდოევროპულ ენებს. სწორედ აქ არის ჰუმბოლდტის შეცდომის სათავე. არ შეეფერება სინამდვილეს ის მოსაზრება, თითქოს ფლექსიური წყობა იყოს ყველაზე უკეთ შეგუებული აზროვნების გამოხატვის ამოცანასთან. ამიტომ არის, რომ ჰუმბოლდტის წსჯელობას ამ საკითხზე მეტისმეტად აბსტრაქტული ხასიათი აქვს. არ არის დამაჯერებელი ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ წმინდა პრინციპის, ე. ი. სრულყოფილი ენით დაჯილდოებული ხალხი რომ გონებრივ სისუსტეში ჩავარდეს, მას ენა ადვილად გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან, გადახრითი, ე. ი. არასრულყოფილი ენის პატრონ

ხალხთან კი ასეთი რამ არ მოხდება, აქ ბუნებრივ განვითარებას უცხო ძალა ეღობება წინო. ამოსავალი დებულების უსაფუძვლობით აიხსნება ისიც, რომ როგორც კი ჰუმბოლდტი ამ მსჯელობიდან ცოტაოდენ დაუახლოვდება სინამდვილეს, იგი წინააღმდეგობებში ვარდება.

ჯერ ერთი: რაკი ენათა ტიპებს ჰუმბოლდტი აზროვნებისადმი მომსახურების თვალსაზრისით განასხვავებს, მან შინაგანი აუცილებლობით უნდა დაასკვნას, რომ სრულყოფილი ენებით მჭონე ხალხებს ინტელექტუალური შესაძლებლობებიც უპირატესად აქვთ განვითარებული. ჰუმბოლდტი, მართლაც, აკეთებს ასეთ დასკვნას, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ერთგვარად იბოდიშებს კიდეც. მე სრულიადაც არა ვარ მომხრე დავამცირო რომელიმე ხალხის ენა და მისი გონითი შესაძლებლობებიო, აღნიშნავს იგი. ცხადია, ეს ორი შეხედულება არ ეთანხმება ერთმანეთს. ამასთან ავტორი სწორედ პირველ, უაღრესად მცდარ შეხედულებას იცავს მთელი თავისი შრომის განძილზე. იგი ინდოევროპულ ენებში წარმოდგენილ ფლექსიურ ტიპს აყენებს ყველაზე მაღლა და ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა გონითს შესაძლებლობებსაც უპირატესობას ანიჭებს.

ამავე საკითხთან არის დაკავშირებული მეორე წინააღმდეგობა: თუ, ერთის მხრივ, ჰუმბოლდტი მართებულად გვეუბნება, ყოველ ენას აქვს შინაგანი ძალების მოქმედებით დაუსრულებლივ განვითარების უნარიო, მეორე მხრივ, იგი აცხადებს, როგორ განვითარებასაც არ უნდა მიაღწიოს ენამ კულტურისა და განათლების შედეგად, თავდაპირველი წყობის მიერ შექმნილ საზღვრებს იგი ვერასოდეს ვერ გადააბიჯებსო. ამ შემთხვევაშიაც, ავტორი მეორე, მცდარ შეხედულებას იცავს თავის შრომაში, პირველი კი ცალკე გამონათქვამად რჩება.

სრულყოფის თვალსაზრისით ენათა შეფასებისათვის სჭირდება ჰუმბოლდტს ნამდვილი და არანამდვილი, მოჩვენებითი გრამატიკული ფორმის გარჩევა. ეს გარჩევაც ხელოვნურია და უსაფუძვლო. ჰუმბოლდტი გვეუბნება, აზროვნების მოთხოვნილების შესაბამისად ენაში უნდა გაირჩეს საგანი და მიმართებაო. და მერე განა საგანი და მიმართებები ყველა ტიპის ენაში არ არის გარჩეული! იზოლირებული, აგლუტინაციური და ფლექსიური ენები იმით კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ თითქოს მხოლოდ ფლექსიურ ენებში იყოს მიმართებები წმინდა სახით გამოხატული, დანარჩენ ორ ტიპში კი მიმართება შერეული იყოს საგანთან და მაინი გარჩევა გაძნელებული იყოს, როგორც ამას ჰუმბოლდტი ფიქრობს.

სრულიადაც არა. მიმართება ყველა დასახელებული ტიპის ენაშია გამოხატული, ოღონდ სხვადასხვა საშუალებებით.

ამგვარად, არ არსებობს ნამდვილი და მოჩვენებითი გრამატიკული ფორმა. არსებობს მხოლოდ სხვადასხვაგვარი გრამატიკული ფორმა. ჰუმბოლდტის თვალსაზრისის უსაფუძვლობა თვალსაჩინოდ მეღავნდება ფლექსიურ და აგლუტინაციურ ენათა შედარების დროს. ორივე ტიპისათვის დამახასიათებელია აფიქსების დართვა გრამატიკულ კატეგორიათა გამოსახატავად. ამიტომ ერთგან ჰუმბოლდტი თვითონ აღნიშნავს, აგლუტინაცია თვისობრივად არ განსხვავდება ფლექსიისაგანო. მიუხედავად ამისა, იგი აგლუტინაციურ ენებს მოჩვენებითი ფორმის მქონედ თვლის. რატომ?—იმიტომ რომ ამ ენებში სიტყვებს მნიშვნელობის მქონე ბგერები დაერთვისო. ცხადია, ეს არ არის საბუთი. ცნობილია, და ამას არც ჰუმბოლდტი უარყოფს, რომ აფიქსები ყველა ენაში (და მაშასადამე ფლექსიურშიც) ოდინდელი სიტყვებისაგან არის წარმოშობილი. ერთადერთ განსხვავებას აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებს შორის ის ქმნის, რომ უკანასკნელებში აფიქსები ფონეტიკურად ერწყმიან ფუძეებს. და მერე ვინ დაამტკიცა, რომ ასეთ შერწყმას რაიმე უპირატესობა აქვს აზროვნების მომსახურების თვალსაზრისით? ჰუმბოლდტი რომ ამბობს, აგლუტინაციურ ენაში სიტყვის დაშლა ადვილიაო (რის გამოც იგი ასეთ სიტყვას აგრეგატად მიიჩნევს), ეს მართებულია მხოლოდ მკვლევრის, ენის სპეციალისტის თვალსაზრისით. რაც შეეხება მოლაპარაკე ადამიანებს, რომლებიც ენას იყენებენ ურთიერთობისათვის, მათს ცნობიერებაში აგლუტინაციური ენის სიტყვა ისეთსავე ორგანულ მთლიანს წარმოადგენს, როგორც ფლექსიური ენის სიტყვა.

არავითარ დაბრკოლებას არ ქმნის ის, რომ აგლუტინაციურ ენაში აფიქსები ადვილად უკავშირდებიან იმ სიტყვებს, რომლებისაგანაც ისინი მომდინარეობენ. ეს სრულიადაც არ იწვევს საგნობრივი და გრამატიკული მნიშვნელობის აღრევას. როდესაც ქართველი იტყვის კაცმა-ო, იგი სრულიად არ უკავშირებს მა ელემენტს მან ნაცვალსახელს, რომლისაგანაც ის არის წარმოშობილი. ასევე მ-წერ-ს ფორმა სრულიადაც არ იწვევს ასოციაციებს მე და ის ნაცვალსახელებთან, თუმცა მ და ს აფიქსები სწორედ მათგან არის მიღებული. მეორეცაა და, ასეთი შემთხვევები ხომ ფლექსიურ ენებშიაც საკმაოდ მრავალრიცხოვანია (როგორც ცნობილია, სწორედ მათი კვლევით დაიწყო ბოპმა ინდოევროპულ ენათა შედარებითი შესწავლა). და ბოლოს, აშკარადაც რომ იგრძნობოდეს კავში-

რი სიტყვასა და მისგან მიღებულ აფიქსს შორის, რა დაშავდება ამით?!

იმავე უფლებით, რომლითაც ჰუმბოლდტი ფლექსიურ ენათა სრულყოფილობაზე ლაპარაკობს, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ აგლუტინაციური ენები დგანან ყველაზე მაღლა, რადგან მათში გრამატიკულ ურთიერთობათა გამომხატველი აფიქსები არ არიან შერწყმული და (ჰუმბოლდტის თვალსაზრისს რომ მივყვეთ), შერეული საგნობრივი მნიშვნელობის მქონე ძირეულ ელემენტებთან. თუ ჰუმბოლდტი მაინცადამაინც ფლექსიური ენების უპირატესობას იცავს, ეს არა იმიტომ, რომ ამ ტიპს მართლაც ახასიათებს რაიმე უპირატესობა სხვებთან შედარებით, არამედ იმიტომ, რომ ფლექსიურია ინდოევროპული ენები. რომ ეს არის მისთვის გადამწყვეტი და არა ობიექტური ვითარება, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ სემიტურ ენებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც ფლექსიური არიან, ჰუმბოლდტი არ თვლის სრულყოფილად.

მეორე მხრივ, რაკი ფლექსიური ტიპი მიიჩნია სრულყოფის ეწვერვალად, ჰუმბოლდტი იძულებული ხდება ახალ ინდოევროპულ ენებში (რომანულ ენებში, ინგლისურში) ფლექსიის დაკარგვა დაცემად გამოაცხადოს, მაგრამ იგი აქაც არ ღალატობს თავის წინასწარ მიღებულ შეხედულებას ინდოევროპულ ენათა უპირატესობის შესახებ და გვარწმუნებს, ფლექსიით გაღარიბებული ინდოევროპული ენები მაინც ყველა სხვა ენებზე მაღლა დგანანო. ჰუმბოლდტის სუბიექტივიზმი კულმინაციურ წერტილს მაშინ აღწევს, როდესაც იგი ცდილობს არსებითი განსხვავება დაინახოს რომანულ ენებსა და ისეთ არაფლექსიურ ენებს შორის, რომლებიც ავრეთვე წინდებულებს იყენებენ ბრუნვის ნიშანთა ნაცვლად, ხოლო ზმნის პირის აფიქსების მაგივრად ნაცვალსახელებს ხმარობენ. განსხვავება მათ შორის საწყის სასიცოცხლო პრინციპშიაო, წერს ჰუმბოლდტი. უფრო სწორი იქნებოდა თუ პირდაპირ ვიტყოდით, გადამწყვეტია ის, რომ რომანული ენები, თუმცა დაკარგულნენ ფლექსიურობას, მაგრამ მაინც ინდოევროპული ენები არიან. ჰუმბოლდტისათვის კი სწორედ ინდოევროპული ენები წარმოადგენენ ადამიანური მეტყველების უმაღლეს საფეხურს.

ყველაზე სუსტ ადგილს ჰუმბოლდტთან წარმოადგენს ჩინურის საკითხი. თავისი თვალსაზრისის შესაბამისად მან ჩინური, როგორც იზოლირებული ენა, ყველაზე დაბლა მდგომად უნდა მიიჩნიოს. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ჩინელი ხალხის მაღალი, მრავალსაუკუნოვანი კულტურა. თუ ენობრივ ტიპს შეუძლია ხელი შეუ-

წყოს ან შეუშალოს ხალხის გონებრივ განვითარებას, მაშინ ჩინური ენა არ შეიძლება არასრულყოფილ ენათა ჯგუფში მოექცეს, რადგანაც მას ხმარობს მაღალ ინტელექტუალურ დონეზე მდგომი ხალხი. ამიტომაა, რომ თუმცა ჰუმბოლდტი იზოლირებულ ტიპს ყველაზე დაბლა მდგომად მიიჩნევს, მაგრამ ამ ტიპის წარმომადგენელს,—ჩინურს, იგი არ თვლის ყველაზე ნაკლებ სრულყოფილ ენად. იგი იქამდეც კი მიდის, რომ ჩინურს აგლუტინაციურ ენებზე მაღლა აყენებს, რადგან მასში გარეგანი გრამატიკის უქონლობის კომო გამახვილებულია ყურადღება მეტყველების ფორმალური კავშირის გაგებაზეო. ამის საპირისპიროდ, თურმე აგლუტინაციურ ენებს ახასიათებს გრამატიკულ ურთიერთობათა გამოხატვის უნაყოფო, ბოლომდის განუხორციელებელი ცდა, რაც ადუნებს გონებას და იწვევს მატერიალური და გრამატიკული შინაარსის აღრევას.

აშკარაა, რომ ასეთი მსჯელობით ჰუმბოლდტი ძალას უკარგავს თავისსავე მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს იზოლირებული ტიპი სიძნელეებს უქმნიდეს აზროვნების განვითარებას. ასევე, თვითონ ჰუმბოლდტის თვალსაზრისს ეწინააღმდეგება აგლუტინაციური ტიპის დაყენება იზოლირებულ ჩინურზე დაბლა.

მართალია, ჰუმბოლდტმა ენები დააჯგუფა სრულყოფის მიხედვით, მაგრამ არამართებული იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ენათა ტიპები მასთან განვითარების საფეხურებს ქმნიან და ერთმანეთს მოსდევენ ისტორიულად. ჰუმბოლდტის მორფოლოგიური კლასიფიკაციისათვის განვითარების თვალსაზრისი უცხოა. თუმცა აქაც გვხვდება ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებები. როდესაც გრამატიკული ფორმების წარმოშობაზე ლაპარაკობს, ჰუმბოლდტი აღნიშნავს, რომ გრამატიკის თანდათანობითი წარმოქმნის თვალსაზრისით ენათა სხვადასხვაობანი მათი წინსვლის საფეხურებს წარმოგვიდგენენ[1] და იგი აღწერს კიდევაც ამ წინსვლას: თავდაპირველად მიმართებები ენაში არ იყო ბგერითად გამოხატული, მხოლოდ ადგილმდებარეობა გადმოგვცემდა მიმართებებს, შემდეგ დამოუკიდებელმა სიტყვებმა ფორმალური მნიშვნელობა მიიღეს და სხვა სიტყვებს შეუერთდნენ, აფიქსებად იქცნენ, ოღონდ ჯერ აფიქსები მექანიკურად ერთვოდნენ სიტყვებს, მათი შერწყმა კი ცოტა მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიულად ყველაზე ადრინ-

[1] Über die gram. Form, გვ. 69.

დელია იზოლირებული ტიპი, მას მოსდევს აგლუტინაციური და ბოლოს ჩამოყალიბდა ფლექსიური. ერთ ადგილას ჰუმბოლდტი პირდაპირ ამბობს, ყველა ენა თავდაპირველი შეერთებისაგან (ე. ი. აგლუტინაციისაგან) წარმოიშვაო[1]. უფრო მეტიც, იგი წერს: მე არა მაქვს განზრახვა წამოვაყენო დებულება, რომელიც მიჰყვეს გარკვეულ ხალხებს წარმოშობიდანვე მხოლოდ ფლექსიითა და შინაგანი ცვალებადობით განვითარებულ ენობრივ წარმოებას, სხვებს კი ყოველგვარ ამნაირ წარმოებაზე უარს ეტყვისო[2], მაგრამ იმავე შრომაში ამის საპირისპირო აზრიც არის გამოთქმული. კერძოდ, არ უარყოფს რა იმას, რომ ინდოევროპულ ენებში აფიქსები ხშირად დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობენ, ავტორი აღნიშნავს: თავდაპირველი მიმოხრა (ე. ი. ფლექსია) იშვიათი მოვლენაა, მაგრამ იგი უნდა არსებულიყო, თუმცა ამჟამად მისი გარჩევა აგლუტინაციისაგან ვერ ხერხდებაო[3]. მისი აზრით, არ შეიძლება დავსახოთ ენის განვითარების ზოგადი ტიპი და მის მიხედვით განვსაჯოთ ყველა ცალკეული მოვლენა ენებში. ის, რაც ამერიკისა და აზიის ველური ურდოების ენებს ახასიათებს, არ არის აუცილებელი ამის გამო ინდოეთისა და საბერძნეთის უძველეს ტომებსაც ჰქონოდათ. ენა არ ვითარდება ბუნებისაგან წინასწარ განსაზღვრული (vorgeschrieben) გზით. ენათა საფეხურებრივი განვითარების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ იმ გაგებით, თუ განვითარების როგორ დასრულებამდე (Vollendung) მიიყვანა ადამიანმა ენაო, ასკვნის ჰუმბოლდტი[4]. სხვა ადგილას იგი გაბაზავს, რომ სხვადასხვაგვარი გრამატიკული ტიპები ერთმანეთისაგან მოწყვეტილად ჩამოყალიბდა თავდაპირველად. ამასთან ამ თავდაპირველმა ფორმამ განსაზღვრა ენათა მთელი შემდგომი ბედი, რადგანაც, თუმცა ენები ვითარდებოდნენ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ გადაელახათ ამ პირველადი ფორმის მიერ შექმნილი ჩარჩოები. ცხადია, აქ ნამდვილი განვითარების შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია.

ამ კონტექსტში ისიც აღსანიშნავია, რომ ფორმის მიხედვით ენათა სრულყოფას ჰუმბოლდტი არ უკავშირებს კულტურისა და განათლების წინსვლას. ენა ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების განვითარებასა და წინსვლასთან ერთად კი არ აღწევს სრულყოფას,

---

[1] Über die gram. Form, გვ. 88.
[2] იქვე, გვ. 79.
[3] იქვე, გვ. 83.
[4] იქვე, გვ. 69—70.

არამედ სრულყოფა ან არასრულყოფა იმთავითვე იყო მოცემული ენებში. თვით აზროვნებაც, რომელსაც ენის სხვადასხვაგვარი ფორმა სხვადასხვაგვარად ემსახურება, ჰუმბოლდტთან გაყინულია ერთ წერტილზე, იგი არ ვითარდება. ამდენად, ვერც ენის განვითარება იქნება მის წინსვლასთან დაკავშირებული.

რაკი ენის განვითარებას ჰუმბოლდტი არ უკავშირებს კულტურისა და აზროვნების წინსვლას, საერთოდ საზოგადოების ისტორიას, ამიტომ არის, რომ რომანული და ინგლისური ენები მასთან განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომად გამოდიან (რადგანაც ფლექსიას კარგავენ), ვიდრე ძველი ინდური და ბერძნული. ამ მცდარი პრინციპიდან გამომდინარეობს ისიც, რომ თუ ჰუმბოლდტი ზოგჯერ იძულებულია აღიაროს ენის განვითარების ფაქტები, იგი ამას ენის შინაგანი განვითარების კანონებით კი არ ხსნის, არამედ გარეგან ძალებს, სხვა ენების გავლენას მიაწერს. იგი პირდაპირ ასე აცხადებს: შესაძლებელია ნამდვილ გრამატიკულ ფორმას მოკლებულ ენას აღნიშნული ჰქონდეს გრამატიკული მიმართებები, მაგრამ ეს უცხო ძალის, უფრო სრულყოფილი ენის გავლენით იქნებაო[1]. კხადია, ასეთი შეხედულება უმართებულოა.

თავი მესამე

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ავგ. შლაიხერთან

§29. ავგ. შლაიხერის საენათმეცნიერო კონცეფციაში[2] ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომაა, რომ მის შესახებ ავტორი მსჯელობს ყველა თავის ნაშრომში, სადაც კი იგი ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებს ეხება. ეს ნაშრომებია: „ენათა შედარებითი ისტორიისათვის"[3], „ევროპის

[1] Über die gram. Form, გვ. 72.

[2] შლაიხერის კონცეფციის მთლიანი ანალიზი იხ. არნ. ჩიქობავას შრომაში „ზოგადი ენათმეცნიერება. II. ძირითადი პრობლემები", 1945. შლაიხერის თეორიის მოკლე დალაგებას იძლევა B. Trnka სტატიაში Zur Erinnerung an August Schleicher. Zeitschrift für Phonetik und allgemeine Sprachwissenschaft, Berlin, 1952, 6. Jahrgang, 1/2, გვ. 134—142.

[3] Zur vergleichenden Sprachengeschichte, Bonn, 1848.

ენათა სისტემატური მიმოხილვა“[1] (ეს ორი შრომა ერთად არის გამოსული საერთო სათაურით: „ენათა შედარებითი ძიებანი“[2]), „გერმანული ენა“[3], „დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“[4], „ენის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ბუნებრივი ისტორიისათვის“[5].

ძირითად დებულებებს ავტორი ყველა ნაშრომში იმეორებს, მაგრამ ზოგში ერთი საკითხია უფრო ვრცლად განხილული, სხვებში—სხვა. ამდენად ისინი ავსებენ ერთმანეთს. ჩვენი პრობლემისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი სამი ნაშრომია.

ავგ. შლაიხერის შეხედულებათა დალაგება ასეთ სურათს მოგვცემს: ავტორის აზრით, გონი თავისი ნამდვილი არსებობისათვის სხეულს საჭიროებს. ამიტომაა, რომ აზროვნების ფორმით გამოვლენილი სულიერი ცხოვრება თავისი გამოხატვისათვის იყენებს ბგერით ენებს[6]. ენა აზროვნების ბგერითი გამოხატულება, ხმამაღალი აზროვნებაა არის. ენამ ბგერებით ხორცი უნდა შეასხას აზროვნების პროცესს[7]. ბგერითი გამოსახულება შეიძლება მეტი ან ნაკლები სიზუსტით ასახავდეს აზროვნების პროცესს.

აზროვნებაში ორი ელემენტი გამოიყოფა: ცნებები და წარმოდგენები, ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ, მიმართებები, რომლებშიაც ცნებები და წარმოდგენები ურთიერთ შორის იმყოფებიან. პირველნი (ცნებები და წარმოდგენები) აზროვნების მასალას ქმნიან, მიმართება კი მის ფორმალურ მხარეს იძლევა. ორივე ელემენტი განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ისევე როგორც ფორმა და შინაარსი საერთოდ.

აზროვნების ელემენტთა შესაბამისად ენაშიც ორი რიგის ელემენტები გვხვდება: მნიშვნელობის ბგერები ანუ ძირები და მიმარ-

---

[1] Die Sprachen Europas in systematischer Uebersicht, Bonn, 1850.

[2] Sprachvergleichende Untersuchungen.

[3] Die deutsche Sprache, Stuttgart, II გამოცემა, 1869.

[4] Die Darwinische Theorie und die Sprachwissenschaft, 1863. ქართულად თარგმნა პ. ჭარაიამ 1889 წ.

[5] Ueber die Bedeutung der Sprache für die Naturgeschichte des Menschen, 1865. რუსულად თარგმნა თვით ავტორმა—О значении языка для естественной истории человека, ჟურნ. „Филологические записки“, Воронеж, 1868.

[6] Spr. Eur., გვ. 16.

[7] Deutsche Spr., გვ. 6.

თების ბგერები. მნიშვნელობის ბგერები ცნებებს და წარმოდგენებს გამოხატავენ, მიმართების ბგერები კი—მათ შორის მიმართებებს. ამ ორი ელემენტის ურთიერთობის მიხედვით ენები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცნებები და წარმოდგენები ყველა ენამ უნდა გამოხატოს ბგერებით. ამგვარად, მნიშვნელობის ბგერები ყველა ენას ექნება. მიმართების გადმოცემა კი სხვადასხვაგვარად ხერხდება. იგი, შესაძლებელია, ბგერებით არც გვქონდეს გამოხატული.

გამოხატული არის თუ არა მიმართება ენაში ან რა ადგილი უჭირავს მას ძირის მიმართ, ეს ქმნის ფორმას ენაში. მასზე დამოკიდებულია სიტყვაწარმოება (უფართოესი მნიშვნელობით, ე. ი. სიტყვის ყოველგვარი ცვლილება), ამ უკანასკნელზე კი—წინადადების წყობა, რადგან სულ სხვაგვარია წინადადების წყობა ბრუნება უღვლილების მქონე და მათ არამქონე ენებში. რადგანაც ფორმის მიხედვით ენებს შორის მსგავსებათა და განსხვავებათა დაშერა ადვილია, და ამასთანავე ფორმაში მშვენივრად ვლინდება ენის არსი, ამიტომ შეიძლება ამ თვალსაზრისით მოვახდინოთ ენათა, ცხადია, მხოლოდ ცალმხრივი, მეცნიერული დაჯგუფებაო,—გვეუბნება ავტორი[1].

ენები სამ კლასად ჯგუფდება: პირველ კლასში შედის იზოლირებული ენები, რომლებშიაც მიმართება ბგერებით კი არ არის აღნიშნული, არამედ სიტყვათა ადგილმდებარეობით გადმოიცემა. ასეთი ენები მხოლოდ უცვლელი ელემენტებისაგან,—ძირებისაგან, შედგება. მათში არ არსებობს ბრუნება, დროები, კილოები... მათ არც მეტყველების ნაწილები აქვთ. ძირი შეიძლება ყველა მეტყველების ნაწილად მოგვევლინოს. ასე მაგ., ჩინურში ta შეიძლება იყოს: დიდი (ზედსართ.), სიდიდე (არს. სახ.), ადიდებს (ზმნა), დიდად (ზმნისართი).

იზოლირებული ეწოდება ამ ენებს, რადგან მათი ელემენტები ერთმანეთისაგან განკერძოებული, ერთმანეთთან შეურწყმელი არიან. თითქმის ყველგან იზოლირებულ ენათა ძირები ერთმარცვლიანია. ამიტომ მათ ერთმარცვლოვანსაც უწოდებენ. ერთმარცვლოვნობას იწვევს ცნებისა და წარმოდგენის ერთიანობა, რაც ბგერითს ერთიანობას (მარცვალს) წარმოშობს. ერთმარცვლოვანი ენების დაუნაწევრებელი სიტყვები მარტივ კრისტალებს ემსგავსება, რადგან ეს უკანასკნელებიც მკაცრ ერთიანობად გვევლინება მცენარეთა და

[1] Deutsche Spr., გვ. 11.

ცხოველთა უფრო მაღალ და დანაწევრებულ ორგანიზმებთან შედარებით.

ჩინურს გარდა ერთმარცვლოვანია ინდოჩინეთის ენები. ნებისმიერი ძირი რომ R-ით (radix „ძირი“) აღვნიშნოთ, იზოლირებულ ენებში რამდენიმე სიტყვა ასე წარმოგვიდგება: R+R′+R″...[1].

მაგრამ ასეთ ენებშიაც სიტყვები ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი არ არიან. ჩინურშიც სიტყვა შეიძლება ერთი ან მეტი სიტყვით იყოს განსაზღვრული. ასეთ განმსაზღვრელ ძირებს ავტორი r-ით აღნიშნავს. მაგ., სიტყვა i „გამოიყენება, მიზეზი“ იხმარება ინსტრუმენტალისის აღწერისათვის: i lɨ „გამოყენება ძალა“ → „ძალით“. მისი ფორმულაა r+R. ასევე yɨ „ბავშვი“ კნინობითობას აღწერს: schɨ yɨ „ქვა ბავშვი“ → „პატარა ქვა“.

ჩინურში განმსაზღვრელი სიტყვა (r) განსაზღვრულს (R) შეიძლება წინაც უძღოდეს (rR), მოსდევდეს კიდევაც (Rr) და ბოლოს ერთდროულად ერთ სიტყვას ერთი მიმართების აღმწერი სიტყვა წინ უძღოდეს, მეორე—მოსდევდეს (r+R+r). სხვა ენებში ასე არ არის. კასიაში (ჩრდ. ინდოჩინეთის ენაა) ყველა განმსაზღვრელი ძირი წინ უძღვის მნიშვნელობის მქონე ძირს. ასე: r+R ან r+r′+R ან r++r′+r″+R და ა. შ...

ნამაკვაში (ჰოტენტოტური ენაა) კი პირუკუა: R+r... მიმართების გამომხატველ ელემენტთა განლაგება ძირითად განსხვავებას ქმნის ენებს შორის.

მეორე კლასს აგლუტინაციური (zusammenfügende) ენები შეადგენს. მათში მიმართება ბგერებით არის გამოხატული. მიმართების ბგერები ერთვის უცვლელ ძირებს. მიმართების ბგერები დამოუკიდებელი ძირებისაგან არიან მიღებული, სხვადასხვა ძირებთან მათი შეზრდის გზით. ამ შეზრდისას ისინი, როგორც წესი, პირველადს ბგერით სისრულეს კარგავენ, მახინჯდებიან. ამიტომ ძნელი გამოსაცნობი ხდება მათი თავდაპირველი ფორმა და მნიშვნელობა. აშგვარად, აგლუტინაციური ენის სიტყვა ნაწილებისაგან შედგება, მაგრამ ეს ნაწილები არ ქმნიან მთლიანს, საქმე გვაქვს რამდენიმე სიტყვა-ინდივიდის (მნიშვნელობის ბგერათა) დაკავშირებასთან. სიტყვა ელემენტთა კონგლომერატია და არა ორგანიზმი, რომელიც რომელიმე წევრის ჩამოშორებით მთლიანობას კარგავს.

---

[1] ფორმულებით ენათა კლასები ავგ. შლაიხერს დახასიათებული აქვს Die deutsche Sprache-ში.

აგლუტინაციური ენები მცენარეებს შეესაბამება.

მეორე კლასი გარდამავალია პირველსა და მესამე კლასებს შორის.

აგლუტინაციური ენები დიდი რაოდენობითაა გავრცელებული. ასეთია, მაგ., ურალურ-ალთაური, დრავიდული, კავკასიური, მალაური ენები. შესაძლებელია მათი დაყოფა ქვეჯგუფებად.

თუ კვლავ ფორმულებს მივმართავთ და ძირთან მჭიდროდ დაკავშირებულ მიმართების ელემენტებს აღვნიშნავთ p-თი (Präfix), s-ით (Suffix) და i-თი (Infix), შემდეგ შესაძლებელ ვარიანტებს მივიღებთ: 1. pR, 2. Rs, 3. R, 4. pRs, 5. pR, 6. Rs, 7. pRs.

მიმართების ბგერების ჩართვა ძირში (R) არ არის ხშირი. ნიმუშად ავტორი ლაზურს ასახელებს.

აგლუტინაციურ ენათა ქვეკლასს წარმოადგენს კომბინირებული ენები, რომლებიც პირველი და მეორე კლასის პრინციპებს მიმართავენ ერთდროულად, ე. ი. იყენებენ, როგორც დამხმარე ძირებს, ისე—აფიქსებს. ათასგვარი შესაძლებელი კომბინაციაა: r+pR, r++Rs და ა. შ. pR+r და ა. შ. r+pR+r′ და ა. შ. pr+R, pr+Rs და ა. შ. pR+r+r′ და ა. შ. r+Rs+r′ და ა შ...

კომბინირებული ფორმები არც ისე იშვიათია. ისინი გვხვდება: კოპტურში, ბასკურში, ტიბეტურში, სამხრეთ აფრიკის ენებში.

ავგ. შლაიხერი არ ეთანხმება ვილჰ. ჰუმბოლდტს შთასხეულებით ენათა ცალკე ჯგუფად გამოყოფაში[1]. მისი აზრით, ეს ენები მეოთხე კლასს კი არ ქმნიან, არამედ აგლუტინაციურ ენათა ქვესახეობას განეკუთვნებიან. რადგანაც აგლუტინაციურ ენაში სიტყვა მთლიან ორგანიზმს კი არ წარმოადგენს, არამედ კონგლომერატს, ამიტომ მის გავრცელებას არა აქვს საზღვარი, იგი შეიძლება უზარმაზარი გახდეს. ზმნას იმდენი რამის დატევა შეუძლია (მაგ., ახლობელი და შორეული ობიექტის, იმისი, ვისაც ელაპარაკებიან), რომ იგი წინადადებას სიტყვად აქცევს. პრინციპული განსხვავება აგლუტინაციური ენებისაგან აქ არა გვაქვს. ზმნაში წინადადების წევრთა შთასხეულების პრინციპი ამერიკის ინდიელთა ენებში და ბასკურშია გატარებული.

ზოგ აგლუტინაციურ ენაში მიმართების ბგერები ცალკე იწერება, ზოგში კი ისინი იმდენად არიან შერწყმული ძირთან, რომ

[1] Vergl. Spr., გვ. 9.

ფლექსიურ ენას მოგვაგონებენ. ამგვარად, ისევე, როგორც იზოლირებულსა და აგლუტინაციურს შორის იყო, აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებს შორის გარდამავალი საფეხურებიც არსებობს.

ფლექსიური ენები მესამე კლასს განეკუთვნება. ამ ენებშიაც მიმართება ბგერებითაა გამოხატული, მაგრამ მიმართება და მნიშვნელობა შერწყმულია, რადგანაც მიმართების გამოხატვის მიზნით კანონზომიერად იცვლება თვით ძირი (ფლექსია). სიტყვის მთლიანობის საჭიროების გამო ფლექსიურ ენებში არ ხერხდება იმდაგვარი მიმართების აღნიშვნა, რამდენის უნარიც აგლუტინაციურ ენებს აქვს. ამიტომვე სიტყვის დაშლა შემადგენელ ელემენტებად მათში ბევრად უფრო რთულია.

ამგვარად, ფლექსიურ ენებში გვაქვს დაბრუნება მნიშვნელობისა და მიმართების ბგერითი ერთიანობისაკენ, სიტყვა ნაწილებისაგან შედგენილ მთლიანობას წარმოადგენს. ფლექსიური ენები ცხოველთა ორგანიზმებს შეესაბამებიან.

მეორე და მესამე კლასები, შლაიხერის აზრით, უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული პირველთან.

ფლექსიურ ენებს ეკუთვნის მხოლოდ ორი ოჯახი, ოჯახები მსოფლიო ისტორიის მქონე ერთა ენებისა: ინდოგერმანული და სემიტური. ფლექსიური ენები შემდეგი ფორმულებით გამოისახება: R^{a} (R', R'_{1} და ა. შ.), აგრეთვე pR^{a}, $R^{a}s$, R^{a}_{s}, $pR^{a}s$, $R^{a}_{s}s$ და ა. შ.

თუმცა ინდოგერმანული და სემიტური ოჯახები ერთ მორფოლოგიურ ჯგუფს ეკუთვნიან, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მორფოლოგიური ფორმითო, გვეუბნება ავტორი.

§80. ასე წარმოუდგება ავგ. შლაიხერს ენათა სისტემა. სამივე კლასის ენები ერთმანეთის გვერდით, ერთდროულად გვხვდება მაგრამ ამ ტიპთა სისტემატური ანალიზით შლაიხერი არ კმაყოფილდება. საჭიროა გაირკვეს მათი ისტორიული ურთიერთობა. ამოსავლად მიღებულია პრინციპი, რომ ის, რაც სისტემატური განხილვის დროს ერთმანეთის გვერდით გვხვდება, ისტორიულად ერთმანეთის შემდეგ არის განვითარებული. მაგალითად, ორგანული ცხოვრების ელემენტებში მცენარე მინერალის განვითარებასა და გაგრძელებას წარმოადგენს, ცხოველი კი—მცენარისას.

მაშ, ენების მიმართაც უნდა გაირკვეს, რომელი კლასი რომლის განვითარებაა, რომელი რომელზე მაღლა დგას. ამის მიხედვით დავასკვნით მათი ისტორიული თანმიმდევრობის შესახებო.

განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურად ავტორი იზოლირებულ ენებს მიიჩნევს. მათ მოსდევს აგლუტინაციური, ყველაზე მაღლა დგას ფლექსიური ენები. განვითარება მარტივიდან რთულისაკენ უნდა მომხდარიყო. ბუნებრივი ჩანს, რომ ერთმარცვლოვნობიდან მიმართებისა და მნიშვნელობის ბგერითი გამოხატვა განვითარებულიყოო, გვეუბნება ის[1].

უმაღლესი ორგანული ენების აგებულება გვიჩვენებს, რომ მათ ადრინდელი საფეხურები გაუვლიათ, ისინი მათ შეიცავენ, როგორც მოხსნილებს (aufgehoben) და ამაღლებულებს. აგლუტინაციური ენები მნიშვნელობის ბგერებს იყენებენ მიმართებისათვის, მაშასადამე, ისინი ერთმარცვლოვანი ენებისაგან წარმოშობილან. თვით ფლექსიურ ენებში ძირები ერთმარცვლოვანია, ყველა მოჩვენებითი ორმარცვლოვანი ძირი მეორეულია. ამასთანავე ფლექსიურ ენებს ახასიათებს სიტყვის მთლიანობა, რაც იზოლირებულ ენებში იყო, მაგრამ მათში ეს სიტყვები ნაწილებისაგან შედგება, რაც განვლილ აგლუტინაციურ საფეხურზე მიუთითებს. ეს ნიშნები წინა კლასებისა. ფლექსიურ ენებში ამაღლებული სახით არის მოცემული. თუ იზოლირებულ ენებს ახასიათებდა გაუდიფერენცირებელი იდენტობა მიმართებისა და მნიშვნელობისა, აგლუტინაციურს—დიფერენციაცია მიმართებისა და მნიშვნელობის ბგერებს შორის, მიმართების ცალკე, თავისთავადი ბგერითი სახით გამოვლენა, ფლექსიურ ენებში გვაქვს დიფერენციაციის მოხსნა, დაბრუნება ერთიანობისაკენ, მაგრამ დაუსრულებლად უფრო მაღალი ერთიანობისაკენ, რადგან იგი დიფერენციაციისაგან წარმოიშვა, მას ვარაუდობს და მას შეიცავს მოხსნილი სახით. პირველად აქ ვითარდება სიტყვის ორგანიზმში. საკუთრივი, ნამდვილი დანაწილება. სიტყვა არის ერთიანობა წევრთა მრავალფეროვნებაში[2].

ენათა კლასების ზემომოყვანილი თანმიმდევრობა ძალაში რჩება, თუ მას განვიხილავთ აზროვნების პროცესის ასახვის თვალსაზრისით: აზროვნების პროცესში ცნებები და წარმოდგენები მიმართებასთან განუყრელი არიან, ისევე, როგორც საერთოდ ფორმა და შინაარსი. იზოლირებული ენები მიმართებას ბგერებით სრულიად არ გამოხატავენ. ამდენად ისინი ვერ გვაძლევენ აზროვნების პროცესის სრულ ასახვას. აგლუტინაციურში მიმართება გამოხატულია,

---

[1] Vergl. Spr., გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 10—11.

მაგრამ იგი გამოყოფილია მნიშვნელობისაგან, სიტყვა ერთიანობას არ წარმოადგენს, ის კონგლომერატია. მაშ, არც აქ გვაქვს აზროვნების შესატყვისი სურათი. მხოლოდ ფლექსიურ ენებში მიმართების სიმბოლური გამოხატვით, ძირისა (მნიშვნელობა) და მიმართების (ფორმა) შინაგანი შერწყმით გადაჭრილია ენის ამოცანა, მოგვცეს ადეკვატური სურათი აზროვნებისა.

ამგვარად, ყველაზე ადრე უნდა წარმოშობილიყო იზოლირებული ენები, შემდეგ აგლუტინაციური და სულ ბოლოს—ფლექსიური. ეს ტიპები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნება სხვადასხვა ენაში. შლაიხერი არ ვარაუდობს, რომ ყველა ენა ერთისაგან წარმოიშვა. პირიქით, ენის ჩასახვის მომენტშივე მრავალენიანობა უნდა გვქონოდა. მაგრამ ენათა განვითარება მას ერთ მთლიან პროცესად მიაჩნია. ენებს არსებითად ერთგვარი ისტორია აქვთ, რადგან ენა ადამიანის გონითს არსს ეკუთვნის. ადამიანის არსი კი, მიუხედავად სხვადასხვაობისა, ძირითადად ყველგან ერთნაირია. ეს ერთგვაროვნება ენაში და მის ისტორიაშიც ვლინდება[1].

ამასთანავე შლაიხერი დიდ როლს ანიჭებს ენათა გეოგრაფიულ განლაგებას. გეოგრაფიულად მეზობელი ენები ერთ ტიპს ეკუთვნიან, ისინი ერთმანეთის მეზობლად უნდა გაჩენილიყვნენ[2]. მაგრამ ასეთი განლაგება შემდეგ ზოგ ენათა დაკარგვისა და ხალხების გადასახლებათა შედეგად ხშირად ირღვეოდა. მაგალითად, შთასხეულებითი ბასკური ამჟამად უთვისტომოდაა ფლექსიურ ინდოგერმანულ ენებს შორის.

თუმცა თავდაპირველად ყველა ენა იზოლირებული უნდა ყოფილიყო, მაინც ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ბგერებით, არამედ განვითარების სხვადასხვაგვარი უნარითაც. ერთნი განვითარების უფრო მაღალი პოტენციის მქონე იყვნენ, ვიდრე სხვები. ამიტომაა, რომ ყველა ენას არ მიუღწევია უმაღლესი დონისათვის, ზოგი გაქვავდა რომელიმე წინა საფეხურზე (იზოლირებულზე ან აგლუტინაციურზე).

შლაიხერის აზრით, ენათა უმაღლესი ტიპი ინდოგერმანელებს აქვთ. სწორედ ფლექსიურ ენებზე მოლაპარაკე ადამიანებმა შექმნეს თანამედროვე კულტურა. ყველაფერი, რაც ადამიანის სულიერი

---

[1] Vergl. Spr., გვ. 3, 4.

[2] დარვ. თეორ., გვ. 28, შდრ. О звук. яз., გვ. 13.

სამყაროს რომელიმე სფეროში მნიშვნელოვანი მოგვეპოვება, შექმნილია ან ინდოგერმანელების ან სემიტების მიერ[1].

§ 21. ენათა მორფოლოგიური ტიპები შლაიხერმა აღმავალ საფეხურებად დაგვისახა, მაგრამ, მისივე თქმით, თუ ჩვენს განკარგულებაში მყოფ ენებს დავუკვირდებით, ვერსად ვერ შევამჩნევთ განვითარებას, წინსვლას აღნიშნული საფეხურების მიხედვით. ახალი ჩინური ისევე ერთმარცვლოვანია, როგორც ძველი იყო. არც ძველი ლათინური გამხდარა უფრო სრულყოფილი დროთა განმავლობაში. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ენას, რომელიც ისტორიულ ხანაში განვითარებულიყო. პირუკუ, ისტორიულ ხანაში ენათა უკანსვლა, დაცემა შეინიშნება. რაც უფრო შორეულ ეპოქას ავიღებთ, მით უფრო მდიდარია ენა ფორმებით. შდრ. მაგ., ლათინური და იტალიური ფლექსია.

თუ ისტორიულ ხანაში ენათა განვითარებას არა აქვს ადგილი, გამოდის, რომ იგი პრეისტორიულ ხანაში უნდა მომხდარიყო. შლაიხერიც ასე ვარაუდობს და ამგვარად იგი ენის ისტორიას ორ პერიოდად ყოფს:

1. ენის განვითარების ისტორია—პრეისტორიული პერიოდი.
2. ენის დაქვეითების ისტორია—ისტორიული პერიოდი.

გამოდის, რომ ენათა ისტორია სხვა ისტორიათა საპირისპირო სურათს გვიჩვენებს. მაშინ, როდესაც ისტორია საერთოდ განვითარებას, სულ ახალ მომენტთა გაშლას აღნიშნავს, აქ გვაქვს მხოლოდ დაქვეითება უძველესი სრულყოფილობიდანო, წერს შლაიხერი[2].

რაც უფრო მდიდარია ისტორია, მით უფრო მკვეთრია ენათა დაცემა. რაც უფრო დიდ ხანს ცხოვრობენ ხალხები, რაც უფრო ცხოვლად ვითარდებიან ისინი ისტორიულად, მით უფრო შორდებიან პრეისტორიულ მდგომარეობას, ე. ი. მით უფრო შორდება გონი ენას, თვით ბგერებს, რომლებშიაც ის ერთ დროს ცხოვრობდა. მით უფრო ენა, ერთ დროს გონის ცხოვრების თვითმიზანი, მის საშუალებად, აზრის გაცვლის საშუალებად იქცევა[3]. დიდი ისტორიული წარსულის მქონე ხალხები კარგავენ თავიანთ სრულყოფილობას. მაგ., გერმანულ ენებში ინგლისურს ყველაზე უფრო მეტად აქვს დაკარგული ფორმა და ბგერა. ღარიბი ისტორიის მქონე ხალხები კი ძირითად თავისებურებებს დიდხანს ინახავენ. მაგ., ლიტველები.

---

[1] Vergl. Spr., გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 14.

[3] Deutsche Spr., გვ. 64.

ძველ საფეხურებზე მდგომი სლავური ენები გვიჩვენებენ, რომ მათი ისტორია ჯერ კიდევ არ ეკუთვნის წარსულს. ისტორიულ მოძრაობათაგან მოწყვეტილ ისლანდიაში ბევრად უფრო ძველი ფორმებია შემონახული, ვიდრე ნორვეგიულში, შვედურსა და დანიურში. ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის არაბული ბევრად უფრო მდიდარი იყო ფორმითა და ბგერით, ვიდრე ებრაული ახალ წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში.

ისტორიაში დიდ ეპოქებს ენის დაქვეითება მოსდევს. ამიტომ შლაიხერი ენათა დაცემაში დიდ როლს ანიჭებს ხალხთა გადასახლებებს, რომლებმაც, მისი აზრით, განსაზღვრა მკვეთრი დაცემა რომანული და გერმანული ენებისა.

ენათა დაცემა ლიტერატურის გაჩენასთან ერთად იწყება, რადგან მხოლოდ მაღალი კულტურისა და მდიდარი ისტორიის მქონე ხალხები ქმნიან ლიტერატურას. ენის განვითარება და ისტორია კი, როგორც ვნახეთ, შლაიხერის მიხედვით, ერთმანეთთან უკუპროპორციულ მიმართებაში იმყოფებიან.

რაც შეეხება ენათა მორფოლოგიური ტიპების მიმართებას ენათა ნათესაობასთან, შლაიხერი აღნიშნავს, რომ ერთ ოჯახში შემავალი ყველა ენა ემთხვევა ერთმანეთს მორფოლოგიური ფორმითაც და ასკვნის, რომ ამიტომ ფუძე-ენის დიფერენციაცია ენობრივი ფორმის განვითარების დასრულების შემდეგ მოხდარაო[1].

ენათა დაცემა, ისევე როგორც განვითარება, კანონზომიერია. ამასთანავე ეს დაცემა ერთგვარია სხვადასხვა ენებთან[2]. ეს არ არის გასაოცარი, რადგან იგი აიხსნება ადამიანის სამეტყველო ორგანოთა ერთნაირი ფიზიოლოგიური თვისებებით, არსებითად ერთნაირი ბუნებით ადამიანისა[3].

ენათა დაცემას კონკრეტულად შლაიხერი უკავშირებს ენობრივი გრძნობის (Sprachgefühl) შესუსტებას. ენობრივ გრძნობას ავტორი სიტყვის შემადგენელ ელემენტთა (ძირისა და მიმართების ბგერათა) ცხადლივ აღქმას უწოდებს. პრეისტორიულ ხანაში ამ ელემენტთა ფუნქციების შეგრძნება ცოცხალი იყო. ისტორიულ ეპოქაში ხალხთა შემოსვლის შემდეგ ენობრივი გრძნობა კარგა ხანს არ გამქრალა. მაგრამ თანდათან სუსტდებოდა, სანამ ბოლოს სულ არ ჩაქრა. სანამ სიტყვის ფორმის ფუნქციის შეგრძნება ცოცხალია, სიტყ-

[1] Deutsche Spr., გვ. 31.
[2] Vergl. Spr., გვ. 25.
[3] Spr. Eur., გვ. 17.

ვა დაცულია ფონეტიკურ კანონთა და სხვა დამარღვეველ ძალთა გავლენისაგან. როგორც კი ეს გრძნობა გაქრება, სიტყვა ლეშად იქცევა და ბგერითს ნგრევას იწყებს. მაგალითად, რომაელი ამბობდა **dictus**, რადგან ის გრძნობდა, რომ ძირი არის dic-, რომელიც „თქმის“ მნიშვნელობას ატარებს -tu- პერფექტის პასივის მიმღეობას აწარმოებს, s კი—მხოლოობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას. ენობრივი გრძნობის დაკარგვის შედეგად იტალიელს აღარ აინტერესებს, როგორ არის ნაწარმოები სიტყვა. dictus ნიშნავს „ნათქვამს“ და ეს საკმარისია. მთელი სიტყვა ინარჩუნებს თავის ფუნქციას, ბგერითად რომ გამარტივდეს მაინც. და რადგანაც სიტყვის ერთი ნაწილი აღარ მიიჩნევა ძირად, ხოლო მეორე მიმართების ბგერად, ისინი ერწყმიან ერთმანეთს, ერთმანეთზე მოქმედებას იწყებენ. წარმოთქმა მარტივდება: ct → tt, ბოლო s იკარგება, i ემსგავსება o-ს და გვაძლევს e-ს. ამგვარად, **dictus იქცევა dętto-დ**[1].

ენობრივი გრძნობის დაცემის შედეგად ცვალებადობას განიცდის ენის ყოველი მხარე: ბგერები, ფორმები, ფუნქციები (მნიშვნელობა) და წინადადების წყობა.

შლაიხერის აზრით, დაცემა მხოლოდ ლიტერატურის მქონე ენებში შეიძლება გავითვალისწინოთ. იზოლირებული ენებიდან ჩინურს აქვს ძველი ტექსტები.

მეორე კლასის მრავალრიცხოვან ენათაგან ძალიან ცოტას აქვს დაწერლობა. ენის ისტორიის საკუთრივი სფერო—ფლექსიური კლასი—სემიტური და ინდოგერმანული ენებია. სწორედ ამ უმაღლეს ენობრივ ორგანიზმებს ბევრი რამ ჰქონდათ დასაკარგი და ათასეული წლების განმავლობაში ისინი თანდათანობით იცვლებოდნენ. უფრო წინ დგას ინდოგერმანული, რომელსაც უმდიდრესი ენობრივი ისტორია აქვს.

შლაიხერი ითვალისწინებს ამ ენათა მიერ განვლილ ცვლილებებს: ფონეტიკური ცვლილებები ექვემდებარებიან სამეტყველო ორგანოთა მოქმედების გაადვილებისაკენ მისწრაფებას. ფონეტიკურ კანონებში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ასიმილაციას.

ფორმათა ცვლილებებს რამდენიმე მიზეზი იწვევს. მათ შორის პირველი ფონეტიკური კანონებია. სიტყვის ბოლო ბგერათა მოკვეცას ფორმათა დაკარგვა მოჰყვება, რადგან ენათა უმრავლესობას მიმართების ელემენტები სწორედ სიტყვის ბოლოში აქვს.

---

[1] **Deutsche Spr.**, გვ. 64—65.

ფორმათა მრავალფეროვნებას ამცირებს აგრეთვე მეორე ძლიერი ძალა—ანალოგია, რომელიც ერთფეროვნებისაკენ მისწრაფებას წარმოადგენს. მაგ., ძველ გერმანულში გარჩეული იყო u ძირიან და i ძირიან სახელთა ბრუნება. u ძირიანთა acc. plur. იყო **suuuns** „ვაჟიშვილები", **handuns** „ხელები". i ძირიანთა—**gastins** „სტუმრები", **nachtins** „ღამეები". შემდეგ i ძირიანებმა მიიღეს ფორმა: **gäste, nächte** (i-მ იმოქმედა a-ზე, გააუმლაუტა; დაბოლოება დაიკარგა). ამათ დაემსგავსა u ძირიანები: **söne, hände**. ლათინურს მრავლობითის რამდენიმე დაბოლოება ჰქონდა: **homines** (←**homo** „კაცი"), **rosae** (←**rosa** „ვარდი"), **cornua** (←**cornu** „რქა"), ფრანგულში კი ყველა ისინი s-მ გამოდევნა.

ამ ორი მიზეზის გარეშეც ენებს აქვთ მისწრაფება ფორმათა გამარტივებისაკენ, რის შედეგადაც ბრუნვათა რაოდენობა კლებულობს, ზოგი მათგანი ერთმანეთს ემთხვევა, იკარგება მრჩობლობითი რიცხვი, მედიო-პასივი, დრო-კილოთა ფორმები მცირდება.

ფორმათა ასეთ დაკარგვას ენა ადვილად იტანს, რადგან მას საერთოდ ყოველგვარი გრამატიკული ფორმის გარეშეც შეუძლია გაძლება (I კლასი ენებისა). ამასთანავე მას აქვს საშუალებანი დაკარგულ ფორმათა ნაწილობრივ მაინც შენაცვლებისა. ეს საშუალებებია: სიტყვათშეერთება და აღწერა დამხმარე სიტყვების გამოყენებით.

დამხმარე სიტყვების როლში ეამოდის: დამხმარე ზმნები, ნაწევრები, წინდებულები და კავშირები. ამ გზით ძველი სინთეზური ენებისაგან ანალიზურს ვიღებთ. მაგალითები: წინდებულები ბრუნვების მაგივრობას ეწევიან, შდრ. ძვ. ზემოგერმ. ინსტრუმენტალისი **wortu** „სიტყვით" და ახლა: **mit dem Worte**, ლათ. **matri** „დედას" და ფრანგ. **à la mère**. რადგანაც სიტყვის გრძნობა დაკარგულია, ზმნაში პირის ნიშნები აღარ შეიგრძნობა და მათ მაგივრობას პირის ნაცვალსახელები ეწევა. შდრ. ლათ. **amo, amas, amat** (მიყვარს, გიყვარს, უყვარს) და ფრანგ. **j'aime, tu aimes, il aime**. კილოს კავშირები გადმოგვცემს. შდრ. ლათ. **cantem** „ვიმღერო" და ფრანგ. **que je chante**. დროებიც აღწერით იწარმოება.

ფორმათა დაკარგვასთან ერთად დიდი როლი ენიჭება სიტყვათა რიგს წინადადებაში.

ენათა დაცემასთან დაკავშირებით ორი საკითხი დგება: 1. დაქვეითების შედეგად ფლექსიური ენები ხომ არ უბრუნდებიან აგლუ-

ტინაციურსა და იზოლირებულ კლასებს? და 2. ამჟამად არსებული აგლუტინაციური და ძირეული ენები ხომ არ წარმოადგენენ ოდესღაც განვითარებული ტიპის გადაგვარებას?

პირველ საკითხზე შლაიხერი სხვადასხვა ნაშრომში სხვადასხვაგვარად უპასუხებს. „ევროპის ენებში“ ის წერს, რომ ფლექსიურ ანალიზურ ენებში გვაქვს უკანსკნელა აგლუტინაციისაკენ[1]. მას უფრო შესაძლებლად მიაჩნია, რომ დაქვეითების გზით ფლექსიური ენები სრულ აგლუტინაციამდე და ერთმარცვლოვნობამდეც კი ჩამოვიდნენ, ვიდრე ის, რომ ენათა ასეთი ნამსხვრევებისაგან ხელახლა ამაღლდეს მთელი შენობა[2].

ხოლო შრომებში „ენათა შედარებითი ძიებანი“ (რომელიც ზემოთ მოყვანილ ნაშრომზე ადრეა დაწერილი) და „გერმანული ენა“, რომელიც ქრონოლოგიურად მას მოსდევს, ასეთი შესაძლებლობა უარყოფილია. ინგლისურმა სულ რომ დაკარგოს აფიქსები, ის მაინც არ შეიძენს ძველ ერთმარცვლოვან ენათა თავისებურებებსო, გვეუბნება ის[3].

მეორე ნაშრომში შლაიხერი უფრო დაწვრილებით მსჯელობს ამ საკითხზე: მიუხედავად იმისა, რომ ფორმათა დაკარგვის შედეგად ფლექსიური ენები იზოლირებულს გვაგონებენ, წრებრუნვას ენათა კლასებს შორის (ფლექსიურიდან ანალიზურისაკენ, იზოლაციიდან ფლექსიისაკენ და ა. შ.) ადგილი მაინც არა აქვს. დაქვეითებული ფლექსიური ენები არსებითად განსხვავდებიან იზოლირებული ენებისაგან, რადგან მათში ფუძის ფლექსია მაინც დაცულია. ამიტომ უკვე ის არ არის მართალი, თითქოს უმაღლესი კლასი უფრო დაბალში გადადისო, გვეუბნება ის[4].

ვფიქრობთ, რომ ეს მეორე მოსაზრება არის უფრო დამახასიათებელი შლაიხერისათვის. მისი აზრით, არ შეიძლება არც დაბალი კლასის ენათა გადასვლა უფრო მაღალში და არც პირუკუ მაღლის დაქვეითება დაბლამდე. ენობრივი პრინციპი უცვლელია[5].

რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ პასუხი გარკვეულია: პირველი და მეორე კლასის ენები არ წარმოადგენენ დაქვეითებულ მაღალ ენობრივ ორგანიზმებს[6].

---

[1] Spr. Eur., გვ. 17.
[2] იქვე, გვ. 18.
[3] Vergl. Spr., გვ. 19.
[4] Deutsche Spr., გვ. 71.
[5] Vergl. Spr., გვ. 19.
[6] Spr. Eur., გვ. 18, 19. იხ. აგრეთვე Deutsche Spr., გვ. 71.

§32. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ავგ. შლაიხერთან ვილჰ. ჰუმბოლდტისაგან მომდინარეობს. ავტორი თვითონ აღნიშნავს, ქვემომოყვანილი კლასიფიკაცია ვილჰ. ჰუმბოლდტის კავი-ენიდანაა აღებულიო[1]. მაგრამ შლაიხერი ეკამათება ჰუმბოლდტს შთასხეულებით ენათა საკითხში. ამ უკანასკნელს შლაიხერი არ თვლის ცალკე მორფოლოგიურ ტიპად, აგლუტინაციურ ენათა ქვესახეობად აცხადებს.

ჰუმბოლდტისეული კლასიფიკაციის გაცნობის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ შეხედულება, თითქოს ჰუმბოლდტს ოთხი მორფოლოგიური ტიპი ჰქონდეს გამოყოფილი, არ არის ზუსტი. სიტყვათა დაჯგუფების დროს ჰუმბოლდტი გამოყოფს სამგვარ ენებს: იზოლირებულს, აგლუტინაციურსა და ფლექსიურს. შთასხეულებითი მასთან წინადადების ტიპია და არა სიტყვისა. ამდენად, შლაიხერის კამათი ჰუმბოლდტთან მიზანს ვერ ხვდება. არ არის მართებული, თითქოს ამ უკანასკნელისათვის აგლუტინაცია და ინკორპორაცია სხვადასხვა მორფოლოგიურ ტიპებს ქმნიდნენ.

რაც შეეხება თვითონ იმას, შეიძლება თუ არა ინკორპორაცია მივიჩნიოთ დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ტიპად, ეს საკითხი შემდეგდროინდელ ენათმეცნიერებაში დადებითად იქნა გადაწყვეტილი და სავსებით საფუძვლიანადაც. საქმე ის არის, რომ აგლუტინაციურ ენაში წინადადება მორფოლოგიურად გაფორმებული სიტყვებისაგან შედგება. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ინკორპორაციულ ენებში. აქ სიტყვასა და წინადადებას შორის ზღვარი მოშლილია. მოცემული გვაქვს ერთი სტრუქტურული მთლიანობა, რომელიც თავისი აგებულებით სხვა ენათა სიტყვას მოგვაგონებს, შინაარსით კი მთელს წინადადებას უდრის. ამდენად, ინკორპორაცია თავისებურ მოვლენას წარმოადგენს როგორც სიტყვის სტრუქტურის, ისე წინადადების აგებულების თვალსაზრისით, და არ არის მართებული შლაიხერის მოსაზრება, შთასხეულებითი ენები აგლუტინაციურ ენათა ქვეტიპს ქმნიანო.

შლაიხერისათვის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჰეგელის ფილოსოფიის გავლენას. ჰეგელის მიხედვით, განვითარება სამსაფეხუროვანია, ამის შესაბამისად შლაიხერიც სამ მორფოლოგიურ ტიპს გამოყოფს.

სხვა მხრივ შლაიხერი ჰუმბოლდტისეულ კლასიფიკაციას ემყარება. ოღონდ, აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიური ტიპების დახა-

[1] Verg. Spr., გვ. 6.

სიათება მასთან უფრო გამოკვეთილად და დახვეწილადაა წარმოდგენილი. საყურადღებოა შლაიხერის მოსაზრება, აგლუტინაციური ენები შეიძლება ქვეჯგუფებად დაიყოსო. იგი იმაზედაც მიუთითებს, რომ გვხვდება იზოლაციასა და აგლუტინაციას, აგლუტინაციასა და ფლექსიას შორის გარდამავალ საფეხურზე მდგომი ენები. ასეთი შეხედულება გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ შლაიხერი მეტ ენებს ითვალისწინებს, ვიდრე ჰუმბოლდტთან გვქონდა. მართებულია შლაიხერის შეხედულება, აგლუტინაციური და ფლექსიური ენები უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე იზოლირებულთანო.

შლაიხერი, ისევე როგორც ჰუმბოლდტი და ფრ. შლეგელი, ფიქრობს, რომ მონათესავე ენები თავიანთი მორფოლოგიური სტრუქტურით ემთხვევიან ერთმანეთს. როგორც თავის დროზე გვქონდა გარკვეული, ეს შეხედულება მცდარია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ შლაიხერი შეეცადა ისტორიულ ასპექტში განეხილა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. ასეთი მიდგომის წინაპირობას წარმოადგენს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ენათა განვითარება ერთ მთლიან პროცესს ქმნის. შლაიხერი აქ ემყარება იმ ფაქტს, რომ არსებითად ერთგვარი მოვლენები თავს იჩენს მსოფლიოს სულ სხვადასხვა ენებში, თუმცა მათი კონკრეტული გამოვლენის ფორმა ათასგვარი შეიძლება იყოს. იგი ამის მიზეზის გარკვევასაც ცდილობს. მისი აზრით, ენა ადამიანთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული, ადამიანი კი ძირითადად ყველგან ერთგვარი ბუნებისაა. ამიტომ ენებს არსებითად ერთგვარ პირობებში უხდებოდა წარმოქმნა და განვითარება. შლაიხერის აზრით, ამიტომ არის, რომ შეინიშნება არა მხოლოდ ერთგვარი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებები სულ სხვადასხვა წარმოშობის ენებში, არამედ თვით მორფოლოგიურ ტიპებშიაც დამთხვევა გვაქვს. დიდი რაოდენობა მსოფლიოს ენებისა მხოლოდ სამ მორფოლოგიურ ჯგუფს ქმნის.

თუკი ენათა განვითარებას ერთ მთლიან პროცესად წარმოვიდგენთ და ამ თვალსაზრისით მივუდგებით მორფოლოგიურ კლასიფიკაციას, უნდა გავარკვიოთ მორფოლოგიურ ტიპთა ისტორიული თანამიმდევრობა. შლაიხერის პასუხი ასეთია: პირველი საფეხური არის იზოლაცია, შემდეგ—აგლუტინაცია და უკანასკნელი—ფლექსია.

მაგრამ ავტორს სხვა საკითხიც აინტერესებს. სახელდობრ, განვითარების რომელი ტიპი უფრო მაღლა დგას? ცვალებადობა და განვითარება ხომ წინსვლასაც მოასწავებს! ამის მიხედვით, ისტორიულად ერთმანეთის მომდევნო ტიპები აღმავალ ტიპებადაც

უნდა დაგვესახა. მაშ, ყველაზე დაბლა იზოლაცია, შემდეგ—აგლუტინაცია და უმაღლესი—ფლექსია. სწორედ ასე ფიქრობს შლაიხერი. ამგვარად, მორფოლოგიური ტიპების მეტ-ნაკლები სრულყოფილობის საკითხი, რომელიც ფრ. შლეგელთან და ჰუმბოლდტთან გვხვდებოდა, შლაიხერთანაც ისმის და პრინციპულად ისიც იმ თვალსაზრისზე დგას, რომელსაც დასახელებული ავტორები იცავდნენ.

ფრ. შლეგელისა და ჰუმბოლდტის შეხედულებათა განხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მეცნიერულად დაესაბუთებინა ფლექსიურ ენათა უპირატესობა სხვებთან შედარებით. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ შლაიხერთან, რა განსხვავებული საბუთები მოჰყავს მას ფლექსიურ ენათა სრულყოფილობის სასარგებლოდ?

პირველ ყოვლისა იგი ენათა მორფოლოგიურ ტიპებს კულტურის საფეხურებს უკავშირებს. აცხადებს, რომ ფლექსიურ ტიპს ეკუთვნის ყველაზე მოწინავე ისტორიისა და კულტურის ხალხთა ენები (ინდოევროპული და სემიტური). ამასთან ავტორი თვლის, რომ ამ ხალხთა კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა მათი ენების ფლექსიურობა.

შლაიხერი ვერ გვიჩვენებს იმას, მართლაც არსებობს თუ არა შინაგანი კავშირი ხალხის კულტურასა და ენათა მორფოლოგიურ ტიპებს შორის. თუ კაცობრიობის ისტორიას გადავავლებთ თვალს, აშკარად დავინახავთ, რომ მსოფლიო კულტურის შემოქმედებს სრულიადაც არ წარმოადგენენ მხოლოდ სემიტები და ინდოევროპელები. შეიძლებოდა დაგვესახელებინა ჩინელები, ეგვიპტელები, აგრეთვე წინა აზიისა და შუამდინარის უძველესი ხალხები. ენათა არაფლექსიურ წყობას სრულიადაც არ შეუშლია ხელი ამ ხალხებისათვის, შეექმნათ თავისი დროისათვის უმაღლესი კულტურა. ყველაზე თვალსაჩინოდ შლაიხერის მცდარი თვალსაზრისი თავს იჩენს ჩინურის შესახებ მსჯელობის დროს. როგორც იზოლირებული ენა, ჩინური ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომად გამოდის შლაიხერის კონცეფციის მიხედვით. მაგრამ, მეორე მხრივ, შლაიხერი ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჩინურ ენაზე ლაპარაკობს უძველესი კულტურის ხალხი. ეს წარმოშობს წინააღმდეგობას, რომლის გადალახვასაც ავტორი ჰუმბოლდტზე დაყრდნობით ცდილობს. იგი წერს: ჩინური, ათასწლოვანი ისტორიისა და უძველესი ლიტერატურის მქონე ხალხის ენა, ერთი შეხედვით, ყველაზე არასრულყოფილად

შეიძლებოდა მიგვეჩნიაო და განაგრძობს: ამას à priori დაუპირისპირდებოდა ის, რომ თუ ერთმარცვლიანობა მართლაც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ენის არსისა და ცნების გამოვლენის ერთერთი ფორმათაგანი არის, მაშინ ამ ფორმაშიაც ენის არსი, გონის ბგერითი ხორცშესხმა(Verkörperung) დაცული იქნება. ამგვარად, ამ ენასაც საერთოდ თავისებურად შეეძლება ენის ამოცანის გადაჭრა. ჩინური ენის წყობის ახლოს გაცნობა ამ მოსაზრების სისწორეს ამტკიცებსო, გვეუბნება ავტორი. ამას მოსდევს ვრცელი ამონაწერი ჰუმბოლდტიდან, სადაც ჩინური ენის ღირსებაზეა ლაპარაკი[1].

ცხადია, მოყვანილი მსჯელობა ვერ ხსნის იმ წინააღმდეგობას, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. შლაიხერის აზრით, ყოველი ენა მნიშვნელობას და მიმართებებს გამოხატავს. მათი გამოხატვის ფორმები განსხვავებულია, რაც იძლევა მორფოლოგიური კლასიფიკაციის შესაძლებლობას. ყოველ მორფოლოგიურ ტიპში ენის ამოცანა თავისებურადაა გადაჭრილი, ამასთანავე, ზოგში —უკეთ, ზოგში—უარესად. ყველაზე არასრულყოფილად ეს ამოცანა იზოლირებულ ენებშია გადაწყვეტილიო, ხშირად გვიმეორებს შლაიხერი. ამ თვალსაზრისზე მდგომმა ჩინური უეჭველად ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ენად უნდა მიიჩნიოს. ეს ენა უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი გამოდის, ვიდრე, მაგალითად, ამერიკის ინდიელთა უმწერლობო ენები, რომლებსაც შლაიხერი აგლუტინაციურ ტიპს განაკუთვნებს. ავტორი, ალბათ, ასეც მოიქცეოდა, ჩინურს ყველა სხვა ენებზე დაბალ მდგომად გამოაცხადებდა, მაგრამ აქ მას ხელს უშლის მისივე მეორე დებულება. შლაიხერმა ხომ ენათა მორფოლოგიური ტიპები კულტურის საფეხურებს დაუკავშირა. ამიტომ იგი იძულებულია შრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ჩინური ჩამოაცილოს დანარჩენ იზოლირებულ ენებს და ფლექსიურ ენებს ამოუყენოს გვერდით სრულყოფილობის თვალსაზრისით. ცხადია, ამით საფუძველი ეცლება დებულებას, თითქოს სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპი კულტურის სხვადასხვა საფეხურს უკავშირდებოდეს შინაგანად.

ენათა ტიპები არა მხოლოდ მეტნაკლებად სრულყოფილი არიან შლაიხერის მიხედვით, არამედ ზოგი მათგანი კულტურის დაბრკოლებად, მისი წინსვლის შემაფერხებლადაც კი გვეელინება. ასეთად გამოცხადებულია ამერიკის მკვიდრთა ინკორპორაციული ენები[2]. აქ ავტორი დარვინის თეორიას მიმართავს და გვიცხადებს, რომ

[1] Spr. Eur., გვ. 54.
[2] Deutsche Spr., გვ. 36.

ენებიც იბრძვიან არსებობისათვის და ამ ბრძოლაში სუსტები მარცხდებიან, ისპობიან კიდევაც. ასე დაემართა ინდიელთა ენებს, რომლებიც თავიანთ მეტად რთულ და ბუნდოვან ფორმათა გამო თურმე ხელს უშლიდნენ კულტურის განვითარებას[1]. სამაგიეროდ მათ ხარჯზე გავრცელებულან უფრო ძლიერი—ინდოევროპული ენები[2]. შლაიხერი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, რომ ამერიკის ენები ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებთან ერთად გაქრნენ, რომ ამ ხალხების ულმობელი განადგურება შედეგი იყო ევროპის კაპიტალიზმის კოლონიური პოლიტიკისა. განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ინდოელთა ტომები დაიღუპნენ იმიტომ, რომ ისინი დამარცხდნენ მაღალი ტექნიკით შეიარაღებულ ევროპელ დამპყრობელებთან ბრძოლაში. მაგრამ ამ დამარცხებაში მათ ენებს არავითარი როლი არ უთამაშიათ. ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის იმისა, რომ ხმარებიდან გამოსულა ფლექსიური ენები, რომლებსაც შლაიხერი ყველაზე სრულყოფილად თვლის და რომლებიც, მაშასადამე, „არსებობისათვის ბრძოლაში" თითქოს არ უნდა დამარცხებულიყვნენ.

ენათა გაქრობა სრულიადაც არ უკავშირდება ენათა მორფოლოგიურ ტიპებს. იგი შედეგია იმ ისტორიული პირობებისა, რომლებშიაც ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები იმყოფებიან. შლაიხერი გვერდს უვლის იმ გამძაფრებულ ბრძოლებს, რომლებიც კლასობრივ საზოგადოებაში წარმოებს სხვადასხვა ხალხებს შორის ერთმანეთზე პატრონობისათვის (რასაც ზოგჯერ შედეგად მოჰყვება დამარცხებული ხალხის ენის იძულებით მოსპობა) და რომელიც, ჩვეულებრივ, წყდება უფრო ძლიერის (ხალხის, ერის და არა ენის) სასარგებლოდ. იგი ისე წარმოგვიდგენს ენის ვითარებას, თითქოს თვითონ ენებს შორის წარმოებდეს „ბრძოლა არსებობისათვის" და თითქოს ამ ბრძოლის ბედი დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რომელი ენა უფრო მაღლა დგას, რომელი უფრო სრულყოფილია. რა თქმა უნდა, ასეთი თვალსაზრისი მეცნიერულად სრულიად უსაფუძვლოა.

უაღრესად მცდარია შეხედულება, თითქოს ენის მორფოლოგიური წყობა კულტურის განვითარების დამაბრკოლებლად შეიძლება იქცეს. ყოველ ენას აქვს უნარი კვალდაკვალ მიჰყვეს კულტურის მსვლელობას, დააკმაყოფილოს ახალი, მზარდი კულტურის მო-

---

[1] О языч. яз., გვ. 14.

[2] დარვ. თეორია, გვ. 30.

თხოვნილებანი. ფლექსიურ ენებზე აღზრდილ ევროპელ მეცნიერებს ინკორპორაციული ენები რთულად და ბუნდოვანად ეჩვენებოდათ, მაგრამ ეს ენები ისევე კარგად ემსახურებოდნენ ინდიელებს, როგორც ევროპელებს—თავიანთი ენები. ენის დაფასებისას ამოსავალი უნდა იყოს ამ ენის მიმართება მასზე მოლაპარაკე ადამიანთა კულტურასთან და აზროვნებასთან. თუ ამათ ვერ ასახავს ენა, მაშინ ის მართლაც განვითარების დამაბრკოლებელი ყოფილა. შლაიხერი კი, როდესაც გვეუბნება ინკორპორაციული ენები კულტურის წინსვლას ხელს უშლიანო, ვარაუდობს ევროპულ კულტურას, რომლის გადანერგვაც ერთი ხელის მოსმით უნდოდათ იმ ხალხებში, რომლებიც განვითარების სრულიად სხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. ცხადია, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ვერაფერს გაგვირკვევს. თუ ენებს განვიხილავთ. მათზე მოლაპარაკე ხალხთა კულტურის ბუნებრივი განვითარების შესაბამისად, აშკარა გახდება, რომ უმაღლეს კულტურულ დონეს შეიძლება მიაღწიოს როგორც იზოლირებულ, ისე აგლუტინაციურ ან ფლექსიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა.

ფლექსიურ ენათა განსაკუთრებული ღირებულების დასამტკიცებლად არ გამოდგება არც მეორე საბუთი, რომელიც შლაიხერს მოჰყავს. ავტორი გვეუბნება: რამდენადაც ზუსტად ასახავს ენა აზროვნების პროცესს, მით უფრო სრულყოფილია იგიო. იზოლირებული ენები ცნებათა და წარმოდგენათა ურთიერთობას ბგერებით ვერ გადმოგვცემს. აგლუტინაციურში შინაარსი (ცნებები და წარმოდგენები) და ფორმა (მათი მიმართება) გამოხატულია ბგერებით, მაგრამ ერთმანეთისაგან გათიშულად, მაშინ როდესაც ფლექსიურ ენებში ისინი ისევე ორგანულად არიან შერწყმული, როგორც თვით აზროვნებაშიო. მაშ, თითქოს გამოდის, რომ ფლექსიური ენა ყველაზე ადეკვატურად ასახავს აზროვნების პროცესს.

ასეთი მექანიკური შესატყვისობის ძიება ენათა მორფოლოგიურ ტიპებსა და აზროვნების პროცესს შორის მოკლებულია ყოველგვარ დამაჯერებლობას. ისევე, როგორც ჰუმბოლდტთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, აქაც ჩვენ იმავე უფლებით შეიძლებოდა უპირატესობა აგლუტინაციური ტიპისათვის მიგვენიჭებინა, თუ ვიტყოდით, რომ ფლექსიურ ენაში ფუძისა და აფიქსის შერწყმა აძნელებს შინაარსისა და ფორმის დაპირისპირებას, მათ შერევას იწვევს და ამდენად ზუსტად ვერ ასახავს აზროვნებაში ფორმისა და შინაარსის განსხვავებასო. სინამდვილეში პირველი თვალსაზრისი ისევე მიუღებელია, როგორც მეორე.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ: საკითხი, თუ რაში მდგომარეობს მორფოლოგიურ ტიპთა მეტ-ნაკლები სრულყოფილობა, შლაიხერთან ისევე გადაუჭრელი დარჩა, როგორც ეს ჰუმბოლდტთან იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შლაიხერმა ცალა ისტორიულ ასპექტში განიხილა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. მაგრამ ავტორი იქვე გვაფრთხილებს, რომ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, თითქოს აგლუტინაციური ენები იზოლირებული ენებისგან წარმოიშვნენ, ფლექსიურნი კი — აგლუტინაციურისაგან. მორფოლოგიური ტიპები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდნენ, შლაიხერის აზრით. ამიტომ არ იქნებოდა მართებული, თუ ჩინურს სხვა ენათა წინა საფეხურად ჩავთვლიდით. შლაიხერი ვთანხმება ჰუმბოლდტს, რომ ჩინური და სანსკრიტი არ შეიძლება ერთმანეთის თანდათანობით განვითარებად მივიჩნიოთ. თითოეულს თავისი საფუძველი აქვს ხალხის გონში. მხოლოდ ენობრივი განვითარების ერთიან მსვლელობაში, ამგვარად, იდეალურად შეიძლება დავსახოთ ისინი ენის წარმოქმნის საფეხურებადო, გვეუბნება ავტორი[1].

რა თქმა უნდა, შლაიხერის აზრით, აგლუტინაციურ ენებს იზოლირებული საფეხური უნდა გაევლოთ, ფლექსიურს—იზოლირებული და აგლუტინაციური. მაგრამ დასაწყისშივე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მხოლოდ იზოლირებული ენები არსებობდა, ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, განვითარების სხვადასხვა უნარის მქონენი იყვნენ. ერთნი მოწოდებული იყვნენ იმისათვის, რომ უმაღლესი საფეხურისათვის (ფლექსიისათვის) მიეღწიათ, სხვები კი უფრო დაბალ საფეხურებზე (იზოლაცია, აგლუტინაცია) უნდა გაქვავებულიყვნენ.

ამგვარად, შლაიხერმა ისტორიული თვალსაზრისით დაიწყო საკითხის განხილვა და ნამდვილი ისტორიზმის უარყოფით კი დაამთავრა. ამის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს დებულება: დაბალი კლასის ენა არ გადადის უფრო მაღალში, ენობრივი პრინციპი უცვლელიაო.

იმის აღიარებით, რომ სხვადასხვა ენას იმთავითვე განვითარების სხვადასხვა პოტენცია ჰქონდა, შლაიხერი უაღრესად მცდარ და ამასთან მავნე თვალსაზრისზე დადგა. გამოდის, რომ ენები არა მხოლოდ ამჟამად არიან ერთმანეთზე წინწასულ-ჩამორჩენილნი,

[1] Vergl. Spr., გვ. 19, 20.

სრამედ ამეთი დაყოფა დასაბამიერია. მოწინავენი მუდამ წინ იყვნენ, ჩამორჩენილნი არა მხოლოდ ჩამორჩებიან, არამედ მათ არც შეუძლიათ ოდესმე გაუსწორდნენ და, მით უფრო, გაუსწრონ ამჟამად მოწინავე ენებს. თუ მოვიგონებთ, რომ შლაიხერის აზრით, ენათა მორფოლოგიურ ტიპებთან დაკავშირებულია თვით კულტურის წინსვლაც, უფრო ნათელი გახდება მისი შეხედულების მეცნიერული უსაფუძვლობა.

ენათა განვითარების პროცესის მცდარი გაგება შლაიხერთან ყველაზე მკვეთრად მაშინ მჟღავნდება, როდესაც იგი ორ პერიოდად ყოფს ენის ისტორიას. პირველში ენათა განვითარება ხდება, მეორეში—დაქვეითება. თუ ავტორი ჯერ გვარწმუნებდა, უმაღლესი წყობის ენები მაღალი კულტურისა და მდიდარი ისტორიის მქონე ხალხებს აქვთო, შემდეგ ირკვევა, რომ თურმე კულტურისა და ისტორიის წინსვლა უკუპროპორციულ გავლენას ახდენენ ენებზე, მათი სტრუქტურის დაქვეითებას იწვევენ.

ეს მსჯელობა სრულიად მიუღებელია. საზოგადოების ისტორიის წინსვლა, კულტურის აღმავლობა დადებითად მოქმედებენ ენებზე, მათ განვითარებას იწვევენ და არა დაქვეითებას. ღრონდ საქმე ისაა, ენის რომელ მხარეში და როგორ ვლინდება ეს განვითარება.

ჰუმბოლდტის მსგავსად შლაიხერის შეცდომის წყარო ის არის, რომ, ჯერ ერთი, იგი სრულყოფას ეძიებს არა ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებაში, ენის გრამატიკული წყობის დახვეწაში, არამედ ენათა სხვადასხვაგვარ მორფოლოგიურ ტიპებში. მეორეცაა და, რაკი ფლექსიური ენები მიიჩნია განვითარების მწვერვალად, ხოლო ძველი ინდოევროპული ენები ფლექსიით უფრო მდიდარი აღმოჩნდნენ, ვიდრე ახლები, ავტორი იძულებული გახდა დაესკვნა, ენათა ისტორიაში უკუსვლას აქვს ადგილიო. დამახასიათებელია, რომ, როდესაც ამტკიცებს ისტორიულ ხანაში ენათა დაშლა ხდებაო, შლაიხერი წერს: „ამის საწინააღმდეგოდ არ ივარგებს ის მოსაზრება, რომ ახალი ენები უფრო გამოდგებიან ჩვენი აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად, ვიდრე ძველნი და ამიტომ თითქოს უფრო სრულყოფილნიც არიან. ენა, რომელიც ჩვენი საუკუნის, ჩვენი სულიერი აგებულების (Geistesbildung) ნიადაგზე არ აღზრდილა, არც შეიძლება გამოდგეს სწორედ ამ სულიერი არსის

მატარებელთათვის, თუმცა ის შეიძლება ძლიერ მცდარიც იყოს გრამატიკული ფორმებით"[1].

ახალ ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები რომ კულტურულად უფრო წინ არიან წასულნი, ვიდრე ძველ ენებზე მოლაპარაკენი, ეს უდავოა. ამ ახალი, უფრო მაღალი კულტურის გამოსახატავად ახალი ენები უფრო გამოსადეგი ყოფილან, ვიდრე ძველნი, რადგანაც ისინი ამ ახალი კულტურის ნიადაგზე არიან აღზრდილნი, თუმცა მორფოლოგიური ფორმებით ისინი უფრო ღარიბნი არიან, ვიდრე ძველი ენები. ერთად ერთი დასკვნა, რომელიც აქედან შეიძლება გაკეთდეს, ის არის, რომ ფლექსიის დაკარგვა არ წარმოადგენს ენის დაქვეითებას, რომ საერთოდ სრულყოფა ენის სხვა მხარეებში უნდა ვეძებოთ და არა მათ მორფოლოგიურ ტიპოლოგიაში.

შლაიხერის შეცდომათა საფუძველი კიდევ უფრო ღრმა არის, ვიდრე ზემოთ იყო ნაჩვენები. ენის განვითარების შესახებ მსჯელობისას ავტორი მთლიანად ჰეგელის ფილოსოფიის პოზიციებზე დგას და, ცხადია, ეს იდეალისტური მოძღვრება მას კი არ შველის ენობრივ მოვლენათა გაშუქებაში, არამედ, პირუკუ, მთელ რიგ გაუგებრობას წარმოქმნის. აი, როგორ „ხსნის" შლაიხერი ჰეგელზე დამყარებით ენათა ისტორიაში ორი პერიოდის არსებობას:

ადამიანი მიკროკოსმოსს წარმოადგენს,—გვეუბნება იგი. ისევე, როგორც მსოფლიო გონი ბუნებაში, ადამიანური გონი თავის სხვაგვარად მყოფობაში ენაში გამოვლინდება. როგორც მსოფლიო გონი ბუნებასთან, ისე ადამიანური გონი ბგერასთან არის მიჯაჭვული. ამიტომაა გვაქვს პირველთან ბუნების სიმდიდრის შემოქმედება, მეორესთან კი—ბგერითი სიმდიდრისა. ეს ხდება ბუნებაში წინარე ადამიანურ პერიოდში, ენაში კი პრეისტორიულ ხანაში. იმიტომ ახასიათებს ამ უკანასკნელს განვითარება, რომ ადამიანური გონი დაკავშირებულია ენასთან, მას საჭიროებს თავისი განხორციელებისათვის. გონის დაკავშირება, მიჯაჭვა ფორმასთან, არაცნობიერი კავშირი აზრისა თავის სხეულთან, ბგერასთან, ენასთან არის მიზეზი ენის პრეისტორიული განვითარებისა.

მაგრამ შემდეგ მდგომარეობა იცვლება, გვაუწყებს შლაიხერი. მსოფლიო პერიოდში (ადამიანის გაჩენის შემდეგ) მსოფლიო გონი, რომელსაც თვითშეცნობა აკლდა, ადამიანებში მოექცა, ბუნებას განშორდა. ამის შემდეგ ძლიერ მოქმედი, ჭარბი შემოქმედებითი პოტენციის მქონე ბუნება რეპროდუქციამდე ჩამოვიდა, ის აღარ

[1] Vergl. Spr., გვ. 13.

ფერს არ წარმოშობს. ანალოგიური მდგომარეობა გვქონია ენაში: ადამიანური გონი თურმე ისტორიულ ხანაში აღწევს თავისუფლებას, რომელსაც ის მანამდე მოკლებული იყო, ამით იგი სხვადასხვაფობიდან თავის თავს უბრუნდება. ქრება ყოველგვარი სხვადასხვაფობა, ადამიანური გონი შორდება ბგერებს, თავის შემოქმედებას მათკენ აღარ მიმართავს, წყდება მისი ნაყოფიერება მისი კონკრეტული სურათის, ენის შეუცნობელ წარმოშობაში. ამიტომაა, რომ ისტორიულ ხანაში ენები არც წარმოშობილან და არც ვითარდებიანო, ასკვნის შლაიხერი. ხდება მხოლოდ მათი რეპროდუქცია და თაობიდან თაობაში თავს იჩენს სულ უფრო მეტი და მეტი გადაგვარება ენებისა. რაც უფრო თავისუფლად გაიშლება გონი ისტორიაში, მით უფრო შორდება ის ენას, ამიტომ ცვდებიან მისი ბგერები და იკარგება მის ფორმათა სიმდიდრე. ჰეგელი აღიარებს, რომ ენის წარმოშობა და ისტორია ერთდროულად არა გვაქვს. ისტორიის წინსვლაში ენები ცვლებიან, ისტორია და ენის წარმოშობა ადამიანის გონის ორ, ერთმანეთის მონაცვლე, მოქმედებას წარმოადგენს[1].

როგორც ვხედავთ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ჰეგელიანურ თვალსაზრისთან.

გამოდის რა ჰეგელის პოზიციებიდან, შლაიხერი წყვეტს ერთმანეთისაგან ენას და აზროვნებას. მას რომ ვერწმუნოთ, გამოვა, რომ პრეისტორიულ ხანაში აზროვნება თავისი არსებობისათვის საჭიროებდა ენას, როგორც ფიზიკურ სხეულს, ისტორიულ ხანაში კი ადამიანური იდეა ანუ აზრი ენის გარეშე ვლინდება წმინდა სახით ხალხის ისტორიაში. ამგვარად, დაშვებულია აზრების არსებობა ენობრივი გარსის გარეშე.

შლაიხერის მიხედვით, ენის დაქვეითება ვლინდება ენის ოთხივე მხარეში: ფონეტიკურში, მორფოლოგიურში, ფუნქციურსა და სინტაქსურში. არსებითად მაინც პირველი ორია მიჩნეული. ათასგვარი ბგერითი დამახინჯებანი (ჩვენ ვიტყოდით ცვლილებანი) და მორფოლოგიური გამარტივება, აი, ის, რაც მეორე პერიოდში ახასიათებს ენებს.

მერე ვინ დაამტკიცა, რომ ფონეტიკური ცვლილებანი და ფორმათა გამარტივება უკანსვლააო? აქ კვლავ ძველი დებულება მოქმედებს, რომლის მიხედვითაც ფლექსიური ენები განვითარების მწვერვალს წარმოადგენენ, ხოლო ფაქტობრივი ვითარება ისეთია,

[1] Vergl. Spr., გვ. 17—18, 20.

რომ ძველი ინდოევროპული ენები უფრო მკაფიოდ გამოაელენენ ფლექსიის ნიშნებს, ვიდრე ახალნი. ეს უკანასკნელები ფლექსიურობას კარგავენ, მაშასადამე, სრულყოფილობას შორდებიან, ქვეითდებიან, გადაგვარებას განიცდიან.

შლაიხერის თვალსაზრისს რომ გავყვეთ, მოულოდნელ დასკვნებს მივიღებთ: ფონეტიკური ცვლილებები და ანალოგია ენათა დაქვეითების მაჩვენებლად გამოვაცხადეთ, მაგრამ ფლექსიურ ენათა წარმოშობას თუ გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ისინი სწორედ ამ პროცესთა წყალობით არიან წარმოქმნილი. მართლაც, ავტორი გვეუბნება, ფლექსიურ ენებში თვით ძირი შეიძლება შეიცვალოს ფლექსიის გავლენითო[1]. ნიმუშებიც თვითონვე მოჰყავს: Gast-ისაგან Gäste მიღებულია a-ს ასიმილაციით i-სთან, რომელიც შემდეგ დაიკარგა (Gastins). სხვა სახელებში უმლაუტი ანალოგიით გაჩენილა, მაგ. Hände.

შეიძლება გვითხრან, ეს პროცესები სწორედ მეორე (დაშლის) პერიოდში განვითარდა ინდოევროპულ ენებშიო. მაგრამ თუ ანალოგიურ მოვლენებს არ ვივარაუდებთ უფრო ადრეც, ისე ფლექსიურ ენათა წარმოშობას ვერ ავხსნით. მათ აგლუტინაციურ ენათაგან მხოლოდ ის განასხვავებს, რომ მათში აფიქსები მჭიდროდ ერწყმიან ძირებს. ეს შერწყმა პირველ რიგში სწორედ ფონეტიკურია. თვით ფუძის ფლექსიაც პირველად ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი, მორფოლოგიური ფუნქცია მას შემდეგ უნდა მიეღო. ამგვარად, თუ ფონეტიკურ პროცესებსა და ანალოგიას უარვყოფთ პრეისტორიული ხანისათვის, მაშინ ფლექსიურ ენათა წარმოქმნას ამ ხანას ვერ მივაწერთ; გამოვა, რომ ეს უმაღლესი ტიპის ენები ისტორიულ ეპოქაში შექმნილან და, მაშასადამე, ამ ხანაში დაქვეითება კი არ გვქონდა, არამედ წინსვლა. ამასთანავე ეს პროცესები დაქვეითების მაჩვენებელი არ ყოფილან, პირუკუ ისინი აუცილებელი ყოფილან უმაღლეს ენათა მისაღებად.

ხოლო თუ შეხედულებას არ გამოვიცვლით და ფონეტიკურ პროცესებსა და ანალოგიას კვლავ ენათა დარღვევის ნიშნად მივიჩნევთ, მაშინ ძალაუნებურად ფლექსიური ენები დაქვეითებულ ენებად, ე. ი. აგლუტინაციურზე უფრო დაბლა მდგომებად უნდა აღვიაროთ (რადგან აგლუტინაცია თავისთავად არ ვარაუდობს ფონეტიკურ ცვლილებებს, თუმცა აგლუტინაციურ ენებში, ისევე როგორც საერთოდ ყველა ენაში და ყოველთვის, ცხადია, ფონეტიკური პროცესები და ანალოგია მოქმედებენ. მაგრამ ამჟამად ჩვენ

[1] Spr. Eur., გვ. 113.

ეს კი არ გვაინტერესებს, არამედ ის, თუ სად მიგვიყვანს თვით ავტორის თვალსაზრისი). ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ძირითადი დებულება (ფლექსიური ენების სრულყოფილად მიჩნევა) გამოგვეცლება ხელიდან, არამედ თვით პერიოდიზაციასაც აზრი დაეკარგება, რადგან ფლექსიური ენები პრეისტორიულ ხანაში წარმოშობილად იყო მიჩნეული, და, ამგვარად, უკვე პრეისტორიულ ხანაში უნდა დაწყებულიყო ენათა დაქვეითება.

ანალოგიურ წინააღმდეგობებს წავაწყდებით, თუ ენობრივი გრძნობის შესახებ ნათქვამს მოვიგონებთ. ენობრივ გრძნობას შლაიხერი სიტყვის შემადგენელი ნაწილების, ძირისა და აფიქსების, ცხად შეგრძნებას უწოდებს. ეს გრძნობა, მისი თქმით, დუნდება ისტორიულ ხანაში, რაც გამოწვეულია გონის მიერ ენის დატოვებით. სწორედ ამიტომ ეძლევა გასაქანი ფონეტიკურ ცვლილებებს.

როდის და სად შეიძლება მოხერხდეს ამ გრძნობის დასუსტება? ცხადია, ისეთ ენებში, რომლებშიაც ფორმა და შინაარსი, აფიქსები და ძირები შერწყმულია ერთმანეთთან, სადაც ამის გამო სიტყვის ანალიზი ჭირს. ეს კი ახასიათებს არა აგლუტინაციურ ენებს (მათში ხომ ფორმა და შინაარსი ერთმანეთისაგან გათიშულია!), არამედ ფლექსიურს. კვლავ მივიღეთ ის, რაც არ უნდა დაგვემტკიცებინა. ფლექსიური ენები აგლუტინაციურთან შედარებით დაქვეითებული გამოგვიდის!

ისევე, როგორც მორფოლოგიურ ტიპთა განვითარების საკითხთან გვქონდა, ენათა დაქვეითების შემთხვევაშიაც, შლაიხერმა კონკრეტულ ენათა მასალაზე ვერ უჩვენა, რაში მდგომარეობს ენათა დაქვეითება. ეს გასაგებიცაა. ისტორიულ ეპოქაში ენები კი არ იშლებიან, როგორც ეს შლაიხერს მიაჩნია, არამედ პირუკუ, ისინი ვითარდებიან კულტურისა და ისტორიის განვითარებასთან ერთად. ხოლო ენათა განვითარება იმაში კი არ გამოიხატება, რომ ერთ მორფოლოგიურ ტიპს ცვლის მეორე (ვთქვათ, აგლუტინაციურს ფლექსიური), არამედ იგი მდგომარეობს ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებასა და გრამატიკული წყობის დახვეწაში. ყოველი მორფოლოგიური ტიპის ფარგლებში შეიძლება მოხდეს ენის განვითარება. როგორც ცნობილია, მორფოლოგიური ტიპი ბევრად უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ენის ლექსიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობაც კი.

საერთოდ, შლაიხერისეულ ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ფასეულია ის, რომ ავტორი იძლევა მორფოლოგიური ტიპების დეტალურ აღწერილობას, იგი უფრო მეტ ენებს ითვალის-

წინებს, ვიდრე ეს ჰუმბოლდტთან იყო. რაც შეეხება მორფოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტაციას, იგი არსებითად ისევე მცდარია, როგორც ჰუმბოლდტთან. არამართებული ამოსავალი დებულება, თითქოს ფლექსიური ენები იდგნენ ყველა სხვა ენებზე მაღლა. არის მიზეზი რიგი შინაგანი წინააღმდეგობისა შლაიხერის კონცეფციაში. ამასთანავე, თუმცა ცდა იმისა, რომ ისტორიულ ასპექტში იქნეს განხილული ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, თავისთავად დადებით მოვლენას წარმოადგენს, თვით ისტორიული პროცესი ავტორს არამართებულად ესმის. ასევე არამართებულადაა გაგებული ენის მიმართება მასზე მოლაპარაკე საზოგადოების ისტორიასთან და კულტურასთან. რაც შეეხება ენათა მორფოლოგიურ ტიპებს, მათი მოთავსება განვითარების ერთ ხაზზე (იზოლირებული → აგლუტინაციური → ფლექსიური), მათი მიჩნევა ერთმანეთის მომდევნო საფეხურებად, დაუსაბუთებელია, იგი ინდოევროპულ ენათა სტრუქტურის უპირატესობის მცდარ დებულებას ემსახურება.

თავი მეოთხე

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი საკითხები

§33. აქამდე ჩვენ გავეცანით ენათა ტრადიციულ მორფოლოგიურ კლასიფიკაციას იმ სახით, როგორც იგი ამ კლასიფიკაციის ავტორებთან ფრ. შლეგელთან, ვ. ჰუმბოლდტთან და აგვ. შლაიხერთან გვქონდა წარმოდგენილი. დასახელებულ მკვლევართა მოღვაწეობა არ სცილდება გასული საუკუნის 60-იან წლებს. ამის შემდეგ სერიოზული ნაბიჯები იქნა გადადგმული როგორც ცალკეული ენების მეცნიერული შესწავლის საქმეში, ისე ენის რაობისა და ენის განვითარების თეორიის დამუშავების თვალსაზრისითაც. ამის შესაბამისად ახლებური გაშუქება მიეცა მთელ რიგ საკითხებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციისათვის. ამიტომ ბუნებრივია განვიხილოთ, როგორი სახე მიიღო მორფოლოგიური კლასიფიკაციის პრობლემამ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის I ნახევარში, რა ახალი საკითხები დადგა ამ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რა ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი ენათა ტრადიციულ დაჯგუფებაში ახალი გამოკვლევების საფუძველზე და, ბოლოს, როგორი პასუხი უნდა

ვაეცეს იმ საკითხებს, რომლებიც ტრადიციული კლასიფიკაციის ავტორებთან არამართებულად იყო გადაწყვეტილი.

განსახილველი საკითხები შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ. პირველი ჯგუფი მოიცავს საკითხებს, რომლებიც მორფოლოგიურ ტიპოლოგიას, ცალკეულ ტიპთა დახასიათებას და ტიპების მიხედვით კონკრეტულ ენათა დაჯგუფებას ეხება. მეორე ჯგუფში კი მორფოლოგიური კლასიფიკაციის თეორიის საკითხები შევა, ე. ი. ის საკითხები, რომლებიც კლასიფიკაციის ინტერპრეტაციას ისახავენ მიზნად.

პირველი ჯგუფის საკითხთაგან პირველ ყოვლისა გასარკვევია ტრადიციულ კლასიფიკაციაში გამოყოფილ ტიპთა რაოდენობისა და ცალკეულ ტიპთა დახასიათების საკითხი. ამ მხრივ ყველაზე რთული იზოლირებულ ენათა პრობლემაა.

იზოლირებული ტიპი მორფოლოგიური კლასიფიკაციის პირველსავე ვარიანტში იყო გამოყოფილი, როგორც ფლექსიური ენებისადმი მკვეთრად დაპირისპირებული. ფრ. შლეგელი იზოლირებულ ენათაგან ჩინურს იცნობდა და მის შემდეგაც იზოლირებულ ენათა ტიპურ წარმომადგენლად ჩინური ითვლება, თუმცა მოგვიანებით ამ ჯგუფის სხვა ენებსაც (ტიბეტურს, ბირმულს...) ასახელებენ.

იზოლირებული ჩინური ენის დამახასიათებელ ნიშნებად მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ის ითვლება, რომ

ა) მასში სიტყვები ერთმარცვლოვანია (მონოსილაბიზმი).

ბ) სიტყვები არ დაირთავენ აფიქსებს, ამიტომ სიტყვები მორფოლოგიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, უცვლელნი არიან და აფიქსებიან ენათა ძირებს მოგვაგონებენ. ამ ნიშნის მიხედვით იზოლირებულ ენებს ძირეულს და ამორფულს ანუ უფორმოსაც უწოდებდნენ (ეს ტერმინი ჯერ კიდევ ავგ. შლეგელს ჰქონდა ნახმარი).

გ) რაკი სიტყვები აფიქსების საშუალებით არ ფორმდება, ამიტომ მეტყველების ნაწილებიც არ გამოიყოფა.

დ) მიმართებები გამოიხატება სიტყვათა ადგილმდებარეობისა და ინტონაციის საშუალებით, აგრეთვე დამხმარე სიტყვების ანუ ე. წ. ცარიელი სიტყვებისა და ნაწილაკების გამოყენებით.

თანამედროვე სინოლოგიაში სადავოდ არის ქცეული თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილი დებულება:

არამართებულად ითვლება შეხედულება, თითქოს ჩინური ერთმარცვლოვანი იყოს. ერთმარცვლოვანი სიტყვების გვერდით

თანამედროვე ჩინურში მრავლად გვხვდება მრავალმარცვლოვანი სიტყვები, როგორც კომპოზიტები, ისე ნაწარმოები სიტყვები[1].

თანამედროვე ჩინური სრულიად უაფიქსო ენადაც არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ნ. კონრადს სტატიაში „ჩინური ენის შესახებ“ მოჰყავს მრავალი ნიმუში იმისა, რომ ახალ ჩინურში სიტყვებს აფიქსები დაერთვის. როგორც წესი, ეს არის სიტყვაწარმოებითი აფიქსები. ავტორი ფიქრობს, რომ სიტყვაცვალებადობის აფიქსებიც გვხვდება ჩინურში[2].

საკითხი, თითქოს ჩინურს არ ჰქონდეს მეტყველების ნაწილები, დიდი ხანია იწვევს დავას. ჯერ კიდევ გ. ფონ დერ გაბელენცი (Chinesische Grammatik, Leipzig, 1881 წ.) აღნიშნავდა, რომ ჩინურში არსებობს მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილთა არსებობას იცავდნენ ჩინელი გრამატიკოსებიც[3]. ამავე მოსაზრებას უჭერენ მხარს დრაგუნოვი და კონრადიც[4]. ამ უკანასკნელის მიხედვით, მეტყველების ნაწილთა გარჩევის ერთ-ერთ საშუალებას მახვილი ან ტონი წარმოადგენს. ავტორს ასეთი მაგალითი მოჰყავს: სიტყვა „ხაო“ მესამე ტონით ზედსართავია „კარგი“, მეოთხე ტონით კი —ზმნა „უყვარს“.

ამ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია კონრადის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტონი ჩინურში თვისობრივად განასხვავებს ხმოვნებს. მაგალითად, პირველი ტონი (თანაბარი) გრძელ მარცვალს გვაძლევს, მეორე—მოკლეს. ტონის შეცვლა ბგერათა ცვლასაც იწვევს გარკვეულ შემთხვევებში. მაგ. шуй[2] „ვინ“, шуй[3] „წყალი“. პირველი სიტყვა წარმოითქმის, როგორც шуй, მეორე კი.—როგორც шӯэй. თვით თანხმოვანიც შეიძლება შეიცვალოს ტონის შეცვლასთან დაკავშირებით: чжан „ზრდა“ მესამე ტონით არის, чан „გრძელი“ — მეორითა[5]. ამიტომ ავტორი ასკვნის, რომ ტონის ცვლა შესაძლებელია შინაგან ფლექსიად მივიჩნიოთო.

იზოლირებული ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად განსხვავდება ფლექსიურ ინდოევროპულ ენათაგან, ტრადიციულ მორფოლოგიურ

---

[1] Н. И. Конрад, О китайском языке. Вопросы языкознания, 1952, № 3, გვ. 64—72.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] მოგვყავს А. А. Драгунов-ის [მიხედვით Исследования по грамматике современного китайского языка. I. Части речи. 1952, გვ. 19.

[4] კონრადი. დასახ. შრ., გვ. 75—76.

[5] იქვე, გვ. 70.

კლასიფიკაციაში განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურად ცხადდებოდა. ამის შესაბამისად ხასიათდებოდა ჩინურის სტრუქტურული თავისებურებანიც: ერთმარცვლიანობა, აფიქსთა და მეტყველების ნაწილთა უქონლობა. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებლად ითვლებოდა, რომ ჩინური ენა პრიმიტიულია თავისი აგებულებით. ეს შეხედულება უკვე ჰუმბოლდტთან გვხვდება. თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვერც ჰუმბოლდტმა და ვერც შლაიხერმა ვერ შეძლეს დაესაბუთებინათ თავიანთი მცდარი შეხედულება. სწორედ ჩინურის საკითხი ქმნის ყველაზე სუსტ ადგილს ორივე დასახელებულ ავტორთან, რადგანაც მათ არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ იმ ფაქტისათვის, რომ ჩინელი ხალხი ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კულტურის მატარებელია. გაურკვეველი რჩებოდა, როგორ შეიძლებოდა ასეთ მაღალ კულტურას მომსახურებოდა პრიმიტიული, განვითარების დაბალ საფეხურზე გაჩერებული ენა. მიუხედავად ამ აშკარა შინაგანი წინააღმდეგობისა, შეხედულებას ჩინური ენის პრიმიტიულობის შესახებ ბოლო ხანებშიაც ჰყავს დამცველები დასავლეთ ევროპის ენათმეცნიერებაში. ასე, მაგალითად, როგორც აღნიშნავენ, მასპერო 1934 წელს მხარს უჭერდა მოსაზრებას, თითქოს ჩინური ენა „პრიმიტიული", „დიფუზური", „დაუნაწევრებელი" და „გაუდიფერენცირებელი" იყოს[1].

ბ. კარლგრენის სიტყვით: „ჩინური ენის გრამატიკა ფაქტიურად ძალიან ღარიბია. მას ქმნის ძირითადად წინადადებაში სიტყვათა განლაგების წესები და ამასთან ერთად ზოგიერთი დამხმარე გრამატიკული სიტყვის ფუნქციები. ყველაფერი ის, რაც ჩვენს გრამატიკებში ბრუნებასა და უღვლილებას და სიტყვაწარმოების წესებს განეკუთვნება, იქ თითქმის სრულიად არა გვაქვს. ენას არაჩვეულებრივად შეკუმშულად და ღარიბად აქცევს ის გარემოება, რომ ჩინური ენა არ იყენებს სპეციფიკურ ნიშნებს, როგორიცაა, მაგალითად, ძირის ცვალებადობა ან სხვადასხვაგვარი დაბოლოებები იმის საჩვენებლად, თუ რომელი მეტყველების ნაწილი გვაქვს მხედველობაში ან არა-და რომელი რიცხვი ან ბრუნვა—არსებითი სახელის მიმართ, ანდა დრო ან კილო—ზმნის მიმართ. ჩვენ ბევრად უფრო გვიძნელდება, ვიდრე ჩვენს მშობლიურ ენაში, ხელშესახები და ანალიზს დაქვემდებარებული მითითებების საშუალებით ვიპო-

---

[1] **Henri Maspero**, La langue chinoise. Conférences de l'Institut linguistique de l'Université de Paris, 1934, გვ. 35, 36. იმავე ავტორის: Le chinois. Encyclopédie Française, I. 1939, მოგვყავს ა. დრაგუნოვის მიხედვით, დასახ. შრ., გვ. 16—17.

ვით სიტყვათა უფრო ზუსტი მნიშვნელობა და მათი ფუნქციები წინადადებაში. ნათელი ფორმანტების უქონლობა დიდ მოთხოვნილებებს უყენებს ჩვენი მიხვედრის უნარს და სწორედ ამაში მდგომარეობს ჩინური ენის ყველაზე დიდი სიძნელე"[1].

ბუნებრივია, რომ ასეთი ტენდენციური შეფასება ჩინური ენისა იწვევდა და მით უმეტეს ამჟამადაც იწვევს პროტესტს. ჯერ კიდევ 1881 წ. გაბელენცს განუცხადებია ჰუმბოლდტის წინააღმდეგ, უკვე გრამატიკული ცოდნის თანამედროვე დონეზედაც კი ჩვენ ძალიან ხშირად აშკარად ვერკვევით მეტყველების ნაწილებში და მათ სინტაქსურ ურთიერთობებში, მაშინაც კი როცა სათანადო სიტყვათა მატერიალური მნიშვნელობა არ ვიცით[2].

ჩინური გრამატიკის ავტორი პ. შმიდტი 1915 წელს წერდა: „მე არ შემიძლია დავეთანხმო აგრეთვე საერთო შეხედულებას, რომ ჩინური ენა პრიმიტიულ მდგომარეობაში დარჩა და შედგება მხოლოდ პირველადი უცვლელი და ერთმარცვლიანი სიტყვებისაგან. თითქოს ჩინური სიტყვები მათი მონოსილაბურობის გამო არ განიცდიდნენ ცვალებადობას"[3].

კიდევ უფრო მკაცრად და თანმიმდევრულად ილაშქრებენ საბჭოთა მკვლევრები იმ შეხედულების წინააღმდეგ, თითქოს ჩინური ენა განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდეს[4]. ამ არაშეცნიერულ, წმინდა სუბიექტურ შეხედულებას არავითარი გამართლება არა აქვს. მაგრამ როდესაც სრულიად სამართლიანად უარყოფენ ამ მცდარ შეხედულებას, სინოლოგებს, ჩვენი აზრით, ერთგვარი გადამეტება ემჩნევათ იმ მხრივ, რომ ისინი ცდილობენ ჩინურში დაადასტურონ ყველა ის სტრუქტურული ნიშანი, რომლებიც ინდოევროპულ ენებს ახასიათებს. ტენდენცია ასეთი ჩანს: თუ ჩინური ენის პრიმიტიულობის შესახებ მსჯელობდნენ იმის გამო, რომ ეს ენა ერთმარცვლოვანია, აფიქსებს არ იყენებს და მას მეტყველების ნაწილები არა აქვს; პრიმიტიულობის თეორიის უარყოფისათვის თითქოს აუცილებელი იყოს საწინააღმ-

---

[1] „The Chinese Language", an Essay on its Naturs and History by Bernhard Karlgron. New Jork, 1949, გვ. 68. მოგვყავს კონრადის დასახ. შრომის მიხედვით, გვ. 77.

[2] დრაგუნოვი, დასახ. შრ., გვ. 19.

[3] П. П. Шмидт, Опыт мандаринской грамматики, Владивосток, 1915, გვ. 6.

[4] იხ. მაგ., დრაგუნოვისა და კონრადის დასახელებული შრომები. მხოლოდ ნ. მარი და მისი მიმდევრები თვლიდნენ ჩინურს პრიმიტიულ ენად.

დეგოს დამტკიცება, ე. ი. რომ ჩინური ენა არ არის მონოსილაბური, მას აფიქსებიც აქვს და მეტყველების ნაწილებიც. რა თქმა უნდა, ამას რომ ამტკიცებენ, მკვლევრები გარკვეულ ფაქტებს ემყარებიან, რომლებშიაც ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ გახაზულია და წინ წამოწეული ის მხარეები, რომლებიც ჩინურ ენას აახლოვებს სხვა ტიპის (აფიქსებიან) ენებთან, ხოლო მისი სპეციფიკა კი იჩრდილება.

ასე, მაგალითად, ამტკიცებენ, რომ ახალ ჩინურში მრავალმარცვლიანი სიტყვებიც არსებობს. მაგრამ არავინ უარყოფს იმას, რომ დიდი რაოდენობით გვხვდება ერთმარცვლიანი სიტყვები. მკვლევართა მთელი ყურადღება ჩინურის მონოსილაბურობის უარყოფაზეა გადატანილი, ხოლო ერთმარცვლიანი სიტყვების სიმრავლე, რითაც ჩინური გამოირჩევა სხვა ენებისაგან, იჩქმალება.

ერთგვარი ძალდატანების შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე ცდა იმისა, რომ დადასტურდეს ჩინურში მეტყველების ნაწილთა არსებობა. მართალია, როგორც ირკვევა, რიგ სიტყვაში გარკვეული საშუალებებით გარჩეულია არსებითი სახელი და ზმნა ან ზედსართავი, მაგრამ არანაკლებ ხშირად, როგორც იმავე ავტორებთან ჩანს, სიტყვებს მეტყველების ნაწილთა განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშნები არ მოეპოვებათ, მხოლოდ ფრაზაში იღებენ ისინი კონკრეტულ ფუნქციას. სწორედ ეს მხარე არის სპეციფიკური ჩინური ენისათვის და მისი უგულებელყოფა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამართლებული.

ბოლოს, კონრადი ხელშესახებად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ჩინურში იხმარება სიტყვაწარმოებითი აფიქსები, მაგრამ ასევე დამაჯერებელი არ არის მისი მტკიცება, თითქოს ამ ენას სიტყვაცვალებადობის აფიქსებიც ფართოდ ჰქონდეს გამოყენებული.

გამოდის, რომ ჩინური პოლისილაბურიც არის, მას აფიქსებიც მოეპოვება, ფუძის ფლექსიაც და მეტყველების ნაწილებიც აქვს. მაშ, რით განსხვავდება იგი სტრუქტურულად, ვთქვათ, ინდოევროპული ენებისაგან? ნუთუ არაფრით? ასეთი კითხვა ბუნებრივად ჩნდება და, რა თქმა უნდა, მასზე დადებითი პასუხის გაცემა სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა. რადგანაც იგი ჩინური ენის თავისებურებათა მიჩქმალვას გამოიწვევდა. თუ ჩინურისა და ინდოევროპულ ენათა აგებულებაში არსებული განსხვავების გამო ზოგმა მკვლევარმა დაასკვნა, თითქოს ჩინური არ იყოს სრულფასოვანი ენა, ამ უაღრესად მცდარი შეხედულების უკუგდებამ არ უნდა

მიგვიყვანოს ჩინურის სპეციფიკის უარყოფამდე. ასეთი საფრთხე კი, ვფიქრობთ, აშკარად იგრძნობა.

მთელი გარკვეულობით უნდა იქნეს უკუგდებული არამეცნიერული შეხედულება, თითქოს ჩინური ენა, რომელზედაც შექმნილია უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურული, მეცნიერული და ფილოსოფიური ძეგლები, ნაკლები ღირებულების მქონე იყოს, ვიდრე რომელიმე სხვა ენა. და თუ ჩინურში გვხვდება მონოსილაბიზმი ან თუ ჩინური არ დაირთავს დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს ან არ განასხვავებს მეტყველების ნაწილებს, როგორც ეს სხვა ენებშია, ეს იმაზე კი არ მიუთითებს, რომ ჩინური ჩამორჩენილი ენაა, არამედ იმას გვიჩვენებს, რომ ენებს მრავალფეროვანი საშუალებები მოეპოვებათ აზრის გამოსახატავად და ამ საშუალებებიდან ზოგი ენა ერთს აძლევს უპირატესობას, ზოგი კიდევ—სხვას.

ჩინურის ისტორიის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის სწორად გაგებისათვის. ამ მიმართულებით ორი საკითხია სპეციალურ ლიტერატურაში დასმული. პირველი—ჩინურის მონოსილაბურობას ეხება, მეორე კი—აფიქსთა ოდინდელ არსებობას.

ჩინურ ერთმარცვლიან სიტყვებს მონათესავე ენებში მრავალმარცვლიანი სიტყვები შეესაბამება. ამის საფუძველზე ასკვნიან, რომ ჩინური ოდესღაც მრავალმარცვლიანი ყოფილა და მაშასადამე მისი ერთმარცვლიანობა არაა თავდაპირველი მოვლენა[1].

დაისვა მეორე საკითხიც: ხომ არ ჰქონდა ჩინურს ოდესღაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები? ამ საკითხის დადებითად გადაჭრა ცადა კარლგრენმა 1920 წ. ნაშრომში „პროტო-ჩინური, ფლექსიური ენა"[2]. კარლგრენის გამოკვლევა ემყარება იმ ფაქტს, რომ ძველ ჩინურში პირის ნაცვალსახელები ორ-ორ ფორმას ავლენენ. კარლგრენი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ეს განსხვავება ოდესღაც არსებული ბრუნების გადმონაშთია და რომ ეს ფორმები ამჟამადაც სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენებიან: ერთნი—სახელობითისათვის, მეორენი—ობიექტის აღსანიშნავად:

	1 პირი	2 პირი
სახელობითი	ŋuo	nźiwo
ობიექტური ბრ.	ŋa	nźia[3].

[1] П. П. Шмидт, Опыт мандаринской грамматики, გვ. 7.

[2] Le Proto-chinois, langue flexionelle, Journal Asiatique. 1920, XV, გვ. 205—232.

[3] მოგვყავს ო. იესპერსენის მიხედვით: Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung, გვ. 358.

კარლგრენმა ამ ფაქტის განზოგადების საფუძველზე დაასკვნა, რომ პროტო-ჩინური ფლექსიური ენა უნდა ყოფილიყო.

ეს დასკვნა არ არის საყოველთაოდ გაზიარებული. ასე, მაგალითად, ა. დრაგუნოვი აღნიშნავს, რომ კარლგრენმა ძველი ჩინურის პირის ნაცვალსახელთა ზოგი ფონეტიკური თავისებურება შეცდომით ბრუნების ნაშთად ჩათვალა და გააკეთა უსაფუძვლო დასკვნა მთლიანად პროტო-ჩინური ენის ფლექსიური ხასიათის შესახებ[1].

ამგვარად, სადავოა შეხედულება, თითქოს ჩინური ოდესღაც ფლექსიური ენა იყო. ამას, ალბათ, ისიც დაუჭერს მხარს, რომ ჩინურის მონათესავე ენებს ტიბეტურს და სიამურსაც არა აქვთ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები.

როგორც ვხედავთ, ჩინურის სტრუქტურის შესწავლის მხრივ ჯერ ყველაფერი საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ ძველ გრამატიკებთან შედარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული წინ. ეს ახალი მიღწევები სრულიად არ არის გათვალისწინებული ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში, რომელიც კვლავ ტრადიციულ გაგებას ემყარება.

რა საკითხები იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას მორფოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით ჩინურის შესახებ ახალი გამოკვლევების სინათლეზე? პირველ ყოვლისა აშკარა ხდება, რომ არ არსებობს გარდაუვალი ზღვარი ჩინურისა და სხვა ენათა სტრუქტურას შორის, როგორც ამას მორფოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტატორები ფიქრობდნენ. ჩინურისათვის არ არის პრინციპულად უცხო არც მრავალმარცვლიანობა და არც აფიქსთა გამოყენება. ჩინურის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მასში გაბატონებულია მიმართებათა გამოხატვის სხვა საშუალებები: ადგილმდებარეობა, დამხმარე სიტყვები და ნაწილაკები, ინტონაცია.

მეორე მხრივ, ირკვევა, რომ ენა შეიძლება ფართოდ იყენებდეს მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს და ბევრად უფრო იშვიათად დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს. ასეთია ვითარება თანამედროვე ჩინურში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, თუ როგორი საშუალებებია ენაში გამოყენებული სიტყვაწარმოებისათვის და

---

[1] А. А. Драгунов, Исследования по грамматике современного китайского языка, გვ. 18. აღსანიშნავია, რომ კარლგრენის გამოკვლევას მასპეროს კრიტიკული შენიშვნებიც გამოუწვევია (იქვე).

როგორი ფორმაცვალებისათვის. თუ მათ შორის განსხვავება არსებობს, ეს უნდა აისახოს კლასიფიკაციის სქემაში[1].

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა პირველი მორფოლოგიური ტიპის აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ. იხმარებოდა: ამორფული (უფორმო), მონოსილაბური, ძირეული, იზოლირებული. ამათგან ამორფული ანუ უფორმო კარგა ხანია უკუგდებულია, როგორც ჩინურის სტრუქტურის მცდარი ინტერპრეტაციის შედეგი. ჩინური ენა არ არის უფორმო, მას აქვს მხოლოდ თავისებური ფორმა, თავისებური სტრუქტურა, რომელიც განსხვავდება რიგ სხვა ენათა სტრუქტურისაგან.

გაუმართლებელია მეორე ტერმინიც—მონოსილაბური. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი არ იძლევა ჩვენთვის საინტერესო ტიპის სტრუქტურულ დახასიათებას. მეორეცაა და, ერთმარცვლიანობა, როგორც ვნახეთ, სრულიადაც არ არის იზოლირებული ენის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი. თანამედროვე ჩინურში ბევრია არაერთმარცვლიანი სიტყვა, მით უფრო ითქმის ეს ჩინურის მონათესავე ენებზე: ბირმულზე, ტიბეტურზე, რომლებიც ტიპოლოგიურად აგრეთვე იზოლირებული არიან.

გარკვეული უხერხულობანი ახლავს ტერმინ „ძირეულსაც". როგორც ცნობილია, ძირი აფიქსის კორელაციური ცნებაა, იგი იქ გამოიყოფა, სადაც აფიქსიც გვაქვს. მაშასადამე, ძირები აფიქსებიან ენებში გვხვდება. იზოლირებულ ენებში კი ფორმაუცვლელ სიტყვებთან გვაქვს საქმე და არა ძირებთან.

გვრჩება „იზოლირებული", რომელიც ამ ენათა ყველაზე სპეციფიკურ ნიშანზე მიუთითებს, სახელდობრ, იმაზე რომ სიტყვები არ არიან ერთმანეთთან აფიქსებით დაკავშირებული. ამიტომ, ვფიქრობთ, არსებულ ტერმინთაგან უკანასკნელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში დასაზუსტებელია ინკორპორაციული ტიპის საკითხიც. როგორც აღნიშნული იყო, არც ფრ. შლეგელთან და არც ჰუმბოლდტთან ინკორპორაცია და აგლუტინაცია არ ყოფილა გამიჯნული ერთმანეთისაგან. შლეიხერი ინკორპორაციულ ტიპს აგლუტინაციურის ქვესახეობად თვლიდა. უფრო გვიან ინკორპორაციამ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში დამოუკიდებელი ადგილი დაიმკვიდრა და ოთხწევროვანი კლასი-

[1] ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ ფრ. მისტელი და შემდეგ ზოგი სხვა ავტორიც განასხვავებენ ერთმანეთისაგან ძირიზოლირებულსა და ფუძეიზოლირებულ ენებს.

ფიკაციის სქემა ფართოდ გავრცელდა, თუმცა ამის გვერდით ამჟამადაც ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც მხოლოდ სამ მორფოლოგიურ ტიპს (იზოლირებულს, აგლუტინაციურს, ფლექსიურს) გამოყოფენ.

ინკორპორაციულ ენათა გამოყოფა ცალკე ჯგუფში სავსებით გამართლებულია ენათა მორფოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით. ინკორპორაციის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად ის მიიჩნიათ, რომ ობიექტები და წინადადების ზოგი სხვა წევრი ზმნაშია ჩართული. მაგალითად, ჩუკჩურად ინკორპორაციული მთლიანი ti-vala-nto-aᵉk ნიშნავს: „მე ამოვიძვრე დანა“ (ti—1 პ. მხ. რ.-ის პრეფიქსია vala—სიტყვა „დანის“ ფუძე, nto—ზმნა „ამოღების“ ფუძე; = aᵉk სუფიქსი გამოხატავს ნამყო დროს და მხ. რ.-ის 1 პირს)[1].

ინკორპორაციული ენის სტრუქტურა განსხვავდება დანარჩენი ტიპებისაგან იმით, რომ სიტყვა თავისი მოცულობით სხვა ენათა წინადადებას უტოლდება. სწორედ ამიტომ ამ ტიპს სიტყვა-წინადადებასაც უწოდებენ. ამგვარად, სადავო არ უნდა იყოს ის, რომ ინკორპორაცია ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის მეოთხე ტიპს ქმნის. მაგრამ გაუგებრობას იწვევს მეორე სახელწოდება,— პოლისინთეზური, რომელიც, ჩვეულებრივ, ინკორპორაციის სინონიმად იხმარება და რომელიც ამ ბოლო ხანებში უფრო მეტადაც არის გავრცელებული ჩვენთვის საინტერესო ტიპის აღსანიშნავად, ვიდრე ინკორპორაცია.

პოლისინთეტიზმი გულისხმობს მრავალი ცნების თავმოყრას სიტყვის ფარგლებში და ამდენად, ერთი შეხედვით, თითქოს სავსებით გამართლებული ჩანს მისი ხმარება ინკორპორაციის მნიშვნელობით. მაგრამ ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით. საკითხის გულდასმით შესწავლა კი აუცილებელს ხდის გაირჩეს ერთმანეთისაგან ინკორპორაცია და პოლისინთეზურობა. საქმე ის არის, რომ პოლისინთეზური შეიძლება იყოს არა მხოლოდ ინკორპორაციული ენა, არამედ აგრეთვე აგლუტინაციურიც. ფრ. შლეგელი და ჰუმბოლდტი ბასკურსა და ამერიკის ენებს რომ ერთ ჯგუფში აქცევდნენ, ეს სავსებით უსაფუძვლო არ იყო. ისინი იმას ემყარებოდნენ, რომ ბასკურშიაც და ამერიკის ენებშიაც ობიექტი ზმნაში არის გამოხატული, რაც სრულიად უცხოა ინდოევროპულ ენათათვის. მაშასადმე, ზემოთ დასახელებულ ენათა სიტყვაში ცნების სინთეზირე-

---

1 В. Г. Богораз, Материалы по языку азиатских эскимосов, Ленинград, 1949, გვ. 60.

ბის ხარისხი უფრო მაღალია. ვიდრე ინდოევროპულ ენებში. ამ მხრივ ბასკურს უდგას გვერდში რიგი იბერიულ-კავკასიური ენაც. მაგალითად, ქართველურ ენათა ზმნას, როგორც ცნობილია, შეუძლია მიუთითოს ორ ობიექტზე, სუბიექტსა და ობიექტს შორის კუთვნილებით ურთიერთობაზე, კაუზატივობაზე და სხვ. განსაკუთრებით შორს მიდის ამ მხრივ აფხაზური. მიუხედავად ამ მსგავსებისა, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს, მაგალითად, აფხაზურსა და ინკორპორაციულ ენებს შორის. ამ განსხვავებას ის ქმნის, რომ ინკორპორაციის დროს ერთი სიტყვის ფარგლებში იყრის თავს კონკრეტული შინაარსის მქონე ელემენტები, რომლებიც დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობენ. ინკორპორაციულ კომპლექსში მართლაც მთელი ფრაზაა მოცემული თავისი კონკრეტული შინაარსით. მაგალითად, ni-naca-qua „მე ვჭამ ხორცს". ni პირველი პირის ნაცვალსახელია, qua—ზმნური ფუძე, naca მომდინარეობს სიტყვისაგან nacatl „ხორცი"[1].

აფხაზურ ზმნაში კი ობიექტები და სხვა წევრები წარმოდგენილია ფორმანტების სახით, რომლებიც ნაცვალსახელებისაგან მომდინარეობენ და კონკრეტულ მნიშვნელობას მოკლებული არიან. ისინი მიუთითებენ წინადადების სხვა წევრებზე, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ. თუმცა ზმნის ფორმა გვიჩვენებს, რომ წინადადებაში ობიექტები უნდა იყოს, მაგრამ თვით ამ ობიექტთა კონკრეტული შინაარსი ზმნაში არ ჩანს. ამიტომ ასეთი ზმნა თავისი შინაარსით კონკრეტულ წინადადებას არ უდრის. მაგალითად, აფჰიჲს ალა' ჲალთოჲტ აკიაც „ქალი ძაღლს აძლევს ხორცს". ზმნაში ჲ-ა-ლ-თოჲტ ჲ პირდაპირი ობიექტის პრეფიქსია, ის მიუთითებს იმაზე, რომ პირდაპირი ობიექტი არაგონიერთა კლასს განეკუთვნება, ა- ირიბ ობიექტს აღნიშნავს, ლ კი—სუბიექტს, იგი ადამიანის კლასის მდედრობითი სქესის სუბიექტის ნიშანია. ამგვარად. ზმნა მითითებას გვაძლევს იმის შესახებ, რომ „ადამიანი მდედრობითი სქესისა რაღაცას აძლევს ვიღაცას არა ადამიანს". მაგრამ კონკრეტულად ვინ არის ეს ადამიანი, რას წარმოადგენს მისი მოქმედების საგანი ან ვის აძლევენ რაღაცას, ამის შესახებ, ინკორპორაციულ ენათაგან განსხვავებით, ზმნა არაფერს გვეუბნება.

---

[1] ეს მაგალითი ჰუმბოლდტს აქვს მოყვანილი მექსიკური ენიდან. კავი-ენის შესავალი, გვ. 438.

ქოველივე ამის აღსანიშნავად წინადადებაში ცალკე სიტყვებია გამოყენებული: აფხაზს „ქალი“, ალა „ძაღლი“ და აგაც „ხორცი“[1].

როგორც ვხედავთ, პოლისინთეზური ენა შეიძლება არ იყოს ინკორპორაციული. ჩვენს მაგალითში აფხაზური აგლუტინაციურია. ინკორპორაციისა და პოლისინთეტიზმის გამიჯვნის საჭიროებაზე მიუთითებს პალეოაზიურ ენათა მკვლევარი ბოგორაზიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ესკიმოსური, რომელიც არ არის ინკორპორაციული, პოლისინთეზურ ენებს განეკუთვნება, რადგანაც მას ახასიათებს აფიქსთა დიდი რაოდენობით თავმოყრა სიტყვაში[2].

თუკი პოლისინთეტიზმი არ უდრის ინკორპორაციას, ხომ არ უნდა გამოვყოთ იგი ცალკე მორფოლოგიურ ტიპად?—რა თქმა უნდა, არა. როგორც ვნახეთ, პოლისინთეზურობა შეიძლება წარმოადგენდეს ინკორპორაციის ან აგლუტინაციის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს. მაშასადამე, იგი არ არის ისეთი ცნება, რომელიც შეიძლება დაუპირისპირდეს ენათა დანარჩენ მორფოლოგიურ ტიპებს: იზოლაციას, ფლექსიას, აგლუტინაციას და ინკორპორაციას.

ენათმეცნიერებაში მოგვეპოვება პოლისინთეტიზმის შესაპირისპირებელი ცნებები. ესაა—ანალიზურობა და სინთეზურობა. ანალიზური და სინთეზური ტიპები პირველად ავგ. შლეგელმა გამოყო ინდოევროპულ (ფლექსიურ) ენებში. ამის შემდეგაც ამ ცნებებს, ჩვეულებრივ, ინდოევროპულ ენათა მიმართ ხმარობენ. ეს არ არის მართებული. ტერმინები ანალიზური, სინთეზური, პოლისინთეზური გვიჩვენებენ, თუ რა რაოდენობის გრამატიკული ცნებებია თავმოყრილი სიტყვაში. ანალიზურ ენაში მათი რაოდენობა მინიმალურია, სინთეზურში უფრო მეტი, პოლისინთეზურში—მაქსიმალური. ამიტომ საკმაებით მართებულად იქცევა ედ. სპირი, როდესაც იგი ამ ტერმინებს ყველა მორფოლოგიური ტიპის მიმართ იყენებს[3]. იზოლირებული ენები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ანალიზური არიან. ფლექსიური და აგლუტინაციური ენები შეიძლება იყვნენ, როგორც ანალიზური (მაგ., ინგლისური, ფრანგული), ისე სინთეზური (რუსული, ძველი ბერძნული, ლათინური, ქართული...) და აგრეთვე პოლისინთეზური[4] (აფხაზური). ინკორპორაციული ენები კი, ჩვეულებრივ, პოლისინთეზური არიან. სინთეზის ხარის-

---

[1] მაგალითი მოგვაწოდა პროფ. ქ. ლომთათიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[2] В. Г. Богораз, Материалы по языку азиатских эскимосов, გვ. 60.

[3] Эд. Сепир, Язык. Введение в изучение речи, 1934, თ. VI.

[4] სეპირი გაბაზავს იმას, რომ ფლექსიური ენაც შეიძლება იყოს პოლისინთეზური. დასახ. შრ., გვ. 101.

ხის მიხედვით ენათა დაყოფას, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მნიშვნელობა აქვს ენათა განვითარების ტენდენციების გარკვევისათვისაც. ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ ანალიზურობა, სინთეზურობა და პოლისინთეზურობა შეფარდებითი ცნებებია და მათ შორის მტკიცე მიჯნების დადგენა შეუძლებელი არის[1].

§34. ენათა ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლოვანებას ის წარმოადგენს, რომ ამ კლასიფიკაციაში გაანალიზებულია მსოფლიოს ენათა მეტად მცირე რაოდენობა და არ არის მხედველობაში მიღებული დანარჩენ ენათა სტრუქტურული თავისებურებანი. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც კლასიფიკაციის სქემის სისრულის, ისე, განსაკუთრებით, მორფოლოგიურ ტიპთა ინტერპრეტაციისათვის. არა გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ მორფოლოგიურ ტიპთა მონაცვლეობის შესახებ, თუ არ გავითვალისწინებთ ენათა მთელ მრავალფეროვნებას. შლეგელთან, ჰუმბოლდტთან, შლაიხერთან ერთგვარი გამართლება ჰქონდა იმას, რომ მორფოლოგიური კლასიფიკაცია მხედველობაში იღებდა ენათა მცირე რაოდენობას, რადგანაც იმ დროს მეცნიერულად ცოტა ენა იყო შესწავლილი. ამჟამად სრულიად გაუმართლებელია ის, რომ მორფოლოგიური კლასიფიკაცია ისევ და ისევ იმ ენებს ითვალისწინებს, რომლებიც XIX საუკუნის სამოციან წლებამდის გვქონდა წარმოდგენილი.

ახალ ენათა შესწავლას მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა შეუძლია ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში. ამის მაჩვენებელია ის მეტად მცირერიცხოვანი ცდები, რომელთა მიზანიც არის ახალ ენათა გათვალისწინება მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში. პირველი ასეთი ცდა ფ. მისტელისთან გვხვდება. მისტელი შრომაში „ენობრივი წყობის ძირითად ტიპთა დახასიათება“ კლასიფიკაციის შემდეგ სქემას იძლევა[2].

1. შთასხეულებითი ენები:

   1. მექსიკური ტიპი.
   2. გრენლანდიური ტიპი.

---

[1] შდრ. სეპირი, იქვე, გვ. 100.

[2] Dr. Franz Misteli. Charakteristik der hauptsächlichsten Typen des Sprachbaues, Berlin, 1893. მისტელის სქემა სრული სახით აქ არ მოგვყავს, რადგანაც მის შესახებ დაწვრილებით მსჯელობა გვექნება ენათა ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით.

II. ძირიზოლირებული ენები:
3. ჩინური ტიპი.
4. სიამური (და ბირმული) ტიპი.

III. ფუძეიზოლირებული ენები:
5. მალაურ-დაიაკური ტიპი.

IV. თანწყობითი ენები:
6. ეგვიპტურ-კოპტური ტიპი.
7. ბანტუ-ტიპი (კაფრული).

V. აგლუტინაციური ენები:
8. ურალურ-ალთაური ტიპი (ფინური, უნგრული და იაკუტური).
9. დრავიდული ტიპი (კანარული).

VI. ფლექსიური ენები:
10. სემიტური ტიპი (ებრაული და არაბული).
11. ინდოგერმანული ტიპი.

ამ სქემაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ, ნაცვლად ტრადიციული ოთხისა, ენათა ექვსი ძირითადი ჯგუფი გვხვდება. გარჩეულია ერთმანეთისაგან ძირიზოლირებული და ფუძეიზოლირებული ენები. ფუძეიზოლირებული ენები სიტყვაწარმოებით აფიქსებს დაირთავენ, ძირიზოლირებული ენები კი—არა. აგლუტინაციურ ენათა გვერდით გამოყოფილია თანწყობითი (anreihende) ენები. გარდა ამისა, მისტელის მიხედვით, თითოეულ ჯგუფში კიდევ ქვეკლასები გვხვდება. ასე, მაგალითად, შთასხეულებითი ენები ორგვარია: მექსიკური ტიპისა და გრენლანდიური ტიპისა, ასევე ძირიზოლირებული და სხვა ენები. ამგვარად, მთლიანად მისტელი ენათა 11 ტიპს გამოყოფს.

ენათა თავისებურ დაჯგუფებას იძლევა ფ. ფინკი, რომელსაც აშკარად ემჩნევა მისტელის სქემის ძლიერი გავლენა[1].

ფინკი რვა ენას განიხილავს. თითოეულ მათგანს იგი გარკვეული ტიპის წარმომადგენლად მიიჩნევს და ამგვარად 8 ტიპს გამო-

[1] Dr. Franz Nikolaus Finck. Die Haupttypen des Sprachbaues, Leipzig, 1910. წინასიტყვაობაში ავტორი შენიშნავს: თავდაპირველად ჩემი სურვილი იყო თანამედროვე ლინგვისტებისათვის მიმეწოდებინა ენათა მიმოხილვა, რომელიც ვილჰ. ჰუმბოლდტმა შექმნა, შემდეგ კი განსაკუთრებით შტაინთალმა, აგრეთვე მისტელიმ, ბირნმა (James Byrne) და ჰ. ვინკლერმა განავითარეს, მაგრამ შემდეგ თითქმის ჩემი სურვილის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი გავხდიო (გვ. III).

ყოფს. თუ ავტორისეულ დაჯგუფებას სქემის სახით წარმოვადგენთ (თვითონ ფინკს ასეთი სქემა არა აქვს), შემდეგ სურათს მივიღებთ:

1. ძირიზოლირებული	— ჩინური
2. ფუძეიზოლირებული	— სამოანური (პოლინეზ.)
3. ძირფლექსიური	— არაბული
4. ფუძეფლექსიური	— ბერძნული
5. ჯგუფებფლექსიური	— ქართული
6. დაქვემდებარებითი (unterordnende)	— თურქული
7. ინკორპორაციული	— გრენლანდიური
8. თანწყობითი (anreihende)	— სუბიდა ენა

აშკარაა, რომ პირველი ორი ტიპი (ძირიზოლირებული და ფუძეიზოლირებული) ერთი ჯგუფის (იზოლირებული) ქვესახეობებია. ასევე ერთ ჯგუფს ქმნიან მესამე, მეოთხე და მეხუთე ტიპები. ყველა ისინი, ავტორის აზრით, ფლექსიურია. მათ ახასიათებს მიმართებათა გამოხატვა წინადადების წევრებს შორის. განსხვავებას კი მათ შორის ის ქმნის, თუ რა ელემენტი დაირთავს ფლექსიას. ასეთ ძირითად ელემენტს არაბულში სამთანხმოვნიანი ძირი წარმოადგენს, ბერძნულში—ფუძე, ქართულში კი ელემენტთა ჯგუფის ერთვის ფლექსია[1].

დაქვემდებარებითს, ინკორპორაციულსა და თანწყობით ენებს ფინკი საერთო სახელს არ არქმევს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამ სამ ჯგუფში მიმართების აღნიშვნა არ წარმოადგენს სიტყვის განუყრელ შემადგენელ ნაწილს, როგორც ეს ბერძნულში, არაბულში და ქართულშია[2]. თითოეული ჯგუფის სპეციფიკა კი შემდეგში მდგომარეობს: თურქული ენის ფუძე გარშემო იკრებს და იქვემდებარებს თავის შემცველ ელემენტებს, გრენლანდიურში ფუძე მათ ჩაირთავს, სუბიდა ენაში კი ფუძე ორი ერთმანეთს მირთული ელემენტი-

[1] ელემენტთა კომპლექსის შესახებ რომ ლაპარაკობს, ფინკს მხედველობაში აქვს ის, რომ ქართული სიტყვა მეტ ელემენტებს შეიცავს (უფრო სინთეზურია), ვიდრე ინდოევროპულ ენებში. ავტორს მოჰყავს ქართული ფრაზა: „იმათ დაინახეს ისეთი ფრინველი, როგორიც თავის დღეში არ ენახათ“ და ამგვარად შლის მას: „ihnen-von-er-für-sich-blick-ten (erblickten für sich) solcher Vogel, solcher-auch Haupt-es Tag-in nicht für-ihn-selbst-gesehen-ist (Pluralzeichen auf „ihn“ bezogen)“. რაც ნიშნავსო: „Sie erblickten einen solchen Vogel, wie sie ihr Lebtag noch nicht gesehen hatten. (გვ. 138). რა თქმა უნდა, მცდარია შეხედულება, თითქოს ქართული ფლექსიური იყოს და ისიც „ჯგუფებფლექსიური“.

[2] F. Finck, დასახ. შრ., გვ. 154.

საგან შედგება[1]. უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება კლასის ნიშანთა ხმარება. სუბიჟა სამხრეთ აფრიკის ენაა ბანტუს ჯგუფისა. მას ახასიათებს კლასის ნიშანთა გამოყენება სიტყვებთან. ამის გამო სიტყვები ორ ნაწილად იყოფა: პირველია კლასის ნიშანი (რომელთა რიცხვი ამ ენაში 21-მდე აღწევს), მეორე კი—ფუძე. მაგალითად, *ba* არის პიროვნების (Person) კლასის აღმნიშვნელი. „გოგონა მიდის“ იქნება: ba—kazana ba enda, რაც სიტყვა-სიტყვით უდრის: ადამიანის — გოგონას იგი (მდედრ.) — ადამიანის წასვლა[2].

ფინკის სქემის დაზუსტებას გვაძლევს გიუნტერტი[3].

I იზოლირებული ენები:
- a) ძირიზოლირებული — ჩინური, ტიბეტური.
- b) ფუძეიზოლირებული — სამოანური.

II მაკავშირებელი (konnektierende) ენები:
- a) დაქვემდებარებით — ფინურ-უნგრული, თურქული და დრავიდული ენები.
- b) ინკორპორაციული — ბასკური, გრენლანდიური, ძველ-ამერული, ინდიელთა ენები.
- a) თანწყობითი ანუ აგლუტინაციური — ბანტუ ენები.

III ფლექსიური
- a) ძირფლექსიური ენები: — ინდოგერმანული ენები.
- b) ფუძეფლექსიური — სემიტური, ქამიტური ენები.
- c) ჯგუფებფლექსიური — ქართული.

როგორც ვხედავთ, განსხვავება ფინკსა და გიუნტერტს შორის მხოლოდ ისაა, რომ ეს უკანასკნელი მეტ ენებს ასახელებს, ამასთან მას შემოაქვს ახალი ტერმინი აგლუტინაციურ ენათა ნაცვლად —მაკავშირებელი (konnektierende), რაც წინადადებისა და მის წევრთა შემაერთებელს (Zusammenfügende) ნიშნავსო. საკუთრივ აგლუტინაცია კი, გიუნტერტის აზრით, ბანტუ-ენებში გვაქვს მხოლოდ[4].

ზემომოყვანილი სქემები გვიჩვენებს, რომ ახალი ენების გათვალისწინებას აუცილებლად მოჰყვება ახალი მორფოლოგიური ტიპებისა და ქვეტიპების გამოყოფა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ

---

[1] F. Finck, დასახ. შრ., გვ. 155.

[2] იქვე, გვ. 50.

[3] Herman Güntert, Grundfragen der Sprachwissenschaft. Leipzig, 1925, გვ. 100—101.

[4] იქვე, გვ. 99—100.

ადასტურებს, რომ შეუძლებელია შევქმნათ ნამდვილი მეცნიერული თეორია ენათა ტიპოლოგიის განვითარების შესახებ, თუ მხედველობაში არ გვექნება მიღებული თუ ყველასი არა, ყოველ შემთხვევაში, მრავალი ენის სტრუქტურული თავისებურებანი მაინც. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ამ მხრივ ახალ ენათა ანალიზი გვაძლევს, ეს ის არის, რომ საფუძველი ეცლება შეხედულებას, თითქოს მორფოლოგიური ტიპები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მართალია, ჯერ კიდევ ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ განსხვავება ტიპებს შორის შეფარდებითია და რაოდენობრივი, მაგრამ, მიუხედავად ამ განცხადებისა, ჰუმბოლდტიც და ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის სხვა ავტორებიც არსებითად უპირისპირებდნენ ერთმანეთს ძირეულ, აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებს. სწორედ ამიტომ იყო შესაძლებელი, რომ ისინი დასახელებულ ტიპებს განვითარების სხვადასხვა საფეხურად მიიჩნევდნენ. ენათა სტრუქტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება შეუძლებელს ხდის ასეთ დაშვებას. ჯერ ერთი, დასტურდება არა სამი, არამედ მეტი მორფოლოგიური ტიპი. შემდეგ: თითოეული ტიპის ფარგლებში იმდენი ნაირსახეობანი გვხვდება, რომ შეუძლებელია შევქმნათ განვითარების ისეთი სქემა, სადაც სხვადასხვაგვარი ტიპები ძაფზე ასხმული მძივებივით ერთ სწორ ხაზზე განლაგდებიან, და შემდეგ ვამტკიცოთ, თითქოს სავსებით ერთნაირი გზა უნდა განვლოს ყველა ენამ. სხვადასხვა ენის სტრუქტურაში იმდენი საერთო და ამის გვერდით განსხვავებული მოვლენები შეინიშნება, რომ სამსაფეხურიანი კიბის სახით მათი წარმოდგენა (იზოლაცია → აგლუტინაცია → ფლექსია) საკითხის გამარტივებას და ენის ბუნების უგულებელყოფას გამოიწვევდა. მაშ, როგორ უნდა გავიაზროთ ენათა განვითარება? ამ საკითხის დასმით ჩვენ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტაციის საკითხს მივადექით.

§35. ტრადიციული კლასიფიკაციის ყველაზე სერიოზულ ნაკლოვანებას მორფოლოგიურ ტიპთა ინტერპრეტაციის თვალსაზრისით ის წარმოადგენდა, რომ იზოლირებული, აგლუტინაციური და ფლექსიური ენები სხვადასხვა ღირებულების მქონედ იყო მიჩნეული. სწორედ ამ მცდარ შეხედულებასთან იყო დაკავშირებული ცდა იმისა, რომ მორფოლოგიური ტიპები ერთ ხაზზე განელაგებინათ, ერთმანეთის მომდევნო საფეხურებად მიეჩნიათ ისინი.

ბუნებრივია, რომ სრული მარცხი განიცადა ასეთმა „ისტორიზმმა“, რომელიც მიზნად ისახავდა დაესაბუთებინა ის, რომ

ფლექსიური ენები ყველაზე სრულყოფილი არიან, ხოლო სხვა ენები კი ჩამორჩებიან და არა თუ ხელს არ უწყობენ კულტურისა და აზროვნების განვითარებას, არამედ ზოგჯერ აბრკოლებენ კიდევაც მას (ასე მსჯელობდა, მაგალითად, შლაიხერი ინკორპორაციულ ენათა შესახებ). შლეგელის, ჰუმბოლდტის, შლაიხერის კონცეფციათა გაცნობასთან დაკავშირებით ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ავტორთა თვალსაზრისი სრულიად გაუმართლებელია მეცნიერულად და მხოლოდ იმ სუბიექტური, წინასწარმიღებული შეხედულების გამოვლინებას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ინდოევროპული ენები ქმნიან ადამიანური მეტყველების იდეალს. თუ რაოდენ მცდარ დასკვნებამდე და საკითხის გავულგარებამდე შეიძლება მიგვიყვანოს მორფოლოგიური ტიპების ისეთმა გაგებამ, რომლის მიხედვითაც იზოლირებული ყველაზე დაბალსა და ყველაზე ადრინდელ საფეხურს წარმოადგენს, აგლუტინაციური—მეორეს, ფლექსიური კი —მესამეს და უმაღლესს, ეს ნათლად ჩანს მაქს მიულერის მაგალითზე. ეს მკვლევარი, ცდილობდა რა საზოგადოების განვითარების საფეხურებისათვის დაეკავშირებინა ენათა მორფოლოგიური ტიპები, სერიოზულად იცავდა შეხედულებას, რომ იზოლირებული ენები საზოგადოების განვითარების ოჯახურ საფეხურს შეესაბამება, აგლუტინაციური—მომთაბარულს[1], ფლექსიური კი პოლიტიკურს ანუ სახელმწიფოებრივს[2]. უფრო მეტიც, საკმარისია ხალხი გადავიდეს მომთაბარული ცხოვრებიდან პოლიტიკურზე, რომ მისი ენაც აგლუტინაციურიდან ფლექსიურად იქცესო, წერდა მ. მიულერი[3].

მიუხედავად ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის ავტორთა ცდებისა საფეხურებისებრ განელაგებინათ იზოლირებული, აგლუტინაციური და ფლექსიური ენები, XIX საუკუნის დასასრულისათვის სრულიად აშკარა გახდა, რომ არ შეიძლება ერთი მეორეზე მაღლა დავაყენოთ ენათა მორფოლოგიური ტიპები. ეს სწორი შეხედულება თანმიმდევრულად არის გატარებული რუს ენათმეცნიერთა მიერ ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილ სახელმძღვანელოებში. ასე, მაგალითად, ვ. პორჟეზინსკი და დ. უშა-

---

[1] Макс Мюллер, Лекции по науке о языке, 1865, გვ. 220, 222.

[2] იქვე, გვ. 225. ეს შეხედულებები მ. მიულერს უფრო ადრე წარმოდგენილი ჰქონდა 1854 წ. ბუნზენის Christianity and Mankind-ის III ტომში. აქ ავტორი იზოლირებულ ენებს ოჯახურ ენებს უწოდებს (family languages), აგლუტინაციურს—ნომადურ ენებს (nomad languages), ფლექსიურს კი—სახელმწიფოებრივ ენებს (state languages). მოგვყავს ფრ. მიულერის მიხედვით (Grundriss der Sprachwissenschaft. I Band, 1876, გვ. 69).

[3] Макс Мюллер, Лекции по науке о языке, გვ. 224.

კოვი გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ ენათა მორფოლოგიური ტიპები არ მიუთითებს ენათა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომ მცდარია ფლექსიურ ენათა მიჩნევა ყველაზე სრულყოფილად[1]. ეგეთივე შეხედულება გვხვდება დ. კუდრიავსკისთან, რომელიც აღნიშნავს: ენის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ცადეს ევოლუციური თეორიის გამოყენება: ენათა სხვადასხვა ტიპში განვითარების სხვადასხვა საფეხურის დანახვა (ძირეული, აგლუტინაციური, ფლექსიური), მაგრამ ეს არ გამართლდაო[2].

განსაკუთრებით ფასეულია ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის კრიტიკა დიდი რუსი მოაზროვნის ნ. ჩერნიშევსკის მიერ. გადმოგვცემს რა ჰუმბოლდტისეულ ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას, ჩერნიშევსკი ნათელყოფს, თუ რა უდევს საფუძვლად მორფოლოგიურ ტიპთა სხვადასხვაგვარ შეფასებას. იგი ირონიულად წერს: ჩვენი ენები ფლექსიურ ჯგუფს განეკუთვნება. აქედან იმ პრინციპის მიხედვით, რომ „ჩვენ ყველაზე უკეთესი ვართ, თავისთავად გამომდინარეობს, რომ ფლექსიური ენები ყველა სხვა ენებზე უკეთესია. აგლუტინაციური ენები თავიანთი აგებულებით უფრო ახლოს დგანან ფლექსიურთან, ვიდრე იზოლირებული ენები; აქედან ცხადია, რომ მათ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ იზოლირებულთან შედარებით. ამგვარად ყოველგვარი სიძნელის გარეშე ვიღებთ ხალხების ენათა და გონებრივ ნიჭთა განაწილებას ალმავალ საფეხურებად ცუდიდან უკეთესისაკენ“[3].

ჩერნიშევსკი ინდოევროპულ ენათა ანალიზის საფუძველზე გვიჩვენებს, რომ არ არსებობს არსებითი განსხვავება იზოლირებულ, აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებს შორის. რომ ფლექსიურ ინდოევროპულ ენებში ჩვენ ბლომად გვხვდება, როგორც იზოლაციის, ისე აგლუტინაციის შემთხვევები. რომ მორფოლოგიური ტიპების მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ენათა და მით უმეტეს ხალხთა სხვადასხვაგვარი ღირებულების შესახებ. ავტორი სამართლიანად გაბაზავს, რომ ენა ყოველი ხალხისა, რომლის გონებრივმა განვითარებამაც მაღალ დონეს მიაღწია, მოქნილია, მდიდარი და მშვენიერი. ხოლო არიულ (ე. ი. ინდოევროპულ —

---

[1] В. Поржезинский, Введение в языковедение, Москва, 1916, издание 4-е, გვ. 151. Д. Ушаков, Краткое введение в науку о языке, 1923. მეექვსე გამოცემა (პირველი გამოცემა—1913). გვ. 84.

[2] Д. Н. Кудрявский, Введение в языкознание, 1912. Юрьев (Дерпт), გვ. 46—47.

[3] Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, ტ. X, 1951, გვ. 836.

თ. შ.) ენათა დაყენება ყველაზე მაღლა თავმომწონეობით არის გამოწვეული და არაფლექსიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა დამცირებას იწვევს[1].

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, შეხედულება მორფოლოგიურ ტიპთა სხვადასხვაგვარი ღირებულების შესახებ აქა-იქ მაინც იჩენს თავს ენათმეცნიერებაში. ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო მოვლენა შეინიშნება. ენათმეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში კლასიკური ინდოევროპული ენები: ძველი ბერძნული, ძველი ლათინური, სანსკრიტი და სხვ. იყო. სწორედ ეს ძველი, სინთეზური წყობის ენები ცხადდებოდა ყველაზე სრულყოფილად და რაკი რიგმა ინდოევროპულმა ენამ სინთეზურობა დაკარგა და ანალიზური გახდა, შეიქნა შეხედულება, რომ ადგილი აქვს ენათა უკუსვლას, დაქვეითებას. 70-იანი წლების შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ცოცხალი, თანამედროვე ინდოევროპული ენები სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღებით სარგებლობენ. ამის შესაბამისად სახეს იცვლის ენათა სრულყოფილობის თეორიაც. ყველაზე განვითარებულად ახალი ინდოევროპული ენები მიიჩნევა და ამ ახალთაგან მაინცა და მაინც ანალიზური წყობის ფლექსიური ენები, პირველ რიგში—ინგლისური. ამ უკანასკნელი შეხედულების დამცველი არის დანიელი ენათმეცნიერი ო. იესპერსენი, რომელმაც ჯერ კიდევ 1894 წ. ნაშრომში „პროგრესი ენაში"[2] წამოაყენა შეხედულება ანალიზურ ენათა უპირატესობის შესახებ. ამ შეხედულებას

---

[1] მოვიყვანოთ თვით ავტორის სიტყვები: «Кто не хочет изобретать или повторять вздора о характере языков, должен ограничивать свои суждения об их достоинствах или недостатках высказыванием справедливой мысли, что гибок, богат и при всех своих несовершенствах прекрасен язык каждого народа, умственная жизнь которого достигла высокого развития.

Классификация языков на первой своей ступени подразличения, распределяющей их на три разряда по грамматическому строению, имеет только техническое, специальное значение. Для истории народов эта группировка не представляет никакой действительной важности, и мы говорили о ней так много только потому, что наше арийское самохвальство сделало ее подкладкой для пустых панегириков необыкновенному уму нашего арийского семейства и для клеветы в унижение народов, говорящих нефлектирующими языками. Н. Г. Чернышевский, собр. сочин., т. III, стр. 848.

[2] O. Jespersen, Progress in Language with Special Reference to Englisch, 1894.

ავტორი ავითარებს თავის ცნობილ გამოკვლევაში „ენა, მისი ბუნება, განვითარება და წარმოშობა“[1]. იესპერსენი ეკამათება იმ ენათმეცნიერებს, რომლებსაც წარსულში გადაჰქონდათ ოქროს ხანა ენის განვითარებაში და ამის საპირისპიროდ აღნიშნავს, რომ ჩვენი ენები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ძველი ენებიო. იმისათვის, რომ ნათელვყოთ, რაში გამოიხატა ამ ენათა განვითარება, იესპერსენს საჭიროდ მიაჩნია გათვალისწინებულ იქნეს ის ცვლილებები, რომლებიც ინდოევროპულმა ენებმა განიცადეს. მისი დაკვირვების სფეროა ინგლისური, ფრანგული, დანიური. ამ ენათა განვითარების ყველაზე დამახასიათებელ ტენდენციად ავტორს მიაჩნია შემოკლებები. კლასიკურ ენათა გრძელ სიტყვებს ინგლისურში მოკლე სიტყვები შეესაბამება. შდრ. გუთური habaidedeima და ინგლ. had[2]. ეს შემოკლებები იესპერსენს პროგრესის მაჩვენებლად მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, „ის ენა დგას ყველაზე მაღლა, რომელიც ყველაზე მეტად ახერხებს მცირეოდენი საშუალებებით ბევრი რამ გამოხატოს, რომელსაც შეუძლია მნიშვნელობათა დიდი რაოდენობა გამოხატოს უმარტივესი ხერხით“[3]. სწორედ ასეთი რამ ახასიათებს, იესპერსენის სიტყვით, ანალიზურ ენებს, რომლებშიაც ფლექსიებს სიტყვათა აგებულებაში ცვლის, და ეს ავტორს წინსვლად მიაჩნია, რადგანაც იგი მასალაზე გონის გაბატონებას მოასწავებს[4]. ამ ენათა წინსვლა, იესპერსენის მიხედვით, შემდეგში მდგომარეობს:

1. ფორმები საერთოდ უფრო მოკლეა და ამიტომ კუნთების ნაკლებ დაძაბულობას უკავშირდებიან და ნაკლებ დროს მოითხოვენ წარმოთქმისათვის.

2. ისინი არც ისე ბევრი არიან, რომ დაამძიმონ მეხსიერება.

3. მათი წარმოება ბევრად უფრო კანონზომიერია.

4. მათ სინტაქსურ გამოყენებასაც ასევე ნაკლებ ახასიათებს არა კანონზომიერებანი.

5. მათი მეტად ანალიზური და აბსტრაქტული ხასიათი სიმსუბუქეს აძლევს გამოთქმას, ამასთან იგი შესაძლებელს ხდის ბევრ

---

[1] O. Jespersen, Die Sprache, ihre Natur, Entwicklung und Entstehung. 1925 (ინგლისურად გამოვიდა 1922 წ.).

[2] იქვე, გვ. 316.

[3] იქვე, გვ. 309.

[4] იქვე, გვ. 349.

ისეთ კავშირებსა (Verbindungen) და შეერთებებს (Fügungen), რომლებიც წინათ შეუძლებელი ან ენობრივი გონის საწინააღმდეგო იქნებოდნენ.

6. ზედმეტად არის ქცეული მძიმე განმეორებები, რომლებიც შეთანხმების სახელითაა ცნობილი.

7. სიტყვათა კანონზომიერი განლაგებით უზრუნველყოფილია ნათელი არაორაზროვანი გაგებინება[1].

ეს ცალკეული უპირატესობანი, იესპერსენის აზრით, ერთდროულად არ მიიღწევა და სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სისწრაფით ხორციელდება. ავტორი გვარწმუნებს, რომ ზემოგერმანული ბევრი მხრივ ჩამორჩება ქვემოგერმანულს; ევროპის ქვემოგერმანული—აფრიკულს; შვედური—დანიურს; ხოლო ყველანი ჩამორჩებიან ინგლისურს; ასეთივე ვითარება გვაქვს რომანულ ენებშიაც[2].

ასეთია მოკლედ იესპერსენის თეორია[3]. საკითხის დასმა, პირველი შეხედვით, საკმაოდ მარჯვე ჩანს. რა თქმა უნდა, შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ენები დაქვეითებას და დაშლას განიცდიდნენ, მცდარია. იმასაც მართებულად შენიშნავს იესპერსენი, რომ ენათა განვითარება იმავე დროს წინსვლას, პროგრესსაც გულისხმობს და მაშასადამე თანამედროვე ენები უფრო მაღალ საფეხურზე უნდა იდგნენ, ვიდრე იმავე ენათა უძველესი საფეხურებია. მაგრამ მცდარია და უსაფუძვლო იესპერსენის შეხედულება, თითქოს პროგრესი სიტყვათა შემოკლებაში მდგომარეობდეს, თითქოს ამ გზით იმას ვაღწევდეთ, რომ ნაკლები ენერგიის დახარჯვით მეტი გამოიხატება.

ჯერ ერთი, უდავოდ გადაჭარბებულია შემოკლებათა ხვედრითი წონა. მართალია, ცალკე აღებული სიტყვები ანალიზურ ენებში ხშირად უფრო მოკლე არიან, ვიდრე აფიქსებით დატვირთული ფორმები სინთეზური ენებისა, მაგრამ კიდევ საკითხავია, იძლევა

---

[1] O. Jespersen, დასახ. შრ., გვ. 349—350.

[2] იქვე, გვ. 350.

[3] თავის თვალსაზრისს იესპერსენი 1941 წ. შემდეგნაირად აყალიბებს: „ძირითადი წანამძღვარი, რომელსაც ემყარება მთელი ჩემი თეორია, შემდეგში მდგომარეობს: მეტყველება, თვით მშობლიურ ენაზე მეტყველებაც კი, წარმოადგენს გარკვეული სახის შრომას, რომელიც მოითხოვს გონებრივსა და ფიზიკურ დაძაბულობას. მოსმენა, ე. ი. ნათქვამის გაგებაც ასევე მოითხოვს გონებრივსა და ფიზიკურ ძალისხმევას. ამიტომ ამ ძალისხმევის შემცირება უნდა შეფასდეს, როგორც სასარგებლო, როგორც მოლაპარაკისათვის, ისე მსმენელისათვის". O. Jespersen, Efficiency in Linguistic Change, Kopenhagen, 1941, გვ. 30.

თუ არა ეს შემოკლებებს ფრაზისა და მთლიანად ენის თვალსაზრისით. იესპერსენს ასეთი მაგალითი მოჰყავს; cut (გაჭრა) ინგლისურში გამოყენებულია აწმყოსა და ნამყოსათვის, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვისათვის, პირველი, მეორე და მესამე პირისათვის, ინფინიტივისათვის, ბრძანებითის, თხრობითისა და კავშირებითისათვის, აგრეთვე მიმღეობისათვის. ეგეთ cut არსებით სახელადაც შეიძლება მოგვევლინოს (a cut). მაშინ როდესაც ლათინური cantavisset დაუშლელ მთლიანს წარმოადგენს და ექვს ცნებას აერთიანებს: 1. სიმღერა, 2. ნამყო წინარეწარსული, 3. კავშირებითი, 4. მოქმედებითი გვარი. 5. მესამე პირი, 6. მხოლობითი რიცხვი.

აღნიშნულ ცნებებს cantavisset გარკვეული მაწარმოებლების საშუალებით გამოხატავს. მაგრამ ისმის კითხვა, როგორ ახერხებს ინგლისური უაფიქსო სიტყვა cut ზემოჩამოთვლილი მრავალრიცხოვანი კატეგორიების გადმოცემას? ამაზე პასუხს თვით იესპერსენი გვაძლევს. იგი წერს: ენათა ძველი საფეხურებისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ ყოველი ფორმა თავის თავში მოიცავს რამდენიმე მცირეოდენ სახესხვაობას, რომლებიც მოგვიანებით ხშირად განცალკევებულად გამოიხატებიან მეშველი სიტყვების საშუალებით[1]. და მართლაც, cut ყველა იმ ცნებას კი არ გამოხატავს, რომლებზედაც იესპერსენი მიუთითებდა, არამედ თითოეული მათგანის გადმოცემისათვის მას მეშველი სიტყვები (ვთქვათ, პირის გამოსახატავად ნაცვალსახელები) ან ნაწილაკები (მაგ., თუ არსებითი სახელია—არტიკლი, იხ. თვით იესპერსენის მაგალითი—a cut) უკავშირდება წინადადებაში. ამგვარად cut კი არ უნდა შევადაროთ cantavisset-ს, არამედ cut უნდა წარმოვადგინოთ იმ გარემომცველი სიტყვებით, რომლებიც მის მნიშვნელობას განსაზღვრავენ და აზუსტებენ. ასეთ ვითარებაში საეჭვოა, რომ შემოკლება დადასტურდეს ენაში. ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს იესპერსენისავე მეორე მაგალითი. ლათ. cantaveram გერმანულად იქნება: ich hatte gesungen[2]. სად არის აქ შემოკლება? ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით განსხვავებასთან, არამედ გრამატიკულ კატეგორიათა გამოხატვის ორგვარ საშუალებასთან: ლათინურში აფიქსების საშუალებით არის გამოხატული ის, რისთვისაც გერმანულმა მეშველი სიტყვები გამოიყენა. ძნელად წარ-

[1] O. Jespersen, დასახ. შრ., გვ. 319.

[2] იქვე.

შოსადგენია, რომ ვინმემ მეცნიერულად დაამტკიცოს, რომელი ამ საშუალებათაგანია უკეთესი.

იესპერსენის სუბიექტივიზმი ამ მაგალითთან დაკავშირებით მეტად აშკარად ვლინდება. თუ იგი საერთოდ სიმოკლეს თვლის ენის ღირსებად, აქ იგი მაინც ich hatte gesungen-ს აძლევს უპირატესობას (თუმცა ეს ფორმა უფრო გრძელიც კი არის, ვიდრე cantaveram), იმ მოსაზრებით, რომ გამოყენებული სამი სიტყვის სხვადასხვაგვარი განლაგებითა და მათ შორის სხვა სიტყვათა ჩასმით ისეთი სტილისტური ნიუანსების გამოხატვა ხერხდება, რასაც ლათ. cantaveram ვერ მიაღწევსო[1].

გრამატიკულ კატეგორიათა გამოხატვას რომ თავი დავანებოთ, არც ცალკე აღებულ სიტყვათა მიმართ არის ზუსტი იესპერსენის დებულება შემოკლების უნივერსალური ტენდენციის შესახებ. თუ, ერთის მხრივ, უმთავრესად ფონეტიკური პროცესების შედეგად, ძველი სიტყვები გამარტივდნენ, შემოკლდნენ, მეორე მხრივ, იმავე ინგლისურში მრავლად წარმოიშვება ახალი სიტყვები ნასესხები ან საკუთარი (სიტყვაწარმოებისა და კომპოზიციის გზით შექმნილი), რომლებიც მრავალმარცვლიანი არიან და რომელთა არსებობასაც მშვენივრად იგუებს ინგლისური ენა.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ პროგრესის საკითხს ენაში იესპერსენი განიხილავს იმ საზოგადოების კულტურისა და აზროვნების განვითარებისაგან მოწყვეტილად, რომელიც ამ ენას ხმარობს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იესპერსენი მართებულად სვამს საკითხს ენათა ცვალებადობა უკუსვლას, დაქვეითებას კი არ მოასწავებს, არამედ წინსვლისა და აღმავლობის გამოხატულებაო. მაგრამ ეს აღმავლობა ხომ განუყრელად არის დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთან. საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა, კულტურისა და აზროვნების აღმავლობა ახალ ამოცანებს უყენებს ენას და სწორედ ამ ამოცანათა განხორციელების პროცესში ვითარდება და იხვეწება იგი. ესა თუ ის თანამედროვე ენა უფრო განვითარებულია, ვიდრე ეგეთივე ენა მრავალი საუკუნის წინ, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში აღმავლობასა და წინსვლას განიცდიდა ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე. ენაც, ემსახურებოდა რა ამ საზოგადოებას, როგორც ურთიერთობისა და აზრთა გამოხატვის საშუალება, ცხადია, თვითონაც ვითარდებოდა.

---

[1] O. Jespersen, დასახ. შრ., გვ. 319.

ასეთ ასპექტში უნდა დაისვას ენის განვითარებისა თუ მისი სრულყოფის პრობლემა. იესპერსენისათვის. როგორც ვნახეთ, ეს საკითხები არ არსებობს. ამიტომ, გასაგებია, რომ მას არ ძალუძს მართებულად გააშუქოს ენის სრულყოფის პრობლემა.

ერთი კერძოობითი საკითხი იქცევს ყურადღებას: იესპერსენი აღნიშნავს, ახალ ენებში მეტი კანონზომიერება შეინიშნება, ვიდრე ძველ ენებში, ახალ ენათა სისტემა უფრო თანმიმდევრულიაო. ეს მოსაზრება თავისთავად მართებულია, მაგრამ მას არავითარი კავშირი არა აქვს სინთეზურობის შეცვლასთან ანალიზურობით. გამოაკლისთა მოსპობა, ანალოგიის გზით მრავალფეროვანი ფორმების (ბრუნებაში, უღვლილებაში) დაყვანა ერთფეროვნებამდე ახასიათებს ენებს მიუხედავად იმისა, სინთეზური იქნებიან ისინი თუ ანალიზური ან ფლექსიური თუ აგლუტინაციური.

რომ ამ საკითხის განხილვა დავამთავროთ, ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ. ცნობილია, რომ ტენდენცია შედარებით კონკრეტულიდან უფრო აბსტრაქტულზე გადასვლისა, რომელიც აზროვნების განვითარებას ახასიათებს, ენის გრამატიკულ წყობაშიც ვლინდება[1]. განვითარების ადრინდელ საფეხურებზე საგნები და მოვლენები კონკრეტულ მიმართებათა გარეშე არ გაიაზრება (მაგ., საგანი არ გაიაზრება კუთვნილებითი ურთიერთობის გარეშე, მოქმედება სივრცეში კონკრეტიზაციის გარეშე და ა. შ.). შემდეგ და შემდეგ ასეთი კონკრეტული მიმართებები ლექსიკის სფეროში გადადიან, გრამატიკა კი სულ უფრო და უფრო ზოგად მიმართებებს გამოხატავს (მოქმედების სუბიექტი, ობიექტი, დრო...).

ამის გამო შედარებით ძველ საფეხურებზე მდგომი ენები გადატვირთულია კონკრეტული გრამატიკული კატეგორიებით, უფრო მაღალ საფეხურებზე კი განზოგადებათა შედეგად აუცილებელ გრამატიკულ კატეგორიათა რაოდენობა საერთოდ კლებულობს. ამის შესაბამისად იკლებს სიტყვაში გრამატიკულ ელემენტთა სინთეზის ხარისხიც. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ენათა განვითარების საერთო გზა მართლაც მიიმართება სინთეზურობიდან ანალიზურობისაკენ?—სრულიადაც არა.

---

[1] ეს ტენდენცია იბერიულ-კავკასიურ ენათა მაგალითებზე განხილული აქვს ქ. ლომთათიძეს წერილში „ენის განვითარების კანონზომიერების საკითხის შესახებ", იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1952, ტ. III.

მართალია, გრამატიკულ მიმართებათა განზოგადების ტენდენცია ერთგვარად ამცირებს გრამატიკულ კატეგორიათა რიცხვს, მაგრამ როგორც არ უნდა იკლოს გრამატიკულ მაწარმოებელთა რაოდენობამ, ნულამდე მათი დაყვანა სრულიად წარმოუდგენელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაინც დარჩება განსხვავება ისეთ ენებს შორის, რომლებიც ამ კატეგორიებს აფიქსების საშუალებით აწარმოებენ სიტყვის ფარგლებში (ე. ი. სინთეზური არიან) და ისეთებს შორის, რომლებიც იმავე კატეგორიებს აღწერითი გზით გადმოგვცემენ (ე. ი. ანალიზური არიან). შდრ. მაგ., რუს. **пишу—написал—напишу** და ინგლ. I write — I have written — I shall write. დროისა და პირის გამოხატვა ორივე ენას დასჭირდა, მაგრამ ერთმა სინთეზური წყობით მიაღწია ამას, მეორემ კი—ანალიზური წყობით.

ამგვარად, არა გვაქვს რეალური საფუძველი იმისათვის, რომ სინთეზური წყობის შეცვლა ანალიზურით ენათა განვითარების საყოველთაო კანონად გამოვაცხადოთ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ უნიადაგოა ენათა მორფოლოგიური ტიპების მიჩნევა სხვადასხვაგვარი ღირებულების მქონედ, გამოგვადგება ტრუბეცკოის შეხედულება. ტრუბეცკოი აყენებს ჰიპოთეზას, რომ ინდოევროპული ენები განვითარდნენ ისეთი ტიპისაგან, რომელიც დღევანდელ აღმოსავლეთ კავკასიური ენებისას ჰგავდა, სხვა ტიპისაკენ, რომელიც ფინურ-უნგრულისა და ალთაური ენების ტიპს მოგვაგონებს. ასეთ შემთხვევაშიო, აღნიშნავს ტრუბეცკოი, დღევანდელ აღმოსავლეთ კავკასიურ ენებში არსებული ჰიპერფლექსიური ენობრივი წყობა უნდა მიგვეჩნია პრიმიტიულ მდგომარეობად, ხოლო ალთაური ენებით წარმოდგენილი ტიპი ენობრივი განვითარების იდეალადო[1].

ამ შეხედულების მიხედვით, ინდოევროპული ენები არ დგანან უველა დანარჩენ ენაზე მაღლა და ამას ტრუბეცკოი გახაზავს. ეს შეხედულება დაუპირისპირდებოდა საყოველთაოდ მიღებულ ეგოცენტრულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ფლექსიური ენები განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე აგლუტინაციური ენებიო,—წერს იგი და დასძენს: ამგვარაღ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინდოევროპული ენობრივი წყობა წარმოიშვა პრიმიტიული ფლექსიური წყობის დაძლევის გზაზე, მაგრამ ისე, რომ მან ვერ მიაღწია უფრო მაღალ განვითარებულ აგლუტინაციურ

[1] N. S. Trubetzkoy, Gedanken über das Indogermanenproblem. Acta linguistica, ტ. I, ნაკვ. 2, 1939, გვ. 89.

ტიპსო[1]. მათ წინააღმდეგ, ვინც ფლექსიურ ენებს მიიჩნევს ყველაზე სრულფასოვნად, ტრუბეცკოი იმოწმებს შარლ ბალის მეტად გონებამახვილურ შენიშვნას: ესპერანტო, რომელიც, უეჭველია, ინდოევროპულად მოლაპარაკე ხალხების იდეალს შეესატყვისება, ინდოევროპული ელემენტებისაგან აგებული წმინდა აგლუტინაციური ენააო[2]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ფლექსიური ტიპი ჯობს ყველა დანარჩენს, რატომ ფლექსიური წყობა არ მისცეს ესპერანტოს, იგი ხომ ხელოვნურად არის შეთხზული!

ტრუბეცკოი თითქმის სრულიად არ ასაბუთებს თავის ჰიპოთეზას და არც კატეგორიული ტონით აყენებს მას. ამიტომ მასზე სპეციალურად შეჩერება არ არის მიზანშეწონილი. ჩვენთვის ტრუბეცკოის შეხედულებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი აშკარად გვიჩვენებს, თუ რაოდენ სუბიექტურია საერთოდ ენათა ტიპების სხვადასხვაგვარად შეფასების ცდა. ერთნაირი წარმატებით შეიძლება „დამტკიცოთ“ როგორც ძველ სინთეზურ ფლექსიურ ენათა, ისე ახალ ანალიზურ ენათა და ისევე აგლუტინაციურ ენათა სრულყოფილობა, ნამდვილ მეცნიერულ საბუთიანობას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მივაღწევთ, რადგანაც სამივე შემთხვევაში მცდარ ნიადაგზე ვდგავართ. ენათა ცნობილი მორფოლოგიური ტიპები არ არიან სხვადასხვა ღირებულების მქონე. ისინი არ წარმოადგენენ ენათა განვითარებაში აუცილებლად ერთიმეორის მომდევნო საფეხურებს.

§36. მაშ, როგორ უნდა გავიაზროთ ენათა სხვადასხვაგვარ მორფოლოგიურ ტიპთა არსებობა და მათი განვითარება?

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა თვალსაზრისით, დაწყებული ბგერითი შემადგენლობიდან და დამთავრებული სინტაქსური და სტილისტური თავისებურებებით. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ განსხვავება ენათა მორფოლოგიურ ტიპებშიაც დასტურდებოდეს. როგორც არ არის გამართლებული დავსვათ კითხვა, რომელი სიტყვა სჯობს der Tisch, das Buch, das Mädchen თუ მაგიდა, წიგნი, გოგონა, ასევე არამეცნიერულია მსჯელობა იმის შესახებ, ფლექსია სჯობს თუ აგლუტინაცია ან რომელიმე სხვა ტიპი. უფრო მეტიც. საკითხის ასე დასმა საზოგადოებრივად მიუღებელია, რადგანაც მას მივყავართ იმ უსაფუძვლო შეხედულების აღიარებამდე, თითქოს

[1] N. S. Trubetzkoy, დასახ. შრ., გვ. 89.
[2] იქვე.

არსებობდეს სრულფასოვანი და არასრულფასოვანი ენები, თითქოს ენათა სტრუქტურულ წყობას შორის გარდაუვალი ზღვარი იყოს და მხოლოდ სრულფასოვან ენებს ჰქონდეთ უნარი ფეხდაფეხ მიყვებოდნენ საზოგადოების კულტურისა და აზროვნების განვითარებას. სინამდვილეში ყველა ენას, ყოველგვარი სტრუქტურის მქონე ენას აქვს დაუსრულებელი შესაძლებლობა ვითარდებოდეს საზოგადოების განვითარებასთან ერთად. მორფოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტატორთა ერთ-ერთი შეცდომა ისიც იყო, რომ ისინი ადარებდნენ ერთმანეთს ისეთ ხალხთა ენებს, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებოდნენ და ყოველგვარ განსხვავებას ამ ხალხთა ენებს შორის სრულყოფილობის საკითხს უკავშირებდნენ.

მცდარია თვით საკითხის დასმა. ერთი და იმავე მორფოლოგიური ტიპის ფარგლებშიაც (მაგ., ფლექსიური ან აგლუტინაციური) ენები შეიძლება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. ეს დამოკიდებულია ამ ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებათა განვითარების დონეზე, მათ კულტურაზე. თუ საზოგადოებრივი ცხოვრება აღმავლობას განიცდის, ამას ენათა წინსვლა და დახვეწაც მოჰყვება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მორფოლოგიურ ტიპს ეკუთვნის ეს ენები. ამის ცოცხალი ნიმუშები თვალწინა გვაქვს. საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანმა ერებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე ჩამორჩენილი იყვნენ, რევოლუციის შემდეგ, ხელსაყრელ პირობებში მოხვედრისთანავე სწრაფად იწყეს კულტურული აღმავლობა და აყვავება. ეს იწვევს თვით ენათა განვითარებასაც. ეს ენები სრულიად სხვადასხვა წყობისა არიან. აქ გვხვდება ფლექსიური ტიპიც, აგლუტინაციურიც და ინკორპორაციულიც. ყოველი მათგანი თავისებურად, მაგრამ ერთგვარად კარგად ახერხებს ახალი, სოციალისტური კულტურის გამოხატვას.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ჩინური ენის მიმართაც. ჩინურის მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ იზოლირებული ტიპი არაფრით არ ჩამორჩება სხვებს, რომ მას ისევე შეუფერხებლად შეუძლია ემსახუროს უმაღლეს კულტურას, როგორც, მაგალითად, ფლექსიური ტიპის ენებს.

ერთადერთი საკითხი, რომელიც ანგარიშგასაწევია მორფოლოგიური კლასიფიკაციის ტრადიციულ გაშუქებაში და გარკვეულ პასუხს საჭიროებს, ეხება მორფოლოგიური ტიპების მონაცვლეობას

ენათა გრამატიკული წყობის წარმოქმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ აფიქსები წარმოშობილია დამოუკიდებელი სიტყვებისაგან, მათი გაცვეთისა და სხვა სიტყვებთან შეერთების გზით. ეს გარემოება ლოგიკურის აუცილებლობით გვაიძულებინებს ისეთ საფეხურს ენათა განვითარებაში, როდესაც სიტყვები არსებობდა, მიმართებები კი არ გამოიხატებოდა. ფიქრობენ, რომ სწორედ ეს საფეხურია წარმოდგენილი იზოლირებულ ენებში, რომლებშიაც სიტყვები განცალკევებული არიან ერთმანეთისაგან, არ დაირთავენ აფიქსებს. მომდევნო საფეხურზე ზოგიერთმა სიტყვამ დამოუკიდებლობა დაკარგა და აფიქსებად გადაიქცა. გვეუბნებიან, ეს ვითარება დაუცავს აგლუტინაციურ ენებს, რომლებშიაც ახლად წარმოშობილ აფიქსებს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ კავშირი მათ წარმომშობ სიტყვებთან და ისინი ჯერ კიდევ ორგანულად არ დაკავშირებიან დამოუკიდებელ სიტყვებსო. რაც შეეხება ფლექსიურ ენებს, აქ შერწყმა ხდება ფუძისა და აფიქსებისა და, მაშასადამე, ესაა უკანასკნელი საფეხური. მწყობრად და თანმიმდევრულად გამოდის: ჯერ უაფიქსო მდგომარეობა— იზოლირებული ენები, შემდეგ ფუძისა და აფიქსების მექანიკური დაკავშირება—აგლუტინაციური ტიპი და, ბოლოს, ფუძისა და აფიქსების ორგანული შერწყმა—ფლექსია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთიანი განვითარების პროცესში მომდევნო საფეხური წინამავალზე უფრო მაღლა დგას, მაშინ ისევ იმ შეხედულებას მივიღებთ, რომლის წინააღმდეგაც ზემოთ ვილაშქრებდით. ყველაზე განუვითარებელი იზოლირებული ტიპი აღმოჩნდება, უფრო მეტად განვითარებული—აგლუტინაციური და ყველაზე სრულყოფილი—ფლექსიური.

მაგრამ ზემომოყვანილ ვარაუდს გრამატიკული წყობის განვითარების შესახებ არსებითი დაბრკოლებები ეღობება წინ. როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ აფიქსები იმთავითვე არ უნდა ჰქონოდა ენებს, აქ საქმე ეხება ძველისძველ საფეხურს ენათა განვითარებაში. აფიქსები არ იყო, ალბათ, იმიტომ, რომ მათი საჭიროებაც არ იგრძნობოდა. თუ მოვიგონებთ, რომ ენისა და აზროვნების განვითარება განუყრელად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაშინ აშკარა გახდება, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმ დონეზე, როდესაც აზროვნება ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა მიმართებათა გამოყოფას საგნებისაგან. შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ ეს საფეხური ამჟამად გვაქვს წარმოდგენილი მსოფლიოს რომელიმე

ენაში განვითარების რა დაბალ დონეზედაც არ უნდა იდგეს იგი? რა თქმა უნდა, ასეთი რამ სრულიად წარმოუდგენელია. ყველა ენაში, რომელსაც კაცობრიობა იცნობს, საგანთა შორის მიმართებები გამოხატულია. არ შეიძლება თანამედროვე იზოლირებული ენები, და მათ შორის ჩინური, მივიჩნიოთ განვითარების იმ უძველეს, მხოლოდ ჰიპოთეზურად დაშვებულ საფეხურზე მდგომად, როდესაც მიმართებები საერთოდ არ გამოიხატებოდა ენაში. არ შეიძლება იმიტომ, რომ იზოლირებული ენები, არანაკლებ ვიდრე სხვა ტიპის ენები, გამოხატავენ გრამატიკულ მიმართებებს, მაგრამ გამოხატავენ სხვა საშუალებებით, ვიდრე აფიქსებიანი ენები. მაშასადმე, უნდა ვივარაუდოთ, რომ როდესაც აზროვნებაში და მეტყველებაში გაჩნდა მოთხოვნილება აღნიშნული ყოფილიყო საგანთა შორის მიმართებები, სხვადასხვა ენამ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები გამოიყენა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ზოგმა გარკვეული სიტყვები აფიქსებად აქცია (აგლუტინაციური და ფლექსიური ენები), ზოგმა კი სხვა ხერხებს მიმართა: ადგილმდებარეობას, დამხმარე სიტყვებსა და ინტონაციას (იზოლირებული ენები)[1]. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ არ არსებობს ენა, რომელიც მხოლოდ ერთ საშუალებას მიმართავდეს, ჩვენ აქ საუბარი გვაქვს იმაზე, თუ რომელია უპირატესად გამოყენებული.

საფიქრებელია, რომ იზოლირებულ ენათათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ფონეტიკური ტენდენცია წარმოთქმისას სიტყვათა ერთმანეთისაგან გამოცალკევებისა, ალბათ სწორედ ამან შეუშალა ხელი დამხმარე სიტყვათა ქცევას აფიქსებად, ე. ი. მათ მიკედლებას ძირითად სიტყვებთან.

ამგვარად, ამჟამად არსებულ იზოლირებულ ენებში სრულიად არა გვაქვს შემონახული აფიქსებიან ენათა განვითარების წინა საფეხური. ეს ორი ტიპი წარმოგვიდგენს ორ სხვადასხვა გზას, რომლისთვისაც შეიძლებოდა მიემართა ენებს საგანთა შორის მიმართებების გამოხატვის დროს. თუ იზოლირებულ ენებში გარეგნულად მეტია მსგავსება იმ თავდაპირველ ტიპთან (ფორმაუცვლელი სიტყვა-ძირები), ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ენებმა ისეთი

---

[1] ამ გარემოებას გაბაზავდა გ. ფონ-დერ-გაბელენცი, რომელიც მიუთითებდა რა, რომ ჩინური არაფრით არ ჩამორჩება ყველაზე განვითარებულ ენებს, აღნიშნავდა, ჩინურში ფორმისაკენ მისწრაფება არ არის უფრო სუსტი, ვიდრე ინდო-გერმანელთა წინაპრებთან. ოღონდ მან სხვა გზა გაიკაფა და სხვა მასალა დაამუშავა: არა სიტყვაწარმოება და სიტყვაცვლილება, არამედ სინტაქსიო. Georg von der Gabelentz, Die Sprachwissenschaft.., გვ. 345.

ენობრივი საშუალებები გამოიყენეს მიმართებათა აღსანიშნავად (ადგილმდებარეობა, მახვილი, ინტონაცია), რომლებიც ძირეულ სიტყვათა გარეგნულ სახეს ნაკლებ ცვლიან (შდრ. აფიქსაცია, განსაკუთრებით ფლექსიურ ენებში). მაგრამ არსებითად იზოლირებული ენები არანაკლებ არიან დაშორებული იმ თავდაპირველ მდგომარეობას, როდესაც მიმართებები სრულიად არ გამოიხატებოდა ენებში, ვიდრე აფიქსებიანი ენები.

ახლა, რაც შეეხება აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხს. სრულიად გაუმართლებელია რაიმე პროგრესის გამოხატულება ვეძებოთ იმ მოვლენაში, რომ ფლექსიურ ენებში ფუძე და აფიქსი ფონეტიკურად შეერწყმიან ერთმანეთს, რომ აფიქსის დართვისას ფუძეც განიცდის ცვლილებას. აი, სწორედ ეს ქმნის ძირითად განსხვავებას აგლუტინაციურსა და ფლექსიურ ენებს შორის. ეს განსხვავება ემყარება სხვადასხვაგვარი ხასიათის ფონეტიკურ პროცესებს, რომლებიც არც პროგრესის მაჩვენებელი არიან და არც რეგრესისა. როგორც ცნობილია, თვით ფუძის ფლექსიაც ინდოევროპულ ენებში ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნება. ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის სვანური ენა.

სვანური, ისევე, როგორც სხვა ქართველური ენები, აფიქსაციის ტექნიკის თვალსაზრისით აგლუტინაციურ ტიპს განეკუთვნება. მაგრამ ამ ენის მორფოლოგიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობას ანუ ფუძის ფლექსიას, რომელიც ფლექსიური ენებისათვის არის დამახასიათებელი.

მაგალითად, არის სახელთა ჯგუფები, რომლებიც სახელობითსა და მიცემითს ერთმანეთისაგან მხოლოდ ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით განასხვავებენ, ასეთებია: სახ. ტვეტ (ხელი)—მიც. ტოტ, სახ. ჭიშხ (ფეხი)—მიც. ჭეშხ, სახ. ხეხვ (ცოლი)—მიც. ხახვ[1]. ფუძის ხმოვანთა მონაცვლეობა ზმნის ფორმათა წარმოებისასაც იჩენს თავს. მაგალითად, დროთა წარმოებაში: აწმყო იზელშლ (დადის)—ნ. უსრ. იზელშლ, აწმ. ირბიენლ (აცხობს)—ნ. უსრ. ირბიშლ. გვარის წარმოებაში: მოქმ. ანტიხ (მობრუნება)—ვნებ. ანტაშხ (მობრუნდა) და სხვ.

დიდი გაუგებრობა იქნებოდა, რომ ფუძის ფლექსიის ეს შემთხვევები სვანური ენის მაღალი განვითარების მაჩვენებლად მიგვეჩნია. თუ ასე მოვიქცეოდით, მაშინ უმწერლო ენა — სვანური უფ-

[1] აქაც და ქვემოთაც თითოეული ნიმუში სიტყვათა მთელი კლასის წარმომადგენელია.

რო მაღლა მდგომი აღმოჩნდებოდა, ვიდრე მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ისტორიის მქონე ქართული ენა, რომელიც ეპოქათა განმავლობაში ქართველი ტომების სახელმწიფოებრივ ენას წარმო-ადგენდა და წარმატებით ემსახურებოდა და ემსახურება ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურას.

რომ ფუძის ფლექსიის მოყვანილი შემთხვევები სვანურში არ წარმოადგენს რაიმე პროგრესის გამოხატულებას, ეს ნათლად ჩანს მათი ისტორიიდან. ძველად ეგევე ფორმები აფიქსებით იყვნენ გარ-ჩეული. სახელობითში იხმარებოდა -ი/-ე, მიცემითში -ვ. სახელო-ბითის ნიშანი ფუძის გაუმლაუტებას იწვევდა. მიცემითისა კი— არა (სახ.* ტოტ-ი →*ტვეტ-ი, მიც.*ტოტ-ვ). ამან მოგვცა ფუძის ხმოვანთა განსხვავება სახელობითსა და მიცემითში. შემდგომ სი-ტყვის ბოლოს ბრუნვის ნიშნები მოიკვეცა და ამიტომ ბრუნვათა დიფერენციაცია განსხვავებულხმოვნიანმა ფუძეებმა იკისრეს (სახ. *ტვეტი → ტვეტ, მიც. * ტოტვ → ტოტ).

როგორც ვხედავთ, პროცესი თავიდან ბოლომდეს ფონეტი-კურია და სრულყოფისაკენ არავითარ შინაგან მიდრეკილებას არ წარმოუშვია ფუძის ფლექსია. რომ ეს მართლაც ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ სვანურ ენაში ზემომოყვანილი ტიპის ბრუნება, სადაც ბრუნვის ნიშანთა მაგივრობას ფუძის ფლექსია ეწევა, გადაშენების გზაზეა და მას ენაცვლება მეორე ბრუნება, წმინდა აგლუტინაციუ-რი, სადაც მიცემითი გარკვეული ნიშნით არის გაფორმებული (მაგ., სახ. ტვეტ, მიც. ტვეტს; სახ. ჭიშხ, მიც. ჭიშხს და ა. შ.). იგივე ით-ქმის ზმნის დროთა წარმოებაზეც.

მეორე მხრივ, უეჭველად გადაჭარბებულია ის აზრი, თითქოს აგლუტინაციურ ენებში ფუძე და აფიქსები სრულიად არ ახდენდნენ ერთმანეთზე ზეგავლენას. ასეთი ენები ისტორიამ არ იცის. განა აფიქსებზე ფუძის ზეგავლენის მაჩვენებელი არ არის ხმოვანთა ჰარ-მონია თურქულ ენებში, რომლებიც აგლუტინაციური ტიპის თვალ-საჩინო წარმომადგენლებად ითვლება! რით არ მოასწავებს ხმოვან-თა ჰარმონია სიტყვის ერთ ორგანულ მთლიანად შერწყმას, რასაც ფლექსიურ ენათა დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევენ?! ფუძისა და აფიქსის ერთმანეთზე გავლენის საკმაო შემთხვევები დასტურდება აგრეთვე აგლუტინაციურ ქართველურ ენებში (ფუძის შეკუმშვა, მაგ., მსხალ-ის → მსხლის, ბოლო ხმოვნის მოკვეცა აფიქსის დართ-ვისას, მაგ., ენა-ოვანი → ენოვანი, ანდა აფიქსისეული ბგერების დაკარგვა ზოგიერთ ხმოვნით დაბოლოებულ ფუძესთან სახელთა ბრუნებაში, მაგ., ნათ. ბრ. ხბო-ის → ხბოს).

არც ის შეხედულება შეეფარდება სინამდვილეს, თითქოს ფლექსიურ ენებში აფიქსებს გაწყვეტილი ჰქონდეთ კავშირი იმ სიტყვებთან, რომლებიდანაც ისინი მომდინარეობენ, აგლუტინაციურ ენებში კი ეს კავშირი ხელშესახები იყოს. დამოუკიდებელ სიტყვებთან აფიქსთა მიმართების თვალსაზრისით ფლექსიური ენები არ განსხვავდებიან აგლუტინაციურისაგან. ორივე ტიპის ენაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საკმაოდ ადვილი დასადგენია, რომელი სიტყვისაგან მომდინარეობს ესა თუ ის აფიქსი. და, მეორე მხრივ, ორივე ტიპის ენაში მრავლადაა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წაშლილია კვალი იმისა, თუ საიდან არის წარმოშობილი აფიქსები. შეხედულება, თითქოს აგლუტინაციურ ენებში აფიქსები ძლიერ ახლოს იდგნენ დამოუკიდებელ სიტყვებთან, იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან აგლუტინაცია და ინკორპორაცია. ზემომოყვანილი შეხედულება ინკორპორაციულ ენათა თავისებურებას ითვალისწინებს. ინკორპორაციულ ენებში, მართლაც, ზმნაში წარმოდგენილი ჩანართები (რომლებიც სუბიექტს, ობიექტს და სხვ. აღნიშნავენ) შეკვეცილ სიტყვებს წარმოადგენენ (მოვიგონოთ ზემომოყვანილი მაგალითი ni-naca-qua „მე ვჭამ ხორცს“, სადაც naca მომდინარეობს სიტყვისაგან nacatl „ხორცი“)—და ისინი არც შეიძლება ჩაითვალონ აფიქსებად. ინკორპორაციულ და აგლუტინაციურ ენათა გამიჯვნის შედეგ წარმოდგენილი შეხედულება მექანიკურად იქნა გადმოტანილი აგლუტინაციურ ენებზე, რაც სრულიად გაუმართლებელია.

ამგვარად, აგლუტინაციური და ფლექსიური ენები ერთმანეთს გვანან იმით, რომ აფიქსებს დაირთავენ მიმართებათა გამოსახატავად. მათ შორის განსხვავება კი სრულიად არ არის არსებითი აზროვნებასთან მიმართების თვალსაზრისით. განსხვავებას ქმნის აფიქსთა ხმარების ტექნიკა, სახელდობრ, ის, თუ რა ცვლილებები ხდება ფუძისა და აფიქსის შეხვედრისას. ამ მხრივ თვით აგლუტინაციისა და ფლექსიის ფარგლებშიაც სხვადასხვა ენები სხვადასხვაგვარ თავისებურებებს გვიჩვენებენ, ეს თავისებურებები ვერ განლაგდება ერთ სწორ ხაზზე და ვერ იქნება მიჩნეული განვითარების აღმავალ საფეხურებად.

კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება მოყვანილი შეხედულება, თუ მოვიგონებთ იმას, რომ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში არ არის გათვალისწინებული მრავალი ენის თავისებურება. სამი ტიპის წარმოდგენა განვითარების აღმავალი საფეხურების სახით არც თუ ისე ძნელია, მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში,

თუ დადასტურდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მორფოლოგიური ტიპების არსებობა? ჩვენ კი ზემოთ დავრწმუნდით, რომ ახალ ენათა ანალიზი უეჭველად იწვევს ახალ მორფოლოგიურ ტიპთა და ქვეტიპთა გამოყოფას. ახალი ტიპები კი არა, მხოლოდ ერთი ინკორპორაციული ტიპიც კი საკმაოდ მძიმე დაბრკოლებას ქმნის. ვერც ერთმა მკვლევარმა, რომელიც კი მორფოლოგიურ ტიპებს ერთმანეთის მომდევნო საფეხურებად მიიჩნევდა, ვერ დაუძებნა ადგილი ინკორპორაციულ ენებს განვითარების ამ სქემაში. რაღა ითქმის სხვა, ახლახან გამოყოფილი ტიპებისა და ქვეტიპების შესახებ (იხ. მისტელისა და ფინკის სქემები).

ამგვარად, მორფოლოგიურ ტიპთა განვითარების ტრადიციული სქემა ვერ ასახავს რეალურ ვითარებას. ამ სქემის მიხედვით, განვითარება სწორხაზოვანია და ყველა ენისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს:

იზოლაცია → აგლუტინაცია → ფლექსია

ინკორპორაციული ტიპისათვის აქ ადგილი არ რჩება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი, შეიძლება წარმოვადგინოთ მორფოლოგიურ ტიპთა განვითარების სხვაგვარი სქემა, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო შეესაბამება სინამდვილეს:

აზროვნებაში	ენაში	
I. მიმართებები არ არის გამოყოფილი საგნებისაგან	I. მიმართებები ენობრივი საშუალებებით არ გადმოიცემა	(არ არის დაცული არც ენაში, არც აზროვნებაში)
II. მიმართებები გამოყოფილია	II. მიმართებები აღინიშნება სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით.	1. იზოლირებული ტიპი—იყენებს: ადგილმდებარეობას, ინტონაციას, დამმამარე სიტყვებს. ორი ქვეტიპით: ა) უაფიქსო ენები. ბ) ენები, რომლებსაც მნიშვნელობის მქონელი აფიქსები აქვთ, დამოკიდ. აღმნიშვნელი კი—არა.
		2. ინკორპორაციული ტიპი — აბსიათებს სიტყვა-წინადადება.
		3. აფიქსებიანი ტიპი — ძირითადად იყენებს აფიქსებს. ორი ქვეტიპით: ა) აგლუტინაციური ენები—აფიქსსა და ფუძეს შორის კავშირი სუსტია. ბ) ფლექსიური ენები—აფიქსი შეერწყმის ფუძეს.

ამ სქემის მიხედვით, ენათა მორფოლოგიური ტიპების განვითარება აზროვნების განვითარებას უკავშირდება (I და II საფეხურები აზროვნებასა და ენაში). ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის კომენტატორებთან კი ისე გამოდიოდა, თითქოს აზროვნება ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, უცვლელი რამ იყოს და ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპები თანდათანობით უახლოვდებოდნენ მის სრულყოფილად გამოხატვის მიზანს.

პირველი საფეხური არც ენისა და არც აზროვნების განვითარებაში ამჟამად დაცული არ არის. იგი ჰიპოთეზურადაა დაშვებული იმის საფუძველზე, რაც ენისა და აზროვნების განვითარების შესახებ ვიცით.

იზოლირებული, აგლუტინაციური და ფლექსიური ტიპები ერთმანეთის მომდევნო და აღმავალ საფეხურებს კი არ წარმოადგენენ სრულყოფის გზაზე, არამედ ერთმანეთის გვერდით არიან მოქცეული. ყოველი მათგანი ასრულებს თავის ამოცანას გამოხატოს საგანთა შორის მიმართებები, მაგრამ თითოეული ამას სხვადასხვა საშუალებით აღწევს. დასახელებული ტიპების ტოლფარდია ინკორპორაციულიც. აქვე პოვებს ადგილს ყველა ის ტიპი, რომლებიც ახალ ენათა გათვალისწინების შედეგად გამოიყოფა.

განვითარება, რა თქმა უნდა, არ შეწყვეტილა I საფეხურიდან II-ზე გადასვლით. თითოეული მორფოლოგიური ტიპი, რომელიც თანამედროვე ენებში დასტურდება, მტკიცედ ჩამოყალიბებულსა და დახვეწილ სისტემას წარმოადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტიპებს ქმნადობისა და განვითარების ხანგრძლივი პროცესი გაუვლიათ.

როგორც აღვნიშნეთ, იზოლირებული, აგლუტინაციური და ფლექსიური ტიპები არ წარმოადგენენ ისეთ საფეხურებს ენათა განვითარებაში, რომლებიც შინაგანი აუცილებლობით უნდა მოსდევდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს შეუძლებელი იყოს რომელიმე იზოლირებული ენა გადაიქცეს აფიქსებიან ენად აგლუტინაციური იქნება ის თუ ფლექსიური, ანდა აგლუტინაციური ენა ფლექსიური გახდეს, ანდა ფლექსიური ტიპი შეიცვალოს რომელიმე სხვა ტიპით. ასეთი რამ სრულიად შესაძლებელია და საამისო მაგალითებიც კარგად ცნობილია. მორფოლოგიური ტიპის ცვლის ნიმუშს წარმოადგენს ინგლისურის, ფრანგულისა და სხვა ანალიზური ტიპის ენათა ჩამოყალიბება. მაგრამ ჩვენ გვინდა გავხაზოთ, რომ ასეთი შეცვლა სრულიად არ უკავშირდება ენის სრულყოფის საკითხს, მორფოლოგიური ტიპის შეცვლა

ენას განვითარების კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული და ხშირად მას ისეთი ფაქტორები იწვევს, რომლებსაც სრულიადაც არა აქვთ პირდაპირი კავშირი მორფოლოგიური ტიპის ბუნებასთან. ასე, მაგალითად, უდავოა, რომ ინგლისური ენის გადაქცევაში ანალიზური ტიპის ენად გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ენის მრავალგზისმა შეჯვარედინებამ და ფონეტიკურმა პროცესებმა, რომლებმაც გამოიწვიეს სიტყვათა ბოლო ბგერების, მაშასადამე, აფიქსების მოკვეცა. არც ერთი ეს ფაქტორი არ შეიძლება შევაფასოთ ენის სრულყოფის თვალსაზრისით.

რაკი მორფოლოგიურ ტიპთა განვითარებაზე გვაქვს საუბარი, გვინდა ერთ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება. მორფოლოგიური ტიპი ძალიან ნელა იცვლება, თვით ენის გრამატიკულ წყობაზე უფრო ნელაც კი. შეიძლება ენა აოსებითად გარდაიქმნას, ახალი თვისებრიობაც კი წარმოიშვას, ე. ი. ერთი ენიდან შეიძლება სხვა ენა მივიღოთ და მორფოლოგიური ტიპი კი იგივე დარჩეს. ასე, მაგალითად, მკვლევრების აზრით, ინდოევროპულ ენათა ფუძე-ენა ფლექსიური უნდა ყოფილიყო. ამ ენის არსებობის შემდეგ რამდენიმეჯერ მოხდა დიფერენციაცია, სულ ახალი და ახალი ენები წარმოიქმნა, მაგრამ მაინც ამ ენათა დიდმა უმრავლესობამ ფლექსიური ტიპი შეინარჩუნა. რა თქმა უნდა, საკსებით უცვლელი ეს ტიპიც არ დარჩენილა, მაგრამ მას ისეთი არსებითი გარდაქმნა არ განუცდია, როგორც ამ ენათა ლექსიკურმა შემადგენლობამ და გრამატიკულმა წყობამ განიცადა. ამგვარად, ეპოქათა განმავლობაში, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების წინსვლასთან ერთად, ვითარდება, იხვეწება, უფრო სრულყოფილი ხდება ენათა ლექსიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა. მორფოლოგიური ტიპები კი შეუდარებლივ უფრო ნელა იცვლებიან და უშუალოდ არ ასახავენ იმ ძვრებს, რომლებსაც საზოგადოების ისტორიასა და კულტურაში აქვთ ადგილი. ამის გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მორფოლოგიურ ტიპთა ბუნებისა და მათი განვითარების საკითხის სწორად გაშუქებისათვის.

§37. იმის გამო, რომ მორფოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტატორებმა ვერ შეძლეს ერთმანეთის ნომდევნო საფეხურებად წარმოედგინათ ძირეული, აგლუტინაციური და ფლექსიური ენები, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ზოგმა წარმომადგენელმა საერთოდ უარი თქვა ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაზე. ეს შეხედულება განსაკუთრებით იმ ენათმეცნიერებთან გვხვდება, რომლებიც არ იზიარებენ თვალსაზრისს, თითქოს სხვადასხვა

მორფოლოგიურ ტიპს სხვადასხვაგვარი ღირებულება ჰქონდეს[1]. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ მკვეთრი გამოხატულება პოვა ანტ. მეიესთან, რომელიც მიუღებლად თვლის ამ კლასიფიკაციას იმის გამო, რომ იგი არ არის ისტორიული. მეიეს აზრით, ერთადერთ ფასეულსა და სასარგებლო კლასიფიკაციას წარმოადგენს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ენათა ისტორიას ემყარება[2].

ანტ. მეიეს თვალსაზრისს იზიარებს ამერიკელი ენათმეცნიერი ლუი გრეი[3].

ზემოთ საკმაოდ გვქონდა საუბარი იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას ახასიათებს. ეს ნაკლოვანებანი თავს იჩენს როგორც ენათა დაჯგუფებისას, ისე, განსაკუთრებით, მორფოლოგიურ ტიპთა ინტერპრეტაციის დროს. მიუხედავად ამისა, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის უარყოფა არ არის გამართლებული.

ჯერ ერთი, საჭიროა სწორი პასუხი გაეცეს იმ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც არამართებულად იყო გაშუქებული ტრადიციულ კლასიფიკაციაში, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ის მცდარი შეხედულებები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდნენ ენათმეცნიერებაში.

მაგრამ მორფოლოგიური კლასიფიკაციის დამუშავებას მხოლოდ ძველ შეცდომათა უარყოფისათვის არა აქვს მნიშვნელობა. მორფოლოგიურ კლასიფიკაციას მყარი საფუძველი მოეპოვება. იგი შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ ენათა სტრუქტურის მრავალფეროვნება და სხვადასხვა ტიპის ენათა შედარებით დავადგინოთ მათში ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებანი. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის სწორი ინტერპრეტაცია შუქს მოჰფენს ენათა განვითარების რიგ საკითხსაც.

---

[1] იხ, მაგ., Schuchardt-Brevier, გვ. 218. А. Н. Томсон, Общее языковедение, Одесса, 1910, გვ. 45.

[2] ანტ. მეიეს შესავალი კრებულში Les langues du mondo. Paris, 1924, გვ. 1.

[3] Louis H. Gray, Foundations of Language, 1939. გვ. 301. ლუი გრეის მაინც მოჰყავს ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის სქემა, სადაც იგი 5 ტიპს გამოყოფს: 1. იზოლირებული, 2. თანწყობითი (juxtaposing. იგულისხმება პრეფიქსებიანი ბანტუ ენა), 3. აგლუტინაციური, 4. ფლექსიური და 5. ანალიზური (შედის ფრანგული და ინგლისური ენები. დეფლექსირების გზით არის მიღებული) (გვ. 299—300). თვით ეს სქემაც აშკარად გვიჩვენებს ავტორის ზერელე დამოკიდებულებას მორფოლოგიური კლასიფიკაციისადმი.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ მორფოლოგიური ტიპების სხვადასხვაობა შინაგანად უკავშირდება ენათა მთელ რიგ სხვა თავისებურებებს, როგორიცაა ენებში გავრცელებული ფონეტიკური პროცესები, მეტყველების ნაწილთა გაფორმება, სინტაქსური კონსტრუქციები. ამ თავისებურებათა კომპლექსის შესწავლა მათ მთლიანობაში გაამდიდრებს ზოგად ენათმეცნიერებას მნიშვნელოვანი დასკვნებით.

განსაკუთრებით მჭიდროა მორფოლოგიური ტიპების კავშირი ენათა გრამატიკულ წყობასთან. მორფოლოგიურ ტიპთა ისტორიის მართებულ ანალიზს შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვანი მითითებები გრამატიკული წყობის ბუნებისა და ჩამოყალიბების შესახებ.

ყოველივე ამის გამო, აშკარაა, რომ ისტორიული ენათმეცნიერება უარს ვერ იტყვის ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაზე. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საბოლოოდ იქნეს აღმოფხვრილი ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ კლასიფიკაციას ახასიათებს და რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ წინარემეცნიერული ხანიდან მომდინარეობს.

ნაწილი მესამე

ენათა ფსიქოლოგისტური კლასიფიკაცია

თავი პირველი

ენათა ფსიქოლოგისტური კლასიფიკაცია ჰ. შტაინთალისა

§36. ენათა ფსიქოლოგისტური კლასიფიკაციის სახელით ენათმეცნიერებაში ცნობილია ჰ. შტაინთალის კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციის ავტორი ჰ. შტაინთალი ვილჰ. ჰუმბოლდტის მიმდევარი და ენის ფილოსოფიის შესახებ ჰუმბოლდტის შრომათა კომენტატორი იყო. შტაინთალი პირველი ენათმეცნიერი იყო, რომელმაც გაილაშქრა ენათმეცნიერებაში ლოგიციზმის წინააღმდეგ[1]. მაგრამ ნაცვლად მის მიერ უარყოფილი ლოგიციზმისა, შტაინთალმა საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიზმს ენათმეცნიერებაში. იგი ემყარებოდა ჰერბარტის ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას.

ენათა კლასიფიკაციის საკითხს შტაინთალმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა, სახელდობრ „ენათა კლასიფიკაცია წარმოდგენილი, როგორც ენობრივი იდეის განვითარება"[2]. ეს ნაშრომი გადამუშავებული სახით 1860 წელს გამოქვეყნდა სათაურით „ენობრივი წყობის უმთავრესი ტიპების დახასიათება"[3].

შტაინთალი ენას ფსიქიკურ მოვლენად მიიჩნევს. მიუთითებს რა შინაგან წინააღმდეგობებზე ჰუმბოლდტის კონცეფციაში, იგი მიზნად ისახავს ამ წინააღმდეგობათა დაძლევას. ეს კი, მისი აზრით, შესაძლებელი გახდება, თუ ენის არსს, რომელსაც ჰუმბოლდტი სუბ-

---

[1] 1855 წელს გამოსულ ნაშრომში „გრამატიკა, ლოგიკა და ფსიქოლოგია, მათი პრინციპები და მათი ურთიერთობა".

[2] H. Steinthal, Die Classification der Sprachen, dargestellt als die Entwickelung der Sprachidee, Berlin, 1850.

[3] Dr. H. Steinthal, Charakteristik der hauptsächlichsten Typen des Sprachbaues. Zweite Bearbeitung seiner Classification der Sprachen, Berlin, 1860.

სტანციის ფორმად თვლიდა, მხოლოდ ფსიქიკურ პროცესად მიიჩნევთ[1].

ყველაფერი, რაც ადამიანის სულიერ ცხოვრებას ქმნის, წარმოადგენს პროცესებს ამ სულში და ამ პროცესთა მიღწევებსო,— გვეუბნება შტაინთალი[2].

ცნობიერების თავდაპირველ მასალას ქმნის აღქმა (Wahrnehmung) ანუ ჭვრეტა (Anschauung)[3]. აღქმა რთული სულიერი პროცესია და იგი წარმოადგენს გარემოს ათვისებას გარე გრძნობების საშუალებით[4]. აღქმას შტაინთალი ახასიათებს, როგორც უსიტყვო ცნობიერებას, რომელიც ცხოველებსაც აქვთ[5]. ყველაფერი, რაც აღქმაში გვეძლევა (საგნების გარეგანი ფორმა ანუ გეშტალტი, მასალა, საგანთა შორის მიმართებები (მაგ., ხეზე ჩიტი ან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი[6], დროისა და სივრცის კავშირები) ცნობიერების მასალას წარმოადგენს. აღქმათა სამყაროში, ისევე როგორც წინაენობრივ ცნობიერებაში, ფორმა არა გვაქვს მოცემული[7].

ფორმის აღქმა არ შეიძლება, იგი სულის თვითმოქმედების შედეგად იქმნება და პირველ გამაფორმებელ მოქმედებას მეტყველება წარმოადგენს. პიოველი მასალა, რომელსაც მეტყველება გააფორმებს, აღქმებია[8]. ენა აღქმის პროდუქტს — ჭვრეტას, რომლის ობიექტსაც გარე სამყარო წარმოადგენს, შინაგანი ჭვრეტის საგნად აქცევს. ამიტომ ენის გამაფორმებელი მოქმედების არსი უზოგადესად და არა საკმაოდ დაზუსტებულად იქნება ჭვრეტის ჭვრეტაო (Anschauung der Anschauung),—ასკვნის შტაინთალი[9].

რას წარმოადგენს ენის გამაფორმებელი მოქმედება? გაფორმება, შტაინთალის მიხედვით, მდგომარეობს გამოცალკევებაში და ერთ მთლიანად შეერთებაში, ანუ სხვაგვარად, გაფორმება მთლიანს

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 74.
[2] იქვე, გვ. 76.
[3] იქვე, გვ. 99.
[4] იქვე, გვ. 77.
[5] იქვე.
[6] როდესაც სველი ტყისა და მიწის დანახვაზე ვასკვნით, რომ წვიმია, ეს აღქმის დასკვნააო,—წერს შტაინთალი, გვ. 78.
[7] იქვე, გვ. 77—78.
[8] იქვე, გვ. 78.
[9] იქვე, გვ. 79.

ნაწილებად ყოფს, ხოლო ნაწილებს, როგორც მთლიანის ნაწილებს, შეაერთებს[1].

ამის შესაბამისად ავტორი განიხილავს ორ მხარეს ენის გამაფორმებელ მოქმედებაში. პირველია ერთიანი ჰვრეტის დაყოფა ნაწილებად და ელემენტებად. აქ ჩვენ გვაქვს შინაგანი მოქმედება, ფსიქიკური პროცესი, რომელიც აღქმის აქტში მოცემული არ არის და ე. ი. ჰვრეტის ჰვრეტას წარმოადგენს[2]. მისი საშუალებით ხდება თვისებათა, მოძრაობათა და მდგომარეობათა გამოყოფა საგნებისაგან[3].

ჰვრეტათა ჰვრეტა შტაინთალისათვის იგივე წარმოდგენაა. ეს უკანასკნელი აღქმით არ არის მოცემული[4]. ჰვრეტისაგან წარმოდგენას ენის შემოქმედება წარმოშობს, ხოლო წარმოდგენების შენახვა და რეპროდუქცია ხდება ბგერის, სიტყვის საშუალებით[5].

ამგვარად, წარმოდგენა ჰვრეტის ჰვრეტა არის. მაგრამ ჰვრეტის ჰვრეტა ხომ ენის გამაფორმებელი მოქმედება ანუ თვით ენა იყო. გამოდის, რომ ენა და წარმოდგენა ერთი და იგივეა, და მართლაც ასე ფიქრობს შტაინთალი[6]. უფრო დაზუსტებული ფორმულირებით, წარმოდგენა ენის არსს ქმნის, ხოლო მასთან შეერთებულ ბგერას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ავტორი წერს: „როგორც ის თავდაპირველი გრძნობა, რომელიც ადამიანს წარმოდგენას წარმოუდგენდა, ისევე აგრეთვე წარმოდგენები, რომლებიც შემდეგ იმისათვის იქნენ გამოყენებულნი, რომ ცოდნის, წარმოდგენებისა და ცნებების სხვა, ახლად ნაწარმოები შინაარსების წარმომადგენლებად ყოფილიყვნენ, ქმნიან ნამდვილ არსს ენისა, რომელსაც ბგერაში მხოლოდ თავისი მატერიალური საყრდენი და გრძნობადი გამოცენა აქვს[7]. აღნიშნული წარმოდგენები და ბგერა ერთად ქმნიან ენას[8].

ენაში ამ ორი მხარის გამოყოფის საფუძველზე შტაინთალი ცდილობს განასხვაოს ერთმანეთისაგან ენის შინაგანი ფორმა და გარეგანი ფორმა. პირველს წარმოდგენები ქმნიან, მეორეს კი—ბგერები[9]. შინაგანი ენობრივი ფორმა, ავტორის განმარტებით, არის

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 79.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 82.
[4] იქვე, გვ. 81.
[5] იქვე, გვ. 82.
[6] ჰვრეტის ჰვრეტა ანუ წარმოდგენა ანუ ენა არის გაფორმება... იქვე, გვ. 81.
[7] იქვე, გვ. 84.
[8] იქვე.
[9] იქვე.

ჰვრეტა ანუ აპერცეფცია ყოველი შესაძლებელი შინაარსისა, რომელიც გონს მოეპოება, ამ შინაარსის წარმოდგენის, შენახვისა და რეპროდუქციის საშუალება, აგრეთვე ახალი შინაარსის მიღწევის ან შექმნის საშუალება[1].

სიტყვა წარმოდგენას უკავშირდება. ყოველი სიტყვა შეესაბამება გარკვეულ წარმოდგენას, მაგრამ ყოველი წარმოდგენა და სიტყვა არ შეესატყვისება საგანს. ამის მიზეზად იგი ასახელებს ჯერ ერთი იმას, რომ ენაში შესაძლებელია საგნად იყოს წარმოდგენილი ის, რაც სინამდვილეში არ არის საგანი, არამედ პროცესია ან მიმართება (მაგალითად: დღე, ღამე, დილა, საღამო, ზაფხული, ზამთარი, ცეცხლი, ქარი, სუნთქვა, ქიმია...)[2]. მეორე და მთავარი კი ის არის, რომ წარმოდგენის შინაარსი ზოგადია, გვარობითია. რაკი წარმოდგენას უკავშირდება, სიტყვა აღნიშნავს არა ერთეულ საგანს, არამედ გვარს. ამიტომ წარმოდგენის შინაარსის აღქმა ან დანახვა არ შეიძლება, იგი იქმნება შინაგანი მოქმედებით წარმოდგენის შექმნისას. ავტორს ასეთი მაგალითი მოჰყავს: კონკრეტული ლომი გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება დავინახოთ, ასევე ვხედავთ ზედაპირის ცისფერს, მაგრამ ლომს, ცისფერს საერთოდ გონში წარმოვიდგენთ სიტყვის საშუალებით, რომელსაც თავისი ბგერა და თავისი შინაგანი ფორმა აქვს[3]. როგორღა წარმოიშვება გვარი?—იგი სუბიექტური მოქმედების შედეგად მიაჩნია შტაინთალს. გვარები გარკვეული მოსაზრებებით და საფუძვლით, რეალურ ინდივიდებს შორის შენიშნულ გარკვეულ მსგავსებათა მიხედვით, ე. ი. სუბიექტური მოქმედების შედეგად გამოიყოფაო,—გვეუბნება იგი და დასძენს: ისევე არ იყო აუცილებელი განესხვავებინათ ერთმანეთისაგან ბატი და იხვი, ძაღლი და მგელი, მელა და ტურა, როგორც შესაძლებელი იყო კიდევ უფრო მეტი განსხვავებანი დაემყარებინათ დასახელებული გვარების შიგნით. ცარიელი ჰვრეტა არც ერთს მოითხოვს, არც მეორესო[4].

ასევე სუბიექტური მოქმედების შედეგია აბსტრაქტული წარმოდგენები, რომელთა წარმოქმნაში ყოველი ენა თავის საკუთარ გზას მიჰყვებაა[5]. წარმოდგენები მით უფრო აბსტრაქტული არიან, რამდენადაც ისინი ცალკეული პირის ცოცხალი ჰვრეტისაგან სუ-

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 84, შდრ. აგრეთვე გვ. 92.
[2] იქვე, გვ. 86.
[3] იქვე, გვ. 85.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 86.

ბიექტური მოქმედების გზით წარმოიშვებიანო,—ასკვნის შტაინთალი[1].

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ენის გამაფორმებელი მოქმედება შტაინთალს ისე ესმის, როგორც მთლიანი ჭვრეტის ნაწილებად დაყოფა და ნაწილების გაერთიანება. მთლიანი ჭვრეტის დანაწილება წარმოდგენებად. როგორც ვნახეთ, სიტყვაწარმოების პროცესისათვის ყოფილა დამახასიათებელი. აუცილებელია მეორე ბზარეც, ე. ი. ნაწილთა ანუ წარმოდგენების გაერთიანება ერთ მთლიანად.

ენისა და წარმოდგენათა წარმოქმნის პროცესს შტაინთალი შემდეგნაირად ახასიათებს: ხელქმის საშუალებით მიღწეული ჭვრეტა მხოლოდ სინამდვილის გარშემო ტრიალებს და მისი შინაარსი მხოლოდ მასალაა. ენის გამაფორმებელი მოქმედება ანაწილებს ამ შინაარსს. შემდეგ აწვდის ცნობიერებას ამ შინაარსის ნაცვლად მის შემნაცვლებელ საშუალებას ანუ წარმოდგენებს, და ბოლოს ამ წარმოდგენებსაც გარკვეულ მიმართებაში სვამს ერთმანეთთან, ე. ი. აფორმებს მათ[2].

წარმოდგენათა ერთმანეთთან დაკავშირება იწვევს სიტყვათა ბგერით გაფორმებასაც და ამგვარად იქმნება გრამატიკული ფორმა. ავტორის განმარტებით, როგორც და რამდენადაც ცნობიერებაში გარდა წარმოდგენებისა წარმოიშვება მიმართებათა ფორმები, რომლებიც წარმოდგენებზე ვრცელდებიან და მათ მოიცავენ, ასევე და ამის შესატყვისად შეუცნობლად და უნებლიეთ სიტყვები აგრეთვე ბგერობრივად ფორმდებიან[3].

შტაინთალის მიხედვით, წარმოდგენათა მიმართებები არ გამოხატავს საგანთა შორის არსებულ კავშირებს. მისი აზრით, როგორც ჭვრეტის ჭვრეტა ანუ წარმოდგენა არ არის სინამდვილის იდეალური სურათის ასახვა, ასევე წარმოდგენათა შეერთებაც არ შეიძლება იყოს ჭვრეტის კონკრეტული მთლიანობის ხელახლა შექმნა. ჭვრეტის კონკრეტული მთლიანობა მხოლოდ სინამდვილის იდეალური ანაბეჭდია, ხოლო წარმოდგენის სამყაროში ხელახლა შექმნილი ერთიანობა, ისევე როგორც ყოველი ცალკეული წარმოდგენაც თავისთავად, არის სუბიექტური, შინაგანი მოქმედების პროდუქტი[4].

ამგვარად, აქაც, ისევე როგორც წარმოდგენათა შექმნისას, ენა სუბიექტურ მოქმედებად ცხადდება.

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 86.

[2] იქვე, გვ. 89.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 86—87.

ცალკეულ წარმოდგენებს რომ არ აერთიანებდეს, ასეთი ენა არ არსებობს. მაგრამ სხვადასხვა ხალხის სუბიექტურობა ამას სხვადასხვაგვარად აწარმოებს. ამასთან ავტორი იმაზედაც მიუთითებს, რომ ყოველ ერთიანობას ან მიმართებას საფუძველი, აზრი უნდა ჰქონდეს (ასეთია ადგილის, დროის, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებანი, შედარების შედეგად დამყარებული მიმართებანი, მთელისა და ნაწილის, საგნისა და თვისების მიმართებანი და სხვ...), მაგრამ ყოველ ენას აქვს არჩევანი წარმოდგენების მიმართებათა დამყარებისას[1].

ჩვენ უნდა ვნახოთ, როგორ გამოხატავს ესა თუ ის ენა წარმოდგენათა შორის მიმართებას.—აღნიშნავს ავტორი სხვა ადგილას და განმარტავს: ეს მიმართება არ არის მყარ ფორმებში ობიექტურად მოცემული. ენას შეუძლია მრავალგვარ გარემოებაზე დაამყაროს ისინი და ჩვენ უნდა ვნახოთ, რას ემყარება ეს მიმართებებიო[2].

ელემენტთა ურთიერთშეკავშირება, წარმოდგენებს შორის მიმართების დამყარება წინადადებაში ხდება[3]. რომ გასაგები გახდეს შტაინთალის მიერ მოყვანილი განსაზღვრა წინადადებისა, უნდა გავითვალისწინოთ მისი შემდეგი მსჯელობა:

ადამიანი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი მომზდარ ამბავს ერთხელ კიდევ წარმოიდგენს. იგი აწარმოებს წარსული მდგომარეობის რეპროდუქციას, როდესაც აღმოაჩენს „ახ, ძალიან მაწვებოდა“ ტვირთის შესახებ, რომელიც ამჟამად უკვე მოხსნილი აქვს. აქ ხდება ცნობიერების მდგომარეობის გაცნობიერება, ე. ი. თვითგაცნობიერება (Selbstbewußtsein). ეს კი იმგვარად ხორციელდება, რომ ადამიანი არა მხოლოდ აღიქვამს შინაგან მდგომარეობას, არამედ აღიქვამს მას, როგორც გარეთ მომხდარ შემთხვევას, თითქოს იგი განიცდიდეს გარკვეული არსის მოქმედებას.

თვითშემეცნების წყალობით გონი თავის კუთვნილებას (ე. ი. შინაგან მდგომარეობას) ობიექტად აქცევს. ხოლო ენა, თვითშემეცნების ეს პირველი გაღვიძება, შინაგან შინაარსს არა მხოლოდ ობიექტად, არამედ რეალურ გარეგან მოვლენად წარმოგვიდგენს. იგი ფიქრობს, რომ გარეგანს აღიქვამს და წარმოიდგენს, მაშინ როდესაც სინამდვილეში შინაგანს აღიქვამს. სანიმუშოდ ავტორს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ჩვენ ვამბობთ „ხე ყვავის“, თითქოს ეს მართლაც რეალური არსების (ხის) გარედან მომდინარე საქმე იყოს. სი-

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 87.

[2] იქვე, გვ. 88.

[3] იქვე, გვ. 99.

ნამდვილეში კი ცნობიერება მაღლდება თვითცნობიერებამდე, გვაქვს აპერცეფცია. შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აყვავებული ხის ნახვამ გამოიწვია, აპერციფირდება, როგორც რაღაც წმინდა გარეგანი[1].

ზემომოყვანილ გაგებას ემყარება წინადადების განმარტება შტაინთალთან. მისი სიტყვით, წინადადება არის სულიერი შინაარსის, ცნობიერების აპერცეფცია ისეთი ფორმით, თითქოს მოქმედი ენერგიული არსება მის გარეთ ახდენდეს მოქმედებას[2]. ამის საფუძველზე ავტორს მიაჩნია, რომ წინადადება უეჭველად მოქმედებას უნდა გამოხატავდეს. ამიტომ ატრიბუტულ (კარგი მამა, მამა არის კარგი) და ობიექტურ (წერილის წერა, ლამაზად წერა) მიმართებათა გამოხატულებას იგი არ თვლის წინადადებად[3].

რაკი გრამატიკული ფორმები მიმართებებს გამოხატავს, შტაინთალის წინაშე დგება საკითხი ენობრივი ფორმების ურთიერთობისა ლოგიკურ ფორმებთან, ანუ სხვაგვარად, მეტყველებისა (Sprechen) და აზროვნების ,(Denken) ურთიერთობის საკითხი. ამ საკითხის განხილვისას შტაინთალი ბოლომდის ატარებს თავის ანტილოგიცისტურ თვალსაზრისს. მის აზრთა მსვლელობა ასეთია:

ენა ცნობიერების მასალას გააფორმებს. რადგანაც ცნობიერების შინაარსის გაფორმება არის აზროვნება (Denken), ამიტომ მეტყველება (Sprechen) აზროვნება ყოფილა. მაგრამ მეტყველება არ მოიცავს მთელს აზროვნებას. გრამატიკული ფორმები მხოლოდ აზროვნების გარკვეული საფეხურის, კერძოდ, პირველი საფეხურის, ფორმებია და, ამგვარად, მეტყველება მხოლოდ გარკვეული სახის აზროვნებაა[4].

ენობრივი აზროვნება და ენობრივი ფორმები წარმოადგენს კაცობრიობის ბავშვური გონის პირველ ცდებს ლოგიკის შექმნისაკენ. მაგრამ ენამ ფორმები მეტისმეტად ფანტასტიკურად განავითარა[5]. გრამატიკა არ არის ცუდი ლოგიკა, ის, საერთოდ, არავითარი ლოგიკა არ არის,—გვეუბნება შტაინთალი[6]. საერთო გრამატიკისა და

---

[1] Charakteristik der haupt. Typen ..., გვ. 97.

[2] „Er ist die Apperception eines Seelen-Inhalts, eines Bewußten, in Form einer draußen geübten That eines handelnden energischen Wesens" (გვ. 100).

[3] იქვე, გვ. 100—101.

[4] იქვე, გვ. 99, იხ. აგრეთვე გვ. 102.

[5] იქვე, გვ. 93.

[6] იქვე, გვ. 94.

ლოგიკისათვის ის არის, რომ ორივეგან წარმოებს თავისუფალი გონითი მოქმედება, რაც წმინდა ადამიანური მოვლენაა ცხოველის მექანიკურ სულიერ ცხოვრებასთან დაპირისპირებით. მაგრამ გრამატიკული ფორმა განსხვავდება ლოგიკურისაგან როგორც მასალით, ისე გაფორმების მიზნით და მაშასადამე რაგვარობითაც და შედეგითაც[1]. განსხვავება ენობრივსა და ლოგიკურ ფორმას შორის ის არის, რომ ისინი სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით აკავშირებენ[2], ენობრივი ფორმები თავისებურია, არა ლოგიკური, მათემატიკური ან სხვაგვარი, არამედ ენის არსის, მისი ამოცანის შესაბამისი[3].

ლოგიკაში საქმე ეხება აზრის (Gedanke), როგორც ასეთის, როგორც ამ გარკვეული შინაარსის აბსოლუტურად შესაბამის ფორმას, ხოლო ენაში პირუკუ—შინაარსისა და ფორმის რამდენადმე ხელოვნურ გამოხატულებას. ამიტომ ამ გამოხატულების ფორმა არ შეიძლება იყოს ლოგიკური,— აცხადებს შტაინთალი. ტერმინების ერთგვარობამ არ უნდა აგვრიოს, სუბიექტი და პრედიკატი ლოგიკაში და გრამატიკაში ერთმანეთს არ ემთხვევა,—განაგრძობს იგი და ასკვნის: გრამატიკული გაფორმება არის ხალხის გონის სრულიად თავისუფალი, სუბიექტური პროდუქტი. იგი დამოუკიდებელია ობიექტურ ლოგიკურ განსაზღვრებათაგან[4].

მაგრამ რადგანაც ენის არსი ის არის, რომ იგი აპერცეფციის ორგანო, სწავლებისა და სწავლის, ახალი ცოდნის მიღწევის საშუალება იყოს, ამიტომ ენა თან ახლავს ყოველგვარ აზროვნებას, როგორც ჩვეულებრივს, ისე ლოგიკურს[5]. როგორც სიტყვებში მოცემულია საგანთა შესახებ ცოდნა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული ცოდნა, კერძოდ, პირველი, ყველაზე გულუბრყვილო, ასევე ენაშიაც მოცემულია აზროვნების პირველი ფორმები. და როგორც ფიზიკოსი ბუნების ძალთა შესწავლისათვის ვერაფერს მიიღებს ეტიმოლოგიისაგან, ისევე ფილოსოფოსიც ლოგიკისათვის ვერაფერს შეიძენს გრამატიკისაგან. მაგრამ სიტყვები მუდმივი საშუალებებია ცნებათა აპერცეფციისათვის, ხოლო გრამატიკული ფორმები საშუალებებია ყველა ლოგიკურ ფორმათა აპერცეფციისათვის[6]. თავის მხრივ,

---

[1] **Charakteristik der haupt. Typen ...**, გვ. 94.

[2] იქვე, გვ. 95.

[3] იქვე, გვ. 100.

[4] იქვე, გვ. 101.

[5] იქვე, გვ. 97. სხვა ადგილას ნათქვამია: ენა ვეოასოდეს ვერ აღწევს ლოგიკის სიზუსტეს, ხოლო ლოგიკას თავისთავად არ შეუძლია მეტყველება, იგი ალგებრას საჭიროებსო (გვ. 96).

[6] იქვე, გვ. 99.

ენათმეცნიერს არ მოეთხოვება იმის კვლევა, რას გაიაზრებს ლოგიკოსი, რის აპერცეფციას ახდენს ის, როდესაც მსჯელობის ფორმას იყენებს. ენათმეცნიერმა უნდა გაარკვიოს, რას ნიშნავს ენობრივი ფორმა თავისთავად[1].

§39. ენათა განსხვავებას ფორმის, ბგერითი გამოხატულების მიხედვით შტაინთალი ხსნის იმ მიზნების განსხვავებით, რომლებიც ბგერითი ფორმებით უნდა იქნეს მიღწეული. ეს განსხვავება ემყარება იმას, რომ სხვადასხვა ხალხის გონის ცნობიერება განსხვავებულია. ენები ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც სხვადასხვა ხალხის გონის ცნობიერებაო,—აღნიშნავს იგი[2]. ენა ორგანიზმს წარმოადგენს, ხოლო მაორგანიზებელი, გამაფორმებელი ძალა წარმოდგენის მქონე ცნობიერებაში (im vorstellenden Bewußtsein) იმყოფებაო, ნათქვამია სხვა ადგილას[3].

რა მიზანს უნდა ისახავდეს ენათა კლასიფიკაცია? შტაინთალის აზრით, ენათა დაჯგუფებამ უნდა გვიჩვენოს სხვადასხვა ენაში გამოვლენილი პროგრესი, რომელშიაც ხალხები ენობრივ იდეას ახორციელებენ. სხვადასხვა ენები კაცობრიობის ენობრივი იდეის განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ. ყველანი კი ენობრივი იდეის მთლიან ორგანიზმს ქმნიან, მისი წევრები არიან. ენათა დანაწილებამ ეს ორგანიზმი უნდა წარმოგვიდგინოს. იგი გვიჩვენებს კაცობრიობის ენის ზოგად ფორმას[4].

ავტორი გვაფრთხილებს, რომ ენათა განვითარება არ უნდა წარმოვიდგინოთ სწორხაზოვნად, უბრალოდ კიბის საფეხურების სახით. ასეთი გზით ცალკეული ენები უგულებელყოფილი იქნება, რადგანაც ყოველ ენას აქვს გარკვეული, თავისებური უპირატესობანი სხვა ენებთან შედარებით. ხოლო ერთიმეორის ქვემოთ მოთავსებით ჩვენ მსჯავრს დავდებთ ენებს იმ მხარის მიხედვით, რომელიც მათ ნაკლოვანი აქვთ და სათანადოდ ვერ დავაფასებთ მათ დადებით მხარეს. შტაინთალი ენებს ადარებს ხეს, რომელიც ყოველი მიმართულებითაა განტოტებული. ტოტები ხშირად გადახლართულია,

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 99.

[2] იქვე, გვ. 104.

[3] იქვე, გვ. 105. „ორგანიზმს“ შტაინთალი ნატურალისტური გაგებით კი არ ხმარობს, არამედ ენის მთლიანობის აღსანიშნავად. მას ერთგან ჰუმბოლდტის გამოთქმა მოჰყავს „ენა არის ორგანული მთლიანი“ და მიუთითებს, რომ ორგანული აქ ეპითეტია და მახვილი „მთლიანს“ ხედებაო (გვ. 21—22).

[4] იქვე, გვ. 105.

თუმცა ხეს წეროც აქვს. ასევე ენათა დანაწილებისასაც, მისი აზრით, მთლიანად საფეხურებრივი კიბე აშკარად გამოულინდება, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელი იქნება დავამყაროთ განსხვავება ენებს შორის იმის მიხედვით, თუ რომელს აქვს უპირატესობა. ყოველი ტოტი ისე სხვადასხვა მხრივ არის დაკავშირებული სხვა ტოტებთან, რომ ხშირად ორი მათგანის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ ისევე დგანან მაღლა, როგორც დაბლა[1].

ეს გარემოება ართულებს ენათა საკლასიფიკაციო ნიშნის შერჩევას. დაჯგუფებისათვის ენათა კრიტიკა უნდა ვაწარმოოთ, მაგრამ არ არსებობს. ზოგადი ცნება, რომლის მიხედვითაც ენათა სრულყოფილობის შეფასება შეიძლებოდეს. ყოველ ენას თავისი ზოგადი ცნება აქვს. ბირმული სხვა ცნების განსაზიერებაა, ვიდრე ბერძნული. ბირმელი არასოდეს არ იგრძნობს სხვა, უფრო მაღალი ენის მოთხოვნილებას. შტაინთალი თვლის, რომ ყოველი საფეხური თავის თავში დახშულ წრეს ქმნის და თავის ცნებას ახორციელებს სრულად. ენათა შედარება და ერთიმეორის ზემოთ მათი მოთავსება სუბიექტური მოქმედებაა და აქ კრიტიკის ობიექტურობა მხოლოდ იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ შესადარებელ საგანთა ერთმანეთის გვერდით დაყენებით იგი საზომად გამოავლენს ორივე საგნის ცნებას, არსს[2].

ენათა კლასიფიკაციისათვის შტაინთალი სამ ნიშანს იყენებს: 1. ფორმის შინაგანი წარმოება, 2. შინაგანი ფორმის გამოვლენა ენის გარეგან ფორმაში ანუ ენათა მორფოლოგიური ტიპები, 3. სუბიექტისა და პრედიკატის გარჩევა.

შტაინთალი ამგვარად მსჯელობს: ენის შინაგანი ენობრივი აზრი[3] წარმოშობს ენის შინაგან ფორმას, ე. ი. გრამატიკულ კატეგორიათა თავისებურ სისტემას. ამიტომ საკლასიფიკაციო ნიშანი პირველ რიგში უნდა განისაზღვროს შინაგანი ენობრივი აზრის ანუ მის მიერ შექმნილი შინაგანი ენობრივი ფორმის მიხედვით. სხვაგვა-

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 105—106.

[2] იქვე, გვ. 313—314.

[3] შინაგან ენობრივ აზრს (der innere Sprachsinn) ჩვენ ჰუმბოლდტთან ერთად ვუწოდებთ ენის შემოქმედ გონს ანუ ხალხის ცნობიერებას, რამდენადაც იგი ენის წარმომშობი არისო, აღნიშნავს შტაინთალი (Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 316).

რად რომ ვთქვათ, იმ ენობრივი კატეგორიების, გრამატიკული ფორმების მიხედვით, რომელთაც ხალხი თავის ცნობიერებაში, წარმოშობს, ანუ იმ ფორმების მიხედვით, რომლებითაც ხალხი თავის ჰვრეტას წარმოდგენების სახით აწვდის თავის თავს[1].

ეს არის ფორმათა შინაგანი წარმოება, მაგრამ იგი გარეგნულადაც ვლინდება. შინაგანი ფორმა უკავშირდება ბგერას და წარმოშობს გარეგან ანუ ბგერით ფორმას. ეს ბგერითი გამოხატულებაც უნდა გამოვიყენოთ ენათა დაყოფისას[2].

პირველი ნიშანი, ე. ი. ფორმათა შინაგანი წარმოება, ფსიქოლოგიურია. ძირითადად სწორედ ის მიაჩნია შტაინთალს. იგი წერს: ჯერ ენა უნდა განვსაზღვროთ მისი ფსიქოლოგიური ბუნების მიხედვით, ხოლო შემდეგ გავითვალისწინოთ აგრეთვე გარეგანი გაფორმება (Gestaltung), როგორც ამ შინაგანი მოძრაობის ანაბეჭდი. მათი ერთიანობა განსაზღვრავს ენის ფორმას საერთოდ[3].

ამის მიხედვით, ყოველი ენის მიმართ პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, ჰქონდა თუ არა, და, რამდენად ჰქონდა ხალხის გონს ძალა თავისი აზროვნების შინაარსის ფორმა წარმოდგენების სახით მიეწოდებინა თავისი თავისათვის და ეს თვითწარმოდგენა (Selbstvorstellung) ბგერით ფორმაში აღებეჭდა[4]. სწორედ აქ ეძებს შტაინთალი ენათა სრულყოფილობის საზომს. რაც უფრო ღრმად და წვრილად სწვდება ხალხის გონი ფორმის არსს, მით უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება მისი ენა, რადგან მით უფრო უახლოვდება ის ცნების კატეგორიას[5]. შტაინთალის აზრით, ფორმალური არც ერთ ენაში არ შეიძლება იყოს სავსებით გამოუხატავი. მაგრამ ფორმისა და შინაარსის სხვადასხვაგვარ, დაპირისპირებული ბუნება და მათი ურთიერთობა ყველგან არ არის მოცემული და, მაშასადამე, არც ფორმათა ნამდვილი აზრი[6] გვაქვს. ამის საფუძველზე შტაინთალი გამოყოფს ფორმიან და უფორმო ენებს.

უფორმო ენაში ფორმალური მხარე და შინაარსი თანაბარუფლებიანია, ერთნაირად გამოიხატება. შინაარსის ფორმალური განსაზღვრისათვის გამოყენებულია მასალის აღმნიშვნელი მატერი-

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 316.
[3] იქვე.
[2] იქვე, გვ. 316—317.
[4] იქვე, გვ. 317.
[5] იქვე.
[6] იქვე.

ალური ელემენტები. მაგალითად, მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად იხმარება მასალის სიტყვები: „ბევრი, ყველა“, დროის გადმოსაცემად ნაწილაკები („einst“), წინდებულებად არსებითი სახელები (მაგ., Rücken, Vorderseite) და ა. შ. ამგვარად, ფორმალური მხარე მატერიალურისაგან არ არის გამიჯნული. ასეთ ენებს მხოლოდ მასალის ელემენტები აქვს, მათში მასალა უფორმოა[1].

ფორმიან ენაში მატერიალური შინაარსი და ფორმალური მხარე მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გარჩეული. ფორმის გამოსახატავად მასალის ელემენტები არ გამოიყენება.

შტაინთალის მიხედვით, ფორმიანი და უფორმო ენების დაპირისპირება გარეგან გამოხატულებას. პოვებს ენათა მორფოლოგიურ ტიპებში, რადგანაც ფორმის მქონებლობა-უქონლობა სიტყვის გეშტალტში იჩენს თავს. ამგვარად, ვიღებთ ენათა კლასიფიკაციის მეორე ნიშანს, რომელიც პირველზე (შინაგან ფორმაზე) არის დამოკიდებული. შტაინთალი განიხილავს ენათა სამ ტიპს: იზოლირებულს, აგლუტინაციურსა და ფლექსიურს.

მასალისა და ფორმის დაპირისპირება არ არის მოცემული არც აგლუტინაციურ, არც იზოლირებულ ენებში.

აგლუტინაციურ ენაში ფორმა მასალის სიტყვით არის გამოხატული, ამიტომ გონს ფორმისა და მასალის სიტყვის მნიშვნელობა თანაბრად ცხოველად უდგას წინ. გონს არ შეუძლია სიტყვათა მჭიდროდ გაერთიანება ისე, რომ მასალის სიტყვას მისადმი განკუთვნილი ფორმის ელემენტი დაერთოს, მას შეუძლია მხოლოდ სუსტი შეერთება თანაბარი მნიშვნელობის მქონე ამ ორი ელემენტისა. ამიტომ ბგერითი თვალსაზრისითაც მასალისა და ფორმის გამომხატველი სიტყვები ერთ დაუშლელ ერთიანობად კი არ შეირწყმიან, არამედ შეერთებული (Zussamensetzung) არიან და ხშირად სრულიად დამოუკიდებლადაც კი დაისმიან ერთმანეთის გვერდით. მეტყველება ვერ შეაერთებს მას, რასაც გონი განცალკევებულად სვამს, აღნიშნავს შტაინთალი. ამ ტიპს ჰუმბოლდტთან ერთად აგლუტინაციას ანუ მირთვას (Anfügung) ვუწოდებთ, წერს ავტორი[2].

იზოლირებულ ენებს შეერთებაც კი არ ახასიათებს, ისინი იყენებენ, შტაინთალის ტერმინით, გვერდით დასმას (Beisetzung)[3].

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 317.

[2] იქვე, გვ. 319.

[3] იქვე.

იზოლირებული ენები ყოველგვარ ფორმალურ განსაზღვრას ნაწილობრივ მასალის სიტყვებით აღწევენ, ხოლო ნაწილობრივ ადგილმდებარეობისა და ნაწილაკების საშუალებით[1].

ფლექსიური ენები ფორმის შქონია. ისინი ძირის ელემენტებს ურთავენ ფორმის ელემენტებს, რომლებსაც მხოლოდ მასალასთან აქვთ მნიშვნელობა. ფლექსიის სინონიმად ავტორი ხმარობს ტერმინს მიზრდა (Anbildung).

როგორ შეძლეს ფლექსიურმა ენებმა ძირეული და ფორმალური ელემენტების დაპირისპირება? შტაინთალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ზმნურ და ნაცვალსახელურ ძირებს ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, კვალიტატურ და მითითებითს ძირებს. პირველთაგან სახელები და ზმნები იწარმოება, ხოლო მეორეთაგან—ნაცვალსახელები, ნაცვალსახელური სიტყვები, წინდებულები, კავშირები[2]. ფლექსიური ენები ფორმის აღსანიშნავად მითითებითს ძირებს იყენებენ. ეს უკანასკნელები თუმცა თავდაპირველად და თავისთავად მასალის ელემენტები იყვნენ, მაგრამ ბგერითად უაღრესად ელასტიურნი და მნიშვნელობის მიხედვით იმთავითვე უაღრესად აბსტრაქტულნი. ამიტომ ისინი წარმოადგენდნენ შესაფერის საშუალებას აბსტრაქტულ გრამატიკულ კატეგორიათა გამოხატვისათვის. მათ შეეძლოთ კატეგორიათა მნიშვნელობაზე მიეთითებინათ მატერიალურად მათი გამოხატვის გარეშე და რადგანაც მათ მხოლოდ გონითი ფორმა უნდა გამოეხატათ, შეეძლოთ ადვილად მიკვროდნენ მასალის ძირს, როგორც მხოლოდ გამაფორმებელი ელემენტები და შერწყმოდნენ მას. ამიტომ არის, რომ ფლექსიურ ენებში მასალისეული და ფორმალური ელემენტები მკვეთრად არის გარჩეული.

ენათა მორფოლოგიური ტიპები შტაინთალს სხვადასხვაგვარი ფსიქოლოგიური მიდრეკილების გამოვლენად მიაჩნია. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა შინაგანი ენობრივი ფორმის სხვადასხვა ბგერით ფორმებს[3]. იზოლირება და აგლუტინაცია უპირისპირდება ფლექსიას, როგორც უფორმო ენები ფორმიანს; მაგრამ ისინი (იზოლირება და აგლუტინაცია) ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან, როგორც შინაგანი ჰვრეტით, ისე გარეგანი გეშტალტით[4].

ზემოთქმულის მიხედვით, აშკარაა, რომ შტაინთალისათვის გარეგანი ენობრივი ფორმა შინაგანზე არის დამოკიდებული, მის გამო-

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 321.

[2] იქვე, გვ. 278.

[3] იქვე, გვ. 320.

[4] იქვე.

ხატულებას წარმოადგენს. იგი ერთგან იმასაც ამბობს, რომ შინაგანი ენობრივი ფორმა გარეგანში იბადება, არც ერთი მათგანი არ უსწრებს მეორეს წინო[1]. მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ გარეგანი ფორმა ყოველთვის არ ემთხვევა შინაგანს. ავტორი გვეუბნება: თუმცა ენობრივი აზრის შინაგანი მიდრეკილება თავდაპირველად ბგერითს ფორმაში აისახება, მაინც საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ეს უკანასკნელი უპირატესად არტიკულაციურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, შინაგანი ენობრივი აზრის და შინაგანი ენობრივი ფორმის საპირისპიროდ დამოუკიდებელ ძალად იქცევა და ძალიან ხშირად საკუთარ განვითარებას მისდევს. ამ განვითარების შესაბამისად იგი სხვადასხვაგვარად იმოქმედებს შინაგან ენობრივ აზრზე[2]

ორი შემთხვევა დასტურდება იმისა, რომ გარეგანი და შინაგანი ფორმა არ ემთხვევა ერთმანეთს. პირველ შემთხვევაში უფორმო ენაში იღვიძებს ფორმისაკენ მისწრაფება, რამაც ფორმალური ელემენტი უნდა წარმოშვას. მაგრამ რადგანაც ხალხის გონს თავის წარმოდგენაში არა აქვს შეცნობილი ნამდვილი ფორმა, იგი შეცდომას უშვებს. ნამდვილი გრამატიკული კატეგორიები ვერ გამოიხატება, რადგანაც ისინი გონს თავის წარმოდგენაში არა აქვს. სამაგიეროდ იქმნება არაგრამატიკული ფორმალური განსაზღვრებანი, რომლებიც წარმოდგენათა ფორმებს კი არ ეხებიან, არამედ სიტყვას განსაზღვრავენ მასალობრივი მნიშვნელობის მხრივ. ეს ნამდვილი ფორმები კი არაა, არამედ ფორმათა ანალოგები, რომლებსაც მაინც შეუძლიათ ფორმათა ასე თუ ისე გადმოცემა. ნიმუშად შტაინთალი ასახელებს დაიაკურ (პოლინეზიურ) ენას, რომელშიაც ზმნასთან მოქმედი პირის სიმრავლე გადმოიცემა ზმნური ძირის ხოლმეობითს ფორმით, ე. ი. მასალის მატერიალური განსაზღვრით[3].

როდესაც აგლუტინაციურ ენაში იღვიძებს ფორმისაკენ მისწრაფება, აღნიშნავს შტაინთალი, ამის შედეგად არტიკულაციის ძალა საკმაოდ ძლიერდება იმისათვის, რომ რამდენიმე ელემენტი ბგერით ერთიანობაში აღიქვას. ასეთ შემთხვევაში მჩრთვა ანუ აგლუტინაცია, რომლისათვისაც დამახასიათებელია ის, რომ ფორმის აღნიშვნის ბუნდოვანი გრძნობის წყალობით ერთი ელემენტი მეორეს ერთვის, გარეგნულადაც მიზრდის ანუ ფლექსიის სახეს ღებულობს. ამგვარად, ავტორის აზრით, თვით ცარიელი არტიკულაციის ძალასაც კი, თუ იგი შეერთებულია მახვილ სმენასთან და კეთილხმოვანი ბგერათ-

---

[1] **Charakteristik der haupt. Typen...**, გვ. 316.

[2] იქვე, გვ. 322.

[3] იქვე, გვ. 321.

ფორმისაკენ მისწრაფებასთან, შეუძლია თავდაპირველი მასალის ელემენტებით აწარმოოს მასალის ძირები, ე. ი. ფლექსიის გარეგნული სახე მიიღოს. ასეთ შემთხვევაში ავტორს ისიც კი არ მიაჩნია გამორიცხულად (თუმცა ეს მე ნაკლებ შესაძლებლად მეჩვენებაო, აღნიშნავს იგი), რომ ენამ შინაგანი ენობრივი აზრიც აამაღლოს და გააძლიეროს[1]. აღწერილი გზით შეიძლებოდა ენა გათავისუფლებულიყო იმ ხუნდებისაგან, რომლებსაც მას მასალის სიტყვებით შექმნილი ფორმები უქმნიდნენ და ხელსაყრელ გარეგან პირობებში იმ გზისათვისაც კი მიეღწია, რომელზე სელაც მას თავდაპირველად არ შეეძლო. ასეთი მოგომარეობა უნდა იყოს ფინურ ენაშიო,— აცხადებს შტაინთალი[2].

შინაგანი და გარეგანი ფორმის განსხვავების მეორე შემთხვევა მაშინ გვექნება, როდესაც თავდაპირველად კარგი აგებულების მქონე ენობრივ აზრს წინ ეღობება სუსტი არტიკულაციური შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში ენობრივი აზრი იძულებულია არასრულყოფილი ბგერათწარმოებით დაკმაყოფილდეს. მას არ ეძლევა შესაძლებლობა თავისი მთელი არსი და მთელი სიღრმე ბგერებში გამოავლინოს. ამის გამო იგი აქა-იქ უფორმო ენათა მცდარ გზაზე ეშვება. გარეგანი შეხედულებით ასეთი ენები სწორედ დაქვემდებარებულ (untergeordnete) ენებს უახლოვდებიანო, აღნიშნავს შტაინთალი და ასახელებს ეგვიპტურ ენას, რომელიც მას ფორმიან ენად მიაჩნია, მაგრამ რომელიც გარეგნული ფორმით ფლექსიური არ არის[3].

ზემოთქმულის საფუძველზე ავტორი ასკვნის: თუმცა ნამდვილი ღირსება და ნამდვილი არსი ფორმისა მის ფსიქოლოგიურ ბუნებას ემყარება, მიუხედავად ამისა, ერთის მხრივ, შეიძლება მიზრდა (ფლექსია) ვიპოვოთ ისეთ ენებში, რომელთათვისაც ნამდვილი ფორმები უცხოა, როგორც ჩინურში გვაქვს; ხოლო, მეორე მხრივ, თვით წმიხდა პრინციპის მქონე ენებში შეიძლება მხოლოდ ცარიელი მირთვა (აგლუტინაცია) იყოს, როგორც ეგვიპტურშია[4]. ამიტომ მას მართებულად მიაჩნია იმის თქმა, რომ გვერდით დასმა ანუ იზოლირება, მირთვა ანუ აგლუტინაცია და მიზრდა ანუ ფლექსია განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბგერითი ელემენტების უფრო ძლიერი ან უფრო სუსტი შეკავშირებით[5]. მაგრამ შტაინთალს მაინც საჭიროდ მიაჩნია

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 322.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 323.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ბგერითი ფორმების საფუძვლად მყოფი შინაარსის გამოვლენა და მისი სხვადასხვაობის წვდომა. ამით შევიცნობთ სხვადასხვაგვარ პრინციპებს, რომლებმაც ეს ფორმები წარმოშვა. ეს კი, თავისი მხრივ, შესაძლებლობას მოგვცემს სწორად გავარკვიოთ, როგორია ენობრივი ფორმის უკუქმედება შინაგან ენობრივ აზრზე და ენის მოქმედება საერთოდ ხალხის გონის განვითარებაზეო[1].

ენათა კლასიფიკაციის შემდეგი ნიშანი, როგორც აღნიშნული იყო, ეხება სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობას. სუბიექტის ეტიმოლოგიურ ფორმად შტაინთალს მიაჩნია სახელის სახელობითი ბრუნვა, ხოლო პრედიკატის ეტიმოლოგიურ ფორმად — პიროვანი ზმნა (Verbum finitum). უფორმო ენებს, რომლებიც მასალასა და ფორმას არ განასხვავებენ, არა აქვთ არც ნამდვილი სახელობითი, არც ნამდვილი განსაზღვრული ზმნაო, აცხადებს იგი[2]. ნომინატივის მქონე ენები ყველა სხვა ენებზე უპრობებად მიაჩნია ავტორს, რადგან ასეთი ენები შინაარსის ფორმას უფრო სრულყოფილად აქცევენ წარმოდგენებად იმის გამო, რომ მათში მეტია სინთეზირების ხარისხი[3].

იზოლირებულ ენებს არა აქვთ სუბიექტი და პრედიკატი. ერთი მასალის სიტყვა დაისმის მეორე მასალის სიტყვის გვერდით და უნდა მიხვდე, რომელია სუბიექტი და რომელი პრედიკატი. მაგალითად, „მთა მაღლა" უნდა ნიშნავდეს „მთა არის მაღალი". მაგრამ ანამურ ენაში ამ სიტყვათა შეერთებას სხვა მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს: „მაღალი მთა". ეს ორი მნიშვნელობა გაუდიფერენცირებელია, რაც მახვილი აზროვნების ნაკლოვანებაზე მიუთითებს[4].

ზოგ აგლუტინაციურ ენას ბევრი ფორმა აქვს, მაგრამ ეს ფორმები მხოლოდ მატერიალურ მნიშვნელობას ეხებიან. ასეთ ენებს სახელი აქვს, მაგრამ პიროვანი ზმნა კი — არა. პიროვანი ზმნის ნაცვლად ეს ენები მიმღეობებს ხმარობენ და ამგვარად სახელს კიდევ სახელს (ე. ი. მიმღეობას) უმატებენ. მაგრამ სახელი და სახელი არასოდეს არ გვაძლევს წინადადებასო, აღნიშნავს შტაინთალი[5].

იგი აქაც გვაფრთხილებს, რომ ზოგი ენა ხშირად ნამდვილი ფორმის ნაკლოვანებას ისეთი ხელოვნური წარმოებებით ცვლის,

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 323.
[2] იქვე, გვ. 324.
[3] იქვე, გვ. 325.
[4] იქვე.
[5] იქვე.

რომ ისინი ნამდვილი გრამატიკული ფორმების შეხედულებას იღებენ. ამის შედეგად იშვიათად იზოლირებულ ენებში და ძალიან ხშირად აგლუტინაციურ ენებში გვეჩვენება, რომ გარჩეულია სახელი და ზმნა (მაგ., მანჯურიულში და მონღოლურში). ასეთ ენათა გარკვეული სიტყვები ჩვენი ზმნებით ითარგმნება, სხვა სიტყვები კი —სახელებით, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ეს სიტყვები მართლაც სახელებისა და ზმნების განსხვავებას წარმოგვიდგენდნენ. აქაც ნამდვილ ფორმასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ფორმის ანალოგთან. განსხვავება ყოფნასა (Sein) და მოქმედებას (Tätigkeit) შორის შეიძლება ისე ცოცხალი იყოს ხალხის წარმოდგენაში, რომ იგი ენაშიაც გამოიხატოს. მაგრამ ამ გზით ზმნა არ წარმოიშვება. დასახელებულ ენებში კვლავ მატერიალური შინაარსის მიხედვით გვაქვს ფორმალური განსაზღვრებანი. მაგალითად, სახელთა და ზმნათა გრამატიკული კატეგორიების ნაცვლად მოცემულია განსხვავება ხანგრძლივ მდგომარეობასა (dauernde Inwohnen) და წარმავალ მოქმედებას (vorübergehende Handlung) შორის[1].

საბოლოოდ, თვითონ შტაინთალი საკლასიფიკაციო ნიშნებს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

1. ორი ფსიქოლოგიური ნიშანი: მასალისა და ფორმის გარჩევა და სახელისა და ზმნის გარჩევა.

2. უპირატესად სამი მორფოლოგიური ნიშანი: სიტყვათა უცვლელობა და ერთმანეთის გვერდით დასმა, აგლუტინაცია (მირთვა) და ფლექსია (მიზრდა)[2].

§40. ზემომოყვანილი თვალსაზრისით შტაინთალს განხილული და დახასიათებული აქვს შემდეგი ენები: ჩინური, ინდოჩინეთის ენები, პოლინეზიური ენები, ალთაური ენები, ამერიკული ენები, ეგვიპტური, სემიტური და ინდოევროპული ენები, რომლებსაც თვითონ ავტორი, მსგავსად ჰუმბოლდტისა, სანსკრიტული ძირის ენებს უწოდებს.

თავისი კლასიფიკაციის სქემას შტაინთალი შემდეგი სახით წარმოგვიდგენს (იხ. გვ. 261).

ამ სქემის კომენტარებში დასკვნის სახით შეჯამებულია შტაინთალის შეხედულებები. ავტორი გახაზავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფსიქოლოგიურ პრინციპს. იგი აღნიშნავს:

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 326.
[2] იქვე, გვ. 327.

უფორმო ენები

1. სიტყვებს ერთმანეთის გვერდით სვამენ [1]. შინაარსის განსაზღვრებებს გამოხატავენ რედუპლიკაციისა და პრეფიქსების საშუალებით	I. ინდოჩინეთის ენები
	II. პოლინეზიური ენები
2. ბრუნება-უღლილების მქონე ენები [2] შინაარსის განსაზღვრებებს გამოხატავენ ძირებზე ბოლოში მირთული დანართებით	III. ურალურ-ალთაური ენები
აღნიშვნებსა და შინაარსის განსაზღვრებებს გამოხატავენ შთასხეულების საშუალებით	IV. ამერიკული ენები

ფორმიანი ენები

1. სიტყვებს ერთმანეთის გვერდით სვამენ . .	V. ჩინური
2. ბრუნება-უღლილების მქონე ენები გრამატიკულ ელემენტთა უბრალო მირთვით .	VI. ეგვიპტური
ძირის შინაგანი ცვლილებით	VII. სემიტური
ნამდვილი აფიქსებით	VIII. სანსკრიტული

ბოლოდ მორფოლოგიური წყობა რომ მიგვეღო მხედველობაში, მაშინ სხვაგვარ დალაგებას მივიღებდით, კერძოდ, ჩინური, რომელსაც ამჟამად ასე მაღალი ადგილი უჭირავს, ყველაზე დაბალ ადგილზე გამოვიდოდაო[3]. ავტორი იმეორებს იმას,რომ წარმოდგენილ საფეხურების კიბეს ცალკეულ შემთხვევებში არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი ღირებულება აქვს. მაგალითად, ჩინური გარკვეული თვალსაზრისით ფინურზე ან ურალურზე მაღლა დგას, მაგრამ იგი მათზე დაბლაც იმყოფება, რამდენადაც ჩინური არის მხოლოდ დასაწყისი, ფინური კი, პირუკუ, დასასრული ენობრივი წარმოების პრინციპის განვითარებისა. ამიტომაა, ალბათ, ზოგიერთი მსგავსება ჩინურისა ბირმულთან და ფინურისა სანსკრიტულთან მიუხედავად მათი აბსოლუტური განსხვავებისა[4].

განვითარება, რომელიც სისტემაშია წარმოდგენილი, ავტორის აზრით, ასეთ სახეს ატარებს: პირველი ოთხი კლასი ერთმანეთში ურევს მასალას და ფორმას, იმით რომ ისინი ფორმას მეტად ან ნაკლებ უხეშად აღნიშნავენ მასალის ელემენტებით ან მატერიალურ განსაზღვრებებს ფორმად მიიჩნევენ. მეხუთე კლასი ასეთი აღრევისაგან თავისუფალია, მაგრამ მას აქვს მხოლოდ მასალის ელემენტები და ფორმას ბგერითად კი არ აღნიშნავს, არამედ ადგილით და სხვა რიტორული საშუალებებით. სამ უკანასკნელ კლასს აქვს გან-

[1] nebensetzende.
[2] abwandelnde.
[3] Charatkeristik der haupt. Typen..., გვ. 328.
[4] იქვე.

საკუთრებული, ფორმის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც მრავალგვარად უკავშირდებიან ერთმანეთს. მხოლოდ მათ აქვთ ნამდვილი ფორმები[1].

ყველაზე განუვითარებელ, უფორმო ენებად შტაინთალი თვლის ინდოჩინეთის ენებს. მათში გრამატიკული განსხვავებები ჯერ კიდევ განუხორციელებელია. მათ არა აქვთ არავითარი აგებულება. ეს ენები ადამიანური მეტყველების მიჯნას წარმოადგენენ და უახლოვდებიან ჟესტების ენის სიმუნჯესო,—ასკვნის ავტორი[2].

მნიშვნელოვანი მისწრაფება გაფორმებისაკენ შეიმჩნევა მალაურ-პოლინეზიურ ენებში, მაგრამ უკუღმა მიმართულებით. ისინი გამოხატავენ პრეფიქსებით, სუფიქსებითა და ინფიქსებით შინაარსის, სიტყვის მატერიალური მნიშვნელობის ნიუანსებს[3].

ურალურ-ალთაურზე უფრო სრულყოფილია ფინური ენები, მაგრამ მიუხედავად გვიანდელი გასაოცრად ბედნიერი განვითარებისა, მათ მაინც ვერ გადალახეს თავდაპირველი ნაკლულოვანი პოზიცია. მორფოლოგიურად ისინი უმაღლესი წარმოების ენებს უახლოვდებიან, მაგრამ ფიზიოლოგიურად მცირედ არიან ამაღლებული იმავე კლასის სხვა ენებზე[4].

შემდეგ მოდის ფორმიანი ენები. მათ შორის ეგვიპტური უაღრესად ორგანულია, ოღონდ მასში სახელის მიმართებანი არასრულყოფილად არის ნაწარმოები და ვლინდება უპირატესად სუსტი არტიკულაციის ძალა. ეს უკანასკნელი უკავშირდება სმენას, რომელიც კეთილხმოვანებას სრულიად ვერ აღიქვამს. ამის გამო ეგვიპტური გარეგანი აგებულებით ემსგავსება დაბლა მდგომ ენებს. მაგრამ როგორც ჩინური არ არის ინდოჩინეთის ენების მსგავსი, არამედ უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ასევეა ეგვიპტურიც თურქული ენების მიმართო, — აცხადებს შტაინთალი[5].

სემიტური ენები სიტყვის ერთიანობისაკენ მისწრაფებით და საერთოდ ენის წყობით ეგვიპტურზე მაღლა დგანან. როგორც ორგანული ფორმები გარეგნულად კი არ მიერთვის მასალას, არამედ ყველგან გამსჭვალავს და ორგანულად აწარმოებს მას, ასევე გაჰსჭვალავს სემიტურში ფორმის გადმომცემი ხმოვნები სიტყვის თანხმოვნურ სუბსტანციას. ამიტომ თავისთავად არაორგანული ძირი

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 328.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 329.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 330.

სემიტურში ყოველთვის უბმოვნოა. ვოკალიზმის საშუალებით იქცეკა იგი განსაზღვრულ სიტყვად. როგორ დახვეწილადაც უნდა ვლინდებოდეს აქ ორგანული გაფორმების გრძნობა, მაინც ასეთ წარმოებას ახლავს გარკვეული უხერხულობანი, რომლებიც ააშკარავებენ, რომ სემიტურს არ განუვითარებია მეტყველების სწორი პერიოდიკა[1].

ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას ინდოევროპული ენები. ამ ენათა სრულყოფის გამოვლენას შტაინთალი იმაში ხედავს, რომ მათ შეძლეს გრამატიკულ-ფორმალური მხარე მითითებითი ძირებით გამოეხატათ. ამით დასახელებულმა ენებმა შემდეგს მიაღწიეს: 1. გონის მიერ მტკიცედ იქნა გარჩეული კვალიტეტურ-მატერიალური აღნიშვნა და მხოლოდ ფორმალური მითითება. 2. ყველა ფორმალური მიმართება გამოხატულ იქნა ისეთი საშუალებით, რომელსაც საკმაოდ განუსაზღვრელი, ზოგადი შინაარსი ჰქონდა, რადგან დემონსტრატივი საგანს კი არ აღნიშნავს, არამედ მხოლოდ მიუთითებს მასზე, 3. შესაძლებელი გახდა მრავალფეროვანი კომბინაციები ფორმის გამოსახატავად[2].

დემონსტრატიულების ხმარებას შტაინთალი ასე დიდ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებს რომ, მისი აზრით, არ არის სულ ერთი რა საშუალებას გამოიყენებს ენა ფორმის წარმოებისათვის, რადგან საშუალება თვითონ არის გონითი მოქმედი ძალა და პროდუქციის ორგანო. ენობრივი ელემენტი, რომლის საშუალებითაც ხდება რაღაც ფორმალურის აპერცეფცია, წარმოდგენა და წარმოქმნა, უნდა იყოს ძალიან ნაზი აბსტრაქტული ბუნებისა. სწორედ ასეთები არიან მითითებითი ძირები, კვალიტეტურნი კი — არა[3]. რომ მითითებითი ძირების გამოყენება ფორმისათვის ძალიან ძნელი იყო, ამის მაჩვენებლად შტაინთალს ის მიაჩნია, რომ ზემოჩამოთვლილ ყველა უფორმო ენას მითითებითი ძირებიც აქვს, ნაცვალსახელებიც და ნაცვალსახელურ სუფიქსებსაც აწარმოებენ მათგან, მაგრამ ამ ენებმა ვერ შეძლეს ამ, თავისთავად უკვე აბსტრაქტული, მეტყველების ნაწილებისათვისაც კი მოეცილებინათ თავიდანვე დაყოლილი მატერიალურობა[4].

ამის მიზეზი ისევ გონია. უფორმო ენებმა შინაგანად ვერ დაიჭირეს ფორმის არსი და ამიტომ ვერ იგრძნეს განსხვავება მითითებითსა და კვალიტეტურ ელემენტებს შორის[5].

---

[1] **Charakteristik der haupt. Typen...**, გვ. 330.
[2] იქვე, გვ. 268.
[3] იქვე, გვ. 279.
[4] იქვე, გვ. 280.
[5] იქვე, გვ. 284.

ინდოევროპულ ენებს ნამდვილი სუბიექტი და პრედიკატიც აქვთ, რადგანაც პირველი სახელის სახელობითი ფორმით გამოიხატება, მეორე კი—განსაზღვრული ზმნით.

პიტყვა ინდოევროპულ ენებში შერწყმულია და მხოლოდ მეცნიერული ანალიზის მომხდენი გონი გაარჩევს აბსტრაქციის საშუალებით ფორმას შინაარსისაგან[1].

ინდოევროპული ენები, შტაინთალის შედარებით, წარმოადგენენ ვარდებს ენებს შორის. მათ ახასიათებს ნათელი, უაღრესად თანმიმდევრულად გატარებული გარჩევა მასალისა და ფორმისა, სახელისა და ზმნისა. ისინი უაღრესად სრულყოფილნი არიან, რადგანაც უკავშირდებიან თვითშეცნობილი აზროვნებითი მოქმედების ფორმებს. მათ აქვთ დასრულებულ კეთილხმოვანებაში განვითარებული და გარკვეული მნიშვნელობით გარჩეული ბგერითი ფორმები. ყოველივე ამის გამო, შტაინთალის დასკვნით, ინდოევროპულ ენებს აზის უმაღლესი ორგანიზებული ენების ბეჭედი[2].

§11. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, შტაინთალის კონცეფციისათვის ძირითადია ფსიქოლოგისტური თვალსაზრისი. ფსიქოლოგიზმი მკვეთრად იჩენს თავს, როგორც ენის ფორმის გაგებაში, ისე ენათა კლასიფიკაციის პრინციპებშიაც.

ენა შტაინთალ-სათვის მთლიანად ფსიქიკურ პროცესს წარმოადგენს[3]. ფსიქიკური ბუნებისაა ენის ორივე მხარე, როგორც მისი მასალა, ისე ფორმაც. ენის მასალა შტაინთალს წარმოდგენებამდე დაჰყავს[4]. ეს უკანასკნელები ქმნიან ენის არსს. ასევე ფსიქიკურ

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 234.

[2] იქვე, გვ. 331.

[3] ამ თვალსაზრისის გამომხატველი ჩანს ტერმინი Sprechen. რომელსაც ავტორი სისტემატურად ხმარობს Sprache-ს ნაცვლად. ტერმინი Sprechen შტაინთალს ჰუმბოლდტისაგან აქვს აღებული, მაგრამ ჰუმბოლდტი მას სხვაგვარი გაგებით იყენებდა. იგი ერთმანეთს უპირისპირებდა Sprache-ს (ენა) და Sprechen-ს (მეტყველება), დაახლოებით ისევე, როგორც უფრო გვიან სოსიურთან გვაქვს გარჩეული langue და parole (იხ. ჰუმბოლდტის კავი-ენის შესავალი, § 8).

[4] თვითონ წარმოდგენა შტაინთალს გაიგივებული აქვს ცნებასთან. წარმოდგენის შინაარსი, მისი აზრით, ზოგადია და არა კონკრეტული. წარმოდგენა აღქმის შედეგად კი არ იქმნება, არამედ გონის შინაგანი მოქმედების საფუძველზე. ავტორი ერთმანეთის სინონიმად ხმარობს სახელწოდებებს „წარმოდგენა“ და „ცნება“. იგი ერთსა და იმავე კონტექსტში ხან წარმოდგენათა აპერცეფციის შესახებ ლაპარაკობს, ხან კი ცნებათა აპერცეფციის შესახებ (მაგ., იხ. გვ. 92, 99).

პროცესად, წარმოდგენათა შეკავშირებად, არის მიჩნეული ენის შინაგანი ფორმა.

შტაინთალის უდაეო დამსახურებაა ენათმეცნიერების წინაშე მკვეთრი, პრინციპული გალაშქრება ლოგიციზმის წინააღმდეგ. ეს თვალსაზრისი ავტორისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, განხილულ ნაშრომშიაც გატარებულია. მაგრამ ლოგიციზმის სანაცვლოდ შტაინთალმა ფსიქოლოგიზმს ჩაუყარა საფუძველი და ამით ერთი შეცდომა მეორით შეცვალა. ფსიქოლოგიზმი ისევე მიუღებელია ენათმეცნიერებაში, როგორც ლოგიციზმი. ორივე წარმოადგენს ენის საკუთარ, შინაგანი კანონზომიერების უარყოფას, რის შედეგადაც ენათმეცნიერება კარგავს დამოუკიდებლობას. სწორედ აქ მჟღავნდება ყველაზე თვალსაჩინოდ ფსიქოლოგიზმის სრული უსაფუძვლობა. დღიდან მისი წარმოშობისა, ენათმეცნიერება თავისთავად, დამოუკიდებელ დისციპლინას წარმოადგენს. მართალია, ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული აზროვნებასთან, მაგრამ იგი თვითონ სრულიადაც არ არის ფსიქიკური მოვლენა. ენათმეცნიერების საგანი არის არა ის ფსიქიკური პროცესები, რომლებიც მეტყველების დროს მიმდინარეობს ადამიანში, არამედ ბგერითი ენა, როგორც აზრის გამოხატვის და როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება.

ფსიქოლოგიზმი ენათმეცნიერებაში წარმოადგენს გზას იდეალიზმისაკენ. ასე არის შტაინთალის კონცეფციაშიც, რომელსაც საფუძვლად უდევს ჰერბარტის იდეალისტური, ასოციაციონისტური ფსიქოლოგია[1].

შტაინთალთან იდეალიზმი უპირველესად ყოლისა თავს იჩენს ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხის გარკვევისას. რაკი ენა ფსიქიკურ პროცესად იქნა აღიარებული, რაკი ენის არსად ჰერეტა გამოცხადდა, ამით მოიშალა ზღვარი ენასა და აზროვნებას შორის. ენა და აზროვნება იგივეობრივი აღმოჩნდა. მართლაც, შტაინთალი პირდაპირ წერს: ჰერეტა წარმოქმნის ცნობიერების თავდაპირველ მასალას; ენა არის პირველი წმინდა სუბიექტური მოქმედება, რომელიც ამ მასალას წარმოდგენებად და წარმოდგენის სახით აფორმებს. ამდენად ენაში აზროვნების ფორმები გვაქვს და მეტყველება (Sprechen) არის აზროვნება (Denken), რადგან ცნობიერების შინაარსის გაფორმება არის აზროვნება[2].

---

[1] ასოციაციონიზმის კრიტიკა იხ. დ. რამიშვილის წერილში „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხის შესახებ იდეალისტურსა და საბჭოთა ფსიქოლოგიაში". იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1952, ტ. III.

[2] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 99.

ავტორს შემდეგ გარკვეული შეზღუდვები შემოაქვს, რომელთა მიხედვით, ენა და აზროვნება მთლიანად კი არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ ენა არის მხოლოდ აზროვნების გარკვეული სახე[1]. მაგრამ ამით პრინციპული შეცდომა არ იხსნება. აზროვნება გვარობითი ცნება გამოდის, ენა კი სახეობითი. ენა შედის აზროვნებაში, რომელსაც სხვა სახეებიც აქვს[2].

ენის ფსიქოლოგისტურმა გაგებამ, ენისა და აზროვნების გაიგივებამ, გამოიწვია ის, რომ მთელი იმ მსჯელობა, რომელსაც შტაინთალი თითქოსდა ენის დახასიათებისათვის აწარმოებს, სინამდვილეში აზროვნების პროცესს ეხება. ასეთია მსჯელობა ჰვრეტის ჰვრეტის, აპერცეფციის შესახებ. ასეთია მსჯელობა ენის გამაფორმებელ მოქმედებაზე, რომელიც თურმე იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ მთლიანის დანაწევრება ხდება, შემდეგ კი ნაწილების თავისებური გაერთიანება გონის მიერ. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ავტორის შეხედულებები ამ საკითხებზე აზროვნების მიმართ სწორია. აზროვნების შესახებ მსჯელობისასაც შტაინთალი იდეალისტურ თვალსაზრისზე დგას. მაგრამ ჩვენ იმაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომ აზროვნებამდე ენის დაყვანით შტაინთალმა გაითავისუფლა თავი იმის გარკვევისაგან, თუ რა წარმოადგენს ენის სპეციფიკას. ამიტომაა, რომ იგი ვერ იძლევა ამ საკითხის დამაკმაყოფილებელ ახსნას.

შტაინთალის მიერ მოცემული ენის განსაზღვრა მიუღებელია. ერთის მხრივ, იგი თითქმის სრულიად უვლის გვერდს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას, ე. ი. ენას როგორც ურთიერთობის საშუალებას. მისი კონცეფცია მთლიანად ენისა და აზროვნების მიმართებას ემყა-

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 99, 102.

[2] სხვა სახეებია: აღქმა (Anschauen), ფანტაზია (Phantasieren), რეფლექსია (Reflectieren) (გვ. 103).

ერთ ადგილას შტაინთალი იმის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს, რაც ზემოთ იყო მოყვანილი. აქ ენა აზრის წარმომადგენლად, მის გამომხატველად არის მიჩნეული. მოგვყავს ეს ადგილი მთლიანად: Der Repräsentant, der bloße Vorsteller eines Anderen, kann nicht diese Andere selber sein: alle Sprach-Elemente aber haben ein bloß repräsentatives Wesen. Man denkt nicht die Sprache, Sprechen und Denken sind nicht identisch, sondern man denkt durch Sprache, also in der Sprache noch etwas andere, als sie enthält (გვ. 281).

მაგრამ შტაინთალის მთელი თვალსაზრისისათვის დამახასიათებელია არა ეს გამონათქვამი, არამედ ზემოთმოყვანილი მსჯელობა, სადაც ენა აზროვნების ერთ-ერთ სახეობად არის გამოცხადებული.

რება. მაგრამ არც ეს საკითხი არის დამაკმაყოფილებლად განხილული. ფსიქოლოგიზმმა, ე. ი. ენის გამოცხადებამ ფსიქიკურ პროცესად, შტაინთალის გულისყური მთლიანად შიგნიდან მოქმედებაზე გადაიტანა, რის შედეგადაც დაიჩრდილა ენის თავისებურება, კერძოდ ენის მატერიალური, ბგერითი მხარე.

შტაინთალი რომ ენას ბგერით მხარეს სათანადოდ ვერ აფასებს, ეს თავს იჩენს მის გამონათქვამში: ბგერა მ ხ ო ლ ო დ (ხაზი ჩვენია.— თ.შ.) მატერიალურ საყრდენს და გრძნობად გამოვლენას წარმოადგენს აზრისათვის[1]. თითქოს ეს ცოტას ნიშნავდეს! ავტორი ვერ ითვალისწინებს, რომ ამ საყრდენის გარეშე აზრი არ არსებობს. მისი იდეალისტური თვალსაზრისისათვის უცხოა დებულება, რომლის მიხედვითაც „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“ (მარქსი).

შტაინთალისათვის ენა არ წარმოადგენს აზრის გამოხატვის საშუალებას. ასეთი გაგებისათვის ენა და აზრი სხვადასხვა მოვლენად უნდა მიგვაჩნდეს, შტაინთალმა კი, როგორც ვნახეთ, ენის არსი გაუთანაბრა აზროვნების პროცესს. ამიტომ მისთვის ბგერებისაგან შემდგარი სიტყვა არ წარმოადგენს ნიშანს, რომელიც საგანზე მიუთითებს. და თუმცა ავტორი აღნიშნავს: ჰერეტისაგან წარმოდგენის წარმოშობა ენის საშუალებით მოხდა და წარმოდგენები შეინახება, მათი რეპროდუქცია წარმოებს ბგერის, სიტყვის საშუალებითო, იგი იქვე შენიშნავს: მხედველობაში არა გვაქვს ბგერა, როგორც მატერიალური პროდუქტი, როგორც ასეთი, ის მოლაპარაკისათვის არ არსებობსო[2].

დაუკარგა რა ენის ბგერით მხარეს პირობითი ნიშნის ფუნქცია, შტაინთალმა იგი გრძნობის რეფლექსურ გამოხატულებად მიიჩნია. მისი აზრით, წარმოდგენას თან ახლავს გარკვეული გრძნობა, რომლის რეფლექსიც მოძრაობის ნერვებზე ინსტინქტურად შესაბამის ბგერას წარმოშობს. ეს იმიტომ ხდება, რომ ბგერის წარმოთქმა სამეტყველო ორგანოთი და მისი აღქმა სმენით აგრეთვე თავისებური გრძნობის სახით ვლინდება. ნიმუშად ავტორს ხმაბაძვითი სიტყვები მოჰყავს და მთლიანად ენაც, მისი აზრით, ამ გზით არის წარმოშობილი. ყოველივე ამის შედეგად შტაინთალისათვის სიტყვას ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორიც საგნის თვისებას. მისი სიტყვით, საგანს

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 84.

[2] იქვე, გვ. 82.

ჩვენ წარმოვიდგენთ მისი შეცნობილი თვისების საშუალებით და ვაწარმოებთ მის რეპროდუქციას. ეგევე შეუძლია ამ თვისების ან მოქმედების წარმოდგენასთან ასოციირებულ სიტყვასაც[1].

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ როგორც კი შტაინთალი შეეხება ენას, როგორც ურთიერთობის საშუალებას, მაშინვე წინ წამოიწევს ენის ბგერითი მხარის მნიშვნელობა. ერთგან ავტორი წერს: რადგანაც ენისა და წარმოდგენათა შემოქმედების ეს პროცესი სრულდება ურთიერთობაში, რადგანაც შემდეგ იგი ხორციელდება სმენით აღსაქმელი ბგერის საშუალებით, რომელიც განზრახვის გარეშე არის წარმოშობილი, აქედან გამომდინარეობს, რომ ენა არის არა მხოლოდ სუბიექტის მოქმედება მისი თვითგაცნობიერებისათვის, არამედ თავისი საკუთარი ბუნებით იგი წარმოადგენს სხვებისათვის გაზიარებას. ენა არის ლაპარაკი (Gespräch), საუბარი (Unterhaltung). მისი შემოქმედება კოლექტიურია (gemeinsam) და ამგვარად მისი მოქმედება თანაბრად არის მიმართული მოლაპარაკისა და მსმენელისადმი[2].

თუ აქამდის ბგერას თავისთავად არავითარი სპეციფიკური ფუნქცია არ ჰქონდა ენისათვის, თუ იგი მხოლოდ შინაგანი გრძნობის ინსტინქტურ გამოვლენას წარმოადგენდა, აქ, როგორც ვხედავთ, ხაზი ესმის იმას, რომ ბგერა სმენით აღიქმის და ამდენად იგი აუცილებელია ადამიანთა ურთიერთობისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ენის, როგორც ურთიერთობის საშუალების, განხილვა სრულიადაც არ არის არსებითი შტაინთალის კონცეფციისათვის. ამ საკითხზე მსჯელობას შტაინთალთან შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ადგილი: იაკუტურის შესახებ ავტორი წერს, რომ ეს ენა ბრუნვათა და რიცხვის აფიქსებს მაშინ იყენებს, როდესაც ეს აუცილებელია გაგებინებისათვის, ხოლო სადაც გაგებინება უამისოდაც მოხერხდება, იქ აფიქსებს არ ურთავსო[3]. ნიმუშად დასახელებულია მრავლობითის აფიქსები, რომლებიც არ დაერთვის სახელებს, თუ სიმრავლე რიცხვითი სახელით არის გამოხატული[4]. ამ მოვლენას შტაინთალი ასეთ კვალიფიკაციას აძლევს: მე აქ კვლავ მატერიალიზმს ვხედავ, რომელიც რეალური ვითარების ისე წარმოდგენას ცდილობს, რომ მსმენელმა სწორად გაიგოს; ხოლო

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 83.
[2] იქვე, გვ. 88.
[3] იქვე, გვ. 185.
[4] იქვე, გვ. 186.

როდესაც ხალხის გონი ნამდვილ ფორმებს ქმნის, იგი კმაყოფილებას პოვებს თვით ფორმალური საქმიანობით და არაფერს არ ტოვებს მეტყველებაში გაუფორმებლად[1].

სრულიად აშკარაა, რომ შტაინთალი თიშავს ერთმანეთისაგან გაგებინების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ენის შემოქმედებას. ამასთან პირველი უფრო დაბალი რიგის მოვლენად არის მიჩნეული. ამგვარად, შტაინთალის კონცეფციაში უგულებელყოფილია ენის ძირითადი ფუნქცია. ავტორი სათანადოდ ვერ აფასებს იმას, რომ ენა გაგებინების, ადამიანთა ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს.

ყველაზე თვალსაჩინოდ შტაინთალის თეორიის სუსტი მხარეები თავს იჩენს იმაში, რომ ენა გონის შინაგან მოქმედებად ცხადდება. ენაში, ავტორის მიხედვით, საქმე გვაქვს სუბიექტურ მოქმედებასთან, გარედან მიღებული აღქმებისა გარდაქმნასთან გონისათვის დამახასიათებელი კანონების მიხედვით და არა აზროვნების მიერ ობიექტური სამყაროს ასახვასთან, რაც ენის საშუალებით არის რეალიზებული. კანტის ფილოსოფიური თვალსაზრისი განსაზღვრავს შტაინთალის მთელ მომდევნო მსჯელობას ენის ფორმის შესახებ. ენობრივი ფორმა საგანთა შორის რეალურად არსებულ ურთიერთებებს კი არ გამოხატავს თურმე, არამედ გონის მიერ შექმნილ წარმოდგენათა კავშირებს. სათანადო ადგილები საკმაო რაოდენობით იყო მოყვანილი ზემოთ შტაინთალის შრომიდან. სრულიად აშკარაა, რომ სუბიექტივიზმი, რომელიც წითელ ხაზად გაჰყვება შტაინთალის მთელს კონცეფციას, იდეალიზმის პირდაპირი გამოხატულებაა.

კულმინაციურ წერტილს ეს სუბიექტივიზმი მაშინ აღწევს, როდესაც შტაინთალი გვეუბნება: გონი თავის საკუთარ შინაგან მდგომარეობას წინადადების სახით იმგვარად გამოხატავს, თითქოს გარედან ახდენდეს ენერგიული არსება მოქმედებას, ე. ი. გონითი შინაარსი ობიექტად იქცევაო. ავტორის შეხედულებით, წინადადება „ხე ყვავის“ რეალურად არსებულ ვითარებას კი არ გამოხატავს, არამედ იმის შედეგია, რომ აყვავებული ხის დანახვით გამოწვეული შინაგანი მდგომარეობა ობიექტად იქცევა.

§42. ფსიქოლოგისტური და იდეალისტური თვალსაზრისი უდევს საფუძვლად შტაინთალთან ენათა კლასიფიკაციასაც. ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი, ავტორისავე სიტყვით, ფსიქოლოგიურია.

[1] **Charakteristik der haupt. Typen...**, გვ. 186.

ეს არის ენის შინაგანი ფორმა შტაინთალისეული გაგებით, ე. ი. ენობრივი კატეგორიების, გრამატიკული ფორმების შინაგანი წარმოება. მაგრამ ეს შინაგანი ფორმა, თავისი მხრივ, წარმოადგენს ენის შემოქმედი გონის პროდუქტს.

შტაინთალი ვერ იძლევა შინაგანი ფორმის უფრო გარკვეულ განსაზღვრას. თუ იგი, ერთის მხრივ, გვეუბნებოდა, გონმა უნდა გადააშუშაოს ენის მასალა, ე. ი. წარმოდგენები, ფორმა უნდა მისცეს მათ, შემდეგ აღმოჩნდება, რომ თურმე არსებობს ხალხები, რომლების გონსაც არ ჰქონია მასალისა და ფორმის დაპირისპირების, მათი გარჩევის უნარი. ამის საფუძველზე გამოყოფს ავტორი ფორმიან და უფორმო ენებს. მაგრამ საიდან ჩანს, რომ „უფორმო“ ენები მართლაც ურევენ ერთმანეთში ფორმას და შინაარსს, შინაარსეულ ელემენტებს ფორმალურ ელემენტებად იღებენ? ამის ობიექტური საზომი შტაინთალს არ მოეპოვება. შინაგანი ფორმის პოზიტიურ დახასიათებას, მისი არსებობა-არარსებობის გამოცნობის ხერხს მის შრომაში ვერ ვპოულობთ. რეალური ოდენობები, რომლებსაც შტაინთალის კლასიფიკაციაში ეხვდებით, ენათა მორფოლოგიური ტიპებია, ე.ი. ენის გარეგანი, გრამატიკული ფორმის სახეები. ამ ტიპების მიმართ იყენებს იგი ცნებებს „ფორმიანი“ და „უფორმო“. მაგრამ თუ შინაგანი ფორმის ობიექტური საზომი არა გვაქვს, როგორ უნდა გამოვიცნოთ, რომელი ენებია ფორმიანი და რომელი უფორმო? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითონ გარეგან ფორმას,—მორფოლოგიურ ტიპს. ეს ერთი შეხედვით გამართლებულიც ჩანს, რადგანაც გარეგანი ფორმა შინაგანის გამოხატულებას წარმოადგენსო, აცხადებდა შტაინთალი. მაგრამ ვნახოთ რეალურად რა შედეგს გვაძლევს ასეთი დაკავშირება.

შტაინთალის მიხედვით, გარეგან ფორმას შინაგანი ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესაბამება, თუ ფორმალური ელემენტები არსებითად სხვა საშუალებებით ქარის გამოხატული, ვიდრე მასალის ელემენტები. ასეთ სპეციფიკურ საშუალებად ფორმის აღსანიშნავად იგი თვლის მითითებითი ნაცვალსახელების გამოყენებას, რაც თურმე ფლექსიური ენებისათვის (მაინცდამაინც ინდოევროპული-სათვის) ყოფილა დამახასიათებელი და ამიტომ ეს ენები ცხადდება ფორმიან ენებად.

ასეთი თვალსაზრისი გაუმართლებელია, რადგანაც არ არის დასაბუთებული, რატომ უნდა იყოს მითითებითი ნაცვალსახელების გამოყენება აფიქსებად შინაგანი ფორმის ერთადერთი გამოხატულება. აქ შტაინთალისათვის ამოსავალია ინდოევროპულ ენათა ვი-

თარება. ჯერ კიდევ ბოპმა ინდოევროპულ ენათა ძირეული მასალა ორ ჯგუფად გაყო: ზმნურ ძირებად და ნაცვალსახელურ ძირებად და აღნიშნა, რომ ფორმათა წარმოებისათვის ძირითადად ეს უკანასკნელები გამოიყენება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა, არანაცვალსახელური სიტყვების გამოყენება აფიქსებად პრინციპულად განსხვავებულ შედეგს გვაძლევდეს. როგორი აბსტრაქტულიც არ უნდა იყოს ნაცვალსახელები, ისინი მაინც მასალის სიტყვებია და არსებითი, რაც გრამატიკული ფორმის წარმოშობას ახასიათებს, ისაა, რომ დამოუკიდებელი სიტყვა კარგავს თავისთავადობას, ფორმალურ ელემენტად, აფიქსად იქცევა.

შტაინთალი მის მიერ არჩეულ პრინციპს ბოლომდის მაინც ვერ ატარებს. ინდოევროპულ ენებში მითითებით ძირთა გარდა კონკრეტული სიტყვებიც არის გამოყენებული აფიქსებად. და აი, აქ ავტორი გვეუბნება, რომ ფორმის თავდაპირველი წარმოებისათვის აუცილებელია ის, რომ მითითებითი ძირები გადაიქცეს ფორმალურ ელემენტებად, შემდეგ კი როდესაც ამ გზით გონმა უკვე მიაღწია ფორმისა და შინაარსის ნამდვილ დაპირისპირებას, მას შეუძლია კონკრეტული სიტყვებიც აქციოს ფორმალურ ელემენტებად[1]. რა თქმა უნდა, ასეთი ახსნა არაა დამაკმაყოფილებელი. თუ კონკრეტული სიტყვები თავიანთი უხეში, მატერიალური ბუნების გამო არ გამოდგებიან ფორმის აღმნიშვნელად, მაშინ რაღა აიძულებს ფორმიან ენას, რომელსაც უკვე გაკვლეული აქვს მითითებითი ძირების გამოყენებით ფორმის წარმოების სწორი გზა, ამ უხეშ, მატერიალურ ძირებს მიმართოს ახალ ფორმათა წარმოებისათვის? საერთოდ, ძნელად წარმოსადგენია არსებობდეს აფიქსებიანი ენა, რომელსაც ნაცვალსახელური წარმოშობის ფორმანტები არ მოეპოვებოდეს. შტაინთალის დროს ინდოევროპული ენები საკმაოდ კარგად იყო შესწავლილი ისტორიული თვალსაზრისით და მთელი რიგი აფიქსების გენეზისიც გარკვეული იყო. ამის საპირისპიროდ სხვა ენათა უმრავლესობის ისტორიული კვლევა სათანადო სიმაღლეზე არ იდგა. ამით თუ აიხსნება ის, რომ შტაინთალის აზრით, მითითებით ნაცვალსახელთა გამოყენება აფიქსებად ფლექსიურ და კერძოდ ინდოევროპულ ენათა სპეციფიკაა, თორემ აფიქსაციის ეს გზა საკმაოდ ბუნებრივია და ჩვეულებრივი სხვა ენებისთვისაც. მაგალითად, როგორც ცნობილია, აგლუტინაციურ იბერიულ-კავკასიურ ენებში აფიქსთა მნიშვნელოვანი ნაწილი (პირისა და კლასის

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 279—280.

ნიშნები; ბრუნვათა, რიცხვის ფორმანტები და სხვა...) ნაცვალსახელური წარმოშობისაა.

აშკარაა, რომ შეუძლებელია დავაჯგუფოთ ენები ფორმიან და უფორმო ენებად იმის მიხედვით, იყენებენ თუ არა ისინი მითითებით ძირებს აფიქსებად. უკვე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ის განსხვავებანი გარეგან ფორმებში, რომლებსაც შტაინთალმა ენაში შინაგანი ფორმის გამოსამჟღავნებლად მიმართა, გამოუსადეგარია ამ მიზნისათვის. ეს კიდევ უფრო აშკარა ხდება შემდეგ, როდესაც დასტურდება მრავალრიცხოვანი შეუსაბამობანი შინაგანსა და გარეგან ფორმას შორის. თუ აქამდის გარეგანი ფორმა შინაგანზე იყო დაქვემდებარებული და მხოლოდ მის გამოხატულებას წარმოადგენდა, შემდეგ ირკვევა, რომ გარეგანი ფორმა გარკვეულ დამოუკიდებლობას იძენს, რის შედეგადაც შეიძლება, ერთის მხრივ, მიუხედავად ნაკლულოვანი გარეგანი ფორმისა, ენას მაინც ჰქონდეს შინაგანი ფორმა, ხოლო, მეორე მხრივ, შინაგანად უფორმო ენებს ფორმიანი ენების მაგვარი გარეგანი ფორმა შეექმნას. პირველის ნიმუშს წარმოადგენს იზოლირებული ჩინური და აგლუტინაციური ეგვიპტური, რომლებიც, მიუხედავად ამისა, მაინც ფორმიან ენებად ცხადდება. მეორე შემთხვევის მაგალითია ფინური, რომელიც, ავტორის აზრით, გარეგანი ფორმებით მეტად მდიდარია და დახვეწილი, მაგრამ მოკლებულია შინაგან ფორმას.

ზემომოყვანილი მაგალითები საბოლოოდ ააშკარავებენ შტაინთალის თვალსაზრისის მცდარობას. თუ აქამდის შინაგანი ფორმის მქონეობა-უქონლობის ერთადერთ ობიექტურ საზომად სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპი გვევლინებოდა, ამჟამად ამ საზომს სრულიად გამოეცალა საფუძველი, რადგანაც ერთი და იმავე ტიპის ენა (მაგალითად, იზოლირებული) ფორმიანიც შეიძლება იყოს (ჩინური) და უფორმოც (ინდოჩინეთის ენები).

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებსაც შტაინთალის კლასიფიკაციაში წარმოშობს ფორმის არამართებული, მცდარი გაგება. ამიტომ აუცილებლად აღარ მიგვაჩნია შევჩერდეთ უფრო წვრილმან საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ ერთი და იგივე პრინციპი ფორმიან ენებშიაც გვხვდება და უფორმოშიც. ყველა ასეთ შემთხვევაში შტაინთალი ხელოვნურად ცდილობს დაამყაროს განსხვავება ერთი და იმავე მორფოლოგიური ხერხის გამოყენებას შორის ფორმიანსა და უფორმო ენებში. მაგალითად, თუ ერთის მხრივ მითითებითი ნაცვალსახელების გამოყენება ფორმანტებად შინაგანი ფორმის არ-

სებობის გამოხატულებად იყო მიჩნეული, შემდეგ ირკვევა, რომ მითითებით ნაცვალსახელებს ფართოდ იყენებს ამერიკის შთასხეულებითი ენებიც, მაგრამ ისინი მაინც უფორმო არიან. რატომ არის ეს ასე, ამაზე ავტორი ვერაფერს გვეუბნება. დამახასიათებელია მეორე შემთხვევა: ზმნური ძირების ვარიაციები (თანხმოვნის გაორმაგება, ხმოვნის გაგრძელება...), შტაინთალის აზრით, ახასიათებს როგორც სემიტურს, ისე უფორმო ენებსაც (პოლინეზიურს, თათრულს, ამერიკულს), მაგრამ ავტორი გვეუბნება, რომ ეს მოვლენები სემიტურში დახვეწილად გამოვლინდება და არ უნდა დავივიწყოთ, რომ რაც უფრო დახვეწილია საშუალება, მით უფრო ფაქიზი არის შინაგანი გაგებაო[1]. ცხადია, ასეთი ლიტონი განსჯა ვერავის დაარწმუნებს იმაში, რომ თანხმოვნის გაორმაგება ან ხმოვნის გაგრძელება სემიტურ ენებში არსებითად განსხვავდება იმავე ხერხის გამოყენებისაგან არაფლექსიურ ენებში.

როგორც ვხედავთ, შინაგანი ფორმის შტაინთალისებური გაგება, რასაც ემყარება ენათა დაჯგუფება ფორმიან და უფორმო ენებად, გაუმართლებელია მეცნიერულად. მას არავითარი რეალური საფუძველი არ მოეპოვება. საგანთა შორის მიმართებებს ყველა ენა გადმოგვცემს და ამდენად ყველა ენა ფორმიანია, თუმცა საშუალებები, რომლებსაც ენები ამ მიზნით იყენებენ, განსხვავებული შეიძლება იყოს.

თუ ფორმიანი და უფორმო ენების დაპირისპირებას არავითარი ობიექტური გამართლება არ მოეპოვება, მაშინ გასაკვირია, როგორღა ახერხებს შტაინთალი ენათა დაჯგუფებას? როგორც ვნახეთ, არც გარეგან ფორმას ანუ ენათა მორფოლოგიურ ტიპებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა (იზოლირებული და აგლუტინაციური ენებიდან ზოგი ფორმიანია, ზოგი კი—უფორმო). მაშ, საბოლოოდ რა განსაზღვრავს შინაგან ფორმას შტაინთალთან? თუ დავუკვირდებით შტაინთალის კლასიფიკაციაში ფორმიან ენებს და დავუპირისპირებთ მათ უფორმო ენებს, აშკარა გახდება, რომ მათი დაჯგუფება ემყარება ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხების კულტურულ დონეს. ფორმიან ენებად ცხადდება კულტურის მაღალ დონეზე მდგომი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ხალხთა ენები. სწორედ ეს აიძულებს შტაინთალს განაცხადოს, ჩინური არ არის არასრულყოფილი ენაო, მიუხედავად იმისა, რომ მან ჰუმბოლდტთან ერთად იზოლირებული ტი-

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 247.

პი სერთოდ ყველაზე დაბალ საფეხურად და უფორმოდ მიიჩნია. მიუთითებს რა ჩინური კულტურისა და ლიტერატურის დიდ მნიშვნელობაზე, ავტორი ასკვნის, ენა, რომელმაც ასეთი მაღალი ცივილიზაცია წარმოშვა, შეუძლებელია ცარიელი უმაღლესი არსის მქონეო[1].

ეგვიპტური, სემიტური და ინდოევროპული ენების შესახებ შტაინთალი წერს: ეს არის მსოფლიო ისტორიის მქონე ხალხთა ენები და მათი ასეთი მნიშვნელობა კაცობრიობის გონის განვითარებისათვის წარმოდგენილია მათ ენაში, რომლის საშუალებითაც გონმა მიაღწია განუწყვეტელ მისწრაფებას ფორმალური გაგებისაკენ, ე. ი. რომლის საშუალებითაც ის შეეჩვია არა მხოლოდ შინაარსისა და მისი რეალური მიმართებების დაჭერას, არამედ აგრეთვე მხოლოდ გონისათვის შესაფერ ფორმებში მათ ჩამოსხმას[2].

ბოლოს, ინდოევროპული ენების შესახებ ნათქვამია, რომ ეს არის დედამიწაზე ყველაზე უფრო ნაყიერი ხალხების ენები, ამიტომ უპირავთ ამ ენებს განსაკუთრებული ადგილი[3]. ავტორის თვალსაზრისისათვის დამახასიათებელია ქვემომოყვანილი მსჯელობა: ენა, რომელსაც ჰომეროსი და დემოსთენე, პლატონი და არისტოტელი იყენებდა გამოხატვის საშუალებად და რომელიც ცარდა ამისა თვითონ იწვევდა ასეთი პოეზიისა და მჭევრმეტყველების შექმნას, ასეთი ენა თავიდანვე ყველაზე კეთილშობილი და ნაყოფიერი ჩანასახიდან უნდა იყოს წარმოშობილიო[4].

ამგვარად, თუმცა შტაინთალი საკლასიფიკაციო ნიშნებში ამას არ ასახელებს, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ მისთვის გადამწყვეტია ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურული დონე. სწორედ ამიტომაა, რომ ფლექსიური ენები, რომლებსაც ინდოევროპული და სემიტური ენები განეკუთვნება, ყველაზე განვითარებულ ენებად ცხადდება. ამიტომვე ფორმიან ენებად არის მიჩნეული ჩინური და ეგვიპტური, თუმცა არც ერთი არ არის ფლექსიური. ერთი სიტყვით, შტაინთალის კლასიფიკაციას საფუძვლად იგივე პრინციპი უდევს, რაც ჰუმბოლდტთან გვქონდა. აქსიომად არის მიღებული ის დებულება, რომ სხვადასხვაგვარი მორფოლოგიური ტიპი სხვადასხვაგვარად მოქმედებს საერთოდ კულტურისა და, კერძოდ,

---

[1] Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 107—108.

[2] იქვე, გვ. 232.

[3] ავტორი შენიშვნას აკეთებს, თუმცა ამ ოჯახის ყველა წარმომადგენელზე ეს არ ითქმისო. Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 272.

[4] იქვე, გვ. 272—273.

აზროვნების განვითარებაზე, ზოგი უწყობს ხელს, ზოგი კი დამაბრკოლებლადაც შეიძლება გადაიქცეს. შტაინთალის ფსიქოლოგისტური კონცეფცია ამ თვალსაზრისზეა დამყარებული.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის განხილვის დროს ჩვენ საკმაოდ გვქონდა ბსჯელობა იმის შესახებ, რომ არ არსებობს პირდაპირი შესატყვისობა ენათა მორფოლოგიურ ტიპებსა და ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების კულტურულ დონეს შორის. ამიტომ ამ საკითხზე ამჟამად აღარ შევჩერდებით. რაკი შტაინთალის ფსიქოლოგისტური კლასიფიკაცია საბოლოოდ იმ პრინციპამდის დაიყვანება, რომელიც ენათა ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის ავტორებთან (და მათ შორის ჰუმბოლდტთან) გვქონდა, ცხადია, მასზე ვრცელდება ყველა ის შენიშვნა, რომელსაც ეს პრინციპი იწვევდა მორფოლოგიური კლასიფიკაციის განხილვისას.

ამ მხრივ არსებითი მნიშვნელობისაა ენათა სრულყოფილობის საკითხი. მიუხედავად მრავალრიცხოვანი შენიშვნებისა იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ენას სხვადასხვაგვარი უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ერთმანეთის მიმართ, შტაინთალი მაინც ალაგებს ენებს განვითარების საფეხურების მიხედვით. ზოგადად, არასრულყოფილად არის მიჩნეული უფორმო ენები, სრულყოფილად—ფორმიანი ენები, მაგრამ, როგორც კლასიფიკაციის სქემიდან ჩანს, თითოეულ ჯგუფშიაც რამდენიმე საფეხური გამოიყოფა, ასე რომ კლასიფიკაციის უდაბლეს საფეხურს ინდოჩინეთის ენები ქმნიან, მწვერვალს კი — ინდოევროპული ენები. ამ საკითხთან დაკავშირებით შტაინთალმა ვერც ერთი ნაბიჯი ვერ წადგა წინ ჰუმბოლდტთან შედარებით. მან ისევე ვერ შეძლო იმის ჩვენება, თუ როგორ და რაში ვლინდება ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის სრულყოფილობა, როგორც ჰუმბოლდტმა. ამის მიზეზი, როგორც სათანადო ადგილას გვქონდა გარკვეული (იხ. ნაწ. II, თ. IV), ის არის, რომ თანამედროვე ენებში დადასტურებული ნაირსახეობანი მორფოლოგიური ტიპებისა არ ასახავს ენათა სრულყოფის სხვადასხვა საფეხურებს. მორფოლოგიური ტიპი გვიჩვენებს, რა ხერხს მიმართავს ენა საგანთა შორის მიმართებათა გადმოსაცემად. ეს ხერხები კი განსხვავებულია ერთმანეთისაგან არა იმიტომ, რომ ერთი უფრო სრულყოფილია, ვიდრე მეორე, არამედ იმიტომ, რომ ენათა განკარგულებაში იმყოფება მიმართებათა გამოხატვის სხვადასხვაგვარი, თუმცა თანაბრად სრულფასოვანი საშუალებები, რომელთაგან ზოგი ენა ერთს აძლევს უპირატესობას, ზოგი — მეორეს, ზოგი კი — მესამეს.

რაკი შტაინთალმა ენები საფეხურებად დაალაგა, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა ისტორიულ თვალსაზრისთან გვაქვს საქმეო, მაგრამ შტაინთალთან ენათა ერთი ტიპის გადასვლა მეორეში გამორიცხულია. ყოველი ენა თავისი საკუთარი პრინციპის განხორციელებას წარმოადგენს, განვითარება და სრულყოფა ამ პრინციპის ფარგლებში ხდება დახშული წრის სახით. დაბალი საფეხური მაღალში არ გადადის[1]. მაშასადამე, ნამდვილი განვითარება შტაინთალთან მოხსნილია. ავტორის აზრით, განვითარების დროს ახალი არაფერი წარმოიშვება. გონში და ენაშიც წინსვლა ნიშნავს ცნობიერებისათვის იმ მომენტის აღმოჩენას, გაღვიძებას, რომელიც გონს თავიდანვე ჰქონდა[2]. ამიტომ ავტორი ფიქრობს, რომ ენები იმთავითვე, ჩანასახშივე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. დამახასიათებელია შტაინთალის სიტყვები: თუ ინდოევროპული ენები ოდესღაც იზოლირებული იყვნენ, ისინი მაინც განსხვავებული იქნებოდნენ ჩინურისაგან, რადგანაც მათ ჰქონდათ შინაგანი მისწრაფება ფორმისაკენ[3]. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, აქ თვითონ შტაინთალის თვალსაზრისშია შინაგანი წინააღმდეგობა: ფორმისაკენ შინაგანი მისწრაფება ხომ ჩინურსაც ახასიათებს. მაშ, რა განსხვავება შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ენასა და ინდოევროპულ ენებს შორის, თუ დავუშვებთ, რომ ეს უკანასკნელები ოდესღაც იზოლირებულნი იყვნენ?!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცოტაღა დაგვრჩა სათქმელი ენათა კლასიფიკაციის ორი დანარჩენი ნიშნის: ენათა მორფოლოგიური ტიპებისა და პრედიკატისა და სუბიექტის დაპირისპირების შესახებ. არც ერთი ეს დაჯგუფება შტაინთალთან ორიგინალური არ არის. ორივე მათგანი გვხვდება ჰუმბოლდტთან. შტაინთალთან თავისებურად არის წარმოდგენილი მხოლოდ მორფოლოგიური ტიპების დალაგება. დალაგება წარმოებს შინაგანი ფორმის მიხედვით. ამიტომ, როგორც აღნიშნული იყო, მორფოლოგიური ტიპების თვალსაზრისით თანმიმდევრობა არ არის დაცული. მაგალითად, იზოლირებული ტიპი გახლეჩილია: ინდოჩინეთის ენები უფორმო ენების პირველ საფეხურს ქმნიან, ჩინური კი ფორმიან ენებშია შეტანილი. ასევე ფორმიან ენებთანაა გათანაბრებული ეგვიპტურიც, თუმცა ის, ავტორის თქმით, არ არის ფლექსიური. ამის შედეგად იზოლირებული და აგლუტინაციური ტიპები გვხვდება როგორც ფორმიან,

---

[1] Charakteristik der haupt. Typen.., გვ. 313.
[2] იქვე, გვ. 316.
[3] იქვე, გვ. 277.

ისე უფორმო ენებში. ამ მხრივ ჰუმბოლდტი მეტ ანგარიშს უწევდა ენათა მორფოლოგიურ ტიპებს. თუმცა იგი კარგად გრძნობდა, რომ ჩინურის გამოცხადება არასრულყოფილ ენად მეტისმეტად არადამაჯერებელია, და ცდილობდა კიდევაც როგორმე შეემსუბუქებინა ეს მსჯავრი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰუმბოლდტს ჩინური არ დაუშორებია სხვა იზოლირებული ენებისაგან. შტაინთალი ამასაც არ მოერიდა. ამის შედეგად შტაინთალთან კიდევ უფრო აშკარად გამოვლინდა, ვიდრე ეს ჰუმბოლდტთან იყო, რომ არავითარი კავშირი ენათა სრულყოფილობასა და ენათა მორფოლოგიურ ტიპებს შორის არ არსებობს.

ცალკეული ენების განაწილების მხრივაც შეინიშნება ერთგვარი განსხვავება ჰუმბოლდტსა და შტაინთალს შორის. თუმცა ჰუმბოლდტმა სრულყოფილად ფლექსიური ტიპი გამოაცხადა, მაინც იგი წმინდა პრინციპის მქონე და ე. ი. ჰეშმარიტ სრულყოფილ ენებად მხოლოდ ინდოევროპულ ოჯახს მიიჩნევდა. სემიტურ ენებს კი, მიუხედავად მათი ფლექსიურობისა, გადახრით, ე. ი. არასრულყოფილ ენებად თვლიდა. შტაინთალის თვალსაზრისით, სემიტური ენებიც ფორმიანია, ე. ი. სრულყოფილი. ვფიქრობთ, აქ არსებითი დაპირისპირება ჰუმბოლდტისა და შტაინთალის შეხედულებებს შორის მაინც არა გვაქვს. შტაინთალთან, ისევე როგორც ეს ჰუმბოლდტთან იყო, ინდოევროპული ენები ქმნიან ენათა განვითარების მწვერვალს. მათ ვერც ერთი ენა ვერ შეედრება. ამის ქვემო საფეხურზე დგას სემიტური ენები, რომლებიც ყველა დანარჩენ ენებზე მეტად განვითარებული არიან. ამგვარად, ენათა განვითარების კიბეზე სემიტურ ენებს ორივე ავტორთან ერთი და იგივე საფეხური უჭირავს, ორივე ერთნაირად წარმოგვიდგენს ამ ენათა ადგილს სხვა ენებს შორის. ჰუმბოლდტიც, მართალია, სემიტურ ენებს სრულყოფილ ენებად არ მიიჩნევდა, მაგრამ აღნიშნავდა, ეს ენები ყველაზე ახლოს დგანან ინდოევროპულ ენებთანო.

რაც შეეხება სუბიექტისა და პრედიკატის დაპირისპირებას, ხელოვნურია და უსაფუძვლო შტაინთალის ცდები იმისა, რომ ნამდვილი სუბიექტი და ნამდვილი პრედიკატი მხოლოდ ფლექსიურ ენებში დაადასტუროს. აქაც ავტორი ჰუმბოლდტის მცდარ თვალსაზრისზე დგას და ნამდვილ სიტყვებად მიიჩნევს მხოლოდ მეტყველების ნაწილებს, სუბიექტად — სახელის სახელობით ბრუნვას, პრედიკატად კი — ზმნის პირიან ფორმას. თუმცა არსად ჩანს იმის საბუთები, რა უპირატესობა აქვთ ამ ფორმებს იმათთან შედარებით, რომლებსაც მათ ნაცვლად ხმარობს ზოგი ახვა ენა. აქაც, ისევე რო-

გორც მორფოლოგიური ტიპების მიმართ, ამოსავლად აღებულია ინდოევროპულ ენათა სპეციფიკა, ხოლო ყველაფერი, რაც ამ ენებისაგან განსხვავებულია სხვა ენებში, დაბალ საფეხურზე მდგომად ცხადდება.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა შტაინთალის მიმართებაზე ჰუმბოლდტთან. როგორც ზოგადი კონცეფციის თვალსაზრისით, ისე ენათა კლასიფიკაციის მხრივაც, შტაინთალისათვის ამოსავალია ჰუმბოლდტის თეორია. ძნელად თუ ვიპოვით შტაინთალთან რომელიმე მნიშვნელოვან დებულებას, რომელიც ამა თუ იმ სახით უკვე ჰუმბოლდტთან არ იყოს წარმოდგენილი. რაც შეეხება კლასიფიკაციას, აქაც ჰუმბოლდტთან ვპოულობთ ყველა ამ ელემენტს, რომლებიც შტაინთალის კლასიფიკაციის კომპონენტებს შეადგენენ. ძირითადი მათგან შემდეგია:

1. ენები იყოფა სრულყოფილ და არასრულყოფილ ენებად.

2. ენათა შორის განსხვავების მიზეზად მიჩნეულია ხალხის გონის თავისებურებანი.

3. სრულყოფილობის საკითხი საბოლოო ანგარიშში წყდება ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა კულტურული დონის მიხედვით.

4. ენათა სრულყოფილობის გამოვლენას ეძიებენ ენათა მორფოლოგიურ ტიპებში, აგრეთვე წინადადების წყობაში, ანუ სხვაგვარად, სიტყვის სინთეზის ხარისხში, ერთის მხრივ, და სუბიექტისა და პრედიკატის დაპირისპირებაში, მეორე მხრივ.

ერთი შეხედვით, შტაინთალთან ახალია დაყოფა ფორმიან და უფორმო ენებად. მაგრამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფორმის ფსიქოლოგისტურ გააზრებას შტაინთალთან, ფორმისა და უფორმობის შესატყვისი ცნებები ჰუმბოლდტთანაც გვაქვს, ესაა ენათა წარმოების წმინდა პრინციპი და გადახრითი პრინციპი.

როგორც ვხედავთ, ენათა კლასიფიკაციის ყველა ძირითადი დებულება შტაინთალს ჰუმბოლდტიდან აქვს. და მაინც შტაინთალის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს ჰუმბოლდტის კლასიფიკაციის უბრალო განმეორებას. სპეციფიკური შტაინთალისათვის ის არის, რომ მან ჰუმბოლდტის ნააზრევი გარკვეული მიმართულებით გადაამუშავა, ფსიქოლოგისტური თვალსაზრისი დაუდვა მას საფუძვლად. ამის შესაბამისად შტაინთალმა ჰუმბოლდტის კონცეფციიდან მხოლოდ ის შეხედულებები ამოკრიფა და გამოიყენა, რომლებიც მისი (შტაინთალის) თვალსაზრისისათვის იყო გამოსადეგი. ფსიქოლოგიზმი გამსჭვალავს შტაინთალთან ენათა კლასიფიკაციას მთლიანად. ამის გამო მასთან ზოგჯერ შეცვლილია ამოსავალ დებულებათა ურთიერთობა,

თითოეული მათგანის ხვედრითი წონა კლასიფიკაციის მთლიან სისტემაში. ის, რაც ჰუმბოლდტისათვის არ იყო წამყვანი, შტაინთალთან წამყვან დებულებად იქცევა და, პირუკუ, ზოგი რამ, რასაც ჰუმბოლდტი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, შტაინთალისათვის უკვე აღარ არის არსებითი. ასე მაგალითად, ენათა მორფოლოგიურ ტიპებს ჰუმბოლდტი მეტი გულისყურით ეკიდებოდა, ვიდრე შტაინთალი. ამ უკანასკნელთან ფორმისა და უფორმობის დაპირისპირებას უჭირავს ცენტრალური ადგილი და ამ საკითხთან შთანთქა ყველა სხვა საკლასიფიკაციო ნიშანი, თავისთავადობა წაართვა მათ. თუმცა ერთადერთი რეალური დაჯგუფება, რომელსაც შტაინთალის მთელი კლასიფიკაცია ემყარება, ეს არის ენათა მორფოლოგიური ტიპოლოგია, მიუხედავად ამისა, თვითონ ნაშრომში მორფოლოგიური ტიპების საკითხი შედარებით უკან არის გადაწეული. თვით ამ ტიპების დახასიათებაც კი არ არის იმ სიღრმით მოცემული, როგორც ეს ჰუმბოლდტს ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ ჰუმბოლდტი ენათა მორფოლოგიური ტიპების დახასიათებით იწყებდა, ხოლო მსჯელობა სრულყოფილ და არასრულყოფილ ენათა შესახებ მას სჭირდებოდა მორფოლოგიურ ტიპებს შორის არსებული განსხვავების ასახსნელად. შტაინთალისათვის, პირუკუ, ამოსავალია ენათა სრულყოფის საკითხი (დაყოფა ფორმიან და უფორმო ენებად), ხოლო მორფოლოგიური კლასიფიკაცია დაქვემდებარებულია. ენათა სრულყოფილობის საკითხზე მსჯელობისას ორივე ავტორი ერთსა და იმავე პრინციპულ შეცდომას უშვებს, მაგრამ ჰუმბოლდტის დამსახურება ის არის, რომ მან მაინც მოგვცა ენათა მორფოლოგიური ტიპების ისეთი სრული დახასიათება, როგორიც მანამდის არავის წარმოუდგენია. შტაინთალმა კი გაიმეორა ყველა ის შეცდომა, რომლებსაც ჰუმბოლდტი უშვებდა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ინტერპრეტაციის დროს და მათ კიდევ ახალი, არსებითი ხასიათის შეცდომა დაუმატა: ფსიქოლოგისტურ ასპექტში განიხილა მთელი კლასიფიკაცია. მორფოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით შტაინთალს ჰუმბოლდტთან შედარებით არ მოუცია არაფერი პრინციპულად ახალი და მნიშვნელოვანი. მაგალითად, შტაინთალთან ისევე გაურკვეველია ინკორპორაციული ენების ადგილი სხვა ტიპებს შორის, როგორც ეს ჰუმბოლდტთან იყო. მორფოლოგიური ტიპების დახასიათებისას შტაინთალი ჰუმბოლდტისებურად მხოლოდ სამს (იზოლირებულს, აგლუტინაციურსა და ფლექსიურს) განიხილავს, მაგრამ როდესაც ცალკეულ ენებზეა ლაპარაკი, ის

ამერიკის ენები შთასხეულებით ენებად ცხადდება. რა მიმართებაშია ინკორპორაცია აგლუტინაციასთან, ამ საკითხს ავტორი არ სვამს.

რომ ენათა მორფოლოგიურ ტიპოლოგიას შტაინთალი ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ჰუმბოლდტი, ეს ჩანს თვით მისი კლასიფიკაციის სქემიდანაც. აქ ჩვენ ვერ ვხვდებით ტერმინებს: ძირეული, აგლუტინაციური, ფლექსიური. დაჯგუფება წარმოებს პირველ ყოვლისა ფორმისა და „უფორმობის“ საფუძველზე. ამას მოსდევს ენათა დაყოფა იმის მიხედვით, აქვთ თუ არა მათ ბრუნება-უღლილების ფორმები. ამ მხრივ ერთმანეთს უპირისპირდება აფიქსებიანი და უაფიქსო ენები. ეს უკანასკნელი დაჯგუფება თავისთავად სწორი ჩანს. თუ უაფიქსო ენები იზოლირებული ენებია (ჩინური და ინდოჩინეთის ენები), აფიქსებიან ანუ, შტაინთალის ტერმინით, ბრუნება-უღლილების მქონე (abwandelnde) ენათა ჯგუფში გაერთიანებული იქნება ყველა დანარჩენი ენა, როგორც აგლუტინაციური, ისე ფლექსიური და ისე ინკორპორაციული (რამდენადაც ეს უკანასკნელები აფიქსებსაც ხმარობენ). ეს მორფოლოგიური ტიპები აფიქსებიანი ენების ქვეჯგუფებს შექმნიან მხოლოდ. მაგრამ ამ ქვეჯგუფებშიაც მორფოლოგიური ტიპოლოგია შტაინთალთან არ არის თვალსაჩინოდ წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, სემიტური ენებისათვის დამახასიათებლად მიჩნეულია ძირის შინაგანი ცვალებადობა. სანსკრიტულის ანუ ინდოევროპულისათვის — ნამდვილი სუფიქსები. არ ჩანს, რომ შტაინთალის აზრით, ენათა ორივე ჯგუფი ფლექსიურია. ასევე საძებარია და ერთმანეთისაგან გათიშული აგლუტინაციური ენებიც.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ბრუნება-უღლილების მქონე ენათა ერთ ჯგუფში მოქცევით მოიშალა ის გარდაუვალი ზღვარი, რომელსაც შტაინთალი და ჰუმბოლდტი ფლექსიურ და არაფლექსიურ ენებს შორის ავლებდნენ ხელოვნურად. ამიტომ დასახელებულ ენათა ასეთი გაერთიანება თუმცა ობიექტურად სწორია და გამართლებული, მაგრამ თვითონ შტაინთალის თვალსაზრისისათვის არ უნდა ყოფილიყო მისაღები, რადგანაც იგი ამჟღავნებს იმას, რომ ავტორის ძირითადი დებულება (ფლექსიური ენების მიჩნევა განსაკუთრებული წყობის ენებად) მცდარი არის. მართლაც, შტაინთალი ხომ აცხადებდა (ჰუმბოლდტთან ერთად), რომ აგლუტინაციურ ენებს არა აქვთ არც ნამდვილი ბრუნება, არც ნამდვილი უღლილებაო! კლასიფიკაციის სქემაში კი ეს ენები ისევე ითვლება ბრუნება-უღლილების მქონედ, როგორც ფლექსიური ენები. ეს გარემოება კიდევ უფრო ამწვავებს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ

უნდა მივიჩნიოთ ეს, ბრუნება-უღლილების მქონე, ენები უფორმოდ?! აღსანიშნავია, რომ თვითონ ტექსტში შტაინთალი არ გახაზავს დაპირისპირებას ენათა ორ დასახელებულ ჯგუფს (აფიქსებიან და უაფიქსო ენებს) შორის.

ამგვარად, შტაინთალის კლასიფიკაცია გვაძლევს ჰუმბოლდტისეული ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ფსიქოლოგისტურ ინტერპრეტაციას. ეს ინტერპრეტაცია მცდარ, იდეალისტურ თვალსაზრისზეა აგებული და ამიტომ მიუღებელია. თვითონ ენათა მორფოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისითაც კი, მიუხედავად ზოგიერთი თავისებურებისა, შტაინთალს არ მოუცია რაიმე პრინციპულად ახალი და მნიშვნელოვანი ჰუმბოლდტთან შედარებით.

თავი მეორე

3. შტაინთალის კლასიფიკაციის გადამუშავება ფ. მისტელის მიერ

§43. 3. შტაინთალის კლასიფიკაცია გადაამუშავა და იმავე სათაურით გამოაქვეყნა 1861 წელს ფრანც მისტელიმ. მისტელის შრომის მეორე გამოცემა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, 1893 წელს არის გამოსული[1].

მისტელი ფორმას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მეტყველების ფორმაში ესმით ყველა ის საშუალება, რომლებიც ან გრამატიკულ ჩარჩოებს ქმნიან, ანდა რომლებიც ხელს უწყობენ მეტყველების მასალის ლოგიკურ გარკვეულობას ან სუბიექტურ შეფერვას მაინც“[2].

ავტორის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გრამატიკული ფორმაა და ვიწრო გაგებით სწორედ მას უწოდებენ ენობრივ ფორმას[3].

მისტელი განასხვავებს ორგვარ ფორმას: მაღალსა და დაბალს.

---

[1] Dr. Franz Misteli, Charakteristik der hauptsächlichsten Typen des Sprachbaues. Neubearbeitung des Werks von Prof. H. Steinthal (1861), Berlin, 1893.

[2] „Unter Form der Rede versteht man alle diejenigen Mittel, welche entweder den grammatischen Rahmen bilden, oder wenigstens zur logischen Deutlichkeit oder zur subjectiven Färbung des Stoffes der Rede beitragen“. Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 2.

[3] იქვე, გვ. 2.

დაბალ ენობრივ ფორმას ქმნიან მეტყველების ნაწილები[1]. ის ენა, რომელშიაც მეტყველების ნაწილები გამოჯნულია ერთმანეთისაგან, ფორმიანი იქნება. მაგრამ თუ ენას არა აქვს მეტყველების ნაწილები, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ენა უეჭველად უფორმოა. დაბალი ფორმის ნაკლოვანებას ენა შეიძლება ავსებდეს მაღალი ფორმის მქონებლობით[2].

მაღალი ფორმა, მისტელის აზრით, ვლინდება წინადადების წარმოებაში. ასეთი მაღალი ფორმა აქვს ჩინურ ენას, რომელსაც, მართალია, მეტყველების ნაწილები არ მოეპოვება, მაგრამ რომელიც გრამატიკულ გარკვეულობას მეშველი სიტყვების, მტკიცე სიტყვათა რიგისა და სიმეტრიულ-სტილისტური წესების გამოყენებით აღწევს. ამასთან დაკავშირებით ავტორი სვამს საკითხს წინადადების წარმოების გრამატიკულ საშუალებათა შესახებ. წინადადების ცენტრად მას მიაჩნია ზმნა.

მისტელის განმარტებით, ზმნა განაგებს წინადადებას, მას გადაეცემა ის ზოგადი სუბიექტურობა და ენერგია, რომელიც სუბიექტისა და პრედიკატის ძლიერ სინთეზში მოქმედებს. ამ სინთეზს ხვდება ორი სიძნელე, რომლებსაც ენები მეტ-ნაკლებად სრულყოფილად გადალახავენ და ამიტომ ამის მიხედვით ხერხდება ენათა დაჯგუფება. ეს სიძნელეები შემდეგია:

1. წინააღმდეგობა წინადადებასა და სიტყვას შორის. სუბიექტი და პრედიკატი, მიუხედავად მათი შეკავშირებისა, გამოჯნული უნდა დარჩნენ. წინადადება არ უნდა დაიშალოს ცალკეულ წევრებად, მაგრამ არც ერთ მთლიანად უნდა შეირწყას.

2. ერთმანეთს უპირისპირდება ზმნური და სახელური წინადადება. რადგანაც გამოთქმა მხოლოდ მოქმედებათაგან და მდგომარეობათაგან კი არ შედგება, არამედ ასევე ხშირად თვისებათაგან და სუბსტანტივურ განსაზღვრათაგან და ავლენს უფრო ლოგიკურს, ვიდრე სუბიექტურ-ენერგიულ არსს[3].

პირველი შემთხვევიდან გამომდინარეობს, რომ სანამ სუბიექტი-სახელი და პრედიკატი-ზმნა ცალ-ცალკე მარცვალშია ჩაკეტილი და მათ არ დაერთვის მიმართების ელემენტები, მანამ სინთეზი შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მტკიცე ადგილმდებარეობაში. სწორედ ასეა ჩინურში, რომელიც ენერგიული ზმნის დანაკლისს მშვე-

---

[1] F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 38.

[2] იქვე, გვ. 39

[3] იქვე, გვ. 44—45.

ნივრად ანაზღაურებს მტკიცე სიტყვათა რიგით და ცალკეული, გრამატიკულად ზუსტად განსაზღვრული, ძირების სიმეტრიით, აგრეთვე დამხმარე სიტყვებით, ნაწილაკებითა და კავშირებით...

მალაურში ასეთი მტკიცე სიტყვათა რიგი არა გვაქვს და ამიტომ ამ ენას მისტელი ჩინურზე დაბლა აყენებს, მიუხედავად იმისა, რომ მალაურში იხმარება მოქმედების აღმნიშვნელი me პრეფიქსი[1].

ეგვიპტურ-კოპტურ ენაში ცარიელი მირთვა (Fügung) გვაქვს და და არა ცოცხალი სინთეზი და ნამდვილი ზმნა, რადგანაც არ ხდება პირის ნიშანთა და ზმნის ძირთა ერთიანი დაკავშირება[2].

ზმნური და სახელური წინადადების დაპირისპირება იმის მიხედვით იქმნება, თუ რა უდევს საფუძვლად გამოთქმას, ენერგიული ზმნა თუ წყნარი, უძრავი სახელი. ამ დაპირისპირებას სხვადასხვა ენები სხვადასხვაგვარად მოხსნიან. ინდოევროპული ენები მეშველი ზმნის ანუ კოპულის საშუალებით სახელურ წინადადებას ზმნურად აქცევენ (Mann ist gut)[3]. სხვა ენათა დიდი ნაწილი დარჩა საფეხურზე: Mann—gut. ამ მოვლენას სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარი ახსნა აქვს:

1. ენებს სურდათ ერთმანეთისაგან გამოეყოფილად ენახათ სახელური და ზმნური წინადადებები, რომლებიც შინაარსისა და განწყობილების მიხედვით ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამას მათ უკარნახებდა ზმნის სუბიექტურობისა და ენერგიის ძლიერი გრძნობა. ასეთი ვითარება, ავტორის აზრით, სემიტურ ენებში გვაქვს, სადაც სახელური და ზმნური წინადადება გამიჯნულია ერთმანეთისაგან[4].

2. წინადადების ორ ტიპს შორის განსხვავება არ ჩანდა ისე მნიშვნელოვანი, რადგან ზმნას აკლდა სუბიექტურობა და ენერგია და იგი სახელთან ახლოს იდგა[5]. ასეთ შემთხვევაში სახელურ წინადადებას უპირისპირდება მასავით წყნარი არსებობის წინადადება (Existenzialsatz), რომელიც ან პოსესიური ზმნის ფორმით არის წარმოდგენილი ან ზმნური აბსტრაქციისა (Verbalabstractum).

---

[1] F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen.., გვ. 45.

[2] იქვე, გვ. 50.

[3] იქვე, გვ. 51. ავტორი იმაზედაც მიუთითებს, რომ ამ ტიპის წინადადებები ბევრ ინდოევროპულ ენაში უკავშიროდაც იხმარება.

[4] იქვე, გვ. 52.

[5] იქვე.

ეს უკანასკნელი ფინურში და განსაკუთრებით დრავიდულ ენებში გვაქვს, პოსესიური ზმნები კი ბევრ ურალურ-ალთაურ ენას ახასიათებს[1]. ხშირად ორივე სისტემა ერთსა და იმავე ენაში გვხვდება ერთმანეთის გვერდით (მაგ., ფინურში და უნგრულში)[2].

3. განსხვავება სახელურსა და ზმნურ წინადადებას შორის სრულიად არ არსებობდა. ასეთ შემთხვევაში ნამდვილი ზმნა არ წარმოშობილა და მოჩვენებით-ზმნური წინადადება დაემთხვა შეურნებულად, ვიდრე ეს ინდოევროპულში მოხდა, სახელურ წინადადებას (ინდოევროპულში სახელური წინადადება იქცა ზმნურად)[3]. ზმნური წინადადებები ჩამოქვეითდება სახელურ წინადადებად იქ, სადაც მიმღეობები ენაცვლებიან პიროვან ზმნასო (Verbum finitum), წერს ავტორი[4].

4. ნეიტრალური ფორმა არ იძლეოდა სახელური და ზმნური წინადადების გარჩევის შესაძლებლობას. ასეთია, ავტორის აზრით, ე. წ. პრედიკატული სუფიქსები[5]. ცარიელ შემასმენლობით წინადადებებში (Aussagesatz) პრედიკატული პრეფიქსები და სუფიქსები უკავშირდება ზმნებს, სახელებს, ზმნისართებს. დაქვემდებარებული წვრილმანი საშუალებები შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას სახელური წინადადების თავისებური გეშტალტი. ეს ხდება კოპტურში და ჩინურში მითითებითი ელემენტის დართვით, კანარულში იმის საშუალებით, რომ პრედიკატული სუფიქსები მხოლოდ მიმღეობათა და ზმნურ ძირთა შემდეგ დგანან და სახელური წინადადება დამოუკიდებელი რჩება. მაგრამო, გვეუბნება ავტორი, ასეთი შემთხვევითი დაპირისპირება ვერც ერთ ენას ვერ შეუქმნის ზმნას, რომელიც მხოლოდ ნეგატიურად კი არ განსხვავდება სახელური წინადადებისაგან, არამედ პოზიტიურადაც გამოირჩევა მასში მოქცეული სუბიექტურობითა და ენერგიითო[6].

ყველა ამ შემთხვევის საფუძველზე მისტელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ნამდვილი ზმნა მხოლოდ ინდოევროპულ და სემიტურ ენებს აქვთ[7]. ამ ენებში ზმნა შედგება მასალის ძირისაგან და აფიქ-

---

[1] F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen... გვ. 70.
[2] იქვე, გვ. 58.
[3] იქვე, გვ. 52.
[4] იქვე, გვ. 70.
[5] იქვე, გვ. 52.
[6] იქვე, გვ. 70—71.
[7] იქვე, გვ. 52.

სისაგან, რომელიც ძირშია შერწყმული და ზოგადად სუბიექტს აღნიშნავს[1].

ზმნის ამგვარი გაგება, ავტორის აზრით, მოიცავს ფლექსიისა და სიტყვის ცნებას[2], ნამდვილი ზმნა იმავე დროს ნამდვილ მთლიან სიტყვას (Wortganz) წარმოადგენს[3]. ამიტომ ენათა ზემომოყვანილ დახასიათებას იგი უკავშირებს მორფოლოგიურ ტიპოლოგიას და ნამდვილ სიტყვათა არსებობა-არარსებობის მიხედვით ენათა დაჯგუფებას.

ინდოევროპული და სემიტური ენები ფლექსიური ანუ ნაჭდევილსიტყვიანი (ächtwortige) ენებია. იმავე დროს მათ ფორმიან ენებად თვლის ავტორი იმ მოსაზრებით, რომ მათში ერთმანეთისაგან გამიჯნული არიან სუბიექტი და პრედიკატი, პრედიკატი და ობიექტი, ზედსართავი და საზღვრული[4].

სხვა ენები მიისწრაფვიან იქითკენ, რომ ზმნა შექმნან და სიტყვები აწარმოონ, მაგრამ მათ ძალა არ ყოფნით იმისათვის, რომ ბგერითი სიჩარბე და გონითი პროცესები შეამოკლონ. მათში ზმნა სახელურადაა გააზრებული და სიტყვები დაუხშავია. სიტყვის ჩამხშავი ელემენტები, რომლებიც ჩვენ ფლექსიურად გვეჩვენება, შეიძლება ხშირად არ იქნენ გამოყენებული, რადგანაც გაგებინება უამისოდაც შესაძლებელი იქნება. მეორე მხრივ, ეს ელემენტები შეიძლება იქ შეგვხვდნენ, სადაც სიტყვა უკვე დახშული ჩანდა. ესაა აგლუტინაციური ანუ მოჩვენებითსიტყვიანი (scheinwortige) ენები, ფინური, უნგრული, იაკუტური, ერთის მხრივ, და დრავიდული ქირის კანარული, მეორე მხრივ. სიტყვისა და წინადადების მერყევი მიმართების გამო ჩვენ მათ უფორმოს ვუწოდებთო, წერს ავტორი[5]. თუმცა იქვე დასძენს, რომ ამ ენებში ცალკეული განსაკუთრებით პიროვანი ზმნური ფორმები დახშულ სიტყვებს წარ-

---

[1] F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 99.

[2] იქვე, გვ. 99. მისტელი ასე განმარტავს სიტყვას: „Wort ist eine nach allen anwendbaren Kategorieen einer Sprache bestimmte und als solche lautlich charakterisierte Vorstellung, welche als geschlossenes Ganze in den Satz sich einfügt; das Verbum ist das Wort par excellence“ (გვ. 99).

[3] იქვე, გვ. 71.

[4] იქვე, გვ. 99.

[5] იქვე, გვ. 100.

მოადგენენ და კანარულს აქვს ფუძისაგან, უკეთ აბსოლუტივისაგან, განსხვავებული ბრუნვა, — სახელობითი[1].

ასევე უფორმოდ არის მიჩნეული შთასხეულებითი ანუ წინადადება-სიტყვიანი (Satzwortige) ენები, რომლებიც ობიექტს ზმნაში აქცევენ და ზედსართავს საზღვრულისაგან არ განასხვავებენ[2].

დანარჩენი ენები უსიტყვოდ (nichtwortige) ცხადდება და მათ ავტორი სამ ჯგუფად ყოფს: 1. ძირიზოლირებული (Wurzel-isolirende): ჩინური და სიამური (ბირმული).

2. ფუძეიზოლირებული (Stamm-isolirende): მალაური და დაიაკური[3]. მალაურ ენაში, ავტორის დახასიათებით, გვხვდება ორმაცვლიანი ძირებისაგან ფუძეების წარმოება არეფიქსებითა და სუფიქსებით, რაც აგლუტინაციას გვაგონებს, მაგრამ ეს ენა არ ცდილობს სიტყვის შექმნას. აფიქსები სიტყვაწარმოებისათვის გამოიყენება მხოლოდ, მალაურს არა აქვს ბრუნება, არც უღვლილება და სიტყვათა დამოკიდებულების გადმოსაცემად იმავე საშუალებებს იყენებს, რასაც ჩინური: ადგილმდებარეობას, ნაწილაკებს resp. აგრეთვე მასალის ძირებს[4].

3. თანწყობითი (anreihende) ენები: ეგვიპტურ-კოპტური და ბანტუ ოჯახი. თანწყობითს ამ ენებს მისტელი იმიტომ უწოდებს, რომ მათში ხდება პირის დაბოლოებათა უბრალო მირთვა, როგორც ფრანგულშია: vous parlez და parlez vous. ამ სუსტი მირთვით განსხვავდება ეს ოჯახები აგლუტინაციური ენებისაგან[5].

უსიტყვო ენებს არა აქვთ სწორი ფორმა, რადგან მათ არა აქვთ ნამდვილი ზმნა და ამის შედეგად სიტყვისა და წინადადების ურთიერთობა ზარალდება. მაგრამ ამის გამო ისინი წინასწარვე უფორმოდ არ უნდა ჩავთვალოთ. ისინი არ აქცევენ ერთ მთლიანში შთასხეულებით ენათა მსგავსად პრედიკატული, ობიექტური და ატრიბუტული მიმართების ორ-ორ წევრს, მათ არა აქვთ ასეთი მთლიანობები ანუ სიტყვები. ასევე, ეს ენები არ ცდილობენ მოჩვენებითსიტყვებიან აგლუტინაციურ ენათა მსგავსად შექმნან ასეთი მთლიანობები, რაც მათ იცავს ყოველგვარი მარცხისაგან[6].

---

[1] F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 100.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 103.
[5] იქვე, გვ. 100.
[6] იქვე, გვ. 104.

მისტელი ცალ-ცალკე განიხილავს უსიტყვო ენებს და მრავალი წვრილმანი თავისებურების განხილვის შედეგად აცხადებს, რომ მალაური, სიამური და ბანტუ ოჯახის ენები უფორმოა. მალაურისათვის დამახასიათებელია ის, რომ ზმნას სახელური ბუნება აქვს, ზმნური me- წარმოება არ არის საკმარისი; მიუხედავად ფლექსიის უქონლობისა, სუბიექტის და ობიექტის ადგილი არ არის მტკიცედ განსაზღვრული, როგორც ეს ჩინურშია; გენეტივი უხეშად იწარმოება აღწერის გზით, უმარტივესი წინდებულებისათვის ენობრივი შესალა იხარჯება, პოსესიური ცნებები ფართო მოცულობისაა, გაორმაგებას და განმეორებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, გრამატიკული კატეგორიები მერყეობენ ფორმალური მხარისა და მნიშვნელობის მიხედვით და სხვ. ყველაფერი ეს მისტელის ამ ენის უფორმობის გამოხატულებად მიაჩნია[1].

სიამური გრამატიკული სიწმინდით ბევრად ჩამორჩება ჩინურს. ზმნა ამქლავნებს სახელურ ხასიათს იმით, რომ სანსკრიტის სუბსტანტივური ფუძეებიც ზმნურად გამოიყენება. წინადადების სამი ძირითადი მიმართება ერთგვარად გამოიხატება — განმსაზღვრელი წევრი მოსდევს განსაზღვრულს: პრედიკატი—სუბიექტს, ობიექტი—პრედიკატს, ატრიბუტი კი—საზღვრულს, თითქოს სუბიექტს, ობიექტს და ატრიბუტს ერთნაირი ბგერითი ნიშნები ჰქონდეთ[2].

ბანტუ ოჯახში, ისევე როგორც დრავიდულ კანარულში, იხმარება ფორმალური და აბსტრაქტული ელემენტების ურიცხვი რაოდენობა. ეს ელემენტები ზოგად ან მნიშვნელოვან ან თუნდაც გასაგებ კატეგორიებს კი არ გამოხატავენ, არამედ მხოლოდ ტყუილუპრალოდ აწვრილმანებენ და ამრავლებენ კატეგორიებს. ასე, საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს პრედიკატული, ობიექტური და ატრიბუტული მიმართებების თანმიმდევრული აღნიშვნა კლასის პრეფიქსების შეთანხმებით, რაც განმტკიცებულია სიტყვათა ადგილმდებარეობითა და ატრიბუტული a ნაწილაკით. მაგრამ კლასების უმეტეს ნაწილთან, 10-თან ან 12-თან მაინც, ბგერითი გამოხატულება არაჩვეულებრივად მრავალფეროვანია, ხოლო კლასების თავდაპირველი მნიშვნელობა ოდნავღა გამოსჭვივის[3]. ბგერითი სიჭარბის მაგალითად მისტელი იმას ასახელებს, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი

---

[1] F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 104—105.

[2] იქვე, გვ. 105.

[3] იქვე, გვ. 106.

მოითხოვს დაახლოებით 140 ფორმას, რომლებიც წარმოიშვებენ კუთვნილებისა და მფლობელის კლასების მარცვალთა შეერთებით[1].

იზოლირებულ-ძირებიან, იზოლირებულ-ფუძეებიან და უსიტყვო კლასებიდან ფორმიან ენებად მიჩნეულია მხოლოდ ჩინური და ეგვიპტურ-კოპტური. ავტორის აზრით, თუმცა ამ ენებს ნამდვილი ზმნა არა აქვთ, მაგრამ ისინი მაინც სემიტურს და ინდოევროპულს უნდა ამოუყენოთ გვერდით, რადგანაც მათ მთელი წინადადება აქვთ დამაკმაყოფილებლად გაფორმებული[2]. უფსკრულს, რომელიც ნამდვილსიტყვიან და უსიტყვო ფორმიან ენებს შორის არსებობს, ის ამცირებს, რომ ნამდვილსიტყვიან ენათა ახალ წარმომადგენლებთან (ინგლისურში, ფრანგულში, სპარსულში) ფლექსია შემოფარგლულია ნაცვალსახელებით და დამხმარე სიტყვებით, უკეთ გრამატიკული ანუ ფორმალური ზმნებით, რომლებიც ცარიელ ზმნებს და ძირებს უკავშირდებიან. ამის გამო არ უნდა ვშიშობდეთ, რომ ინგლისური, სპარსული და ფრანგული საბოლოოდ ჩინურს ან მალაურს დაემსგავსებიანო, აცხადებს შტაინთალი. მისი აზრით, ამ ენათაგან მრავალი ასეული წლის შემდეგ ერთმაოცვლოვანი ენები რომ მიგვეღო, ეს მაინც არ იქნებოდა ჩინური[3].

ჯგუფებს რა ენებს ფორმიან და უფორმო ენებად, მისტელი გვეუბნება, რომ თითოეულ ჯგუფშიაც ყველა ენა ერთ საფეხურზე არ დგას. მაგალითად, იაკუტური და კანარული არ შეიძლება გაუტოლდეს უნგრულსა და ფინურს. ორი უკანასკნელი კულტურის ენებია და ისინი მიჰყვებიან თანამედროვე გონითი ცხოვრების ყველა მიმდინარეობებს, ეს ენები სესხულობენ ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა აზრებს და ამ მხრივ წინაც კი უსწრებენ ევროპისა და აზიის ზოგიერთ დაქვემდებარებულ ენას[4].

ავტორს შეუძლებლად მიაჩნია ის, რომ ფორმიან და უფორმო ენათა განსხვავება დავუკავშიროთ გარკვეული რასების უპირატესობას. ამ დაჯგუფებას პირველ ყოვლისა გრამატიკული ღირებულება აქვსო, აღნიშნავს იგი[5].

რა მიმართებაშია გრამატიკული ფორმა გონთან?—მისტელის მიხედვით, ყოველი ენობრივი ფორმა უქმნის გონს გარკვეულ ჩარჩოს და ხელს უშლის, ე. ი. აწესრიგებს კიდევაც მის მოძრაობებს.

---

[1] F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 106—107.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 108.

[4] იქვე.

[5] იქვე.

ბაგრამ ჩარჩო იშვიათად არის ისეთი მოუხერხებელი, რომ მან ნაჭიეი გონი შეაჩეროს, ან. რომელსაც გაფართოება და გადაწევა არ შეეძლოს[1].

თანამედროვე ენობრივი მდგომარეობა, ერთის მხრივ, იმის შედეგია, რომ ენობრივი ფორმა თაობიდან თაობას გადმოეცემოდა და მასზე პასუხისმგებლობას ვერც ერთი ხალხი ვერ იკისრებს. ხოლო, მეორე მხრივ, ენობრივი მდგომარეობა ისტორიის მსვლელობაში ხალხის გონითი მოქმედების შედეგს წარმოადგენს. ამის საფუძველზე მისტელი ასკვნის: ენობრივი მდგომარეობა და გონის თვისებრიობა ყოველთვის გარკვეულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან, მაგრამ არა ისე, თითქოს არსებობდეს ენები, რომლებიც წინასწარვე დანიშნული არიან იმისათვის, რომ კულტურული იყვნენ[2]. ამიტომ მას არამართებულად მიაჩნია იმ ფაქტისათვის მნიშვნელობის მინიჭება, რომ ოთხი ფორმიანი ენა (ჩინური, ეგვიპტური, სემიტური, ინდოევროპული) ოთხ სხვადასხვა კულტურის ქვეყანას ეკუთვნის. ის, რასაც ჩვენ ამჟამად კულტურას ვუწოდებთ, სამ მათგანში საუკუნეებს წინ არ არსებობდაო, მიუთითებს ავტორი. დასახელებულ ენათაგან ყველაზე ადრინდელი კულტურის მატარებლები ჩინური და არაბული არიან, რამდენადაც ისინი ქვეყნების ფართო ტერიტორიებზე გავრცელდნენ და აყვავდნენ, ხოლო ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებიდან ამჟამადაც ძალიან ცოტა იღებს მონაწილეობას კულტურის წინსვლაში[3]. უარყოფს რა ენათა კლასიფიკაციის პირდაპირ კავშირს კულტურის საფეხურებთან, ავტორი მიუთითებს, რომ სხვადასხვა ენობრივი ოჯახები მიუთითებენ სხვადასხვა ფსიქიკურ ტიპებზე და ამით იმაზედაც, რომ ისინი სხვადასხვა კულტურულ განშტოებათა ნიადაგზე არიან შექმნილი, თუ ისინი საერთოდ იქცევიან კულტურულ ენებად. ამგვარად ენობრივ ტიპებში ვლინდება გონითი უნარის სხვადასხვაობა, რაც სრულიადაც არ უდრის კულტურულ უნარს.

მისტელის ენათა კლასიფიკაციის სქემა შემდეგი სახითა აქვს წარმოდგენილი:

---

[1] **F. Misteli, Charakteristik der haupt. Typen...,** გვ. 108.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 109.

I. შთასხეულებითი ენები:

1. მექსიკური ტიპი
2. გრენლანდიური ტიპი

} წინადადებასიტყვიანი

II. ძირიზოლირებული ენები:

3. ჩინური ტიპი
4. სიამური (და ბირმული) ტიპი

} ფორმიანი ენა

III. ფუძეიზოლირებული ენები: } უსიტყვო

5. მალაურ-დაიაკური ტიპი

IV. თანწყობითი ენები:

6. ეგვიპტურ-კოპტური ტიპი
7. ბანტუ-ტიპი (კაფრული)

} ფორმიანი ენა

V. აგლუტინაციური ენები:

8. ურალურ-ალთაური ტიპი (ფინური, უნგრული და იაკუტური)
9. დრავიდული ტიპი (კანაროული)

} მოჩვენებითსიტყვიანი

VI. ფლექსიური ენები: ფორმიანი ენები

10. სემიტური ტიპი (ებრაული და არაბული)
11. ინდოგერმანული ტიპი

} ნამდვილსიტყვიანი ფორმიანი ენები

§44. როგორც ვნახეთ, მისტელის არ ჰქონია პრეტენზია ეწარმოებინა ენათა ორიგინალური კლასიფიკაცია. იგი მიზნად ისახავდა გადამუშავებული სახით წარმოედგინა შტაინთალის კლასიფიკაცია. ენათმეცნიერების ისტორიაში ეს კლასიფიკაცია ხშირად შტაინთალ-მისტელის კლასიფიკაციის სახელით იხსენიება. რაკი შტაინთალის კლასიფიკაციას საკმაოდ დაწვრილებით გავეცანით, ამიტომ პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, განიცადა თუ არა რაიმე ცვლილებები შტაინთალის კლასიფიკაციამ მისტელისთან.

შტაინთალისა და მისტელის ნაშრომთა შედარების დროს თვალში გვეცემა ის, რომ კლასიფიკაციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული თეორიული მსჯელობა, რასაც შტაინთალთან მთავარი ყურადღება ეთმობოდა, მისტელისთან მინიმუმამდე არის დაყვანილი. შტაინთალის მთელ თვალსაზრისს განაპირობებდა დებულება იმის შესახებ, რომ ენა ფსიქიკურ პროცესს წარმოადგენს, ის არის ენერგიის ენერგია ანუ სუბიექტური გამოვლინების მოქმედება, რომლის დროსაც ადგილი აქვს ჯერ მთლიანის დანაწევრებას, ხოლო შემდეგ ნაწილების შეერთებას გონის მიერ. ამასვე უკავშირდებოდა

ენის შინაგანი და გარეგანი ფორმის დაპირისპირება. მისტელისთან ვერც ერთ ამ საკითხს ვერ ვიპოვით. მხოლოდ აქა-იქ შეიძლება შევხვდეთ შტაინთალის ცალკეულ გამონათქვამებს (მაგალითად, ასეთს: ყოველი ფორმა არის გონითი მოქმედება[1], მაგრამ ეს ცალკეული გამონათქვამები აზრთა სისტემას არ ქმნიან მისტელისთან, ისინი ყურადღებას იქცევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შტაინთალის კონცეფციას ვიცნობთ და სპეციალურად ვეძიებთ შტაინთალის აზრებს მისტელისთან.

რაკი მისტელი გაურბის ზოგად თეორიულ საკითხებს, ამიტომ მის ნაშრომში არ შედის მსჯელობა საერთოდ ენისა და, კერძოდ, ენის ფორმის ფსიქოლოგისტური გაგების შესახებ, რაც შტაინთალის კონცეფციის დედაარსს ქმნიდა და რასაც ემყარებოდა ენათა კლასიფიკაცია შტაინთალთან. ამის ნაცვლად მისტელის ყურადღების ცენტრშია წმინდა ენობრივი ნიშნები, ტიპოლოგიური განსხვავება ენებს შორის. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ფსიქოლოგიზმი მისტელის მიერ პრინციპულად არის უარყოფილი?—ვფიქრობთ, რომ არა. წინასიტყვაობაში თვითონ ავტორი გვეუბნება: მე ვცდილობდი შემოვფარგლულიყავი წმინდა ენობრივით, თუმცა ხალხთა ფსიქოლოგია მაინც არ უქმდება და ვინმეს ზოგი ადგილი შეიძლება მისტიკურად მოეჩვენოსო[2]. იქვე ცოტა ქვემოთ ნათქვამია: მე წვრილმანებში ზოგიერთი შერბილების გამოკლებით მივყვებოდი შტაინთალის ზოგად შეხედულებებსო[3]. ამიტომ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისტელისათვის შტაინთალის ფსიქოლოგისტური კონცეფცია არ არის მიუღებელი, მაგრამ ეს კონცეფცია არც თვალსაჩინოდაა გამოელენილი. ამიტომ რომ მისტელი საერთოდ არ მსჯელობს ამ რიგის ზოგადი საკითხების შესახებ. შტაინთალის ფსიქოლოგიზმის სუსტ გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ ის ადგილი მისტელის ნაშრომში, სადაც ავტორი გვეუბნება, სხვადასხვა ენობრივი ოჯახები სხვადასხვაგვარ ფსიქიკურ ტიპებზე მიუთითებენო[4]. თუმცა რას ნიშნავს ეს სხვადასხვაგვარი ფსიქიკური ტიპები და როგორ მიუთითებს მათზე ენათა ტიპები, ამის შესახებ განმარტებას ვერსად ვერ შევხვდებით.

---

[1] F. Mistelli, Charakteristik der haupt. Typen..., გვ. 36.
[2] მისივე, წინასიტყვაობა, გვ. VIII.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 109.

თუმცა ფსიქოლოგიზმი მისტელისთან საბოლოოდ მოხსნილი არ არის, მაგრამ მაინც დადებითად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ენათა კლასიფიკაციის განხილვა მასთან არაა დატვირთული მსჯელობით გონის სუბიექტური გამაფორმებელი მოქმედების, ჰვრეტათა და ჰვრეტის ჰვრეტათა, აგრეთვე ენის შინაგანი და გარეგანი ფორმის და სხვ. შესახებ, რაც შტაინთალის შრომას მეტისმეტად ამძიმებს, ხოლო თვით ენათა კლასიფიკაციის საკითხს არა თუ არაფერს მატებს, არამედ აბუნდოვანებს.

თუ ენის რაობასთან და ენათა კლასიფიკაციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემები მისტელის შრომაში გამოტოვებულია, ენათა კლასიფიკაციის სპეციალური საკითხები მას ძირითადად შტაინთალისებურად აქვს წარმოდგენილი. მართლაც, ენათა დაჯგუფებისათვის მისტელი ითვალისწინებს შემდეგ ნიშნებს: 1. მეტყველების ნაწილთა არსებობა (დაბალი ფორმა), 2. წინადადების ტიპთა განსხვავება (მაღალი ფორმა), 3. ზმნის აგებულება, 4. სიტყვის სინთეზირების ხარისხი, 5. მორფოლოგიური ტიპოლოგია, 6. ფორმიანი და უფორმო ენების დაპირისპირება. ყველა ეს ნიშანი შტაინთალთანაც გვხვდება, მაგრამ როგორც შტაინთალმა შეცვალა ჰუმბოლდტის საკლასიფიკაციო ნიშანთა ურთიერთმიმართება, ისე აქაც, მისტელისთანაც, შტაინთალის კლასიფიკაციის ცალკეულ ნიშანთა ურთიერთშეფარდება თავისებურია.

თვალსაჩინო განსხვავება საკლასიფიკაციო ნიშანთა განხილვისას შტაინთალსა და მისტელის შორის თავს იჩენს მხოლოდ ფორმიან და უფორმო ენებთან დაკავშირებით.

შტაინთალისათვის ძირითადი იყო ფორმიანი და უფორმო ენების გარჩევა. ყველა სხვა ნიშანი ამ დაპირისპირებას ექვემდებარებოდა. თვითონ ფორმის განსაზღვრა კი ენის ფსიქოლოგისტურ გაგებას ემყარებოდა. მისტელი ენის ფსიქოლოგისტურ ინტერპრეტაციას გვაკლია, ამიტომ იგი იძლევა ენობრივი ფორმის არსებითად განსხვავებულ განმარტებას. თუ შტაინთალისათვის ფორმა პირველ ყოვლისა გონის შინაგანი სუბიექტური მოქმედება იყო, მისტელის მიხედვით ფორმას წარმოადგენს ის საშუალებები, რომლებიც ენის გრამატიკულ ყალიბებს ქმნიან. მაშ, მოცემულია ფორმის ენობრივი დახასიათება. სწორედ ამ ენობრივ თვალსაზრისზე დგას მისტელი, როდესაც იგი მეტყველების ნაწილთა და წინადადების

ტიპთა საკითხს განიხილავს[1]. პირველი დაბალ ფორმად არის მიჩნეული, მეორე კი—მაღალ ფორმად. თუმცა მეტყველების ნაწილთა და წინადადების ტიპთა დაჯგუფება შტაინთალთანაც გვხვდება, მაგრამ ფორმის ასეთი გაგება შტაინთალისათვის არ არის დამახასიათებელი. მისტელისთან დაბალი და მაღალი ფორმა ავსებენ ერთმანეთს. თუ ენას მეტყველების ნაწილები არა აქვს, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ასეთი ენა უფორმოა. მასში დაბალი ფორმის უქონლობას მაღალი ფორმა ანაზღაურებს. ამ გაგებით არც ერთი ენა უფორმო არ უნდა იყოს, ყოველ ენას ექნება ან დაბალი ფორმა, ან მაღალი, ანდა ორივე ერთად. მაგრამ მისტელი ამ თვალსაზრისს ბოლომდის არ მიჰყვება. თუმცა ზემომოყვანილ მსჯელობაში იგი ფორმის ისეთ გააზრებას იძლევა, რომლის მიხედვითაც ფორმიან და უფორმო ენათა შორის დაპირისპირებას საფუძველი ეცლება, მიუხედავად ამისა, იგი ფორმიან და უფორმო ენებად დაჯგუფებას ჯალაში ტოვებს, რითაც შტაინთალის თვალსაზრისს იზიარებს. ამგვარად, მისტელისთან ჩვენ გვაქვს ფორმის ორგვარი გაგება: პირველი,—ენობრივი, რასაც ემყარება მეტყველების ნაწილებისა და წინადადების ტიპთა დაჯგუფება და, მეორე,—შტაინთალისებური. მაგრამ ეს მეორე გაგება ფორმისა თავიდან ბოლომდის კი არ გაბედავს მთელს კლასიფიკაციას, როგორც ეს შტაინთალთან იყო, არამედ მხოლოდ ბოლოში გამოჩნდება, ყველა საკლასიფიკაციო ნიშნის განხილვის შემდეგ.

შტაინთალთან ფორმიანი და უფორმო ენების დაჯგუფებას თან ახლავს საკითხის დაწვრილებითი განხილვა, სადაც ავტორი ცდილობს დაასაბუთოს თავისი თვალსაზრისი. მხედველობაში გვაქვს მსჯელობა იმის შესახებ, რომ უფორმო ენები შინაგანად ვერ განასხვავებენ მატერიალურ შინაარსს მიმართებათაგან, რაც გარეგან გამოხატულებას იმაში პოვებს, რომ ფორმა (ე. ი. მიმართებები) ბგერითად სრულიად არ გამოიხატება (იზოლირებულ ენებში) ანდა მატერიალური შინაარსის სიტყვათაგან წარმოიშვება, მაშასადამე, შინაარსი და ფორმა ირევა ერთმანეთში (აგლუტინაციურ ენებში).

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ შტაინთალის თვალსაზრისი ამ საკითხზე მცდარია და მიუღებელი, მაგრამ ეს კი უდავოა, რომ ამ მკვლევარს გარკვეული კონცეფცია აქვს და მის მიხედვით აშუქებს

---

[1] არ ეჩერდებით იმაზე, რომ თვითონ მეტყველების ნაწილებისა და წინადადების ტიპების დახასიათებისას მისტელისთან ბევრი რამ არის სადავო და მიუღებელი.

საკითხებს. მისტელისთან ამ მხრივ სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს. იგი სრულიად არ განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც ფორმიან და უფორმო ენათა დაპირისპირებას უდევს საფუძვლად შტაინთალთან, ბაგრამ თვითონ ამ დაპირისპირებას კი იყენებს სათანადო განმარტებათა გარეშე. თუ ფორმის შტაინთალისებური გაგება წარმოშობდა გადაულახავ წინააღმდეგობებს, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ეს გაგება მცდარია, მისტელისთან თვითონ ის არ არის გარკვეული, თუ რა ქმნის განსხვავებას ფორმიანსა და უფორმო ენებს შორის. ავტორს არა აქვს ფორმის ერთიანი საზომი. იგი განიხილავს ცალკეულ ენებს და ახასიათებს რა ამ ენათა სპეციფიკურ, ენის სტრუქტურის თვალსაზრისით არაარსებით ნიშნებს, ზოგ ენას ფორმიანად აცხადებს, ზოგს კი—უფორმოდ. ეს [illegible] რომ ეს დაჯგუფება მისტელისთან ენების თავისებურებათა ანალიზიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ განმსაზღვრელია შტაინთალის სქემა. ის ენები, რომლებიც შტაინთალმა ფორმიანად მიიჩნია, მისტელისთვისაც ფორმიანია, ყველა დანარჩენები კი—უფორმო ენებს წარმოადგენენ. რაკი ფორმიანი და უფორმო ენების განსხვავებას მისტელისთან არ ახლავს სათანადო გააზრიანება და დასაბუთება, ალბათ, ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ამ დაპირისპირებას მისტელის კლასიფიკაციაში არ უჭირავს ცენტრალური ადგილი.

რაც შეეხება დანარჩენ საკლასიფიკაციო ნიშნებს, აქ კავშირი შტაინთალთან უფრო თვალსაჩინოა და პირდაპირი. მისტელი არსებითად შტაინთალს თვალსაზრისზე დგას, ოღონდ ზოგ საკითხს იგი შტაინთალზე მეტი ყურადღებით ეკიდება, ზოგს კი— პირუკუ. ასე მაგალითად, თუმცა დებულება იმის შესახებ, რომ ნამდვილი სიტყვები მხოლოდ ფლექსიურ ენებს აქვთ, ჰუმბოლდტისაგან მომდინარეობს და შტაინთალთანაც მეორდება, მისტელი ბევრად მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ აზრს, ვიდრე ორივე დასახელებული ავტორი. წინადადებასიტყვიან, უსიტყვო. მოჩვენებითსიტყვიან და ნამდვილსიტყვიან ენათა დაპირისპირებას მის კლასიფიკაციაში ერთი ცენტრალური ადგილთაგანი უჭირავს.

ამ დაპირისპირების შესახებ არსებითად ის ითქმის, რომ იგი საკითხის საფუძვლიანი განხილვის ნაცვლად გვაძლევს ენათა აგებულების სხვადასხვაობის მცდარ შეფასებას აშკარად ტენდენციური თვალსაზრისის საფუძველზე. საქმე ეხება სიტყვათა სტრუქტურულ განსხვავებას სხვადასხვა ენებში. ამ განსხვავებათა ყოველმხრივი შესწავლის ნაცვლად დასახელებული ავტორები საზომად იღებენ ფლექსიურ (ინდოევროპულ) ენათა სიტყვას და ყველგან, სადაც

სხვაგვარი აგებულების სიტყვები გვხვდება, უარყოფენ საერთოდ სიტყვის არსებობას. რომ ეს შეხედულება სრულიად გაუმართლებელია, ეს კარგად ჩანს აგლუტინაციურ ენათა მაგალითზე. ამ ენათა სიტყვა თავისი სტრუქტურით არსებითად არ განსხვავდება ფლექსიურ ენათა სიტყვისაგან. მაგრამ დგანან რა მცდარ თვალსაზრისზე, ჩვენი ავტორები მაინც ცდილობენ დაამყარონ ხელოვნური განსხვავება აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენათა სიტყვებს შორის და გვეუბნებიან, აგლუტინაციურ ენებს მოჩვენებითი სიტყვები აქვთო. აღსანიშნავია, რომ სიტყვათა ზემომოყვანილ დაჯგუფებას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ ენიჭება, იგი ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და სწორედ ამიტომ მასშიაც ვლინდება ის არამართებული შეფასება მორფოლოგიური ტიპებისა მეტ-ნაკლები სრულყოფილობის თვალსაზრისით, რაც ამ კლასიფიკაციის ყველა ავტორთან გვხვდება. როგორც ფლექსიური ენები მიიჩნევიან ყველაზე უფრო განვითარებულად, ასევე ამ ენათა სიტყვებსაც უმაღლესი შეფასება ეძლევა. და ამდენად, როგორც პირველი შეხედულებაა უსაფუძვლო, ისევე მცდარია მეორეც.

მისტელის კლასიფიკაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, ჩვენ გამოვყავით ერთმანეთისაგან ის ნიშნები, რომლებიც ენათა დაჯგუფებას უდევს საფუძვლად. მიიღეთ ექვსი ნიშანი. ამათგან სამი მაინც (მეტყველების ნაწილები, წინადადების ტიპები და მორფოლოგიური ტიპები) დამოუკიდებელ კლასიფიკაციებს შეიძლება დაედოს საფუძვლად. ამასთან, სრულიად აშკარაა, რომ მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია არ დაემთხვევა სინტაქსურ ტიპოლოგიას, ხოლო ეს უკანასკნელი კი განსხვავებული იქნება მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით ენათა დაჯგუფებისაგან. მაშ, როგორ ახერხებს მისტელი ამ სხვადასხვა ნიშნის შეერთებას, ერთ კლასიფიკაციაში მათ გაერთიანებას? საქმე ის არის, რომ არც ერთ ამ დაჯგუფებას თავისთავადი ღირებულება არა აქვს გარდა მორფოლოგიური ტიპოლოგიისა. ჩვენს მიერ დასახელებული ექვსი ნიშანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ განიხილება, არამედ ყველა-ისინი ერთად იყრიან თავს მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში, ამ კლასიფიკაციის სხვადასხვა მხარედ გვევლინებიან.

დავიწყოთ მეტყველების ნაწილებით. აქ ავტორისათვის ძირითადია არა ის, თუ რა განსხვავებაა მეტყველების ნაწილებს შორის (თუმცა ამ საკითხს მისტელი უყურადღებოდ არ ეპყრობა) და როგორ განსხვავდებიან ენები მეტყველების ნაწილების მიხედვით

ერთმანეთისაგან, არამედ არსებითია მხოლოდ ენათა ორი ჯგუფის დადასტურება. ესაა—დაბალი ფორმის მქონე ენები, რომლებსაც მეტყველების ნაწილები აქვთ და დაბალ ფორმას მოკლებული ენები, რომლებსაც მეტყველების ნაწილები არ მოეპოვებათ. მაშ, ძირითადი მისტელისათვის მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებით სიტყვის გეშტალტის საკითხია და ამით ეს ნიშანი გადადის მეოთხე ნიშანში (სიტყვის სინთეზირების ხარისხი).

ერთი შეხედვით უფრო დამოუკიდებელი ჩანს წინადადების დაჯგუფება. და თუმცა აქ გვხვდება მსჯელობა სახელურ და ზმნურ წინადადებაზე, საბოლოოდ მისტელის წინადადების პრობლემა სიტყვის, კერძოდ—ზმნის, პრობლემამდე დაჰყავს, რადგან ამ უკანასკნელს მიიჩნევს იგი წინადადების ცენტრად. ამგვარად, წინადადების ტიპოლოგიის საკითხი გადადის მეხუთე ნიშანში (ზმნის აგებულება).

რაც შეეხება დანარჩენ ნიშნებს, ისინი არც კი არიან დიფერენცირებულნი მისტელისთან. ზმნის აგებულების მიხედვით განისაზღვრება როგორც სიტყვის სინთეზირების ანუ ერთიანობის საკითხი, ისე ენათა მორფოლოგიური დაჯგუფება. სიტყვის ერთიანობის საკითხიც მორფოლოგიური ტიპების მიხედვით არის განხილული და ბოლოს ფორმიან და უფორმო ენათა განსხვავებაც მასვე უკავშირდება.

აქედან აშკარაა, რომ მისტელს ენათა კლასიფიკაცია ძირითადად წარმოადგენს ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას. მორფოლოგიურ კლასიფიკაციას ემყარებოდა შტაინთალიც, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ფსიქოლოგისტურმა კონცეფციამ შტაინთალს ყურადღება სხვა საკითხებზე გაამახვილა (ფორმიანი და უფორმო ენების გარჩევა და სხვ.), ხოლო თვითონ მორფოლოგიური კლასიფიკაცია დაიჩრდილა. მისტელი კი აღარ გამოედევნა შტაინთალის თეორიას და მან მთელი გულისყური თვითონ კლასიფიკაციას მიაპყრო.

რა არის მნიშვნელოვანი ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით მისტელისთან? მნიშვნელოვანია ის, რომ მისტელი გამოყოფს ენათა 6 ტიპს (შთასხეულებითი, ძირიზოლირებული, ფუძეიზოლირებული, თანწყობითი, აგლუტინაციური, ფლექსიური), მაშინ როდესაც, ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, სულ დიდი 4 ტიპი გამოიყოფა. მისტელის სქემა კარგი ილუსტრაცია იმისა, რომ ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაცია ვერ წარმოგვიღგენს ენათა მორფოლოგიური სტრუქტურის მრავალფეროვნებას. იგი მხოლოდ ენათა მცირე რაოდენობის სპეციფიკას ითვალისწინებს და ემყარება რა ჰუმბოლდტის დროინდელ ენათმეცნიერულ

ცოდნას, არ ასახავს ენათმეცნიერების პროგრესს მსოფლიოს ენათა შესწავლის საქმეში, არ გამოავლენს იმ სტრუქტურულ თავისებურებებს, რომლებიც კონკრეტულ ენათა კვლევა-ძიების შედეგად დადასტურდა სხვადასხვა ენაში.

კერძოდ, მისტელისთან მნიშვნელოვანია ფუძეიზოლირებულ და ძირიზოლირებულ ენათა გარჩევა. ეს უკანასკნელები სიტყვაწარმოებით ელემენტებს დაირთავენ, მაგრამ სიტყვებს შორის დამოკიდებულებას აფიქსებით არ გამოხატავენ. ყურადღებას იქცევს აგრეთვე თანწყობითი და აგლუტინაციური ენების გარჩევა, თუმცა აქ ისე ნათლად არ ჩანს, ამ ენათა შორის მართლაც არსებობს თუ არა ისეთი სხვაობა, რომ ისინი სხვადასხვა ტიპად მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ ის ტიპები, რომლებიც მისტელის აქვს გამოყოფილი, შტაინთალთანაც გვხვდება (კერძოდ, ძირების იზოლაცია, ფუძეების იზოლაცია), მაგრამ შტაინთალთან მორფოლოგიური ტიპოლოგიისადმი შედარებით ნაკლები ყურადღების გამო ეს ტიპები რელიეფურად არ ჩანს. თვით კლასიფიკაციის სქემიდანაც კი ძნელია გარკვევა ბოლოს და ბოლოს რამდენი მორფოლოგიური ტიპი აქვს ავტორს. მისტელისთან კი მორფოლოგიური ტიპოლოგია თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი, რაც უეჭველად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ერთ საკითხზედაც გვინდა შევაჩეროთ ყურადღება: თითოეულ მორფოლოგიურ ჯგუფში მისტელი სხვადასხვა ტიპებს გამოყოფს. ასე, მაგალითად, ფლექსიურ ენებში გვაქვს სემიტური ტიპი და ინდოგერმანული ტიპი. აგლუტინაციურ ენებში — ურალო-ალთაური ტიპი და დრავიდული ტიპი და ა. შ. ავტორს შეეძლო ეხმარა: ინდოგერმანული ოჯახი, სემიტური ოჯახი და ა. შ. მაგრამ თუ იგი ასე არ იქცევა, ეს შემთხვევითი არ არის. საქმე ისაა, რომ დასახელებული ენები ტიპოლოგიური თვალსაზრისით მართლაც არ არიან საერთოთ ერთნაირი. მართალია, სემიტური და ინდოევროპული ენები ფლექსიური ენებია, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობს მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით განსხვავება. ამ სხვაობათა გახაზვა სურს მისტელის, როდესაც იგი ხმარობს ტერმინს „ტიპი". ვფიქრობთ, ესეც მართებულია.

რაკი მთავარ ყურადღებას ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას აქცევს, ამიტომ მისტელისთან ამ კლასიფიკაციის თვალსაზრისით ერთნაირი ენები არ არიან ერთმანეთისაგან გათიშული, როგორც ეს შტაინთალთან გვქონდა. ჩინური სხვა იზოლირებულ ენებ-

თან არის მოქცეული, ეგვიპტურიც თავის ადგილას იმყოფება თანწყობითს ენებს შორის.

ისევე, როგორც ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ყველა სხვა ავტორმა, მისტელიმაც ვერ შეიკავა თავი ენათა მორფოლოგიური ტიპების შეფასებისაგან, სრულყოფილობის საფეხურების მიხედვით მათი დაჯგუფებისაგან. სწორედ ამ თვალსაზრისის ამსახველია კლასიფიკაციის სქემაში ფორმიან და უფორმო, ნამდვილსიტყვიან, მოჩვენებითსიტყვიან და უსიტყვო ენათა დაპირისპირება. მისტელისთანაც განვითარების უდაბლეს საფეხურს იზოლირებული ტიპი ქმნის, მწვერვალს კი — ფლექსიური. ამ მხრივ, მისტელი ისეთსავე მცდარ თვალსაზრისზე დგას, როგორზედაც იდგა ჰუმბოლდტი, შტაინთალი და სხვები. ოღონდ შესამჩნევია, რომ ამ საკითხის შესახებ მსჯელობას მისტელისთან ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს. მაშინ, როდესაც შტაინთალი კლასიფიკაციის მიზნად სწორედ იმას სახავდა, რომ გამოეკვლინა ენათა სხვადასხვაგვარი სრულყოფილობა და ეს წამყვანი იდეა მთელი მისი შრომის ლეიტმოტივს წარმოადგენს, მისტელი მხოლოდ ორიოდე გვერდს უთმობს იმაზე მსჯელობას, რომ ზოგი ენობრივი ფორმა ხელს უწყობს გონის განვითარებას, ზოგი კი — აბრკოლებს.

შტაინთალის კლასიფიკაციის შეფასების დროს ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა ის აზრი, რომ ენათა მორფოლოგიური ტიპების შეფასებისას ავტორისათვის განმსაზღვრელია ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების კულტურული დონე. მისტელი პირდაპირ გვეუბნება, არ უნდა მივანიჭოთ მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ ფორმიანი ენები კულტურული ხალხების ენებიაო. მიუხედავად ამ განცხადებისა, ვფიქრობთ, ზემომოყვანილი დებულება მისტელის მიმართაც ძალაში რჩება. თუ არ კულტურული დონე, სხვა არაფერი განასხვავებს ჩინურს დანარჩენი იზოლირებული ენებისაგან. ასევე, ეგვიპტური ფორმიან ენად არის მიჩნეული, ხოლო ბანტუ-ენები უფორმოდ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს განსხვავება ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა კულტურულ დონეში. ამგვარად, სრულყოფილობის მიხედვით ენათა დაჯგუფების ფარული მიზეზი მისტელისთანაც არის ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა დაჯგუფება კულტურის საფეხურების შესაბამისად. ასეთი პირდაპირი შესატყვისობა კი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ენათა მორფოლოგიურ ტიპებსა და კულტურის საფეხურებს შორის არ არსებობს. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ თვალსაზრისის მიხედვით ენათა მორფოლოგიური ტიპების შეფასება არ იძლევა დადებით შედეგს.

შეიძლება დავასკვნათ: თუ მისტელის კლასიფიკაციის სქემას ჩამოვაცილებთ დაყოფას ფორმიან და უფორმო ენებად, აგრეთვე ნამდვილსიტყვიან, უსიტყვო და მოჩვენებითსიტყვიან ენებად, დაგვრჩება ენათა წმინდა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციის თვალსაზრისით, მისტელის სქემა მეტ ენებს ითვალისწინებს და უფრო მდიდარიც არის ტიპებით, ვიდრე ეს ჰუმბოლდტთან გვქონდა. ესაა მისტელის კლასიფიკაციის ღირსება. სწორედ ამ ღირსების გამოა, რომ, მაშინ როდესაც შტაინთალის ბუნდოვანსა და ფსიქოლოგისტური იდეებით დამძიმებულ კლასიფიკაციას, შეიძლება ითქვას, უშუალო გავლენა არ მოუხდენია მორფოლოგიური კლასიფიკაციის შემდგომ განვითარებაზე, მისტელის მიერ გადამუშავებულმა კლასიფიკაციამ გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა ენათმეცნიერებაში.

აქედან შემოვიდა ძირიზოლირებულ და ფუძეიზოლირებულ ენათა გარჩევა, აგრეთვე თანწყობით (ბანტუ ენები) ენათა გამოყოფა აგლუტინაციურისაგან. ენათა ტიპოლოგიის ანალიზის დროს მისტელის სქემას ეშყრება რიგი ავტორი, მათ შორის ფინკი და გიუნტერტიც (იხ. ნაწ. II, თ. IV).

ნაწილი მეოთხე

ენათა კონცეფტური კლასიფიკაცია ედ. სეპირისა

§45. ენათა კონცეფტური კლასიფიკაციის ავტორი არის ამერიკელი ენათმეცნიერი ედ. სეპირი. შრომაში „ენა, მეტყველების შესწავლის შესავალი"[1] ავტორი სპეციალურ თავს უძღვნის ენათა კლასიფიკაციას (თ. VI, ენობრივი სტრუქტურის ტიპები). თავის ორიგინალურ კლასიფიკაციას ედ. სეპირი უპირისპირებს ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას. ამიტომ კონცეფტური კლასიფიკაციის პრინციპთა გაგებისათვის სჯჭიროა გავეცნოთ ავტორის მოსაზრებებს ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაზე.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, სეპირის აზრით, ემყარება იმას, რომ ზოგი ენის სტრუქტურა გავს ერთმანეთს, ზოგისა კი — არა. მაგალითად, ლათინური, რუსული, ინგლისური და ჩინური ენების შედარებისას ვამჩნევთ, რომ საერთო ხასიათი პირველი სამისა ერთნაირია, მეოთხე კი არსებითად განსხვავდება მათგან. აქედან ვასკვნით: ყოველი ენა განსხვავდება მეორისაგან, მაგრამ ზოგი მეტად განსხვავდება, ზოგიც—ნაკლებად. ეს კი იძახს ნიშნავს, რომ შესაძლებელია ენათა დაჯგუფება მორფოლოგიური ტიპების მიხედვით[2].

მაგრამ მორფოლოგიური კლასიფიკაციის წარმოება ადვილი საქმე ჯარ არის. ამოცანის სირთულით უნდა აიხსნას ის, რომ ვერც ერთი დღემდის არსებული კლასიფიკაცია ვერ ჩაითვლება მთლიანად დამაკმაყოფილებლად. დასახელებულია კლასიფიკაციის გამაძნელებელი ოთხი მიზეზი[3]:

---

[1] **Eduard Sapir, Language, An Introduction to the Study of Speech.** 1921. ჩვენ ვსარგებლობდით რუსული თარგმანით: **Язык, Введение в изучение речи,** 1934.

[2] იქვე, გვ. 94.

[3] იქვე, გვ. 95—97.

1. პირველსა და უმთავრეს დაბრკოლებას საკლასიფიკაციო თვალსაზრისის არჩევა წარმოადგენს. გადასაწყვეტია აგრეთვე საკითხი, საკმარისია თუ არა ერთი თვალსაზრისი?

2. ენათმეცნიერთა განკარგულებაში ენათა მეტად მცირე რაოდენობა მოიპოვება. მცირერიცხოვან ენათა კვლევის საფუძველზე ჩარმოებული განზოგადებანი კი არაა საიმედო.

3. სეპირს მიუღებლად მიაჩნია ლინგვისტთა მისწრაფება ერთიანი, მარტივი ფორმულისაკენ. კლასიფიკაცია „იზოლირებულ", „აგლუტინაციურ" და „ფლექსიურ" ენებად ამგვარად წარმოებს: აღებულია ორი პოლუსი — „იზოლირებული" და „ფლექსიური". ყველაფერს, რაც შესაძლებელია, ამ პოლუსებისაკენ მიერეკებიან. დანარჩენ ენებს კი გარდამავალ „აგლუტინაციურ" ტიპში გადაისვრიან. ზოგჯერ ამერიკის ინდიელების ენებს ცალკე „პოლისინთეზურ" ჯგუფში გამოყოფენ. ამ ტერმინების არსებობა შეიძლება გამართლებულ იქნეს, მაგრამ არა იმ აზრით, რომლითაც ჩვეულებრივ მათ ხმარობენო, შენიშნავს ავტორი. ზემომოყვანილი კლასიფიკაციის ნაკლი იმაშიც მდგომარეობს, რომ დასახელებული ჯგუფები არ გამორიცხავს ერთმანეთს. ენა ერთდროულად შეიძლება აგლუტინაციურიც იყოს და ფლექსიურიც ან ფლექსიურიც და პოლისინთეზურიც ან არა და პოლისინთეზურიც და იზოლირებულიც.

4. ბოლოს, სეპირი უარყოფით მოვლენად თვლის გასულ საუკუნეში სოციალურ მეცნიერებებში გამოვლენილ ევოლუციონისტურ თვალსაზრისს, რომლის საფუძველზე მორფოლოგიური ტიპები განვითარების აღმავალ საფეხურებად იქნა აღიარებული. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ლინგვისტი-თეორეტიკოსები მეტწილად ფლექსიურ ენებზე მეტყველებდნენ. და აი, მათ გაუჩნდათ ცრუ რწმენა, თითქოს მათი ენები ადამიანის მეტყველების უმაღლეს მიღწევას წარმოადგენდეს, ყველა დანარჩენი ენობრივი ტიპები კი საფეხურები იყოს ამ რჩეული „ფლექსიური" ტიპისაკენ ალმავალ გზაზე. ასეთი რწმენის საფუძველზე აგებული კლასიფიკაცია წინასწარმიღებული შეფასებიდან გამოდის და გრძნობის დაკმაყოფილებას ემსახურება. ცხადია, ის არამეცნიერული იქნებაო, აღნიშნავს ავტორი. მისი აზრით, ენა ადამიანის ინტუიციათა სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს. ინტუიციები ათასგვარად შეიძლება იქნენ გაფორმებული და ეს არ არის დამოკიდებული ხალხის მატერიალურ კულტურაზე ან მის ჩამორჩენილობაზე. ამიტომ, თუ გვსურს გავიგოთ ენის ჰეშმარიტი არსი, უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი გონება წინასწარმიღე-

ბულ შეფასებათაგან და ერთნაირი მიუდგომლობით ეუცქიროთ, როგორც ინგლისურს, ისე ჰოტენტოტურ ენას[1].

ძირითად დაბრკოლებას, ავტორის აზრით, მაინც საკლასიფიკაციო კრიტერიუმის არჩევა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით დღემდის არსებული არც ერთი კლასიფიკაცია მთლიანად მისაღები არ არის.

ასე, მაგალითად, არ გამოგვადგება დაყოფა გაფორმებულ და უფორმო ენებად. ყველა ენა გამოხატავს ძირითად სინტაქსურ მიმართებებს, ამდენად ყველა ენა გაფორმებულია. ენა შეიძლება იყოს „უფორმო“ მხოლოდ მექანიკური, ზერელე გაგებით, ე. ი. არ იყენებდეს არაძირეულ ელემენტებს[2].

საეჭვოდ მიაჩნია ავტორს აგრეთვე შინაგან ფორმას მოკლებულ ენათა არსებობა. ძირითად დამოკიდებულებათა (სუბიექტი, ობიექტი, ატრიბუტი, პრედიკატი) გამოხატვა ყველა ენისათვის აუცილებელია. ამიტომ ვერ დავუპირისპირებთ ერთმანეთს შინაგანი ფორმის მქონე და შინაგან ფორმას მოკლებულ ენებს.

რაც შეეხება კლასიფიკაციას „იზოლირებულ“, „აფიქსურ“ და „სიმბოლურ“ ენებად, იგი ნაწარმოებია იმ ფორმალური პროცესების მიხედვით, რომლებიც მეტად ტიპობრივადაა განვითარებული ენაში[3]. „იზოლირებულ“ ენაში ძირეული ელემენტი და სიტყვა ერთმანეთს ემთხვევა. „აფიქსური“ ენა აფიქსებს დაურთავს ფუძეს, „სიმბოლური“ კი ფუძისეული ელემენტის ცვალებადობას ფუძის შინაგანი ცვლილებით (გაორკეცება, ხმოვნის ან თანხმოვნის შეცვლა, რაოდენობის შეცვლა, მახვილი და ინტონაცია) აწარმოებს.

განხილულ კლასიფიკაციას. ავტორის აზრით, ორი ნაკლი აქვს: ა) ენათა უმრავლესობა ერთზე მეტ ჯგუფში ხვდება. მაგალითად, სემიტური ენები პრეფიქსურიც არიან, სუფიქსურიც და სიმბოლურიც. ბ) ეს კლასიფიკაცია ზერელე არის. იგი ერთ ტიპში აერთიანებს ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ენებს. მაგალითად, როგორც კამბოჯური ენა, ისე ბანტუც პრეფიქსულია, მაგრამ პირველი პრეფიქსებს (და ინფიქსებს) სიტყვაწარმოებისათვის იყენებს. ხოლო კი სინტაქსურ ურთიერთობათა დასამყარებლად. ამ კლასიფიკაციის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ მას მხოლოდ რელაციურ ცნებათა მიმართ გამოვიყენებთო, შენიშნავს ავტორი[4].

---

[1] ეძ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 97.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 98.
[4] იქვე, გვ. 99.

შემდეგი არის კლასიფიკაცია სინთეზირების ხარისხის მიხედვით. იგი განასხვავებს „ანალიზურ", „სინთეზურ" და „პოლისინთეზურ" ენებს. ანალიზური ენა ან სრულიად არ ახდენს სიტყვაში ცნებათა კომბინირებას (ჩინური) ანდა ძლიერ მცირე რაოდენობით (ინგლისური, ფრანგული). მთავარი მნიშვნელობა წინადადებას ენიჭება. სინთეზურ ენაში (ლათინური, არაბული, ფინური) ცალკეული სიტყვები მდიდრულად არის გაფორმებული. მაგრამ ამასთან ერთად სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის დიაპაზონი მეტადაა შეზღუდული. პოლისინთეზურ ენაში სინთეზის ხარისხი უფრო დიდია. სიტყვა უკიდურესობამდე არის გართულებული. არადამოკიდებული სიტყვები აფიქსებით ან ფუძისეული ელემენტების „სიმპოლური" ცვლილებით გამოიხატება, ასევე შეიძლება გამოიხატოს უფრო აბსტრაქტული ცნებები სინტაქსურ დამოკიდებულებათა ჩათვლით. სამივე ტერმინი რაოდენობრივი და შეფარდებითი ხასიათისა არის. ისინი სასარგებლო არიან არა როგორც აბსოლუტური მაჩვენებლები, არამედ როგორც დამხმარენი ენის განვითარების განსაზღვრის დროსო, აღნიშნავს სეპირი[1]. ამ მოსაზრებას იგი იმით ასაბუთებს, რომ ხშირად განვითარების პროცესში ენა თანდათან უფრო ანალიზური ხდება (ინგლისური, ფრანგული, ტიბეტური, ჩინური) ანდა, პირიქით, ანალიზური ენა სინთეზურად იქცევა (ჩინუკი, ნავახი).

უკანასკნელ, ავტორი განიხილავს დაჯგუფებას „აგლუტინაციურ" და „ფლექსიურ" ენებად. იგი დაწვრილებით მსჯელობს საკითხზე. თუ რა უნდა მივიჩნიოთ დამახასიათებლად თითოეული მათგანისათვის.

აგლუტინაციურ ენას ახასიათებს თანწყობითი (сополагающая) ტექნიკა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფუძე და აფიქსი მაქსიმალური დამოუკიდებლობით სარგებლობენ. ფუძე უაფიქსოდაც შეიძლება იხმარებოდეს ენაში, ხოლო ესა თუ ის აფიქსი, შესაძლებელია, თავისუფლად დაერთოს ნებისმიერ ფუძეს, ისე რომ არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ განიცადოს არც ფუძემ, არც აფიქსმა. აგლუტინაციური ტიპის მაგალითად დასახელებულია ნუტკა ენა კანადაში[2]. ამ ენაზე ელემენტი inikw—კონტექსტის მიხედვით შეიძლება სახელსაც (ცეცხლი) წარმოადგენდეს და ზმნასაც (წვა). აღნიშნულ ძირს შეიძლება დაუურთოთ მთელი რიგი სუფიქსები ისე, რომ ეს

[1] ე დ. ს ე პ ი რ ი, დასახ. შრ., გვ. 100.

[2] იქვე, გვ. 104—105.

ორაზროვნება არ მოისპოს. ასე მაგალითად, მაწარმოებელი ელემენტის — ihl (შინ, სახლში) დართვით მივიღებთ inikw—ihl, რომელიც ნიშნავს, როგორც „ცეცხლი სახლში“, ისე „წვა სახლში“. ვერც მრავლობითი რიცხვის სუფიქსი— 'minih გაგვირკვევს სახელთან გვაქვს საქმე თუ ზმნასთან: inikw—ihl—'minih იქნება „ცეცხლები სახლში“ ან „ბევრჯერ წვა სახლში“. ანალოგიური ვითარება გვექნება, თუ დავურთავთ კნინობითობის 'is სუფიქსს. inikw – ihl—'minih='is არის როგორც „პატარა ცეცხლები სახლში“, ისე „ბევრჯერ და ოდნავ წვა სახლში“. თვით ნამყო დროს -it სუფიქსიც კი შეიძლება დაერთოს სახელს და ამგვარად inikw-ihl - 'minih - 'is-it ნიშნავს: „წინანდელი პატარა ცეცხლები სახლში“ ან „რამდენიმე პატარა ცეცხლი იწვოდა სახლში“. იმისათვის, რომ მივიღოთ ნამდვილად სახელი ან ნამდვილად ზმნა, საჭიროა სიტყვას დავურთოთ სახელის ან ზმნის სპეციალური სუფიქსები. ასეთია სახელისათვის i, რომელიც არტიკლს წარმოადგენს, ხოლო ზმნისათვის თხრობითი კილოს მაწარმოებელი a.

ამგვარად, მნიშვნელობის მცველი აფიქსი -ihl, მრავლობითი რიცხვის ნიშანი -minih, კნინობითობის სუფიქსი -'is და ნამყო დროის მაწარმოებელი -it ერთგვარად ერთვის როგორც სახელს, ისე ზმნას. ამ აფიქსებისათვის არა აქვს მნიშვნელობა ფუძეს. სწორედ ესაა დამახასიათებელი აგლუტინაციისათვის. სხვა ენებში შესაძლებელია ასეთი თავისუფლება არ გვქონდეს აგლუტინაციური ტიპის აფიქსთა ხმარებისას. ასე, მაგალითად, ინგლისურში -ness აბსტრაქტულ თვისებას აწარმოებს და იგი მექანიკურად ერთვის ფუძეს. მაგალითად, good (კეთილი)+ -ness → goodness (სიკეთე). მაგრამ განსხვავებას ნუტკა ენიდან მოყვანილი მაგალითისაგან ის ქმნის, რომ -ness-ის გამოყენების სფერო უფრო შეზღუდულია, ის მხოლოდ ზედსართავთან ხმარება. ჩვეულებრივ, ამ მცირე სხვაობას ყურადღება არ ექცევა[1].

აგლუტინაციურ ენათა თანწყობითს ტექნიკას ავტორი უპირისპირებს ფლექსიურ ენათა ფუზიურ, შერწყმით ტექნიკას. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია ის, რომ ფუძე და აფიქსი შეერწყმის ერთმანეთს. ეს შერწყმა ორგვარი შეიძლება იყოს: ფონეტიკური

[1] ე დ. ს ე პ ი რ ი, დასახ. შრ., გვ. 101, 104.

და ფსიქოლოგიური. პირველ შემთხვევაში გვექნება რეგულარული ფუზია, მეორეში —ირეგულარული.

საილუსტრაციო მაგალითები ავტორს ინგლისური ენიდან მოჰყავს. ინგლისურში არის განყენებული თვისების მეორე მაწარმოებელი, რომელიც გამოყენების ტექნიკით არსებითად განსხვავდება -ness-ისაგან. ამ მაწარმოებელს ორი ფონეტიკური სახესხვაობა აქვს -t და -th. თითოეული მათგანის ხმარება დამოკიდებულია იმ ფუძეზე, რომელსაც ის დაერთვის. მაგალითად, heigh-t (სიძაღლე), მაგრამ dep-th (სიღრმე). ამასთან აფიქსის დართვისას თვით ფუძეც განიცდის ცვალებადობას. შდრ. high (მაღალი), მაგრამ heigh-t, აგრეთვე deep (ღრმა), მაგრამ dep-th. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ფუძისა და აფიქსის შეკავშირების ხარისხი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე goodness-ის შემთხვევაში იყო. თუმცა ფუძისეული ელემენტი და აფიქსი სტრუქტურულად აქაც გამოიყოფა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ისევე ადვილად დავაცილოთ ახინი ერთმანეთს, როგორც good და -ness [1].

სანამ ირეგულარულ ფუზიას განვიხილავდეთ, მანამ უნდა შევეხოთ სიმბოლურ პროცესებს ენაში. ავტორს სიმბოლიზაციაც ფლექსიურ ენათა დამახასიათებელ მოვლენად მიაჩნია და იგი მას სიმბოლურ ფუზიას უწოდებს. სიმბოლიზაციაში იგულისხმება არა მხოლოდ ფუძისეული ხმოვნის ცვლა (ე. წ. ფუძის ფლექსია), არამედ ფუძისეული თანხმოვნის ცვლაც, როდესაც მას გრამატიკული ფუნქცია აქვს, აგრეთვე, გაორმაგება, რაოდენობრივი ცვალებადობა, მახვილი და ინტონაცია [2].

ფუძისეული ხმოვნისა და თანხმოვნის ცვლის, აგრეთვე ფუძის გაორმაგების მაგალითი გვაქვს ბერძნულში, სადაც pepompha (მე გავგზავნე) მიღებულია ფუძისეული pe-ს გაორმაგებით, ამასთანავე e შეცვლილია o-თი, ხოლო ბოლო ph მომდინარეობს p-საგან, — შდრ. pempo (მე ვგზავნი) [3].

ირეგულარული ფუზიის დროს ფუძისა და აფიქსის შერწყმას ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. ირეგულარული ფუზია შესაძლებელია რეგულარული ფუზიის ან სიმბოლიზაციის დროსაც გვქონ-

[1] ედ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 101—102.
[2] იქვე, გვ. 98.
[3] იქვე, გვ. 102.

დეს. რომ გასაგები იყოს ის, რასაც ავტორი ამ შემთხვევაში ვარაუდობს, მიემართოთ მისსავე მაგალითს:

ინგლისურ ენაში მრავლობითი რიცხვის რამდენიმე მოდელი არსებობს. სახელს შეიძლება დაერთოს სუფიქსები -s (მაგალითად, book წიგნი— books წიგნები) ან -en (მაგ., ox ხარი, oxen ხარები), შესაძლებელია ფუძისეული ხმოვნის ცვალებადობამ გამოხატოს მრავლობითობა (მაგ., goose ბატი— geese ბატები) და, ბოლოს, ზოგი სიტყვის მხოლოობითი და მრავლობითი არც განსხვავდება გარეგნულად ერთმანეთისაგან (deer ირემი— deer ირმები). ეს გარემოება ართულებს მრავლობითი რიცხვის ჩვეულებრივს, ფორმალურ გამოხატვას book და -s ელემენტები შეერწყმის ერთმანეთს books სიტყვაში გაცილებით უფრო მჭიდროდ, ვიდრე ეს იქნებოდა იმ შემთხვევაში, მრავლობითობას რომ მხოლოდ ერთი აფიქსი გამოხატავდეს. -s-სა და -en-ს არა აქვთ გარკვეული, სრულიად ავტონომიური მნიშვნელობა. თითოეული მათგანი ცალმოგვცემს სიმრავლის იდეას მხოლოდ გარკვეულ ფუძეზე დართვით. ox-s ან book-en არ იქნება მრავლობითი რიცხვი. ამიტომ კავშირი book და -s, ox და -en ელემენტებს შორის ფსიქოლოგიურად არ არის ნათელი, ბურუსითაა მოცული. ნაწილი იმ ძალისა, რომელიც -s და -en ელემენტებშია მოქცეული, ნითვისებულია თვით book და ox ფუძეების მიერ.

ამგვარადვე. მიუხედავად ფუნქციური პარალელიზმისა depth-სა და goodness-ს შორის, კონცეფტური მნიშვნელობა th სუფიქსისა depth სიტყვაში გაცილებით მცირეა, ვიდრე -ness სუფიქსისა goodness-ში. აბსტრაქტულობის მაწარმოებელი -ness მექანიკურად ერთვის ფუძეს (good), th კი ასე დამოუკიდებლად ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. განყენებული ცნების წარმოებაში თვით ფუძეც იღებს მონაწილეობას (dep←deep). ამავე დროს სხვა ფუძესთან th უკვე აღარ გამოგვადგება (შდრ. heigh-t).

რამდენადაც გაურკვეველია კავშირი ელემენტებს შორის, რამდენადაც ნაკლებ დამოუკიდებლად ფლობს აფიქსი თავის მნიშვნელობას, იმდენად მკვეთრად გამოვლინდება მთელი სიტყვის ერთიანობა. ჩვენი გონება დასაყრდენ წერტილს ეძებსო, აღნიშნავს სეპირი,—და თუ მას არ ძალუძს დაეყრდნოს ცალკეულ მაწარმოებელ ელემენტებს, იგი მიისწრაფვის აღიქვას მთელი სიტყვა ერთიანად. მთელი სიტყვის ერთიანად აღქმა კი იმას ნიშნავს, რომ მისი

შემადგენელი ნაწილები—ფუძე და აფიქსი—ფსიქოლოგიურად შერწყმული არიან ერთმანეთთან[1].

ამგვარად, აფიქსთა ხმარების ტექნიკა ორგვარი შეიძლება იყოს: თანწყობითი და ფუზიური. პირველი აგლუტინაციურ ენებს ახასიათებს, მეორე—ფლექსიურს. მაგრამ სეპირი ჯაზგასმით აღნიშნავს, რომ ფუზიური ტექნიკის არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ენა ფლექსიურად მივიჩნიოთ. ფლექსიურ ენას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები და იგი სწორედ ამ აფიქსების მიმართ უნდა იყენებდეს ფუზიას. ინგლისური ენა სავსე როდ იყოს **depth**-ის ტიპის შერწყმის შემთხვევებით, მაგრამ ამასთან მასში არ იყოს სინტაქსურ ურთიერთობათა გამომხატველი ცნებები, ე. ი. სახელთა მრავლობითი რიცხვი ზმნასთან შეთანხმების გარეშე იხმარებოდეს, პირის დაბოლოებანი დროისაგან დამოუკიდებლად, ნაცვალსახელები კი ბრუნვისაგან დამოუკიდებლად, ჩვენ გაგვიჭირდებოდა დაგვეხასიათებინა იგი, როგორც ფლექსიური ენაო, დასძენს სეპირი[2].

სეპირის აზრით, ტერმინ „აგლუტინაციურს" უპირისპირდება „ფუზიური" და „სიმბოლური", რამდენადაც თითოეული მათგანი გამოხატავს აფიქსაციის სხვადასხვაგვარ ტექნიკას. „ფლექსიური" კი სხვა სიბრტყეში ეკუთვნა. მას ორი ნიშანი ახასიათებს: აფიქსაციის გარკვეული ტექნიკა (ფუზიური და სიმბოლური) და ამასთანავე გარკვეული მნიშვნელობის (დამოკიდებულების აღმნიშვნელ) აფიქსთა გამოყენება. ეს ორმაგი დახასიათება გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის: შესაძლებელია, ზოგი ენა ფუზიას და სიმბოლიზაციას იყენებდეს მნიშვნელობის მცველი აფიქსების მიმართ და სრულიად არ ხმარობდეს დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს. რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ასეთი ენა? თვით აგლუტინაციურ ენებშიაც ხომ შეიძლება იყოს განსხვავება იმის მიხედვით, გამოხატავენ ისინი სინტაქსურ ურთიერთობებს სიტყვაში თუ არა?[3]

რაკი არსებობს დამთხვევა აფიქსთა მნიშვნელობასა და აფიქსაციის ტექნიკას შორის, საჭიროა ფლექსიის განსაზღვრისას ერთ-ერთ ნიშანს მიენიჭოს უპირატესობა. სეპირი ასეც იქცევა, იგი აფიქსთა მნიშვნელობას ემყარება და ამ თვალსაზრისით აწარმოებს ენათა კლასიფიკაციას.

---

[1] ედ. ს ე პ ი რ ი, დასახ. შრ., გვ. 103.

[2] იქვე, გვ. 102.

[3] იქვე, გვ. 105—106.

სანამ თვითონ ამ კლასიფიკაციას განვიხილავდეთ, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც ამ კლასიფიკაციაშია წარმოდგენილი.

სეპირის აზრით, ფორმა ენაში ორი თვალსაზრისით შეიძლება იქნეს განხილული: ერთი,—რა საშუალებებს, რა ხერხებს მიმართავს ენა ფორმის გამოსახატავად, როგორია ენის გრამატიკული პროცესები. და მეორე,—რა ცნებები გამოიხატება ფორმალური ანუ გრამატიკული ელემენტების საშუალებით, როგორია ენის ფორმალური მოდელების მნიშვნელობა[1].

ფორმა ენაში შეიძლება გამოხატული იყოს აფიქსაციის, ფუძისეული ხმოვნის ან თანხმოვნის ცვლის, სიტყვათა ადგილმდებარეობის, გაორმაგების, მახვილისა და ინტონაციის საშუალებით[2].

გრამატიკულ ცნებათა ანალიზი ამგვარად წარმოებს[3]: ყოველი ენა უნდა გამოხატავდეს კონკრეტულ იდეებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ ენაში აუცილებელია საგნებისა და მოვლენების აღნიშვნა. კონკრეტული იდეები ძირეული ელემენტების საშუალებით გამოიხატება, მაგრამ ვერც ერთი ენა ვერ მოახერხებდა იმას, რომ ყოველი კონკრეტული იდეა ცალკე ძირით აღენიშნა. ამ დაბრკოლების გადასალახავად გამოყენებულია გრამატიკული ელემენტები, რომლებიც ძირებისაგან ახალ სიტყვებს აწარმოებენ. ასეთ გრამატიკულ ელემენტებს სეპირი დერივაციულს უწოდებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა სიტყვის მნიშვნელობის მცვლელი საშუალებანი (აფიქსები, ფუძის ფლექსია).

მაგრამ ეს არ კმარა. იმისათვის, რომ ენა გაგებინების საშუალებად გამოდგეს, საჭიროა მეტყველების დროს მითითებულ იქნეს საგნებს შორის არსებულ მიმართებებზე. ამ მიზანს ემსახურება რელაციური ცნებები. რელაციურ ცნებებში ავტორი გულისხმობს დამოკიდებულების აღმნიშვნელ საშუალებებს.

ყველა რელაციური ცნება, რომლებიც ამა თუ იმ ენაში იხმარება, არ არის ერთგვარად საჭირო. ასე, მაგალითად, არავითარი აუცილებლობა არ არის სინტაქსური ურთიერთობით იყოს გამოხატული რიცხვი ან სქესი (შეთანხმება რიცხვში და სქესში). მართლაც, არსებობს მთელი რიგი ენები, რომლებშიაც ამ კატეგორიების აღსანიშნავად არ იხმარება დამოკიდებულების აღმნიშვნელი საშუალებანი. მეორე მხრივ, ყველა ენისათვის სავალდებულოა სუბიექ-

---

[1] ედ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 45.

[2] იქვე, თ. IV.

[3] იქვე, თ. V.

ტის, ობიექტის, პრედიკატის აღნიშვნა. ამგვარად, ყველა ენაში გამოიყოფა აუცილებელი და არააუცილებელი რელაციური ცნებები.

არააუცილებელი რელაციური ცნებები დერივაციულ ცნებებს უახლოვდებიან, რამდენადაც ისინი კონკრეტულ ცნებებს განსაზღვრავენ, მათ კვალიფიკაციას ახდენენ და ზოგ ენაში სწორედ დერივაციული ცნებებითაც გამოიხატებიან. მაგრამ რამდენადაც ეს ცნებები სინტაქსურ ურთიერთობებსაც ამყარებენ (შეთანხმებას ან მართვას იწვევენ), ამდენად არ შეიძლება გავუთანაბროთ ისინი დერივაციულ ცნებებს.

არააუცილებელ რელაციურ ცნებებს ავტორი კონკრეტულ-რელაციურ ცნებებს უწოდებს, განსხვავებით აუცილებელ რელაციურ ცნებათაგან, რომლებსაც აბსტრაქტულ-რელაციური ეწოდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სეპირისეული კონკრეტულ-რელაციური ცნებები გარდამავალი ტიპის აფიქსებს ან მათი მაგივრობის გამწევ საშუალებებს წარმოადგენს.

სეპირის მიხედვით, ენაში გამოხატული ცნებები ოთხ ჯგუფს შეადგენს:

I. ძირითადი (კონკრეტული) ცნებები, რომლებიც ჩვეულებრივად დამოუკიდებელი სიტყვებით ან ძირეული ელემენტებით გამოიხატებიან და არ გადმოგვცემენ არავითარ მიმართებებს.

II. დერივაციული ცნებები (ნაკლებ კონკრეტული არიან, ვიდრე I და უფრო კონკრეტული, ვიდრე III ჯგუფის ცნებები). ჩვეულებრივად გამოიხატებიან ან აფიქსაციის ანდა ძირის შინაგანი ცვალებადობის საშუალებით. ისინი წარმოადგენენ ძირეული ელემენტის მნიშვნელობის ერთგვარ დანართს.

III. კონკრეტულ-რელაციური ანუ შერეულ-რელაციური ცნებები (კიდევ უფრო აბსტრაქტული არიან, მაგრამ კონკრეტულობას სავსებით მოკლებული მაინც არ არიან). გამოიხატებიან ნორმალურად აფიქსაციით ან ძირის ცვალებადობით. II ჯგუფისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათი ძალა ერთი სიტყვის ფარგლებს სცილდება, ისინი სინტაქსურ ურთიერთობებსაც ამყარებენ და ამდენად გარდამავალი არიან IV ჯგუფისაკენ. III ჯგუფი II და IV ჯგუფების ფსიქიკურ-ფორმალურ ნარევს წარმოადგენს.

IV. წმინდა რელაციური (წმინდა აბსტრაქტული) ცნებები. ნორმალურად გამოიხატებიან აფიქსების, ძირის შინაგანი ცვლილების, დამოუკიდებელი სიტყვებისა და ადგილმდებარეობის საშუალებით. ისინი ამყარებენ ურთიერთობას მსჯელობის კონკრეტულ

ელემენტებს შორის და ამით დასრულებულ სინტაქსურ ფორმას ანიჭებენ მათ[1].

შესაძლებელია, ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ჯგუფში შედიოდეს. ასე, მაგალითად, რიცხვის კატეგორია ინდოევროპულ ენებში III ჯგუფს განეკუთვნება, რადგანაც იგი ფუძის მნიშვნელობასაც განსაზღვრავს და იმავე დროს სინტაქსურ ურთიერთობასაც ამყარებს (შეთანხმება). ნუტკა ენაში კი რიცხვი დერივაციული ცნებაა, ის მხოლოდ ძირის კვალიფიკაციას აწარმოებს და არ მოქმედებს სიტყვათა ურთიერთობაზე. რომ ეს ასეა, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მრავლობითი რიცხვის სუფიქსი ნუტკა ენაში წინ უძღვის კნინობითის მაწარმოებელს, რომელიც აშკარად დერივაციულ ცნებას წარმოადგენს[2]. იგივე კატეგორია ზოგ ენაში (მაგ., ტიბეტურში) ძირეული ელემენტითაც კი შეიძლება იქნეს გამოხატული[3].

სწორედ ენაში გამოხატულ ცნებათა მოყვანილ დაჯგუფებას იყენებს ედ. სეპირი თავისი კლასიფიკაციისათვის. ავტორის აზრით, ყოველ ენაში გამოხატულია ძირეული ცნებები (I ჯგუფი) და რელაციური იდეები (IV ჯგუფი). დანარჩენი ორი ძირითადი ჯგუფიდან (დერივაციული — II ჯგუფი და შერეულ-რელაციური—III ჯგუფი) შეიძლება არც ერთი არ გვქონდეს, შეიძლება ორივე გვქონდეს ან მხოლოდ ერთი მათგანი. ამის მიხედვით მივიღებთ ახალ, მარტივ კლასიფიკაციას, რომელიც ყველა ენათა მიმართ შეიძლება გამოვიყენოთო, აღნიშნავს იგი[4]. ენები არიან:

A. რომლებიც მხოლოდ I და IV ჯგუფის ცნებებს გამოხატავენ. ეს ენები სინტაქსურ დამოკიდებულებებს წმინდა სახით გადმოგვცემენ. მათ არა აქვთ უნარი შეცვალონ ფუძისეული ელემენტების მნიშვნელობა. ესენი არიან წმინდა-რელაციური ენები უდერივაციოდ ანუ მარტივი წმინდა-რელაციური ენები.

B. გამოხატავენ I, II და IV ჯგუფის ცნებებს, ე. ი. სინტაქსურ დამოკიდებულებებს წმინდა სახით გადმოგვცემენ და აქვთ უნარი ცვალონ ძირეული ელემენტები აფიქსების ან შინაგანი ცვლილების საშუალებით. ეს არის წმინდა-რელაციური ენები დერივაციით ანუ რთული წმინდა რელაციური ენები.

---

[1] ედ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 78—79.

[2] იქვე, გვ. 81—82.

[3] იქვე, გვ. 83.

[4] იქვე, გვ. 107.

C. გამოხატავენ I და III ჯგუფის ცნებებს. აქ შემავალ ენებში სინტაქსური დამოკიდებულებანი გამოხატულია ისეთ ცნებებთან აუცილებელ კავშირში, რომლებიც კონკრეტულ მნიშვნელობას სავსებით მოკლებული არ არიან. მაგრამ მათ არ შესწევთ ძალა სახე უცვალონ ძირეულ ელემენტებს. ეს შერეულ-რელაციური ენებია უდერივაციოდ ანუ მარტივი შერეულ-რელაციური ენები.

D. გამოხატავენ I, II და III ჯგუფის ცნებებს. ასეთ ენებში სინტაქსური დამოკიდებულებები გამოხატულია შერეული სახით, როგორც ეს C ტიპშია, მაგრამ მათ შეუძლიათ მნიშვნელობა უცვალონ ძირეულ ელემენტებს აფიქსების ან შინაგანი ცვლილების საშუალებით. ეს იქნება შერეულ-რელაციური ენები დერივაციით ანუ რთული შერეულ-რელაციური ენები[1].

ამგვარად, საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია ენაში გამოხატულ ცნებათა ფუნქცია. ამდენად გასაგებია, რომ ავტორი თავის კლასიფიკაციას კონცეფტურს უწოდებს (სიტყვისაგან concept ცნება). ეს კლასიფიკაცია არ ისახავს მიზნად გარეგანი ენობრივი ტექნიკის გამოხატვასო, შენიშნავს სეპირი. კლასიფიკაცია უპასუხებს ორ კითხვას: 1. მხოლოდ ძირეული ცნებებით სარგებლობს ენა თუ თავის კონკრეტულ იდეებს აწარმოებს ისეთ ელემენტთა დართვით, რომელთა ჩამოცილება შეუძლებელია (A და C ტიპები, ერთის მხრივ, B და D, მეორე მხრივ). 2. მხოლოდ ძირითადი რელაციური ცნებებით სარგებლობს ენა თუ უმატებს მათ რაიმეს კონკრეტულს (A და B, ერთის მხრივ, C და D, მეორე მხრივ).

ამ ორი კითხვიდან მეორე უფრო მნიშვნელოვნად არის მიჩნეული და მის მიხედვით მთლიანად კლასიფიკაცია ასეთ სახეს იღებს:

I. წმინდა-რელაციური ენები { A. მარტივი; B. რთული }

II. შერეულ-რელაციური ენები { C. მარტივი; D. რთული [2] }

თავის კლასიფიკაციას სეპირი უკავშირებს ორ სხვა კლასიფიკაციას, რომელთაგან პირველი ფუზირების ხარისხის მიხედვით წარმოებს (იზოლირებული, აგლუტინაციური, ფუზიური, სიმბოლური),

---

[1] ედ. ს ე პ ი რ ი, დასახ. შრ., გვ. 107—108.

[2] იქვე, გვ. 108.

ხოლო მეორე—სინთეზირების ხარისხის მიხედვით (ანალიზური, სინთეზური, პოლისინთეზური).

A, B, C და D ტიპები იყოფა აგლუტინაციურ, ფუზიურ და სიმბოლურ ქვეტიპებად იმისდა მიხედვით, თუ აფიქსაციის რომელი მეთოდი სჭარბობს. A ტიპში დამატებით ვამჩნევთ იზოლირებულ ქვეტიპს. აქ სინტაქსური დამოკიდებულებანი წინადადებაში სიტყვა-ხა პოზიციით გამოიხატება. იზოლირებული ქვეტიპი B-შიაც გვხვდება, რადგან „აგლუტინაცია“, „ფუზია“ და „სიმბოლიკა“ აქ მხოლოდ დერივაციულ ცნებათა მიმართ გამოიყენება. ასეთ ენებს შეიძლება ვუწოდოთ „აგლუტინაციურ-იზოლირებული“, „ფუზიურ-იზოლირებული“ და „სიმბოლურ-იზოლირებული“. II, III და IV ჯგუფის ცნებები, შესაძლებელია, ერთსა და იმავე ენაში სხვადასხვა ტექნიკით იყოს გამოყენებული. შეიძლება რელაციურ ცნებათა მიმართ აგლუტინაცია იხმარებოდეს, დერივაციულის მიმართ — ფუზია ან პირიქით. ამის აღსანიშნავად ავტორს დასაშვებად მიაჩნია იხმაროს შედგენილი ტერმინები, რომელთა პირველი ნაწილი II ჯგუფის ცნებათა ხმარების ტექნიკის მაჩვენებელი იქნება, მეორე კი—III და IV ჯგუფის ცნებათა ტექნიკისა. ასე, მაგალითად, „აგლუტინაციურ-ფუზიურში“ იგულისხმება, რომ დერივაციულ ცნებებთან აგლუტინაცია გვაქვს, ხოლო რელაციურთან—ფუზია. „ფუზიურ-აგლუტინაციურ“ ენაში კი, პირუკუ, დერივაციულ ცნებებს ფუზია ახასიათებს, რელაციურს კი—აგლუტინაცია. თუ მხედველობაში მივიღებთ ცალკეული სიტყვის გართულების ხარისხს, აღწერითი ტერმინების სახით შეიძლება დაემატოს „ანალიზური“, „სინთეზური“ და „პოლისინთეზური“[1].

სეპირი მეტად მცირე მნიშვნელობას ანიჭებს დამხმარე საკლასიფიკაციო ნიშნებს. სინთეზირების ხარისხი, შესაძლებელია, სრულიად უგულებელვყოთ, აღნიშნავს იგი. სიმბოლიზაცია შეიძლება ფუზიამდე დავიყვანოთ და თვით აგლუტინაციისა და ფუზიის განსხვავებაც კი არ მივიღოთ მხედველობაშიო[2].

თავისი კლასიფიკაციის საილუსტრაციოდ სეპირს მოჰყავს სქემა[3], რომელშიაც II, III და IV გრაფები ენაში გამოხატულ ცნებათა ჯგუფებზე მიუთითებენ, ხოლო a, b, c, d ასოებით აღნიშნულია მორფოლოგიური პროცესები: a- იზოლაცია, b- აგლუტინაცია,

---

[1] ედ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 109.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 110—111.

ŧ- ფუზია, ძ- სიმბოლიზაცია[1]. ქვემოთ წარმოდგენილია სეპირის სქემა იმ სახით, როგორც იგი ავტორსა აქვს მოცემული (იხ. გვ. 314 — 315).

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს თვით ავტორი თავის კლასიფიკაციას. დასაწყისშივე სეპირი შენიშნავს, წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ შეუძლებელია დავადგინოთ ტიპთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც გაითვალისწინებს არსებული უამრავი ენისა და დიალექტის ყველა თავისებურებებსო. მისი აზრით, თვით წვრილმანებამდე დამუშავებული კლასიფიკაციის გამოყენების დროსაც კი ჩვენ უეჭველად მოგვიხდება ნაძალადევად მივაკუთვნოთ ბევრი ენა ამა თუ იმ ტიპს, უგულებელვყოთ ენათა რიგი თავისებურებანი[2]. მაგრამ ამ სიძნელის გამო ავტორს არ გამოჰყავს დასკვნა, რომ ხელი უნდა ავიღოთ საერთოდ ენათა კლასიფიკაციაზე. პირუკუ, იგი შენიშნავს, არ უნდა დავკმაყოფილდეთ იმის აღიარებით, რომ ყოველ ენას აქვს თავისი საკუთარი ისტორია და, მაშასადამე, თავისი საკუთარი სტრუქტურაცო. ავტორის აზრით, ენები, მიდიან რა განსხვავებული გზებით, იჩენენ ურთიერთთან მსგავს ფორმებში დამთხვევის ტენდენციას. მსგავსი მიმართულება მოძრაობისა შემჩნეულია დედამიწის უკიდურეს კუთხეებში. აქედან გამომდინარეობს, რომ არამონათესავე ენებში დამოუკიდებლად წარმოიშვება მსგავსი მორფოლოგიური სისტემები. ისტორიის გარეგანი მსვლელობის მიღმა მოქმედებს ძლიერი მამოძრავებელი ძალები, რომლებიც წარმართავენ ენას, ისევე როგორც სოციალური ცხოვრების სხვა პროდუქტებს, გარკვეული მოდელებისაკენ, სხვა სიტყვებით ტიპებისაკენო, ასკვნის სეპირი[3].

თავისი კონცეფტური კლასიფიკაციის ჩამოყალიბების შემდეგაც სეპირი იმეორებს იმ აზრს, რომ მის მიერ გამოყოფილი ტიპები არ ამოწურავს ენობრივი სტრუქტურის ყველა შესაძლებლობას. მაგრამ მას მიაჩნია, რომ მისი კლასიფიკაცია ენის სულის, ტექნიკისა და გართულების ხარისხის ყველაზე ფუნდამენტურ და განზოგადებულ გამოვლენას ეხება[4]. ამ მოსაზრების სასარგებლოდ, ავტორის სიტყვით, შემდეგი ფაქტი ლაპარაკობს: ენაში ყველაზე ნაკლებ ის მხარე იცვლება, რომელიც მის სტრუქტურაში ყველაზე ფუნდამენტურია. თუ ამ დებულებას სხვადასხვა კლასიფიკაციის მიმართ გამოვიყენებთ, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე სწრაფად იცვლება

[1] ედ. სპერი, დასახ. შრ., გვ. 95.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 112—113.

ძირითადი ტიპი	II	III	IV	ტექნიკა
A				
(მარტივი წმინდა-რელაციური ენები)	—	—	a	იზოლირებული
	(d)	—	a, b	იზოლირებული (სუსტად აგლუტინაციური)
	(b)	—	a, b, c	აგლუტინაციური (ოდნავ აგლუტინაციურ-ფუზიური)
B				
(რთული წმინდა-რელაციური ენები)	b(d)	—	a	აგლუტინაციურ-იზოლირებული
	b	—	a, (b)	აგლუტინაციურ-იზოლირებული
	c	—	a	ფუზიურ-იზოლირებული
	b	—	b	აგლუტინაციური
	b, d	(b)	b	აგლუტინაციური (ოდნავ სიმბოლური)
	c, d,(b)	—	a, b	ფუზიურ-აგლუტინაციური (ოდნავ სიმბოლური)
	b	—	c	აგლუტინაციურ-ფუზიური
	c	—	c	ფ უ ზ ი უ რ ი
	d, c	(d)	d, c, a	სიმბოლური
C				
(მარტივი შერეულ-რელაციური ენები)	(b)	b	—	აგლუტინაციური
	(c)	c, (d)	a	ფუზიური
D				
(რთული შერეულ-რელაციური ენები)	b, c, d	b	b	აგლუტინაციური (ოდნავ სიმბოლური)
	c, (d)	b	—	ფუზიურ-აგლუტინაციური
	c, (d)	c, (d),(b)	—	ფუზიური
	c	c, d	a	ფუზიური
	c, d	c, d	—	ფუზიური (ოდნავ სიმბოლური)
	c, b, d	c, d	(a)	ფუზიური (ძლიერ სიმბოლური)
	d, c	c, d	(a)	სიმბოლურ-ფუზიური

სინთეზირების ხარისხი (მაგალითად, სინთეზური ლათინურისა და სანსკრიტის დაშლით მივიღეთ ანალიზური ენები,—თანამედროვე ფრანგული და ბენგალიური), შემდეგ—ტექნიკა (აგლუტინაციურმა ფინურმა ბევრ შემთხვევაში მიიღო ფლექსიურობის ნიშნები). კონცეფტური ტიპი კი ჩრენს ყველაზე ხანგრძლივად გაძლების ტენდენციას. გვხვდება შემთხვევები, როდესაც ენები გადადის B-დან A ჯგუფში (მაგ., შილუკი, კლასიკური ტიბეტური) ან D-დან C ჯგუფში (მაგ., ფრანგული). მაგრამ A და B ერთის მხრივ, ხოლო

სინთეზირება	სანიმუშო ენები
ანალიზური	ჩინური; ანამური
ანალიზური	ევე (გვინეა)
ანალიზური	თანამედრ. ტიბეტური
ანალიზური	პოლინეზიური ენები
პოლისინთეზური	ჰ ა ი დ ა
ანალიზური	კამბოჯური
სინთეზური	თურქული
პოლისინთეზური	იანა (ჩრდ. კალიფორნია)
სინთეზური (ოდნავ)	კლას. ტიბეტური
სინთეზური (ოდნავ პოლისინთეზური)	ს ი უ
სინთეზური	სალინა (სამხ.-დას. კალიფორნია)
ანალიზური	შილუკ (ზემო ნილოსი)
სინთეზური	ბ ა ნ ტ უ
ანალიზური (ოდნავ სინთეზური)	ფრანგული [1]
პოლისინთეზური	ნუტკა (კუნძ. ვანკუვერი) [2]
პოლისინთეზური (ოდნავ)	ჩინუკი (მდ. კოლუმბიის ქვემო წელი)
პოლისინთეზური	ალგონკინური ენები
ანალიზური	ინგლისური
სინთეზური	ლათინური, ბერძნული, სანსკრიტი
სინთეზური	ტაკელმა (სამხ.-დას. ორეგონი)
სინთეზური	სემიტური ენები (არაბული, ძველი ებრაული)

C და D, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან მხოლოდ სირთულის ხარისხით განსხვავდებიან და ერთად ქმნიან უფრო ფართო, ფუნდამენტურ ტიპებს. ამ ძირითად ტიპებში ენათა გადანაცვლების მაგალითები კი არა გვაქვს[3].

[1] იმავე უფლებით შეიძლება D ტიპსაც მივაკუთვნოთ.

[2] ძალიან ახლოსაა რთულ წმინდა-რელაციურთან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფრჩხილები მიუთითებს იმაზე, რომ ეს პროცესი სუსტადაა განვითარებული.

[3] იქვე, გვ. 113—114.

კონცეფტური ტიპების განსაკუთრებული გამძლეობის საილუსტრაციოდ სეპირს ასეთი მაგალითები მოჰყავს: ჩინური და ტიბეტური მონათესავე ენებია. მიუხედავად ამისა ტექნიკის მიხედვით ამ ორ ენას შორის დიდი განსხვავება დასტურდება. ჩინური იზოლირებული ენის ნიმუშად ითვლება; კლასიკურ ტიბეტურში კი შენიშნულია როგორც ფუზია, ისე სიმბოლიკა. კონცეფტური ტიპების მიხედვით ამ ენებს შორის მსგავსება არ დარღვეულა, ორივე წმინდა-რელაციური ენაა. ასევე წმინდა-რელაციურია სუდანის ენები ევე და შილუკ. ეს ენებიც თავიანთი ტექნიკით დასცილებიან ერთმანეთს. ევე იზოლირებული ან ოდნავ აგლუტინაციურია, შილუკი კი—სიმბოლური. პოლინეზიის ენებსა და კამბოჯურს შორის უეჭველად არსებობს შორეული ნათესაობა. მაგრამ უკანასკნელში ფუზიის ნიშნები მეტადაა გამოხატული, ვიდრე პირველში. კონცეფტური კლასიფიკაციის მიხედვით კი ორივე რთული წმინდა-რელაციური ენების ტიპში ექცევა. ინდიური ენები. იანა და სალინა გარეგნულად არ გვანან ერთმანეთს. იანა პოლისინთეზური და ტიპიური აგლუტინაციური ენა არის. სალინა სინთეზურია და ირეგულარული ფუზიური (ფლექსიური). მიუხედავად ამისა, იანაც და სალინაც წმინდა-რელაციური ენებია. ჩინუკი და ტაკელმა ორიგონის მონათესავე ენებს წარმოადგენენ. თუმცა ისინი ძლიერ დაშორდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ ტექნიკითა და სინთეზირების ხარისხით, არამედ სხვა მხრითაც, მაინც ორივე შერეულ-რელაციურ ტიპში შედის[1].

§ 46. ედ. სეპირის ზემოგანხილულ შრომაში ფასეულია ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის დახასიათება. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი გამოთქვამს რიგ საყურადღებო მოსაზრებას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სეპირი მართებულად ასახელებს ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის გამაძნელებელ მიზეზებს (საკლასიფიკაციო თვალსაზრისის არჩევის სირთულე, ენათა მცირე რაოდენობის ცოდნა ენათმეცნიერთა მიერ, მისწრაფება მარტივი ფორმულისაკენ, მორფოლოგიურ ტიპთა მიჩნევა განვითარების აღმავალ საფეხურებად).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავტორის მკაცრი გალაშქრება მათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, თითქოს ფლექსიური ენები წარმოადგენდნენ ენათა განვითარების უმაღლეს საფეხურს. ავ-

[1] ედ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 115.

ტორი სწორად შენიშნავს, რომ ენობრივი გამოხატვის ფორმა შეიძლება მრავალგვარი იყოს, მიუხედავად ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურული დონისა. საესებით გასაზიარებელია აგრეთვე კატეგორიული მოთხოვნა, ერთგვარი მიუდგომლობით უნდა ვეცქიროთ როგორც ინგლისურს, ისე ჰოტენტოტურ ენასო. ამ მხრივ სეპირი მთელი თავით მაღლა დგას რიგ ევროპელ მკვლევარზე, რომლებიც გატაცებული იყვნენ რა თავიანთ მშობლიურ ინდოევროპულ ენათა უპირატესობების ძიებით, უგულებელყოფდნენ და ზოჯერ ამცირებდნენ კიდევაც სხვა ენათა ღირსებებს. სეპირის თვალსაზრისის დასახასიათებლად საკმარისია მოვიგონოთ, თუ როგორ მოურიდებლად დასცინის იგი ერთ ამერიკელ მწერალს, რომელსაც დანაშაულად მიაჩნია, რომ „ფლექსიური“ ქალი ცოლად გაჰყვეს „აგლუტინაციურ“ მამაკაცს[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ სეპირი ცალ-ცალკე გამოყოფს იმ საკლასიფიკაციო ნიშნებს, რომლებიც ენათა მორფოლოგიურ ტიპოლოგიას უდევს საფუძვლად. ასე, ფორმის თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება ფორმიანი და უფორმო ენები; ენაში განვითარებული ფორმალური პროცესების მიხედვით—იზოლირებული, აფიქსური, სიმბოლური ენები; სინთეზირების ხარისხის მიხედვით—ანალიზური, სინთეზური და პოლისინთეზური ენები. სხვადასხვა პრინციპის ასე გამოცალკევება სეპირთან იმიტომ არის გასახაზავი, რომ ტრადიციულ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ზემომოყვანილი თვალსაზრისები ერთმანეთშია აღრეული. აქ ერთმანეთს უპირისპირებენ „უფორმო“ (იზოლირებულ), აგლუტინაციურ, ფლექსიურსა და პოლისინთეზურ ენებს, მაშინ როდესაც „უფორმო“ ერთი ნიშნის მიხედვით არის გამოყოფილი, აგლუტინაციური და ფლექსიური—მეორე ნიშნის, ხოლო პოლისინთეზური კიდევ მესამე ნიშნის მიხედვით. ასეთი აღრევა, ცხადია, სერიოზულ გაუგებრობებს წარმოშობს ენათა ტრადიციულ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში. სეპირთან კი საკლასიფიკაციო ნიშანთა ერთმანეთისაგან გამიჯვნის წყალობით ეს თავიდანაა აცილებული.

რაც შეეხება თვით ცალკეული საკლასიფიკაციო ნიშნების ანალიზს, აქაც სეპირი ძირითადად სწორ შეფასებას იძლევა. ივი საფუძვლიანად აკრიტიკებს შეხედულებას, თითქოს არსებობდნენ „უფორმო“ ენები. გასაზიარებელია ის მოსაზრებებიც, რომ პოლისინთეზური ტიპი აგლუტინაციურს და ფლექსიურს კი არ უპირის-

[1] ედ. ს ე პ ი რ ი, დასახ. შრ., გვ 97.

პირდება, არამედ ანალიზურსა და სინთეზურს, რომ აქ საქმე ეხება არა აფიქსაციის ტექნიკას, არამედ სიტყვაში გრამატიკულ ცნებათა სინთეზის ხარისხს და რომ აგლუტინაციური ან ფლექსიური ენა ანალიზურიც შეიძლება იყოს, სინთეზურიც და პოლისინთეზურიც.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სეპირის მსჯელობა აგლუტინაციისა და ფუზიის შესახებ. სეპირი ნათლად გვიჩვენებს, რომ აფიქსაციის ტექნიკა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. სეპირამდეც ცნობილი იყო, რომ პრინციპულად ორი შესაძლებლობა არსებობს: თანწყობა და აფიქსთა შერწყმა ძირთან. პირველი აგლუტინაციურ ენებს ახასიათებს, მეორე—ფლექსიურ ენებს. მავრამ ამ საკითხის განხილვისას სეპირი იძლევა შერწყმის (მისი ტერმინით—ფუზიის) სხვადასხვა შემთხვევის დახვეწილ ანალიზს. სეპირის მიერ წარმოდგენილი დახასიათება რეგულარული (ფონეტიკური), ირეგულარული (ფსიქოლოგიური) და სიმბოლური (ფუძის ფლექსია) ფუზიისა, იძლევა შესაძლებლობას ამომწურავად იქნეს დახასიათებული ფლექსიური ენები, რამდენადაც აქ სწორედ მათი თავისებურებებია მხედველობაში მიღებული (კერძოდ, ფუძისა და აფიქსების ფონეტიკური შერწყმა, ერთი ფუნქციით რამდენიმე აფიქსის გამოყენება და ფუძისეული ბგერის ცვლა გრამატიკული დანიშნულებით). ამასთან ფუზიის სამი სახის გამოყოფა იმასაც უწყობს ხელს, რომ სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული სხვადასხვაგვარი ფლექსიური ენები, რომელთაგან ერთს შეიძლება რეგულარული ფუზია ახასიათებდეს უპირატესად, მეორეს— ირეგულარული, მესამეს კიდევ—სიმბოლური.

თვით სეპირს ფლექსია სხვაგვარად ესმის, ვიდრე ეს ჩვეულებრივად არის მიღებული. თუ აგლუტინაციას თანწყობის ტექნიკა ახასიათებს, ფლექსია მხოლოდ ერთი ნიშნით არ განისაზღვრება. მისთვის არ არის საკმარისი ფუზიური ტექნიკა, აუცილებელია მეორე ნიშანიც. სახელდობრ, ის, რომ ეს ფუზიური ტექნიკა რელაციურ ცნებათა მიმართ იყოს გამოყენებული. უფრო მეტიც. სწორედ ეს მეორე ნიშანი მიაჩნია არსებითად სეპირს. საქმე ის არის, რომ დასახელებული ორი ნიშანი ყოველთვის ერთად არ გვხვდება. ენა, რომელიც ფუზიურ ტექნიკას მიმართავს, მაგრამ დამოკიდებულების აღმნიშნელ აფიქსებს არ იყენებს, ავტორის აზრით, ფლექსიურად ვერ ჩაითვლება. მაშასადამე, ფლექსიისათვის ძირითადი ყოფილა ენაში რელაციურ ცნებათა გამოხატვა და ამდენად აგლუტინაცია და ფლექსია სეპირისათვის არ წარმოადგენს ერთი და

იმავე რიგის ცნებებს. ამიტომაა, რომ იგი აგლუტინაციას ფუზიას უპირისპირებს და არა ფლექსიას.

ფლექსიის სეპირისეული გაგება შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია. თუ კი ფლექსიის განმსაზღვრელი ორი ნიშნიდან ერთი შეიძლება ჰქონდეს ენას, მეორე კი —არა, როგორღა მოხერხდება ამ ორი ნიშნით ფლექსიის დახასიათება? მხოლოდ ფუზიური ტექნიკა არ ყოფილა საკმარისი. აუცილებელია თუ არა ის, ამის შესახებ ავტორი არაფერს გვეუბნება. მხოლოდ რელაციურ ცნებათა არსებობას რომ დავეყრდნოთ, რა უნდა ეუწოდოთ ისეთ ენებს, რომლებშიაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები იხმარება, მაგრამ აგლუტინაციური ტექნიკა არის გაბატონებული?! ან არადა სად უნდა მოვათავსოთ ენები, რომლებიც დერივაციულ ცნებებთან მიმართავენ ფუზიას? კიდევ უფრო რთული შემთხვევაც გვხვდება, როდესაც ენა მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებთან აგლუტინაციას იყენებს, დამოკიდებულების აღმნიშვნელთან კი — ფუზიას ანდა პირუკუ. თვით ავტორი მიუთითებს ასეთ ენებზე. როგორ უნდა შევაფასოთ ისინი?!

ამგვარად, თუ სეპირთან დადებითია აფიქსაციის ტექნიკის სახეობათა დაზუსტება, ეგეთე არ ითქმის ფლექსიის ცნების განმარტებაზე. ფლექსიის შინაარსი არ არის ნათელი. ფლექსიურ ენებს ავტორი არაფერს არ უპირისპირებს. ვთქვათ, რელაციური ცნებებისა და ფუზიური ტექნიკის მქონე ენა ფლექსიურია, მაგრამ სხვაგვარ ენებს რა უნდა ეუწოდოთ ან როგორი უნდა იყვნენ ეს სხვაგვარი ენები? ამ ღიად დარჩენილ საკითხებს სიმწვავე იმიტომაც ახლავს, რომ თვით სეპირი ფლექსიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, იგი იმასაც კი გვპირდება, ფლექსის ცნების საფუძველზე მოვახდენ ენათა კლასიფიკაციასო. ამ დაპირებას ავტორი შემდეგ აღარ ასრულებს. მისი კონცეფტური კლასიფიკაცია ფლექსიის ცნების მიხედვით არ არის ნაწარმოები.

ყურადღებას იქცევს ის, რომ სეპირი ერთმანეთისაგან მიჯნავს გრამატიკულ ელემენტთა (პირველ ყოვლისა ძირისა და აფიქსების) ფუნქციებს და მათი გამოყენების ტექნიკას. მისი აზრით, ფორმის საკითხი ენაში ორი თვალსაზრისით შეიძლება დაისვას. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ენაში გამოყენებული ფორმალური მეთოდები, მისი „გრამატიკული პროცესები“ ან ვაწარმოოთ ცნებათა განაწილება ძათ ფორმალურ გამოხატულებაზე მითითებით. პირველ შემთხვევაში გვექნება პასუხი კითხვაზე, როგორია ენის ფორმალური მოდელები? მეორეში,—ცნებათა როგორი ტიპები ქმნიან ამ ფორმა-

ლურ მოდელთა შინაარსს? ეს ორი თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგანო, ასკვნის სეპირი[1] და მას თვალსაჩინო ნიმუშებიც მოჰყავს იმისა, რომ ერთი და იგივე ცნებები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარი ტექნიკით შეიძლება იქნენ გამოხატულნი. მაგრამ ამ მართებულ შეხედულებას სეპირი თვითონვე ღალატობს, როდესაც თავის კონცეფტურ კლასიფიკაციას უპირისპირებს ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას.

ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაცია გრამატიკულ კატეგორიათა წარმოების ტექნიკას ემყარება, სეპირის კლასიფიკაცია კი გრამატიკულ ცნებათა შინაარსის მიხედვითაა ნაწარმოები. მაშასადამე, აქ ორ სხვადასხვა თვალსაზრისთან გვაქვს საქმე და ერთი მეორის მაგივრობას ვერ გაწევს. ამდენად არ არის მართებული სეპირის ცდა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ნაცვლად შემოგვთავაზოს ენათა კონცეფტური კლასიფიკაცია. როგორი მაღალი ღირებულებისაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი, ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის ადგილს ენათმეცნიერებაში ის მაინც ვერ დაიჭერს. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა სეპირი სამართლიანად მიუთითებს ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ნაკლოვანებებზე, იგი სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, თითქოს არ იყოს საჭირო აფიქსაციის ტექნიკის მიხედვით ენათა დაჯგუფება.

რაც შეეხება თვითონ კონცეფტურ კლასიფიკაციას, პირველ ყოვლისა უნდა გავარკვიოთ, ენათმეცნიერების რომელ სფეროს განეკუთვნება იგი? თვით ავტორი, როგორც ვნახეთ, მას მორფოლოგიურად თვლის და ამას ერთგვარი საფუძველი თითქოს კიდევაც აქვს, რამდენადაც აქ საქმე ეხება სიტყვის შემადგენელ ელემენტებს,—ძირებსა და აფიქსებს ან ამ უკანასკნელთა მაგივრობის გამწევ საშუალებებს. მიუხედავად ამისა, სეპირის კლასიფიკაცია საერთოდ არ განეკუთვნება მორფოლოგიის სფეროს. იგი გრამატიკულ ელემენტთა ფუნქციებს ითვალისწინებს, მორფოლოგიას კი საქმე აქვს სიტყვის აგებულებასთან, მის სტრუქტურასთან.

სეპირის მიერ გამოყოფილ ცნებათა შინაარსს შეისწავლის, ერთის მხრივ, სემასიოლოგია, რამდენადაც მის საგანს წარმოადგენს სიტყვის (და, მაშასადამე, ძირეულ ცნებათა) მნიშვნელობა და მნიშვნელობის მცვლელი (სეპირის მიხედვით — დერივაციული)

[1] ედ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 45.

აფიქსები[1], ხოლო, მეორე მხრივ, სინტაქსი, რამდენადაც იგი დამოკიდებულების აღმნიშვნელ (სეპირით: რელაციურ) აფიქსთა და მათ მაგივრობის გამწევ საშუალებათა ფუნქციებს სწავლობს. ამგვარად, გამოდის, რომ სეპირის კონცეფტური კლასიფიკაცია სემასიოლოგიურ-სინტაქსურ თვალსაზრისზე ყოფილა აგებული.

განსაკუთრებით წინ არის წამოწეული სინტაქსური მხარე. ცნებები გამოიყოფა არა აბსტრაქტულად, არა მათი თავისთავადი მნიშვნელობის საფუძველზე, არამედ იმ სინტაქსური როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ამა თუ იმ ენაში ასრულებენ. ერთი და იმავე შინაარსის ცნება, სეპირის მიხედვით, ერთ ენაში შეიძლება რელაციური იყოს, მეორეში კი — დერივაციული. რელაციური იქნება იგი იმ შემთხვევაში, თუ სიტყვებს შორის მიმართებას ამყარებს, მართვა-შეთანხმებაში მონაწილეობს, თუ ასეთ სინტაქსურ ძალას მოკლებულია, მაშინ კი დერივაციულად უნდა ჩაითვალოს (მოვიგონოთ სეპირის მაგალითი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლის შესახებ, რომელიც ზოგ ენაში შეთანხმებას იწვევს და, მაშასადამე, რელაციური ცნებაა, ზოგში კი ვერ იწვევს შეთანხმებას და ამიტომ დერივაციულ ცნებას წარმოადგენს).

გრამატიკულ ელემენტთა ფუნქციებს ზოგად ენათმეცნიერებაში საკმაო ყურადღება არ ექცევა, ამიტომ სეპირის მიერ გრამატიკულ ცნებათა დაჯგუფება დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. დერივაციულ და რელაციურ ცნებათა განსხვავების გათვალისწინება აუცილებელი ხდება თვით ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაშიც, რადგანაც მათი გამოყენების ტექნიკა ენაში შეიძლება ერთნაირი არ იყოს. ასე, მაგალითად, არის ენები, რომლებიც დერივაციულ ცნებებს აფიქსების საშუალებით აწარმოებენ, რელაციურს კი — არა (ჩინური); გარდა ამისა, ზოგი ენა სიტყვაწარმოებისას აფიქსაციის ერთ ხერხს იყენებს, სიტყვაცვლილებისათვის კი — მეორეს (მაგალითად, რუსულში პრეფიქსები, რომლებიც, როგორც წესი, სიტყვაწარმოებით ელემენტებს წარმოადგენენ, აგლუტინაციური არიან, სუფიქსები კი — ფლექსიური).

განსაკუთრებით საყურადღებოა შერეულ-რელაციურ ცნებათა გამოყოფა. ესაა გარდამავალი ტიპის აფიქსები (და მათი მაგივრობის გამწევი საშუალებები), რომლებიც მნიშვნელობასაც უცვლიან სიტყვას და სინტაქსურ დამოკიდებულებასაც ამყარებენ.

---

[1] მნიშვნელობის მცვლელ აფიქსთა სემასიოლოგიაში შეტანის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 234.

თვით ენათა დაჯგუფების სეპირისეული სქემა რამდენიმე შენიშვნას იწვევს:

კონცეფტური კლასიფიკაციის მნიშვნელობას საგრძნობლად ამცირებს ის, რომ აქაც. ისევე როგორც სეპირის მიერ გაკრიტიკებულ სხვა კლასიფიკაციებში, დაჯგუფება წარმოებს რაოდენობრივი პრინციპის მიხედვით, იმის საფუძველზე, თუ რომელი მოვლენა სჭარბობს. ზოგჯერ ესა თუ ის ენა ერთგვარი უფლებით შეგვიძლია მოვათავსოთ ორ ჯგუფში. ასეთია სეპირის სქემაში ფრანგული, რომელიც C ჯგუფშია, მაგრამ ავტორის სიტყვით, იმავე უფლებით D ჯგუფშიაც შეიძლებოდა შეგვეტანა, და ნუტკა ენა, რომელიც D ჯგუფის ნაცვლად შეიძლებოდა B-შიაც ყოფილიყო მოთავსებული.

ხელოვნურია ენათა კონცეფტურ კლასიფიკაციასთან ტექნიკისა და სინთეზირების ხარისხის მიხედვით დაჯგუფებათა დაკავშირება. თვით ავტორი ამტკიცებდა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სამ სხვადასხვა თვალსაზრისთან, რომლებიც ერთმანეთზე დამოკიდებული არ არიან და ერთმანეთს არ განსაზღვრავენო. მაშ, რაღა საჭირო იყო მათი შეტანა ერთ სქემაში? ეს მით უფრო გაუმართლებელი ჩანს, რომ სეპირი იქვე გვაფრთხილებს, როგორც ფუზირების, ისე სინთეზირების ხარისხი შესაძლებელია მხედველობაში არ მივიღოთო.

როგორც ვხედავთ, საბოლოოდ თვით სეპირმაც ვერ დაიცვა თავი თვალსაზრისთა აღრევისაგან, რასაც იგი სამართლიანად უსაჯვედურებდა ენათა ტრადიციულ მორფოლოგიურ კლასიფიკაციას.

თუ კონცეფტური კლასიფიკაციის სქემას ჩამოვაცილებთ ტექნიკისა და სინთეზის ხარისხის მიხედვით დაჯგუფებას, მაშინ მისი შემეცნებითი ღირებულება ძლიერ შემცირდება. დაყოფა წმინდა-რელაციურ და შერეულ-რელაციურ ენებად მსოფლიოს ენათა დახასიათებისათვის ბევრს ვერაფერს მოგვცემს. ვფიქრობთ, უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, თუ სეპირის მიერ გამოყოფილ ცნებათა 4 ჯგუფს (კონკრეტული, დერივაციული, შერეულ-რელაციური და წმინდა-რელაციური ცნებები) გამოვიყენებდით ცალკეული ენების შიგნით სიტყვათა ანალიზისათვის, როგორც ეს თვით ავტორსაც აქვს წარმოდგენილი თავისი შრომის V თავში. აფიქსებიან ენებში გამოიყოფა სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ძირეული ელემენტებისაგან შედგება; სიტყვები, რომლებიც დაიშლება: ძირეული ელემენტი +

დერივაციული ელემენტი; სიტყვები, რომლებსაც აქვთ შერეულ-რელაციური ან წმინდა-რელაციური ფორმანტები[1]...

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუმცა სეპირის კონცეფტური კლასიფიკაციის პრინციპული უარყოფა არ იქნებოდა გამართლებული, იგი არ გვაძლევს საშუალებას გავითვალისწინოთ მსოფლიოს მრავალფეროვან ენებს შორის არსებითი სხვაობანი ან მსგავსებანი, მით უფრო არაფერს გვეუბნება ეს კლასიფიკაცია ენათა განვითარების ტენდენციათა შესახებ.

თუ სეპირის კლასიფიკაციის სქემა ინტერესს მოკლებული მაინც არ არის, ეს უფრო იმის გამო, რომ მას'ში შემოტანილია ორი სხვა კლასიფიკაცია (ერთი—გრამატიკულ კატეგორიათა წარმოების ტექნიკის მიხედვით, ხოლო მეორე—სინთეზირების ხარისხის მიხედვით). მაგრამ ამ კლასიფიკაციათა გაერთიანება თვით სეპირის პრინციპთა თვალსაზრისითაც კი დაუშვებელია. ამასთან, ავტორი მეტად მცირე მნიშვნელობას ანიჭებს ამ დამატებით დაჯგუფებებს.

ეს სეპირისათვის შემთხვევითი არ უნდა იყოს. მას საერთოდ ახასიათებს ენის გარეგანი, ბგერითი მხარის უგულებელყოფა. აი, რას წერს სეპირი ამ საკითხის შესახებ:

„ის სიმსუბუქე, რომლითაც ენობრივი სიმბოლიკა შეიძლება იქნეს გადატანილი ერთი ფორმიდან მეორეზე. ტექნიკიდან ტექნი-

---

[1] აღსანიშნავია, რომ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ ფორტუნატოვის მოწაფეები დ. უშაკოვი და ვ. პორჟეზინსკი, ცდილობდნენ ანალოგიური თვალსაზრისით ეწარმოებინათ სიტყვათა დაჯგუფება. ასე, მაგალითად, უშაკოვი სიტყვათა 4 გრამატიკულ კლასს გამოყოფდა:

1. სიტყვები, რომელთაც მხოლოდ სიტყვაწარმოების ფორმები აქვთ.
2. სიტყვები, რომელთაც მხოლოდ სიტყვაცვლილების ფორმები აქვთ
   ა) უღლილებადი სიტყვები.
   ბ) ბრუნებადი სიტყვები.
   გ) სჭესის მიხედვით ცვალებადი სიტყვები.
3. სიტყვები, რომელთაც ორივე ფორმა აქვთ.
4. სიტყვები, რომელთაც არც ერთი ფორმა არა აქვთ.

ამის საფუძველზე უშაკოვი აწარმოებდა რუსული ენის სიტყვათა კლასიფიკაციას (Д. Ушаков. Краткое введение в науку о языке, 1923, VI изд. გვ. 89—90, შდრ. В. Поржезинский, Введение в языковедение, 1916, გვ. 144—147).

დ. უშაკოვის მიერ გამოყოფილი კლასებიდან პირველი სეპირის დერივაციულ ცნებებს შეესატყვისება, მეორე — რელაციურს. მაგრამ არც უშაკოვს და არც პორჟეზინსკის არ გაუმიჯნავთ ერთმანეთისაგან წმინდა-რელაციური და შერეულ-რელაციური ცნებები.

კაზე[1], თავისთავად გვიჩვენებს, რომ თვით მეტყველების ბგერები არ წარმოადგენს ენის ძირითად ფაქტს, რომ ენის არსი უფრო მდგომარეობს კლასიფიკაციაში, ფორმალურ მოდელირებაში, ცნებათა შეკავშირებაში. ამგვარად, ენა არის ერთგვარი სტრუქტურა, თავისი შინაგანი ბუნებით — აზრის ფორმა. აი, ამ აბსტრაჰირებულ ენას უფრო მეტად, ვიდრე მეტყველების ფიზიკურ ფაქტებს, განვიხილავთ ჩვენ წინამდებარე გამოკვლევაში"[2].

აქ ჩვენ გვაქვს შეხედულება, რომელიც უარყოფს ენის გარეგანი, ბგერითი მხარის მნიშვნელობას, რომელიც ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ ენის ბგერა, როგორც ფიზიკური მონაცემი, აზრის რეალობას, მის მატერიალურ გარსს წარმოადგენს და ამდენად ენა ბგერის გარეშე არ არსებობს. მოყვანილი შეხედულება სეპირის მთელ კონცეფციას განსაზღვრავს და იგი გასაგებს ხდის იმ გზას, რომელმაც სეპირი დაუახლოვა თანამედროვე სტრუქტურალიზმს[3].

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ზემომოყვანილი შეხედულება არის მიზეზი იმისა, რომ ენათა კლასიფიკაციის საკითხშიაც სეპირი ზედმეტად ამახვილებს ყურადღებას ენის შინაგან, კონცეფტურ მხარეზე და სრულიად უსაფუძვლოდ უგულებელყოფს ენის გარეგანი, მორფოლოგიური ფორმის ანუ გრამატიკულ ელემენტთა წარმოების ტექნიკის მნიშვნელობას.

---

[1] ლაპარაკია ბგერითი მეტყველების სუროგატებზე: წერილობით ენაზე, ჟესტ-მიმიკაზე, სხვადასხვაგვარ სიგნალიზაციაზე.

[2] ედ. სეპირი, დასახ. შრ., გვ. 18.

[3] სეპირის ზემომოყვანილ გამონათქვამს შდრ. მაგ., სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი მამამთავრის ლუი იელმსლევის სიტყვები: რეალურ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენს არა ბგერები ან წერილობითი ნიშნები და არა მნიშვნელობები; რეალურ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენს ბგერებით ანუ ნიშნებით და მნიშვნელობებით წარმოდგენილი მიმართებათა ელემენტები. Луи Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике. Acta linguistica, 1950—51, ტ. VI, ნაკვ. 2—3, გვ. 57. თავის ამოცანად იელმსლევი იმას თვლის, რომ შეისწავლოს ენა წმინდა ფორმის ანუ პრაქტიკული რეალიზაციისაგან დამოუკიდებელი სქემის გაგებით (იქვე, გვ. 62).

ენობრივი მოდელის სეპირისეულ გაგებას (სოსიურის ენობრივ სისტემასთან ერთად) სტრუქტურალური ენათმეცნიერების ერთ ძირითად მიღწევად თვლის ამ მიმდინარეობის მეორე წარმომადგენელი ვიგო ბრონდალი. Viggo Brøndal, Essais de linguistique générale. Copenhague, 1943, გვ. 94.

ნაწილი მეხუთე

ენობრივი წრეები (ვ. შმიდტის კლასიფიკაცია)

§ 47. ენათა თავისებური კლასიფიკაციის ჩამოყალიბება ცადა ავსტრიელმა ეთნოგრაფმა და ენათმეცნიერმა ვილჰელმ შმიდტმა[1] შრომაში „მსოფლიოს ენათა ოჯახები და ენობრივი წრეები"[2]. ამ შრომის პირველ ნაწილში განხილულია მსოფლიოს ენათა ოჯახები და მათი კვლევის ისტორია. მეორე ნაწილში ავტორი გამოყოფს ენობრივ წრეებს, რომლებიც, მისი აზრით, უფრო ფართო დაჯგუფებებს წარმოადგენენ და ენათა განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურებს გვიჩვენებენ, ვიდრე ენათა ოჯახები. ჩვენ განვიხილავთ შმიდტის შრომის მეორე ნაწილს.

შმიდტის შრომის ამ ნაწილის გასაგებად საჭიროა მოკლედ გავეცნოთ იმავე ავტორის ეთნოგრაფიულ კლასიფიკაციას, რომელიც ამოსავალია ენათა კლასიფიკაციის წარმოებისას[3].

შმიდტი მეურნეობის ხასიათისა და ოჯახის ფორმის მიხედვით გამოყოფს შემდეგ კულტურულ წრეებს:

1. უ ძ ვ ე ლ ე ს ი კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი წ რ ე ე ბ ი (Urkulturkreise). ესაა ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი კულტურა, რომლის შესწავლაც ამჟამად ხერხდება. მეურნეობა ამ კულტურულ წრეებში დაგროვებითია, ე. ი. მხოლოდ აგროვებენ მას, რასაც ბუნება იძლევა. ოჯახი — ეგზოგამიურია. შრომა ქალსა და კაცს შორის თანაბრად არის განაწილებული: ქალი მცენარეულს აგროვებს, მაკაცი — ხორცეულს (ნადირობით).

უძველეს კულტურებში გამოიყოფა არქტიკული წრე, რომელიც ჩრდილოეთშია გავრცელებული (მასში შედის ურალელ-ალთა-

[1] ვ. შმიდტი ცნობილი ჟურნალის—Anthropos-ის დამაარსებელია.

[2] Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde, Heidelberg, 1926.

[3] ეს კლასიფიკაცია მოცემულია W. Schmidt-ისა და W. Koppers-ის „Völker und Kulturen"-ში 1924 წ., ხოლო ჩვენ ვსარგებლობდით შმიდტის უფრო გვიანდელი შრომით „Rasse und Volk", 1927.

ელთა ნაწილი), აგრეთვე, შედარებით უფრო ახალი ბუმერანგის კულტურა (Bumerangkultur).

2. პირველადი კულტურული წრეები (Primärkulturkreise). ხასიათდებიან იმით, რომ ხდება ბუნების პროდუქტთა შეგროვებიდან მათ მოვლა-მოყვანაზე გადასვლა. აქ სამი წრე შედის. ესენი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდნენ და დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს სრულიად მოწყვეტილი იყვნენ. მეურნეობის ესა თუ ის სახე თითოეულ ამ სამ წრეთაგანში გეოგრაფიულმა პირობებმა განსაზღვრა.

ა. პრიმიტიული მიწათმოქმედების მატრიარქატული კულტურა (Mutterrechtliche kulturkreis des primitiven Ackerbaues). აქ ქალები მცენარეთა მოგროვებიდან მიწათმოქმედებაზე გადავიდნენ. ისინი გახდნენ მათ მიერ დამზადებული პროდუქტების პირველი კერძო მესაკუთრენი. ოჯახი მატრიარქატულია. შევნიშნავთ, რომ ამ წრეში შეჰყავს შმიდტს იაფეტიდები ზოგ ჩრდილო კავკასიელთა გამოკლებით.

ორ დანარჩენ წრეში მეურნეობა მამაკაცებმა განავითარეს. ორივე პატრიარქატული კულტურაა, მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც.

ბ. უმაღლეს-მონადირული ტოტემური კულტურა (Totemistische höhere Jägerkultur). ამ წრეში ისევ მონადირეობა გვაქვს, რაც უძველეს წრეშიაც იყო, მაგრამ სანადირო იარაღების განვითარების შედეგად იგი (მონადირეობა) უფრო მაღალ საფეხურზეა აყვანილი. ოჯახი კლანურია (Clangruppierte Familie). ამ წრისათვის დამახასიათებელია სილამაზისაკენ მისწრაფება: სხეულის მორთვა-მოკაზმვა, პლასტიკის განვითარება.

გ. მომთაბარე-მწყემსური კულტურაში (Kulturkreis der Hirtennomaden) მამაკაცები ცხოველებზე ნადირობიდან მათ მოვლა-მოშენებაზე გადავიდნენ. დამახასიათებელია პატრიარქატული დიდი ოჯახი (Großfamilie).

ამ წრის პირველი ფენა ურალურ-ალთაურია, მეორე—ინდოევროპული და ყველაზე ახალი — სემიტურ-ქამიტური.

3. მაღალი კულტურები ზემოთ ჩამოთვლილ დამოუკიდებელ პირველად კულტურათა გვიანდელი შერევით შეიქმნა.

ენობრივი წრეების დადგენის მიზნით შმიდტი იღებს სხვადა-

სხვა ენობრივ, მისი აზრით, უფრო დამახასიათებელ კატეგორიებს ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან. აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ კატეგორიის არჩევის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხს, რამდენად შესწავლილია ამ კატეგორიის რაობა მსოფლიოს ენებში.

შემდეგ ავტორი არკვევს თითოეული კატეგორიის სხვადასხვაობებს და მათ გავრცელებას სხვადასხვა ენებში. უფარდებს ამ ენობრივი ნიშნების გავრცელებას კულტურულ წრეებს და ასკვნის, თუ რომელი კულტურული წრისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი ესა თუ ის კატეგორია. ბოლოს, აჯამებს ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსში მიღებულ შედეგებს და მიდის დასკვნამდე, რომ არსებობს ენობრივ ნიშანთა ერთობლიობები, რომლებიც ქმნიან ენობრივ წრეებს და, უდარებს რა ამ ენობრივ წრეებს კულტურულს, ცდილობს ცხადყოს, რომ მათ შორის არის შინაგანი კავშირი, რომ გარკვეულ კულტურულ წრეს გარკვეული ენობრივი წრე შეესაბამება.

განხილული საკითხების თანმიმდევრობა ასეთია: I. ფონეტიკა; II. გრამატიკა (მორფოლოგია); III. სინტაქსი; IV. დასკვნითი ნაწილი. აქ შმიდტი აყალიბებს ენობრივ წრეებს და უფარდებს მათ კულტურულ წრეებს.

ჩვენც ამ თანმიმდევრობით განვიხილავთ საკითხებს.

ფონეტიკაში ორი მიმართულებით წარმოებს კვლევა: 1. ბგერათა განვითარება. 2. ბგერათა კომპლექსები სიტყვის თავში (Anlaut) და ბოლოში (Auslaut).

ხმოვნები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ნორმალური (ა, ე, ი, ო, უ-ს სხვადასხვა სახეები) და 2. ანორმალური ხმოვნები ö, ü.

თანხმოვნები იყოფა მჟღერებად და ყრუებად. ეს განსხვავება ბევრ ენაში სრულიად არ არის.

მჟღერებისა და ყრუების გამოყოფისათვის, ავტორის აზრით, ხელი უნდა შეეწყო ნაპრალოვანი (ფრიკატივი) ბგერების წარმოშობას.

ანლაუტის და აუსლაუტის კანონები, შმიდტის აზრით, სიტყვას, როგორც ფსიქოლოგიური მთლიანობის, არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მათი საშუალებით გამოიყოფა სიტყვები ერთმანეთი-

საგან. სხვადასხვა ენას სხვადასხვაგვარი ანლაუტ-აუსლაუტი აქვს, ამიტომ შმიდტს შესაძლებლად მიაჩნია გამოიყენოს ეს განსხვავება ენათა კლასიფიკაციისათვის.

ანლაუტი სამგვარი შეიძლება იყოს: 1) მარტივბგერიანი, 2) თანხმოვანი + ნარნარა ცხვირისმიერი ბგერა, 3) სხვა თანხმოვანთა შეერთებები — ორი ან მეტი თანხმოვანი.

აუსლაუტი ოთხი სახისა არის: 1) ხმოვნიანი, 2) სონორული (ნაზალი ან ლიკვიდა), 3) ერთთანხმოვნიანი, 4) რამდენიმე თანხმოვნიანი.

შეიძლება არსებობდეს ენა მხოლოდ ხმოვნიანი აუსლაუტით. უველა დანარჩენი ტიპები შერეულია და საკითხს წყვეტს ის, თუ რომელი სჭარბობს.

ანლაუტსა და აუსლაუტს შორის შესატყვისობა არსებობს. მარტივ ანლაუტიან ენებს აუსლაუტიც მარტივი აქვთ და პირუკუ.

მსოფლიოს ენათა განხილვიდან ჩანს, რომ მარტივი ანლაუტი და აუსლაუტი დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროზეა გაბატონებული, რთული (რამდენიმე თანხმოვნიანი) კი ჩრდილოეთისაზე. ავტორი ფიქრობს, რომ ეს დამოკიდებულია გეოგრაფიულ პირობებზე.

რადგან ანლაუტისა და აუსლაუტის კანონებზე დიდ გავლენას ახდენს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები, ამიტომ ძნელდება მათი ისტორიული ურთიერთობის გარკვევა და კულტურის წრეებთან შეფარდება. მაინც შმიდტი ცდილობს ამ ამოცანის გადაწყვეტას.

ავტორის განცხადებით, გრამატიკიდან ისეთი საკითხებია გაჯხილული, რომლებიც მსოფლიოს ცალკეული ენების მიმართ საკმაოდ დამუშავებულია და ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. მასალის ნაკლებობა აქ უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე ფონეტიკაში. ამიტომ კვლევის სფეროც საკმაოდ შეზღუდულია და დასკვნებიც სავარაუდოა და არა საბოლოო.

განხილულია შემდეგი საკითხები: რიცხვის წარმოება ნაცვალსახელთან, ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები, კლას-კატეგორიათა წარმოება (Genusbildung), თვლის სისტემები.

რიცხვის წარმოება, ავტორის აზრით, პირველად ნაცვალსახელებთან გაჩნდა და შემდეგ გავრცელდა სხვა სახელებზე.

მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის გარდა გვხვდება წყვილობითი და სამობითი, შეიძლება მეტიც. ეს ფორმები, ავტორის აზრით, წარმოქმნილი არიან მრავლობითის შემდგომ, მისი დაზუსტების გზით: ბევრი, სახელდობრ, ორი.

ვ. შმიდტი საგანგებოდ ეხება განსხვავებას ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმებს შორის მრავლობითი (წყვილობითი და სამობითი) რიცხვის პირველ პირში.

მისი განცხადებით, ინკლუზივ-ექსკლუზივის გავრცელება ეთხვევა წყვილობითი და სამობითი რიცხვის გავრცელებას.

კლას-კატეგორიათა მრავალფეროვანი ჯგუფები შეიძლება 4 სახემდის დავიყვანოთო, გვეუბნება ვ. შმიდტი. ეს სახეებია:

1. სულიერი და უსულო, ცოცხალი და არაცოცხალი (Vitalitäts kategorien).

2. ადამიანი და ნივთი, პირიერი და არაპირიერი (Personalkategorien).

3. მდედრობითი და მამრობითი (Sexualkategorien).

4. საგანთა გარეგანი ფორმის მიხედვით დაყოფა გვხვდება რიცხვით სახელებთან.

5. მეხუთე ჯგუფში გამოყოფილია რთული სისტემები, რომელთა მიმართ არ ჩანს, ისინი ზემოთ ჩამოთვლილ დაჯგუფებათა შენაერთს წარმოადგენენ თუ დამოუკიდებელ დაჯგუფებას.

თვლის სისტემებს ენათა დაჯგუფებაში ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ენა, რომელსაც რიცხვითი სახელები არ გააჩნია, არ არსებობს. მაგრამ არსებობს ენები უსისტემო თვლით. ამ ენებში არის მეტად მცირე რაოდენობით რიცხვითი სახელები (ორამდე, როდესაც „ორი“ „ბევრის“ გამომხატველად იქცევა, სამამდე, ოთხამდე და შეიძლება მეტიც), რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან შექმნილი.

თვლის სისტემასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც რომელიმე რიცხვია აღებული თვლის საფუძვლად და მისგან იწარმოება სხვა რიცხვითი სახელები. თვლის სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ რა რიცხვია თვლის საფუძველი.

ყველაზე მარტივი წყვილობითი სისტემაა, რომლის მიხედვითაც: სამი = ორი + ერთი; ოთხი = ორი + ორი; ხუთი = ორი + ორი + ერთი და ა. შ. ხშირად წყვილობითი სისტემა შერეულია სხვა, უფრო გვიანდელ და მაღალ სისტემებთან. ოთხობითი სისტემა, რომელიც წყვილობითის შინაგან განვითარებას წარმოადგენს, იშვიათად გვხვდება (აქ 5 = 4 + 1, 6 = 4 + 2 და ა. შ.). კიდევ უფრო იშვიათია ექვსობითი სისტემა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის სისტემებია, რომლებიც ხელებისა და ფეხების თითთა დათვლის შედეგადაა წარმოშობილი. შეიძლება

იყოს: ხუთობითი (ერთი ხელი), ათობითი (ორი ხელი) და ოცობითი (ხელები და ფეხები) სისტემები. არსებობს ორმოცობითი სისტემაც (ჩრდილოეთ ამერიკაში).

წმინდა ხუთობითი სისტემა არ გვხვდება. ჩვეულებრივ, ის შერეულია ათობით ან ოცობით სისტემებთან. პირველ შემთხვევაში მივიღებთ ხუთ-ათობით სისტემას, რომელსაც საფუძვლად ათი უდევს და უდიდესი რიცხვი $10 \times 10 = 100$ არის. მაგრამ თითოეული ათეული ხუთეულებისაგან შედგება. რიცხვები 5-დან 10-მდე მიიღება ხუთზე მიმატებით ან ათზე გამოკლებით, ისინი შეიძლება წყვილობითი სისტემის მიხედვითაც იწარმოებოდნენ. თვით ათიც ნაწარმოებია — 2×5 ან ორი ხელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოველ ენაში რიცხვები 5-დან 10-მდე შედგენილია, მაგრამ ზოგ ენაში ეს მათი ადრინდელი შედგენილობა აღარ არის ნათელი და მეტყველის მიერ პრაქტიკულად აღარ შეიგრძნობა. ამ შემთხვევაში გვაქვს წმინდა ათობითი სისტემა.

ხუთობითის ოცობითთან შეერთებით ვიღებთ ხუთ-ოცობით სისტემას. შეიძლება, ათობითი სისტემა შეუერთდეს ოცობითს. გვექნება ათ-ოცობითი სისტემა.

წმინდა ათობითი სისტემა ხშირად ხუთ-ათობითის გაცვეთის შედეგადაა მიღებული (5-დან 10-მდე რიცხვით სახელთა რთული წარმოშობა აღარ შეიგრძნობა). მაინც, ავტორი ფიქრობს, რომ წარმოშობით წმინდა ათობითი სისტემაც არსებობს.

სინტაქსში საკვანძო საკითხად აღებულია უაუქსო ნათესაობითის ადგილი მის მიერ განსაზღვრული სახელობითი ბრუნვის მიმართ. ნათესაობითის ადგილთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის ნაცვალსახელიდან ნაწარმოები კუთვნილებითი ნაცვალსახელის (Possessiv) წარმოება და ადგილი. მასვე უკავშირებს ავტორი ნაცვალსახელური სუბიექტის ურთიერთობას ზმნასთან, აკუზატივის ადგილს ზმნის მიმართ და ზედსართავისას არსებითი სახელის მიმართ. ამგვარად, გენეტივის ადგილის კვლევამ, მისი აზრით, ნათელი უნდა მოჰფინოს სახელური და ზმნური სინტაქსის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ამ ნაწილის აღნაგობა ასეთია: ა) მსოფლიოს ენათა განხილვა გენეტივის, პოსესივისა და ნაცვალსახელური სუბიექტის ადგილის მიხედვით; ბ) გენეტივის ადგილის გავრცელების ცენტრებისა და მათი გამოსხივების ზონების (Ausstrahlungszonen) დადგენა; გ) გენეტივის ადგილის დაკავშირება კულტურულ წრეებთან; დ) გენეტივის ენობრივი გავლენანი; ე) დასკვნითი ნაწილი.

გენეტივისა და პოსესივის ადგილმდებარეობის საკითხი ერთდროულად არის განხილული. პოსესივი პირის ნაცვალსახელს წარმოადგენს ჩვეულებრივად (იშვიათად ის ზედსართავია. მაგ., ინდოევროპულ ენებში). ამიტომ გასაგებია მისი თანხვედრა სახელურ გენეტივთან. როდესაც გენეტივი და პოსესივი ერთგვარ მდგომარეობას გვიჩვენებენ, გვაქვს ან გენეტივის სრული წინდასმა (volle Genitivvoranstelluug) ან სრული უკანდასმა (volle Nachstellung). მაგრამ შეიძლება გენეტივისა და პოსესივის ადგილი განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამას ავტორი გენეტივის მსხვრევად ადგილს (gebrochene Genitivstellung) უწოდებს. უკანასკნელი მდგომარეობა მეორეულია და გენეტივის ადგილის შეცვლით არის გამოწვეული. შეცვლა კი უცხო ენის გავლენას მიეწერება.

განიხილავს რა გენეტივის ურთიერთობას ნაცვალსახელურ სუბიექტთან, აკუზატივთან, ზედსართავთან, ავტორი შემდეგი სახით აყალიბებს მიღებულ შედეგებს[1]:

1. უძველესი ადგილი გენეტივისა არის მისი მოთავსება არსებითი სახელის წინ. ეს ფსიქოლოგიური მოთხოვნილებისაგან გამომდინარეობს. გენეტივის წინდასმა შეესატყვისება გულუბრყვილო, ბუნებრივ, სპონტანურ აზროვნებას.

გენეტივი უკვე ნაცნობ ცნებას (genus-ს) განმასხვავებელ თვისებას უმატებს (შდრ. Schlüssel და Hausschlüssel). ის differentia specifica-ს წარმოადგენს და, როგორც ახალი, ჯერ უცნობი, ყურადღების მიქცევის მიზნით, წინაც დაისმის[2].

2. პოსესივი უმეტესად პირის ნაცვალსახელის გენეტივს წარმოადგენს, ამიტომ ისიც ყველა ენაში პირველად წინ დაისმოდა.

3. ასევე ზმნის წინ დაისმოდა ნაცვალსახელური სუბიექტიც. რომ ნაცვალსახელური სუბიექტის ადგილი დამოკიდებულია გენეტივზე, ეს იმით ირკვევა, რომ გენეტივის გადაადგილებას ნაცვალსახელური სუბიექტის გადაადგილებაც მოჰყვება[3].

---

[1] ვ. შ მ ი დ ტ ი, მსოფლიოს ენათა ოჯახები და ენობრივი წრეები, გვ. 488 და შემდ.

[2] „ლოგიკური" აზროვნების დროს კი პირუკუ, რაკი differentia specifica უფრო გვიანდელია,—ნაცნობ ცნებას ერთვის, იგი მის შემდეგაც დაისმისო, წერს ვ. შმიდტი.

[3] არის შემთხვევები, როდესაც გადაადგილება მხოლოდ ნაცვალსახელურ სუბიექტს განუცდია (მაგ. ინდოევროპულ ენებში. ეს იაფეტურ ენათა სუსტი, შორეული გავლენაო, ამბობს ავტორი) ანდა ნაცვალსახელურ სუბიექტსა და პოსესივს (ურალურ-ალთაურში).

4. გენეტივისა და ნაცვალსახელური სუბიექტის წინდასმა იმას კი არ ნიშნავს, რომ ზმნური გამოთქმა (Verbalausdruck) უძველესად პოსესიურ გამოთქმას (Possessivausdruck) წარმოადგენდა, არამედ იმას, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დიფერენციაცია მომხდარი და გენეტივი და პოსესივი ისეთსავე მიმართებაში იყვნენ არსებითი სახელის სახელობით ბრუნვასთან, როგორშიაც ნაცვალსახელური სუბიექტი იყო თავის ზმნასთან. ამის მიხედვით არ უნდა ვიფიქროთ, რომ აზროვნება მაშინ ვერ განასხვავებდა ცნებითს გამოთქმას წინადადებისაგან (Begriffs- und Satzausdruck).

მოქმედებითი გვარისა და გარდამავალი ზმნები ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ნაცვალსახელის დასმას ზმნის წინ თავისი საკუთარი, გენეტივისაგან დამოუკიდებელი საფუძველი აქვს, რადგანაც ზოგ ენაში, მიუხედავად გენეტივის გადანაცვლებისა, ნაცვალსახელური სუბიექტი წინდასმას ინარჩუნებს. ეს საფუძველი უნდა მდგომარეობდეს სუბიექტის მისწრაფებაში, მოთავსდეს წინადადებისა და ზმნის დასაწყისში. თუ ეს ასეა, მაშინ ძველისძველადაც გენეტივისა და ნაცვალსახელის წინდასმის მიზეზი სხვადასხვაგვარი იქნებოდა: გენეტივი დაისმოდა წინ, როგორც ფსიქოლოგიურად ახლის გამომხატველი, ხოლო სუბიექტური ნაცვალსახელი, როგორც ფსიქოლოგიურად უმნიშვნელოვანესის,—მოქმედების ჩამდენის, მისი მიზეზის აღმნიშვნელი.

5. გენეტივის წინდასმა გვხვდება უძველესი კულტურის ყველა ენაში, ბუმერანგის კულტურის გამოკლებით, მონადირეთა ტოტემურ კულტურაში და მომთაბარე-მწყემსთა კულტურაში.

6. გენეტივის გადაადგილება საზღვრულის შემდგომ არ არის შინაგანი განვითარებით გამოწვეული; ბიძგი გარედან იქნა მიცემული. ეს გადაადგილება დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან, რომლებიც მატრიარქატში შეიქმნა: მიწის დამუშავებისა და კერძო საკუთრების წარმოშობის საფუძველზე დაიბადა მოთხოვნილება ახალი მიწების დაპყრობისა, რასაც გადასახლებანი მოჰყვა (გადასახლებები ზოგჯერ რელიგიათა გავრცელების მიზნითაც ხდებოდა). გადასახლებებმა ენათა შერევა გამოიწვია და სწორედ შერევათა შედეგად მოხდა გენეტივის გადაადგილებაც.

გენეტივის უკანდასმა მატრიარქატის გარდა ბუმერანგის კულტურასაც ახასიათებს. ეს იმიტომ, რომ სწორედ ბუმერანგის კულტურაში იწყება დიდი გადასახლებანი. თვით ეს კულტურული წრე უძველესი კულტურის განვითარების მაღალ საფეხურს კი არ წარმოადგენს, არამედ უძველესი კულტურის მატრიარქატულთან შე-

რების შედეგია და ამიტომ ორივე წრის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს.

7. გენეტივის გადანაცვლებამ შემდეგ შერევის გზით სხვა ენებზედაც მოახდინა გავლენა. ამან შექმნა შესაძლებლობა სხვადასხვა ადგილას მოთავსებულიყო, ერთის მხრივ, გენეტივი და პოსესივი, ხოლო, მეორე მხრივ, ნაცვალსახელური სუბიექტი. ამით გარეგნულადაც გარჩეულ იქნა ცნებითი გამოთქმა (სახელი) და წინადადება (ზმნა).

რომ ასეთი დიფერენციაცია შინაგანი მოთხოვნილებისაგან გამომდინარეობდა და სასარგებლო იყო აზროვნების განვითარებისათვის, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი გატარებულია ასე თუ ისე მაღალი კულტურის ყველა ხალხში მცირე გამონაკლისით.

8. აკუზატივის ადგილიც შინაგანად დაკავშირებულია გენეტივთან. ძველად უაფიქსო აკუზატივიც ზმნის წინ იყო. ხოლო გენეტივის გადაადგილებას აკუზატივის გადაადგილებაც მოჰყვება. აქედან ის კი არ უნდა დავასკვნათ, რომ აკუზატივი არის გენეტივი ზმნასთან (Genetivus objectivus), არამედ ის, რომ მაშინ გენეტივიცა და აკუზატივიც გაუდიფერენცირებელ, ერთნაირ ურთიერთობაში იყვნენ არსებით სახელთან და ზმნასთან.

9. ზედსართავი დასაწყისში არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული გენეტივთან. ძველად გენეტივის წინდასმას ზედსართავის უკანდასმა შეესატყვისებოდა. შემდეგ გენეტივი ასოციაციურ გავლენას ახდენს ზედსართავზე, რის გამოც წინდასმულ გენეტივიან ენებში ზედსართავი მთლიანად ან ნაწილობრივ წინ გადაისმის. უკანდასმულ გენეტივიან ენებში კი მისი პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდება.

10. გენეტივის ადგილის შეცვლა მხოლოდ გარეგანი მიზეზებით შეიძლება იქნეს გამოწვეული. სადაც ენათა შერევა არა გვაქვს, გენეტივის წინდასმა შინაგანი განვითარების გზით არასოდეს არ მოგვცემს უკანდასმას და, ასევე, როდესაც გარეგანი გავლენით უკანდასმას მივიღებთ, ის თავისთავად წინდასმით არ შეიცვლება.

ერთადერთი გამონაკლისი არის თითქოს რომანული ენები, რომლებმაც გენეტივის წინდასმა შეცვალეს უკანდასმით. მაგრამ საბოლოოდ აქაც გარეგან გავლენასთან გვაქვს საქმე. დაკარგულ ბრუნვათა სუფიქსების საკომპენსაციოდ რომანულმა ენებმა წინდებულები გამოიყენეს. წინდებულთა ხმარება ენათა შერევითაა გამოწვეული.

§48. იმის საფუძველზე, რაც ზემოთ იქნა დადგენილი ცალკეულ ენობრივი ნიშნების მიმართ, ვ. შმიდტი აყალიბებს ენობრივ წრეებს. შემდეგ, ადარებს რა ამ წრეებს კულტურულ წრეებს, აკეთებს დასკვნას, რომ მათ შორის აშკარა შესატყვისობა არსებობს.

I. უძველესი ენობრივი წრეები. აქ შემავალი ენები, შმიდტის სიტყვით, არა მხოლოდ თავიანთი სამეურნეო პირობების (დაგროვების საფეხური) და გეოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით (განცალკევებული კუნძულები, მთიანი ადგილები, უდაბნოები, დედამიწის მეტად დაშორებული კუთხეები), არამედ თავიანთი ენობრივი ელემენტების მარტივი, გაუდიფერენცირებელი ხასიათითაც წარმოგვიდგენენ ენათა უძველეს საფეხურებს, რომელთა შესწავლაც ამჟამად ხერხდება. უძველეს წრეებს შემდეგი ნიშნები ახასიათებს.

ფონეტიკიდან: 1. მხოლოდ ნორმალური ხმოვნები: ა, ი, ე, ო, უ.

2. მჟღერ და ყრუ თანხმოვანთა დიფერენციაცია ჯერ არ არის მომხდარი. არ არის აგრეთვე გამოყოფილი ნაპრალოვანი თანხმოვნები, განსაკუთრებით ს[1].

3. ანლაუტისა და აუსლაუტის მიხედვით სამი ჯგუფი გვაქვს: ა) მარტივ თანხმოვნიანი, ბ) ადვილ ორ თანხმოვნიანი და გ) ძნელ რამდენიმე თანხმოვნიანი, განსაკუთრებით ს-თი (არქტიკულ წრეში). არის აგრეთვე გარდამავალი საფეხურები პირველიდან მეორე და მეორედან მესამე ჯგუფისაკენ, როდესაც ანლაუტი ერთი ჯგუფის კომპლექსებს გვიჩვენებს, აუსლაუტი—მეორისას.

გრამატიკიდან: 1. რიცხვის წარმოების მრავალფეროვნება: მხოლობითი, წყვილობითი, სამობითი, მრავლობითი.

2. რიცხვით სახელთა წარმოების წყვილობითი სისტემა.

3. აქ იქმნება პირველად ლოკალური ეგზოგამიური ოჯახის საფუძველზე ინკლუზივ-ექსკლუზივი. ექსკლ. ჩვენ=მე და ჩემი ტომის წევრები. ინკლ. ჩვენ=მე და ჩემი ტომის უცხოელები.

4. არ არსებობს სახელთა არავითარი კლასიფიკაცია.

სინტაქსიდან: 1. გენეტივის სრული წინდასმა. აგრეთვე პოსესივის, ნაცვალსახელური სუბიექტისა და აკუზატივის წინდასმა. ზედსართავი კი უმეტეს შემთხვევაში მოსდევს არსებით სახელს.

2. არ არის მომხდარი დიფერენციაცია პოსესიეიან სახელურ გამოხატულებასა (Nominalausdruck) და ნაცვალსახელურ სუბიექ-

[1] ს ბგერა აქვს არქტიკულ წრეს.

ტიან ზმნურ გამოხატულებას (Verbalausdruck) შორის. ასეთივე მდგომარეობაა აკუზატივისა და გენეტივის მიმართ.

უძველესი ენობრივი წრეები იყოფა სამ ჯგუფად, რომლებსაც შათში შემავალი ენების გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით ავტორი უწოდებს: სამხრეთის, შუა და ჩრდილოეთის (არქტიკულ) წრეებს.

II. პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ე ნ ო ბ რ ი ვ ი წ რ ე ე ბ ი. აქ შემავალი ენები ახდენენ ენობრივ ელემენტთა დიფერენციაციას. სამი წრე გვაქვს: სამხრეთის, ჩრდილოეთისა და შუა. პირველი ორი უფრო ახლოს დგას უძველეს კულტურასთან.

ა. სამხრეთის პირველად წრეს ახასიათებს:

ფონეტიკიდან: 1. ö და ü ხმოვნების უქონლობა.

2. ჯერ კიდევ არ უნდა იყოს განსხვავება პ-ღერ და ყრუ თანხმოვნებს შორის.

3. ერთთანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტი. აგრეთვე ხმოვნიანი ანლაუტი.

გრამატიკიდან: 1. წყვილობითისა (სამობითისა) და ინკლუზივ-ექსკლუზივის უქონლობა.

2. არ არის აგრეთვე სახელთა კლასიფიკაცია. მხოლოდ იქ, სადაც ამ წრის ენები კონტაქტში არიან მდედრობითი და მამრობითი სქესის მქონე ენებთან, ისინი გარდაქმნიან სქეს-კატეგორიებს ადამიანისა და ნივთის კატეგორიად და ამ სახით ითვისებენ მას.

3. თვლის ხუთ-ოცობითი სისტემა, რომლის შიგნით კვლავ არსებობს წყვილობითი სისტემა.

სინტაქსში იგივე მდგომარეობაა, რაც უძველეს კულტურაში იყო: გენეტივის, პოსესივის, ნაცვალსახელური სუბიექტისა და აკუზატივის წინდასმა. მხოლოდ ამათი გაელენით ზედსართავიც წინ გაღმოდის.

ამ წრეში ორი ფენაა: უფრო ძველი და უფრო ახალი.

ბ. ჩრდილოეთის პირველად წრეში შედის: ურალურ-ალთაური (პირველი ფენა), ინდოევროპული (მეორე ფენა), სემიტურ-ჰამიტური (მესამე ფენა) ენები, ჩრდილოეთ კავკასიურ ენათა ნაწილი. ყველა ესენი ჩრდილოური წარმოშობის არიან. მათი დამახასიათებელი ნიშნებია ფ ო ნ ე ტ ი კ ი დ ა ნ:

1. ურალურ-ალთაურში და ინდო-ევროპულში არის ö, ü ხმოვნები, რომლებიც ურალურ-ალთაურში უნდა იყოს წარმოშობილი.

2. სემიტურ-ქამიტურში, ინდოევროპულში და თურქულ ენებში გამიჯნულია მჟღერი და ყრუ თანხმოვნები, ჩამოყალიბებულია აგრეთვე ნაპრალოვნები.

3. არსებობს რთული, რამდენიმე თანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტი.

გრამატიკიდან: 1. მეტ წილ ენებში მხოლობით და მრავლობით რიცხვთან ერთად არის წყვილობითიც.

2. არ არის ინკლუზივ-ექსკლუზივი.

3. გვაქვს სახელთა კლასიფიკაცია სქესის მიხედვით—მდედრობითი და მამრობითი (აგრეთვე საშუალო), რომელიც მთელ რიგ ენებში გრამატიკულ სქესად იქცა.

4. არსებობს თვლის წმინდა ათობითი სისტემა, რაც უშუალოდ წყვილობითი სისტემისაგან წარმოიშვა.

სინტაქსიდან: 1. შუა პირველადი (იაფეტური და ენისეის რაიონის) ენების გავლენით გენეტივის ადგილი იცვლება. ინდოევროპულ ენებში ნაცვალსახელური სუბიექტი დაისმის ზმნის შემდეგ. სემიტურსა და ჩრდილოეთ ქამიტურ ენებში გენეტივის სრულ უკანდასმას ვიღებთ. დანარჩენ ქამიტურ ენებში მსხვრევადი უკანდასმაა. საშუალო მდგომარეობა გვაქვს ურალურ-ალთაურ ენებში. ამ გადაადგილებათა შედეგად ყველა აქ შემავალმა ენამ მიაღწია იმას, რომ გარეგნულად, ადგილის მიხედვით, გარჩეულია სახელთან კუთვნილებითი გამოხატულება (Possessivausdruck) და ზმნასთან წინადადების გამოხატულება (Satzausdruck).

2. აკუზატივის ადგილი საერთოდ გენეტივისას ეთანხმება.

3. ზედსართავზე იმოქმედა გენეტივის წინდასმამ და გადაიყვანა ის წინ. უკანდასმა მხოლოდ სემიტურსა და ჩრდილოეთ ქამიტურ ენებშია, რაც გამოწვეული არის მათ მიერ შეთვისებული გენეტივის უკანდასმის გავლენით.

გ. შუა პირველადი წრე ყველაზე მეტად არის დაშორებული უძველეს წრეს. მასში არის მოჭხდარი უმთავრესი ცვლილებანი: განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელთა კლასიფიკაციის შექმნა და გენეტივის ადგილის შეცვლა. ამ წრის ენებს დიდი გავლენა მოუხდენია წინა ორ წრეზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთისაზე. დამახასიათებელი ნიშნები:

ფონეტიკიდან: 1. ö და ü ხმოვანთა არა ფართო მასშტაბით გავრცელება.

2. მჟღერ და ყრუ, აგრეთვე ხშულ და ნაპრალოვან თანხმოვანთა დიფერენციაცია, რაც პირველად ამ წრეში უნდა მომხდარიყო და შემდეგ გავრცელებულიყო სხვა პირველად წრეებში.

3. ერთთანხმოვნიანი ანლაუტ-აუსლაუტი.

გრამატიკიდან: 1. მხოლოობითი, წყვილობითი და მრავლობითი რიცხვი.

2. ინკლუზივ-ექსკლუზივი, რომელიც წყვილობით რიცხვთან ერთად უძველესი კულტურიდან მომდინარეობს.

3. ამ წრეში შეიქმნა პირველად სახელთა კლასიფიკაცია. სახელდობრ, სქეს-კატეგორიები და სულიერისა და უსულოს კატეგორიები. სქეს-კატეგორიები რეალურ სქესს ემთხვევიან. გრამატიკული სქესი ჩრდილოეთ პირველად წრეში წარმოიშვა. რეალური სქესის გრამატიკულად გარდაქმნის საფეხურები მოცემული გვაქვს სხვადასხვა ენებში: კავკასიურ ენებში სქესობრივად მოუმწიფებელნი გაჰყოფილი არიან მომწიფებულთაგან, მაგრამ სქესის მიხედვით განსხვავება მათზე მაინც ვრცელდება. ინდოევროპელები სქესობრივად მოუმწიფებლებს უყურებენ, როგორც უსქესოებს და არაცოცხალთა, საგანთა კლასში ათავსებენ. ამით ირღვევა რეალურსა და გრამატიკულ სქესს შორის კავშირი. შემდეგ, სემიტურ-ჰამიტურ ენებში, როდესაც ქალი სოციალურ ღირებულებას მოკლებული გახდა, მდედრობითი სქესი საგანთა კლასს შეუერთდა.

4. თვლის ხუთ-ათობითი სისტემა.

სინტაქსიდან: გენეტივის წინდასმის შეცვლა უკანდასმით. ამას მოჰყვა პრეფიქსების სუფიქსებად ქცევა, აგრეთვე ნაცვალსახელური სუბიექტის გადაადგილება. მაგრამ წინდასმულ გენეტივიან ენათა გავლენით განსაკუთრებით აქტიურ ზმნებში კვლავ გენეტივის წინდასმა მივიღეთ. ამით ამ ენებმაც შეძლეს ზმნური და სახელური წინადადების გარეგნულად გარჩევა.

ამ წრეში შედიან: სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიის ენები. ავსტრონეზიული ენები პოლინეზიურის გამოკლებით, ავსტროაზიური (მუნდა ენების გამოკლებით), იაფეტურ ენათა ღიდი ნაწილი, ამერიკის მთელი რიგი ენები და სხვა.

III. მ ე ო რ ე უ ლ ი და მ ე ს ა მ ე უ ლ ი ე ნ ო ბ რ ი ვ ი წ რ ე ე ბ ი. მეორეული წრეები მიღებულია უძველესი და პირველადი ენობრივი წრეების ერთმანეთთან შერევის გზით. მესამეული წრის ენები ან ნარევ ენათა შემდგომი შერევის შედეგად არის წარმოშობილი. უკანასკნელ შემთხვევაში წრეებთან არც კი გვაქვს

საქმე. აქ უკვე დიფერენციაციას მივყავართ ცალკეული ენათა ოჯახების, უკეთ, ფუძე-ენების, წარმოშობამდე. ავტორი ასახელებს მეორეული და მესამეული წრეების მაგალითებს. ასეთად მიაჩნია მას, სხვათა შორის, გერმანული ენები, რომლებსაც იაფეტურ ენებთან შენარევად თვლის.

თავისი შრომის უკანასკნელ განყოფილებაში ავტორი ადარებს ერთმანეთს მის მიერ დადგენილ ენობრივსა და კულტურულ წრეებს და მათ შორის სრულ შესატყვისობას პოულობს. აქვე არის ცდა ახსნილ იქნეს ენობრივი მოვლენები კულტურის ფაქტებით.

ავტორის აზრით, უძველეს კულტურულ წრეს უძველესი ენობრივი წრე შეესატყვისება. მათ შორის შინაგანი კავშირი არსებობს: ანორმალურ ხმოვანთა და თანხმოვანთა დიფერენციაციის უქონლობას შმიდტი უკავშირებს ამ ენებსა და კულტურებში ფიზიკური ორგანოების (physische Werkzeuge) განუვითარებლობას[1].

გენეტივის წინდასმა ძველი ადჟიანების ბავშვურ-გულუბრყვილო აზროვნების გამოძახილიაო, გვეუბნება ავტორი. ნაცვალსახელთა და არსებით სახელთა რიცხვის სიმრავლე (წყვილობითი, სამობითი) დაკავშირებულია თვლის სისტემის განუვითარებლობასთან (წყვილობითი სისტემა). თვლის წყვილობითი სისტემა სხეულის წყვილეული ორგანოებიდან მომდინარეობს; მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სოციალური მიზეზიც—მონოგამიური ოჯახის არსებობა.

ასევე, სოციალური მიზეზი, — ლოკალური ეგზოგამია, განსაზღვრავს ინკლუზივ-ექსკლუზივის წარმოებას. კლას-კატეგორიების უქონლობა გვიჩვენებს, რომ სულიერი და უსულო არ იყო იმდენად დაპირისპირებული, რომ ეს განსხვავება ენაშიც გამოხატულიყო. სრულიად არ განირჩეოდა მდედრობითი და მამრობითი სქესი. აღსანიშნავია, რომ ბუმერანგის კულტურას არა აქვს შესაბამისი ენობრივი წრე. ბუმერანგის კულტურა უძველესი კულტურისა და მატრიარქატული კულტურის ნარევს წარმოადგენს. მასში შემავალი ენები კი ასეთ ნარევობას არ ამჟღავნებენ, ისინი ან უძველეს ენობრივ წრეს ეკუთვნიან, ან პირველადს.

საქხრეთის პირველადი წრე ტოტემურ კულტურულ წრეს უკავშირდება. ეს ენობრივი წრე მეტად ახლოს დგას უძველეს ენობრივ წრესთან ისევე, როგორც ტოტემური კულტურა ახლოსაა უძველეს კულტურასთან.

---

[1] ვ. შ მ ი დ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 530.

ხმოვნიან აუსლაუტს (და ანლაუტს), რაც ფორმის სიმსუბუქეს ქმნის, შმიდტი ხსნის სილამაზისადმი მისწრაფებით, რომელიც დამახასიათებელია მთელი ამ კულტურული წრისათვის.

თელის ხუთ-ოცობითი სისტემა მჭიდროდაა აგრეთვე დაკავშირებული ადამიანის სხეულის ფორმისადმი ყურადღების მიქცევასთან. მამრობითი და მდედრობითი სქესის გარდაქმნა ადამიანთა და ნივთთა კატეგორიად ქალის შევიწროების შედეგია.

ჩრდილოეთის პირველადი ენობრივი წრე მომთაბარე-მესაქონლეთა კულტურულ წრეს შეესატყვისება, ხოლო შუა პირველადი ენობრივი წრე—მატრიარქატულ კულტურულ წრეს.

შმიდტი ცალკე განიხილავს პირველადს წრეებში საზოგადოების მდედრობითი და მამრობითი ნაწილის მიერ წარმოებულ ცვლილებებს. პირველადს წრეებში ორი არსებითი ცვლილება მოხდა: კლასკატეგორიების წარმოშობა და გენეტივის უკანდასმა. ორივე შუა წრეში წარმოიშვა, მაგრამ მათ შექმნაში სხვადასხვა იყო ქალისა და მამაკაცის როლი. პირველი ცვლილება ქალთან არის დაკავშირებული, მეორე — მამაკაცთან.

მდედრობითი და მამრობითი სქესი მატრიარქატულ კულტურაში ქალთა ემანსიპაციისა და მიწათმოქმედების განვითარების საფუძველზე წარმოიშვაო, გვაუწყებს ავტორი. სხვა წრეებმა ეს კლასიფიკაცია თავიანთ ბუნებას შეუფარდეს. ტოტემურმა წრემ იგი ადამიანისა და ნივთის კატეგორიად გარდაქმნა, მდედრობითის აღნიშვნა მოსპო. მომთაბარე მესაქონლეთა კულტურულ წრეში ბუნებრივი სქესი გრამატიკულად იქცა და გაფართოდა (ცხოველების მიმართაც იხმარებოდა), ამით მისი სოციალური მნიშვნელობა შესუსტდა. ამის შედეგად სემიტურ-ჰამიტურ ენებში საშუალო და მდედრობითი სქესი ერთმანეთს დაემთხვა.

სულიერისა და უსულოს კატეგორიებიც მატრიარქატულ წრეში გვხვდება, ოღონდ მისი გავრცელების სფერო ჩრდილოეთშია. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩრდილოეთის გეოგრაფიული პირობები არ ქმნიდა მიწის დამუშავების შესაძლებლობას, ამიტომ აქ მონადირეობასა და მეთევზეობას მისდევდნენ. მდედრობით-მამრობითი სქესის წარმოშობით შეიქმნა სახელთა კლასიფიკაციისაკენ მისწრაფება. ხოლო რაკი აქ სამეურნეო-სოციალური პირობები სხვა იყო. კლასიფიკაციაც სხვაგვარი მივიღეთ. სახელდობრ, ცხოველებისადმი ყურადღების მიქცევამ მოგვცა დაყოფა სულიერად და უსულოდ. ამიტომ არის, რომ ასეთ კლასიფიკაციას ვხვდებით ძველ მომთაბარე-მეჯოგეებთან. გასაგებია ისიც, რომ შემდეგ მათ მიატოვეს ეს

კლასიფიკაცია და მიიღეს მდედრობითად და მამრობითად კლასიფიკაცია, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა მეჯოგეობასთან დაკავშირებით.

გენეტივის უკანდასმა მამაკაცთან არის დაკავშირებული, რადგან მამაკაცები იწყებენ პირველად მოგზაურობას და ეცნობიან სხვადასხვა ენებს, რასაც მოჰყვა გენეტივის ადგილის შეცვლა. თავისი ბუნებითაც, შმიდტის აზრით, გენეტივის უკანდასმა, რომლის დროსაც ახალი, უცნობი, ცნობილის წინ დაისმის, სპონტანურ-ბუნებრივ აზროვნებას შეესატყვისება და ბავშვური და ქალური აზრთა წყობის დამახასიათებელია, ხოლო წინდასმა მამაკაცურ აზროვნებას ავლენს.

§49. შმიდტის კლასიფიკაციის შეფასება უნდა დავიწყოთ იმ მეთოდების განხილვით, რომლებსაც ავტორი ხმარობს.

შმიდტი თვითონვე აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოებული კვლევის წინააღმდეგ ორი მეთოდოლოგიური შენიშვნა შეიძლება მოიყვანონ.

პირველი ეხება საკვლევი მასალის შერჩევის პრინციპებს. ავტორი ხშირად მიუთითებდა, რომ ის იღებს ისეთ ენობრივ ნიშნებს, რომლებიც სათანადოდაა შესწავლილი მსოფლიოს ენებში და იძლევა საერთო დასკვნების გამოტანის საშუალებას. მაგრამ, ამბობს თვით ავტორი, შეიძლება გვითხრან, რომ ამგვარად შერჩეული ნიშნების ერთად თავმოყრას შემთხვევითი ხასიათი აქვს და მათ საფუძველზე შეუძლებელია დავახასიათოთ ენობრივი წრე, როგორც ორგანული მთლიანი, რომელში შემავალ ელემენტებსაც მჭიდრო შინაგანი კავშირი აქვთ ერთმანეთთანო.

ასეთი საყვედურის მიზეზია, ავტორის აზრით, ზუსტი ისტორიულ-მეცნიერული კვლევის ორი საფეხურის ერთმანეთში არევა. პირველ ეტაპზე ყოველმხრივ შეისწავლება ცალკეული ელემენტები, მათ შორის შინაგანი კავშირის გათვალისწინების გარეშე. მხოლოდ ასეთი დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ არის შესაძლებელი კვლევის მეორე ეტაპზე გადასვლა, როდესაც ახალ-ახალი ელემენტების შესწავლის საფუძველზე ირკვევა მათ შორის არსებული კავშირიც, ბოლო ეღება მასალის ფრაგმენტარულ ხასიათს. ასეთი პოზიტიური კვლევა, შმიდტის აზრით, უფრო ფასეულია, ვიდრე თავიდანვე ელემენტთა შინაგანი კავშირის ინტუიციით განჭვრეტა, რადგანაც ამას უფრო ხშირად სახიფათო აპრიორიზმე-

ბამდე მიეყავართო. თავის შრომას ავტორი კვლევის პირველი ეტაპის დასაწყისად თვლის[1].

ავტორის მიერ მოყვანილი საბუთები სრულიადაც ვერ აბათილებს იმ საყვედურს, რომელსაც მართლაც იმსახურებს მისი კვლევის მეთოდი. ვთქვათ, კვლევის პირველ საფეხურზე ცალკეული ელემენტების შესწავლა ხერხდება მხოლოდ. შმიდტს რომ მხოლოდ ენათა შესწავლა ჰქონდეს დასახული მიზნად, მაშინ მოყვანილი მიზეზების გამო გამართლებული იქნებოდა ცალკეულ ენობრივ ნიშანთა შესწავლით საქმის დაწყება და თანდათან შესწავლილი ნიშნების რიცხვის გამრავლება. მაგრამ ავტორის მიზანია ამ ენობრივ ნიშანთა შეფარდება კულტურის წრეებთან, ე. ი. ისეთ ენობრივ ნიშანთა გამოყოფა, რომლებიც კულტურის გარკვეულ დონეს ასახავენ. განა ასეთ დროს შეიძლება ნიშანთა შემთხვევით აღება? რა თქმა უნდა,—არა; და თუ ავტორი მაინც იძულებულია საკითხთა შესწავლის დონე აიღოს კრიტერიუმად, ის არაფრით არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ კულტურისა და ენის ურთიერთობისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ნიშანთა ნაცვლად მეორეხარისხოვან ენობრივ ნიშნებს მიაქციოს ყურადღება. ამგვარად, კულტურულ წრეთა შესატყვისი ენობრივი წრეების ჩამოყალიბების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს ენათა საფუძვლიანი შესწავლა, რის შედეგადაც საკლასიფიკაციო ნიშნები შემთხვევით კი აღარ იქნება აღებული, არამედ განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიენიჭება ამ ნიშანთა ურთიერთობას კულტურის ფაქტებთან.

საკითხთა სათანადოდ შეუსწავლელობა არა მხოლოდ ენობრივ ნიშანთა არჩევისას ზღუდავს შმიდტს, არამედ უკვე არჩეულ კატეგორიათა კვლევის დროსაც. ავტორი იღებს რომელიმე ენობრივ ნიშანს და არკვევს მისი გავრცელების სფეროებს. შემდეგ, იმის საფუძველზე, თუ რომელ კულტურულ წრეში სჭარბობს ამ ნიშნის გავრცელება, მას გამოჰყავს დასკვნა, რომ ეს ნიშანი ამ წრისათვის არის დამახასიათებელი. მაშასადამე, შმიდტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ნიშნის გავრცელების რაოდენობრივ მხარეს. სწორედ აქ გამოვლინდება ყველაზე უფრო მწვავედ სხვადასხვა ენაში ამა თუ იმ საკითხის შესწავლის არასაკმარისობა. ენები ხომ მუდმივ ცვალებადობას განიცდიან: ზოგ ნიშნებს კარგავენ, სხვებს იძენენ. ენის თანამედროვე მდგომარეობის აღწერა ვერ წარმოგვიდგენს ბევრ ისეთ მოვლენას, რომელიც ადრინდელ სა-

[1] ვ. შ მ ი დ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 497—498.

ფეხურებზე ამ ეხისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ხოლო ისტორიულად შესწავლილია ენათა შედარებით მცირე რაოდენობა. ისტორიული ანალიზის გარეშე კი შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა. როდესაც ესა თუ ის ნიშანი ამჟამად არ ახასიათებს რომელიმე ენას, უნდა გაირკვეს, რა არის ამის მიზეზი. რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს:

ა. ეს ნიშანი ამ ენებს არასოდეს ჰქონიათ.

ბ. ენებს წარსულში ჰქონდათ ეს ნიშანი, მაგრამ დროთა მსვლელობაში დაკარგეს იგი. ამის მაგალითად გამოგვადგებოდა კლასკატეგორიათა საკითხი ქართველურ ენებში. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაამტკიცეს მკვლევრებმა, რომ ეს კატეგორიები ძველის ძველად ქართველურ ენებსაც ჰქონდათ[1].

გ. ბოლოს, შესაძლებელია, ესა თუ ის ნიშანი ახალშენაძენი იყოს. ენას იგი უძველეს საფეხურებზე არ გააჩნდა.

ამ სავარაუდო შემთხვევათა გაუდიფერენცირებლად შეუძლებელია სწორი დასკვნების გაკეთება. ხოლო მათი დიფერენციაცია კი აუცილებლად საჭიროებს ღრმა ისტორიულ ანალიზს.

ამგვარად საკითხს, თუ რომელ კულტურულ წრეს უნდა მიეკუთვნოს ესა თუ ის ენობრივი ნიშანი, წყვეტს მისი გავრცელებულობა, მაგრამ შმიდტის მიერ მოყვანილი გავრცელებულობა ამ ნიშნებისა, მასალის სათანადოდ შეუსწავლელობის გამო, ბევრი ენის მიმართ სინამდვილეს არ შეესაბამება. ცხადია, ასეთ კრიტერიუმზე აგებული კლასიფიკაცია მეტისმეტად საეჭვო უნდა იყოს.

მეორე საყვედური მისი მეთოდების მიმართ, შმიდტის თქმით, ის შეიძლება იყოს, რომ საჭიროა ჯერ ენობრივი წრეების დადგენა ენობრივი ნიშნების მიხედვით, ხოლო შემდეგ მათი შედარება კულტურულ წრეებთან.

ვერც ამ საყვედურისაგან იმართლებს თავს ავტორი. იგი ამბობს, რომ ცალკეულ ნიშანთა შედარებით კულტურულ წრეებთან ის არ კმაყოფილდება, ენობრივ წრეებსაც აყალიბებს[2]. მაგრამ სწორედ აქ არის მისი მეთოდის სუსტი მხარე. შმიდტისათვის ამოსავალია კულტურული წრეები. ენობრივ ნიშნებს ის განიხლავს თითო-

---

[1] იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართვ. და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942. შდრ. იმავე ავტორის: О лингвистических чертах картвельских языков. ИАН СССР, ОЛЯ, 1948, т. VII, ნაკვ. I.

[2] გ. შმიდტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 499—500.

უული ამ წრის მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ ამა თუ იმ წრისადმი მიკუთვნებულ ნიშანთა შეჯამებით ქმნის ენობრივ წრეებს. ამოსავალი რომ თვით ენობრივი თავისებურებანი ყოფილიყო, მაშინ სრულიად სხვა სურათს მივიღებდით (ამის შესახებ ქვემოთ).

კულტურული წრეების მიხედვით ენობრივის დადგენა მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ ავტორი წინასწარ დაამტკიცებდა, რომ კულტურასა და ენას შორის შესატყვისობა მართლაც არსებობს, რომ შესაძლებელია კულტურის ფაქტების საფუძველზე ენობრივ მოვლენათა დადგენა. ასეთი რამ შმიდტს არ დაუმტკიცებია. მისი მიზანი სწორედ ის არის, რომ ამ ორ სფეროში წარმოებული კლასიფიკაციებით გვიჩვენოს კულტურასა და ენას შორის დამთხვევა. რომ ეს დამაჯერებელი ყოფილიყო, ავტორს უნდა მოეხდინა ენათა კლასიფიკაცია მხოლოდ ენობრივი ნიშნების მიხედვით, ხოლო შემდეგ ამ კლასიფიკაციის შეპირისპირება კულტურათა კლასიფიკაციასთან ნათელყოფდა, მართლა არსებობს მათ შორის შესატყვისობა თუ არა.

შმიდტის კვლევის მეთოდის სუსტი მხარე თავს იჩენს აგრეთვე შემდეგში: ავტორი, როგორც აღვნიშნეთ, გავრცელებულობის მიხედვით მიაკუთვნებს ამა თუ იმ მოვლენას ამა თუ იმ კულტურულ წრეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მის კლასიფიკაციაში ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება გამონაკლისები. ამ გამონაკლისებს ავტორი სხვა ენების გავლენით ხსნის. ასე, მაგ., იგი თვლის ოცობით სისტემას ტოტემურ კულტურას უკავშირებს, წმინდა ათობითს—მომთაბარეთა კულტურას, ხოლო ხუთ-ათობითს—მატრიარქატულს. მაგრამ ყოველ წრეში ბლომად გვხვდება გამონაკლისები და, აი, ავტორი გვარწმუნებს, რომ მატრიარქატული კულტურის ზოგ ენაში (მაგალითად, კავკასიურ ენებში სვანურის გამოკლებით) ოცობითი სისტემის არსებობა ტოტემური კულტურის ენებთან შერევით არის გამოწვეული; მომთაბარე კულტურის ენებმა, სახელდობრ, ზოგმა ინდოევროპულმა ენამ, ოცობითი სისტემა იაფეტური ენებისაგან მიიღეს; მატრიარქატული კულტურის ენებში წმინდა ათობითი სისტემა მომთაბარეთა კულტურის ენებთან შერევამ მოგვცა; დრავიდულ ენებს უნდა ჰქონოდათ ათობითი სისტემა, რომელიც მაო მუნდა ენებს გადასცეს, თვითონ კი მატრიარქატული კულტურისაგან ხუთ-ათობითი შეითვისეს, და ასე დაუსრულებლივ. ასეთი მაგალითები მრავლად გვხვდება თითოეული ენობრივი ნიშნის განხილვისას.

შმიდტი კონკრეტულ-ისტორიულ პირობათა გაუთვალისწინებლად სხვა ენათა გავლენას მიაწერს იმ მრავალრიცხოვან ფაქტებს, რომლებიც მისი თეორიის წინააღმდეგ მეტყველებენ. ცხადია, ეს არ არის გამართლებული. რომ ენები ერთმანეთზე მოქმედებენ, ერთმანეთს შეერევიან, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება შერევით ავხსნათ ყველაფერი. საჭიროა თითოეული ენისა და თითოეული ენობრივი მოვლენის მიმართ დამტკიცდეს ასეთი შერევის რეალურობა.

გამონაკლისთა ახსნა შერევით თვით შმიდტის თვალსაზრისსაც ეწინააღმდეგება, რადგან ეთნოგრაფიული კლასიფიკაციის დროს ის ამბობდა, უძველესი და პირველადი კულტურები სრულიად მოწყვეტილი არიან ერთმანეთსო. თუ ასეა, როგორ უნდა მომხდარიყო სათანადო ენათა შერევა?

რომელიმე ენობრივი ნიშნის გავრცელებულობის კვლევისას ავტორი ცდილობს გაარკვიოს აგრეთვე, რომელ პუნქტში უნდა ჩასახულიყო ეს ნიშანი. იგი ფიქრობს, რომ ესა თუ ის მოვლენა ერთ რომელიმე ადგილას წარმოიქმნება და შემდეგ ვრცელდება სხვა ენებში, ამიტომ ის ცდილობს აღადგინოს უწყვეტი ზონები, რომლების მიხედვითაც უნდა გავრცელებულიყო ეს მოვლენა მთელ მსოფლიოში.

ასეთი ვარაუდი არ არის მართებული თვით შმიდტის თვალსაზრისითაც კი. შმიდტის მთავარი დებულებაა, რომ კულტურისა და ენის განვითარების დონეები ერთმანეთს შეესატყვისება, რომ ენობრივ მოვლენათა მიზეზები კულტურის სფეროში უნდა ვეძიოთ. თუ ასეა, თუ გარკვეული კულტურული წრე ენობრივ ნიშანთა გარკვეულ ერთიანობას ქმნის, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნიშანი ერთ ენაში ჩაისახა პირველად და შემდეგ მექანიკურად გადავიდა იმავე კულტურის სხვა ენებში? მსგავს მიზეზებს მსგავსი შედეგები უნდა გამოეწვია.

ასეთია ის მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებსაც ემყარება შმიდტის კლასიფიკაცია.

ახლა ვნახოთ, რა შენიშვნებს იწვევს ცალკეულ ენობრივ ნიშანთა შესახებ მსჯელობა. დავიწყოთ ფონეტიკით.

თანხმოვნების განხილვისას შმიდტი ერთმანეთს უპირისპირებს მკლერებსა და ყრუებს, მსკდომებსა და ნაპრალოვნებს. ამ ბგერათა დიფერენციაცია თითქოს არ ახასიათებდა უძველეს კულტურას. ეს კი შმიდტის თქმით, გამოხატვის საშუალებათა სიღარიბეს მოასწავებდა.

ეს მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. თანხმოვანთა კლასიფიკაციის დროს შმიდტისათვის ამოსავალია ინდოევროპულ, სემიტურ-ქამიტურ და ურალურ-ალთაურ ენათა ბგერითი სისტემები. მართლაც, ინდოევროპულ ენათა უმრავლესობაში დაახლოებით ორი ათეული თანხმოვანია. თუ ვიგულისხმებთ, რომ მჟღერები და ყრუები, მსკდომები და ნაპრალოვნები არ არიან გათიშული ერთმანეთისაგან, დაგვრჩება დაახლოებით რვა თანხმოვანი. და თუ რვა თანხმოვნიან ენას წარმოვიდგენთ, უნდა აღვიაროთ, რომ მართლაც გამოხატვის საშუალებათა მეტისმეტი სიღარიბე გვაქვს. სინამდვილეში კი შეიძლება პირუკუც იყოს, ე. ი. განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ენებში ბგერათა მეტი რაოდენობა შეიმჩნევა (უნდა მოვიგონოთ, რომ აქ ენის წარმოშობის მომენტზე არ არის საუბარი). ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რომ შეიძლება ზოგ ენაში მჟღერები და ყრუები, მსკდომები და ნაპრალოვნები არ იყოს დიფერენცირებული. საქმე ისაა, რომ ბგერები სხვა თვისებებითაც უპირისპირდებიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, აფხაზურში მჟღერ-ყრუთა და მსკდომ-ნაპრალოვანთა დაპირისპირება რომ უგულებელგვეყო, მაინც 32 თანხმოვანი დაგვრჩებოდა[1], ე. ი. მეტი, ვიდრე ამჟამად ბევრ ინდოევროპულ ენაში გვაქვს.

ეს იმიტომ, რომ აფხაზურში 66 თანხმოვანია და, მსკდომ-ნაპრალოვანთა და მჟღერ-ყრუთა გარდა, გამოიყოფა: ცხვირისმიერი, ნარნარა, ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული, მაგარი, რბილი და საშუალო თანხმოვნები, აგრეთვე აფრიკატები.

მაშასადამე, ყრუ და ნაპრალოვანი თანხმოვნების უქონლობა კიდევ არ მოასწავებს ბგერათა სიმცირეს.

მორფოლოგიაში სადავოა მრავლობითი რიცხვის წარმოშობის, აგრეთვე კლას-კატეგორიათა და თვლის სისტემათა ის ინტერპრეტაცია, რომელსაც შმიდტი იძლევა.

შმიდტს წყვილობითი და სამობითი რიცხვი მრავლობითის შემდგომ გაჩენილად, მის დაზუსტებად მიაჩნია. წყვილობითი რიცხვი, ე. ი. ბევრი, სახელდობრ, ორიო.

ასეთი ახსნა არამართებულია. ცნობილია, რომ ადამიანის აზროვნება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ მიემართება. ეს პრო-

[1] ვსარგებლობთ გ. ახვლედიანის შრომებით Звуковые возможности кавказских языков. I. Принципы классификации согласных абхазского языка. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე. თბილისი, 1940, ტ. I, № 1. შდრ. მისივე, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, ნაწ. II, თ. XV აფხაზურის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია ითვალისწინებს აბჟუური და ბზიფური დიალექტების მონაცემებს.

ცესი რიცხვის წარმოებაშიც აისახა. წყვილობითი, სამობითი რიცხვები ის გარდამავალი საფეხურებია, რომლებიც წინ უსწრებდა მრავლობითის გაჩენას. წყვილობითი (სამობითი) რიცხვი რომ მეორეული მოვლენა იყოს, მრავლობითის შემდეგ, მისი დაზუსტების მოთხოვნილებით წარმოშობილი, მაშინ მას გვიანდელ ეპოქებში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მოეპოვებინა. სინამდვილეში კი პირუკუ გვაქვს. წყვილობითი და სამობითი რიცხვი ენათა განვითარების ადრინდელ საფეხურებზე გვხვდება, შემდეგ ენათა დიდი რაოდენობა მათ კარგავს. ეს იმიტომ, რომ მრავლობითი რიცხვისა და ცალკე რიცხვით სახელთა არსებობა მათ არააუცილებლად ხდის.

შმიდტი მართებულად გამოყოფს კლას-კატეგორიათა სხვადასხვა სისტემებს, მაგრამ არამართებულად არის ახსნილი ამ სისტემათა ურთიერთობა: მდედრობითი და მამრობითი სქესი, ავტორის თქმით, მატრიარქატულ კულტურაში შეიქმნა. სხვა პირველადმა წრეებმა კლას-კატეგორიები მატრიარქატული კულტურისაგან შეითვისეს, ოღონდ გარდაქმნეს ისინი თავისებურად. ტოტემურმა კულტურამ, ქალის როლის დაცემის შედეგად, მდედრობითი სქესი მამრობითს ან „საშუალო“ სქესს შეუერთა და, ამგვარად, ადამიანისა და ნივთის კატეგორია წარმოქმნა.

სქეს-კატეგორიათა გარდაქმნის შედეგად ადამიანისა და ნივთის კატეგორიის წარმოშობის ახსნა არ არის დამაჯერებელი. მდედრობითი სქესი მამრობითს ან საშუალოს — საგანთა კლასს — შეუერთდაო, ამბობს ავტორი, გამოდის, რომ საგანთა კლასი უკვე არსებობდა.

მდედრობითი და მამრობითი სქესის და საგანთა კლასის არსებობა იმის მომასწავებელია, რომ ორი კლასიფიკაცია არის ერთმანეთს გადაჯაჭვული: 1. ადამიანისა და ნივთის, რომელიც ყველა სახელს მოიცავს და 2. სქესის, რომელიც მხოლოდ ადამიანის კატეგორიას ეხება (ასეა, მაგ., აფხაზურში). თუ ამის შემდგომ მდედრობითი სქესი მამრობითს დაემთხვევა, მართალია, სქეს-კატეგორიები მოისპობა, მაგრამ ამით ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა წარმოშობა ვერ აიხსნება, რადგან ეს კატეგორია უკვე არსებობდა ამ ცვლილებამდე. ხოლო მდედრობითი სქესის შერევა საშუალოსთან თვით ადამიანისა და ნივთის კატეგორიისათვის არ არის ბუნებრივი. ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვათა გარკვეული ნაწილი შედის ნივთის კატეგორიაში. ეს იმაზე შეიძლება მიუთითებდეს, რომ ისინი, ვინც ამ სიტყვებით აღნიშნებიან, იმავე ღირებულებისად არიან მიჩნე-

ული, როგორც ნივთები. აქაც იგულისხმება, რომ ადამიანისა და ნივთის კატეგორია უკვე არსებობს.

გამოდის, რომ ადამიანისა და ნივთის კატეგორიის წარმოშობაზე რომ ლაპარაკობს, ვ. შმიდტი ამ კატეგორიათა არსებობას უკვე გულისხმობს.

გაუმართლებელია მომთაბარეთა კულტურის ენებში „საშუალო" სქესის გამოყოფა. მატრიარქატულ კულტურაში მხოლოდ ორი,—მდედრობითი და მამრობითი,—სქესი იყო და ისინი რეალურ სქესს გამოხატავდნენ. როგორ წარმოიშვა და რა არის ეს მესამე სქესი?

ზემოთ ვნახეთ, რომ ე. წ. საშუალო სქესი საგანთა კლასს წარმოადგენდა. ხოლო მომთაბარეთა კულტურის ინდოევროპული ენების მიმართ ეს უსულოთა კლასია. სპეციალური განხილვის დროს ავტორი უარყოფს ძველ ინდოევროპულ ენებში სულიერისა და უსულოს კატეგორიათა არსებობას[1], ხოლო შემდეგ აღნიშნავს:

„ინდოევროპულ ენებში... მოუმწიფებელ, ახალგაზრდა არსებას უყურებენ, რამდენადმე, როგორც უსქესოს, და გადააქვთ უსულოთა, საგანთა კლასშიო"[2].

მაშასადამე, ამ ენებში უსულოთა (არაცოცხალთა) კლასი არსებობდა და სწორედ საშუალო სქესი წარმოადგენდა არაცოცხალთა კლასს. აქაც ორი კლასიფიკაცია გვაქვს ერთდროულად: სულიერის (ადამიანები და ცხოველები) და უსულოსი. ხოლო სულიერები განიყოფებიან სქესის მიხედვით.

ამგვარად, გრამატიკული სქესიც ორი შეიძლება იყოს (ისევე, როგორც რეალური), ხოლო ე. წ. საშუალო სქესი სხვა კლასიფიკაციის წევრია. ის შეიძლება საგანთა ან არასულიერთა კლასს წარმოადგენდეს. შმიდტის მიერ „საშუალო სქესის" შეტანა სქეს-კატეგორიებში გაუმართლებელია (თვით ავტორი საშუალო სქესის სინონიმად ხმარობს ნივთთა კლასს). ხოლო ინდოევროპულ ენებში უსულოთა კლასის არსებობის უარყოფა არ არის დასაბუთებული. ინდოევროპული ენებისათვის სწორედ ამ კლასიფიკაციის არსებობა მიაჩნიათ უფრო ადრინდელად[3].

თვლის სისტემებს შმიდტი ასე ანაწილებს: წყვილობითი უძველეს კულტურას განეკუთვნება, ოცობითი — ტოტემურს, წმინდა

[1] ვ. შმიდტი, დასახ. შრ., გვ. 339.

[2] იქვე, გვ. 515.

[3] А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 205—206.

ათობითი — მომთაბარეთა კულტურას, ხუთ-ათობითი — პატრიარ-ქატულს. ასეთი განაწილება შემდეგ შენიშვნებს იწვევს:

წმინდა ათობითის და ხუთ-ათობითის დაპირისპირება ხელოვნურია. წმინდა ათობითს ავტორი ისეთ სისტემას უწოდებს, რომელში შემავალ რიცხვით სახელთა დაშლა არ არის შესაძლებელი, მაგრამ თვითონვე აღნიშნავს, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არა ამ სახელთა მართლაცდა მარტივი აგებულებით, არამედ იმით, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ამ სიტყვათა ანალიზსო. ამის შემდეგ გაუგებარია გამოყოფა წარმოშობით წმინდა ათობითი სისტემისა, რომელიც უპირისპირდება გაცვეთის შედეგად მიღებულ წმინდა ათობითს. რის მიხედვით შეგვიძლია მათი ერთმანეთისაგან გარჩევა? ჩვენ ხომ ვერც ერთის ანალიზს ვერ ვახდენთ!

განსაკუთრებით სადავოა სინტაქსში წამოყენებული დებულებები. შმიდტი ერთმანეთს უპირისპირებს გენეტივის წინდასმას და უკანდასმას. ეს უკანასკნელი მატრიარქატული კულტურისათვის დამახასიათებლად მიაჩნია, ხოლო პირველს ყველა დანარჩენი წრეების კუთვნილებად აცხადებს. ფაქტობრივი მდგომარეობა როგორია?

ჩვეულებრივად, გვხვდება გენეტივის მსხვრევადი მდებარეობა, ე. ი. ისეთი შემთხვევები, როდესაც გენეტივი, პოსესივი, ნაცვალსახელური სუბიექტი და აკუზატივი ერთსა და იმავე ადგილას კი არ არიან მოთავსებული, არამედ ზოგი წინ დაისმის, ზოგიც უკან (ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური...).

ამის გამო ისმის კითხვა, ეს კატეგორიები მართლა არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მართლა დამოკიდებული არიან ყველა ისინი გენეტივზე თუ არა? გენეტივის მსხვრევად მდებარეობას ავტორი შერევით ხსნის. მაგრამ თუ მთავარი მართლაც გენეტივის ადგილი არის და ის განსაზღვრავს დანარჩენებს, მაშინ ნაცვალსახელურმა სუბიექტმა და აკუზატივმა მხოლოდ გენეტივის გადაადგილების შემდეგ უნდა იცვალონ ადგილი. სინამდვილეში კი ხშირად პირუკუ გვაქვს, ე. ი. ნაცვალსახელური სუბიექტისა და აკუზატივის უკანდასმა (რაც, ავტორის აზრით, მეორეულია), ხოლო გენეტივის წინდასმა. რით უნდა აიხსნას ეს?

არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ სხვადასხვა საკითხის განხილვისას მეტად დიდი რაოდენობით გვხვდება გამონაკლისები, მაგრამ გენეტივის ადგილის კვლევის დროს რეალური ვითარება და გაკეთებული დასკვნები ერთმანეთს სრულებით არ შეეფერება. ყურადღება რომ არ მიეაქციოთ გამონაკლისებს უძველესსა და ტი-

ტემურ კულტურაში, მეტად თავისებური ვითარება ისახება მომთაბარეთა და მატრიარქატული კულტურების განხილვის დროს.

ამ წრეებში იშვიათად გვხვდება გენეტივის სრული წინდასმა ან უკანდასმა. გვაქვს გენეტივის მსხვრევადი მდებარეობა. მიუხედავად ამისა, ავტორი აცხადებს, რომ მომთაბარეთა კულტურის ენებისათვის დამახასიათებელია სრული წინდასმა, მატრიარქატულისათვის — უკანდასმა. შემდეგ მატრიარქატული კულტურის ენებმა მოახდინეს გავლენა მწყემსურზე და გამოიწვიეს მათში მსხვრევადი წინდასმა, ხოლო მომთაბარეთა კულტურის ენებმა მატრიარქატულში მსხვრევადი უკანდასმა შექმნეს. ამასთან ავტორს არ მოჰყავს რაიმე საბუთები თავისი შეხედულების დასამტკიცებლად. ასეთი საბუთები არც არსებობს.

გაუგებარია გენეტივის უკანდასმის წარმოშობა. ავტორი კატეგორიულად უარყოფს იმას, თითქოს გენეტივის ადგილის შეცვლა ენის შინაგანი განვითარებით იყოს გამოწვეული. გენეტივის ადგილის შეცვლა მატრიარქატულ კულტურაში ხდება და შედეგია ენათა შერევისაო. მაგრამ პირველად ხომ მხოლოდ წინდასმა არსებობდა, მაშ, რომელ ენებთან შერევას უნდა მოეცა უკანდასმა? ან თავიდანვე უნდა არსებულიყო გენეტივის უკანდასმა, ანდა პირველად ის ენის შინაგანი განვითარებით უნდა მიგვეღო.

§50. როგორც ვხედავთ, იმ ენობრივ ნიშანთა ანალიზი, რომელსაც ეყარება შმიდტის კლასიფიკაცია, მეტწილად მიუღებელია. ეს კი იმას მოასწავებს, რომ თვით კლასიფიკაციაც არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი, მართლაც, რას წარმოადგენს, შმიდტის მიერ გამოყოფილი ენობრივი წრეები?

თავისი შრომის შესავალში შმიდტი წერს, ენობრივი კვლევის დაკავშირება კულტურულთან მოგვცემს საშუალებას, ენათა ბევრად უფრო ადრინდელი საფეხურები გავითვალისწინოთ, ვიდრე ეს გენეალოგიურ კლასიფიკაციას შეუძლიაო. აქედან თითქოს გამოდის, რომ ენობრივი წრეები ენათა ისტორიის გათვალისწინების შედეგად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. სინამდვილეში კი ისტორიული თვალსაზრისი შმიდტთან სავსებით უგულებელყოფილია. ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ ენათა წრეებში არა გვაქვს განვითარება. ერთადერთი შუა პირველადი წრე არის, სადაც ცვლილებები მომხდარა თითქოს (აქაც ავტორი კატეგორიულად უარყოფს, მაგალითად, რომ გენეტივის უკანდასმა ენის შინაგანი განვითარებით შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული). არც ერთ სხვა წრეში არ ჩაბს

ამ წრისათვის დამახასიათებელი წინსწრება. ცვალებადობას თუ სადმე აქვს ადგილი, იგი შერევით არის ახსნილი, ხოლო შერევა, კიდევაც რომ დავეთანხმოთ ავტორს მის ასეთ გაზვიადებულ შეფასებაში, არ არის გარდაუვალი და არ გამომდინარეობს ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებიდან. არ შეიძლება, მაგალითად, ვამტკიცოთ, თითქოს მომთაბარეთა კულტურის თავისებურებებიდან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობდეს მისი შერევა მატრიარქატული კულტურის ენებთან (მაგ., ინდოევროპულისა — იაფეტურთან).


შმიდტის კლასიფიკაციის არაისტორიულობა უფრო ნათლად გამომჟღავნდება, თუ მოვიგონებთ ზემოთქმულს იმის შესახებ, რომ შმიდტი არ ცდილობს დაადგინოს, რომელი მოვლენები მომდინარეობენ მისთვის საინტერესო ენებში ძველიდანვე, რომელი მოვლენები არიან ახლადშენაძენი, და, ბოლოს, ხომ არ დაკარგეს ენებმა ესა თუ ის კატეგორია, რომელიც მათ წინათ ჰქონდათ. ნაცვლად ასეთი დიფერენცირებული მიდგომისა, ავტორი ძირითადად კმაყოფილდება იმ მოვლენათა აღწერით, რომლებიც თანამედროვე ენებს ახასიათებს და ამჟამინდელი ვითარება მას გადააქვს უძველეს ეპოქებში (მაგალითად. შმიდტი უძველეს კულტურას მიაკუთვნებს ინდოევროპული ენების ხმოვანთა სისტემას). მხოლოდ მაშინ არ არის მიჩნეული თანამედროვე მდგომარეობა თავდაპირველ მოვლენად, როდესაც გვხვდება გამონაკლისები. მაშინაც ისტორიულ კვლევა-ძიებასთან კი არა გვაქვს საქმე. არამედ ყოველგვარი გადახრა იმისაგან, რაც შმიდტს ამა თუ იმ კულტურისათვის მიაჩნია დამახასიათებლად, შერევით არის ახსნილი. ხოლო ამ შერევის რეალური არსებობა კი არ მტკიცდება თითოეული შემთხვევის მიმართ, არამედ ავტორი მხოლოდ სხვა ტიპის ენებზე მითითებით კმაყოფილდება.

ისტორიული თვალსაზრისის უგულებელყოფით აიხსნება აგრეთვე შემდეგი წინააღმდეგობა: ფუძე-ენები, შმიდტის თქმით, მესამეულ კულტურულ წრეში უნდა ჩამოყალიბებულიყო. თანამედროვე მოსათესავე ენები ფუძე-ენათა დიფერენციაციით წარმოიშვნენ, ისინი ბევრად უფრო ახალი არიან, ვიდრე ფუძე-ენები. მაშასადამე, ისინი მესამეულ (ან უფრო ახალ) კულტურულ წრეს უნდა განეკუთვნებოდნენ.

შმიდტი კი უძველეს წრეებს მიაკუთვნებს სწორედ თანამედროვე, ფუძე-ენებზე ბევრად გვიანდელ ენებს (ინდოევროპული ენები, სემიტურ-ჰამიტური, იაფეტური და სხვ.). გამოდის, რომ

ფუძე-ენები მესამეულ კულტურულ წრეებში წარმოშობილან, ხოლო ამ ფუძე-ენათა განაყარნი უძველეს და პირველად წრეებს ეკუთვნიან. აქაც აშკარა ანაქრონიზმი გვაქვს.

კულტურული წრეები შემიდტმა უფრო ადრე ჩამოაყალიბა, ვიდრე ენობრივი წრეები. რომ ენობრივი წრეები კულტურულს უნდა დაემთხვნენ, ამას ავტორი არ ამტკიცებს, წინასწარ გულისხმობს. მისი მიზანი იყო კულტურულის შესატყვისი ენობრივი წრეების ჩამოყალიბება. მართლაც, ერთი შეხედვით, ავტორი აყალიბებს კიდევაც ასეთ წრეებს:



განვიხილოთ ეს წრეები. კულტურული წრეები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეურნეობის სახით და ოჯახის ფორმებით. გვაქვს თუ არა არსებითი დაპირისპირებანი ენობრივ წრეებში? — არა. ენობრივი ნიშნებით მხოლოდ ორი წრე უპირისპირდება ერთმანეთს: უძველესი და შუა. ამ უკანასკნელში მომხდარა მთელი რიგი ცვლილებები უძველეს ენობრივ წრესთან შედარებით. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ენობრივი წრეები კი ზოგ ნიშნებს უძველესი წრისაგან ინარჩუნებენ, ზოგს კარგავენ, ზოგსაც შუა წრიდან იღებენ. ტოტემურ და მომთაბარეთა კულტურულ წრეებს არ შეუქმნიათ მათ შესატყვის ენებში თავისთავადი, მხოლოდ ამ წრეებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მაშ, ენობრივი ნიშნები არ იძლევიან ჩრდილოეთისა (მომთაბარეთა კულტურის შესატყვისი) და სამხრეთის (ტოტემურის შესატყვისი) ენობრივი წრეების გამოყოფის საფუძველს. ამას ავტორიც გრძნობს და აღიარებს, რომ ამ შემთხვევაში მისთვის გადამწყვეტი იყო კულტურული წრეების არსებობა:

„მე აქამდე არ ვიცი ენობრივ სფეროში ისეთი ცხადი და საერთო მნიშვნელობის ფაქტების რიგი, როგორსაც მთელი კულტურისათვის წარმოადგენს მეურნეობაში დაგროვებითი საფეხურებიდან ბოვლა-მოშენებით საფეხურზე (Zuchtstufe) გადასვლა და აქედან გამომდინარე შედეგები. მე ვაღიარებ, ამიტომ, რომ მე პირველადი ენობრივი ჯგუფი პირველად კულტურულ წრეებთან ანალოგიით დავადგინე და რომ ეს დადგენა არ შეიცავს ისეთ წმინდა ლინგვისტურ საფუძველს, როგორი ეთნოლოგიური საფუძველიც პირველადი კულტურული წრეების დადგენას აქვს“[1].

ჩრდილოეთის და სამხრეთის წრეების მოთავსება პირველად წრეებში სხვა წინააღმდეგობასაც ხვდება: შმიდტის თქმით, უძველესი და პირველადი (ტოტემური, მომთაბარეთა, მატრიარქატული) კულტურები სრულიად მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთს, მათ შორის არავითარი ურთიერთობა არ ყოფილა ათასეული წლების განმავლობაში. ჩრდილოურ და სამხრულ ენობრივ წრეებს კი აქვთ, ერთის მხრივ, უძველესი ენობრივი წრის, ხოლო, მეორე მხრივ, შუა ენობრივი წრის ნიშნები, ე. ი. ისინი შუა და უძველესი ენობრივი წრეების შერევის შედეგად არიან მიღებული. ენათა შერევა შესაძლებელია მხოლოდ ამ ენებზე მოლაპარაკეთა მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე, შმიდტი კი ამ ენებზე მოლაპარაკეთა შორის რაიმე ურთიერთობის არსებობას უარყოფს. ისევ იმ დასკვნამდე მივედით: ჩრდილოური და სამხრული წრეები არ შეიძლება შეესატყვისებოდნენ მომთაბარეთა და ტოტემურ კულტურებს.


რაკი ჩრდილოეთისა და სამხრეთის წრეები ნარევია, ისინი მეორეულ წრეებად უნდა ჩავთვალოთ. მაშინ ისინი მაღალი კულტურის შესატყვისი აღმოჩნდებოდნენ (თვით ეს კულტურაც შმიდტს ნარევად მიაჩნია) და არა პირველადისა. მაგრამ წინააღმდეგობა ამით არ მოიხსნება: ჩრდილოური და სამხრული ენები იმ ადამიანთა კუთვნილება იყო, რომელთაც მომთაბარული და ტოტემური კულტურები ჰქონდათ. თუ ენასა და კულტურას შორის სრული შესატყვისობაა, აუხსნელი რჩება: როგორ შეექმნა ამ ადამიანებს სრულიად სხვა კულტურის შესატყვისი ენები? და კვლავ მწვავედ დადგება საკითხი, თუ როგორ მოხდა ენათა შერევა მაშინ, როდესაც მათი მატარებელი ადამიანები მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთს.

შემდეგ: შმიდტი ვერ ახერხებს ბუშმერანგის კულტურის შესატყვისი ენობრივი წრის გამოყოფას. მასში შეჰავალი ენები ან უძველეს ენათა წრეს განეკუთვნებიან ან შუასო.

---

[1] ვ. შ მ ი დ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 531—532.

ამგვარად, შმიდტის შესატყვისობათა სქემა ასეთ სახეს იღებს:



ეს ეხება მთელი წრეების შესატყვისობას. უარესი მდგომარეობა გვაქვს ცალკეული ენების მიმართ. ბევრია შემთხვევა, როდესაც გარკვეულ კულტურულ წრეში შემავალი ესა თუ ის ენა სხვა კულტურის შესატყვისი ენობრივი წრის თავისებურებებს ავლენს.

ყველა ამის გამო შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ შმიდტისათვის ამოსავალი იყო გარკვეული კულტურული წრეების არსებობა და იგი ცდილობდა მათთვის შეეფარდებინა ენობრივი წრეები, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად ავტორმა შეუფერებელი გააზრიანება მისცა რიგ ენობრივ ფაქტს, მან მაინც ვერ შეძლო კულტურული წრეების შესატყვისი ენობრივი წრეების დადგენა.

რით არის გამოწვეული ეს ჩარჩო? მხოლოდ ავტორის მიერ დაშვებულმა მეთოდოლოგიურმა შეცდომებმა განსაზღვრა იგი თუ თვით ამოცანის ხასიათმა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა საერთოდ ენისა და კულტურის სფეროში ერთმანეთის შესატყვის კლასიფიკაციათა მოხდენა?

წინასწარ გავხაზოთ: მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის უდავო ჰეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ ენა განუყრელად არის დაკავშირებული კულტურასთან და საერთოდ საზოგადოების ისტორიასთან. აქ ამის შესახებ კი არა გვაქვს საუბარი, არამედ იმაზე, კულტურის საფეხურთა მიხედვით კლასიფიკაცია დაემთხვევა თუ არა ენათა კლასიფიკაციას.

კულტურასთან მიმართების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ენის ლექსიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა. პირველი პირდაპირ და უშუალოდ ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას. კულტურის სფეროში ახალ მოვლენათა წარმოშობა ენაში ახალ სიტყვათა შექმნას იწვევს, ძველი კულტურისათვის დამახასიათებელ მოვლენათა ხმარებიდან გამოსვლას ენაშიაც სათანადო სიტყვათა დაკარგვა ჰოჰყვება. მაგრამ აქაც ხშირად გეხვდება შემთხვევები, როდესაც ენა ბევრად უფრო მეტ ხანს ინარჩუნებს სიტყვებს, ვიდრე ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები და მოვლენები ინახებიან კულტურაში. გარდა ამისა, გარდასულ კულტურებთან დაკავშირებულმა სიტყვებმა შეიძლება მნიშვნელობა შეიცვალონ და ახალი მნიშვნელობით იხმარებოდნენ ახალ კულტურაში. მაგალითები ბლომად შეიძლებოდა დაგეესახელებინა, მაგრამ ამ საკითხზე აქ მსჯელობის გაშლა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგანაც შმიდტის კლასიფიკაციაში ლექსიკა სრულიად არ არის გათვალისწინებული. ავტორს მხედველობაში აქვს ენათა ფონეტიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა. აქ კიდევ უფრო ნაკლები შესაძლებლობა გვაქვს იმისა, რომ ენის ბგერით შემადგენლობაში და გრამატიკულ წყობაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება პირდაპირ და უშუალოდ დაუკავშირდეს კულტურის ცვალებადობას და ამგვარად სრული შესატყვისობა მივიღოთ ორივე სფეროში.

ჯერ ერთი, როგორც აღნიშნული იყო, კულტურის ცვლილებები ენის ლექსიკურ შემადგენლობაში უეჭველად აისახება, მაგრამ იგივე არ ითქმის გრამატიკული წყობისა და, მით უფრო, ფონეტიკური შემადგენლობის შესახებ. განსაკუთრებით ეხება ეს მატერიალურ კულტურას. მატერიალურ კულტურაში მომხდარი ძვრები მცირეოდენ გამოხატულებას პოვებენ ენათა გრამატიკულ სტრუქტურაში. გრამატიკული წყობა, პირველ ყოვლისა, აზროვნებასთან არის მჭიდრო კავშირში. გრამატიკულ წყობაში აისახება საგანთა შორის არსებული ზოგადი კავშირები, რომლებსაც აზროვნების საშუალებით ვწვდებით. ამიტომ არის, რომ ძირითადი გრამატიკული კატეგორიები დიდხანს გაჰყვება ენებს, ისინი საჭირო არიან კულტურის სხვადასხვა საფეხურზე. ასეთია, მაგალითად, მოქმედების სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნა, კუთვნილებითი ურთიერთობის გადმოცემა და სხვ. რა თქმა უნდა, ისინი ენისა და აზროვნების განვითარების გარკვეულ საფეხურებზე შეიქმნა, მაგრამ შემდეგ ეს

გრამატიკული კატეგორიები ეპოქათა განმავლობაში წარმატებით ემსახურებიან სხვადასხვა კულტურას.

ამგვარად, ენის სტრუქტურაში არ აისახება კულტურის (განსაკუთრებით მატერიალური კულტურის) ყოველი ფაქტი. ამიტომ გარკვეული მოვლენები, რომლებიც კულტურათა კლასიფიკაციაში შევლენ, ვერ პოვებენ შესატყვისებს ენათა გრამატიკულ წყობაში.

მეორე მხრივ, ენის გრამატიკულ კატეგორიათა დიდი ნაწილი გამოხატავს საგანთა შორის ისეთ ზოგად მიმართებებს, რომელთა აღნიშვნა საჭიროა კულტურის სხვადასხვა დონეზე და ამიტომ ძირითად გრამატიკულ კატეგორიათა დიდი რაოდენობა მომსახურეობას უწევს კულტურის სხვადასხვა საფეხურს.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კულტურისა და აზროვნების ერთსა და იმავე საფეხურზედაც ენებს აქვთ შესაძლებლობა სხვადასხვაგვარად გამოხატონ ერთი და იგივე მოვლენები. ამიტომ არ იქნებოდა მართებული, რომ კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურისათვის დაგვეკავშირებინა ენათა გრამატიკულ წყობაში დადასტურებული ყოველივარი განსხვავებანი. ამ რიგისა არის, მაგალითად, შმიდტის კლასიფიკაციაში რიცხვით სახელთა სხვადასხვა სისტემა. მათი ნაირფერობა კულტურის სხვადასხვა დონეს კი არ უკავშირდება, როგორც ამას შმიდტი ვარაუდობს, არამედ სწორედ ზემოდასახელებული სხვადასხვაგვარი შესაძლებლობის კონკრეტულ განხორციელებას წარმოადგენს (ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ ბევრ ენაში რიცხვით სახელთა ნამდვილი ეტიმოლოგია ჯერაც არაა დადგენილი).

უკანასკნელ, უნდა ვნახოთ, ერთგვარია თუ არა ენის გრამატიკული წყობისა და კულტურის ცვალებადობის ტემპები. თეორიულად ორგვარი შესაძლებლობა არსებობს:

1. ენა და კულტურა ერთგვარი ტემპებით იცვლებიან. მაშინ, თუ კულტურის სფეროში განვლილი საფეხურები ახლით შეიცვალა, თუ დაბალი კულტურის ადგილი უფრო მაღალმა დაიკავა, ასეთივე ცვლილება უნდა განიცადოს ენამაც, ე. ი. წინა კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები მან უნდა დაკარგოს და ახალი შეიძინოს. თანამედროვე ენები შეიძლება განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. მათ შორის ყველაზე განვითარებულნი ყველა-

ზე მოწინავე კულტურის გამომხატველი იქნებიან, ხოლო ადრინდელი კულტურის შესახებ ისინი ვერავითარ წარმოდგენას ვერ მოგვცემენ, გარდა იმისა, რაც ძველი კულტურიდან თვითონ ახალმა შეინარჩუნა. ამ თვალსაზრისით ენა მისი დროის კულტურას გამოხატავს მხოლოდ. კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე მდგომი თანამედროვე ენებისა და სრულიად გაუმართლებელია თანამედროვე ენათა დაკავშირება რომელიმე ძველ კულტურასთან და იმის გამოცხადება, რომ ამით ამ ენათა უძველესი საფეხურები გვეძლევა თითქოს. ადრინდელი საფეხურების გათვალისწინებისათვის თვით ენაში უნდა დავადგინოთ ეს საფეხურები და შემდეგ შევადაროთ ისინი მისი დროის კულტურას.

თანამედროვე ენათა დაკავშირება კულტურულ წრეებთან და მათი აღიარება უძველესად მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხერხდეს, თუ დავუშვებთ, რომ ამ უძველესი საფეხურების შემდეგ არც ენებს განუცდია ცვალებადობა და არც კულტურას. მაშინ თვითონ ცნება „უძველესს“ აზრი ეკარგება. ასეთი თვალსაზრისი ანტიისტორიულია და, როგორც ზემოთაც დავრწმუნდით, ფაქტობრივად სწორედ ამ თვალსაზრისზე დგას შმიდტი.

2. ენა და კულტურა სხვადასხვა ტემპებით იცვლება. სინამდვილეში სწორედ ამ მეორე შემთხვევას აქვს ადგილი. სხვა საკითხთან დაკავშირებით შმიდტიც აღიარებს ამ შესაძლებლობას[1].

ენისა და კულტურის სხვადასხვაგვარი ცვალებადობის ორი შემთხვევა გვხვდება:

ა. ენა უფრო ნელა იცვლება, ვიდრე კულტურა. იგი ინახავს ისეთ მოვლენებს, რომლებიც წინა კულტურის გავლენითაა შექმნილი და ახალ კულტურას აღარ ახასიათებს.

ამიტომ შესაძლებელია ენის მიხედვით კულტურის ზოგი ფაქტის აღდგენა, მაგრამ შეუძლებელია ამა თუ იმ კულტურისადმი ენის სრული შესატყვისობის ღმოჩენა.

ნათქვამის ნათელყოფისათვის მივმართოთ მაგალითებს. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, წყვილობითი რიცხვი აუცილებელი საფეხური იყო იმისათვის, რომ აზროვნება მრავლობითობის აბსტრაქტულ ცნებაზე გადასულიყო. ეს რიგ ენათა გრამატიკულ წყობაშიაც აისახა. როდესაც მრავლობითი რიცხვი ჩამოყალიბდა, ამის შემდეგ წყვილობითი, როგორც მხოლოობითსა და მრავლობითს შორის მოქცეული, ზედმეტი გახდა. მაგრამ ენათა გრამატი-

[1] ვ. შ მ ი დ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 27.

კულმა წყობამ იგი კიდევ დიდ ხანს შეინახა. მაგალითად, წყვილობითი დაცული იყო რიგ ინდოევროპულ ენაში (ძველ ბერძნულში, ინდურში, სლავურში)[1]. რა თქმა უნდა, უხეშ შეცდომას დაუშვებდა ის, ვინც ძველ ბერძნულში წყვილობითის არსებობის საფუძველზე დაასკვნიდა, თითქოს იმდროინდელი ბერძნები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხი, რომლის ენის გრამატიკულ წყობაშიაც წყვილობითი რიცხვი არ იყო წარმოდგენილი.

იგივე ითქმის მ-ძინავ-ს ტიპის ზმნებზე ქართულში. მ-ძინავ-ს ორპირიანი ზმნა არის ინვერსიული წყობისა. სპეციალისტთა აზრით, ამ ზმნაში ასახულია განვითარების ისეთი საფეხური, როდესაც მიაჩნდათ, რომ ძილს იწვევს გარკვეული ძალა, ისაა მოქმედების ჩამდენი, სუბიექტი. ადამიანი კი ამ ძალის მოქმედების საგანს, ობიექტს წარმოადგენს. ამ გაგების შესაბამისად არის გაფორმებული ზმნაც. ის, ვისაც მართლა სძინავს, ობიექტური პირის ნიშნითაა წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ქართველებს, რომელთა ენის გრამატიკულ წყობაში ეს არქაიზმი დღემდის შემოგვრჩა, ძილის პროცესი ამჟამადაც ასე ჰქონდეთ გააზრებული.

ბ. ენაში ადგილი აქვს ისეთ ცვლილებებსაც, რომლებიც არ დაიყვანება კულტურის ცვლილებებზე. ასეთი ცვლილებები ენის ყველა სფეროში მოგვეპოვება, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისინი ფონეტიკაში.

ამგვარად, რადგანაც ენის გრამატიკული სტრუქტურა შეიცავს ძველი კულტურის გადმონაშთებს, ამავე დროს იგი არ ასახავს კულტურის ყოველ ფაქტს და რადგანაც ენის გრამატიკული წყობისა და ბგერითი შემადგენლობის ყოველგვარი ცვლილება არ დაიყვანება კულტურის ცვლილებაზე, უნდა დავასკვნათ, რომ შეუძლებელია მოვახდინოთ ისეთი კლასიფიკაცია ერთ სფეროში, რომელიც დაემთხვევა მეორე სფეროში მომხდარ კლასიფიკაციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შმიდტის მიერ დასახული ამოცანა საერთოდ განუხორციელებელია.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, ეს სრულიადაც არ მოასწავებს ენის გრამატიკული წყობისა და კულტურის დაკავშირების უარყოფას. მათი ურთიერთობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

---

[1] А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 204.

1. ენის გრამატიკულმა წყობამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს კულტურის (განსაკუთრებით გონითი კულტურის ისტორიის) რიგ საკითხს (რადგან ენა უფრო ნელა იცვლება, ვიდრე კულტურა).

2. მთელ რიგ ენობრივ მოვლენათა ახსნა უნდა ვეძებოთ კულტურაში (რადგან მათი გამომწვევი მიზეზები კულტურაშია).

შმიდტის შრომაში მიუღებელი არის არა მხოლოდ ენობრივ და კულტურულ წრეთა შეფარდება, არამედ თვით ცალკეულ ენობრივ მოვლენათა დაკავშირებაც კულტურის ფაქტებთან. მოვიყვანოთ რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში.

თვლის წყვილობითი სისტემის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად ავტორი მონოგამიური ოჯახის არსებობას მიიჩნევს; ლოკალური ეგზოგამია, მისი აზრით, განსაზღვრავდა ინკლუზივ-ექსკლუზივის ჩამოყალიბებას; სიტყვათა ხმოვნიანი ანლაუტი და აუსლაუტი სილაბისადმი მისწრაფებით ყოფილა გამოწვეული (სხვა ადგილას შმიდტი თანხმოვანთა სხვადასხვაგვარ კომპლექსებს გეოგრაფიულ პირობებს უკავშირებს: ჩრდილოეთის ჰავა თანხმოვანთა რთულ კომპლექსებს წარმოშობს, სამხრეთისა კი — მხოლოდ ხმოვნიან აუსლაუტს გვაძლევსო); გენეტივის უკანდასმა თურმე ბავშვებისა და ქალების სპონტანურ ცხროვნებას ახასიათებს, გენეტივის წინდასმა კი მამაკაცური აზროვნებისათვის ყოფილა ნიშანდობლივი.

ჯულგარული სოციოლოგიზმის ასეთი თვალსაჩინო ნიმუშები შმიდტის შრომაში ბლომად გვხვდება. მხოლოდ ნ. მარის „ახალ სალინთმეცნიერო მოძღვრებას“ თუ შეუძლია ამ მხრივ მეტოქეობა გაუწიოს შმიდტის „სოციოლოგიზმს“. აღსანიშნავია, რომ სიახლოვეს შმიდტის ნააზრევთან ნ. მარი და მისი მიმდევრებიც გრძნობდნენ. მაშინ როდესაც ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდნენ მეილესა და ვანდრიესის ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების მიმართ, ისინი დადებითად აფასებდნენ ვ. შმიდტის თეორიას[1].

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ შმიდტის კლასიფიკაციამ ენათმეცნიერებაში მცირეოდენი გამოძახილი პოვა და მას რაიმე პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია. მართალია, ჟურნალ „ანთროპოსში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში[2] ვრლფელი აცხადებდა, ამ ნაშრომით

[1] М. Я. Немировский, Язык и культура. К увязке лингвистики с общественными науками, Владикавказ, 1928. А. Холодович, Патер Шмидт и яфетическая теория. Языковедение и материализм, вып. II, М.-Л., 1931.

[2] D. J. Wölfel—Schmidt, P. W., S. V. D.: Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde (Bibliographie). Anthropos, 1927. Wien. ტ. XXII, ნაკვ. 3, 4. გვ. 636—645.

იწყება ახალი ერა ენათმეცნიერებაშიო, მაგრამ საენათმეცნიერო პრაქტიკამ ეს წინასწარმეტყველება არ გაამართლა. 1936 წ. ენათმეცნიერთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე ჰესტერმანმა[1] გულნაკლულად აღიარა, სამწუხაროდ შმიდტის თეორიას არ ჰქონია ისეთი გამოხმაურება, როგორიც ღირსიც ის იყო, არც ღადებითი, არც უარყოფითი რეცენზიები მის შესახებ არ დაწერილაო. ეს მთლად ზუსტი არ არის. გარდა ვრლფელის ზემოდასახელებული რეცენზისა, შმიდტის თეორიის შესახებ არსებობს სხვა რეცენზიებიც[2], რომ არაფერი ვთქვათ მარისტთა მხარდაჭერაზე.

მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ არც ზოგადსა და არც კერძო ენათმეცნიერებაზე შმიდტის კლასიფიკაციას თვალსაჩინო გავლენა არ მოუხდენია. ამით, ვფიქრობთ, .სავსებით დამსახურებულად გამომჟღავნდა ამ კლასიფიკაციის უნაყოფობა.

---

[1] Ferd. Hestermann, Die Schmidtsche Kulturkreistheorie und Sprachwissenschaft in Südamerika (Acte du quatrième Congrès international des Linguistes tenu à Copenhague 1936. Copenhague, 1938, გვ. 199—203). თვითონ ჰესტერმანი შმიდტის დიდი პატივისმცემელი ჩანს და აცხადებს კიდევაც, შმიდტის თეორიამ დიდი დახმარება გამიწია ამერიკის ენათა შესწავლისასო, მაგრამ რაში გამოიხატა ეს დახმარება, ამაზე იგი არაფერს ამბობს და საერთოდ თეორიულ საკითხებზე სრულიად არ მსჯელობს, თუმცა გაკვრით მაინც შენიშნავს, ზოგი რამის შესწორება შმიდტთან საჭიროდ მიმაჩნიაო.

[2] E. Lewy — P. W. Schmidt, Die Sprachfamilien und Sprachenkreise der Erde. Zeitschrift für vergleich. Sprachforschung. Göttingen, 1928, № 56, ½ H., გვ. 142—159. Marcel Cohen-ის რეცენზია ჟურნალში: Bulletin de la Société de linguistique de Paris, ტ. XXVIII, ნაკვ. 1 (№ 84). Paris, 1927. C. C. Uhlenbeck-ისა: Sartryk af Acta Philologica Scandinavica, Koponhagen, 1927.

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით ამ რეცენზიებს.

ნაწილი მეექვსე

ენათა სტადიური კლასიფიკაცია

თავი პირველი

ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია

§51. ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ ენათა სტადიურ კლასიფიკაციას ერთი ცენტრალური ადგილთაგანი უჭირავს.— მასში ასახულია ნ. მარის შეხედულება ენათა განვითარების შესახებ. სტადიური კლასიფიკაციის მნიშვნელობას „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრებისათვის“ ის განსაზღვრავს, რომ, ერთის მხრივ, ეს კლასიფიკაცია გამომდინარეობს ამ მოძღვრების ისეთი ძირითადი პრინციპებისაგან, როგორიცაა ენის წარმოშობისა და ერთიანი გლოტოგონიური პროცესის საკითხი და აგრეთვე ენის ზედნაშენურობისა და ენის კლასობრიობის საკითხი. მეორე მხრივ, თვით სტადიურ კლასიფიკაციას უკავშირდება „ახალი მოძღვრების“ მეთოდი — ე. წ. ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი.

ენათა სტადიური კლასიფიკაციის პრინციპებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი: ნ. მარის მიხედვით, ბგერით ენას საფუძვლად ღაედო ოთხი პირველადი სიტყვა, ე. წ. ოთხი ელემენტი. მსოფლიოს ყველა ენა ამ ოთხი ელემენტისაგან მომდინარეობს: „აღმოჩნდა, რომ ყველა ენაში ოთხი ელემენტია. ეს ოთხი ელემენტი დასტურდება ყველა ენაში, სადაც არ უნდა არსებობდნენ ისინი“[1]. ეს იმას ნიშნავს, რომ მასალობრივად მსოფლიოს ყველა ენა უკავშირდება ერთმანეთს, მართლაც, ნ. მარი გვეუბნება: „ყველა ენა ასე თუ ისე ენათესავება ერთმანეთს“[2]. „აღმოჩნდა აფრიკის ენათა კავშირი

[1] Н. Я. Марр, Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, 1927, I, გვ. 241 (ციტაცია ყველგან ნ. მარის რჩეულ ნაშრომთა ხუთტომეულიდან გვაქვს. რომაული ციფრი ტომზე მიუთითებს).

[2] Н. Я. Марр, Общий курс учения о языке, 1927, II, გვ. 49.

ევროპის ენებთან, ორიენსი შიდა აზიის ენებთან და ა. შ., ე. ი. მიგნებულ იქნა მთელი მსოფლიოს ენათა კავშირი"[1].

ენათა განვითარება ერთიან პროცესად აქვს წარმოდგენილი ნ. მარს. ამის მიზეზია როგორც მასალის (4 ელემენტის) მიხედვით ერთიანობა, ისე შემოქმედების ერთგვარი გზები. ვიღებთ დებულებას ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ, რომლის მიხედვითაც: „როგორც ვერც ერთი ხალხი ვერ აწარმოებს და ვერ განავითარებს განცალკევებულ მეურნეობას სხვა ხალხთან კავშირის გარეშე, ასევე არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა რომელიმე ცალკე ხალხს დამოუკიდებელი ენობრივი შემოქმედება. ენობრივი შემოქმედება ანუ გლოტოგონია მსოფლიო პროცესია"[2]; ამიტომ ნ. მარი გახაზავს „არსებითი, ესაა მონისტური თვალსაზრისი ენის შესახებო"[3].

ერთიანი გლოტოგონიური პროცესის ნ. მარისეული გაგება ბადებს კითხვას: თუ მსოფლიოს ყველა ენა ერთი და იმავე ოთხი ელემენტისაგან მომდინარეობს და თუ ამ ენათა განვითარების გზებიც ერთნაირია, როგორ წარმოიშვა ენათა ასეთი მრავალფეროვნება, რატომ არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული ენები? პასუხი ასეთია: ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან განვითარების საფეხურების მიხედვით. ერთიანი გლოტოგონიური პროცესის მსვლელობაში ზოგს განვითარების უფრო მაღალი დონისათვის მიუღწევია, ზოგი კი რომელიმე ადრინდელ საფეხურზე შეჩერებულა. ამგვარად, იქმნება ბგერითი მეტყველების კიბე[4]. ამ კიბის თითოეულ საფეხურს ნ. მარი სტადიას უწოდებს. ლაპარაკობს რა საფეხურების მიხედვით ენათა სტადიური განვითარების შესახებ, იგი წერს: ზოგი ამ საფეხურთაგანი ცელის სხვებს, ავყავართ რა ზევით კაცობრიობის მომავალი ერთიანი ენისაკენ, სხვებს ქვევით მივყავართ — დროთა სიღრმეში იმ ეპოქებამდე, როდესაც ადამიანი იწყებდა ბგერითი ენით ლაპარაკს"[5].

---

[1] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, 1928, III, გვ. 64.

[2] Н. Я. Марр, Постановка учения об языке в мировом масштабе и абхазский язык, 1928, IV, გვ. 60.

[3] Н. Я. Марр, Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, 1927, I., გვ. 236.

[4] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, III, გვ. 64.

[5] იქვე, გვ. 64.

სტადიებად დანაწილება არ ამოწურავს ნ. მარის კლასიფიკაციას. სტადიის შიგნით გამოიყოფა სისტემები. „ათელი მსოფლიოს ენები წარმოადგენენ ერთი გლოტოგონიური პროცესის პროდუქტებს, განეკუთვნებიან რა მათი წარმოშობის დროის მიხედვით ამა თუ იმ სისტემას, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან“[1]. ერთ სტადიას, შეიძლება, რამდენიმე სისტემა შეესაბამებოდეს.

როგორც სისტემები, ისე სტადიები ოთხი ელემენტის განვითარების შედეგად არის მიღებული. „ოთხმა ლინგვისტურმა ელემენტმა ძირფესვიანად შეიცვალა თავისი ფუნქციები განვითარების სხვადასხვა სტადიაზე, გადადიოდნენ რა ერთი სისტემიდან მეორეში, როგორც ბგერითი მეტყველების ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი“[2].

„ისინი, ეს ლინგვისტური ელემენტები... აღნიშნავენ ბგერითი მეტყველების სტადიური განვითარების საფეხურებს“[3]; სტადიებისა და სისტემების განსაზღვრას ან მათთვის დამახასიათებელი ნიშნების შესახებ სპეციალურ მსჯელობას ნ. მარის შრომებში ვერ ვხვდებით. კონკრეტულად კი სისტემებში, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, იგულისხმება ენათა ის დაჯგუფებანი, რომელნიც მანამდე მონათესავე ენათა ოჯახის სახელით იყვნენ ცნობილი, სტადია კი ენათა მორფოლოგიური ტიპის ადგილს იჭერს.

ენათა სისტემებისა და სტადიების მონაცვლეობა ხდება აფეთქების გზით, რასაც ნ. მარი მუტაციურ ცვლილებებს უწოდებს; ხოლო სტადიის შიგნით განვითარება ევოლუციურია. ძირითადად მიჩნეულია მუტაციური ცვლილებები. „მე ვუდგები თემის გაშუქებას კაცობრიობის მეტყველების წარმოშობის, მისი შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით, მაგრამ არა მხოლოდ ევოლუციური გზებით, როდესაც ლაპარაკია ტიპის თანდათანობით განვითარებაზე,

---

[1] Н. Я. Марр, Язык, 1927, II, გვ. 135.

[2] Н. Я. Марр, Яфетидология в Ленинградском государственном университете, I., გვ. 261.

[3] იქვე.

არამედ მუტაციური გზებითაც, როდესაც ლაპარაკია მორიგ უახლეს ტიპად გარდაქმნაზე"[1].

ენათა სტადიური განვითარებისათვის ნ. მარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ენათა შეჯვარედინებას. შეჯვარედინება, საერთოდ, ენათა წარმოშობისა და განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნია ნ. მარს. იგი გვეუბნება:

„ენობრივი შემოქმედება ანუ გლოტოგონია მსოფლიო პროცესია და ამ მხრივ განსაკუთრებული ფაქტორის მნიშვნელობა მიიღო ე. წ. შეჯვარებამ... ამ პროცესის გარეშე ბგერითი მეტყველება ვერ განვითარდებოდა"[2].

სხვაგან: „ტომების შერევა და მათ ენათა შერევა წარმოადგენს აუცილებელ პირობას კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, გარდაუვალ პირობას მისი დაწუებისა და სრულყოფისა ისტორიის განთიადზე; ეს არის ენის განვითარების ერთადერთი საწინდარი"[3]. შეჯვარედინება იმდენად არსებით მოვლენად ეჩვენება ნ. მარს, რომ იგი კატეგორიულად აცხადებს, შეუჯვარედინებელი ენა არ არსებობს და არც შეიძლება არსებულიყოს: „იაფეტური თეორია ამჟამად ამ დებულებას, რომ შერევამდე არ არის არავითარი კულტურა, არავითარი ენა, გამოავლენს როგორც აქსიომას და ამიტომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ეძიებოს წარმოშობის რომელიმე მარტივი ერთიანი წყარო"[4].

ანდა: „ამჟამად არ არსებობს არც ერთი შეუჯვარებელი ენა. უფრო მეტი, ჩამოყალიბებული ბგერითი მეტყველება დასაწყისშიაც არ გაიაზრება შეუჯვარებლად: შეჯვარებამდე არ იყო ბგერითი მეტყველება და იგი არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც შეჯვარებამდე არ არსებობდა სამეურნეო კოლექტივები, რომელთაგანაც... წარმოიშვა მოგვიანებით ტომები, ენის მქონე ადამიანური ტომები"[5].

შეჯვარედინებას უკავშირებს ნ. მარი ენათა სტადიებისა და სისტემების წარმოშობასაც: „ენათა სხვადასხვა სახეობანი წარმო-

---

[1] Н. Я. Марр, Яфетидология в Ленинградском государственном университете, გვ. 236.

[2] Н. Я. Марр, Постановка учения об языке в мировом масштабе и абхазский язык, 1928, IV, გვ. 60.

[3] Н. Я. Марр, Послесловие к „Яфетическому сборнику", т. III, 1925, I, გვ. 189.

[4] Н. Я. Марр, Основные достижения яфетической теории, 1924, I, გვ. 214.

[5] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 65.

იშვებიან სხვადასხვა ტომების შეჯვარებისაგან... თვით ადამიანური მეტყველების წარმოშობის წინამძღვარია სხვადასხვა ტომობრივი სახეობის შეჯვარება... შეჯვარებისაგან წარმოიშვებოდნენ არა მხოლოდ ენათა ერთი და იმავე ოჯახის ახალი ფორმალური სახეობები, არამედ აგრეთვე თავიანთი სტრუქტურის ბუნებით ტიპოლოგიურად ახალი ენები, განსაკუთრებული, თითქოსდა, ე. წ. რასობრივი ოჯახი ენებისა"[1].

შეჯვარედინება ენათა უნიფიკაციის ანუ ინტეგრაციის პროცესის გამოვლინებას წარმოადგენს. ნ. მარმა ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან ერთად დიფერენციაციის პროცესის არსებობაც უარყო. დარჩა მხოლოდ უნიფიკაცია და იგი ცხადდება ენათა განვითარებაში ერთადერთ პროცესად:

„შეჯვარება, ამგვარად, იწყება ბგერითი მეტყველების წარმოქმნის სულ პირველი ნაბიჯებიდან, და ეს დაწყება ჩანასახურად უკვე არის უნიფიკაციის პროცესი. სამეტყველო კულტურის ბგერითი სიმბოლოებით განვითარების მთელი შემდგომი მსვლელობა მასობრივი გამოყენების მიმართულებით, მრავალი ენის წარმოქმნა არის უნიფიკაციის პროცესი ამა თუ იმ მასშტაბით... ამჟამად ჩვენ, მეცნიერებსაც კი სასოწარკვეთილებაში გვაგდებს მრავალი ასეული, ათასზე მეტი, ენის არსებობა, მაგრამ ეს უკვე უნიფიკაციის პროცესის შედეგია. წინათ არსებობდა კიდევ უფრო მეტი ენები, რომლებიც ნაკლებ სრულყოფილნი იყვნენ, ნაკლებ შეგუებულნი სიტყვათა დაზუსტებულ გამოყენებასთან"[2].

ამგვარად, ენათა უნიფიკაციის ჩათვლამ ერთადერთ პროცესად განსაზღვრა ნ. მარის შეხედულება ენათა განვითარების მიმართულების შესახებ. რაკი ჩნდება უნიფიკაცია (resp. შეჯვარედინება) მოქმედებდა, ხოლო უნიფიკაციას ენათა რაოდენობის შემცირებისაკენ მივყავართ, აუცილებელია იმის დაშვება, რომ წარსულში ენათა მეტი რაოდენობა არსებობდა. ენათა განვითარებას ნ. მარი წარმოგვიდგენს, როგორც პროცესს მრავალი ენიდან ერთი ენისაკენ.

§52. ენათა სტადიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გარკვევამდის, ვფიქრობთ, აუცილებელია, თუ რა კონ-

[1] Н. Я. Марр, Об яфетической теории, 1924, III, გვ. 8.
[2] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, III, გვ. 72.

კრეტული სახე მიიღო ამ კლასიფიკაციის პრინციპებმა ნ. მართან, როგორ დაჯგუფდა ენები ამ პრინციპების საფუძველზე?

ნ. მარმა ორჯერ წარმოადგინა ენათა სტადიური კლასიფიკაციის სქემა: პირველად 1926 წელს სტატიაში „ენის წარმოშობის შესახებ"[1], ხოლო მეორედ 1928 წელს სტატიაში „რატომ არის ასე ძნელი გახდე ენათმეცნიერი-თეორეტიკოსი"[2].

პირველ სქემაში ენათა სტადიური კლასიფიკაცია გენეალოგიური ხის სახით არის გრაფიკულად გამოხატული.

ამ სქემას დართული განმარტებებიდან ირკვევა, რომ მეტყველების საწყისი ხელის ენაა. განვითარების უმაღლესი საფეხური, ერთიანი ბგერითი ენა ჯერ კიდევ მიღწეული არ არის. ამჟამად არსებულ მწვერვალს ინდოევროპული ოჯახი წარმოადგენს. მის ქვემოთ მოთავსებული გადმონაშთური იაფეტური ენები ტიპოლოგიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ცოტა ქვემოთ გამოშვერილია ტოტი, რომელიც იაფეტური ენების უახლოეს მონათესავე სემიტურ ოჯახს შეესაბამება. ეს ენებიც ფლექსიურია. კიდევ უფრო ქვემოთ ურალურ-ალთაურ ენათა შტოა გამოყოფილი. ეს ენები თავიანთი სტრუქტურით აგლუტინაციური წყობის იაფეტურ ენებს უახლოვდებიან. ჩუვაშური ენის წყალობით აქვე ისახება ადგილი თურქული ოჯახის შემდეგ უნგრულ-ფინური ჯგუფისათვის და ალბათ მონღოლურისათვისაც. კიდევ უფრო ქვემოთ მარჯვნივ მოთავსებულია ქამიტური ენები, რომლებიც ტიპოლოგიურად აგლუტინაციურს და უფრო მეტად სინთეზურ ბუნებას ავლენენ, ე. ი. აფხაზური ტიპის იაფეტურ ენებს ეკედლებიან. უფრო ქვემოთ ენათა სინთეზური მდგომარეობაა, რომელიც თვით იაფეტურ ენებში წარმოდგენილია გადმონაშთურად აფხაზურის ტიპის ენებით. სულ ქვემოთ არის პრიმიტიული ენები და მათთან დაკავშირებით ისმის ადამიანური მეტყველების წარმოშობის პრობლემა.

ამ სქემაში გამოიყოფა ოთხი გარდამავალი ტიპის ენა. იაფეტიზმიდან ინდოევროპეიზმისაკენ გარდამავალია ორიდან ერთ-ერთი სომხური ენა და ალბანური (ბალკანეთში), ხოლო იაფეტიზმიდან თურქიზმისაკენ გარდამავალს წარმოადგენს მეორე სომხური ენა და ჩუვაშური.

---

[1] Н. Я. Марр, О происхождении языка, 1926, II.

[2] Н. Я. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, 1928, II.

გენეალოგიური ხის სქემას ნ. მარი უბრუნდება 1927 წ. „ენათმეცნიერების ზოგად კურსში“[1]. აქ ავტორი მიუთითებს სქემის ზოგ უხერხულობაზე. გენეალოგიური ხე მას გამოუსადეგარად ეჩვენება სისტემათა მონაცვლეობის ფიგურალურად გამოსახატავად[2], გარდა ამისა, ნ. მარი აღნიშნავს, რომ ზოგ რამეს დაზუსტება და შესწორება ესაჭიროება. პირველ რიგში დასახელებულია სქემის არასისრულე. მას აკლია ამერიკის, ოკეანიისა და აფრიკის ენები, აგრეთვე დრავიდული ენები, არაპრომეთეიდული (არაინდოევროპული) სისტემის ენები ინდოეთისა, შორეული აღმოსავლეთის ენები, ვინაიდან სქემაში მათგან მხოლოდ ჩინური იგულისხმებოდა; თვით ჩინურის საკითხს სპეციალური შესწავლა ესაჭიროებაო[3].

თავისი კლასიფიკაციის საფუძვლად ნ. მარი მორფოლოგიურ ტიპოლოგიას აღიარებს. მორფოლოგიის არმქონე ანუ ამორფულ (სინთეზურ) ენებს უპირისპირდება მორფოლოგიის მქონე ენები, რომლებშიაც აგლუტინაციური და ფლექსიური ტიპები გამოიყოფა[4]. ცალკე დგას იაფეტური ენები, რომლებიც ერთ მონოლითურ ტიპს არ წარმოადგენენ, მათში შეინიშნება სხვადასხვა სისტემა სინთეზურ-ამორფულიდან ფლექსიურამდე, მაგრამ სხვადასხვა სისტემას შორის, ნ. მარის აზრით, არსებობს ცხადი, მეცნიერულად დაფუძნებული და გასათვალისწინებელი კავშირი, რადგან ყოველი სისტემა ინარჩუნებს გავლილი სისტემის აშკარა ნიშნებს[5].

ტიპების რაოდენობა ნ. მარს ამოწურულად არ ეჩვენება, ვინაიდან თითოეული ტიპი სახესხვაობებს მოიცავს. ამორფულში ერთზე მეტი ტიპი შეინიშნება. ასევე აგლუტინაციური ენები იყოფიან მარტივ და რთულ ანუ ნაცვალსახელურ ენებად, ფლექსიურ ენებშიაც გამოიყოფა ორი სახესხვაობა. პირველი სემიტურ ენებშია წარმოდგენილი, მეორე ტიპს კი ინდოევროპული (ანუ პრომეთეიდული) ენები ქმნის[6]. ამ ორი უკანასკნელი სისტემის შესახებ ნ. მარი ამბობს,

---

[1] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II.

[2] ნ. მარი წერს: „Дерево с его натуральными ответвлениями мало подходит для фигурного изображения классификации языков, разъясняемых не по родословному их наследованию, а по мутационно-эволюционному развитию одних систем вслед за другими и попутным отбрасыванием, как реликтовых отложений, всего не захваченного в полной мере мировым процессом такой эволюции, в поворотных пунктах отмечаемым явлениями порядка взрыва, или революции“ (გვ. 41).

[3] იქვე, გვ. 41—43.

[4] იქვე, გვ. 54.

[5] იქვე, გვ. 61.

[6] იქვე, გვ. 108.

არ უნდა ვივარაუდოთ, რომ პრომეთეიდული სისტემის ენები სემიტურის შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ, უშუალოდ სემიტურიდან არიან გამოსულნიო[1].

ამორფულობა, აგლუტინაცია და ფლექსიურობა ნ. მარს ერთმანეთის მომდევნო საფეხურებად მიაჩნია. ამასთანავე, ის თვლის, რომ ენათა სისტემების დახასიათება პირველ რიგში მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, რაც გენეალოგიურ ხეს უდევს საფუძვლად, არ არის გამართლებული თვით იაფეტური თეორიის თვალსაზრისით[2].

ღნდა ვიფიქროთ, ეს მოსაზრება არის მიზეზი იმისა, რომ 1928 წ. წარმოდგენილ სქემაში ტიპთა მორფოლოგიური დახასიათება აღარ გვხვდება, თუმცა სტადიების რაოდენობა უცვლელად რჩება. აქ ნ. მარი აღარც გენეალოგიურ ხეს იყენებს, ის პირდაპირ გამოყოფს ერთმანეთის მომდევნო პერიოდებს ენათა განვითარებისა:

I. ენები პირველადი პერიოდის სისტემისა	1) მონოსილაბური და პოლისემანტური. პირველადი პერიოდის ენათა წრეში შედიან: ა) ჩინური და ჩინურის მსგავსი წყობის ენები (ჩინური ენის თავისებურებაა — წერილობით ენაში გაქვავებათა არსებობა). 2) შუა და შორეული აფრიკის ცოცხალი ენები.
II. მეორეული პერიოდის სისტემათა ენები	1) უნგრულ-ფინური. 2) თურქული. 3) მონღოლური.
III. მესამეული პერიოდის სისტემის ენები	1) გადსონაშთი იაფეტური ენები. 2) ქამიტური ენები (ახლო და შორეული აფრიკისა).
IV. მეოთხეული პერიოდის სისტემის ენები	1) სემიტური ენები. 2) პრომეთეიდული ენები ანუ ე. წ. ინდოევროპული ენები (კლასიკური წერილობითი ენები: ინდური (სანსკრიტი), ბერძნული და ლათინური)[3].

„თითოეული ჩამოთვლილი პერიოდის სისტემათა ენებს მჭიდროდ უკავშირდება და მათთან ახლოს დგას ენები, რომლებიც შორს

---

[1] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, გვ. 54.

[2] იქვე, გვ. 108.

[3] Н. Я. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, 1928, II, გვ. 405.

წავიდნენ ჩრდილოელ ხალხებთან ერთად—პალეოაზიური და ამერიკული ენები, აგრეთვე ავსტრალიის და ოკეანიის ენები"[1].

სტადიურ კლასიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება იაფეტურ ენებს. მათი თავისებურება, ნ. მარის მიხედვით, ის არის, რომ ეს ენები არქაული არიან, მათ გადმონაშთური სახით შეგვინახეს ადამიანური მეტყველების განვლილი საფეხურები და ამ ენებს მივყავართ ბგერითი ენის წარმოშობის მომენტამდე. თვით ავტორის სათანადო გამონათქვამები ასეთია: „ისევე როგორც მცენარეთა სამყაროში არსებობს გადმონაშთური სახეობები, რომლებსაც ნატურალისტები პოულობენ კულტურული რაიონებიდან ან ცენტრებიდან უკუგდებულ (отброшенных) მთიან ადგილებში, ასევე ხეობებში და ფერდობებზე სამი მთიანი მხარისა: 1) პამირის სამხრეთით, 2) კავკასიაში, 3) პირენეებზე შემონახულია ადამიანური მეტყველების რელიქტური სახეობანი, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის წინაისტორიული მოსახლეობის ენათა გადმონაშთებს, უფრო მეტიც, მთელი აფრევრაზიის მოსახლეობის ენათა გარკვეული, მეტისმეტად ძველი ეპოქების გადმონაშთებს"[2].

სხვაგან იაფეტური ენების შესახებ ნ. მარი ამბობს: „ყველაფერი ეს აღმოჩნდა ჩვენამდე გადმონაშთურად მოღწეული არქაული ენების მასალების წყალობით, ენებისა, რომლებმაც შეინახეს ადამიანური მეტყველების ბუნება იმ სახით, როგორიც ის იყო პირველ ტრანსფორმაციამდე მის რამდენიმე ძირფესვიან ტრანსფორმაციას შორის"[3].

და ბოლოს: „იაფეტური ენები წარმოადგენენ განსაკუთრებულ სისტემას, რომელიც გაიარა ყველა სხვა სისტემათა ენებმა"[4].

მორფოლოგიური ტიპის თვალსაზრისით იაფეტურ ენებს ნ. მარი ერთ ჯგუფში ვერ აქცევს:

იაფეტური ენები რელიქტური არიან, ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. მაგ., ქართული — ფლექსიურია აგლუტინაციის გადმონაშთებით, ავაზაზურის ტიპი უძველესია — სინთეზური ანუ ამორფული. მათ შორის დალაგდება კავკასიის ყველა იაფეტური ენა[5].

---

[1] Н. Я. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, 1928, II, გვ. 405.

[2] Н. Я. Марр, О происхождении языка, II, გვ. 182.

[3] Н. Я. Марр, К происхождению языков, 1925, I, გვ. 217.

[4] Н. Я. Марр, Яфетические языки, 1931, I, გვ. 290.

[5] Н. Я. Марр, Основные достижения яфетической теории, 1924, I, გვ. 209.

ე. წ. „ბაქოს კურსში“ (ენათმეცნიერების ზოგადი კურსი) იაფეტურ ენათა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნ. მარი იმაში ხედავს, რომ მათში წარმოდგენილია ერთმანეთის მომდევნო ტიპები. სინთეზური ანუ ამორფული ტიპისაა აფხაზური და მასთან მონათესავე ენები. ნაცვალსახელურ-აგლუტინაციურია: ბასკური, ძველი სალიტერატურო ქართული, შიშინა ენები და მთიანეთის ენები. გამარტივებული აგლუტინაციურია ჩრდილოეთ კავკასიის ენათა რიკი და ნაწილობრივ ხალხური ქართული. აგლუტინაციურიდან სემიტურ ენათა მსგავსი ფლექსიური ტიპისაკენ გარდამავალ საფეხურზე დგას ძველი სალიტერატურო ქართული, ხოლო სომხური გარდამავალია პრომეთეიდული (ინდოევროპული) ენებისათვის დამახასიათებელი ფლექსიურობისაკენ[1].

ყოველივე ამის გამო ნ. მარი ფიქრობს, რომ „იაფეტური ენები პოლისტადიური არიან, წარმოგვიდგენენ რა ენობრივი შემოქმედების ძველ სტადიათა რიგს, და ამით იმ სტადიასაც, რომელიც ამა თუ იმ სახით განვლო ყოველმა ენამ ფორმალურ-ლოგიკური აზროვნებისა და კოსმოსური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებამდე“[2].

ამგვარად, არ შეიძლება იაფეტურ ენათა გაერთიანება მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით. მაშ, რის მიხედვით ექცევიან ისინი ერთ ჯგუფში? ნ. მარი გვეუბნება: „იაფეტური ენები ქმნიან ერთიან სისტემას იდეოლოგიური განწყობის თვისებრიობით (по качеству идеологической установки). იმავე დროს გაფორმებით და ენათა რაოდენობით... ისინი ისე მრავალფეროვანი არიან, რომ ეს რაოდენობრივი თავისებურებანი თვისებრივში გადადიან“[3]. ამიტომ ავტორი ასკვნის, რომ იაფეტურ ენათა კლასიფიკაცია ფორმის მიხედვით არ შეიძლება. სხვადასხვა სისტემათა ფორმალური ნიშნები მათში ისეა შერწყმული, გაუდიფერენცირებელი და დიფუზური, რომ ტერმინები „სინთეზური“ ანუ „ამორფული“, „აგლუტინაციური“ არ არკვევს ამ სისტემის ფორმალურ ტიპს, არც მასში შემავალ ენათა თავისებურ ხასიათს.

იაფეტურ ენებს უკავშირებს ნ. მარი ყველა სხვა სისტემათა ენებს. ესენი რომელიმე ისტორიულ პერიოდში გამოეყვნენ იაფეტურ ენებს, რომლებიც თვითონ წინაისტორიული ხანისა არიან.

---

[1] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 67.
[2] Н. Я. Марр, Яфетические языки, I, გვ. 295.
[3] იქვე, გვ. 302.

იაფეტური ენებიდან არის გამოყოფილი თურქული, უნგრულ-ფინური, სემიტური, ინდოევროპული ენები. ამგვარად, ნ. მარი ენათა განვითარებას ორ პერიოდად ყოფს:

„ჩვენ გვაქვს ადამიანური მეტყველების განვითარების ორი ეტაპი: ერთი—წინაისტორიული, რომელიც უსასრულოდ დიდხანს გრძელდებოდა, და მეორე — ისტორიული, რომლის ხანგრძლიობა გაიზომება რამდენიმე ათასეული წლით. თურქული და უნგრულ-ფინური ენები, შემდეგ სემიტური და, ბოლოს, ინდოევროპული წარმოადგენენ მხოლოდ ისტორიულ ეპოქათა ჯგუფებს, მხოლოდ იაფეტიდები, აფრევრაზიის პირველყოფილი მოსახლეობის ეს იშვიათი გადმონაშთები, თავიანთ „გადმონაშთურ“ ენებში, რომლებიც სავსე არიან გაქვავებებით, გვაძლევენ შესაძლებლობას ვნახოთ ადამიანური მეტყველების წინაისტორიული მდგომარეობა“[1].

იაფეტური ენებისაგან სხვადასხვა სისტემის ენათა გამოყოფის ანუ ენათა ტრანსფორმაციის საკითხზე თავისი შეხედულებები ნ. მარს ყველაზე ვრცლად ინდოევროპულ ენებთან დაკავშირებით აქვს გამოთქმული. 1923 წელს კატეგორიულად უარყო რა ერთმანეთისაგან წარმოშობით განსხვავებული მონათესავე ენათა ოჯახების არსებობა, ნ. მარმა განაცხადა, რომ ინდოევროპული ენები იაფეტურ ენათა გარდაქმნას, მათ შემდგომ ტრანსფორმაციას წარმოადგენენო.

„ენათა ინდოევროპული ოჯახი ტიპოლოგიურად არის ახალი სამეურნეო-საზოგადოებრივი პირობების წარმონაქმნი, მასალით კი, და გადმონაშთურად მრავალი კონსტრუქტული ნაწილითაც, ესაა იმავე იაფეტური ენების შემდგომი მდგომარეობა... მათი განვითარების გარკვეულ სტადიაზე, ერთი სიტყვით, წყობის მიხედვით ახალი ფორმაციაა“[2].

თვლის რა ენას კლასობრივ მოვლენად, ნ. მარი ინდოევროპულ ენათა წარმოქმნას გაბატონებულ კლასებს მიაწერს:

ინდოევროპული „ენები წარმოადგენს უპირატესად გაბატონებული ტომური წარმონაქმნების ენებს, ევროპისა და წინა აზიის (ინდოეთის ჩათვლით) თავდაპირველად გაბატონებული კლასების ენებს. ისინი განსაკუთრებული რასის ენები კი არ არიან, არამედ ახალი ფორმაციის ენებია, რომლებიც გამოვიდნენ იაფეტურიდან ისევე, როგორც იმავე იაფეტური ენებიდან განვითარების სხვად-

[1] Н. Я. Марр, Послесловие к „Яфетическому сборнику“, т. III, 1925, I, გვ. 196.

[2] Н. Я. Марр, Индоевропейские языки Средиземноморья, 1923, I, გვ. 185.

სხვა, უფრო ძველ სტადიებზე გამოვიდნენ სემიტური და კიდევ უფრო ადრე თურქული და უნგრულ-ფინური ენები"[1].

შეჯვარედინებას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდოევროპულ ენათა წარმოქმნაში.

§53. რამ გამოიწვია იაფეტურ ენათა ტრანსფორმაცია ინდოევროპულ ენებად? მიზეზად ნ. მარი ასახელებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებებს, რაც, მისი აზრით, წარმოების პროცესში მომხდარმა გარდატეხამ, კერძოდ, ლითონების დამუშავებამ გამოიწვია:

„ინდოევროპული ენები ქმნიან განსაკუთრებულ ოჯახს, მაგრამ არა მასობრივს, არამედ როგორც წარმონაქმნი განსაკუთრებული, უფრო რთული, შეჯვარებისა, რაც გამოიწვია საზოგადოებრიობაში გადატრიალებამ, დამოკიდებულმა წარმოების ახალ ფორმებზე, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ, როგორც ჩანს, ლითონების აღმოჩენასთან და შეურნეობაში მათ ფართო გამოყენებასთან"[2].

ინდოევროპული ენების წარმოშობის შესახებ „ახალი მოძღვრების" თვალსაზრისთან დაკავშირებულია ამ ენათათვის სახელის შეცვლაც. ნ. მარმა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ვ. აბაევის წინადადებით, ისარგებლა ტერმინით „პრომეთე", ვინაიდან პრომეთეს სახელს ცეცხლის გამოყენება უკავშირდება, ცეცხლის გამოყენებასთან კიდევ. თავის მხრივ, დაკავშირებულია ლითონების კულტურის განვითარება. ამასთანავე ბერძნულ თქმულებათა მიხედვით პრომეთე იაფეტის შვილად ითვლება (ტ. II, გვ. 324). ამგვარად მივიღეთ ინდოევროპული ენებისათვის ახალი სახელწოდება — პრომეთეიდული.

ნ. მარის თეორიაში მხოლოდ ინდოევროპულ ენათა წარმოშობა კი არ უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაში მომხდარ ძვრებს, არამედ ეს არის ზოგადი პრინციპი ენათა განვითარებისა. ამოსავალი ავტორისათვის არის დებულება, რომ ენა ზედნაშენურ მოვლენას წარმოადგენს. იგი გვეუბნება:

„ვაპყრობთ რა მთელ ჩვენს ყურადღებას ენის განვითარებაში შემოქმედებითი პროცესის შინაგან მიზეზებს, ჩვენ სრულიადაც არ შეგვიძლია ეს პროცესი მოვაქციოთ თვით ენაში. ენა ისეთივე ზედნაშენური საზოგადოებრივი ღირებულებაა, როგორც მხატვრობა და

[1] Н. Я. Марр, Абхазский аналитический алфавит, 1926, II, გვ. 185.
[2] Н. Я. Марр, Индоевропейские языки Средиземноморья, I, გვ. 185.

საერთოდ ხელოვნებანი. ჩვენ ობიექტური ვითარების, ენობრივი ფაქტების მოწმობით, იძულებულნი ვართ განვიხილოთ მეტყველების წემოქმედებითი პროცესი, შემოქმედების ფაქტორები მატერიალური კულტურის ისტორიაში და მასზე აგებულ საზოგადოებრიობაში და ამ ბაზაზე შექმნილ მსოფლმხედველობებში"[1].

ეგევე ფაქტორები იწვევენ, ნ. მარის მიხედვით, ენათა სისტემებისა და სტადიების მონაცვლეობას:

„დღითი დღე უფრო აშკარა ხდება და ზუსტდება დებულება იმის შესახებ, რომ პრომეთეიდული („ინდოევროპული") ენები წარმოადგენენ ევროპაში პრომეთეიდების წინა ეპოქების ენათა, იაფეტურ ენათა, შემდგომ განვითარებას, რომ ე. წ. ენათა ოჯახები, თითქოსდა, წარმოშობის მიხედვით რასობრივად განსხვავებულნი, წარმოადგენენ სხვადასხვა სისტემებს, რომლებიც შეესაბამებიან მეურნეობისა და საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფორმებს, და ერთი კულტურის მეორით შეცვლის პროცესში ენათა ერთი სისტემა გარდაიქმნებოდა მეორე სისტემად"[2].

სხვა ადგილას ნათქვამია:

„საერთოდ, როგორც მუტაციური ხასიათის გადატრიალებანი, ისე ადამიანური მეტყველების ევოლუცია, ე. ი. როგორც მეტყველების და მისი სხვადასხვა ტიპებისა და სისტემების წარმოშობა, ისე თითოეული ტიპის განვითარება, აღადგენენ ან აშუქებენ შესაბამის მოძრაობებს საზოგადოებრივი წყობილების ფორმებში და ცვლილებებს ამ საზოგადოებრიობის შემქმნელ სამეურნეო წყობაში"[3].

ენის ცვალებადობის მიზეზად საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მეურნეობაში მომხდარ ცვლილებათა აღიარებამ კონკრეტულად ისეთი სახე მიიღო, რომ ნ. მარმა ენის მორფოლოგიური სტრუქტურა საზოგადოების სტრუქტურის ამსახველად გამოაცხადა. იგი გვეუბნება:

„ლინგვისტურ ფაქტებს მივყავართ საზოგადოებრივ წყობასა და ენის სტრუქტურას შორის ორგანულ კავშირთა ახსნისაკენ"[4]. „თავიანთი მორფოლოგიური აგების სტრუქტურაში ენები სოციალურ

---

[1] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 107—108.

[2] იქვე. გვ. 72.

[3] Н. Я. Марр, Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, I, გვ. 236.

[4] Н. Я. Марр, Послесловие к „Яфетическому сборнику", т. III, I, გვ. 189.

ფორმათა სტრუქტურის ამსახველნი აღმოჩნდნენ"[1]. „კაცობრიობის ერთიან მეტყველებაში ჯერჯერობით აღნიშნული სამი ტიპოლოგიური მდგომარეობა (ე. ი. სინთეზური ანუ ამორფული, აგლუტინაციური და ფლექსიური ტიპები. — თ. შ.) ასახავს თითოეული განსაკუთრებულ სოციალურ წყობას, თითოეული ტიპოლოგიური მდგომარეობა გენეტურად უკავშირდება საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების შესაბამის საფეხურს და მის მიერ არის წარმოშობილი"[2].

ზემომოყვანილთა გვერდით ნ. მარის შრომებში ისეთი გამონათქვამებიც გვხვდება, რომელთა მიხედვითაც ენისა და საზოგადოების ურთიერთობა აზროვნებით არის გაშუამავლებული:

„საქმე ეხება მუტაციური ხასიათის ძირფესვიან ცვლილებათა წყაროს, ენებში ტიპებისა და სისტემების ცვლის წყაროს: ეს წყაროა... რევოლუციური ძვრები, რომლებიც გამომდინარეობდნენ მატერიალური ცხოვრების თვისებრივად ახალი წყაროებისაგან, თვისებრივად ახალი ტექნიკისაგან და თვისებრივად ახალი სოციალური წყობილებისაგან. შედეგად შეიქმნა ახალი აზროვნება, და მასთან მეტყველების აგების ახალი იდეოლოგია და, ბუნებრივია, მისი ახალი ტექნიკაც. აქედანაა ენათა სხვადასხვა სისტემები"[3].

ამასთანავე, ამ თვალსაზრისით ენის მორფოლოგიური ტიპების ცვლილებები აზროვნების ცვალებადობას უკავშირდება:

„აზროვნების ცვლები — ესაა ბგერითი მეტყველების აგების სამი სისტემა, რაც... გამომდინარეობს მეურნეობის სხვადასხვა სისტემებისაგან და მათი შესაბამისი სოციალური სტრუქტურებისაგან"[4].

ამას მოსდევს სოციალური სტრუქტურებისა და მათი შესაბამისი ენობრივი ტიპების დახასიათება. ნ. მარის თქმით 1) პირველყოფილ კომუნიზმს შეესაბამება ენის სინთეზური წყობა სიტყვათა პოლისემანტიზმით. არ არის გარჩეული ძირითადი და ფუნქციური მნიშვნელობა. 2) შემდგომ საზოგადოებრივ სტრუქტურას ახასიათებს მეურნეობის სხვადასხვა სახეთა გამოყოფა და შრომის საზო-

---

[1] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, 1928, III, გვ. 66.

[2] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 49.

[3] Н. Я. Марр, Постановка учения об языке в мировом масштабе и абхазский язык, 1928, IV, გვ. 61.

[4] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, III, გვ. 71.

გადოებრივი განაწილება, ე. ი. საზოგადოების დანაწილება პროფესიებად, ერთიანი საზოგადოების დაყოფა წარმოებით-ტექნიკურ ჯგუფებად, რომლებიც საამქროთა პირველყოფილ ფორმებს წარმოადგენენ. ასეთ საზოგადოებას შეესაბამება მეტყველების ისეთი წყობა, რომელშიაც გამოიყოფა მეტყველების ნაწილები, ფრაზაში კი—სხვადასხვა წინადადება, წინადადებებში—მისი სხვადასხვა ნაწილი და ა. შ. იქმნება ფუნქციური სიტყვები, რომლებიც შემდეგ მორფოლოგიურ ელემენტებად იქცევა, სიტყვებში გარჩეულია ძირითადი მნიშვნელობა და მათზე დართული ფუნქციური მნიშვნელობა. 3) უკანასკნელ, წოდებრივ ანუ კლასობრივ საზოგადოებას შრომის ტექნიკური განაწილებით შეესატყვისება ფლექსიური ტიპის მორფოლოგია[1].

ენათა სტადიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით ენათა ყოველი მომდევნო ტიპი უფრო სრულყოფილია. სტადიური განვითარების ყოველი ტიპი გვიახლოვებს მომავალი ერთიანი ენის ტიპსო, წერდა, როგორც ვნახეთ, ნ. მარი. ყველაზე სრულყოფილი ინდოევროპული ენები გამოვიდა, ტიპოლოგიურად ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი — ამორფული ენებია, კერძოდ, ჩინური.

ჩინურში მორფოლოგიის უქონლობა, ავტორის აზრით, მეორეული მოვლენა კი არ არის (მსგავსად ინგლისურისა), არამედ თავდაპირველია და ამ ენის წყობის პრიმიტიულობაზე მიუთითებს, რასაც მხარს უჭერს სიტყვათა მნიშვნელობის პრიმიტიულობა[2].

აქედან კეთდება დასკვნა, რომ ენები, რომლებშიაც განვითარების ადრინდელი სტადიებია წარმოდგენილი, ალარ ვითარდებიან, გაქვავებული არიან ერთ დონეზე. ეს ნორმალურ მოვლენად ეჩვენება ნ. მარს. ლაპარაკობს რა იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყველა ენა ერთმანეთის მონათესავე აღმოჩნდა, მათ შორის განსხვავებას იგი ხსნის იმით, რომ არქაული სისტემის ენები „თითქმის გაქვავებულად გარჩნენ გარკვეულ, ყველა სხვა უკვე წინ წასული ენების მიერ გავლილ საფეხურებზე კაცობრიობის ენობრივი მეტყველების განვითარებისა“[3].

მსჯელობას გაქვავებული, გადმონაშთური ანუ რელიქტური ენების შესახებ „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ დიდი ადგი-

---

[1] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, III, გვ. 71.

[2] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 55.

[3] Н. Я. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, II, გვ. 411.

ლი უპირავს. გაქვავებულად ცხადდება ჩინური და სხვა ამორფული ენები:

„ამ ფორმალური თვალსაზრისით ჩინური შეჩერდა განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც კაცობრიობას ენაში ჯერ კიდევ არ არსებობდა არავითარი დამხმარე ფორმები, სიტყვათა ურთიერთობანი განისაზღვრებოდა არა დაბოლოებებით, როგორც რუსულ ენაშია, არამედ სიტყვათა განლაგებით. მსგავს მოვლენას... ვხვდებით... ეფხაზეთში და... ეგვიპტეში“[1].

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ამერიკის ენებშიაც:

„ამერიკაში ადგილობრივი ენები, მიუხედავად მათი არქაულობისა, თითქოს გაქვავდნენ თავიანთ განვითარებაში“[2].

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა იწვევს ენათა განვითარების შეჩერებას? ამ საკითხის ახსნა ნ. მართან უკავშირდება ხმელთაშუა ზღვის პრობლემას. ნ. მარის აზრით, ენა წარმოიშვა ხმელთაშუა ზღვის აუზში:

ენის „წარმოშობის ცალკეული ცენტრები არ არსებობდა... ხმელთაშუა ზღვის მთელი სანაპირო წარმოადგენდა საზოგადოებრიობისა და მასთან ერთად ადამიანური მეტყველების წარმოშობისა და განვითარების ამ წინაისტორიული პროცესის გარემოს“[3].

ანდა: იაფეტურ ენათმეცნიერებას „არ შეუძლია იყარაუდოს კაცობრიობის ბგერითი მეტყველებისა და, მაშასადამე, აგრეთვე კულტურის სამშობლო სხვა ადგილას, თუ არ ევროპაში, კერძოდ დასავლეთ ევროპაში, უფრო ზუსტად,—ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და მის გარშემო“[4].

შემდეგ ხმელთაშუა ზღვიდან გადიოდნენ ხალხები და ამ გზით არის დასახლებული დედამიწა. ამგვარად, ყველა ენა ხმელთაშუა ზღვიდან არის გამოსული სხვადასხვა დროს[5]. აი, სათანადო ადგილებიც:

---

[1] Н. Я. Марр, Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, I, გვ. 243.

[2] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 72.

[3] Н. Я. Марр, Основные достижения яфетической теории, I, გვ. 214.

[4] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 72.

[5] მიგრაციების საკითხთან დაკავშირებით ნ. მარის შეხედულებებმა ევოლუცია განიცადეს. ზოგადი ენათმეცნიერების თეორიის ჩამოყალიბებამდე, მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როდესაც იგი იაფეტურ ენებს იკვლევდა, ნ. მარი უკავშირებდა რა ერთმანეთს კავკასიურ ენებსა და ბასკურს, მსჯელობდა იმის შესახებ, ბასკები არიან კავკასიიდან წასულნი ევროპაში, თუ პირუკუ, კავკასიელებმა განიცადეს მიგრაცია. შემდეგ მიგრაციების თეორია სრულიად

„ისტორია აქვს მოლაპარაკე კავკასიის მცხოვრებლებსაც, ათეულ სახეობებს მისი მეტყველებისა, რომელსაც უკავშირდება წარმოშობა და ზრდა მთელი ხმელთაშუა ზღვის ენებისა და მასთან ერთად იმ ენებისა, რომლებიც წავიდნენ იქიდან (ე. ი. ხმელთაშუა ზღვიდან. — თ. შ.)... სხვადასხვა მიმართულებით. აფრიკაშიც, ამერიკაშიც, და, რა თქმა უნდა, აზიაშიც“[1].

„ლაპარაკია... იმ ხალხებზე, რომლებიც ერთადერთნი იყვნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და გასახლდებოდნენ მთელ აფრევრაზიაში, ხალხებზე, რომლებიც ქმნიდნენ ადამიანურ მეტყველებას“[2].

ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით ნ. მარი წერს:

„ჩვენ ამ შემთხვევაშიაც არ გავთავისუფლდებოდით აუცილებლობისაგან, აგველიარებინა სხვა სისტემების ენათა მქონე ხალხების წასვლა კიდევ უფრო შორს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან, წასვლა... მათ შორის სინთეზურ, ამორფულ პოლისემანტურ-მონოსილაბურ ენებზე მასობრივად მოლაპარაკეებისა, წასვლა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან მთლიანად და არა მხოლოდ მის რომელიმე ბოლოდან ან მის რომელიმე მხარიდან“[3].

კიდევ ერთი ამონაწერი: „ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ამ ისტორიულ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ, მისი შემოქმედნი იყვნენ, იაფეტიდების გარდა, სხვა სისტემების ენათა მქონე ხალხები, რომლებიც შემდეგ გადასროლილ იქნენ თითქოსდა მიუწვდომელ სივრცეში აღმოსავლეთისაკენ წუნარ ოკეანემდე და სამხრეთის მხარეს აფრიკის სამხრეთამდე“[4]. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან წამოსულებად ითვლებიან კავკასიელებიც:

უარყოფილ იქნა. მთელი აფრევრაზია იაფეტიდებით იყო დასახლებულიო, გვეუბნება ნ. მარი (ტ. II, გვ. 183; ტ. I, გვ. 196 და სხვ.), ასევე ნათქვამია ინდოევროპული ენების შესახებ: ისინი კი არსაიდან მოსულან, ადგილობრივ შეიქმნენო (ტ. I, გვ. 185). მაგრამ სტადიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ნ. მარი კვლავ ლაპარაკობს ხმელთაშუა ზღვიდან ხალხებისა და ენების გასვლის შესახებ, თუმცა ამას მიგრაციებს აღარ არქმევს, და დებულება იმის შესახებ, რომ იაფეტური თეორიის მიერ მიგრაციები უარყოფილია, დეკლარაციულად ბოლომდე ძალაში რჩება.

[1] Н. Я. Марр, Предисловие к „Яфетическому сборнику“, т. V, 1927, I, გვ. 251.

[2] Н. Я. Марр, Карфаген и Рим, Fas и Jus, 1929, IV, გვ. 162.

[3] Н. Я. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, II, გვ. 405.

[4] Н. Я. Марр, Вступительная речь к курсу общего учения об языке, 1927, II, გვ. 19.

„კავკასიის ენები... წასული არიან კაცობრიობის კულტურის ხმელთაშუა ზღვის... ლაბორატორიიდან. უფრო შორს წავიდნენ, მაშასადამე, პამირის იაფეტიდები, ბურიშკები ანუ ვერშიკები“[1].

ნ. მარის აზრით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან წასვლა იწვევდა ენათა განვითარების შეჩერებას. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ადრინდელ სტადიებზე გარჩენილი ენებიც მოგვეპოვება. რაც შეეხება ნ. მარი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველა ენა ერთმანეთის მონათესავე აღმოჩნდაო, იგი დასძენს:

„ამ ენათა შორის განსხვავებები დამოკიდებულია იმაზე, რომ ენათა არქაული სისტემები მიდიოდნენ ენათშემოქმედების ცენტრიდან და არსებითად ისინი თითქმის გაქვავებულად არიან შემოსახული გარკვეულ, უკვე წინწასული ყველა სხვა ენების მიერ განვლილ, საფეხურებზე კაცობრიობის მეტყველების განვითარებისა“[2].

სხვაგან: „ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გლოტოგონიური პროცესიდან წასვლა წყვეტდა საკითხს ენის შეჩერების შესახებ განვითარების იმ მონოსილაბურ საფეხურზე, რომელსაც ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ აზიაში და ჩინური ენის ტიპოლოგიაში, არამედ ტიპოლოგიურად მონათესავე სუდანის ენებში აფრიკისა“[3].

საერთო დასკვნა ასეთია: „რაც უფრო მეტად შორდებიან ენები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ცენტრს, მით უფრო აშკარად ამჟღავნებენ ისინი თავიანთი სტრუქტურითა და თავიანთი შედგენილობით ბგერითი მეტყველების თითქოსდა „პალეოლითურ“ მდგომარეობასთან სიახლოვეს“[4].

§54. ენათა სტადიური კლასიფიკაციის სწორად გაგებისა და შეფასებისათვის საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ საკითხზე, რა პირობებში ჩამოყალიბდა ეს კლასიფიკაცია და როგორი იყო მისი მიზანდასახულობა?

როგორც ცნობილია, თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში ნ. მარი არ ემიჯნებოდა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას. იგი ამ მეცნიერებაში მიღებული გზებით იკვლევდა იბერიულ-კავკასიურ (ნ. მარის ტერმინით,—იაფეტურ) ენებს და ცდილობდა გაეც-

---

[1] Н. Я. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, II, გვ. 404.

[2] იქვე, გვ. 411.

[3] Н. Я. Марр, Расселение языков и народов и вопрос о прародине турецких языков, 1927, IV, გვ. 158.

[4] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, III, 64.

კვია ამ ენათა ურთიერთმიმართება და მათი ადგილი ენათა სხვა ჯგუფებს ან ოჯახებს შორის. ამ პერიოდის უკანასკნელ მონაკვეთში (1920—1923 წლები) ნ. მარის კვლევა-ძიება სცილდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ფარგლებს. მისი გულისყური მიმართულია ენათა სხვა ოჯახებში იაფეტურ ენათა ფენების აღმოჩენისაკენ. ასეთ ფენებს პოულობს ნ. მარი პირველ რიგში სემიტურ და ინდოევროპულ ენებში, რის საფუძველზეც ასკვნის, რომ ხმელთაშუა ზღვის სანაპირო უძველეს დროში დასახლებული იყო მხოლოდ იაფეტიდებით, რომლებიც კაცობრიობის კულტურის პირველი შემოქმედნი არიან, ხოლო სემიტები და ინდოევროპელები უფრო გვიან მოვიდნენ ხმელთაშუა ზღვის რაიონში და შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რამაც გამოიწვია მათ ენათა შეჯვარედინებაც. ამით ხსნიდა იმ ხანად ნ. მარი იაფეტური ენების ელემენტთა არსებობას სემიტურსა და ინდოევროპულ ენებში. სწორედ ამ დროს ისახება თეორია ენათა შეჯვარედინების, როგორც ენათა განვითარების უნივერსალური პრინციპის, შესახებ. მის მიერ გამოკვლეულ ყოველ ახალ ენაში „აღმოჩენილი“ იაფეტური ფენის არსებობის ახსნა ნ. მარს სხვა არაფრით შეეძლო, თუ არ შეჯვარედინებით. იაფეტური ენები ცხადდებოდა მთელი რიგი სხვა ენების სუბსტრატად. მაგრამ შემდეგ და შემდეგ, როდესაც ნ. მარმა იაფეტურ ენებს დაუკავშირა მსოფლიოს ყველა ენა ჩინურით დაწყებული და ამერიკის ენებით დამთავრებული, შეჯვარედინების თეორია უკვე აღარ იყო საკმარისი ამ კავშირის ახსნისათვის. დებულება იაფეტური ენების მსოფლიოს ყველა ენასთან ნათესაობის შესახებ სრულიად არ ეგუებოდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოითხოვს ნათესაობის დამტკიცებისათვის უტყუარ საბუთებს. ასეთი საბუთები იაფეტურ ენათა ყველა სხვა ენებთან ნათესაობის შესახებ ნ. მარს არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა (ვინაიდან ასეთი ნათესაობა არ არსებობს). ამიტომ ცხადია, ნ. მარს ზღუდავდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრინციპები. ამიტომ იყო, რომ ნ. მარი, სცილდებოდა რა თავისი პრაქტიკული კვლევა-ძიების სფეროში ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიერ შექმნილ ფარგლებს, თეორიულ სფეროშიაც მკვეთრად ილაშქრებდა ამ მეცნიერების „შეზღუდულობის“ წინააღმდეგ. ნ. მარს შეზღუდულად ეჩვენებოდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, რომელიც პრინციპულად შეუძლებლად მიიჩნევდა სათანადო მეცნიერული დასაბუთების გარეშე გადაეწყვიტა გლოტოგონიის ურთულესი საკითხები ენის წარმო-

შობით დაწყებული და მისი მომავალი ბედით დამთავრებული. ამგვარად მომზადდა ნიადაგი ნ. მარის მიერ ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებასთან კავშირის გაწყვეტისათვის.

ნ. მარი გაემიჯნა არსებულ ენათმეცნიერებას და სრულიად უსაფუძვლოდ უარყო ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელში ხანგრძლივი და სერიოზული კვლევა-ძიების შედეგად, ენათა ისტორიული შესწავლის შედეგად იყო მიღწეული. უარყო ენათა ჯგუფების თავდაპირველი მატერიალური ნათესაობა, უარყო ენათა დიფერენციაცია, უარყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდი... ყოველივე ამას უნდა გაეწმინდა ნიადაგი ახალი თეორიისათვის, რომელიც ნ. მარს უარყოფილის ნაცვლად უნდა შეექმნა.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სრული უარყოფა, როგორც ცნობილია, 1923—1924 წლებში მოხდა (სტატიაში „ხმელთაშუა ზღვის ინდოევროპული ენები"). ამ თარიღს ემთხვევა ახალი თეორიის ჩასახვაც.

ამგვარად, ეს თეორია მოწოდებული იყო იმისათვის, რომ მიეცა მისი შემოქმედისათვის შესაძლებლობა, ადვილად დაეკავშირებინა ერთმანეთისათვის მსოფლიოს სხვადასხვა წარმოშობის ენები, გადაელახა ის საზღვრები, რომლებსაც მას უქმნიდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება საერთო წარმოშობის ენათა ოჯახების ცალ-ცალკე შესწავლის მოთხოვნით.

მართლაც, ნ. მარმა წამოაყენა დებულებები, რომლებიც ამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. მან მსოფლიოს ყველა ენა თავდაპირველი ოთხი ელემენტისაგან წარმოშობილად გამოაცხადა. მან მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ენათა განვითარება, სათანადო საფუძვლის გარეშე, ერთიან გლოტოგონიურ პროცესში მოაქცია და ამით მსოფლიოს ყველა ენა დაუკავშირა ერთმანეთს მატერიალურად. ჩვენ არ შევუდგებით ამ მცდარი დებულებების განხილვას, მათი ანალიზი მოცემულია სპეციალურ შრომებში[1]. ჩვენ უშუალოდ შევეხებით ენათა სტადიურ კლასიფიკაციას, რომელიც, როგორც ვნახეთ, სწორედ ამ ორ მცდარ წინამძღვარს ემყარება.

ენათა სტადიური კლასიფიკაცია ნ. მარმა გენეალოგიური კლასიფიკაციის საპირისპიროდ შექმნა. აქაც მიზანი იყო ენათა იმგვარად

---

[1] Арн. Чикобава, Проблема языка как предмета лингвистики в свете основных задач советского языкознания, ენიმკის მოამბე, 1941, ტ. X; არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, 1945; მისივე, საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ, გაზ. „პრავდა", 1950, 9.V. (ქართულ ენაზე გაზ. „კომუნისტი", 1950, 12.V).

დაჯგუფება, რომ ყველა ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი აღმოჩენილიყვნენ. ასეც მოხდა, ენები ერთიანი გლოტოგონიური პროცესის სხვადასხვა საფეხურზე მდგომებად იქნა გამოცხადებული.

§ 3. რა მოგვცა ამ კლასიფიკაციამ?

პირველი საკითხი, რომელიც სტადიური კლასიფიკაციის მიმართ უნდა დავსვათ, არის საკითხი,—რა პრინციპის მიხედვით გამოიყოფა ეს საფეხურები ანუ სტადიები ენათა განვითარებაში? რას წარმოადგენს სტადია და რა ნიშნები ახასიათებს მას? ამ კითხვებზე პასუხს ნ. მარის შრომებში ვერ ვიპოვით. თავის ერთ-ერთ გვიანდელ ნაშრომში, სახელდობრ, 1931 წ. ნ. მარი წერდა: „ამჟამად დადგა საკითხი სტადიური განვითარების შესახებ. როდესაც ეს სტადიური განვითარება საბოლოოდ გაირკვევა — არა იმ აზრით, როგორც სქემატურად ამ საკითხს ჩვენ ამჟამადაც ვსწავლობთ ზოგად გაუდიფერენცირებელ ხაზებში, არამედ იმ აზრით, თუ სახელდობრ რას წარმოადგენს კონკრეტულად თითოეული სტადიური განვითარება,—მაშინ თვისებრივად დადგინდება, რომელ ეტაპზე, რა საფუძველზე და როგორ პირობებში გამომუშავდა ბგერითი მეტყველების პირველი და მომდევნო ფენები და შესაბამის დაფენებათა თანმიმდევრულობა“[1].

ამ ამონაწერიდანაც ჩანს, რომ სტადიის რაობის საკითხი ნ. მარს ღიად აქვს დატოვებული. ამ საკითხის გარკვევა ვერ შეძლეს ვერც ნ. მარის მიმდევრებმა. ი. მეშჩანინოვი, რომელიც წლების განმავლობაში სპეციალურად მუშაობდა ენათა სტადიურ კლასიფიკაციაზე, 1947 წელს გვაძლევს სტადიის შემდეგ განმარტებას: „რა არის სტადია? ყოველი ენა იმყოფება გარკვეულ სტადიურ მდგომარეობაში“[2]. ეს არის და ეს.

სრულიად აშკარაა, რომ სტადიური კლასიფიკაციის პრინციპი არ არის დადგენილი „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“. გაურკვეველია, რა ნიშნის მიხედვით უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ენა განვითარების გარკვეულ საფეხურს.

ასეთი დასკვნა უეჭველად ბადებს კითხვას: თუკი სტადიურ-კლასიფიკაციას არ მოეპოვება კრიტერიუმი ენათა დაჯგუფებისათვის, მაშინ როგორღა მოახერხა ნ. მარმა კლასიფიკაციის გარკვეული

---

[1] Н. Я. Марр, К вопросу об историческом процессе в освещении яфетической теории, III, გვ. 174.

[2] И. И. Мещанинов, Проблема стадиальности в развитии языка, ИАН СССР ОЛЯ, 1947, ტ. VI, ნაკვ. 3, გვ. 187.

სქემების წარმოდგენა? საქმე ის არის, რომ ნ. მარს ამ სქემებში არ ჩამოუყალიბებია ენათა ახალი დაჯგუფებანი, მან გამოიყენა ენათმეცნიერებაში მანამდის შექმნილი კლასიფიკაციები, რომლებიც სრულიად სხვა პრინციპებს ემყარებოდნენ.

სტადიური კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპის გაურკვეველობა ამ სქემებში სრული სიცხადით იჩენს თავს. ეს ვლინდება პირველ ყოვლისა იმაში, რომ სხვადასხვა სქემაში სტადიური განვითარება სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

დავიწყოთ 1926 წელს წარმოდგენილი სქემით, ე. წ. გენეალოგიური ხით:

ამ სქემაში ენათა დაჯგუფების თვალსაზრისით სტადიური კლასიფიკაცია მორფოლოგიურ და გენეალოგიურ კლასიფიკაციათა გაერთიანებას წარმოადგენს. სრულიად ახალი პრინციპის—სტადიურობის გამოყენებამ არ მოგვცა ენათა ახალი დაჯგუფებანი. მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათელია: ნ. მარს არ წარმოუდგენია ამ ახალი პრინციპის მიხედვით ენათა დაჯგუფების საზომი.

სტადიურ კლასიფიკაციაში ახალია მორფოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი ინტერპრეტაცია.

საკლასიფიკაციო ერთეულებს სტადია და სისტემა წარმოადგენს. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ნათელია: სტადია მორფოლოგიურ ტიპს უდრის, სისტემა კი—ენათა ოჯახს. ეს ტერმინები ამ მნიშვნელობით მართლაც იხმარება. განსაკუთრებით ხშირია სისტემის ხმარება ენათა ოჯახის აღსანიშნავად. ნ. მარი ხშირად მიუთითებს: სისტემა ანუ, როგორც წინათ უწოდებდნენ, ოჯახიო, ანდა ფრჩხილებში აქცევს ოჯახს: სისტემა (ოჯახი). მაგრამ ასეთი თანმიმდევრობა ბოლომდის არ არის გატარებული. სისტემა სტადიის მნიშვნელობითაც გვხვდება. ან არადა ისინი არეული არიან ერთმანეთში. ასე მაგალითად, ერთგან ნ. მარი ამბობს: „არა მხოლოდ სომხური, არამედ ქართული ენაც გარდამავალი ტიპის აგლუტინაციური სისტემიდან ფლექსიურისაკენ, სომხური ებჯინება პრომეთეიდულ („ინდოევროპულ“) სისტემას, ქართული —სემიტურს“[1]. აქ სისტემა გამოდის როგორც მორფოლოგიური ტიპი (აგლუტინაციური, ფლექსიური), ისე ოჯახი (პრომეთეიდული, სემიტური). საერთოდ, ენათა კონკრეტული დაჯგუფების მიმართ ნ. მარი არცთუ ისე ხშირად ხმარობს სახელწოდებას „სტადია“. იგი ლაპარაკობს სტადიური გან-

[1] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 67.

ვითარების, სტადიური გადასვლების, სტადიათა მონაცვლეობის შესახებ, მაგრამ როდესაც კონკრეტულ სტადიებს ეხება საქმე, მაშინ „სტადიის“ ნაცვლად ხშირად „სისტემა“ გვხვდება ან არადა ტიპი (მაგალითად: „საქმე ეხება ენებში ტიპებისა და სისტემების მონაცვლეობას“[1]). ყველაზე თვალსაჩინოდ სტადიისა და სისტემის გამიჯვნის სირთულე თავს იჩენს იაფეტურ ენებთან დაკავშირებით, რომლებსაც ნ. მარი ხან სისტემად აცხადებს, ხან სტადიად.

ჩვენი აზრით, სტადიისა და სისტემის გაუდიფერენცირებლობა გამოწვეული არის შემდეგი გარემოებით: როგორც აღვნიშნეთ, სტადიურ სქემაში გაერთიანებულია ორი კლასიფიკაცია (მორფოლოგიური და გენეალოგიური). ამიტომ აუცილებელია ორი საკლასიფიკაციო ერთეულის გამოყენება და თითოეული მათგანისათვის გარკვეული ადგილის მიჩენა. ამის შედეგად გამოყოფილია სტადია (=მორფოლოგიურ ტიპს) და სისტემა (=ენათა ოჯახს). მაგრამ სტადიური კლასიფიკაცია იძლევა საფუძველს მხოლოდ ერთი რიგის საკლასიფიკაციო ერთეულისათვის. ეს არის ერთმანეთის მონაცვლე საფეხურები ენათა განვითარებაში. ამიტომ გაურკვეველი რჩება, რა განსხვავებაა და როგორია მიმართება სტადიასა და სისტემას შორის. თუ სტადია ასახავს საზოგადოების სოციალურ წყობილებაში და წარმოების პროცესში მომხდარ ძვრებს, რისი საფუძველზე წარმოიშვება ერთ სტადიაში სხვადასხვა სისტემა? ან როგორ ურთიერთობაშია ეს სისტემები ერთმანეთთან?

ნ. მარის მიმდევრებმა ვერავითარი სინათლე ვერ შეიტანეს სტადიისა და სისტემის განსაზღვრის საქმეშიც. 1947 წელს ი. მეშჩანინოვი პირდაპირ ამბობდა: „გაურკვეველი რჩება, რა იგულისხმება თვით სტადიაში... სტადიისა და სისტემის ცნებები დაემთხვა ერთმანეთს... თვით ნ. მარი აიგივებდა სტადიას და სისტემას“[2]. სადისკუსიო სტატიაში კი მან უფრო ფრთხილად გამოთქვა იგივე მოსაზრება: იაფეტური სისტემა სტადიას ემთხვევა, მაგრამ არ არის გარკვეული ყველა სხვა სისტემას შეესაბამება თუ არა ცალკე სტადიებიო[3].

---

[1] Н. Я. Марр, Постановка учения об языке в мировом масштабе и абхазский язык, IV, გვ. 61.

[2] И. И. Мещанинов, Учение Н. Я. Марра о стадиальности, ИАН СССР ОЛЯ, 1947, ტ. VI, ნაკვ. 1, გვ. 37.

[3] И. И. Мещанинов, За творческое развитие наследия академика Н. Я. Марра, газ. „Правда“, 1950, 16, V.

როგორც ვხედავთ, სტადიურ კლასიფიკაციაში გაურკვეველია, რა არის სისტემა, რა არის სტადია. და თუ თითოეულ ცნებაში მაინც ენათა ასეთი თუ ისეთი დაჯგუფება იგულისხმება, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი (ეს ცნებები) უკვე არსებული, სხვა პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბებული ჯგუფების მიმართ იქნა გამოყენებული.

შეიძლება თუ არა ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის დაკავშირება გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან? მრავალრიცხოვან ენებზე დაკვირვების შედეგად ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გენეალოგიურ და მორფოლოგიურ ჯგუფებს შორის სრული შესატყვისობა არ არსებობს. სხვადასხვა ოჯახის ენები ხშირად ერთ მორფოლოგიურ ტიპს განეკუთვნებიან და განვითარების შედეგად, შესაძლებელია, ერთი ოჯახის ენები სხვადასხვა მორფოლოგიურ ჯგუფში შევიდნენ. ამგვარად, მორფოლოგიურ და გენეალოგიურ კლასიფიკაციათა დაკავშირებას რეალური საფუძველი არ მოეპოვება. სტადიურ კლასიფიკაციაში ამ ორი კლასიფიკაციის ხელოვნურად გაერთიანების შედეგია ის, რომ ერთი მხრივ, ერთ სტადიას (მორფოლოგიურ ტიპს) რამდენიმე სისტემა (ოჯახი) შეესაბამება (მაგალითად, ფლექსიურს—სემიტური და ინდოევროპული სისტემები) და ამის მიზეზი აუხსნელი რჩება. ხოლო, მეორე მხრივ, ერთსა და იმავე სისტემაში (იაფეტურში) რამდენიმე სტადია გამოიყოფა (ამორფული, აგლუტინაციური და ფლექსიური)[1]. ამის საფუძველზე ნ. მარმა იაფეტურ ენებს პოლისტადიური უწოდა. უფრო ზუსტი განხილვის შედეგად, შესაძლებელია, პოლისტადიური გამოსულიყო სხვა სისტემებიც. მაგალითად, ინდოევროპული, რომელშიაც, როგორც მიუთითებენ, ინგლისური ენა უკვე აღარ არის ფლექსიური.

პოლისტადიურ ენათა არსებობა უარყოფს სტადიური განვითარების პრინციპს. თუკი ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან განვითარების საფეხურების მიხედვით, თუკი სტადია განვითარების გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს, როგორღა არის შესაძლებელი ის, რომ ენათა ზოგი ჯგუფი ერთსა და იმავე დროს განვითარების რამდენიმე საფეხურზე იმყოფება?

---

[1] სადავოა აფხაზურის ამორფულ ენად, ხოლო ძველი ქართულის ფლექსიურ ან თუნდაც ფლექსიურობისაკენ გარდამავალ ენად მიჩნევა, მაგრამ პრინციპულად სწორია ის, რომ ერთ ოჯახში (სისტემაში) სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის ენები შეიძლება გამოიყოს.

არ შეიძლება კვლავ არ დავიმოწმოთ ი. მეშჩანინოვის სიტყვები: „პოლისტადიურობა ცუდად ეგუება სტადიის ცნებას"[1]. აქედან გამოსავალს ი. მეშჩანინოვი იმაში ხედავს, რომ იაფეტური ენები დამოუკიდებელ სტადიად უნდა გამოცხადდესო, მაგრამ ეს შეუძლებელია ნ. მარის სტადიური კლასიფიკაციის პრინციპებზე დაყრდნობით, ვინაიდან სტადია მორფოლოგიური ტიპის მიხედვით გამოიყოფა, ხოლო ამ ნიშნის საფუძველზე იაფეტური (და აგრეთვე სხვა) ენები ერთ მონოლითურ ჯგუფს ვერ შექმნიან. სტადიური კლასიფიკაციის მიხედვით გაუგებარი რჩება, რა აერთიანებს იაფეტურ ენებს? რატომ შედიან ისინი ერთ ჯგუფში? თუ აფხაზური ამორფულია, რატომ ჩინურს არ გაუერთიანდა იგი, ან თუ ძველი ქართული ფლექსიურია, რატომ სემიტურ ენათა ჯგუფში არ მოექცა? ანდა რატომ არ შეუერთდა იგი ლათინურსა და ბერძნულს? ობიექტურად ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, გასაგებია, აქ მოქმედებს გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპი: იაფეტური (იბერიულ-კავკასიური) ენები ერთ ჯგუფში შედის საერთო წარმომავლობის ანუ ნათესაობის საფუძველზე, მაგრამ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება" უარყოფს ენათა ნათესაობას, ამიტომ მას აუხსნელი რჩება იაფეტურ ენათა ერთ ჯგუფში მოქცევის მიზეზი (სხვა შემთხვევებში ასეთ მიზეზად მორფოლოგიური ტიპების იგივეობა ცხადდებოდა).

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ახსნად მივიჩნიოთ განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს იაფეტური ენების სპეციფიკა ის არის, რომ ისინი ყველა სხვა სტადიის გადმონაშთებს ინახავენ. ჯერ ერთი, ასეთი გადმონაშთები, ნ. მარის მიხედვით, ბოლოს და ბოლოს ყველა ენაში აღმოჩნდა, მეორეცაა და რომელი სტადიების გადმონაშთებს შეუძლიათ შემოგვინახონ ამ ენებს? მხოლოდ და მხოლოდ ამორფულისა, ვინაიდან იაფეტური ენები თვითონ აგლუტინაციურ საფეხურზე დგანან, ფლექსიურისათვის არც ერთ მათგანს არ მიუღწევია, ქართული ფლექსიურობისაკენ გარდამავალია მხოლოდ. ამასთანავე, ამორფული ენები იაფეტური სისტემისა (მაგ., აფხაზური) ამ თვისებასაც მოკლებული იქნებიან, ვინაიდან ისინი ვერაფრის გადმონაშთებს ვერ შემოგვინახავდნენ, თვითონ დგანან განვითარების პირველ, უდაბლეს საფეხურზე (ნ. მარის აზრით).

სრულიად არაფრის მთქმელია ნ. მარის სიტყვები, იაფეტური ენები ერთ სისტემას ქმნიან იდეოლოგიური განწყობის თვი-

[1] И. И. Мещанинов, Учение Н. Я. Марра о стадиальности, ИАН СССР ОЛЯ, 1947, т. VI, вып. 1, გვ. 39.

სებრიობის მიხედვითო (по качеству идеологической установки), ვინაიდან ამ ფრაზას არავითარი კონკრეტული შინაარსი არა აქვს.

ასეთია ენათა სტადიური დაჯგუფების საერთო სურათი 1926 წ. წარმოდგენილი გენეალოგიური ხის მიხედვით. ახლა ვნახოთ, რა განსხვავებას გვაძლევს 1928 წლის სქემა?

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი სქემის გამიჯვნა ქრონოლოგიური თვალსაზრისით არ იქნებოდა მართებული, რადგანაც 1928 წლის შემდეგაც ნ. მარის შრომებში ხშირად ეხვდებით ისეთ პასჯელობას, რომელიც პირველ, 1926 წლის სქემაში წარმოდგენილ გაგებას ემყარება.

პირველი, რაც თვალში გვეცემა 1928 წლის სქემაში, ის არის, რომ ენათა მორფოლოგიური ტიპები (ძირეული, აგლუტინაციური, ფლექსიური) მასში, ერთი შეხედვით, არ ჩანს. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც ვნახეთ, 1927 წ. ე. წ. „ბაქოს კურსში", ნ. მარი გაუმართლებლად მიიჩნევდა ფორმალური ნიშნის მიხედვით ენათა სტადიური კლასიფიკაციის წარმოებას. მართლაცდა, თუკი სტადიიდან სტადიაში გადასვლა ენის თვისებრივ გარდაქმნას გულისხმობს, რატომ უნდა ვლინდებოდეს იგი მხოლოდ ენის მორფოლოგიურ სტრუქტურაში? სტადიური კლასიფიკაციის საფუძვლად მორფოლოგიური პრინციპის გამოყენება საჭოთირო უნდა ყოფილიყო იმ მხრივაც, რომ ნ. მარი ენის გრამატიკულ წყობას საერთოდ, და განსაკუთრებით მის მორფოლოგიურ მხარეს, მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა შინაარსობრივ, სემანტიკურ მხარესთან შედარებით, აქ კი გამოდიოდა, რომ სტადიური განვითარება, რომელიც „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" ერთერთ ქვაკუთხედად იყო გამოცხადებული, სწორედ მორფოლოგიურ ტიპთა მონაცვლეობას ემყარებოდა.

ამასთანავე, ეს მორფოლოგიური პრინციპი გენეალოგიური ხის სქემაში მეტისმეტად თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი.

იქნებ სწორედ ეს მოსაზრებები ამოქმედებდა ნ. მარს, როდესაც იგი გენეალოგიური ხის ნაცვლად სტადიური კლასიფიკაციის ახალ სქემას ქმნიდა. ასეა თუ ისე, განსხვავება ამ ორ სქემას შორის იმაშიცაა, რომ მეორეში არ არის დასახელებული ამორფული, აგლუტინაციური და ფლექსიური ტიპები. ამის ნაცვლად ენათა განვითარების საფეხურები დანომრილია: პირველადი, მეორეული, მესამეული, მეოთხეული.

ჩვენი აზრით, თუმცა ეს ისე თვალსაჩინო არ არის, როგორც პირველ სქემაში, აქაც კლასიფიკაცია მორფოლოგიურ ტიპოლო-

გიას ემყარება. ამგვარად მსჯელობის უფლებას ის გვაძლევს, რომ ენათა ჯგუფების თვალსაზრისით პირველსა და მეორე სქემას შორის პრინციპული სხვაობა არ არის. ამასთანავე, რადგანაც მეორე სქემაში ნ. მარი არ ასახელებს მორფოლოგიურ ტიპებს, სრულიად გაუგებარი რჩება, რის მიხედვით არის გამოყოფილი პირველადი, მეორეული და ა. შ. ხაფეხურები? არავითარი ახალი საკლასიფიკაციო პრინციპი ამ სქემასთან დაკავშირებით ნ. მარს არ წარმოუდგენია. 1928 წლის სქემაში პირველადი პერიოდის ენები ამორფული ენებია, მეორეული პერიოდისა—აგლუტინაციური, მეოთხეულის — ფლექსიური, ხოლო მესამეულ პერიოდს განეკუთვნება „პოლისტადიური“, ე. ი. სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის შემცველი ენები.

ამგვარად, 1928 წლის სქემაც მორფოლოგიურ თვალსაზრისზე არის აგებული, ოღონდ ეს თვალსაზრისი მიჩქმალულია, ისე რელიეფურად არ ჩანს, როგორც 1926 წლის სქემაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ენათა მორფოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციების ხელოვნური გაერთიანების შედეგად იქმნებოდა პირველ სქემაში, მეორეშიც იჩენს თავს.

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება სტადიური კლასიფიკაციის მეორე სქემისა ის არის, რომ მასში ენათა განვითარების ოთხი პერიოდიდან ყოველი შემდგომი საფეხური წინა საფეხურის გარდაქმნას წარმოადგენს. მაშასადამე, ყველაზე ადრინდელია პირველადი პერიოდის სისტემის ენები (მაგ., ჩინური), ყველაზე გვიანდელი—მეოთხეული პერიოდის სისტემის ენები (ინდოევროპული). ეს ასეც უნდა იყოს სტადიური განვითარების პრინციპის თვალსაზრისით და თითქოს ყურადღების მისაქცევიც არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ნ. მარის შრომებში, ჩვეულებრივ, სულ სხვა თვალსაზრისია წარმოდგენილი. სახელდობრ, მართლაც ყველა სტადია კი არ უკავშირდება ერთმანეთს, არამედ გვეუბნებიან, რომ ყველა ენა გამოსულია იაფეტური ენებიდან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა დროს. ამგვარად, ამ შეხედულების მიხედვით, იაფეტური ენები ქმნის ყველა სხვა ენის საფუძველს.

ამ ნიადაგზე წარმოიშვება წინააღმდეგობა. შეხედულება, რომლის მიხედვითაც ყველა ენა იაფეტური ენებისაგან მომდინარეობს, უარყოფს ერთიანი გლოტოგონიური პროცესის დედააზრს, რის საფუძველზედაც ყველა ენა ერთმანეთ-

თის მომდევნო საფეხურს უნდა წარმოადგენდეს ენათა განვითარების კიბეზე.

ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, შემდეგია: როგორც ვნახეთ, 1920—1923 წლებში ნ. მარის ყურადღების ცენტრში იყო იაფეტური ენები და მათი მიმართება ენათა სხვა ოჯახებთან. ამ პერიოდში ნ. მარი იაფეტურ ენებს უკავშირებდა ინდოევროპულ, სემიტურ, თურქულ და სხვა ენებს და ფიქრობდა, რომ ეს კავშირი შერევის შედეგად არის მიღებული, იაფეტური ენები შეადგენს სუბსტრატს ყველა დასახელებულ ენათათვის.

მაგრამ, როდესაც შეჯვარედინებითა და სუბსტრატის თეორიით აღარ შეიძლებოდა ახსნილიყო იაფეტურ ენათა კავშირი მსოფლიოს ყველა ენასთან, ნ. მარმა შექმნა თეორია ოთხი თავდაპირველი ელემენტისა და ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, ყველა ენა ოთხი ელემენტის სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურს უნდა წარმოგვიდგენდეს. ამის საფუძველზე შინაგანი - აუცილებლობით უნდა მოხსნილიყო ძველი დებულება ყველა ენის იაფეტურ ენათაგან გამოსვლის შესახებ. მაგრამ, რადგანაც ეს დებულება წარმართავდა ნ. მარის მთელ კვლევა-ძიებას (ის ბოლომდის იაფეტურ ელემენტებს ეძებდა ყველა ენაში), მან იგი არ მოხსნა და უცვლელად გადმოიტანა სტადიურ კლასიფიკაციაში, რამაც წარმოშვა შინაგანი წინააღმდეგობა.

გარდა აღნიშნული წინააღმდეგობისა, ჩვენთ მოყვანილი თვალსაზრისის გამოყენებისას შეუძლებელი ხდება ადგილის დაძებნა იმ ენათათვის, რომლებიც წარმოშობის მიხედვით იაფეტურზე ადრინდელ სტადიას განეკუთვნებიან. ასეთია ამორფული ენები. იაფეტური ენები, ნ. მარის მიხედვით, მასობრივად აგლუტინაციური არიან, მაგრამ თუ იაფეტური ენები არის საფუძველი ყველა სხვა ენისათვის, მაშინ იაფეტურ ენათა თვისებები უნდა ჰქონოდა მათგან გამოყოფილ ენებსაც. ამავე დროს კი ამორფული ენები, მაგალითად, ჩინური, იაფეტურ ენათა წინა საფეხურზე იმყოფებიან. მაშასადამე, ჩინური ვერ იქნება გამონაყოფი იაფეტურ ენათაგან.

§56. როგორც ვნახეთ, სტადიური კლასიფიკაციის მეორე სქემაშიაც ნ. მარს ენები მორფოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით აქვს განლაგებული (ამორფული, აგლუტინაციური, პოლისინთეტიური, ფლექსიური). ნ. მარი თვლის, რომ ყოველი სტადია წარმოადგენს საფეხურს ენათა განვითარების კიბეზე. ამასთანავე, უკანასკნელი საფეხური ყველაზე სრულყოფილ ენებს შეიცავს. ასეთ

სრულყოფილ ენებად ცხადდება ინდოევროპული ენები. მივმართოთ ამონაწერებს ნ. მარის შრომებიდან:

„სომხეთის ენები, ნაწილობრივ ალბანურიც... წარმომადგენლები არიან გარდამავალი მდგომარეობისა... წმინდა იაფეტურსა და სრულყოფილ ინდოევროპულ ენებს შორის"[1].

იმავე შრომაში ვკითხულობთ: „თვით ყველაზე სრულყოფილ ინდოევროპულ ენებშიაც არსებობს ნაკლებცვლილი, თითქოს რელიქტური იაფეტური ფენები"[2].

გენეალოგიური ხის სქემის განხილვისას ნ. მარი წერს: „დავიწყებთ... არსებული დაგვირგვინებისაგან, სრულყოფილი ტიპისაგან, ინდოევროპულისაგან, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას გენეალოგიურ ხეს"[3].

ამგვარად, ენათა სტადიებს გარკვეული დაფასება ეძლევა. უკანასკნელი სტადია ყველაზე სრულყოფილია. წინა სტადიები? წინა სამი სტადიის ენებს არა მხოლოდ განვითარების უფრო დაბალ საფეხურებზე მდგომებად მიიჩნევს ნ. მარი, არამედ, გაქვავებულ, განვითარების უნარმოკლებულ ენებად აცხადებს მათ.

ამგვარად, მივიღეთ, რომ სტადიური კლასიფიკაცია მართლაცდა ენათა განვითარების პროცესს კი არ ასახავს, როგორც ამას ნ. მარი გვპირდებოდა, არამედ აჯგუფებს ენებს, რომლებიც აღარ ვითარდებიან, გაქვავებული არიან გარკვეულ საფეხურებზე. პირველი სამი სტადიის ენათა „გაქვავებულ", „გადმონაშთურ", „რელიქტურ" ენებად ჩათვლით და იმის აღიარებით, რომ ეს ენები არ შეიძლება განვითარდნენ, ნ. მარმა უარყო ის პრინციპი, რომელიც თითქოსდა საფუძვლად უნდა დასდებოდა სტადიურ კლასიფიკაციას,—განვითარების პრინციპი.

დებულება იმის შესახებ, რომ დითქოს, შესაძლებელია, ენამ შეწყვიტოს განვითარება, პრინციპულად მიუღებელია. მას არავითარი საფუძველი არ მოეპოვება. არ არსებობს და არც არასოდეს არსებობდა განვითარების უნარდაკარგული ენა. ის მრავალრიცხოვანი ენები, რომლებიც ნ. მარმა „გაქვავებულ" ენებად გამოაცხადა, იცვლებიან და ვითარდებიან ჩვენს თვალწინ და ამით ცოცხალ და უტყუარ საბუთებს წარმოადგენენ ნ. მარის შეხედულების გასაბათილებლად.

---

[1] Н. Я. Марр, Индоевропейские языки Средиземноморья, I, გვ. 185.

[2] იქვე.

[3] Н. Я. Марр, О происхождении языка, II, გვ. 195.

ამ საკითხთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა თავის სადისკუსიო წერილში სავსებით მართებულად წერდა:

„საკითხის ასე დაყენებისას აკადემიკოს ნ. ი. მარის თეორიაში ენათა სტადიური კლასიფიკაცია და შესაბამისი გლოტოგონიური პროცესი მოკლებულია ისტორიულობას და ამის გამო პრინციპულად მეტაფიზიკურია, არამეცნიერული"[1].

ზოგი ენის გამოცხადება „გაქვავებულ" ენად, ხოლო სხვა ენების მიჩნევა სრულყოფილ ენებად არა მხოლოდ მცდარ შეხედულებას წარმოადგენს, არამედ საზოგადოებრივადაც მიუღებელია. დავიმოწმებთ ისევ ადგილს ზემოთ დასახელებული წერილიდან: „აკადემიკოს ნ. ი. მარის სტადიური კლასიფიკაცია, რომელიც აცხადებს, რომ გარკვეულ ენებს არა აქვთ განვითარების უნარი, ობიექტურად ხელს უწყობს რასიზმს".

ასეთმა შეფასებამ ნ. მარის მიმდევართა საერთო აღშფოთება გამოიწვია, როგორ თუ ნ. მარის თეორია ობიექტურად ხელს უწყობს რასიზმსო! ამ აღშფოთებას ისინი მათთვის ჩვეული ტონით გამოხატავდნენ თავიანთ სადისკუსიო წერილებში. ასე ნ. ჩემოდანოვი წერდა: „პროფ. ჩიქობავა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ნ. მარი ამცირებდა ცალკეულ ენებს,—მაგალითად, ჩინურს, — რომლებიც თითქოსდა გაქვავდნენ განვითარების გარკვეულ საფეხურებზე. სინამდვილეში, ნ. მართან ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ წარმოშობის მიხედვით ზოგი ენა უფრო ძველია, ხოლო სხვები უფრო ახალი არიან. ენათა განვითარებას ნ. მარი სრულიადაც არ უარყოფდა. პროფ. ჩიქობავა ვერ დაამტკიცებს, რომ ნ. მარი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ბურჟუაზიული მეცნიერების რასობრივ კონცეფციათა კრიტიკას, და ილაშქრებდა „ინდოევროპული ყოყლოჩინობის" წინააღმდეგ, უარყოფდა რომელიმე ენის მიერ განვითარების უნარის ქონას"[2].

იმავე ხასიათისაა ფ. ფილინის გამოსვლაც: „რად ღირს, მაგალითად, პროფ. ა. ჩიქობავას მიერ მარისათვის წაყენებული ბრალდებები, თითქოს იგი ხელს უწყობდა რასიზმს. ბრალდებები, რომლებიც აგებული არიან „ხელოვნურად" შერჩეულ ციტატებზე. თუ მართან მის სტადიურ კლასიფიკაციაში... ჩინური ან ქართული ენები აღმოჩნდებიან ინდოევროპულ ენათა წინა საფეხურებზე, პროფ.

---

[1] არნ. ჩიქობავა, საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ.

[2] Н. Чемоданов, Пути развития советского языкознания. газ. „Правда", 1950, 23. V.

ა. ჩიქობავა ჩქარობს დაასკვნას: აკად. ნ. მარი აცხადებს, ამ ენებს (ქართულს და ჩინურს) არა აქვთ განვითარების უნარიო. ეს დასკვნა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს"[1]. ამას მოსდევს ციტატა ნ. მარიდან, სადაც ქართული ენის მაღალ განვითარებაზეა ლაპარაკი.

ამგვარად, ორივე ავტორი კატეგორიულად უარყოფდა იმ აზრს, რომ ნ. მარი ზოგ ენას განვითარების უნარმოკლებულად მიიჩნევდა, ხოლო ზოგს კი—სრულყოფილად. არნ. ჩიქობავას სტატიაში ნ. მარის შეხედულებათა კრიტიკას წინ უძღოდა ერცელი ამონაწერები ნ. მარის შრომებიდან, რომ ნათელი ყოფილიყო ნ. მარის თვალსაზრისი. ნ. მარის მიმდევრები კამათობდნენ მათთვის ჩვეული წესით: თავიანთი აზრების დასაბუთებას საჭიროდ არ თვლიდნენ. ისინი არაფერს გვეუბნებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ ეგუება მათ განცხადებებს ის მრავალრიცხოვანი ადგილები, რომლებშიაც ინდოევროპული ენები ყველაზე სრულყოფილ ენებად არის ჩათვლილი, ხოლო სხვა ენათა უმრავლესობა „გაქვავებულ" ენებად მიიჩნევა. ზოგი ასეთი ადგილი ნ. მარის შეხედულებათა დალაგების დროს უკვე მოვიყვანეთ. ზოგი შეიძლება ამჟამადაც დავიმოწმოთ. ასე მაგალითად, წინააღმდეგ თავის მიმდევართა განცხადებისა, ნ. მარი ენათა განვითარების შეწყვეტას არ აღიარებსო, თვით ნ. მარი გვეუბნება: „არა მარტო ეგრეთწოდებული ინდოევროპული და სემიტური ენები, არამედ აგრეთვე თურქული, მონღოლური... შემდეგ ჩინური, აფრიკის ენები, ოკეანიის, ასევე ავსტრალიის... ამერიკის მკვიდრთა ენები—ყველა აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად, მაგრამ უთუოდ მონათესავე ერთმანეთისა, ხოლო ამ ენათა სხვაობა დამოკიდებულია იმაზე, რომ არქაული სისტემები შორდებოდნენ ენათშემოქმედების ცენტრს და ძირითადად ისინი თითქმის გაქვავებულად დარჩნენ კაცობრიობის ენობრივი მეტყველების გარკვეულ, უკვე წინ წასულ ენათა მიერ განვლილ საფეხურებზე"[2].

შემთხვევითია თუ არა ასეთი მსჯელობა ნ. მარისათვის? არ არის შემთხვევითი, ვინაიდან იგი მეორდება მის სხვადასხვა დროის შრომებში.

ფ. ფილინი გვეუბნება, როგორ შეიძლება ნ. მარს დავწამოთ ენათა განვითარების უნარის უარყოფა, როდესაც იგი, მაგალითად,

---

[1] Ф. Филин, Против застоя, за развитие советского языкознания, газ. „Правда", 1950, 30.V.

[2] Н. Я. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком, II, გვ. 411.

ქართულს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ენად თვლიდაო და სათანადო ადგილსაც იმოწმებს.

დიახ, ეს მართლაც ასეა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნ. მარი ასეც ამბობდა და სხვაგვარადაც. ქართულის გამოცხადება განვითარებულ ენად ვერ გააქარწყლებს იმ ფაქტს, რომ იაფეტური ენები მთლიანად ნ. მარმა „გადმონაშთ", „რელიქტურ" ენებად გამოაცხადა, რომ იგი გვეუბნებოდა, იაფეტური ენები წინალოგიკური აზროვნების შესაბამისნი არიან, მათ შემოგვინახეს ადამიანური მეტყველება იმ სახით, როგორც იგი პირველ ტრანსფორმაციამდე იყო. იაფეტურ ენებს „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში" განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა არა ამ ენათა მაღალი განვითარების გამო, არამედ პირუკუ, სწორედ იმიტომ, რომ ისინი „რელიქტურ", „გადმონაშთ" ენებად იყვნენ აღიარებულნი, ისეთ საფეხურზე მდგომ ენებად, რომელიც ყველა სხვა ენაზე უძველ გაიარა, ე. ი. იაფეტური ენები ისე ფასდებოდა, როგორც წინაისტორიულ ეპოქათა რომელიმე იშვიათი ამონათხარი.

მეორე საბუთად თითქოსდა უსაფუძვლო ბრალდებათაგან ნ. მარის დასაცავად მის მიმდევრებს ის მოჰყავდათ, რომ ნ. მარი ყოველთვის ებრძოდა რასიზმს ენათმეცნიერებაში და თვითონ მის ხელისშემწყობად როგორ მოგვევლინებოდაო. ჯერ ერთი, ნ. მარი რასიზმს ებრძოდა იქ, სადაც იგი არ არსებობდა. ის რასისტულად თვლიდა ნათესაობის მიხედვით ენათა დაჯგუფებას. მეორეცაადა, არავის არ უთქვამს, რომ ნ. მარი შეგნებულად ცდილობდა რასისტული თვალსაზრისისათვის ხელის შეწყობას. სრულიადაც არა! ნ. მარს დებულება განვითარების უნარდაკარგულ ენათა არსებობის შესახებ რაიმე წინასწარგანზრახვით კი არ წამოუყენებია, აქამდის იგი შინაგანი აუცილებლობით მიიყვანა მცდარმა ამოსავალმა პრინციპმა. ერთიან გლოტოგონიურ პროცესში ყველა ენის ხელოვნურად ჩართვამ აიძულა ნ. მარი უარეყო წინა სტადიებზე მყოფ ენათა განვითარება. ასეთი დასკვნის გაკეთება იმდენად გარდაუვალია სტადიური თეორიის პრინციპთა თვალსაზრისით, რომ ნ. მარი იძულებული გახდა უგულებელეყო თავისივე დებულება, თითქოს ენათა განვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა იწვევდეს. ამ კონტექსტში იგი აღიარებს: „გაქვავებული" ენა მაშინაც ვეღარ განვითარდება, მასზე მოლაპარაკე საზოგადოებამ კულტურის ახალ საფეხურებს რომ მიაღწიოსო.

„მთელი მსოფლიოს ენები წარმოადგენენ ერთიანი გლოტოგონიური პროცესის პროდუქტს, ეკუთვნიან რა წარმოქმნის დროს მიხედვით ამა თუ იმ სისტემას, რომლებიც ერთი მეორეს ცვლიდნენ. ამასთან შეცვლილ სისტემათა ენები განასხვავებენ ხალხებს, რომლებიც მოსწყდნენ საერთო მსოფლიო მოძრაობას, მიუხედავად იმისა. კვლავ ჩაებნენ ისინი მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის წყალობით მსოფლიო ცხოვრების ფერხულში, განვლეს თავისი მაღალი კულტურული განვითარების ახალი ისტორიული გზა განვითარების საერთო სისტემას მოწყვეტილი ენით ან დრომოჭმული სისტემის ენით, თუ ესა თუ ის ხალხები მეურნეობითაც და საზოგადოებრიობითაც მთლიანად გარჩნენ კაცობრიობის განვითარების სათანადო საფეხურებზე“[1].

აქ, როგორც ვხედავთ. არა მხოლოდ ენათა განვითარების შეჩერებაზეა ლაპარაკი, არამედ მეურნეობისა და საზოგადოებისაც. ყოველივე ამას ისიც ერთვის, რომ ვინაიდან ენა აზროვნებას უკავშირდება, ნ. მარი იძულებულია გარკვეულ შემთხვევებში აზროვნებაც გაყინულად გამოაცხადოს. მაგალითად, ჩინურის შესახებ იგი წერს:

„ჩინური ეთნიკური საზოგადოებრივი წარმოდგენა გაიყინა მეტყველების იმ წინაისტორიული მდგომარეობის აზროვნებაზე, რომელიც ხასიათდება კოსმოსური მსოფლმხედველობით «ცა—ღმერთი» ...ამ ფორმალური მხრივ ჩინური შეჩერდა განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც კაცობრიობის ენაში ჯერ კიდევ არ იყო არავითარი დამხმარე ფორმები, სიტყვათა ურთიერთობანი განისაზღვრებოდნენ არა დაბოლოებებით, როგორც რუსულ ენაში, არამედ სიტყვათა განლაგებით“[2].

ენათა განვითარების შეჩერების მიზეზად ნ. მარი მეტყველების წარმოშობის ცენტრის—ხმელთაშუა ზღვის აუზიდან ენათა მოწყვეტას თვლის. რატომ უნდა იწვევდეს ხმელთაშუა ზღვის აუზიდან გასვლა ენის გაქვავებას? ამერიკის ენათა შესახებ ნ. მარი გვეუბნება, რომ ეს ენები თითქოსდა გახევებულნი არიან „ტიპების დაგროვებისა და მონაცვლეობის ბაზის უქონლობის გამო, იმის შედეგად, რომ ისინი მოწყვეტილნი არიან ამ მონაცემების მქონე მასას, რომლის

[1] Н. Я. Марр, Язык, 1927, II, გვ. 135.

[2] Н. Я. Марр. Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, I, გვ. 243.

გარემოშიაც მათ მიაღწიეს ამჟამად მათში არსებულ განვითარების საფეხურს"[1].

სხვა საკითხებს რომ თავი დავანებოთ, ასეთი ახსნა წმინდა მექანისტურია. იგი ენათა განვითარების აუცილებელ პირობად მიიჩნევს ხმელთაშუა ზღვის აუზში ყოფნას და კონტაქტს იმ მასასთან, რომელსაც თურმე აქვს ენის განვითარების უნარი. ჩვენ არ ვსვამთ საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ შეადგენდა ამ მასას. ნ. მარის მიხედვით ხომ ამერიკელებიც, ჩინელებიც, იაფეტიდებიც და საერთოდ ყველა ხალხი მათი ენებიანად ერთ დროს ხმელთაშუა ზღვის აუზში იმყოფებოდნენ. იქიდან გამოსვლისთანავე ენები განვითარებას წყვეტდნენ. მაშასადამე, განვითარების უნარის მიმნიჭებელი ვიღაც სხვა ხალხები ყოფილან?! ან იქნებ თვით ხმელთაშუა ზღვის აუზი ქმნილა განსაკუთრებულ პირობებს ენათა განვითარებისათვის?! ასეთ ბუნებრივ კითხვებზე „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში" პასუხი გაცემული არ არის.

აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ენათა განვითარების შეჩერების დასახელებული „ახსნა" პრინციპში უარყოფს შინაგანი კანონების მიხედვით ენათა განვითარების შესაძლებლობას. თუ მოწყდა ხმელთაშუა ზღვას, მერე ვერავითარი ძალა (კულტურის, საზოგადოების... განვითარება) ვერ გამოიწვევს ენის წინსვლას.

აქაც, „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" მიმდევრები, შესაძლებელია, შემოგვდავებოდნენ იმაში, რომ ნ. მარი მიუთითებდა ენის შინაგანი კანონების მნიშვნელობაზეო. მართალია, ზოგჯერ კიდევაც მიუთითებდა, მაგრამ ეს მითითებები არაფრით არ ასახულა „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში". ენათა განვითარების აუცილებელ პირობად ნ. მარი შეჯვარედინებას თვლის და, მაშასადამე, უგულებელყოფს ენის განვითარების შინაგანი კანონების მნიშვნელობას; ენის განვითარების შეჩერების მიზეზად ნ. მარი ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მოწყვეტას აცხადებს და, ამგვარად, უარყოფს შინაგანი კანონების არსებობას ენათა განვითარებაში. უნდა დავასკვნათ, რომ „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში" ენის განვითარების შინაგანი კანონებისათვის ადგილი არ რჩება.

§57. ნ. მარი ენაში მომხდარ ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ წყობაში და წარმოების პროცესში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებს. პირველი შეხედვით აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა.

---

[1] Н. Я. Марр, Общий курс учения об языке, II, გვ. 72.

ენა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, უმჭიდროესად არის დაკავშირებული ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების ისტორიასთან.

მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა საკითხი, რა მიმართებაშია ენა საზოგადოების ისტორიასთან? ნ. მარის მიხედვით, ეს მიმართება ისეთია, როგორიც ზედნაშენისა ბაზისთან. ნ. მარისთვის ენის ზედნაშენურობა უდავოა.

რა შედეგები მოგვცა ენათა სტადიურ კლასიფიკაციაში ენის ზედნაშენურობის შესახებ მცდარ დებულების გამოყენებამ?— თვლიდა რა ენას ზედნაშენურ მოვლენად, ნ. მარი ფიქრობდა, რომ საზოგადოების სოციალურ წყობილებაში და წარმოების პროცესში მომხდარი გადატრიალებანი იწვევს ენის ტრანსფორმაციას, მის თვისებრივ გარდაქმნას. სწორედ ასეთი გარდატეხებით ხსნიდა ნ. მარი სხვადასხვა სტადიებისა და სისტემების წარმოშობას.

კონკრეტულ ენათა განვითარება გვიჩვენებს, რომ ბაზისისა და მისი შესაბამისი ზედნაშენის მოსპობა და ახალი ბაზისისა და ახალი ზედნაშენის წარმოშობა არ იწვევს არსებული ენის სიკვდილს და ახალი ენის წარმოშობას.

ნ. მარს აუცილებლად მიაჩნია სოციალურ ძვრებთან დაკავშირებით ენის ძირფესვიანი გარდაქმნა, ახალი ენის, ენის განვითარებაში ახალი, თვისებრივად განსხვავებული სტადიის შექმნა. და თუ ეს ბუნებრივად არ ხდება, იგი მაინც მოითხოვს ასეთ გარდაქმნას. ასეთი იყო ნ. მარის აზრი რუსული ენის შესახებ. იგი ამ ენის სტადიურ გარდაქმნას მოითხოვდა რევოლუციასთან დაკავშირებით, სათანადო ადგილიც:

„ენა... ორგანულად უკავშირდება საზოგადოებრიობას, როგორც მისი წარმონაქმნი, წარმონაქმნი მისი წარმოებისა, მისი სტრუქტურისა და მისი ტექნიკური მიღწევებისა, ამასთანავე აგრეთვე აზროვნების შესაბამისი დონისა, და თუ ამ საზოგადოებამ მართლაც მოახდინა ძვრა, თუ ჩვენ მიერ განცდილი რევოლუცია სიზმარი არ არის, მაშინ არ შეიძლება ლაპარაკი არავითარი დროებითი რეფორმის შესახებ არც ენაში, არც გრამატიკაში, არც, მაშასადამე, დამწერლობაში ან ორთოგრაფიაში. არა რეფორმა, არამედ ძირფესვიანი გარდაქმნა, არამედ ძვრა მთელი ამ ზედნაშენური სამყაროსი ახალ რელსებზე, კაცობრიობის მეტყველების სტადიური განვითარების ახალ საფეხურზე, რევოლუციური შემოქმედებისა და ახალი ენის შექმნის გზაზე“[1].

[1] Н. Я. Марр, Язык и письмо, 1929, II, გვ. 370—371.

სრულიად აშკარაა, რომ ეს შეხედულება არ ასახავს ენათა განვითარების გზებს. მიუხედავად ნ. მარის მოწოდებისა, რევოლუციის შემდეგ რუსული ენა არ მომკვდარა და მის ნაცვლად ახალი ენა არ შექმნილა.

ძველ ბაზისთან ერთად ენის უეცარი სიკვდილისა და მის ნაცვლად ერთბაშად ახალი ენის წარმოშობის შესახებ შეხედულებას სრულიად უდევს დებულება, რომ ენები აფეთქებათა გზით ვითარდება. ეს დებულება არ არის გამართლებული ფაქტობრივი ვითარებით. ენათა გადასვლა ძველი თვისებრიობიდან ახალში ხდება თანდათანობით, ძველის ელემენტების თანდათანობითი კვდომისა და ახლის ელემენტების თანდათანობითი დაგროვების გზით. ამიტომ არის, რომ ი. ბ. სტალინი არამარქსისტულად თვლის ენათა სტადიურ კლასიფიკაციას, რომელიც აფეთქებათა გზით ენათა ცვალებადობის პრინციპს ემყარება.

„ამბობენ, რომ ენის სტადიური განვითარების თეორია მარქსისტული თეორიაა, რადგან მას აუცილებლად მიაჩნია უეცარი აფეთქებანი, როგორც პირობა ენის გადასვლისა ძველი თვისებრიობიდან ახალში. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, რადგან ძნელია რაიმე მარქსისტული ვიპოვოთ ამ თეორიაში. და თუ სტადიურობის თეორია ნამდვილად აღიარებს უეცარ აფეთქებებს ენის განვითარების ისტორიაში, მით უარესი მისთვის. მარქსიზმი არ ცნობს უეცარ აფეთქებებს ენის განვითარებაში, არსებული ენის უეცარ სიკვდილს და ახალი ენის უეცარ შექმნას“[1].

თანამედროვე რუსული ენის სტადიური განვითარების შესახებ ნ. მარის ზემოთ მოყვანილი აზრი ნათლად წარმოგვადგენინებს ავტორის შეხედულებას ენის სტადიური განვითარებისა და საზოგადოების ისტორიის კავშირის შესახებ და ააშკარავებს ამ შეხედულების მცდარობას. რეალური საფუძველი ამ შეხედულებას არ მოეპოვება. ამიტომ არის, რომ ნ. მარი ხშირად ლაპარაკობს სტადიურ გადასვლათა დამოკიდებულებაზე სოციალურ ძვრებზე და მატერიალური კულტურის სფეროში გარდატეხებზე, მაგრამ ამ დამოკიდებულების ჩვენებას კონკრეტული ფაქტებით ვერ ახერხებს. გვრჩება ზოგადი დებულება, რომლის დასაბუთება შეუძლებელია ენათა ისტორიის მონაცემებით. ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ნ. მარმა ცადა მატერიალურ კულტურაში მომხდარი ძვრისათვის დაეკავშირებინა ენათა ახალი სტადიის წარმოშობა. ესაა ინდოევ-

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 25.

როპულ ენათა წარმოშობის ახსნა. ეს ენები, ნ. მარის მიხედვით, წარმოადგენენ იაფეტურ ენათა ტრანსფორმაციის შედეგს, რაც გამოწვეული იყო მეტალურგიის განვითარებითო. ესეც დაუსაბუთებელი განცხადებაა და ამიტომ ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებული.

საკითხის ამგვარად დასმა, როგორც ამაზე მიუთითეს საენათმეცნიერო დისკუსიაში, ორ წინაალმდეგობას შეიცავს: 1. თუკი მეტალურგიის შემოქმედნი იაფეტიდები იყვნენ, ხოლო ლითონების დამუშავება იყო მიზეზი ენათა ტრანსფორმაციისა, რატომ სწორედ იაფეტური ენები არ აღმოჩნდნენ განვითარების ახალ საფეხურზე? რატომ შემორჩნენ იაფეტური ენები წინა საფეხურს? 2. თუკი იაფეტურმა ენებმა ტრანსფორმაცია განიცადეს, როგორღა განაგრძობენ ისინი არსებობას მათგან წარმოშობილ ინდოევროპულ ენათა გვერდით? „წარმომშობი და წარმოშობილი შეიძლება არსებობდეს ერთმანეთის გვერდით ცოცხალ არსებათა სამყაროში: შვილის დაბადების შემდეგ მშობლები არ ქრებიან. ენაში კი არ შეიძლება არსებობდეს ახალგანვითარებული ენა და ენა, რომლის შეცვლითაც წარმოიშვა ახალი ენა (ხალხური ლათინური არ არსებობს იტალიური ენის გვერდით, რომლის სათავეც ხალხური ლათინურია)“[1]. ერთი საკითხიც ჩნდება: თუკი ლითონების დამუშავება იწვევს ენათა ახალი სტადიის წარმოქმნას, დღეს ხომ ყველა ხალხი იყენებს ლითონებს, რატომ ყველა ენამ არ განიცადა სათანადო ტრანსფორმაცია?

ნ. მარი იქამდისაც კი მიდის, რომ იგი ენათა მორფოლოგიურ ტიპებს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ამსახველად თვლის. აქაც, ჩვეულებრივ, განცხადებით კმაყოფილდება იგი, დებულების კონკრეტიზაციას არ ახდენს. მაგრამ ერთგან ნ. მარი მაინც შეეცადა გაეცლო პარალელი საზოგადოების სტრუქტურასა და ენათა მორფოლოგიურ სტრუქტურას შორის. და რა მივიღეთ? თურქე ამორფული ანუ სინთეზური წყობა პირველყოფილი კომუნიზმის შესაბამისია, ვინაიდან ისევე, როგორც საზოგადოებაში არ არსებობს სოციალური უთანასწორობა, ენაშიაც არ არის გარჩეული ძირითადი და ფუნქციური მნიშვნელობა. საზოგადოების დანაწილებას პროფესიებად შედეგად მოჰყოლია ენაში მეტყველების ნაწილთა, წინადადების წევრთა და სხვ. გამოყოფა. კლასობრივ საზოგადოებაში კი ფლექსიური ტიპის ენები შექმნილან (აქ უკვე აღარ არის ნაჩვე-

[1] არნ. ჩიქობავა, საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ.

ნები რაში მდგომარეობს მათ შორის შესატყვისობა)[1]. ცხადია, ასეთ მექანისტურ დაკავშირებას არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს ენათა ისტორიაში[2].

სტადიათა ტრანსფორმაციისათვის, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნ. მარი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა შეჯვარედინებას. ჩვენი აზრით, აქაც სტადიურ კლასიფიკაციაში მექანიკურად გადმოტანილია ერთი იმ პრინციპთაგანი, რომელიც უფრო ადრე მისი თეორიის განვითარების სხვა ეტაპზე შეიმუშავა ნ. მარმა. ენათა განვითარების უნივერსალურ პრინციპად შეჯვარედინების გამოცხადება სჭირდებოდა ნ. მარს 1920—1923 წლებში, როდესაც იგი იაფეტურ ენათა ფენას გამოყოფდა ენათა სხვადასხვა ოჯახში და მას ამ ფენის არსებობის ახსნა მხოლოდ შეჯვარედინებით შეეძლო. სწორედ ამ დროს ეკუთვნის გამონათქვამები:

„შეჯვარედინება განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს თამაშობდა"[3]. „ამას უკავშირდება აუცილებლობა ენათა შეჯვარედინებისა, პროცესისა, რომელიც ისევე აუცილებელი იყო დასაწყისში საერთოდ ადამიანური მეტყველების ჩასახვისათვის, როგორც შემდგომ მისი ახალი მეტად სრულყოფილი ტიპების გამომუშავებისა და ახალ მრავალრიცხოვან საბეობათა და ქვესახეობათა შექმნისათვის"[4].

სტადიური თეორიის შექმნის შედეგად ნ. მარისათვის აუცილებელი აღარ უნდა ყოფილიყო ენათა ერთმანეთთან დაკავშირება შეჯვარედინების გზით. ეს კავშირი ნავარაუდევი იყო ყველა ენის საერთო წარმოშობით, ერთიანი გლოტოგონიური პროცესითა და სტადიათა მონაცვლეობით. ამ ცვალებადობას ნ. მარი ხსნიდა საზოგადოებაში მომხდარი ძვრებით. მიუხედავად ამისა, შეჯვარედინება ბოლომდე შერჩა „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას", როგორც სტადიათა ტრანსფორმაციის ერთი ძირითადი მიზეზი. მაგალითად:

„ინდოევროპული ენები... წარმონაქმნია შეჯვარედინების განსაკუთრებული, უფრო რთული საფეხურისა, რაც გამოწვეულია გადა-

---

[1] Н. Я. Марр, Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теории, III, გვ. 71.

[2] აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ დარღვეულია ნ. მარისათვის ძირითადი დებულება, ენა იმთავითვე კლასობრივი მოვლენაა: ენათა ორი მორფოლოგიური ტიპი,—ამორფული და აგლუტინაციური, წინაკლასობრივ საზოგადოებაში წარმოშობილი გამოდის.

[3] Н. Я. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании Средиземноморской культуры, 1920, I, გვ. 89.

[4] Н. Я. Марр, Яфетиды, 1922, I, გვ. 131.

ტრიალებით საზოგადოებრიობაში წარმოების იმ ახალი ფორმების შესაბამისად, რომლებიც, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ლითონების აღმოჩენასთან და მეურნეობაში მათ ფართო გამოყენებასთან"[1].

გაუგებარია, საზოგადოებაში მომხდარი გადატრიალება რატომ უნდა უკავშირდებოდეს უეჭველად შეჯვარედინებას? შეიძლებოღა კაცს ეფიქრა ზემოთ დასახელებული ადგილი მოყვანილია ერთერთი ადრინდელი შრომიდან (1924 წ.), რომელშიაც პირველად იქნა გამოყენებული სტადიურობის პრინციპი და ამით აიხსნება ძველი შეხედულების (შეჯვარების შესახებ) უარყოფა, მაგრამ გვიანდელ შრომებშიაც, ჩვეულებრივ, ნ. მარი შეჯვარედინებას ენათა სტადიური გარდაქმნის აუცილებელ პირობად აცხადებს[2]. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ შეჯვარედინებას ნ. მარი ენის კლასობრიობის მცდარ პრინციპს უკავშირებს:

„თვით ერთი ენის მეორეში შეღწევა (проникновение) იყო სოციალური გზებით გაბატონებული ფენების, კლასების მეშვეობით[3].

ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად ზემოთ მოყვანილ შეხედულებას ინდოევროპულ ენათა წარმოშობის შესახებ. ამ შეხედულებით ინდოევროპული ენები მასების ენები კი არ იყო, არამედ გაბატონებული კლასებისა. შემდეგ თვითონ ნ. მარის სიტყვები მოვიყვანოთ, ვინაიდან დალაგება გვიჭირს: „ასეთ გაბატონებულ კლასთან ერთად შემოიტანებოდა, ალბათ, არა მზა ინდოევროპული რომელიმე კონკრეტული ენა... არამედ ახალი ტიპოლოგიური ფორმაცია ენებისა, გარდამავალი წინაისტორიული იაფეტურისაგან ისტორიული ინდოევროპულისაკენ და სადაც არ უნდა შეეტანა იგი იმ გაბატონებულ კლასს... ადგილობრივ, არსებულ მოსახლეობასთან მის წინაისტორიული იაფეტური ტომური შედგენილობის პირობებში, მუშავდებოდა ამა თუ იმ კონკრეტულ, უკვე სავსებით სრულქმნილ ინდოევროპულ ენად... თითოეული ენა .. მასში გადმონაშთურად არსებულ წინაისტორიულ იაფეტურ ენებთან შერევის გზით... გამოიშავება თავისებურ სრულქმნილ სახედ"[4].

---

[1] Н. Я. Марр, Индоевропейские языки Средиземноморья, I, გვ. 185.

[2] ამით იმის თქმა კი არ გვსურს, თითქოს „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას" შეეძლო უარი ეთქვა შეჯვარედინების თეორიაზე მთლიანად. ნ. მარს შეჯვარედინების თეორია უეჭველად სჭირდებოდა იმისათვის, რომ გაეაბოლებინა „ორელემენტოვან" და „სამელემენტოვან" სიტყვათა არსებობა, მაგრამ ერთი სტადიიდან მეორეში ენის გადასვლის ახსნისათვის, ვფიქრობთ, შეჯვარედინების თეორიის გამოყენება აუცილებელი არ იყო.

[3] Н. Я. Марр, Яфетические языки, I, გვ. 306.

[4] Н. Я. Марр, О происхождении языка, II, გვ. 194.

ეს ერთი იმ მრავალრიცხოვან ადგილთაგანია ნ. მარის შრომებში, რომლისგანაც ჭირს გარკვეული აზრის გამოტანა. დაახლოებით ასე გამოდის: სრულყოფილ ინდოევროპულ ენათა ჩამოყალიბებამდე რაღაცა სახით ინდოევროპული ენები მაინც არსებობდნენ. ისინი ვაბატონებული კლასების კუთვნილებას წარმოადგენდნენ. ამ გაბატონებულ კლასებს შეჰქონდათ ეს ენები აფრევრაზიაში. აქ მათ ხვდებოდა ადგილობრივი იაფეტური ენები და მათთან შეჯვარედინებით გამომუშავდებოდა უკვე სრულყოფილი ინდოევროპული ენები.

ჩვენ ვერ გამოვუდგებით ყველა იმ წინააღმდეგობის განხილვას, რომელიც ზემოთ მოყვანილ ადგილებში გვხვდება, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ენის კლასობრიობის საკითხს. აღიარა რა ენა კლასობრივ მოვლენად, ნ. მარმა ვერსად ვერ დაადასტურა ცოცხალი კლასობრივი ენები, მაგრამ ამან მას არ შეუშალა ხელი იმაში, რომ ძველი, მკვდარი ენები გარკვეული კლასების კუთვნილებად გამოეცხადებინა. და გამოდის, რომ უხსოვარ ღროში მთელ აფრევრაზიაში დახეტიალობდნენ გაბატონებული კლასები (თუმცა არ ჩანს, ვისზე იყვნენ გაბატონებული?), რომლებსაც თან მოჰქონდათ არა კონკრეტული ენა, არამედ იაფეტურიდან ინდოევროპულისაკენ გარდამავალი ფორმაცია (ეს კი სრულიად წარმოუდგენელი რამ არის!) და მხოლოდ შემდეგ იაფეტურ ენებთან (რომლებზე მოლაპარაკეებიც, ალბათ, დაიმონეს იმ „გაბატონებულმა კლასებმა“) შეჯვარედინებით ჩამოყალიბდა კონკრეტული ინდოევროპული ენები.

არც შეჯვარედინების საკითხის მხრივ გვაქვს უკეთესი მდგომარეობა. გამოდის, რომ ინდოევროპული ენები (ნაკლებ სრულყოფილ, მაგრამ მაინც) ინდოევროპულ ენათა და იაფეტურ ენათა შეჯვარედინებით შეიქმნა. მაშ, შეჯვარედინებამ მართლა კი არ წარმოშვა, არამედ უფრო სრულყოფილი გახადა ინდოევროპული ენები. რაც მთავარია, ამ სქემის მიხედვით, ადგილი აღარ რჩება სოციალურ ძვრებთან დაკავშირებით ენათა ტრანსფორმაციისათვის. ტრანსფორმაცია იმას გულისხმობს, რომ ერთ დროს არსებობდა მხოლოდ იაფეტური ენები და შემდეგ ლითონების დამუშავებამ გამოიწვია მათი გარდაქმნა ინდოევროპულ ენებად. აქ ეს შესაძლებლობა გამორიცხულია.

ამგვარად, სტადიური განვითარების პრინციპი ლოგიკურად არა მხოლოდ არ საჭიროებს შეჯვარედინების თეორიის დახმარებას, არამედ ეს უკანასკნელი ხელსაც კი უშლის პირველს.

როგორც ვნახეთ, ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია ეყრდნობა „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრების“ ძირითად პრინციპებს. ესენია:

1. დებულება ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ, რომლის მიხედვითაც ყველა ენა ერთი და იმავე მასალისაგან არის წარმოშობილი და განვითარების ერთსა და იმავე გზებს გაივლის.

2. სტადიურ გარდაქმნათა მიზეზად სოციალურ წყობილებაში და წარმოების პროცესში მომხდარი გადატრიალებების გამოცხადება.

3. შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ენათა განვითარება აფეთქებათა გზით ხორციელდებოდეს.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სამივე ეს ამოსავალი პრინციპი მცდარია. ამიტომ გასაგებია, რომ მათზე დამყარებული სტადიური კლასიფიკაციაც მოკლებული იქნება საფუძველს.

ნ. მარის მიმდევრები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ნ. მარს სტადიური კლასიფიკაცია საბოლოო სახით არ ჩამოუყალიბებია, რომ არ არის დამაკმაყოფილებელი სტადიური განვითარების თვალსაზრისით ენათა განაწილების ცდები. მაგრამ, მათი აზრით, სწორია და მისაღები ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ნ. მარი ენათა სტადიურ კლასიფიკაციას უდებდა საფუძვლად. ნ. მარის კლასიფიკაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთი შეხედულება არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. ენათა სტადიურ კლასიფიკაციაში მთავარია არა ის ხარვეზები, რომლებიც ამ კლასიფიკაციის სათანადოდ დაუმუშავებლობის შედეგს წარმოადგენს, არამედ ის უმთავრესი შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებსაც ამ კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპის მცდარობა წარმოშობს. ამ შინაგან წინააღმდეგობებს ვერ მოსნის ვერავითარი დამუშავება.

ამოსავალ დებულებათა მცდარობა არის მიზეზი იმისა, რომ „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ გაურკვეველი დარჩა თვით ძირითადი ცნება სტადიური კლასიფიკაციისა (არ არის დადგენილი, რას წარმოადგენს სტადია). გაურკვეველი დარჩა იმიტომ, რომ სტადია უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი წყობილების შესატყვისი საფეხური ენის განვითარებაში. ნამდვილად კი ასეთი შესატყვისობა ენასა და სოციალურ ფორმაციებს შორის არ არსებობს.

აქედან აშკარაა, რომ ნ. მარის სტადიური კლასიფიკაცია მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს და ამიტომ პრინციპულად მიუღებელია.

ენათა სტადიური კლასიფიკაცია ი. მეშჩანინოვისა

§ 8. აკად. ი. მეშჩანინოვის ძირითად საკვლევ თემას წლების განმავლობაში ენათა სტადიური კლასიფიკაცია წარმოადგენდა. ამ თემას უძღვნა მან სამი სპეციალური მონოგრაფია და მრავალრიცხოვანი სტატიები. ამიტომ, ბუნებრივია, განვიხილოთ საკითხი, რა სახე მიიღო ენათა სტადიურმა კლასიფიკაციამ ი. მეშჩანინოვთან.

ი. მეშჩანინოვთან ენათა სტადიური კლასიფიკაციის შესახებ მსჯელობა გვხვდება ჯერ კიდევ 1929 წელს „იაფეტიდოლოგიის შესავალში"[1], ხოლო 1931 წელს ამ საკითხზე სპეციალური წერილი იბეჭდება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში[2]. ამ ადრინდელ შრომებს ჩვენ არ შევეხებით, ვინაიდან მათში პრინციპულად ახალი ნ. მარის სტადიურ კლასიფიკაციასთან შედარებით არაფერია. ავტორი ალაგებს ნ. მარის კლასიფიკაციას და იძლევა მის დეტალიზაციას. ჩვენი ყურადღების საგანია 1934 წლის შემდგომ გამოსული შრომები, რომლებშიაც ი. მეშჩანინოვმა საკმაო ცვლილებები შეიტანა ნ. მარის სტადიურ კლასიფიკაციაში.

ენათა სტადიურ კლასიფიკაციას ი. მეშჩანინოვი „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" ძირითად პრობლემებთან კავშირში განიხილავს. ამ საკითხზე მსჯელობისას ავტორი, მისივე თქმით, ნ. მარის დებულებებს იცავს. ი. მეშჩანინოვი გვეუბნება, რომ ნ. მარმა წამოაყენა ოთხი თემა, რომლებსაც ეჭყარება ახალი ეტაპი თეორიულ ენათმეცნიერებაში. ეს თემებია: ენა და საზოგადოება, ენა და აზროვნება, გლოტოგონიური პროცესის ერთიანობა და ენის განვითარებაში სტადიური გადასვლები.

პირველ თემასთან დაკავშირებით ავტორის შეხედულებები ასეთია: ენაში მომხდარი ძვრები საზოგადოებაში მომხდარი ძვრებით არის გამოწვეული.

„ეს ძვრები, რომლებიც შეიმჩნევა ენაში, გამოწვეულია არა თვით ენის საკუთრივი, იმანენტური განვითარებით, არამედ ისტორიულად შეპირობებულია ძვრებით საზოგადოებრივ წრეში"[3].

---

[1] Введение в яфетидологию, Ленинград, 1929.

[2] К вопросу о языковых стадиях, ИАН СССР, 1931, № 7.

[3] Новое в учении о языке. Речь на торжественном заседании юбилейной сессии Академии Наук СССР, 1945, გვ. 9.

„ენა თავისთავად არ იცვლება. მასში ცვლილებები შეიტანება იმ სოციალური წრის მიერ, რომელიც იყენებს მას, როგორც კომუნიკაციის აუცილებელ საშუალებას“[1].

ენის საზოგადოებრივი ბუნება ი. მეშჩანინოვს ნ. მარისებურად ესმის. იგი ურყევად თვლის დებულებას, რომ ენა ბაზისის ზედნაშენს წარმოადგენს. იგი წერს: „აღიარა რა ენის როგორც ზედნაშენური რიგის მოვლენის დამხმარე როლი, ნ. მარი გადავიდა ზედნაშენში ბაზისის ასახვის შესწავლაზე“[2]. სხვაგან „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ პირველ ძირითად დებულებად იგი თვლის „მიდგომას ენისადმი, როგორც ზედნაშენური სფეროსადმი“[3].

ასევე ურყევად მიაჩნია მას დებულება ენის კლასობრიობის შესახებ. ოღონდ ნ. მარისაგან განსხვავებით, ენას დასაბამიდანვე კლასობრივ მოვლენად კი არ თვლის, არამედ კლასობრივი ენები გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასების წარმოშობის შემდეგ წარმოიშვაო, გვეუბნება. „კლასობრივ საზოგადოებაში ენაც კლასობრივ ხასიათს იღებს. მაშასადამე თითოეული ენის შიგნით იქმნება მის გახლეჩილ წარმომადგენელთა ურთიერთობა, ე. ი. ირღვევა თვით ენის ერთიანობა, რაც შეიმჩნევა წინა-კლასობრივი საზოგადოების ტომობრივ მეტყველებაში“[4].

აქედან კი კეთდება დასკვნა: „წინაკლასობრივი საზოგადოების ენათა დაჯგუფებას ექნება თავისი განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა იმ ნიშნებს, რომლებიც საფუძვლად უდევს უკვე კლასობრივ ფორმაციათა ენების დაყოფას“[5].

ი. მეშჩანინოვის ადრინდელ შრომებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი გამონათქვამები, რომელთა მიხედვითაც, საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები პირდაპირ და უშუალოდ აისახება ენაში, აისახება მის როგორც ლექსიკურ მხარეში, ისე სტრუქტურაშიაც.

„ენები თავისთავად არ წარმოიშვება. ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრიობის პროდუქტს და შეპირობებული არიან მისი

---

[1] Новое учение о языке на современном этапе развития, 1948, გვ. 6. გ.

[2] Проблема классификации языков в свете нового учения о языке, 1935, გვ. 46.

[3] Глоттогонический процесс и проблема стадиальности. ИАН СССР ОЛЯ, 1941, № 3, გვ. 8.

[4] Проблема классификации языков в свете нового учения о языке, გვ. 28—29.

[5] იქვე, გვ. 29.

ცხოვრებით. საზოგადოების განვითარებას მივყავართ არა მხოლოდ ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვალებადობისაკენ, სოციალურ საფუძველზე იცვლება მორფოლოგიაც და სინტაქსიც, რაც აისახება მეტყველების მთელ წყობაში. ვიღებთ ენობრივ პერიოდიზაციას, რომლის განვითარებაც თავისთავად არ ხდება"[1].

ამის საფუძველზე საჭიროდ არის მიჩნეული ენათა ტიპების დაკავშირება სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებთან, თუმცა ეს ძნელი საქმეაო, გვაფრთხილებს ავტორი. „წამოიჭრება ამოცანა არა მხოლოდ დადგინდეს შესასწავლი ენის ამჟამინდელი ჩონჩხი ფორმალურ-შედარებითი მიდგომით, არამედ აგრეთვე გამოვლინდეს მისი არსი ისტორიულ-სოციალური მიდგომის შედეგად, და რაც უფრო რთულია საზოგადოებრივი სტრუქტურა, მით უფრო რთულია ენის ურთიერთობა საზოგადოებასთან, კერძოდ, მით უფრო რთულია ენობრივი სტადიების დაკავშირება სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებთან"[2].

უფრო დამახასიათებელია ავტორისათვის ისეთი მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, ენა უკავშირდება საზოგადოებას არა უშუალოდ, არამედ აზროვნების მეშვეობით. საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები ჯერ ცნობიერებაში აისახება, ხოლო აქედან ენაში. ამგვარად, გადავდივართ მეორე ძირითად თემაზე (ენა და აზროვნება).

„ცვლილებები მეტყველების სტრუქტურაში სტიქიურად და დამოუკიდებლად კი არ მიმდინარეობს, არამედ შეპირობებულია ცნობიერების ნორმათა მოძრაობით და დამოკიდებულია მათ ცვლილებებზე. ეს უკანასკნელნი თავიანთი მხრივ შეპირობებული არიან საზოგადოების მატერიალური ცხოვრებით და მისი განვითარების ისტორიული მსვლელობით"[3].

„ადამიანთა ყოფიერება, მათი ცხოვრების რეალური პროცესი ისტორიულად განსხვავებულია. მის მიერ დგინდება ცნობიერების, როგორც გაცნობიერებული ყოფიერების, სხვადასხვა ნორმები, რაც აუცილებლად აისახება ენაში, როგორც აზრის უშუალო სინამდვილეში"[4].

დებულება ერთიანი გლოტოგონიური პროცესის შესახებ ენის ისტორიულ ასპექტში განხილვას ემყარება. ი. მეშჩანინოვი ღაღინე-

---

[1] Новое учение о языке, 1936, გვ. 281.
[2] Проблема классификации языков.... გვ. 28.
[3] Глоттогонический процесс и проблема стадиальности, გვ. 10.
[4] Общее языкознание, 1940, გვ. 24.

ბით მოითხოვს ენის ისტორიულ შესწავლას. „არც ერთ შესასწავლ ენას მთელი მისი შემადგენლობით და მისი ამჟამინდელი ნიშნებით არ შეუძლია გამოავლინოს თავისი ნამდვილი მდგომარეობა მისადმი და მისი შემადგენელი ნაწილებისადმი ისტორიული მიდგომის გარეშე“[1].

„ენის ყველა მოვლენას თავისი ისტორიული საფუძველი აქვს. ისინი ადამიანთა საზოგადოების მიერ გავლილი ისტორიის პროდუქტებია. ამიტომ ენა თავისი სოციალური ბუნებით, ავლენს რა განვითარების დიალექტიკური მსვლელობის მომენტებს, ექვემდებარება ისტორიული მოძრაობის კანონებს“[2].

ერთიანი გლოტოგონიური პროცესი ი. მეშჩანინოვთან მდგომარეობს ენათა განვითარების ძირითადი გზების ერთგვაროვნობაში. იგი არ გულისხმობს წარმოშობის მიხედვით, ე. ი. მასალობრივ ერთიანობას, არც ენობრივ ტიპთა სრულ დამთხვევას. ენობრივი სტრუქტურების მსგავსებათა მიზეზად აღიარებულია აზროვნების ნორმების მსგავსება.

„აზროვნების მსგავსი ნორმები იმუშავებს მეტყველების ფორმალური მხარის მსგავსებას. მაგრამ აქაც ენობრივი განვითარების მონიზმი სრულიადაც არ მოასწავებს ენობრივ წყობაში მისი გარეგნული გამოვლენის მათემატიკურ სიზუსტეს, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ენები არ გვაძლევს საწყის მთლიან პრაენობრივ მდგომარეობას. ფორმალური მხარის მსგავსება, ასეთ პირობებში, სრულიადაც არ ნიშნავს ენის ერთიანობას არც ამჟამად, არც შორეულ წარსულში ერთ ენობრივ წარმომადგენელში მისი რეალური ერთიანობის გაგებით. მით უფრო ნაკლებ შეიძლება ვილაპარაკოთ ენობრივი ტრანსფორმაციის ერთიანობაზე მეტყველების შედგენილობისა და მეტყველების წყობის ფორმალურ ცვლილებათა პროცესის ზუსტი მსგავსების აზრით. მონიზმი, სინამდვილეში, მდგომარეობს განვითარების ერთიან პროცესში დიალექტიკური ისტორიზმის მთელ სირთულეში“[3].

სხვა ადგილას ვკითხულობთ: „გლოტოგონიური პროცესის ერთიანობა სრულიადაც არ წარმოადგენს ენობრივი წყობის ერთიანობას მის ფორმალურ გამოვლენაში მთელ დედამიწაზე და კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდში. პირუკუ, იგი სხვადასხვაგვარია თავის გარეგან გამოვლენაში დროშიაც და სივრცეშიაც, ერთიანდე-

[1] Новое учение о языке, გვ. 281.

[2] Новое учение о языке на современном этапе развития, 1948, გვ. 23.

[3] Новое учение о языке, გვ. 286.

ბა რა არა ფორმალური მხარის, არამედ ენის განვითარების გზების ერთიანობით, რაც საბოლოო ჯამში შეპირობებულია საზოგადოებრივ ფორმათა გზების განვითარების ზემოთ აღნიშნული ერთიანობით..., რომელიც დგინდება ისტორიული მატერიალიზმის მიერ"[1].

ი. მეშჩანინოვის გაგებით, ერთიანი გლოტოგონიური პროცესი ენათა ნახტომისებურ განვითარებას ემყარება. იგი ევოლუციურ განვითარებას სრულიად უარყოფს. აქაც ი. მეშჩანინოვი ნ. მარს ემყარება:

ნ. მარი „აღიარებს არა ევოლუციურ, არამედ მკვეთრად ცვალებად განვითარებას მეტყველებისა. იგი ადგენს მკვეთრ ძერებს, ნახტომებს, რომლებსაც მივყავართ ახალი თვისებრივი წარმოქმნისაკენ, ენობრივი განვითარების ახალი საფეხურისაკენ. თანდათანობითი ევოლუციური მოძრაობის ნაცვლად ნ. ი. მარი ადგენს საფეხურებრივ გადასვლას, რომელსაც ის სტადიურს უწოდებს"[2].

ასევე კატეგორიულად არის ნათქვამი 1945 წელსაც: „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება, დოკუმენტურ მონაცემთა საფუძველზე, მიდის დასკვნამდე, რომ ენები მათ ისტორიულ განვითარებაში განიცდიან არა ევოლუციურ მოძრაობას, არამედ ძირფესვიან ცვლილებებს, რომლებიც გვაძლევენ თვისებრივად ახალ წარმონაქმნებს"[3].

მხოლოდ 1947 წელს ენის ევოლუციური გზით განვითარების შესაძლებლობაც არის დაშვებული. აქაც ნ. მარს იმოწმებს ავტორი: „მთელ საენათმეცნიერო მოძღვრებას საფუძვლად უდევს შესწავლა როგორც ენობრივი ფორმების განვითარების ევოლუციური მსვლელობისა, ისე ისეთისაც, რომელსაც ძირფესვიან ცვლილებებამდე მივყავართ"[4]. „ენის განვითარება, ისევე როგორც ისტორიული პროცესის ყველა გამოვლენისა, მიმდინარეობს ევოლუციურად და ტრანსფორმაციულად"[5].

ძირითადად მაინც ნახტომისებური ცვლილებებია მიჩნეული: „ისტორიკოს-ენათმეცნიერისათვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს სწორედ უკანასკნელი რიგის (ე. ი. ტრანსფორმაციული. — თ. შ.) ცვლილებები"[6].

---

[1] Общее языкознание, გვ. 4.

[2] Глоттогонический процесс и проблема стадиальности, გვ. 10.

[3] Новое учение о языке, გვ. 8—9.

[4] Учение Н. Я. Марра о стадиальности, ИАН СССР ОЛЯ, 1947, ტ. VI, ნაკვ. 1, გვ. 35.

[5] Новое учение о языке на современном этапе развития, გვ. 23.

[6] იქვე: გვ. 10.

ენათა ტრანსფორმაცია, ი. მეშჩანინოვის მიხედვით, ორი პროცესის შედეგად შეიძლება განხორციელდეს. ერთი არის ენის შინაგანი გარდაქმნა, ხოლო მეორე—ენათა დაახლოება, შეჯვარედინება.

„ამ პროცესის (ე. ი. ენობრივ სისტემათა ტრანსფორმაციის.—თ. შ.) მსვლელობაში ვლინდება არა მხოლოდ შინაგანი ენობრივი გარდაქმნანი, არამედ აგრეთვე ენობრივი დაახლოებანი"[1].

უფრო გვიანდელ შრომაში კი, სახელდობრ, 1948 წელს, ი. მეშჩანინოვი მხოლოდ შეჯვარედინებას ასახელებს, შინაგან ტრანსფორმაციას აღარ გამოყოფს: „შეიძლება ადგილი ჰქონდეს უფრო რადიკალურ ცვლილებებსაც, რომლებიც ქმნიან ახალი თვისებრიობის წარმონაქმნებს. ამ ნიადაგზე, შეჯვარედინების პროცესში, მიიღება ახალი ენები, ძველი ფორმები გამოდიან ახალი შინაარსით ანდა სხვაგვარი გრამატიკული გამოყენებით"[2].

ენათა ტრანსფორმაციული განვითარება საფუძვლად ედება სტადიურ კლასიფიკაციას. აი, სათანადო ადგილებიც: „ენები განიცდიან ტრანსფორმაციულ ძვრებს სრულიადაც არაწყნარი (плавный) ევოლუციური მდინარებისა და უკვე ეს იძლევა საფუძველს დაისვას საკითხი მეტყველების არსებულ წარმომადგენელთა კლასიფიკაციური განაწილების შესახებ, ყოველ შემთხვევაში, სტადიების მიხედვით"[3].

„ენის ერთი სტრუქტურა იცვლება მეორით, წარმოქმნის რა ისტორიულ ჭრილში გადასვლებს ენათშემოქმედების ერთი საფეხურიდან მეორეზე. ამით დგინდება ენაში სტადიური გადასვლები, ერთი სტადიის ცვლა მეორით"[4].

ამგვარად აშუქებს ი. მეშჩანინოვი „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" ოთხ ძირითად პრობლემას. ეს პრობლემები, მისი თქმით, მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან: „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების ძირითადი კონცეფცია დაიყვანება იმის მტკიცებამდე, რომ საენათმეცნიერო კვლევა-ძიებაში აუცილებელია ყველა ენობრივი მოვლენის სოციალური მნიშვნელობის შესწავლის ყოველმხრივი გაღრმავება (ენა და საზოგადოება), ხოლო სოციალური საფუძველი გამოვლინდება ენაში ცნობიერების მოქმედი ნორ-

---

[1] Проблема классификации языков.., გვ. 11, შდრ. იქვე, გვ. 19, სადაც პირველ პროცესს შინაგან ტრანსფორმაციას უწოდებს ავტორი, ხოლო მეორეს—შეჯვარებას, ეს ადგილი მეორდება Новое учение о языке-ში, გვ. 59.

[2] Новое учение о языке на современном этапе развития, გვ. 10.

[3] Проблема классификации языков..., გვ. 36—37.

[4] Новое учение о языке на современном этапе развития, გვ. 24.

მების საშუალებით (ენა და აზროვნება). მეტყველების აგებულების გარეგან მრავალფეროვნებას და ენებში მოქმედ მორფოლოგიურ და სინტაქსურ ნორმათა მრავალგვარობას აქვთ თავიანთი კანონზომიერება, რომელიც გამოავლენს ყველა ენისათვის საერთო კანონზომიერებას მათ განვითარებაში (ერთიანი გლოტოგონიური პროცესი). ერთ-ერთ ასეთ კანონზომიერებას, რომელიც იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, წარმოადგენს თვისებრივი ცვლილებები ენათა და ცალკეულ ენობრივ კატეგორიათა ისტორიული განვითარების პროცესში, რაც გვაძლევს თვისებრივად ახალ წარმონაქმნებს (სტადიური გადასვლები)"[1].

სხვაგან უფრო მოკლედ და ნათლადაა: „თემა ენა და საზოგადოება შეაპირობებს თემას ენისა და აზროვნების შესახებ, ამართლებს რა ერთიანი გლოტოგონიური პროცესის დებულებას, რაც ვლინდება ენაში მუტაციურ გადასვლათა რიგით, რომლებიც შეისწავლება სტადიურად. ყველა ეს რგოლი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ავსებენ ერთმანეთს. შეუძლებელია ამ რგოლებიდან რომელიმეს ამოღება დანარჩენთათვის არსებითი ზიანის მიყენების გარეშე"[2].

§ 59. როგორც ვხედავთ, ი. მეშჩანინოვის მიხედვით, ენათა სტადიური კლასიფიკაციის საკითხი უშუალოდ გამომდინარეობს „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" სხვა ძირითადი პრობლემებისაგან.

ენათა სტადიური კლასიფიკაცია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ი. მეშჩანინოვმა თავისი სპეციალური კვლევის საგნად აქცია. შეიძლება ითქვას, ი. მეშჩანინოვის შრომებში სტადიური კლასიფიკაცია ენათმეცნიერების ყველაზე ძირითად პრობლემად გვევლინება. სტადიურ კლასიფიკაციას მიეძღვნა ი. მეშჩანინოვის ორი სქელტანიანი შრომა, რომლებიც თავიანთი სათაურების მიხედვით ზოგადი ენათმეცნიერების სრულ კურსებს უნდა წარმოადგენდნენ. თემატიკის ასეთ დავიწროებაზე ამ შრომათა ქვესათაურებიც მიუთითებს. მხედველობაში გვაქვს: „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება. სტადიური ტიპოლოგია" 1936 წ. და „ზოგადი ენათმეცნიერება. სტადიურობის პრობლემისათვის სიტყვისა და წინადადების განვითარებაში", 1940 წ[3].

---

[1] Новое в учении о языке, გვ. 11.

[2] Учение Н. Я. Марра о стадиальности, გვ. 35—36.

[3] Акад. И. И. Мещанинов. Новое учение о языке. Стадиаль-

რაკი ი. მეშჩანინოვმა თავს იდო ეხათა სტადიური კლასიფიკაციის დალაგება, ბუნებრივია, მან უნდა მოგვცეს ამ კლასიფიკაციის ძირითადი ერთეულის—სტადიის განმარტება. ავტორი გვეუბნება: „სტადია — ეს არის საფეხური ენის განვითარებაში სხვა ენებისაგან თავისი თვისებრივი განსხვავებებით“[1].

თუ სტადიები საფეხურებია ენის მონისტური განვითარების პროცესში, ბუნებრივია, რომ სტადიური ანალიზი მეტყველების არსებობის მთელ ხანას უნდა ითვალისწინებდეს დასაბამიდან დღემდის. ეს მართლაც ასე უნდა იყოს ავტორის მიხედვით, მაგრამ პირველადი სტადიების კვლევა ხელშესახები მასალის უქონლობის გამო ჯერჯერობით არ ხერხდებაო, აღნიშნავს იგი[2].

ამიტომ გაუთვალისწინებელი რჩება მთელი პერიოდები ენათა განვითარებისა: „მოგვიხდება მნიშვნელოვნად შევავიწროოთ ისტორიული მიმოხილვის ჩარჩოები, ვამახვილებთ რა ყურადღებას, უპირველესად ყოვლისა, იმ ენობრივ მასალებზე, რომელთა შესწავლა უფრო ადვილია. ამიტომ ამჟამად გაუთვალისწინებელი რჩება ჟესტების ხაზოვანი კინეტური მეტყველების მთელი ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც ჯერჯერობით ნაკლებ მდიდარია მასალით. ასევე უკვე ბგერითი მეტყველების ფარგლებშიაც ჩემი მხედველობის არეში არ ხვდება გამქრალი ენები, რომელთა აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მათგან დარჩენილი გადმონაშთების ანალიზის გზით“[3]. „ჩემი ამჟამინდელი ამოცანებიდან ამოვარდნილია წინაგვაროვნული მდგომარეობის მეტყველების მთელი პერიოდიც“[4].

ამგვარად, კლასიფიკაცია გვაროვნული წყობილების დროინდელ ენებს ეხება. აქაც ყველა ენა არ არის გათვალისწინებული. „სტადიური ტიპოლოგიის ამოცანებს მიეძღვნება წინამდებარე კურსიც, რომელიც ემყარება ენათა მაინც შედარებით ვიწრო წრეს ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში“[5].

ეს, ავტორისათვის ხელმისაწვდომი, ენებია პირველ რიგში ჩრდილოეთ აზიის ენები, ე. წ. პალეოაზიური ენები, რომლებიც

ная типология, 1936 г.; Акад. И. И. Мещанинов. Общее языкознание. К проблеме стадиальности в развитии слова и предложения, 1940 г.

[1] Очередные задачи советского языкознания, ИАН СССР ОЛЯ, 1940, № 3, გვ. 24.

[2] Новое учение о языке, გვ. 58.

[3] იქვე, გვ. 289.

[4] იქვე.

[5] იქვე.

უველაზე დაწვრილებით არის განხილული ი. მეშჩანინოვის შრომებში, აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ენები. ავტორი იყენებს მასალებს იაფეტური (იბერიულ-კავკასიური) ენების შესახებაც. ბოლოს, მსჯელობა ეხება ინდოევროპულ ენებსაც. ენათა აღნიშნულ ჯგუფებს ემყარება ი. მეშჩანინოვის სტადიური კლასიფიკაცია.

ენათა სტადიურ კლასიფიკაციას ი. მეშჩანინოვი ძირითადად სინტაქსური ნიშნების მიხედვით აწარმოებს: „სტადიურ დაახლოებათა საკითხი გადაიჭრება... არა ლექსიკური შედგენილობის ერთიანობით და არც მხოლოდ მორფოლოგიურ ელემენტთა სიახლოვით, არამედ ბევრად უფრო მეტად სინტაქსურ წყობათა სიახლოვით“[1].

ი. მეშჩანინოვს მიაჩნია, რომ სინტაქსის წინ წამოწევით იგი ნ. მარის მითითებას ასრულებს: „ვთვლი რა მეტყველების ძირითად ელემენტად სიტყვას და წინადადებას და ვიკვლევ რა ჩემი ძალების შესაბამისად მეტყველების განვითარების სხვადასხვა პერიოდში მათი ისტორიული მდგომარეობის სხვადასხვა სახეობას, მე განსაკუთრებით ვამახვილებ ყურადღებას სინტაქსზე, ვასრულებ რა ამით ახლად. ნ. მარის წამყვან მითითებებს ენობრივ წყობაში სინტაქსის წამყვან როლზე“[2].

სინტაქსური ნიშნის მიხედვით ენათა სტადიური კლასიფიკაციის სქემა ი. მეშჩანინოვს სულ სამჯერ აქვს წარმოდგენილი: 1935 წელს შრომაში „ენათა კლასიფიკაციის პრობლემა ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების შუქზე“, 1936 წელს შრომაში „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ და 1940 წელს შრომაში „ზოგადი ენათმეცნიერება“.

პირველ ორ შრომაში ენათა სტადიურ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს აზროვნების პერიოდიზაცია. ავტორი გვეუბნება:

„სტადიური ენობრივი დანაწილება შეპირობებულია აზროვნების პერიოდიზაციით და მისი საშუალებით უკავშირდება საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ საფუძველს“. „სტადიურ დაყოფას საფუძვლად უდევს... აზროვნება, როგორც კლასიფიკაციის ფაქტორი“. „სტადიური პერიოდიზაცია მთელი თავისი მოცულობით წარმოებს ძირითადად ენობრივი წყობის მიმართების მიხედვით აზროვნების განვითარების ისტორიულ მსვლელობასთან“[3].

„ენათა კლასიფიკაციის პრობლემაში“ ავტორი ნ. მარზე დამყარებით გამოყოფს აზროვნების ოთხ სტადიას. ესენია: ჯოგური ახ-

---

[1] Общее языкознание, გვ. 169.

[2] იქვე, გვ. 6.

[3] Новое учение о языке, გვ. 57.

როვნება, კოსმოსური აზროვნება, მაგიური ანუ პასიურ-ლოგიკური და აქტიურ-ლოგიკური.

ჯ ო გ უ რ ი ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა წარმოადგენს შერწყმულ ანუ დიფუზურ აზროვნებას გაცნობიერებული ინსტინქტით[1].

შემდგომ საფეხურზე ადამიანის ცნობიერებაში ბუნება გამოეყოფა ადამიანთა კოლექტივს. ხდება გარემო ბუნების (კოსმოსის) გაცნობიერება. ესაა ნ. მარის ტერმინით კ ო ს მ ო ს უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა, რომელშიაც ხდება გადასვლა კინეტური მეტყველებიდან ბგერით ენაზე. გაცნობიერებული ბუნება ყოვლისშემძლე ძალას წარმოადგენს, ადამიანები მის წინაშე უძლურნი არიან. ამის შედეგად მოქმედ პირად ადამიანის აზროვნებაში წარმოიდგინება არა საზოგადოებრივი კავშირი ან თვით ადამიანი, არამედ მისადმი დაპირისპირებული ყოვლისშემძლე ბუნება.

მ ა გ ი უ რ ი (ნ. მარის მიხედვით) ანუ პ ა ს ი უ რ - ლ ო გ ი კ უ რ ი (ი. მეშჩანინოვის ტერმინით) სტადიისათვის დამახასიათებელია ის, რომ მოქმედ პირად (ტოტემად) ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენილია ბუნების ცალკეული მოვლენები ან საგნები და არა თვით ადამიანი[2]. ამგვარად, ნამდვილად მოქმედი პირი ტოტემის მოქმედების შემსრულებლად გაიაზრება[3]. ეს მსოფლმხედველობა, ი. მეშჩანინოვის განცხადებით, გვაროვნული წყობილების ხალხებთან გვხვდება.

ა ქ ტ ი უ რ - ლ ო გ ი კ უ რ ი აზროვნების დროს მოქმედ პირად თვით ადამიანი გაიაზრება[4].

აზროვნების ჩამოთვლილ სტადიებს უფარდებს ავტორი ენათა სტადიებს. იგი გვეუბნება, რომ კოსმოსური და ჯოგური სტადიები ცოცხალ ენებში დაცული არ არის. მათი დადგენა მხოლოდ პალეონტოლოგიური ანალიზის გზით ხერხდება[5]. აზროვნების უძველეს სტადიას, რომელიც ცოცხალი ენობრივი მასალით არის დადასტურებული, წარმოადგენს მაგიური სტადია. იგი ვლინდება ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ენებში. ნამდვილად მოქმედი პირი გაიაზრება, როგორც სხვა პირის (ტოტემის) მოქმედების შემსრულებელი.

---

[1] Проблема классификации языков, გვ. 64.
[2] იქვე, გვ. 65.
[3] იქვე, გვ. 66.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 65.

ინდიელი ამბობს, არა я ем, я пошел, არამედ мною съедено, мною пройдено[1]. აქ გამოვლენილია არა თვით მოქმედების შესრულების აქტიობა, არამედ უცხო, მასთან დაპირისპირებული ძალისა.

ი. მეშჩანინოვს მიაჩნია, რომ იაფეტური სისტემის ენებით წარმოდგენილია სტადია, რომელიც „მაგიური“ აზროვნების დაშლისა და აქტიურ-ლოგიკურად მისი გარდაქმნის პროცესში იმყოფება. აქ ხდება წინა სტადიის ენობრივ ფორმათა მსხვრევა, ფორმა ფეთქდება მასში ჩადებულ ახალ შინაარსთან დაკავშირებით[2].

მოქმედ პირად ამ სტადიაში მართლაც მოქმედების შემსრულებელი (სუბიექტი) გაიაზრება. ამასთან დაკავშირებით ყალიბდება მოქმედი პირის გრამატიკული ბრუნვა (სახელობითი). ამასთანავე, ახალი შინაარსით გამოიყენება წინა სტადიის სუბიექტის ბრუნვა: „მაგიურ“ ანუ პასიურ-ლოგიკურ სტადიაში სუბიექტის ბრუნვა ტოტემის ნების შემსრულებელს გადმოგვცემდა. აქტიურ-ლოგიკურ სტადიაში ეს ბრუნვა ინსტრუმენტალურ (რუსულ მოქმედებით) ბრუნვად გვევლინება. ამგვარად, მივიღეთ გაორება ბრუნვის ფორმისა: იგი იარაღსაც გადმოგვცემს და მოქმედების სუბიექტსაც. მთის იაფეტურ ენებში მოქმედებითი ბრუნვა ქვემდებარესაც აღნიშნავს და თავისი ძველი ფორმით ახალ შინაარსს გამოხატავს. მაგალითად, კიურულში **baba-di kihida kağaz = отцом пишется письмо** თუმცა კიურელს ის ესმის, როგორც **отец пишет письмо.**

იაფეტურ სტადიაში ენათა გარდაქმნასთან დაკავშირებით ახალი ფორმებიც შეიქმნა და ძველიც იქნა გამოყენებული. ამიტომ ქვემდებარე ზმნის სხვადასხვაობის მიხედვით რამდენიმე ბრუნვას იყენებს: მოქმედებითს, მიცემითს ან სახელობითს (კავკასიის მთის ენებში). ქართულში აორისტის დროებში ნაცვალსახელური მიცემითი (ე. ი. მოთხრობითი.—თ.შ.) ბრუნვა გვაქვს, სხვა დროებში—სახელობითი[3].

შემდგომ სტადიაში, რომელშიაც ინდოევროპული ჯგუფის ენებიც შედიან, მეტყველების წყობის აქტივიზაცია მატულობს, რეალურად მოქმედი პირი შეიცნობა „ლოგიკურ“ აზროვნებაში აქტიურად. მუშავდება სპეციალური ბრუნვები სუბიექტისა და ობიექტისათვის. არსებობს იდეოლოგიური კატეგორიების გრამატიკულთან

---

[1] Проблема классификации языков, გვ. 65—66.

[2] იქვე, გვ. 66.

[3] იქვე, გვ. 66—67.

შეთანხმების მისწრაფება. ეს სტადია ახალ საფეხურზე გარდაქმნის წინა სტადიურ სტრუქტურას, ნაწილობრივ აფეთქებს მას, ნაწილობრივ ინახავს თვისებრივად სხვა შინაარსით. ასეთი გადმონაშთია, მაგალითად, რუსულში წყობა мною купдена книга შდრ. я купил книгу [1].

ამგვარად, „ენათა კლასიფიკაციის პრობლემაში“ ი. მეშჩანინოვის მიერ წარმოდგენილი სტადიური კლასიფიკაციის სქემაში აზროვნებისა და ენობრივი სტადიების ურთიერთობა შემდეგ სახეს იღებს:

აზროვნების სტადიები	ენობრივი სტადიები
1. ჯოგური	(ცოცხალ ენებში დაცული არ არის)
2. კოსმოსური	(ცოცხალ ენებში დაცული არ არის)
3. მაგიური, პასიურ-ლოგიკური	1. წარმოდგენილია ჩრდ. ამერიკის ენებში.
	2. იაფეტური სტადია. წარმოგვიდგენს პასიურ-ლოგიკურიდან აქტიურ-ლოგიკურზე გარდამავალ მდგომარეობას.
4. აქტიურ-ლოგიკური	3. წარმოდგენილია ინდოევროპ. ენებში.

§60. ნაშრომში „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ კლასიფიკაციის პრინციპები იგივე რჩება[2], ოღონდ მსჯელობა უფრო ფართოდ არის გაშლილი, ამასთანავე წარმოდგენილია პალეოაზიურ, იბერიულ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენათა სინტაქსური კონსტრუქციების ანალიზი. თვით კლასიფიკაციის სქემაში მაინც გვაქვს გარკვეული ცვლილებები. მათ შესახებ ცოტა უფრო ქვემოთ გვექნება სპეციალურად მსჯელობა, ამჟამად კი გავეცნოთ ენათა კლასიფიკაციას იმ სახით, როგორც ის ი. მეშჩანინოვის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაშია“ წარმოდგენილი.

აქაც პირველ რიგში ჯოგური აზროვნება არის დასახელებული[3]. ამის მომდევნო სტადიას ავტორი რამდენიმე სახელწოდებით აღნიშნავს: „კოსმოსური“, „ტოტემური“ (ნ. მარის მიხედვით), „მაგიური“, „მითოლოგიური“, „წინალოგიკური“.

---

[1] Проблема классификации языков, გვ. 67—68.

[2] ამ შრომის მესამე თავი (III ენათა კლასიფიკაციის პრობლემა) ავტორისავე შენიშვნით წარმოადგენს ნაშრომის „Проблема классификации языков в свете нового учения о языке“ შინაარსის მოკლე და იმავე დროს რამდენადმე გაფართოებულ გადმოცემას.

[3] Новое учение о языке, გვ. 33.

ამ საფეხურზე, ი. მეშჩანინოვის დახასიათებით, ბუნება ანუ კოსმოსი შეიცნობა ადამიანის მიერ მეტად ვიწრო ფარგლებში და აღიქმის მისი რეალური თვისებებით, ამიტომ არის კოსმოსური აზროვნება პითოლოგიური და წინალოგიკური[1]. ბუნება უპირისპირდება ადამიანთა კოლექტივს, როგორც მისთვის უცხო, ყველაფრის შემძლე ძალა[2]. ბუნებაში გამოწვეული ცვლილებების მიზეზად ადამიანი კი არ ითვლება, არამედ ბუნების ძალები მათზე მოქმედი ადამიანისაგან დამოუკიდებლად მიიჩნევა. ამგვარად, ობიექტი (ე. ი. ბუნება) სუბიექტად იქცევა. გამომუშავდება ირეალური, მითოლოგიური წარმოდგენა მოქმედი პირის შესახებ, რომელსაც „მითოლოგიურ სუბიექტს“ უწოდებს ავტორი „ლოგიკური სუბიექტის“ საპირისპიროდ[3]. ნამდვილად მოქმედი ადამიანი მითიურად მოქმედი პირის მოქმედების პასიურ შემსრულებლად წარმოიდგინება[4].

მხოლოდ ლ ო გ ი კ ურ ა ზ რ ო ვ ნ ებ ა შ ი მოქმედების რეალური შემსრულებელი გადაიქცევა სუბიექტად[5]. ამის მიზეზად ავტორი იმას ასახელებს, რომ კაცობრიობამ უკვე შეიმეცნა ბუნების კანონები, რომლებიც მის პრაქტიკულ მოქმედებებს განსაზღვრავენ[6].

ასეთია აზროვნების სტადიები. რაც შეეხება ენობრივს, ჯოგური აზროვნების შესაბამის ენობრივ სტადიაზე ავტორი სრულიად არ მსჯელობს. ალბათ იმიტომ, რომ, მისივე თქმით, ამ პერიოდში განვითარებული მეტყველება ჯერ კიდევ არ არსებობდა[7]. განხილვა იწყება აზროვნების მაგიური (მითოლოგიური) ანუ წინალოგიკური სტადიით.

მაგიურმა სტადიამ, ი. მეშჩანინოვის განცხადებით, რამდენიმე საფეხური გაიარა. ამის შესაბამისად ენობრივი სტადიებიც იცვლებოდნენ. ავტორი ორ ენობრივ სტადიას განიხილავს მაგიურ აზროვნებასთან დაკავშირებით: აქტიურ-მითოლოგიურს და პასიურს. მათგან პირველიდან მხოლოდ გადმონაშთებია შემორჩენილი. ეს სტადია შემდეგნაირად არის აღწერილი: მოქმედება მიეწერება „მითოლოგიურ სუბიექტს“, ანუ „ტოტემს“, რეალური სუბიექტი კი მოქმედების შუამავლად, პასიურ შემსრულებლად გაიაზრება. ამიტომ

---

[1] Новое учение о языке, გვ. 34.
[2] იქვე, გვ. 33.
[3] იქვე, გვ. 35.
[4] იქვე, გვ. 38.
[5] იქვე, გვ. 39.
[6] იქვე, გვ. 40.
[7] იქვე, გვ. 33.

მითოლოგიური მოქმედებისაგან განსხვავებით რეალური სუბიექტი ან სრულიად არ გამოიხატება, ანდა გვეელინება ფრაზაში, როგორც დაქვემდებარებული პირი. ეს წყობა მოლაპარაკეთა თვალსაზრისით აქტიურია (აქტიურია მითოლოგიური სუბიექტი), მაგრამ რეალური მოქმედის თვალსაზრისით ის პასიური გამოდის (მოქმედება მიეწერება ირეალურ სუბიექტს). ამიტომ მთელ სტადიას შეიძლება აქტიურ-პასიური ვუწოდოთო, ამბობს ავტორი, მაგრამ ის ამჯობინებს სახელწოდებას აქტიურ-მითოლოგიური[1].

ამ სტადიიდან ბევრი არქაიზმი რჩება ენის შემდგომ საფეხურებზე. ასეთ არქაიზმად არის მიჩნეული ინკორპორაცია (ერთსიტყვიანი წინადადება), რომელიც გვხვდება წინა აზიისა და ამერიკის ენებში[2]. ინკორპორაციის შემდგომ საფეხურს წარმოადგენს სინთეტიზმი, რომელშიაც ინკორპორაციული კომპლექსი (სიტყვა-ფრაზა) იშლება შემადგენელ ნაწილებად. სიტყვები გაფორმებულია (რაც მორფოლოგიას აძლევს სათავეს) და ამასთანავე ისინი ურთიერთთან გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან (რაც სინტაქსს წარმოშობს)[3]. პალეოაზიურ ენებში ეს წყობაც გვაქვს დაცული.

აქტიურ-მითოლოგიური სტადია არ წარმოადგენს ავტორის სპეციალური მსჯელობის საგანს. ფაქტიური მასალის საკმაოდ დაუმუშავებლობის გამო ამ სტადიის დახასიათებაზე არ ვჩერდებითო, აღნიშნავს იგი. დაწვრილებით კი ი. მეშჩანინოვი ამის მომდევნო სამი სტადიის განხილვას გვპირდება[4]. ეს სამია: აქტიურ-პასიური ანუ პასიური, პასიურ-აქტივიზირებული ანუ ერგატიული და აქტიურ-ლოგიკური ანუ აქტიურ-ფორმალური. სამივე წარმოდგენილია გვაროვნული წყობის ენებში.

პასიური სტადია ისევ მითოლოგიურ აზროვნებას შეესაბამება, ხოლო ერგატიული და აქტიურ-ლოგიკური—ლოგიკურ აზროვნებას.

პასიური ანუ აქტიურ-პასიური სტადია წარმოადგენს აქტიურ-მითოლოგიური სტადიის შემდგომ გარდაქმნას. ამ უკანასკნელში, ავტორის სიტყვით, სუბიექტი, როგორც საზოგადოებრივი ინდივიდი, არც ცნობიერებაშია გამოყოფილი და არც მეტყველებაში. ამის გადმონაშთია წინადადება «человско-олено-

---

[1] Новое учение о языке, გვ. 293—294.
[2] იქვე, გვ. 294.
[3] იქვე, გვ. 296.
[4] იქვე, გვ. 294.

убиение-ს» ტიპისა, რომელშიაც მოქმედება არ არის გამოყოფილი მოქმედი პირისაგან. მოგვიანებით, საზოგადოებაში შრომის განაწილებასთან და კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად, ჩნდება წარმოდგენა საკუთრების შესახებ, რაც ენაში გამოიხატება იმით, რომ სახელს ერთვის კუთვნილებითი ფორმანტები, ვიღებთ კუთვნილებით-სახელურ წყობას წინადადებისა. ეს ის კონსტრუქციაა, რომელსაც ავტორი შემდეგდროინდელ შრომებში პოსესიურ წყობას უწოდებს. იმავე სოციალური პროცესით ხსნის ი. მეშჩანინოვი პიროვნული ნაცვალსახელებით გაფორმებული ზმნის წარმოშობას, რაც ზმნურ უღვლილებას ქმნის[1].

პასიურ სტადიაში ერთდროულად არსებობს სამგვარი წყობა: ინკორპორაცია (რომელიც უსუბიექტოა), ასევე გრამატიკულად უსუბიექტო კუთვნილებით-სახელური წყობა და, ბოლოს, პიროვნულად გაფორმებული ნაცვალსახელური უღვლილება.

ნაცვალსახელურ ზმნურ უღვლილებაში, რომელიც უობიექტოა, მოქმედი პირი ინდივიდუალიზებულია და მთელი წყობა აქტიურია (ალეუტურში: su-ku·h-thin Берешь-сейчас-ты). მას უპირისპირდება კუთვნილებით-სახელური უღვლილება, რომელიც სუბიექტსაც გამოხატავს და ობიექტსაც (ალეუტურში: sukuʒ мое теперешнее взятие; su-ku-kiʒ мое теперешнее двойное взятие «я беру их двоих»), მაგრამ ფორმალურად პასიურია, ვინაიდან სუბიექტი ცალკე დაისმის. იგი გრამატიკულად გაფორმებული არ არის, მას მხოლოდ ლოგიკურად განეკუთვნება მოქმედება. ამგვარად, ავტორის აზრით, გარდაუვალი ფორმები აქტიური გამოდის, გარდამავალი კი —პასიური[2].

აქტიური და პასიური ფორმების თანაარსებობა და დაპირისპირება განსაზღვრავს ამ სტადიის სახელწოდებასაც: აქტიურ-პასიური. მის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა ინდივიდის აქტივიზაცია. თუ აქტიური მითოლოგიზმის დროს ინდივიდი მითოლოგიური სუბიექტის ნების შემსრულებლად ითვლებოდა, ამჟამად იგი თვითონ ხდება აქტიური და ამით უპირისპირდება მითოლოგიურ სუბიექტს. მაგრამ ვინაიდან აზროვნება მაინც მაგიურია და აქტიური სუბიექტის გვეოდით ჯერ კიდევ მაინც არსებობს მითოლოგიური სუბიექტის წარმოდგენა, ამიტომ აქტიური სუბიექტი მაინც ექვემდებარება მითოლოგიურს, როგორც მისი პასიური შემსრულებელი. ხდება თვისებ-

[1] Новое учение о языке, გვ. 315.

[2] იქვე, გვ. 306—307.

რივი გარდაქმნა, ძველი აქტიური მითოლოგიზმი პასიურად იქცევა, როგორც მასთან თანაარსებული და ჯერ კიდევ მოქმედი ანტიპოდი. პასიური სტადია აქტიურ-მითოლოგიურისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ახასიათებს აქტიურად მოქმედი ინდივიდი მაგიური აზროვნების დროს[1].

მომდევნო ენობრივი სტადია უკვე ლოგიკურ აზროვნებას ექვემდებარება. მითოლოგიური სუბიექტის ნაცვლად მოქმედება მის ნამდვილ შემსრულებელს მიეწერება. ეს უკანასკნელი ლოგიკურ სუბიექტად იქცევა. ამის შედეგად ლოგიკური კატეგორიები უპირისპირდება გრამატიკულ კატეგორიებს. ახალ გააზრებას იღებს მთელი ენობრივი წყობა. წინა სტადიის პასიურ ფორმაში შეიტანება აქტიური შინაარსი. ამიტომ ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ სტადიას პასიურ-აქტივიზებული უწოდოს. პარალელურად იგი ხმარობს აგრეთვე სახელწოდებას „იაფეტური“, რამდენადაც კავკასიის იაფეტური ენებიც ამ სტადიაში შედიანო[2]. ამ სტადიაში იცვლება სახელის და ზმნის გაფორმება, იცვლება მათი შინაარსი და ამის გამო მათი ნომენკლატურაც. იცვლება როგორც მორფოლოგია, ისე სინტაქსი[3].

ბრუნვათაგან ორია ყურადღების ცენტრში: იარაღობითი (ერგატიული) და აბსოლუტური.

ერგატიული ბრუნვა სპეციფიკურია ამ სტადიისათვის, ამიტომ მას იყენებს ავტორი ენობრივი წყობის და თვით მთელი სტადიის აღსანიშნავად[4]. იარაღობით ანუ ერგატიულ ბრუნვას ორი მნიშვნელობა აქვს: ერთის მხრივ, იგი მოქმედების შუამავალს და ამდენად იარაღს აღნიშნავს. ხოლო, მეორე მხრივ, მითოლოგიური სუბიექტის მოხსნის შედეგად მოქმედებითი ბრუნვა თვით ხდება აქტიური, თუმცა ირიბ ბრუნვად რჩება და თავის პასიურ ფორმას ინარჩუნებს. ამ შემთხვევაში იგი ერგატივია და სუბიექტს აღნიშნავს გარდამავალ ზმნებთან. ამის გამო ი. მეშჩანინოვს გარდამავალი ზმნები პასიურად მიაჩნია[5]. იგი ერგატიული სტადიის ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს იმას, რომ სემანტიკურად გარდამავალი ზმნები პასიურნი არიან (სუბიექტი ირიბ ბრუნვაშია), ხოლო გარდაუვალნი—აქტიურნი. ამასთანავე ეს პასიურობა გარდამავალი ზმნებისა ფორმალურია, მათი შინაარსი აქტიურია[6].

---

[1] Новое учение о языке, გვ. 315.
[2] იქვე, გვ. 317—318.
[3] იქვე, გვ. 318.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 319.
[6] იქვე, გვ. 323.

ერგატიული სტადია პასიური სტადიის გარდაქმნად არის მიჩნეული. ამის შესაბამისად იარაღობითი ბრუნვაც წინა სტადიიდან გადმოჰყავს ავტორს. კერძოდ, იგი კუთვნილებითი წყობის პიროვნულ (ზმნურ) წყობად გარდაქმნას უკავშირდება. ზმნის კუთვნილებითი ფორმანტი იცვლება პირის ნიშნით ან იქცევა პირის ნიშნად, ხოლო სახელის კუთვნილებითი გაფორმება გარდაიქმნება იარაღობრივად. კუთვნილების ნაცვლად ზმნა პირს აღნიშნავს, თვით მოქმედი პირი კი კვლავ ირიბ ბრუნვაში რჩება, იქცევა რა განმსაზღვრელიდან („мое взятие“ ალეუტურში) აქტიურ შემსრულებლად („мною беру-я“ ჩრდ. კავკასიის იაფეტურ ენებში). ნაჩვენებია არა „ვის ეკუთვნის მოქმედება“, არამედ „ვის მიერ სრულდება იგი“[1].

აბსოლუტურს ი. მეშჩანინოვი უწოდებს იმ ბრუნვას, რომელიც აღნიშნავს გარდამავალი ზმნების ობიექტს და გარდაუვალი ზმნების სუბიექტს. მისი აზრით, ზმნების სემანტიკის მიხედვით ამ ბრუნვის ფუნქციაც განსხვავებულია: გარდამავალ ზმნებთან იგი პასიურია, რამდენადაც ობიექტზე მიუთითებს, ხოლო გარდაუვალ ზმნებთან აქტიურია, რადგანაც სუბიექტს გადმოგვცემს. აბსოლუტური ბრუნვა მიჩნეულია პასიური სტადიის პირდაპირი ბრუნვის გარდაქმნად. ეს უკანასკნელი, ავტორის თქმით, ობიექტს აღნიშნავდა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან (ამ სტადიაში ობიექტი შეიძლებელია გარდაუვალ ზმნიან ფრაზაშიც იყოსო, გვეუბნება იგი)[2].

ერგატიული სტადიის გარდაქმნით წარმოიშვა აქტიურ-ლოგიკური ანუ აქტიურ-ფორმალური სტადია[3]. მას განეკუთვნება ინდოევროპული, სემიტური, თურქული, ფინური და სხვა ენები[4]. ეს სტადიაც ლოგიკური აზროვნების შესაბამისია, ისევე როგორც ერგატიული. მათ შორის განსხვავებას ის ქმნის, რომ ერგატიულ სტადიაში ლოგიკური აქტიურობა (მოქმედი ლოგიკური სუბიექტია და არა მითოლოგიური) ფორმალურად პასიური აგებულების ფრაზაშია მოქცეული, აქტიურ სტადიაში კი ფორმალური მხარეც აქტიური ხდება. ამის გამოხატულებად ავტორს მიაჩნია ფრაზაში სახელობითი ბრუნვით გადმოცემული ქვემდებარის აქტიურობა[5].

ამ სტადიისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს ი. მეშჩანინოვი იმას, რომ სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები, როგორც ზმნაში, ისე

[1] Новое учение о языке, გვ. 321.
[2] იქვე, გვ. 323—324.
[3] იქვე, გვ. 341.
[4] იქვე, გვ. 334.
[5] იქვე, გვ. 341—42.

სახელში დაერთვის თითოეულ მათგანს; ისინი ინახავენ თავიანთი მნიშვნელობისა და ფორმის ერთიანობას ზმნის სემანტიკისაგან (გარდამავლობა და გარდაუვალობა) დამოუკიდებლად[1].

მუშავდება სუბიექტისა და ობიექტის სპეციალური ბრუნვები: სახელობითი და ბრალდებითი[2].

სახელობითი ქვემდებარის ბრუნვაა, ნამდვილი ქვემდებარეც პირველად ამ სტადიაში ყალიბდება[3]. სახელობითი ბრუნვა მუდამ აქტიურია, მაგრამ ეს აქტიურობა ფორმალურია (ქვემდებარის ბრუნვა), რადგან მას ეთანხმება ზმნის ფორმალური მხარე. ქვემდებარე ფორმალურად აქტიური რჩება ვნებითი გვარის ზმნებთანაც კი[4]. შდრ. Волк убил оленя და волком убит олень[5]. უკანასკნელ შემთხვევაში ლოგიკური სუბიექტი პასიური გაფორმებით (ირიბი ბრუნვით) გვევლინება[6]. ამით ვიღებთ შეუსაბამობას ლოგიკურსა და გრამატიკულ კატეგორიებს შორის. ამ სტადიისათვის დამახასიათებელია არა ლოგიკური კატეგორიების გრამატიკულთან შესატყვისობა, არამედ ფრაზაში ბრუნვის ფორმალური აქტიობა, აღნიშნავს ავტორი[7]. შემდეგ იგი განაგრძობს: „აქტიური სტადია გამოირჩევა თავისი ფორმალური მხარით. იგი აქტიურია, მაგალითად, თავისი ქვემდებარით წინადადებაში, რომელიც გამოდის როგორც ფრაზის შემაკავშირებელი წევრი, მაგრამ სრულიადაც არ შეიცავს ლოგიკური შინაარსის ერთიანობას და თავისი გაფორმებით ყოველთვის სრულიადაც არ გადმოგვცემს ლოგიკურად მოქმედ პირს. ასე, ქვემდებარე ვნებით გვარში აქტიურია ფრაზის აგებულებაში ზმნასთან თავისი შეთანხმებით, მაგრამ მაინც პასიურია თავისი გადმოცემით საგნისა, რომლისკენაც მიიმართება მოქმედება. აქ ჩვენ წინ არის ფორმალურ-აქტიური სტადია[8].

ერგატიული სტადიის აქტიურ სტადიად გარდაქმნის პროცესს, ავტორის თქმით, წარმოდგენილი გვაქვს ამიერ-კავკასიის იაფეტურ ენებში (ქართულში, მეგრულში, ჭანურში)[9].

აზროვნების სტადიებთან შეფარდებით ენათა კლასიფიკაციის სქემა „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ ასეთ სახეს იღებს:

---

[1] Новое учение о языке, გვ. 329.
[2] იქვე, გვ. 330—338.
[3] იქვე, გვ. 338.
[4] იქვე, გვ. 337—338.
[5] იქვე, გვ. 338.
[6] იქვე.
[7] იქვე, გვ. 331.
[8] იქვე.
[9] იქვე, გვ. 331, 337.

აზროვნების სტადიები	ენობრივი სტადიები
1. ჯოგური	(ბგერითი მეტყვ. განვითარებული არ არის).
2. კოსმოსური resp. ტოტემური, მაგიური, მითოლოგიური, წინალოგიკური.	1. აქტიურ-მითოლოგიური (გადმონაშთებია ინკორპორაციის სახით).
	გვაროვნული წყობის ენებში
	2. აქტიურ-პასიური, პასიური (=გვიანდელი ტერმინით პოსესიურს).
	3. პასიურ-აქტივიზირებული, ერგატიული, იაფეტური.
3. ლოგიკური	(3-დან 4-კენ გარდამავალია ქართული, მეგრული, ჰანური).
	4. აქტიურ-ლოგიკური, აქტიურ-ფორმალური (წარმოდგენილია ინდოევროპ., სემიტ., თურქ., ფინურ ენებში)

§61. 1940 წელს „ზოგად ენათმეცნიერებაში" ი. მეშჩანინოვმა წარმოადგინა ენათა კლასიფიკაციის მესამე სქემა. ავტორი აცხადებს, რომ კლასიფიკაციას საფუძვლად იგი სიტყვისა და წინადადების ტიპებს უდებს. ერთიც და მეორეც ისტორიულ მოვლენად არის ჩათვლილი, ე. ი. სიტყვაც და წინადადებაც განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვნენ და შემდეგ განუწყვეტლივ იცვლებიან. ამასთანავე სიტყვა დაქვემდებარებულია, იგი წინადადების გარეშე არ არსებობს. ამიტომ ყურადღების ცენტრში წინადადებათა ტიპოლოგიაა.

სულ განხილულია წინადადების 7 ტიპი: ინკორპორაცია (სიტყვა-წინადადება, წინადადების უობიექტო წყობა, პოსესიური (კუთვნილებითი) წყობა, ერგატიული წყობა, აფექტური წყობა, ლოკატიური წყობა და ნომინატიური წყობა. ეს სხვადასხვა ტიპის წინადადებები განხილულია ჩრდილოეთ აზიის (პალეოაზიურ), ამერიკის ენათა, იაფეტურ (იბერიულ-კავკასიურ) და ნაწილობრივ ინდოევროპულ ენათა ნიმუშების მიხედვით. მოკლე დახასიათება თითოეული ტიპისა ასეთია:

1. **სიტყვა-წინადადება** წარმოადგენს ინკორპორაციულ კომპლექსს, რომელიც ერთი სიტყვით გადმოგვცემს მთელ წინადადებას. ფრაზა არ იშლება სიტყვებად. იმდენი სიტყვაა, რამდენიც ფრაზა. გვხვდება ამერიკის ინდიელთა და ჩრდილოეთ აზიის ენებში[1].

[1] Общее языкознание, გვ. 73—74.

2. წინადადების უობიექტო წყობა ავტორს სპეციალურად გამოყოფილი არა აქვს, მაშინ როდესაც სხვა ტიპების განხილვას იგი თავისი შრომის ცალკეულ თავებს უძღვნის. წინადადების ეს წყობა გვხვდება ი. მეშჩანინოვთან მაშინ, როდესაც სახელურისაგან ხმნური წინადადების ჩამოყალიბებაზე არის საუბარი და აქ მას ვერბალური ან ნაცვალსახელური (პრონომინალური) ეწოდება. ამავე კონსტრუქციას ავტორი ეხება პოსესიურ და ერგატიულ წყობათა განხილვისას, როგორც მათ გვერდით არსებულს. აქ, გარდა პრონომინალურისა, „უობიექტო" და გარდაუვალიც იხმარება მის აღსანიშნავად.

ამ ტიპის წინადადებაში გადმოცემულია ცალმხრივი კავშირი პრედიკატსა და სუბიექტს შორის. პრედიკატი მხოლოდ სუბიექტს გამოხატავს (სუბიექტური შეთანხმება ანუ ზმნის გარდაუვალი ფორმა). სუბიექტი უნიშნოა. ობიექტი შეიძლება იყოს წინადადებაში, მაგრამ ზმნაში არ აისახოს (უნანგანური ენის ნაცვალსახელურ წყობაში), შესაძლებელია სემანტიკურად უობიექტო წინადადება გვქონდეს, ე. ი. ან სუბიექტის მდგომარეობა გამოიხატებოდეს, ან მდგომარეობა, რომელიც არ გადადის ობიექტზე (კავკასიის იაფეტურ ენებში).

3. პოსესიურ (კუთვნილებით) წყობაში პრედიკატი გადმოგვცემს სუბიექტისადმი მოქმედების განკუთვნებას. თვით მოქმედება ობიექტისადმია მიმართული[1]. სუბიექტი ირიბ ბრუნვაში დაისმის. ამ ფაქტს ავტორი იმით ხსნის, რომ წინადადება ნომინალურია. პრედიკატი წარმოადგენს კუთვნილებითი დაბოლოების მქონე სახელს. სახელი განისაზღვრება, როგორც ვილაცისადმი განკუთვნილი და ის, ვინც განსაზღვრავს სახელს, როგორც თავის კუთვნილს, თვით დაისმის მიმართებით (კუთვნილებით) ბრუნვაში[2]. ეს წყობა გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკისა და პალეოაზიურ ენებში.

4. ერგატიულ წყობაში გარჩეულია ორი ტიპის უღვლილება: გარდაუვალი და გარდამავალი. აზრის მიხედვით უობიექტო წინადადება იყენებს ზმნის გარდაუვალ ფორმას. მას სუბიექტი აბსოლუტურ ბრუნვაში აქვს. გარდამავალ ზმნასთან კი სუბიექტი დაისმის იარაღობით ბრუნვაში (ერგატივში), რომელიც ირიბ ბრუნვას წარმოადგენს. აბსოლუტური ბრუნვა აქ გამოხატავს ობიექტს. ამგვარად, ერთი და იგივე ბრუნვა გადმოგვცემს გარდაუვალი ზმნის

[1] Общее языкознание, გვ. 128.

[2] იქვე, გვ. 137—138.

სუბიექტსა და გარდამავალი ზმნის ობიექტს. ზმნა სუბიექტსაც ეთანხმება და ობიექტსაც[1].

ერგატიული წყობა გვხვდება ჩრდილოეთ აზიის ენებში, უფრო მკვეთრად ვლინდება ივი ჩრდილოეთ კავკასიის მთის ენებში.

5. აფექტური წყობა. როდესაც სუბიექტი გაიაზრება პასიურად და ფორმდება მიცემით-მიმართულებითი ბრუნვით, ხოლო მოქმედება აღიქმის, როგორც მოქმედება აფექტისა, მაშინ გვაქვს, ა. დირის ტერმინით, წინადადების აფექტური წყობაო, გვეუბნება ავტორი[2]. ამგვარად, აფექტურ წყობაში სუბიექტი პასიურია, უმოქმედო. იგი განიცდის მისგან დამოუკიდებლად მომხდარ მოქმედებას. ამიტომ აფექტური წინადადება თავისი შინაარსით პასიურია, პოსესიური და ერგატიული კი — აქტიური. აფექტური წყობა იხმარება „გრძნობათა გამომხატველ“ ზმნებთან. ეს ზმნები გადმოგვცემენ უკვე განვითარებულ აზროვნებას, რომელიც აანალიზებს სუბიექტის მდგომარეობას. დაპირისპირებულია მოქმედების ზმნები და მდგომარეობის ზმნები. მდგომარეობის ზმნები, ნ. მარის მითითებით, უფრო გვიანდელია, ვინაიდან მოქმედების გააზრება უსწრებს სუბიექტის მდგომარეობის გააზრებას. ამის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ verba seutiendi-ანი (აფექტური) წყობა წინადადებისა არ არის ძლიერ ძველი[3].

აფექტური წყობა დასტურდება კავკასიის იაფეტურ ენებში.

6. ლოკატიური წყობა ძალიან მოკლედ აქვს ავტორს განხილული. აღნიშნავს, იგი არქაიზმია, რომელმაც მხოლოდ ძველ ფორმა შემოგვინახაო. დამახასიათებელი ამ წყობისათვის ის არის, რომ მქონებლობის ან აფექტის სუბიექტი გვევლინება ობიექტურ-პრედიკატული გამოთქმის ლოკატიურ დამზუსტებლად. ლოკატიური კონსტრუქცია იაფეტურ ენებში გვხვდება. მაგალითად, ხუნძურში პარალელურად წინადადებისა дир чу буго „მე ცხენი მყავს“ (სიტყვასიტყვით „ჩემი ცხენი არის“), შეიძლება აგრეთვე ითქვას дих чу буго „ჩემთან ცხენი არის“[4].

7. ნომინატიური წყობა ხასიათდება შემდეგით: ქვემდებარე დაისმის სახელობით ბრუნვაში. იგი გადმოგვცემს გრამატიკულ სუბიექტს, რომელიც თავისი შინაარსით აქტიურიც შეიძლება იყოს და პასიურიც. პრედიკატი ცალმხრივ ეთანხმება ქვემდე-

[1] Общее языкознание, გვ. 154—155.
[2] იქვე, გვ. 175.
[3] იქვე, გვ. 177—178.
[4] იქვე, გვ. 191.

ბარეს და განსაზღვრავს ფრაზაში მის აქტიურობას ან პასიურობას, ახასიათებს მას, როგორც მოქმედს ან როგორც მოქმედების განმცდელს. ობიექტი იმართვის პრედიკატის მიერ და დაისმის სპეციალურ (ბრალდებით) ბრუნვაში[1].

ნომინატიური წყობა ინდოევროპულ და სემიტურ ენებში გვაქვს წარმოდგენილი. იაფეტურ ენებს იგი არ ახასიათებს. მხოლოდ ქართველური ენები იმყოფებიან ერგატიულიდან ნომინატიურისაკენ გარდამავალ საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ ავტორი ნომინატიურ კონსტრუქციას განიხილავს არა ინდოევროპულ ან სემიტურ ენებში, რომლებშიც იგი, მისივე თქმით, ერთადერთ კონსტრუქციას წარმოადგენს, არამედ განიხილავს ნომინატიურ წყობაზე გადასვლას ქართველური ენების მასალის მიხედვით.

ამგვარად, ინკორპორაციული სიტყვა-წინადადების გარდა, ი. მეშჩანინოვმა 6 ტიპის წინადადება გამოყო: უობიექტო, პოსესიური, ერგატიული, აფექტური, ლოკატიური და ნომინატიური. მათი დაჯგუფებისას არსებითად მიჩნეულია წინადადების ორი ძირითადი წევრის—სუბიექტისა და პრედიკატის — ურთიერთობის გააზრება, რაც წინადადების სტრუქტურას განსაზღვრავსო. თუ პრედიკატი მხოლოდ სუბიექტს გამოხატავს, ე. ი. წარმოდგენილია ცალმხრივი კავშირი პრედიკატსა და სუბიექტს შორის, მაშინ წინადადება უობიექტოა. თუ გადმოცემულია მოქმედების მიკუთვნება სუბიექტისადმი — პოსესიურ წინადადებას ვიღებთ და ა. შ.[2]

ავტორი ხშირად იმეორებს, რომ ამით არ ამოიწურება წინადადების ტიპები, რომ მან მხოლოდ ძირითადზე, წამყვანზე მიუთითა, თუმცა იმასაც დასძენს, რომ სხვა სისტემები განხილულთა ფორმალურ ნაირსახეობებს წარმოადგენსო[3].

რაკი „ზოგად ენათმეცნიერებაში“ გამოიყო წინადადების სტრუქტურა, მოსალოდნელი იყო, ლაპარაკი იქნებოდა სათანადო ენობრივი სტადიების შესახებაც, მაგრამ აღნიშნული ტიპებისათვის სტადიების დარქმევას ი. მეშჩანინოვი ამ ნაშრომში გაურბის. შეიძლებოდა გამოგვეკლო უობიექტო წყობა, რამდენადაც იგი ცალკე კი არა აქვს ავტორს გამოყოფილი, არამედ ახასიათებს მას, როგორც პოსესიური ან ერგატიული წინადადების პარალელურად არსებულს (გარდაუვალ ზმნებთან). მაგრამ დარჩენილი ექვსი ტიპიდან თითოეული ქმნის თუ არა დამოუკიდებელ სტადიას, ეს საკითხი „ზოგად ენათმეცნიერებაში“ გაურკვეველი რჩება. ერთგან, ეხება რა იაფე-

[1] Общее языкознание, გვ. 175.
[2] იქვე, გვ. 173—4.
[3] იქვე, გვ. 175.

ტურ ენებში რამდენიმე სინტაქსური კონსტრუქციის (პოსესიური, აფექტური, ერგატიული, ლოკატიური, უობიექტო) თანაარსებობას, ავტორი ამბობს: „იაფეტური ენები მე ინგვარად წარმომიდგება, თითქოს მათ მიიღეს და შეინახეს ფრაზათა აგების სხვადასხვა სისტემები. ამ მხრივ ისინი მრავალსტადიური აღმოჩნდნენ, როგორც ამას ამტკიცებს ნ. მარი“[1]. აქ გამოდის, რომ სინტაქსური წყობის თავისებურება ქმნის სტადიას. იაფეტურ ენებში რამდენიმე სტრუქტურაა თაემოყრილი, მაშასადამე ისინი მრავალსტადიურნი არიან. და მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც გაურბის თითოეული კონსტრუქციისათვის სტადიის დარქმევას. მხოლოდ შრომის დასაწყისშია სტადიური განვითარების შესახებ მსჯელობა ენათა სინტაქსური ტიპების ცონაცვლეობის მიხედვით.

უძველეს სტადიას, ავტორის თქმით, განეკუთვნება ინკორპორაცია, ხოლო სიტყვებისაგან შემდგარი წინადადება სტადიურად მომდევნოა. ამ გარდაქმნისათვის ი. მეშჩანინოვი შემდეგ გზას ვარაუდობს: სიტყვა-წინადადება ჯერ დაიშალა ინკორპორაციულ კომპლექსებად. ფრაზა ორი ასეთი კომპლექსისაგან შედგებოდა, ერთი სუბიექტისათვის იყო, მეორე — ობიექტისათვის. შემდგომ საფეხურზე შეიქმნა სინტაქსური კომპლექსები, რომლებშიაც გრამატიკულად გამოყოფილი სიტყვები ფორმალურად გაერთიანებულია კლასის მაჩვენებლებით (ზულუ, სუაჰელი და სხვა ენებში), ბოლოს, მივიღეთ სიტყვათა სხვადასხვაგვარი სინტაქსური შეერთებანი ინდოევროპულ ენებში[2].

ამგვარად, ავტორი კვლავ ადასტურებს, რომ სიტყვა და წინადადება ისტორიული წარმონაქმნებია. მათ უსწრებდა გაუდიფერენცირებელი (нерасчлененное) მდგომარეობა (ინკორპორაცია)[3]. წინადადების ჩამოყალიბების შემდეგ შეინიშნება სინტაქსური ხერხების მონაცვლეობა, რაც განვითარებულ წინადადებაში სტადიურობის პრობლემას სვამსო, დაასკვნის ავტორი[4], მაგრამ ამ პრობლემას ჩამოყალიბებული წინადადების ტიპთა განხილვისას იგი აღარ უბრუნდება.

---

[1] Общее языкознание, გვ. 198.
[2] იქვე, გვ. 101—102.
[3] იქვე, გვ. 111.
[4] იქვე

ენობრივ კონსტრუქციათა მონაცვლეობის საკითხი კი ი. მეშჩანინოვს ამ ნაშრომში შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: სიტყვა-წინადადების დაშლამ ჩრდილოეთ აზიის ენებში მოგვცა წინადადებისა და ზმნური ფორმების ორი კონსტრუქცია: ერთი—გარდაუვალი, სადაც ზმნა მხოლოდ სუბიექტთან არის შეთანხმებული (უობიექტო წყობა), მეორე — ისეთი კონსტრუქცია, რომელშიაც შეთანხმება სუბიექტთანაც არის და ობიექტთანაც. სუბიექტურ-ობიექტური შეთანხმების დროს ორი შესაძლებლობაა: ან მოქმედება განეკუთვნება პირს (პოსესიური წყობა), ან გამოყოფილია მოქმედების შემსრულებელი, რომელიც გაგებულია ინსტრუმენტალური, იარაღობითი მნიშვნელობით (ერგატიული წყობა)[1].

ამგვარად, სიტყვა-წინადადების შემდგომი საფეხურია უობიექტო წყობა და მის პარალელურად პოსესიური ან ერგატიული წინადადება. ამ უკანასკნელთა მიმართების შესახებ ავტორი ფიქრობს, რომ თუმცა ცალკეულ ენებში შესაძლებელია ერგატიული წყობა პოსესიურიდან მომდინარეობდეს (აფხაზურში, ლაკურში), მაგრამ ეს აუცილებელი არაა. დღევანდელ ეტაპზე ეს ორი წყობა პარალელურ წარმონაქმნებად უნდა მივიჩნიოთ, ორივე წარმოადგენს ინკორპორაციის დაშლის შემდგომ საფეხურს[2]. რაც შეეხება აფექტური წყობას, იგი არსებული კონსტრუქციის ხელახლა გააზრებას წარმოადგენს, ფორმით ძველია, შინაარსით კი — ახალი (ინვერსია). იგი მხოლოდ განვითარებულ (იაფეტურ) ენებში შეინიშნება. წინადადებათა ტიპების განვითარების სკალაზე მისი ადგილი ნათლად მოხაზული არ არის. სულ არაფერია ნათქვამი ლოკატიური წინადადების გენეზისზე. უძველესი კონსტრუქციააო, აღნიშნავს ავტორი, მაგრამ საიდან წარმოიშვა ის ან ენის განვითარების რომელ საფეხურზე. გაურკვეველია. ნომინატიური კონსტრუქცია ერგატიულისაგან ჩამოდინარეობს ქართველურ ენებში, მაგრამ არის თუ არა ეს ამ წყობის წარმოქმნის ერთადერთი გზა, არც ესაა ნათელი.

რაც შეეხება ენების მიხედვით წინადადების კონსტრუქციათა განაწილებას, ჩრდილოეთ აზიის ენებში ერთმანეთის გვერდით არსებობს ინკორპორაციული, უობიექტო და პოსესიური ტიპები. იაფეტურ ენებში კი — აფექტური, პოსესიური, ლოკატიური, ერგატიული და უობიექტო. ამჟამად იაფეტურ ენებში ეს კონსტრუქციები შინის სემანტიკის მიხედვით არის განაწილებული (გარდაუვალ

---

[1] Общее языкознание, გვ. 158.

[2] იქვე, გვ. 157.

ზმნებთან — უობიექტო, მქონებლობის ზმნებთან — პოსესიური, გრძნობის გამომხატველ ზმნებთან — აფექტური) და ამიტომ ერთმანეთს არ ენაცვლებიან. მაგრამ გენეტურად ისინი სავ:დასხვა სტადიის წარმონაქმნებად მიაჩნია ავტორს[1].

§62. 1940 წელს „ზოგად ენათმეცნიერებაში" ი. მეშჩანინოვმა უკანასკნელად წარმოადგინა ენათა სტადიური კლასიფიკაციის სრული სქემა. თუმცა ამის შემდეგაც მის შრომებში გვხვდება სტადიური კლასიფიკაციის ცალკეული საკითხების შესახებ მსჯელობა, მაგრამ ამ საკითხთა განხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ი. მეშჩანინოვის ენათა სტადიური კლასიფიკაციის ანალიზი ზემოთ მოყვანილი სამი სქემის საფუძველზე.

ი. მეშჩანინოვის აზრით, ენათა სტადიური კლასიფიკაცია ნ. მარის მიერ საბოლოოდ დამუშავებული არ ყოფილა. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ზოგადი პრინციპები, ხოლო კონკრეტული ენები სტადიების მიხედვით არ განაწილებულა, არც სტადიათა დამახასიათებელი ნიშნებია გამოყოფილი. ასე წერდა ი. მეშჩანინოვი 1935 წელს:

„საკითხი სისტემების შესახებ წამოყენებული იყო ზოგად შეხედულებათა საფუძველზე, ისე რომ ენები კონკრეტულად არ განაწილებულა ახლად ხავარაუდევი პრინციპის საფუძველზე. სტადიათა რიცხვი დაუზუსტებელია, ასევე ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი სტადიური ნიშნები, სისტემები კი სრულიად არაა დამუშავებული ცალკეულ ენობრივ დაჯგუფებათა დეტალებში"[2].

ასეთ ვითარებაში ი. მეშჩანინოვი მიზნად ისახავდა კონკრეტულ ენობრივ მასალაზე გაეშალა თავისი მასწავლებლის დებულებები ენათა სტადიური კლასიფიკაციის შესახებ.

„ჩემს ამოცანას სრულიადაც არ წარმოადგენს ჩემი ძალებისა:ვის შეუფერებელი როლი, ვიყო ენათა კლასიფიკაციის საქმეში ნოვატორი, რომელიც ცდილობს მოგვცეს დასრულებული სქემა. ამ იძულებული ვარ წინასწარ გაგაფრთხილოთ, რომ ასეთი სქემის მოცემა მე არ შემიძლია. მე შემიძლია შემოვიფარგლო მხოლოდ შევიწროებული ამოცანით მაინც მეტად საპასუხისმგებლო და უარღესად რთული სამუშაოსი, რომელიც დაიყვანება ნ. მარის უკანასკნელი

[1] Общее языкознание, გვ. 188—189.

[2] Проблема классификации языков..., გვ. 31.

წლების შრომებში მოცემულ ძირითად გამოთქმათა გაშლილ შეჯამებამდე"[1].

ამ განცხადების მიხედვით, ჩვენ არ უნდა მოველოდეთ განსხვავებას ი. მეშჩანინოვისა და ნ. მარის შეხედულებებს შორის ენათა სტადიური კლასიფიკაციის პრინციპების გაგებაში.

მიუხედავად ამისა, ასეთი განსხვავება (და როგორც ქვემოთ ვნახავთ, საკმაოდ მნიშვნელოვანიც) მაინც არსებობს. როდესაც ი. მეშჩანინოვი გადმოსცემს ნ. მარის შეხედულებებს, იგი მართებულად მიიჩნევს და უკრიტიკოდ იღებს თითქმის ყველა ძირითად დებულებას თავისი მასწავლებლისა. მაგრამ როდესაც ი. მეშჩანინოვი გადადის ენათა სტადიური კლასიფიკაციის საკითხზე, რომელიც მისი სპეციალური კვლევის ობიექტს წარმოადგენს, აღმოჩნდება, რომ იგი ნ. მარის ზოგ დებულებას სრულიად არ იყენებს, ზოგში კიდევ სხვა შინაარსს დებს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც. და თითქმის არასოდეს ეს გადახვევები ნ. მარის პრინციპებიდან აშკარად გამოვლენილი არ არის[2].

ამ დაფარულ შესწორებათა მიზანი აშკარაა: ალაგებდა რა ენათა სტადიურ კლასიფიკაციას, ი. მეშჩანინოვი ცდილობდა მოეხსნა, თავიდან აეცდინა ამ კლასიფიკაციის ყველაზე თვალსაჩინო წინააღმდეგობანი. მართლაც, ი. მეშჩანინოვის მსჯელობა თავისუფალია იმ უკიდურესობათაგან, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია ნ. მარისათვის.

ყველაზე არსებითი განსხვავება ენათა სტადიური კლასიფიკაციის პრინციპთა თვალსაზრისით ი. მეშჩანინოვსა და ნ. მარს შორის თავს იჩენს ერთიანი გლოტოგონიური პროცესის გაგებისას. ნ. მართან ერთიანი გლოტოგონიური პროცესი ოთხი ელემენტის თეორიას ემყარება. იგი გულისხმობს ენათა ერთიანობას როგორც მასალას (ოთხი ელემენტისაგან წარმოიშვა ყველა ენა), ისე განვითარების გზების მიხედვით. ი. მეშჩანინოვთან კი მონიზმი მხოლოდ ენათა განვითარების ერთგვაროვნობას ნიშნავს. ყველა ენის საწყისი მატერიალური ნათესაობა, ე. ი. ყველა ენის წარმოშობა ოთხი თავდაპირველი ელემენტისაგან, აქ გამორიცხულია. ამ მხრივ დამახასიათებელია ნაშრომი „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება". აქ ავტორი ნ. მარის შეხედულებათა გადმოცემისას ურყევ ჭეშმარიტებად თვლის ოთხი ელემენტის თეორიას: „ამგვარად, თანდათანობით ვითარდებოდა

[1] Новое учение о языке, გვ. 288.

[2] ზოგიერთი გამონაკლისის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ.

ძირითადი ბგერითი კომპლექსები, რომლებიც, როგორც დაადგინა ნ. მარმა, რიცხვით ოთხი იყო"[1]. „ეს ოთხი ძირითადი ბგერითი კომპლექსი-ელემენტი, თავდაპირველად აღმოჩნდა ყველგან მსოფლიოს ყველა ენაში"[2]. მაგრამ იმავე შრომაში ერთიანი გლოტოგონიური პროცესი ხასიათდება ოთხი ელემენტის თეორიის გვერდის ავლით[3].

ოთხი ელემენტის თეორიის ამოღებამ ერთიანი გლოტოგონიური პროცესიდან შესაძლებლობა მისცა ი. მეშჩანინოვს თავი დაეღწია ზოგი წინააღმდეგობისათვის, რომლებიც ნ. მარის კლასიფიკაციაში გარდაუვლად დაბრკოლებებს ქმნიან.

ჯერ ერთი, ვინაიდან მსოფლიოს ყველა ენას მასალობრივად არ უკავშირებს ერთმანეთს, ვინაიდან ი. მეშჩანინოვი არ არის იძულებული კონკრეტული ენები ერთმანეთისაგან გამოიყვანოს, ერთმანეთის ტრანსფორმაციად გამოაცხადოს, ნ. მართან კი ეს აუცილებელი იყო ოთხი ელემენტის თეორიის გამოყენების გამო. ნ. მარი ინდოევროპულ ენებს იაფეტურ ენათა ტრანსფორმაციად მიიჩნევდა, ისევე როგორც იმავე იაფეტურ ენათაგან გამოჰყავდა მას ჩვეულებრივ ყველა სხვა ენაც. ი. მეშჩანინოვი კი შესაძლებლად მიიჩნევს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ენების არსებობას. „ერთმანეთთან დაუკავშირებელი ენები არ გვაძლევენ თავიდანვე ერთიან წინაენობრივ მდგომარეობას"[4]. მაგრამ ამ აზრით „შეიძლება ვილაპარაკოთ ენობრივი ტრანსფორმაციის ერთიანობის შესახებ მეტყველების შედგენილობისა და მეტყველების წყობის ფორმალური ცვალებადობის პროცესის სრული მსგავსების თვალსაზრისით"[5].

ამიტომ, როდესაც ი. მეშჩანინოვი ერთგვარ სტრუქტურას დაადასტურებს სხვადასხვა ენაში, იგი არ ცდილობს ეს ენები გენეტუ-

---

[1] Новое учение о языке, გვ. 31.

[2] იქვე.

[3] 1940 წელს წერილში „საბჭოთა ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები" ი. მეშჩანინოვმა ოფიციალურად უარყო ელემენტოვანი ანალიზი, ილაშქრებდა კიდეც მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა კონკრეტულ ენათა მიმართ გამოეყენებინა ეს ანალიზი. მაგრამ აქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ არ ხერხდება პირველყოფილი ელემენტების აღმოჩენა თანამედროვე ენებში, ხოლო საკითხი იმის შესახებ, მართლაც არსებობდა თუ არა ეს თავდაპირველი ოთხი ელემენტი, მართლაც საფუძვლად დაედო თუ არა ისინი მსოფლიოს ყველა ენას, ე. ი. სწორია თუ არა ოთხი ელემენტის თეორია, ი. მეშჩანინოვს სპეციალური მსჯელობის საგნად არასოდეს არ გაუხდია. ცამოდიოდა, რომ ნ. მარმა სწორად მიაგნო ოთხ ელემენტს, მაგრამ მათი დადასტურება თანამედროვე ენებში სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელია.

[4] Новое учение о языке, გვ. 286.

[5] იქვე.

რად დაუკავშიროს ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ერგატიული წყობა გვხვდება პალეოაზიურ ენებში და იაფეტურ ენებში, მაგრამ ავტორი შენიშნავს: „კავკასოლოგებიდან ან ჩრდილოეთ კავკასიის ენათა სპეციალისტთაგან, ალბათ, არავინ არ იკისრებს დაიცვას ამ, გეოგრაფიულად ამდენად დაშორებულ, ენათა და მათზე მოლაპარაკეთა ურთიერთობა“ და ასკვნის: „ეს ენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. სწორედ ამაში ვლინდება განვითარების მოწიზმი“[1].

ი. მეშჩანინოვი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, რომ სხვა არავინ და ნ. მარი კი ადვილად უკავშირებდა იაფეტურ ენებს გეოგრაფიულად კიდევ უფრო მეტად დაშორებულ ენებს, როგორიცაა ამერიკის ენები, რომ დებულება, ენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებიანო, სრულიად არ ეგუება ნ. მარის პრინციპებს.

ოთხი ელემენტის თეორიის გვერდის ახვევა არის მიზეზი იმისაც, რომ განსხვავებით ნ. მარისაგან, ი. მეშჩანინოვთან არ ისმის საკითხი „გაქვავებულ“, „რელიქტურ“ ენათა შესახებ. ნ. მართან ენათა შორის განსხვავება თავიდანვე არ არსებობდა, ამოსავალი ყველასათვის ერთი და იგივე ოთხი ელემენტი იყო. განსხვავება შეიქმნა იმის გამო, რომ ამ საერთო ოთხი ელემენტის ტრანსფორმაციის პროცესში ზოგმა ენამ შეწყვიტა განვითარება, ისინი დარჩნენ განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, გაქვავდნენ. ოთხი ელემენტის თეორიის საფუძველზე ნ. მარი იძულებული იყო გაქვავებულად გამოეცხადებინა ყველა ენა, რომელთაც განვითარების უმაღლესი საფეხურისათვის არ მიუღწევიათ და ამგვარად განვითარების უნარმოკლებულად ჩაეთვალა ისინი.

ი. მეშჩანინოვთან ეს უაღრესად მწვავე საკითხი სრულიად არ დგას. ვინაიდან ი. მეშჩანინოვი ყველა ენას წარმოშობის მიხედვით არ უკავშირებს ერთმანეთს, ამიტომ ენათა მიჩნევა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფად სრულიადაც არ მოასწავებს ამ ენების მიერ განვითარების უნარის დაკარგვას. ესეც უნდა აღინიშნოს, რომ ი. მეშჩანინოვთან საერთოდ არ გვხვდება საფეხურების შეფასება მეტ-ნაკლები სრულყოფის თვალსაზრისით.

---

[1] Новое учение о языке, გვ. 287. შდრ. აგრეთვე ИАН ОЛЯ, 1941, № 3, გვ. 14, 16.

განხილულ საკითხთან დაკავშირებულია ისიც, რომ ი. მეშჩანინოვი სრულიად არ სვამს ხმელთაშუა ზღვის პრობლემას, რომელსაც ნ. მარის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მარი, თვლიდა რა მეტყველებას ხმელთაშუა ზღვის აუზში წარმოშობილად, მეტყველების ამ ცენტრიდან მოწყვეტით ავტომატურად ვარაუდობდა ენათა „გაქვავებას“, მათი განვითარების „შეწყვეტას“.

ი. მეშჩანინოვთან ენათა „გაქვავების“, განვითარების უნარის დაკარგვის საკითხი არ დგას, ბუნებრივია, თუ ხმელთაშუა ზღვის პრობლემაც თავისთავად იხსნება.

მეორე საკითხი, რომელიც სხვადასხვაგვარად არის გაშუქებული ნ. მართან და ი. მეშჩანინოვთან, არის ენის მიმართების საკითხი საზოგადოებასთან. ნ. მარს ენაში მომხდარი ძვრები საზოგადოებრივი პირობების ცვალებადობის უშუალო ასახვად ეჩვენებოდა, ამიტომ იგი ცდილობდა დაედგინა შესატყვისობა ენობრივ ტიპებსა და საზოგადოებრივ ფორმაციებს შორის. ასეთი პარალელიზმის უქონლობა მეტისმეტად თვალსაჩინოა. უნდა ვიფიქროთ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ი. მეშჩანინოვთან წინა პლანზეა წამოწეული ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხი. ი. მეშჩანინოვი გახაზავს იმას, რომ საზოგადოებრივი პირობები უშუალოდ კი არ მოქმედებს ენაზე, არამედ აზროვნების მეშვეობით. ამიტომ იგი სტადიურ კლასიფიკაციაშიც ენობრივ ტიპებს საზოგადოებრივ წყობილებებს კი არ უკავშირებს, არამედ აზროვნების სტადიებს. ამის გამო ი. მეშჩანინოვთან თვალში არ გვეცემა ის ხელოვნური დაკავშირება ენათა სტადიებისა საზოგადოებრივ ფორმაციებთან, რაც ნ. მარის კლასიფიკაციაში ვეხვდებოდა.

რაც შეეხება თვით ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხს, იგი ი. მეშჩანინოვთან არ არის მართებულად დასმული. ჯერ ერთი, სავსებით მიუღებელია ავტორის აზრი, რომლის მიხედვითაც აზროვნების კვლევა ენათმეცნიერთა ამოცანას წარმოადგენს (აქ ი. მეშჩანინოვი ნ. მარს იმეორებს). ამ შეხედულებას იცავდა ი. მეშჩანინოვი თავის სადისკუსიო წერილშიც: „თუ ენას მოვწყვეტთ აზროვნებას და აზროვნებას მივიჩნევთ ცალკე სფეროდ, რომელიც ენათმეცნიერულ კვლევათა გარეშე დგას, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ენათმეცნიერებას დარჩება მხოლოდ ფორმალური მხარე. ასე ვიწროდ აღებული ფორმალიზმის წინააღმდეგ, რომლითაც გაჟღენ-

თილია მთელი ბურჟუაზიული სკოლა, გადაჭრით ილაშქრებდა ნ. მარი"[1].

ამ მოსაზრების საფუძველზე იყო, რომ ი. მეშჩანინოვი შესაძლებლად მიიჩნევდა თვითონ ეწარმოებინა აზროვნების პერიოდიზაცია და მასზე დაეფუძნებინა ენათა სტადიური კლასიფიკაცია. რა შედეგი გამოიღო ამან, ამას ქვემოთ ვნახავთ. რაც შეეხება ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის აზროვნების საფეხურებთან დაკავშირების შესაძლებლობას, უნდა აღინიშნოს, რომ ენისა და აზროვნების მჭიდრო კავშირი არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ენებს შორის არსებული ტიპოლოგიური სხვაობანი უეჭველად აზროვნების სხვადასხვა საფეხურს დავუკავშიროთ. როგორც ცნობილია, ერთსა და იმავე აზრს სხვადასხვა ენა სხვადასხვა გვარად გამოხატავს და ეს განსხვავებანი ყოველთვის ერთმანეთის მომდევნო საფეხურებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ენის გამომხატველობით შესაძლებლობათა მრავალფეროვნებაზე მიუთითებენ.

ნ. მარისა და ი. მეშჩანინოვის შეხედულებებს შორის სხვაობა თავს იჩენს ენათა შეჯვარედინების საკითხშიაც. ნ. მარი შეჯვარედინებას ენათა განვითარების აუცილებელ პირობად თვლიდა. ის ენათა სტადიურ კლასიფიკაციაშიაც შეჯვარედინებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნ. მარის შეხედულებათა განხილვისას ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ნ. მარისავე პრინციპი წარმოების პროცესში მომხდარი ძვრების შედეგად ენათა ტრანსფორმაციის შესახებ აღარ საჭიროებს შეჯვარედინების თეორიას ამ ტრანსფორმაციათა ახსნისათვის და რომ ეს ორი პრინციპი ენათა სტადიურ კლასიფიკაციაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდევაც.

ი. მეშჩანინოვი ნ. მარის შეხედულებათა გადმოცემისას ეთანხმება ამ უკანასკნელს, რომ შეჯვარედინებას განსაკუთრებული როლი მიუძღვის ენათა განვითარებაში, რომ შეჯვარედინებისას ორი ენისაგან მესამე, ახალი ენა წარმოიშვება[2]. მაგრამ სტადიურ კლასიფიკაციაზე მსჯელობისას იგი არ იყენებს შეჯვარედინების თეორიას და აქაც ძალიან იცილებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც ნ. მართან მეტად ხელშესახებია.

---

[1] За творческое развитие наследия Н. Я. Марра, газ. „Правда", 1950, 16.V.

[2] მაგალითად, იგი წერს: „Получается смешение языков, дающее новую языковую систему или новый язык" (Новое в учении о языке, გვ. 9).

§63. ამგვარად, ი. მეშჩანინოვმა, შეარბილა და უგულებელყო რა მთელი რიგი დებულებანი, რომლებსაც თვით ნ. მარი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, გაათავისუფლა ენათა სტადიური კლასიფიკაცია ზოგი წინააღმდეგობისაგან.

მაგრამ ი. მეშჩანინოვისათვის სახელმძღვანელოდ რჩება ნ. მარის სხვა დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ენათა სტადიური კლასიფიკაციის რაობას, მის ყველაზე არსებით მხარეს.

რა არის საერთო ნ. მარისა და ი. მეშჩანინოვის შეხედულებებს შორის ენათა სტადიური კლასიფიკაციის პრინციპთა თვალსაზრისით?

პირველ ყოვლისა, ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, დახასიათება. ი. მეშჩანინოვს ენა ზედნაშენურ და კლასობრივ მოვლენად მიაჩნია ისევე, როგორც ნ. მარს. თუმცა აქაც გვაქვს მცირეოდენი განსხვავება: ნ. მარი ენას დასაბამიდანვე კლასობრივ მოვლენად თვლიდა. ი. მეშჩანინოვი კი ენას კლასობრივად აღიარებს მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში, ხოლო უკლასო საზოგადოებაში, პირველყოფილი გვაროვნული წყობილების დროს, მას ენაც არაკლასობრივ მოვლენად მიაჩნია.

ფორმულას ენის კლასობრიობის შესახებ ი. მეშჩანინოვი იყენებს ენათა სტადიურ კლასიფიკაციაში. იგი არაერთგზის აღნიშნავს, რომ მისი კლასიფიკაცია ეხება გვაროვნული წყობილების ენებს და რომ კლასობრივი საზოგადოების ენები სხვა სტადიებზე იქნებიან, ვიდრე წინაკლასობრივისა. ი. მეშჩანინოვს სრულიად აუხსნელი რჩება, როგორ არის შესაძლებელი, რომ ეს არაკლასობრივი, გვაროვნული საზოგადოების ენები (რომელთა რიცხვშიაც შედის თანამედროვე, ცოცხალი ენები, მაგალითად, ერგატიული კონსტრუქციის მქონე იბერიულ-კავკასიური ენები ან ნომინატიური კონსტრუქციის ინდოევროპული ენები) მშვენივრად არიან გამოყენებული კლასობრივ საზოგადოებებში რაიმე არსებითი ტიპოლოგიური გარდაქმნის გარეშე.

ენის ზედნაშენურობის საკითხს უკავშირდება „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ ენის განვითარების გაგება. აქ უკვე ი. მეშჩანინოვს არავითარი ცვლილება არ შეაქვს ნ. მარის შეხედულებაში. ორივე ავტორის მიხედვით, ენა როგორც ზედნაშენი, ერთბაშად გადადის ძველი თვისებრიობიდან ახალში. ენისათვის დამახასიათებელია უეცარი, ძირფესვიანი ცვლილებები ანუ აფეთქებები, რასაც „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მიმდევრები ტრანსფორმაციულ გარდაქმნებს უწოდებენ. ი. მეშჩანინოვი ხან სრულიად

უარყოფს ენის თანდათანობითი (მისი სიტყვით, ევოლუციური) განვითარების შესაძლებლობას, ხან კი მეტად მცირე როლს ანიჭებს მას. ენათა სტადიური კლასიფიკაცია მთლიანად ენათა ერთბაშ გარდაქმნებს (ტრანსფორმაციებს) ემყარება და ეს მიაჩნია ი. მეშჩანინოვს ამ კლასიფიკაციის მთავარ ღირსებად. ისევე, როგორც ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ნაკლად მიიჩნევს იგი იმას, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ ევოლუციურ ცვლილებებს ითვალისწინებს ენათა განვითარებაში.

ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაციის განხილვის დროს აღნიშნული გვქონდა, რომ ენა არ არის არც ზედნაშენი, არც კლასობრივი მოვლენა, რომ ენა იცვლება არა აფეთქების გზით, არამედ თანდათანობით. ცხადია, ვინაიდან ენათა სტადიური კლასიფიკაცია ამ სამ მცდარ წინამძღვარს ემყარება, იგი არ შეიძლება იყოს მეცნიერულად გამართლებული კლასიფიკაცია. მართლაც, ნ. მართან ჩვენ ვნახეთ, რომ ავტორმა ვერ შეძლო ენათა სტადიური კლასიფიკაციის კონკრეტული სახით ჩამოყალიბება.

პირველი და ყველაზე არსებითი დაბრკოლება ნ. მარის ენათა სტადიურ კლასიფიკაციაში იყო „სტადია“ ცნების გაურკვეველობა. სტადიური განვითარების პრინციპის მიხედვით სტადია უნდა იყოს საფეხური ენის განვითარებაში, პერიოდი ორ აფეთქებას შორის. მაგრამ ვინაიდან აფეთქებები ენათა განვითარებაში არ ხდება, ამიტომ ნ. მარმა ვერ შეძლო კონკრეტულად ეჩვენებინა, რა ნიშნები ახასიათებს სტადიას, როგორ უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ენა ამა თუ იმ სტადიას?

ამ მხრივ, არც ერთი ნაბიჯი არ წაუდგამს წინ ი. მეშჩანინოვსაც. უფრო მეტიც, მისი ცდების შემდეგ კიდევ უფრო აშკარად გამოვლინდა, რომ „სტადია“ ცნება „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ მოკლებულია ყოველგვარ გარკვეულობას. რაკი ნ. მარმა ვერ მოახერხა ახალი საკლასიფიკაციო ნიშნის გამოყოფა, მან აიღო ენათმეცნიერებაში უკვე არსებული მორფოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციები და მათი ხელოვნურად შეერთებითა და რეინტერპრეტაციით ცადა ენათა სტადიური კლასიფიკაციის სქემის შედგენა. ი. მეშჩანინოვმა არსებითი ცვლილება შეიტანა ამ სქემაში, მან შეცვალა საკლასიფიკაციო ნიშანი. ნაცვლად მორფოლოგიურისა, როგორც ეს ნ. მართან იყო, ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაცია სინტაქსურია. და, რაც მთავარია, სინტაქსური და მორფოლოგიური თვალსაზრისით გამოყოფილი ტიპები არ ემთხვევა

ერთმანეთს. ნ. მარისა და ი. მეშჩანინოვის სქემათა შედარება გვიჩვენებს, რომ ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მართლაც, ნ. მარის სქემაში ოთხი სტადია არის გამოყოფილი: პირველადი, რომელიც ჩინურ და სხვა ძირეულ ენებს მოიცავს, მეორეული, რომელშიაც აგლუტინაციური ენები (უნგრულ-ფინური, თურქული, მონღოლური) არის გაერთიანებული, მესამეული, რომელშიაც ავტორს პოლისტადიური იაფეტური და აგრეთვე ქამიტური ენები აქვს შეტანილი და მეოთხეული, რომელსაც ქმნის ფლექსიური (ინდოევროპული და სემიტური) ენები.

ი. მეშჩანინოვის სამი სქემიდან პირველში (1935 წ.) სამი სტადია არის გამოყოფილი (პირველი წარმოდგენილია ჩრდ. ამერიკის ენებში, მესამე — ინდოევროპულ ენებში, ხოლო მეორე—იაფეტური სტადია, გარდამავალია პირველსა და მესამეს შორის), მესაბე სქემაში (1940 წ.) ი. მეშჩანინოვი 7 სინტაქსურ კონსტრუქციას გამოყოფს (ინკორპორაცია, უობიექტო წყობა, პოსესიური, ერგატიული, აფექტური, ნომინატიური წინადადებები), ასე რომ, ორივე დასახელებული სქემა აშკარად განსხვავდება ნ. მარის სქემისაგან გამოყოფილი ტიპების რაოდენობით.

უფრო საინტერესოა ნ. მარის სტადიური კლასიფიკაციის სქემასთან ი. მეშჩანინოვის მეორე (1936 წ.) სქემის შედარება. ამ უკანასკნელშიაც, ისევე როგორც ნ. მართან, 4 სტადია არის გამოყოფილი: 1. აქტიურ-მითოლოგიური (=ინკორპორაციას), 2. აქტიურ-პასიური (=პოსესიურს), 3. პასიურ-აქტივიზირებული (=ერგატიულს და 4. აქტიურ-ლოგიკური (=ნომინატიურს), მაგრამ ამ ორი სქემის სტადიები სრულიადაც არ მიჰყვება ერთმანეთს.

ნ. მართან პირველადს სტადიაში ძირეული ენები (მაგალითად, ჩინური) შედის. ი. მეშჩანინოვთან ჩინურის ტიპის ენათა სინტაქსური წყობა სრულიად არ არის გათვალისწინებული. სამაგიეროდ, აქ პირველ სტადიაში გამოყოფილია ჩრდილოეთ ამერიკისა და აზიის პოლისინთეზური ენები, რომლებიც ნ. მარის კლასიფიკაციაში არ არიან წარმოდგენილი.

არანაკლები სხვაობა შეინიშნება იმ ენათა დაჯგუფებაშიაც, რომლებიც ორივე ავტორის სქემებში გვხვდება. ასე, მაგალითად, ნ. მართან მორფოლოგიური თვალსაზრისით გამიჯნულია ერთმანეთისაგან აგლუტინაციური (უნგრულ-ფინური, თურქული, მონღოლური) და ფლექსიური (სემიტური, ინდოევროპული) ენები. პირველში მეორეულ სტადიას ქმნიან, მეორენი — მეოთხეულს. ი. მეშჩანინოვი კი სინტაქსური თვალსაზრისით აერთიანებს ამ ორ ჯგუფს ერთ—

ნომინატიურ სტადიაში, რომელშიაც შეტანილია როგორც სემიტური და ინდოევროპული, ისე თურქული და ფინური ენები.

ერთადერთი შემთხვევა, სადაც თითქოს ერთგვარი პარალელიზმი იჩენს თავს, არის ნ. მარის მესამეული სტადია, რომელიც იაფეტურ ენებს მოიცავს, და ი. მეშჩანინოვის მესამე (ერგატიული) სტადია, რომელშიაც აგრეთვე იაფეტური ენები შედის. მაგრამ ამ სტადიების დახასიათება მაინც არსებითად განსხვავებულია დასახელებულ ორ ავტორთან. ნ. მარის კლასიფიკაციაში იაფეტურ ენებს რაიმე დამოუკიდებელი მორფოლოგიური ნიშანი არ ახასიათებს, მათ თავისებურებას ქმნის პოლისტადიურობა, რაც ნ. მარის მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა იაფეტური ენა სხვადასხვა სტადიას განეკუთვნება: აფხაზური ამორფულია, ქართული— ფლექსიური, დანარჩენთა უმრავლესობა კი — აგლუტინაციურია. ამგვარად, მორფოლოგიური თვალსაზრისით იაფეტური ენები ერთ ჯგუფს არ ქმნიან.

ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციაში იაფეტურ ენებს დამოუკიდებელი სინტაქსური ნიშანი ახასიათებს, ეს არის ერგატიული კონსტრუქცია. ამგვარად, ი. მეშჩანინოვთან იაფეტური ენები სხვადასხვა სტადიას არ განეკუთვნებიან. კლასიფიკაციის სქემებში ი. მეშჩანინოვი ამ ენათა პოლისტადიურობას მაინც არ უარყოფს, ოღონდ მას სხვაგვარად ესმის ეს პოლისტადიურობა. ნაშრომში „ზოგადი ენათმეცნიერება" (1940 წ.) ი. მეშჩანინოვი იაფეტურ ენებს პოლისტადიურად მიიჩნევს იმის გამო, რომ მათში ერგატიულის გვერდით გვხვდება აგრეთვე სხვა კონსტრუქციებიც (უობიექტო, პოსესიური, აფექტური, ლოკატიური).

მხოლოდ 1947 წ. უარყო ი. მეშჩანინოვმა იაფეტურ ენათა პოლისტადიურობა, აღიარა რა, რომ „პოლისტადიურობა ცუდად ეგუება სტადიის ცნებას", რომ პოლისტადიური მდგომარეობა სტადიის არ არსებობას მოასწავებს[1].

იაფეტურ ენებთან დაკავშირებით თქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ ენათა ხვედრითი წონა არსებითად განსხვავებულია ნ. მარისა და ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციათა სქემებში. ნ. მარი იაფეტურ ენებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც თითქოსდა პრეისტორიული ხანის ენებს. იგი ამ ენათაგან წარმოშობილად მიიჩნევდა ენათა ყველა სხვა ჯგუფს, ი. მეშჩანინოვთან კი

[1] Учение Н. Я. Марра о стадиальности, გვ. 39.

იაფეტური ენები განიხილება სხვა ენათა გვერდით. როგორც ზემოთ ვნახეთ, ი. მეშჩანინოვი მატერიალურად არ უკავშირებს ერთმანეთს სხვადასხვა ოჯახის ენებს და ამიტომ იაფეტურ ენებს მის კლასიფიკაციაში რაიმე განსაკუთრებული ადგილი არ უჭირავს[1].

როგორც ვხედავთ, ენათა სტადიური კლასიფიკაციის სქემებს, რომლებიც ი. მეშჩანინოვის შრომებში გვხვდება, არაფერი აქვს საერთო მარისეული სტადიური კლასიფიკაციის სქემებთან.

მიუხედავად ამისა, ი. მეშჩანინოვს შესაძლებლად მიაჩნდა განეცხადებინა: მე კლასიფიკაციის საკითხში ნოვატორობას ვერ ვიკისრებ, ჩემი ამოცანაა მხოლოდ ნ. მარის დებულებათა შეჯამება და კონკრეტულ ენათა მიმართ მათი გამოყენებაო.

პირველ ხანებში ი. მეშჩანინოვი მართლაც მთლიანად იმეორებდა ნ. მარის სქემებს. მხოლოდ 1935 წელს ნაშრომში „ენათა კლასიფიკაციის პრობლემა“ ჩნდება პირველად სინტაქსური კლასიფიკაცია. დამახასიათებელია ისიც, რომ აღნიშნულ შრომაში ძირითადად ისევ ნ. მარის მორფოლოგიური სქემაა გადმოცემული, მხოლოდ უკანასკნელ გვერდებზე გვაქვს წარმოდგენილი სინტაქსური კლასიფიკაცია. და აქაც ღიად არის დატოვებული საკითხი ამ ორი სქემის ურთიერთმიმართების შესახებ.

შემდეგდროინდელ შრომებში მორფოლოგიური კლასიფიკაციის ხსენება ქრება. ი. მეშჩანინოვი იმგვარად გვაწვდის სინტაქსური კლასიფიკაციის სქემებს, თითქოს იგი ნ. მარის კლასიფიკაციას იმეორებდეს. ამასთანავე იგი, კვლავ ნ. მარის დამოწმებით, განსაკუთრებით გახაზავს სინტაქსის პრიორიტეტს. მხოლოდ 1947 წელს სტატიაში „სტადიურობის პრობლემა ენის განვითარებაში“[2] ი. მეშჩანინოვი ამჟღავნებს თავის, უნდა ითქვას, საკმაოდ დადებითს, დამოკიდებულებას ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის მიმართ. მაგრამ აქაც საქმის ვითარება ისე კი არ არის წარმოდგენილი, რომ მორფოლოგიურ ნიშანს ემყარებოდა ნ. მარის სტადიური კლასიფიკაცია, არამედ ავტორს მორფოლოგიურ კლასიფიკაციაზე მსჯელო-

---

[1] 1947 წელს ი. მეშჩანინოვმა იმაზედაც მიუთითა, რომ ნ. მართან იაფეტური ენები უნივერსალური არიან, ყველა სხვა ენის სუბსტრატად გევევლინებიან. ეს შეხედულება მან ნ. მარის 1920 წლის კონცეფციის გადმონაშთად მიიჩნია და იგი არსებითი წინააღმდეგობის შემცველად აღიარა (Ученые Н. Я. Марра о стадиальности, გვ. 38—40). უნდა ითქვას, რომ ეს ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, როდესაც ი. მეშჩანინოვმა შესაძლებლად ჩათვალა კრიტიკულად განეხილა ნ. მარის თვალსაზრისი.

[2] ИАН СССР ОЛЯ, 1947, ტ. VI, ნაკვ. 3, გვ. 174.

ბისას მხედველობაში აქვს XIX საუკუნის ენათმეცნიერება. აი, მისი სიტყვებიც:

„ენათმეცნიერების ისტორიული სკოლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ადგენდა ენობრივ სტრუქტურათა განვითარების მონაცვლეობას ამორფულიდან აგლუტინაციურობისაკენ, შემდეგ ფლექსიურობისაკენ და, ბოლოს, ანალიზურობისაკენ. რიგი წლების განმავლობაში ხან ვეთანხმებოდით ამ სქემას, ხან ვეკამათებოდით, ვცდილობდით რაშეგვეცვალა იგი ახალი სქემით. საბოლოოდ ჩვენ მივედით სხვაგვარ სტრუქტურულ დაპირისპირებამდე: ამორფულობა, პოსესიურობა, ერგატიულობა, ნომინატიურობა. უკანასკნელი სქემა განსხვავდება პირველისაგან იმით, რომ მას საფუძვლად დაედო სინტაქსური ხასიათის დაპირისპირებანი. ვაქცევდით რა უკანასკნელ ათეულ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას სინტაქსს, ჩვენ კლასიფიკაციის სქემაც სინტაქსურ საფუძველზე ავაგეთ. ესაა ჩვენი სქემის აშკარა უპირატესობა. გარდა ამისა, იგი მნიშვნელოვნად უპასუხებს ჩვენს ლინგვისტურ ძიებათა წამყვან ხაზს, რაც ემყარება ენისა და აზროვნების უწყვეტ კავშირს. მართლაც, ძალიან ძნელია დავუკავშიროთ აგლუტინაციიდან ფლექსიაზე გადასვლა ადამიანის ცნობიერების ნორმათა ცვალებადობას, მაშინ როდესაც სინტაქსურ ცვლილებებს შეუძლიათ უპასუხონ აზროვნებასთან ენის კავშირს, თუმცა ამით შემოიფარგლება ჩვენი სქემის უპირატესობა«[1].

პირველად გაზეთ „პრავდაში« გამოქვეყნებულ თავის სადისკუსიო სტატიაში აღნიშნა ი. მეშჩანინოვმა, რომ ნ. მარის სქემები ენათა სტადიური კლასიფიკაციისა მორფოლოგიურ თვალსაზრისს ემყარება და არაფრით არ განსხვავდება ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციისაგან. ნ. მარის სქემათა შესახებ იგი წერდა: „ზემოთ მოყვანილ სქემათა დეფექტი იმაში გამოვლინდა, რომ ისინი აგებული არიან ფორმალურ მორფოლოგიურ ნიშანზე, ე. ი. იმაზევე, რომელზედაც აგებდა თავის კლასიფიკაციებს ბურჟუაზიული სკოლა«[2].

---

[1] Проблема стадиальности в развитии языка, ИАН СССР ОЛЯ, 1947, ტ. VI, ნაკვ. 3, გვ. 174.

[2] За творческое развитие наследия академика Н. Я. Марра. „Правда", 1950, 16.V.

მხოლოდ სტადიის ცნების გაურკვევლობის შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო ის მეტამორფოზა, რომელიც ი. მეშჩანინოვთან განიცადა საკლასიფიკაციო ნიშანმა. სხვა პირობებში წარმოუდგენელი იქნებოდა სხვადასხვა ნიშნის (მორფოლოგიური და სინტაქსური) მიხედვით წარმოებული ორი კლასიფიკაციის გამოცხადება ერთ და იმავე სტადიურ კლასიფიკაციად. მაშინ როდესაც, როგორც ვნახეთ, ი. მეშჩანინოვის სტადიური კლასიფიკაცია არც სტადიათა რაოდენობით და არც ენათა განაწილებით არ შეესატყვისება ნ. მარის მორფოლოგიურ კლასიფიკაციას.

ზემოთ დასახელებულ წერილში ი. მეშჩანინოვი აღნიშნავს: „მორფოლოგიურ სქემას სრულიადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა... ორივე სქემა (ე. ი. მორფოლოგიური და სინტაქსური. — თ. შ.), რომლებიც აგებულია სხვადასხვა პრინციპებზე, არსებობენ პარალელურად და ერთმანეთს ხელს არ უშლიან"[1].

რა თქმა უნდა, მორფოლოგიურმა და სინტაქსურმა სქემებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თუ პარალელურად უნდა იარსებონ, მაგრამ ისინი ერთმანეთს ხელს უშლიან „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში". ვინაიდან მორფოლოგიურ სქემას სტადიური კლასიფიკაციის სქემად აცხადებდა ნ. მარი, ხოლო ი. მეშჩანინოვი იმავე სტადიური კლასიფიკაციის სქემად მიიჩნევს სრულიად სხვა — სინტაქსურ სქემას. მაშასადამე, გაურკვეველი რჩება, რომელია ჭეშმარიტი სტადიური კლასიფიკაცია?

„სტადია" ცნების გაურკვევლობა ნ. მარის კლასიფიკაციის სქემებში იმაშიაც იჩენდა თავს, რომ მოუგვარებელი იყო სტადიისა და სისტემის ურთიერთობის საკითხი. სისტემა, როგორც ერთ-ერთი საკლასიფიკაციო ერთეული, სტადიის გვერდით ნ. მართან კლასიფიკაციაში გაჩნდა იმის გამო, რომ მან ორი სხვადასხვა კლასიფიკაცია გააერთიანა სტადიურ სქემაში. თუ სტადია მორფოლოგიურ ტიპს უდრიდა, სისტემა ენათა ოჯახის აღმნიშვნელი გახდა. მაგრამ მორფოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციების დაჯგუფებანი არ არიან ერთმანეთის შესატყვისნი და იმიტომ სტადიებისა და სისტემების ურთიერთობაც გაურკვეველი დარჩა.

ეს სიძნელე ი. მეშჩანინოვთანაც იჩენს თავს. ავტორის მსჯელობა სტადიისა და სისტემის განსხვავების შესახებ ბუნდოვანია. იგი წერს:

---

[1] Проблема стадиальности в развитии языка, გვ. 175.

„სისტემებისა და სტადიების არსში ყველაზე აშკარა განსხვავება იქნება... ის, რომ სტადიები წარმოადგენს საფეხურებს ერთიანი ენობრივი პროცესის განვითარების ისტორიულ მსვლელობაში და ამიტომ ისინი შეინიშნება მთელ[1] ენობრივ მასალაზე, მაშინ როდესაც სისტემაში იგულისხმება გარკვეული ენობრივი დაჯგუფება მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით“[2].

რაც შეეხება სტადიებისა და სისტემების ურთიერთობას, ავტორი გვეუბნება, რომ ისინი ერთმანეთს არ შეესატყვისებიანო:

„ორივე ეს დაჯგუფება სტადიებად და სისტემებად არ ფარავს ერთმანეთს, ისინი შეიძლება არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, კერძოდ, ერთი სტადია, ე. ი. მეტყველების განვითარების ერთი გარკვეული პერიოდი, შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე სისტემას, მაშინ როდესაც ერთი სისტემა შეიძლება აღმოჩნდეს ნაირსტადიური“[3].

1940 წელს სტადიები და სისტემები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დაჯგუფებებადაც კი არის აღიარებული:

„სტადიებად... გაიგება ენობრივი ისტორიის საერთო მსვლელობის ენობრივი პერიოდები, რომლებსაც ახასიათებს ლექსიკური და გრამატიკული წყობის გამოხატულების მსგავსი ამოცანები, სემანტიკურ გადასვლათა მსგავსება, რომელიც ფორმალურად შეიძლება არც იყოს იგივეობრივი. სტადიებისაგან დამოუკიდებლად ენები ჯგუფდება სისტემებად ანუ ე. წ. ოჯახებად, რომლებში შემავალი ენებიც, უახლოვდებიან რა ერთმანეთს ფორმალური, ლექსიკური და გრამატიკული მაჩვენებლებით, შეიძლება აღმოჩნდნენ სხვადასხვა სტადიის ნიშანთა მატარებელნი“[4].

თვით კლასიფიკაციაში სისტემების შესახებ მსჯელობა არ გვხვდება. ავტორი გვაფრთხილებს:

„მე ჯერჯერობით განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ სტადიურობას, გავურბივარ რა სისტემებად ენათა დაყოფის თემატიკის გაღრმავებასო“[5].

ამგვარად, წინააღმდეგობა, რომელსაც სტადიურ კლასიფიკაციაში სტადიისა და სისტემის ურთიერთობის მოუგვარებლობა

---

[1] დაბეჭდილია, ალბათ, შეცდომით: на своем (!) языковом материале.

[2] Проблема классификации языков, გვ. 14.

[3] იქვე.

[4] Очередные задачи советского языкознания, ИАН СССР ОЛЯ, 1940, ნაკ. 3, გვ. 25.

[5] Новое учение о языке, გვ. 60.

ქენიდა, ი. მეშჩანინოვმა ამით აიცდინა თავიდან, რომ მან სისტემები სრულიად ამოაგდო სტადიური კლასიფიკაციიდან. ეს ი. მეშჩანინოვს, შესაძლებელია, იმანაც გაუადვილა, რომ განსხვავებით ნ. მარისაგან იგი სტადიური თვალსაზრისით ენათა მთელ ოჯახებს კი არ განიხილავს გაუდიფერენცირებლად, არამედ მის მიერ კლასიფიკაციისათვის გამოყენებულ ოჯახთა ცალკეულ, კონკრეტულ ენებზე ამახვილებს ყურადღებას.

§64. რა სახე მიიღო ენათა სტადიური კლასიფიკაციის სქემებმა ი. მეშჩანინოვთან? მისცა თუ არა მას შესაძლებლობა ნ. მარის შეხედულებებში შეტანილმა შესწორებებმა და თვით საკლასიფიკაციო ნიშნის შეცვლამ ჩამოეყალიბებინა ენათა სტადიური კლასიფიკაცია?

ამ საკითხის გარკვევისათვის საკმარისია შევადაროთ ერთმანეთს ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციის სქემები, რომელთაგან პირველი 1935 წელს არის წარმოდგენილი, მეორე 1936 წელს, მესამე და უკანასკნელი კი — 1940 წელს[1].

დასახელებული სამი სქემიდან მეორე (1936 წ.) პირველის (1935 წ.) გადამუშავებას და დაზუსტებას წარმოადგენს. პირველ სქემაში მხოლოდ მოხაზულია ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციის კონტურები, მეორეში კი ეს კლასიფიკაცია უფრო გარკვეულ სახეს იღებს (აღსანიშნავია, მაგალითად, რომ პირველ სქემაში ავტორი ენათა სტადიებს ჯერ კიდევ არ არქმევს სახელებს). მეორე სქემაში ცალკე არის გამოყოფილი აქტიურ-პასიური (პოსესიური) სტადია, რომელიც პირველში არ იყო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, პრინციპული განსხვავება პირველსა და მეორე სქემას შორის არ არსებობს. მესამე სქემასთან მათი შედარება კი ასეთ შედეგს გვაძლევს:

---

[1] როგორც აღნიშნული იყო, ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციის სქემები სინტაქსურ პრინციპს ემყარება. ჩვენ ვერ განვიხილავთ საკითხს, რამდენად დამაკმაყოფილებელია ეს კლასიფიკაცია სინტაქსური თვალსაზრისით. ამისათვის აუცილებელია ავტორის მიერ გამოყენებული კონკრეტული ენების მეცნიერულ-სტორიული ანალიზი, რაც ჩვენს შესაძლებლობას აღემატება. იბერიულ-კავკაიიურ ენათა სინტაქსური კონსტრუქციების განხილვისას ი. მეშჩანინოვის შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი წარმოდგენილია არნ. ჩიქობავას შრომებში. ჩვენ შევეხებით ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციას მხოლოდ სტადიურობის თეორიის თვალსაზრისით.

ი. მეშჩანინოვის ენათა სტადიური კლასიფიკაციის მეორე სქემა (ისევე, როგორც პირველი) აზროვნების სტადიურ კლასიფიკაციას ეფუძნება. აზროვნების სტადიები ი. მეშჩანინოვს გამოყოფილი აქვს ნ. მარის მიხედვით, არა აზროვნების ისტორიის სპეციალური შესწავლის შედეგად, არამედ აპრიორულად „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ დებულებათა შესაბამისად. ამოსავალი აზროვნების სტადიების დადგენისას ნ. მარისთვისაც და ი. მეშჩანინოვისთვისაც არის მათი თეორიები ენათა განვითარების შესახებ.

ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციაში აზროვნების სტადიების გამოყოფა და ენობრივ სტადიებთან მათი დაკავშირება ხელოვნურია და მოკლებული მეცნიერულ საფუძვლიანობას. ალბათ, ეს შეუმჩნეველი არ დარჩა თვით ავტორსაც, რადგანაც ენათა სტადიური კლასიფიკაციის მესამე სქემაში იგი ენობრივ ტიპებს აღარ განიხილავს აზროვნების სტადიებთან მიმართებით. თუ აქამდის (1935 წ. და 1936 წ.) ი. მეშჩანინოვის სტადიური კლასიფიკაცია ორი ნაწილისაგან შედგებოდა, პირველ რიგში გვქონდა აზროვნების სტადიები, ხოლო მეორე რიგში მათი შესაბამისი ენობრივი სტადიები, 1940 წლის სქემაში პირველი ნაწილი კლასიფიკაციისა ამოღებულია და გვრჩება მხოლოდ ენათა სინტაქსური ტიპოლოგია[1].

მესამე სქემა სხვა მხრივაც უპირისპირდება პირველ ორს: ამ უკანასკნელებში ენობრივი სტადიები ერთმანეთს მოსდევენ, ისინი ერთიანი გლოტოგონიური პროცესის სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ. ასე მაგალითად, მეორე სქემის მიხედვით, აქტიურ-მითოლოგიური (ინკორპორაციული) სტადიის დაშლით მივიღეთ აქტიურ-პასიური (პოსესიური), ეს უკანასკნელი გარდაიქმნა ერგატიულად, ხოლო ერგატიულისაგან კი წარმოიშვა აქტიურ-ლოგიური (ნომინატიური) სტადია.

მესამე სქემაში გამოყოფილი სინტაქსური ტიპების ასეთ მონაცვლეობაზე ავტორი არ მიუთითებს. ერთადერთი შემთხვევა, სადაც

---

[1] იმავე 1940 წელს ერთ-ერთ წერილში ი. მეშჩანინოვი ნ. მარის მიერ აზროვნების განვითარებაში გამოყოფილ პერიოდებს ასეთ შეფასებას აძლევს: „Другое дело, что число этих периодов и характерные черты каждого из них не были уточнены Н. Я. Марром в законченном виде. Его опыты построения стадиальной схемы меняющихся норм сознания, как-то— выделение тотемистического периода для дородового общества, затем космического и микрокосмического как предшественников логического с аналитическим восприятием мира, остались недоработанными (Очередные задачи советского языкознания, გვ. 16).

იგი სტადიურ მონაცვლეობას ვარაუდობს, არის ინკორპორაციული კომპლექსის დაშლა სიტყვებისაგან შემდგარ წინადადებებად. ავტორი უკვე აღარ ფიქრობს, რომ მის მიერ გამოყოფილი დანარჩენი ექვსი ტიპი განვითარების ერთ ხაზზე დალაგდება, როგორც ერთმანეთის მონაცვლე საფეხურები. მაგალითად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პოსესიური და ერგატიული წყობა მას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და პარალელურად წარმოშობილად მიაჩნია ინკორპორაციული კომპლექსის დაშლის შემდეგ[1].

რომ ნათელი გახდეს, რას წარმოადგენს ი. მეშჩანინოვის კლასიფიკაციის მესამე სქემა, შევუპირისპიროთ ერთმანეთს, რა მოსთხოვნილებას უყენებდა ავტორი სტადიურ კლასიფიკაციას და რა შედეგები მიიღო მან:

1. კლასიფიკაციას უნდა ეჩვენებინა, რომ საზოგადოებასთან ენის მიმართება აზროვნების მეშვეობით ხორციელდება და რომ აზროვნების განვითარების საფეხურები შეაპირობებს ენობრივ სტადიათა წარმოშობას.

ი. მეშჩანინოვმა ვერ შეძლო დაეკავშირებინა ენათა სტადიური კლასიფიკაცია აზროვნების სტადიებთან. ამით საფუძველი გამოეცალა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ორ ძირითად თემას: ენა და საზოგადოება და ენა და აზროვნება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ენისა და საზოგადოების, აგრეთვე ენისა და აზროვნების საკითხი ამ მოძღვრებაში არ იყო მართებულად დასმული და გაშუქებული.

2. სტადიური კლასიფიკაცია უნდა ყოფილიყო ერთიანი გლოტოგონური პროცესის ილუსტრაცია, მას უნდა გამოევლინა სხვადასხვა ენაში განვითარების ერთიანი გზების არსებობა.

ი. მეშჩანინოვის „ზოგად ენათმეცნიერებაში“ გამოყოფილი ტიპები არ მოსდევს ერთმანეთს, არ არის ერთმანეთისაგან წარმოშობილი, მაშასადამე, აქ წარმოდგენილი კლასიფიკაცია კი არ ასაბუთებს, არამედ უარყოფს ერთიანი გლოტოგონიური პროცესის ავტორისეულ გაგებას[2].

3. სტადიური კლასიფიკაცია, ი. მეშჩანინოვის მოთხოვნით, აუცილებლად ისტორიულ თვალსაზრისზე უნდა ყოფილიყო აგებული. მაგრამ რაკი სინტაქსური ტიპები არ მოსდევს ერთმანეთს, დარღვე-

---

[1] Общее языкознание, გვ. 157.

[2] რა თქმა უნდა, ერთგვარი მოვლენები, განვითარების საერთო ზოგადი პრინციპები შეინიშნება სხვადასხვა ენაში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ენებს შორის არსებული ყოველგვარი განსხვავებანი უეჭველად განვითარების სხვადასხვა საფეხურად უნდა მივიჩნიოთ.

ულია ისტორიზმის პრინციპიც. მიეიღეთ თანამედროვე ენათა ტიპოლოგიური დაჯგუფება სტატიკურ პრილში, ხოლო ამ ტიპების ისტორიული მიმართების საკითხი ღიად არის დატოვებული.

4. ბოლოს, კლასიფიკაცია უნდა ყოფილიყო სტადიური, ე. ი. უნდა გამოყოფილიყო ენათა სტადიები.

სინამდვილეში ეს მოთხოვნილებაც არ არის შესრულებული. ი. მეშჩანინოვმა გამოყო ენათა სინტაქსური ტიპები (სულ შვიდი). მაგრამ ყველა ტიპი სტადიას არ ქმნის (მაგ., უობიექტო, აფექტური, ლოკატიური წყობა), ერთ სტადიაში კი შეიძლება რამდენიმე ტიპი დადასტურდეს (ერგატიულში — ერგატიული, უობიექტო, აფექტური, ლოკატიური და პოსესიურიც კი).

სტადიის რაობის საკითხი, როგორც ზემოთ ვნახეთ, „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ თავიდანვე გაურკვეველი იყო, მაგრამ როგორც ნ. მარის, ისე ი. მეშჩანინოვის ადრინდელ სქემებში სტადიურ კლასიფიკაციად იყო გამოცხადებული რომელიმე სხვა კლასიფიკაცია (მორფოლოგიური — ნ. მართან, სინტაქსური — ი. მეშჩანინოვთან). უკანასკნელ სქემაში კი სინტაქსური ტიპები დაცილდა სტადიებს. წინადადების ტიპი მეტია (შვიდი), სტადია კი — ნაკლები (ოთხი), ამასთან სრულიად გაურკვეველია მათი ურთიერთმიმართება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ი. მეშჩანინოვმა მიზნად დაისახა სტადიების გამოყოფა, შედეგად კი მიიღო ტიპები, რომლებიც, მისივე თვალსაზრისით, არ უდრის სტადიებს.

ისეთი მდგომარეობა მიეიღეთ, რის შესახებაც ავტორმა 1946 წ. აღნიშნა: „მე სისტემატურად დიდ ნაშრომებში განსხვავება კაშომიდის დასაწყისსა და დასასრულს შორის. დასაწყისი გაიაზრება, იწერება; აზრი განაგრძობს მუშაობას და შეუნეგად დაბოლოება სცილდება დასაწყისს. საჭირო ხდება მთელი ნაშრომის გადაკეთება, მის ძირითად დებულებათა დაზუსტება“[1].

მართლაცდა, ნაშრომში „ზოგადი ენათმეცნიერება“ (1940 წ.) ავტორს განზრახული ჰქონდა წარმოედგინა ენათა სტადიური კლასიფიკაცია, ამას მოწმობს როგორც ამ ნაშრომის ჭვესათაური (სტადიურობის პრობლემისათვის სიტყვისა და წინადადების განვითარებაში), ისე მისი შესავალი და პირველი თავები, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს „ზ ო გ ა დ ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი“ მ ო ც ე მ უ ლ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა ა რ წ ა რ მ ო ა დ-

[1] О задачах научно-исследовательской работы языковедческих институтов в текущей пятилетке. ИАН СССР ОЛЯ, 1946, ტ. V, ნაკვ. 6, გვ. 506.

გენს ენათა სტადიურ კლასიფიკაციას. ი. მეშჩანინოვის ცდამ დაემუშავებინა და დაეზუსტებინა ნ. მარის სტადიური კლასიფიკაცია სრული მარცხი განიცადა. საქმეს ვერ უშველა ვერც ნ. მარის პრინციპთა ზოგიერთმა შესწორებამ და ზოგი წინააღმდეგობის მოხსნამ, ვერც საკლასიფიკაციო ნიშნის გამოცვლამ. ავტორი შინაგანი აუცილებლობით მივიდა იქამდის, რომ იძულებული გახდა თავი დაენებებინა ენათა სტადიური კლასიფიკაციისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტადიურ კლასიფიკაციასთან ერთად ი. მეშჩანინოვთან საფუძველი გამოეცალა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" სხვა ძირითად პრინციპებს (როგორიცაა ენისა და საზოგადოების, ენისა და აზროვნების მიმართების გაგება, ერთიანი გლოტოგონიური პროცესი და სხვ.).

§66. შექმნილი მდგომარეობა სათანადო დასკვნების გაკეთებას მოითხოვდა ავტორისაგან კლასიფიკაციის პრინციპთა გაგებაშიაც. მართლაც, ი. მეშჩანინოვი იწყებს თავის შეხედულებათა გადასინჯვას, რაც თავს იჩენს 1946 წლიდან.

1946 წ. ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ი. მეშჩანინოვმა განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია გადასინჯულ იქნეს უკანასკნელი 10—20 წლის შრომები და გაირკვეს, რა არის მათში სწორი და რა უმართებულო[1]. მან აღნიშნა: „მე უაღრესად სასარგებლოდ მივიჩნიე ჩემთვის დავიწყო მოხსენებათა სერია ჩემი მოხსენებით, რომელშიაც შევეცდები გადმოვცე ზოგიერთი ჩემი შეხედულება, რომლებიც ცალკეულ დეტალებში საკმაოდ არ ემთხვევა ჩემს ადრინდელ გამონათქვამებს"[2].

ასეთი განსხვავებული შეხედულებები (რომლებიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სცილდება დეტალებს) სტადიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ი. მეშჩანინოვის სტატიებში 1947 წელს. პირველ ყოვლისა ავტორი აღიარებს, რომ გაურკვეველია, რა არის სტადია[3].

ასევე გაურკვეველია სტადიისა და სისტემის ურთიერთმიმართების საკითხი. ი. მეშჩანინოვი მიუთითებს, რომ ნ. მართან სტადია და სისტემა ემთხვევა ერთმანეთსო: „სტადიისა და სისტემის გაგება

---

[1] ИАН СССР ОЛЯ, 1946, т. V, ნაკვ. 6, გვ. 514.

[2] იქვე, გვ. 506.

[3] Учение Н. Я. Марра о стадиальности, გვ. 37.

დაემთხვა ერთმანეთს და მათი გამიჯვნა დაუზუსტებელი რჩება. თვით ნ. მარი აიგივეებდა სტადიას და სისტემას"[1].

„სტადია" ცნებას კიდევ უფრო აბუნდოვანებს ავტორის მსჯელობა სტადიური გადასვლების შესახებ. სტადიურ გადასვლებს უწოდებს იგი ყოველგვარ ცვლილებებს ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სემანტიკურ, სინტაქსურ მოვლენებში (მაგ., სიტყვების ქცევა წინდებულებად ან თანდებულებად, პირის ნაცვალსახელთა ქცევა ზმნის პირის ნიშნებად, დამწერლობის შემოღება და სხვ...). მაგრამ, მისივე თქმით, ყოველგვარი ცალკეული თვისებრივი ცვლილება არ ქმნის სტადიას[2].

მაშ, რა ქმნის სტადიას? ი. მეშჩანინოვი გვეუბნება, რომ „სტადიაში იგულისხმება არა ენაში თვისებრივ ცვლილებათა ერთეული მოვლენები, არამედ მთელი ენობრივი სისტემის გადასვლა მეორე სისტემაში"[3]. ამიტომ სტადიას ცალკეული ნიშნები კი არ უნდა ახასიათებდეს, არამედ ფონეტიკურ, ლექსიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ ნიშანთა კომპლექსი[4], ხოლო სინტაქსური კონსტრუქცია მხოლოდ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი შეიძლება იყოს სტადიისა.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ სინტაქსური ტიპოლოგია არ უდრის სტადიურ კლასიფიკაციას. სწორედ ასე ასკვნის ი. მეშჩანინოვიც: „ჩვენ არ ვაიგივეებთ წინადადებათა ამ კონსტრუქციებს სტადიებთან"[5]. „მასში (ე. ი. სინტაქსურ საფუძველზე აგებულ სქემაში.—თ. შ.) ტიპოლოგიურ განსხვავებათა სქემის გარდა აუცილებელია სტადიური პერიოდიზაციის სქემის დანახვა ძლიერ ნააღრევია"[6].

ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ფაქტიც: როდესაც აშკარა გახდა, რომ სინტაქსური ტიპები არ ქმნის სტადიებს, ი. მეშჩანინოვს დასჭირდა ტერმინი ამ ტიპების აღსანიშნავად (აქამდე იგი მათ სტადიებს უწოდებდა). ასეთ ტერმინად მან იხმარა „სისტემა", რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ი. მეშჩანინოვმა ადრე (როდესაც იგი აიგივეებდა სინტაქსურ ტიპებს სტადიებთან) ამოაგდო ნ. მარის სტადიური კლასიფიკაციი-

---

[1] Учение Н. Я. Марра о стадиальности, გვ. 37.

[2] Проблема стадиальности в развитии языка, გვ. 173.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 173, 179.

[5] იქვე, გვ. 179.

[6] იქვე, გვ. 174.

დან. ამგვარად, ი. მეშჩანინოვის გვიანდელ შრომებში კვლავ გვხვდება მსჯელობა სისტემათა შესახებ, მაგრამ თუ ნ. მართან სისტემა მონათესავე ენათა ოჯახს აღნიშნავდა, ი. მეშჩანინოვი ამ ტერმინს ენის სინტაქსური ტიპისათვის იყენებს. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ ადგილს: „აფხაზური ენა სრულიადაც არ გადასულა პოსესიური სტადიიდან ერგატიულში, არამედ მან განიცადა სტადიური გადასვლა, რომელიც გამოიხატა წინადადების პოსესიური კონსტრუქციის გარდაქმნაში ერგატიულად. გრამატიკული სისტემები, პოსესიური და ერგატიული, დარჩენ სისტემებად და სრულიადაც არ ქცეულან სტადიებად. სტადიისა და სისტემის ცნებები ერთმანეთს არ დაემთხვა ახლახან მოყვანილ მაგალითებშიაც კი, თუმცა სწორედ ეს სისტემები იყვნენ სტადიური გადასვლის საფუძველი“[1].

ი. მეშჩანინოვი არც იმას უარყოფს, რომ მის მიერ გამოყოფილი სინტაქსური ტიპები ისტორიულად ერთმანეთს არ მოსდევს. მაგალითად, ერგატიული კონსტრუქციის შესახებ იგი წერს: „რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, გამოვიდა თუ არა ერგატიული წყობა პოსესიურიდან და წარმოადგენს თუ არა ის ნომინატიურის წინამორბედს, მე მიჭირს გავცე მას ასე თუ ისე გარკვეული პასუხი“[2].

სხვაგან ნათქვამია: „ჩვენ მუდამ შესადარებლად მოგვყავს ესა თუ ის სინტაქსური სისტემა, არ ვწყვეტთ რა საკითხს, საიდან გამოვიდნენ და რად გარდაიქმნებიან ისინი“[3].

ამგვარად, ი. მეშჩანინოვის სინტაქსური კლასიფიკაცია სტატიკურია და არა ისტორიული: „ჩვენ ვუპირისპირებდით ერთმანეთს ჩამოყალიბებულ ენობრივ სტრუქტურებს იმ სახით, როგორც ისინი ამჟამად არსებობენ, რასაც არ გავყავდით სინქრონიზმის საზღვრებს გარეთო“[4], — წერს ავტორი. ისტორიულ ჭრილში მათი განხილვა მას რთულად ეჩვენება, ვინაიდან განვითარების სხვადასხვა გზა შეიძლებოდა არსებულიყოო.

„მოქმედი სინტაქსური სისტემების ასეთი კოლოსალური ბრავალფეროვნება და მათი ნაწილობრივი გადახლართვა ერთმანეთში მიუთითებს მათი განვითარების სხვადასხვა

---

[1] Проблема стадиальности в развитии языка. გვ. 187, ხაზი ჩვენია.—თ. შ.

[2] Эргативный строй и его отношение к другим языковым структурам, Язык и мышление, XI, 1948, გვ. 234.

[3] Проблема стадиальности в развитии языка, გვ. 176.

[4] იქვე, გვ. 177.

გზებზე. მათ მიხედვით ისტორიული კანონზომიერების დაღგენა არც ისე ადვილია"[1].

როგორც ვხედავთ, ი. მეშჩანინოვმა 1947—48 წლებში განაზოგადა ის შედეგები, რომლებიც მან ენათა სტადიური კლასიფიკაციის ჩამოყალიბების ცდისას მიიღო 1940 წელს. იგი ამ საკითხზე ათეული წლის განმავლობაში სპეციალურად მუშაობის შემდეგ იძულებული გახდა აღეარებინა, რომ გაურკვეველია, რა არის სტადია, რა მიმართებაა სტადიასა და სისტემას შორის; რომ მის მიერ წარმოდგენილი სინტაქსური ტიპოლოგია არ უდრის სტადიურ კლასიფიკაციას, მისი ერთი ნიშანთაგანია მხოლოდ და რომ ეს სინტაქსური კლასიფიკაცია სინქრონულია და არა ისტორიული.

ასეთი მარცხის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ი. მეშჩანინოვი უარს იტყოდა ენათა სტადიური კლასიფიკაციის პრინციპებზედაც, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. მართალია, 1940 წლიდან მან თავი მიანება სტადიური კლასიფიკაციის ჩამოყალიბების ცდებს, მაგრამ მან არ აღიარა, რომ ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული, რომ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" ამოსავალი დებულებები არ იძლევა ამ კლასიფიკაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

პირიქით, როდესაც 1949 წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" მიმდევრები უსაყვედურებდნენ ი. მეშჩანინოვს სტადიური კლასიფიკაციისათვის თავის მინებებას[2], იგი ამას იმით კი არ ხსნიდა, რომ ამ კლასიფიკაციაზე მრავალწლოვანი მუშაობის შედეგად იგი შინაგანი აუცილებლობით მივიდა ნ. მარის სტადიურობის თეორიის უარყოფამდე, არამედ იმით, რომ თითქოს შემდგომი დამუშავება ესაჭიროება სტადიური კლასიფიკაციის სქემას. აი, მისი სიტყვებიც:

„მარის მიერ ევოლუციონიზმის. საპირისპიროდ წამოყენებული მოძღვრება სტადიური გადასვლების შესახებ წამყვანად რჩება საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ენობრივი განვითარების ისტორიულ მოძრაობაში თვისებრივ გარდაქმნათა შესახებ მოძღვრება ეჭვს არ იწვევს საბჭოთა ენათმეცნიერებაში, მაგრამ სტადიურ გადასვლათა სქემა დაუზუსტებელი რჩება. ერთ დროს მე ვამახვილებდი რა ყურადღებას სინტაქსზე, მის საფუძველზე ვაგებდი სტადიურ პერიოდიზაციას. მაინც სტადიური პე-

[1] Эргативный строй..., გვ. 36.

[2] იხ. „Культура и жизнь", 1949, 11.V, აგრეთვე ИАН СССР ОЛЯ, 1949, ტ. VIII, ნაკვ. 3, 4, 5.

რიოდიზაციის აგება მხოლოდ სინტაქსურ ტიპოლოგიაზე, ისევე როგორც მხოლოდ მორფოლოგიურზე, შეუძლებელია... მაგრამ აქედან სრულიადაც არ უნდა გაკეთდეს დასკვნა სტადიური ანალიზისა და სტადიური პერიოდიზაციის უარყოფის შესახებ იმ სახით, როგორც ამაზე ნ. მარი მიუთითებდა. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შემდგომ დამუშავებას"[1].

სადისკუსიო სტატიაში ი. მეშჩანინოვმა სტადიური კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეაფასა:

„ენათა სტადიური კლასიფიკაციისა და მათი სტადიური პერიოდიზაციის სქემა ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება. მაინც ეს ეხება მხოლოდ თვით სქემას და არა საკითხის ძირითად დაყენებას"[2].

სრულიად აშკარაა, რომ ეს განცხადება არ ასახავს საქმის რეალურ ვითარებას.

როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანდა, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ი. მეშჩანინოვმა იმაში ნახა, რომ მან განაცხადა: სტადია ფონეტიკურ, სემასიოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ ნიშანთა ერთობლიობით უნდა დახასიათდეს და ამდენად სინტაქსური ტიპოლოგია სტადიური კლასიფიკაციის ერთერთი ნიშანთაგანი შეიძლება იყოსო. ეს მოსაზრება უპერსპექტივოა უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ სხვადასხვა თვალსაზრისით გამოყოფილი ჯგუფები არ დაემთხვევა ერთმანეთს. ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს მორფოლოგიურ და სინტაქსურ კლასიფიკაციათა შედარება. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ენათა მორფოლოგიური და სინტაქსური ტიპები არ ავლენენ პარალელიზმს. ანალოგიური მდგომარეობა გვექნება ფონეტიკური ან სემასიოლოგიური კლასიფიკაციის შემთხვევაშიაც. როგორც ცნობილია, ენის სხვადასხვა მხარე ერთდროულად და თანაბრად არ იცვლება.

გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" მიხედვით, ენათა სტადიური კლასიფიკაცია თითქოს ისტორიული უნდა ყოფილიყო, მაშინ აშკარაა, რომ ი. მეშჩანინოვის სინტაქსური კლასიფიკაცია, როგორც არა-

---

[1] И. И. Мещанинов, Н. Я. Марр—основатель советского языкознания, ИАН СССР ОЛЯ, 1949, ტ. VII, ნაკვ. 4, გვ. 297.

[2] За творческое развитие наследия академика Н. Я. Марра.

ისტორიული, სტადიურის ერთ-ერთ ნიშნადაც არ გამოდგება, შესაძლებელიც რომ იყოს სინტაქსურ, მორფოლოგიურ და სხვა თვალსაზრისთა მიხედვით კლასიფიკაციის ერთდროულად წარმოება.

ამგვარად, ი. მეშჩანინოვის ცდებმა დაემუშავებინა ენათა სტადიური კლასიფიკაცია გამოავლინა ამ კლასიფიკაციის პრინციპთა სრული უსაფუძვლობა. ი. მეშჩანინოვთან ისევე გაურკვეველი დარჩა რა არის სტადია, როგორც ეს ნ. მართან იყო. „სტადია“ ცნების გაურკვევლობა სტადიური კლასიფიკაციის სქემების დაუმუშავებლობაზე კი არ მიუთითებს, არამედ იგი მიზეზია ამ დაუმუშავებლობისა და სტადიურობის თეორიის პრინციპულ მცდარობას ამჟღავნებს.

სწორედ ამ უკანასკნელი გარემოებით აიხსნება ის, რომ ანალოგიური ბედი ეწია ნ. მარის სხვა მიმდევართა (ს. კაცნელსონის, იაკოვლევის, ბიხოვსკაიას...) ცდებსაც რაიმე კონკრეტული სახე მიეცათ ენათა სტადიური კლასიფიკაციისათვის. ვინაიდან სტადიური კლასიფიკაციის ამოსავალ დებულებათა სრული უსაფუძვლობა აშკარაღ ჩანს ნ. მართან და ი. მეშჩანინოვთან, ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია შევჩერდეთ „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ სხვა მიმდევართა შრომებზე[1].

ამის შესახებ იხ. Академик В. В. Виноградов, Критика антимарксистских концепций стадиальности в развитии языка и мышления (1923—1940) კრებულში: Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании, ч. I, 1951. Б. А. Серебренников, Критика учения Н. Я. Марра о единстве глоттогонического процесса. კრებულში: Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании, ч. II, 1952.

ნაწილი მეშვიდე

ენათა კავშირები

§66. ენათა კავშირის იდეა ნ. ტრუბეცკოის სახელთან არის დაკავშირებული.

თავისი თეორია ენათა კავშირის (Sprachbund) შესახებ ტრუბეცკოიმ პირველად წამოაყენა ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე. აქ ავტორი ერთმანეთს უპირისპირებდა ენათა კავშირებს და ენათა ოჯახებს. მისი აზრით, ენათა ოჯახში შედის ენები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობა საერთო, თავდაპირველი სიტყვებისა (Elementarwörter), შეხვედრები მორფოლოგიური კატეგორიების ბგერითს გამოხატულებაში და რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ავლენენ მუდმივ ბგერათშესატყვისობებს.

რაც შეეხება ენათა კავშირს, მასში შემავალი ენები გვიჩვენებენ დიდ მსგავსებას სინტაქსური თვალსაზრისით, მსგავსებას მორფოლოგიური წყობის პრინციპებში, ამასთანავე მათ აქვთ დიდი რაოდენობა საერთო კულტურის სიტყვებისა (Kulturwörter), ზოგჯერ ბგერითი სისტემის შემადგენლობაშიაც იჩენენ გარკვეულ მსგავსებას, მაგრამ არა აქვთ სისტემატური ბგერათშესატყვისობანი მორფოლოგიური ელემენტების ბგერითი ფორმის თვალსაზრისით და არა აქვთ საერთო თავდაპირველი სიტყვები[1]. ამგვარად, ენათა ოჯახი და ენათა კავშირი სხვადასხვა დაჯგუფებებია. სანიმუშოდ ტრუბეცკოი ასახელებს ბულგარულს, რომელიც, ერთის მხრივ, სლავურ ენათა ოჯახს განეკუთვნება (სერბულ-კროატულთან, პოლონურთან, რუსულთან და სხვ. ენებთან ერთად), ხოლო, მეორე მხრივ, ბალკანურ ენათა კავშირში შედის (ახალ ბერძნულთან, ალბანურთან და რუმინულთან ერთად)[2].

---

[1] Actes du premier Congrès international de Linguistes á la Haye, du 10—15 Avril 1928, Leiden, გვ. 18.

[2] საგანგებო გარკვევას საჭიროებს საკითხი, ენათა კავშირის იდეა ნ. ტრუბეცკოიმ ბოდუენ დე-კურტენესაგან ხომ არ მიიღო (მსგავსად ფონემისა)? საქმე

ეგევე საკითხი ტრუბეცკოის განხილული აქვს წერილში ინდოევროპული ენების შესახებ[1]. აქ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ავტორის შეხედულებებში მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნება.

დასახელებულ წერილში ტრუბეცკოი საკამათოდ ხდის ინდოევროპულ ენათა წარმოშობას ერთი ფუძე-ენის დიფერენციაციით. ასეთ ვარაუდს, მისი აზრით, ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ინდოევროპული ენები, სანამ მათ ისტორიული კვლევა სწვდება, მუდამ მრავალრიცხოვანი იყვნენ.

კანონზომიერი ბგერათშესატყვისობებიც არ მიაჩნია ტრუბეცკოის იმის უეჭველ დამამტკიცებლად, რომ ერთ ოჯახში შემავალი ენები ერთი ენისაგან მომდინარეობენ. ასეთი კანონზომიერება არამონათესავე ენებს შორისაც შეიძლება შეიქმნეს სესხების დროსო,— აღნიშნავს იგი და მიუთითებს „უცხო ბგერათა კანონებზე" (Fremdlautgesetze), ე. ი. ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მსესხებელი

ის არის, რომ ჯერ კიდევ 1904 წ. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში დაბეჭდილ სტატიაში ბოდუენ დე-კურტენეს გარკვევით აქვს წამოყენებული შეხედულება, რომ ენათა ნათესაობის გვერდით უნდა გამოიყოს ენათა დანათესავება, რაც მეზობელ ენათა ურთიერთგავლენის საფუძველზე წარმოიშვებაო და იგივე მაგალითები მოჰყავს, რაც შემდგომ ტრუბეცკოისთან გვხვდება. აი, ეს ადგილიც: „Неоспоримо также влияние общих географических условий на языки разных семейств или разных отраслей, хотя впрочем эти общия географическия условия сводятся обыкновенно к одинаковому этнологическому влиянию, т. е. к одинаковому влиянию какого-то, обыкновенно исчезнувшего, иноплеменного языка на существующие языки. В виде примера можно указать на общие свойства языков Балканского полуо-ва, языков Кавказа и т. д., при полной независимости от наличности или отсутствия их древнего генетического родства. В виду всего этого, рядом с родством языков мы должны принять тоже их свойство («породнение»), как результат взаимного влияния, равно как и общих условий существования и хронологической последовательности сменяющих друг друга поколений (Бодуэн де-Куртенэ— Языкознание. Энциклопедический словарь Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона, 1904, т. 81, გვ. 525).

[1] წაკითხული ყოფილა მოხსენებად 1936 წ. 14 დეკემბერს პრაღის საენათმეცნიერო წრეში. დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1939 წ. N. S. Trubetzkoy, Gedanken über das Indogermanenproblem. Acta linguistica. Vol. 1, fasc. 2, გვ. 81—89. ამ სტატიის რუსული ვარიანტი დაიბეჭდა ჟურნალში Вопросы языкознания: Н. С. Трубецкой, Мысли об индоевропейской проблеме. Вопросы языкознания, 1958, вып. 1, გვ. 65—77.

ენა თავისი ბგერებით შეცვლის ნასესხებ სიტყვებში უცხო ენის ისეთ ბგერებს, რომლებიც მას არ მოეპოვება. ამასთან, ტრუბეცკოის შესაძლებლად მიაჩნია, რომ ერთი ენიდან მეორეში ნასესხები იქნეს ენის ყველა ელემენტი, როგორც ლექსიკის სფეროდან, ისე მორფოლოგიური მაწარმოებლებიც. განსაკუთრებით განვითარების დაბალ საფეხურებზე ერთი ენიდან მეორეში გადადიოდნენ მთელი საწყისი (rudimentäre) სიტყვები და მორფემებიო,—აღნიშნავს იგი[1].

ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა: არავითარი მტკიცე საფუძველი არ გვაქვს დავუშვათ ერთიანი ინდოევროპული ფუძე-ენის არსებობა, რომლისგანაც ცალკეული ინდოევროპული ენობრივი შტოები გამოვიდნენ. სრულიად შეუძლებელი ასეთი ვარაუდი არ არის, მაგრამ ის არც აუცილებელია და უმიზნოდაც მშვენივრად შეიძლება ადვილად წავიდეთო,—გვეუბნება ტრუბეცკოი.

მაშ, როგორ შეიძლება აეხსნათ ინდოევროპულ ენათა სიახლოვე, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ საერთო წარმოშობის გარეშე ენათა ოჯახის არსებობა? სწორედ აქ აყენებს ტრუბეცკოი იმ იდეას, რომელიც ენათა კავშირის თეორიას ედება საფუძვლად: ეს არის ენათა დაახლოება. ავტორს შესაძლებლად მიაჩნია დაუშვას, რომ ინდოევროპული ენები თავდაპირველად ერთმანეთის მსგავსნი არ იყვნენ, შემდეგ თანდათანობით მუდმივი კონტაქტის, ურთიერთზეგავლენისა და სესხების შედეგად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მთლად იდენტური არასოდეს არ გამხდარან.

ინდოევროპული ენების ლექსიკურ და მორფოლოგიურ ელემენტებში არსებული მატერიალური ბგერათშესატყვისობანი, ტრუბეცკოის აზრით, მათ სიახლოვეზე მიუთითებს, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი ენათა ჯგუფის გამოყოფისათვის. ჯერ ერთი, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა რაოდენობისა უნდა იყოს შესატყვისობათა რიცხვი, რომ ენა ინდოევროპული ხასიათის მქონედ მივიჩნიოთ. არც იმის გარკვევა შეიძლება, რომელი ლექსიკური და მორფოლოგიური ელემენტები უნდა არსებობდეს ყოველ ინდოევროპულ ენაში. არ არსებობს თითქმის არც ერთი სიტყვა, რომელიც ყველა ინდოევროპულ ენაში გვხვდებოდეს. და ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვები ცალკეულ ინდოევროპულ ენებში ისეთ ბგერით არაკანონზომიერებას ავლენენ, რომ მათი საერთო ძირითადი ფორმა (Grundform) მხოლოდ ფაქტებზე ძალდატანებით შეიძლება იქნეს აღდგენილი. მორფოლოგიურ ელემენტებშიაც ხშირად არა გვაქვს

[1] Gedanken über das Indogermanenproblem, გვ 82.

ზუსტი შესატყვისობანი, რის გამოც იძულებული ხდებიან დაძებნონ სხვადასხვაგვარი სპეციალური, ხშირად მეტად ხელოვნური „აუსლაუტის კანონები“. ამას ისიც ერთვის, რომ ბევრი ყველაზე გავრცელებული ინდოევროპული ლექსიკური და მორფოლოგიური ელემენტი არაინდოევროპულ ენებშიაც გვხვდება.

ყოველივე ამის გამო ავტორს შესაძლებლად მიაჩნია დაასკვნას, რომ იმის გასარკვევად, ინდოევროპულია თუ არა ენა, „მატერიალურ შესატყვისობებს“ ვერ მივანიჭებთ დიდ მნიშვნელობას. მართალია, ასეთ შესატყვისობათა არსებობა გარკვეული რაოდენობით აუცილებელია (წინააღმდეგ შემთხვევაში ენა არ იქნება ინდოევროპული), მაგრამ ისინი სრულიადაც არ არიან საკმარისი ნათესაობის დამტკიცებისათვის.

აუცილებელ პირობად იმისათვის, რომ ენა ინდოევროპულ ოჯახში მოვაქციოთ, ტრუბეცკოის მიაჩნია ექვსი სტრუქტურული ნიშნის არსებობა ამ ენაში. ეს ნიშნებია:

1. არ არსებობს არავითარი ხმოვანთჰარმონია.

2. ანლაუტის კონსონანტიზმი არ არის უფრო ღარიბი, ვიდრე ინლაუტისა და აუსლაუტის კონსონანტიზმი.

3. სიტყვა უეჭველად ძირით არ იწყება, იხმარება პრეფიქსები.

4. ფორმა იწარმოება არა მხოლოდ აფიქსის საშუალებით, არამედ აგრეთვე ძირის მორფემის შიგნით ვოკალური ალტერნაციების საშუალებით.

5. მორფოლოგიურ როლს ასრულებენ, გარდა ვოკალურისა, აგრეთვე კონსონანტური ალტერნაციები. ყველა ინდოევროპულ ენაში გვხვდება გრამატიკული თანხმოვანთმონაცვლეობა.

6. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთგვარად ფორმდება, ე. ი. იმ ენებში, სადაც სახელობითი და აკუზატივი აფიქსებით არის გარჩეული, სუბიექტი სახელობითში დაისმის, ხოლო იქ, სადაც ამ ბრუნვებს აფიქსები არ განასხვავებს, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტს ერთი და იგივე ადგილი უჭირავს წინადადებაში[1].

იმისათვის, რომ ენა ინდოევროპულად მივიჩნიოთ, მას ექვსივე დასახელებული ნიშანი უნდა ჰქონდეს, გარდა ამისა, მცირე რაოდენობით მაინც, ბგერათშესატყვისობანი სხვა ინდოევროპულ ენებთან ლექსიკასა და მორფოლოგიაში.

---

[1] ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85.

ტრუბეცკოი გვეუბნება, რომ ენამ შეიძლება შეწყვიტოს ინდოევროპულ ენად ყოფნა და, შესაძლებელია, ენა ინდოევროპული გახდეს. პირველად ინდოევროპული მაშინ შეიქმნა, როდესაც ექვსივე სტრუქტურული ნიშანი ჩამოყალიბდა ენაში, რომლის სიტყვათა და ფორმათა მარაგმა კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები გამოავლინა უფრო გვიან მოღწეულ (überlieferte) ინდოევროპულ ენებთან. არ არის გამორიცხული, რომ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ენა გახდა ამ გაგებით ინდოევროპულიო,—განაგრძობს ავტორი და დასძენს: რეტროსპექტულად ჩვენ შეგვიძლია დღეს ისინი ყველანი განვიხილოთ, როგორც ინდოევროპული ფუძე-ენის დიალექტები, მაგრამ ლოგიკურად არ არის აუცილებელი ყველა ისინი ერთ საერთო წყარომდე მივიყვანოთო[1]. მას უფრო დამაჯერებლად ეჩვენება, ამ უძველეს ინდოევროპულ დიალექტებს შორის მხოლოდ გეოგრაფიული კონტაქტი ვივარაუდოთ.

ამ უკანასკნელი დაშვების ასახსნელად ტრუბეცკოი იყენებს შმიდტის „ტალღათა თეორიას“: მეზობელ ენებს შორის დასტურდება საერთო სტრუქტურული ნიშნები, რომლებიც მით უფრო მრავალრიცხოვანია, რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა გეოგრაფიული კონტაქტი. ამის საფუძველზე იგი ეძიებს, რომელ ენებში გვხვდება ინდოევროპულ ენათათვის დამახასიათებლად მიჩნეული სტრუქტურული ნიშნები, რომ ამით გაარკვიოს, რა ენათა გარემოში და სად უნდა წარმოშობილიყო ინდოევროპული ენობრივი წყობა.

ავტორის ყურადღებას იქცევს, ერთის მხრივ, ურალურ-ალთაური ენები, ხოლო, მეორე მხრივ, იბერიულ-კავკასიური და სემიტური ენები. ურალურ-ალთაურ ენებს ინდოევროპულთან საერთო აქვთ აკუზატიური კონსტრუქცია (პუნქტი 6), ხოლო ამ ენათა დასავლურ განშტოებას — ფინურ-უნგრულს — აგრეთვე თანხმოვანთა თავისებური მონაცვლეობა (პუნქტი 5). იბერიულ-კავკასიურ და სემიტურ ენებს კი ინდოევროპულ ენებთან საერთო აქვთ 1, 2, 3 და 4 პუნქტები. ინდოევროპული ენები ხიდს წარმოადგენს დასახელებულ ოჯახებს შორის, ამიტომ ავტორი აცხადებს, რომ უძველესი ინდოევროპული დიალექტები უნდა წარმოშობილიყო სადღაც ფინურ-უნგრული და ხმელთაშუა ზღვის (იბერიულ-კავკასიური და სემიტური) ენების გავრცელების რაიონებს შორის. ამასთან, მას მიაჩნია, რომ ინდოევროპულ ენებს გავრცელების რამდენიმე ცენტრი ჰქონდათ

---

[1] ნ. ტრუბეცკოი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85—86.

და თავიდანვე ვრცელი ტერიტორია ეკავათ ჩრდილოეთის ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

ტრუბეცკოის ზემოთ განხილულ წერილში, როგორც ვნახეთ, ერთმანეთს შინაგანად უკავშირდება სკეპტიკური დამოკიდებულება ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ტრადიციული გაგებისადმი და იდეა „ენათა კავშირისა“.

რა საბუთებით აყენებს ტრუბეცკოი ეჭვის ქვეშ ენათა ნათესაობას? ერთის მხრივ, იგი ენათა დიფერენციაციის ფაქტს უარყოფს. თუ კი ინდოევროპული ენები თანდათანობითი დაშორებით წარმოიშვნენ ერთი ფუძე-ენისაგან, მაშინ წარსულში მათი რიცხვი ნაკლები უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ინდოევროპული ენები მუდამ დიდი რაოდენობით დასტურდებაო.

ეს მოსაზრება სრულიადაც არ გამოდგება დიფერენციაციის გზით ენათა ნათესაობის წარმოშობის საწინააღმდეგოდ. ჯერ ერთი, ჩვენ ინდოევროპულ ენებს მხოლოდ ისტორიულ ხანაში ვიცნობთ, რაც საკმაოდ მცირე მონაკვეთს წარმოადგენს ამ ენათა განვითარების მთელ პერიოდთან შედარებით. ისტორიულ ხანაში ინდოევროპულ ენათა დიდი ნაწილი უკვე ჩამოყალიბებულია. მათი დიფერენციაცია წინაისტორიულ ხანაში უნდა მომხდარიყო. მართალია, ასეთ შორეულ ეპოქაში ინდოევროპულ ენათა დიფერენციაცია დოკუმენტურად დადასტურებული არ არის (და არც შეიძლება იყოს), მაგრამ იგი სავსებით სარწმუნოა, რადგანაც სხვაგვარად ვერ აიხსნება მონათესავე ენათა შორის არსებული რეგულარული ბგერათშესატყვისობანი, რომლებიც ამ ენების ძირითად ლექსიკურ ფონდში და გრამატიკულ წყობაში ვლინდება. ამასთან, ამ შორეულ ეპოქებში (უფრო ზუსტად: წინაკლასობრივ საზოგადოებაში) ენათა დიფერენციაცია შინაგანად არის დაკავშირებული იმ საზოგადოებრივ პირობებთან, რომლებშიაც ამ ენებს უხდებოდათ განვითარება: რიცხვობრივად გაზრდილი ტომების დანაწილებას და ახლად გამოყოფილი ერთეულების ერთმანეთისაგან მოწყვეტას, რაც პირველყოფილ-გვაროვნული საზოგადოების განვითარების შინაგან კანონზომიერებას წარმოადგენდა, შედეგად მოჰყვებოდა თავდაპირველად ერთიანი ენის დაშლა და დროთა განმავლობაში მისგან რამდენიმე მონათესავე ენის წარმოშობა.

მაშასადამე, მრავალრიცხოვან მონათესავე ენათა საერთო წარმომავლობის დაშვება მკვლევართა უსაფუძვლო ფანტაზიას კი არ წარმოადგენს, არამედ გარდაუვლად გამომდინარეობს ამ ენათა

ურთიერთმიმართების მეცნიერული ანალიზიდან და განსაზღვრულია საზოგადოებრივი განვითარების პირობებით.

გარდა ამისა, ენის დიფერენციაციის ფაქტები ცნობილია ისტორიულ ხანაშიაც და ასეთ შემთხვევებში დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტები სავსებით ისეთივე ხასიათისაა, როგორიც ისეთ ენებში, რომელთა დიფერენციაციასაც ენათმეცნიერება პრეისტორიული ხანისათვის ვარაუდობს.

ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით დაზუსტება ესაჭიროება ტრუბეცკოის გამონათქვამს იმის შესახებ, თითქოს ისტორიულ ხანაში ინდოევროპულ ენათა რაოდენობას არაფერი მომატებოდეს. ნამდვილად მთელი რიგი ახალი ინდოევროპული ენები ჩამოყალიბდა სწორედ დიფერენციაციის გზით ისტორიულ ხანაში. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება თუნდაც რომანული ენების დასახელება. ისინი ხომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენს თვალწინ წარმოიშვნენ ერთი ენის — ხალხური ლათინურის — დაშლის გზით.

შეიძლება დავასკვნათ: მონათესავე ენათა დიდი რაოდენობით არსებობა ამჟამად და ისტორიულ წარსულშიაც არ გამოდგება საბუთად მათი საერთო წარმომავლობის წინააღმდეგ. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ამ ენათა დიფერენციაცია უფრო ადრინდელ ეპოქებში მომხდარა.

რაც შეეხება ტრუბეცკოის დანარჩენ საბუთებს, ისინი ეხებიან ენათა ნათესაობის დამტკიცებისას წარმოშობილ სიძნელეებს. მათგან ყველაზე ანგარიშგასაწევია ტრუბეცკოის შენიშვნა იმის შესახებ, რომ სესხების შედეგადაც შეიძლება მივიღოთ ენებს შორის ბგერათშესატყვისობანი. მართლაც, ცნობილია, რომ სესხების დროს მსესხებელი ენა თავისი ბგერით შეცვლის უცხო ენის ისეთ ბგერას, რომლის იდენტური მას არ მოეპოვება. თუ წარმოშობით არამონათესავე ენათა შორის სესხების დროსაც შეიძლება მივიღოთ ბგერათშესატყვისობები, მაშინ რაღა საიმედო უნდა იყოს ენათა ნათესაობის დამტკიცებისათვის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელიც სწორედ ბგერათშესატყვისობებს ემყარება? ასე ასკვნის ტრუბეცკოიც. მისი აზრით, ბგერათშესატყვისობები არ მიუთითებს ენათა საერთო წარმოშობაზე.

ასეთი დასკვნა მიუღებელია, რადგანაც სინამდვილეში ენათა სესხებისა და ენათა ნათესაობის ფაქტები არ ირევა ერთმანეთში.

ჯერ ერთი, სესხების დროს „შესატყვისობანი" ერთეულ შემთხვევაში იჩენენ თავს, მაშინ როდესაც ნათესაობის დროს შესატყვისობათა მთელ სისტემასთან გვაქვს საქმე.

მეორე, სესხების დროს „შესატყვისობებს“ ვადასტურებთ ორი ენის მხოლოდ ისეთ ბგერებს შორის, რომლებიც ამ ენებს ერთმანეთისაგან განსხვავებული აქვთ. სესხებისათვის სწორედ ის არის დამახასიათებელი, რომ სიტყვა იდენტური ბგერებით გადმოაქვს ენას, სადაც კი ეს შესაძლებელია. ნათესაობის შემთხვევაში სხვაგვარი ვითარება გვაქვს: შესატყვისობები ენებს შორის ვლინდება მიუხედავად იმისა, რომ ამ ენებს ერთგვარი ბგერები მოეპოვებათ. მაგალითად, ქართულ ძ-ს მეგრულ-ჭანურში შეესატყვისება ჯ, სვანურში კი ჟ (ქართ. ძაღლი, მეგრ.-ჭან. ჯოღორი, სვან. ჟეღ), თუმცა სამივე დასახელებულ ენას აქვს ძ, ჯ და ჟ ბგერები. აშკარაა, ასეთ შემთხვევებში „უცხო ბგერათა კანონებით“ ვერ ავხსნით შესატყვისობებს. სესხება მათ ვერ წარმოშობდა, ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ დიფერენციაციის შედეგს.

მესამე და ყველაზე ძირითადი კი ის არის, რომ სესხება, ჩვეულებრივ, ეხება ენის ლექსიკურ შემადგენლობას, ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვათა სესხება შეზღუდულია. მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში (ენათა მეტისმეტად ინტენსიური და ხანგრძლივი კონტაქტის დროს) შეიძლება იჩინოს თავი ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვათა სესხების ცალკეულმა შემთხვევებმა. კიდევ უფრო ნაკლებ ხდება გრამატიკული ფორმანტების სესხება. ამ მხრივ რეალურ ვითარებას არ შეესაბამება ტრუბეცკოის განცხადება — ენის ყველა ელემენტი ადვილად გადადის ენიდან ენაშიო. სესხების შემთხვევები ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობაში გამონაკლისების სახით თუ გვხვდება, მათ სისტემური ხასიათი არა აქვთ, ნათესაობის დამამტკიცებელი ბგერათშესატყვისობანი კი პირველ რიგში სწორედ ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ ელემენტებს ემყარება. ასეც უნდა იყოს: მონათესავე ენები ერთი ენისაგან მომდინარეობენ, ამ ენის სხვადასხვაგვარად შეცვლის, ე. ი. დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვნენ. მათ შორის შესატყვისობები ამ საერთო ამოსავალი მასალის კანონზომიერი ცვლის შედეგს წარმოადგენს. ხოლო ეს საერთო ამოსავალი მასალა სად შეიძლება უკეთ იყოს დაცული, თუ არ ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობაში, რადგან სწორედ ესენი ქმნიან ენის საფუძველს, მის ყველაზე გამძლე ნაწილს, რომელიც ეპოქიდან ეპოქაში გადაჰყვება ენას.

ამგვარად, თუმცა სესხების დროს ზოგჯერ იქმნება ბგერათშესატყვისობათა მსგავსი რამ, მაგრამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ზუსტად გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს გავმიჯნოთ

იგი ნათესაობის დამამტკიცებელ ბგერათშესატყვისობათაგან, ე. ი ისეთისაგან, რომელიც საერთო ამოსავალი მასალის დიფერენციაციამ წარმოშვა. მაშასადამე, აქაც ტრუბეცკოის კრიტიკა მიზანს ვერ აღწევს, ენათა ნათესაობის რეალურობაში იგი ვერ დაგვაეჭვებს.

რაც შეეხება საკითხებს იმის შესახებ, რომ 1) არ არის დადგენილი, რა რაოდენობით უნდა იყოს შესატყვისობანი მონათესავე ენებს შორის ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად, 2) არ გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ყველა ინდოევროპულ ენაში იყოს წარმოდგენილი და გვაძლევდეს შესატყვისობებს, 3) ბლომად გვხვდება კანონზომიერებათა დარღვევის შემთხვევები მორფოლოგიურ ელემენტებშიაც კი, რის ასახსნელადაც იყენებენ სპეციფიკურ კანონებს,—არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას ენათა ნათესაობის აღიარებისა და მისი დამტკიცებისათვის.

ასე, ნათესაობა დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ შესატყვისობებს სისტემური ხასიათი აქვთ და თუ ისინი მოიცავენ ენის ძირითადი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის მნიშვნელოვან ნაწილს. ცხადია, ზუსტი რაოდენობრივი განსაზღვრა აქ არც შესაძლებელია და არც საჭირო. ისიც აღსანიშნავია, რომ სათანადოდ შესწავლილ ენებს შორის შესატყვისობები, როგორც წესი, უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება, ვიდრე ეს აუცილებელია ამ ენათა ნათესაობის ცხადყოფისათვის (რა თქმა უნდა, როდესაც ენათა ნათესაობა აშკარა გახდება, ენათმეცნიერი არ წყვეტს ამ ენათა შედარებითს შესწავლას, რადგან ყოველ ახლად გამოვლენილ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ამ ენათა ისტორიის გათვალისწინებისათვის).

შემდეგ: რა არის უცნაური იმაში, რომ ნაკლებ გვხვდება სიტყვები, რომლებიც გავრცელებულია ყველა ინდოევროპულ ენაში, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს და რომელთაგან თითოეული წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი განვითარების პროდუქტს?! ნათესაობის დამტკიცებისათვის სრულიად არ არის აუცილებელი ერთი და იგივე სიტყვები ან აფიქსები მეორდებოდეს ყველა ინდოევროპულ ენაში, საკმარისია ის, რომ ყოველ ამ ენათაგანს სხვა ინდოევროპულ ენებთან მოეპოვება აშკარად საერთო წარმოშობის სიტყვათა და ფორმანტთა გარკვეული რაოდენობა.

კანონზომიერია ისიც, რომ ინდოევროპულ ენებს შორის შესატყვისობები ხშირად დაჩრდილულია შემდეგდროინდელი ცვლილებების შედეგად. დამოუკიდებელ ენებად გამოყოფის შემდეგ განვლი-

ლი ათეულა საუკუნეების განმავლობაში თითოეული მონათესავე ენა, ცხადია, განიცდიდა ცვალებადობას. ამის გათვალისწინება და თითოეული ენის განვითარების სპეციფიკურ კანონთა გამოვლენა ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს და სრულიად აუცილებელია ამ ენათა შორის არსებულ ისტორიულ მიმართებათა დადგენისათვის.

ამგვარად, ტრუბეცკოი ემყარება ზოგიერთ სიძნელეს, რომელიც ენათა ნათესაობის დამტკიცების დროს გვხვდება და ამის საფუძველზე ცდილობს ეჭვის ქვეშ დააყენოს თვითონ ენათა ნათესაობის შესაძლებლობა.

სინამდვილეში ამ სიძნელეთა რიცხვი უფრო დიდია, ვიდრე ეს ტრუბეცკოის ზემოგანხილულ სტატიაში გვხვდება. ავტორი მხოლოდ ინდოევროპულ ენებს ითვალისწინებს, სხვა ენების სპეციფიკა სხვა დამატებით დაბრკოლებებს წარმოშობს. მაგრამ დაბრკოლებათა არსებობა სრულიადაც არ გვაძლევს საფუძველს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის უარყოფისათვის. იგი მრავალგზის არის შემოწმებული, როგორც ენათა ისტორიული კვლევის საიმედო ხერხი.

რაც შეეხება დიფერენციაციის შედეგად ენათა ნათესაობას, როგორც ვნახეთ, ტრუბეცკოის მიერ მოყვანილი არც ერთი ფაქტი მისი რეალურად არსებობის საწინააღმდეგოდ არ ლაპარაკობს. ასე რომ, უსაფუძვლო გამოდის ტრუბეცკოის განცხადება, არ არის აუცილებელი ინდოევროპული ენები ერთი ენისაგან მომდინარედ მივიჩნიოთო.

დიფერენციაციის გზით ენათა ნათესაობის სანაცვლოდ ტრუბეცკოიმ წამოაყენა ჰიპოთეზა ენათა დაახლოების შესახებ. დაახლოებისათვის საკმარისად არის მიჩნეული ხანგრძლივი ტერიტორიული მეზობლობა. ასეთი კონტაქტი, მისი სიტყვით, თვით ბგერათშესატყვისობებსაც კი შექმნის სხვადასხვა წარმოშობის ენებს შორის. ეს განცხადება არავითარი ფაქტობრივი მასალით არ არის დასაბუთებული. ისტორიულ ხანაში, როდესაც განსაკუთრებით ინტენსიურია სხვადასხვა ხალხებს შორის ურთიერთობა, არ არის დადასტურებული არც ერთი შემთხვევა, რომ ენები ხანგრძლივი მეზობლობის შედეგად ერთმანეთს დანათესავებოდნენ, რომ მათ შორის წარმოშობილიყოს ისეთი ბგერათშესატყვისობები, როგორიც არსებობს, მაგალითად, ინდოევროპულ ენებს შორის. მაშ, რის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ ასეთი ნათესაობის წარმოშობა შორეულ წარსულში, როდესაც ხალხებსა და ტომებს შორის კავშირი ბევრად უფრო სუსტი იყო? კიდევ უფრო ძნელად წარმოსადგენია, როგორ

უნდა მომხდარიყო მრავალრიცხოვანი (ათეულობით) ენების ერთმანეთთან დაახლოება და მათი ერთ ოჯახში გაერთიანება.

არადამაკმაყოფილებლად არის შერჩეული ინდოევროპულ ენათა სიახლოვის განმსაზღვრელი ექვსი სტრუქტურული ნიშანი, რომლებსაც ტრუბეცკოი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ბგერათშესატყვისობებს. ამათგან პირველი ორი (ფონეტიკური ნიშნები), როგორც თვით ავტორიც აღიარებს, ნეგატიური ხასიათისაა, მაგრამ ასეთი ნეგატიური ნიშნები, ე. ი. ის, თუ რა არ ახასიათებს ინდოევროპულ ენებს, სხვაც მრავალი შეიძლებოდა ყოფილიყო დასახელებული როგორც ფონეტიკის სფეროდან, ისე მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან. რაც შეეხება დანარჩენ ნიშნებს, მათგან სამი (2, 3, 4) ინდოევროპულ ენათა მორფოლოგიური სტრუქტურის დახასიათებას იძლევა: პრეფიქსული წარმოება (2) და ფლექსიური წყობა (3 და 4), მეოთხე კი სინტაქსურია (თუმცა ავტორი მას მორფოლოგიურს უწოდებს),—ნომინატიური კონსტრუქციის არსებობაზე მიუთითებს. ეს არის და ეს. საიდან, როგორ მტკიცდება, რომ ჩამოთვლილი ექვსი ნიშანი არის ყველაზე არსებითი და ყველაზე მეტად დამახასიათებელი ინდოევროპულ ენათათვის, რომ მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინდოევროპულ ოჯახში ენის შეტანის დროს?

შემდეგ: დიდი ხანია ცნობილია, რომ ენათა მორფოლოგიური (ან სინტაქსური) ტიპოლოგია არ ემთხვევა ენათა ოჯახებად დანაწილებას. ნომინატიური კონსტრუქცია გარდა ინდოევროპულისა სხვა ენებშიც გვხვდება (მაგ. სემიტურში). ამას ტრუბეცკოიც არ უარყოფს: ცალკე აღებული ეს ნიშნები სხვა ენებშიაც გვხვდება, მაგრამ ყველა ერთად მხოლოდ ინდოევროპულ ენებს მოეპოვებათო. ყველაფერი ეს ერთად აღებული, მეტი რომ არ ვთქვათ, არადამაჯერებელია.

რა თქმა უნდა, დასახელებული ექვსი ნიშანი ტრუბეცკოის შემთხვევით არა აქვს მოცემული. ისინი მიღებულია ინდოევროპულ ენათა შედარების შედეგად, ერთის მხრივ, ურალურ-ალთაურ, ხოლო, მეორე მხრივ, იბერიულ-კავკასიურ და სემიტურ ენებთან. ნეგატიური ნიშნების გამოყოფაც ამით აიხსნება: დასახელებულია ის, რაც ურალურ-ალთაურ ენებს ახასიათებს, ინდოევროპულს კი — არა (ხმოვანთა ჰარმონია, ანლაუტში თანხმოვანთა თავმოყრის შეუძლებლობა). ასეთი დაპირისპირება მეზობელ ენებთან ტრუბეცკოის სჭირდება იმისათვის, რომ ინდოევროპული ენები ურალურ-ალთაურ და ხმელთაშუა ზღვის (სემიტურ და იბერიულ-კავკასიურ) ენებს შორის მოაქციოს და მათ შორის გარდამავალ ხიდად მიიჩნიოს. მაგ-

რამ ამ გზით ვერც ინდოევროპულ ენათა გავრცელების უძველესი ტერიტორიის საკითხი გაირკვევა და ვერც საერთოდ ენათა ოჯახების წარმოშობის საკითხს მოეფინება შუქი. კერძოდ, გაუგებარი რჩება, თუკი ყველა ენა მართლაც უწყვეტ ჯაჭვს ქმნიდა, როგორც ეს ტრუბეცკოის წარმოუდგენია შმიდტის თეორიაზე დამყარებით[1], მაშინ როგორ მოხდა, რომ ეს ჯაჭვი რამდენიმე ადგილას გაწყდა და რამდენიმე ოჯახი (ინდოევროპული, სემიტური, იბერიულ-კავკასიური, ურალურ-ალთაური) მივიღეთ? რატომ ყველა ენა არ დაუახლოვდა ერთმანეთს და ერთი კავშირი არ შექმნა?

როგორც ვხედავთ, შეხედულება ენათა დაახლოების შესახებ ტრუბეცკოისთან მოკლებულია კონკრეტულ შინაარსს, ავტორის მიერ წამოყენებული ზოგადი დებულებები არ არის დასაბუთებული არავითარი ფაქტობრივი მასალით. ჩამოყალიბებულ თეორიად ტრუბეცკოის შეხედულებებს ვერ მივიჩნევთ.

ეს თავს იჩენს თუნდაც იმაში, რომ ტრუბეცკოის წერილში გვხვდება აშკარა შინაგანი წინააღმდეგობა. ზოგ ადგილას ავტორი ერთგვარად შესაძლებლად მიიჩნევს როგორც ენათა დიფერენციაციას, ისე მათ დაახლოებას. იგი წერს: არავითარი მტკიცე საფუძველი არა გვაქვს დავუშვათ ერთიანი ინდოევროპული ფუძე-ენის არსებობა. ასევე შესაძლებელია, რომ ინდოევროპულ ენათა წარმომადგენლები თავდაპირველად ერთმანეთის მსგავსნი არ იყვნენ, მაგრამ შემდეგ დაუახლოვდნენ ერთმანეთსო[2].

მაგრამ დიფერენციაცია და დაახლოება ხომ ერთმანეთის საპირისპირო პროცესებია?! ინდოევროპული ენები ან ერთი მათგანის შედეგს უნდა წარმოადგენდნენ, ან მეორისას. არსებითად ავტორის პოზიცია გარკვეულია: იგი დაახლოებას მიიჩნევს ინდოევროპულ ენათა წარმოშობის მიზეზად. ამგვარად, ტრუბეცკოისთან ენათა დაახლოება იჭერს ენათა დიფერენციაციის ადგილს, პირველი მეორეს გამორიცხავს. ტრუბეცკოიმ შეცვალა მონათესავე ენათა ოჯახის ინტერპრეტაცია: ინდოევროპული ენები, რომლებიც ყველა სხვა ოჯახის ენებზე უკეთ არიან შესწავლილი და ერთი ფუძე ენის დიფერენციაციით მიღებულად ითვლებიან, მან სხვადასხვა წარმოშობის ენათა დაახლოების შედეგად გამოაცხადა. ცხადია, ამით ავტორმა უარყო საერთოდ ენათა ნათესაობის მიღება დიფერენციაციის გზით.

---

[1] შმიდტი თავის თეორიას მონათესავე დიალექტებისა და ენების მიმართ იყენებდა, ტრუბეცკოიმ კი იგი არამონათესავე ენებზედაც გაავრცელა.

[2] ნ. ტრუბეცკოი, დასახ. ნაშრ., გვ. 82, შდრ. აგრეთვე გვ. 86.

როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით ტრუბეცკოის შეხედულებებმა ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად ენათა კავშირს იგი იყენებდა ისეთი ენების მიმართ, რომელთა ნათესაობა ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული ან საეჭვოდ ითვლებოდა[1]. იმ ენათა საკითხს კი, რომელთა ნათესაობა მტკიცედ დადგენილია, არ სვამდა. მოგვიანებით, ენათა დაახლოებისადმი გადამეტებული ყურადღების გამო, ენათა დიფერენციაცია გამორიცხულ იქნა, მონათესავე ენათა ოჯახი (ინდოევროპული) ენათა დაახლოების შედეგად იქნა მიჩნეული. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ნაშრომში ინდოევროპული ენების შესახებ ტრუბეცკოი არ ხმარობს ტერმინს „ენათა კავშირი“. კავშირი და ოჯახი აქ ორ სხვადასხვა დაჯგუფებას აღარ წარმოადგენს, მაშ, ორი სხვადასხვა ტერმინიც არ არის საჭირო. მთავარი აქ ის არის, რომ ტრუბეცკოი ოჯახის წარმოშობას სხვაგვარად ახასიათებს, ვიდრე ეს მიღებულია ენათმეცნიერებაში.

§67. კლასიფიკაციამ ენათა კავშირებად ფართო გამოხმაურება პოვა პრაღელ სტრუქტურალისტებთან. ეს უკანასკნელები ემყარებიან ტრუბეცკოისეული ენათა კავშირის პირველ ვარიანტს, რომელიც ავტორმა ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე წარმოადგინა. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ამ განსაზღვრის მიხედვით, ერთ კავშირში შემავალ ენებს წარმოშობით მონათესავე ენათა ოჯახისაგან განსხვავებით, არ მოეპოვებათ სისტემატური ბგერათშესატყვისობანი, მაგრამ აქვთ ერთმანეთის მსგავსი მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა და საერთო კულტურის სიტყვათა დიდი რაოდენობა. თვით ტრუბეცკოიმ თუმცა მიუთითა ბალკანეთისა და კავკასიის ენათა კავშირებზე[2], მაგრამ მათი კონკრეტული დახასიათება მას არ მოუცია.

---

[1] ბროკელმანის მიხედვით, ტრუბეცკოიმ ცნება „ენათა კავშირი“ კავკასიური ენების მიმართ გამოიყენა, ხოლო დეეტერსის მიხედვით, მან ალთაური ენების მიმართ დასვა საკითხი—ენათა ოჯახს წარმოადგენენ ისინი, თუ ენათა კავშირსო (დეეტერსი იმოწმებს Actes du premier Congrès international de Linguistes, Leiden, 1930).

[2] ტრუბეცკოი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ენებს ერთმანეთის მონათესავედ არ თვლიდა. მისი აზრით, თუ ამ ენებს შორის მსგავსება შეინიშნება, ეს ამ ენათა საერთო წარმოშობით კი არ აიხსნება, არამედ იმის შედეგია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ენები ხანგრძლივი გეოგრაფიული მეზობლობის შედეგად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ტრუბეცკოის ამ შეხედულებას ემყარებოდა და ამყარებს ზოგი ენათმეცნიერი საბჭოთა კავშირში (იხ. მაგ., Louis H. Gray, Foundations of Language, 1939, გვ. 374; L. Hom-

პრაღელმა სტრუქტურალისტებმა ცადეს კონკრეტულ ენათა მასალისათვის მიეყენებინათ ტრუბეცკოის იდეები. ამ სკოლის ერთერთმა წარმომადგენელმა—რ. იაკობსონმა გამოყო ახალი ენათა კავშირი, სახელდობრ, ევრაზიის ენათა კავშირი. ამ საკითხს იაკობსონმა ორი სპეციალური გამოკვლევა უძღვნა[1].

იაკობსონის აზრით, ევრაზიის ენათა კავშირი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს, იგი აღმოსავლეთ ევროპიდან მოყოლებული ჩრდილოეთ აზიამდე ვრცელდება 1) თეთრი ზღვისა და კავკასიის, 2) დასავლეთ ციმბირისა და 3) თურქესტანის დაბლობებში. ამგვარად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ევრაზიის ენათა კავშირში შედის. ეს კავშირი, იაკობსონის აზრით, აერთიანებს სხვადასხვა ოჯახის მრავალ ენას. ინდოევროპული ენებიდან აქ გვაქვს: ჩეხური, პოლონური, რუსული, უკრაინული, ბელორუსული... აქვეა ურალურ-ალთაური ენები, საბჭოთა კავშირში არსებული თურქული ენები, კავკასიური ენები...

იაკობსონის მიერ გამოყოფილმა ევრაზიის ენათა კავშირმა ფართო გამოხმაურება პოვა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მას ხშირად უბრუნდებიან პრაღელი ლინგვისტები (სკალიჩკა, თვით ტრუბეცკოიც). იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იაკობსონმა მართლაც დაადგინა გარკვეული ენობრივი ნიშნების მქონე კავშირი. სინამდვილეში კი არაფერი ამის მსგავსი არა გვაქვს. ტრუბეცკოის განსაზღვრის მიხედვით, ერთ კავშირში შემავალ ენებს უნდა ჰქონდეთ მსგავსი მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა და დიდი რაოდენობით საერთო სიტყვები. ევრაზიის ენათა კავშირს არც ერთი ამათგანი არ მოეპოვება, იგი ფონოლოგიური კავშირია მხოლოდ. მაგრამ აქაც შეცდომა იქნებოდა თუ ვიფიქრებდით, რომ ევრაზიის კავშირის ენებს ერთმანეთის მსგავსი ფონოლოგიური სისტემა აქვთ. სრულიადაც არა. იაკობსონი გამოყოფს ორად ორ ნიშანს, რომელიც

---

burger, Le langage et les langues, Paris, 1951, გვ. 32), მაშინ როდესაც საბჭოთა კავკასიოლოგების მიერ ჩატარებულმა ისტორიულ-შედარებითმა კვლევა-ძიებამ აშკარა გახადა, რომ მთის კავკასიურ (ჩრდ. კავკასიის) და ქართველურ (სანად. კავკასიის) ენებს საერთო წარმოშობა აქვთ, ისინი მონათესავე ენათა ერთ ოჯახში—იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში—შედიან.

[1] პირველი წარმოადგენს სტატიას Über die phonologischen Sprachbünde. Travaux du Cercle linguistique de Prague. Prague, IV, 1931. მეორე კი წიგნაკია, რომელიც პარიზში გამოქვეყნებულა რუსულ ენაზე: К характеристике евразийского языкового союза. 1931. ჩვენ გავეცანით პირველ სტატიას, რომლის შესავალშიც ავტორი აღნიშნავს: ეს სტატია შეიცავს მოკლე გადმოცემას იმ შრომისას, რომელიც რუსულად უნდა გამოვიდესო.

თურმე აერთიანებს უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებულ სხვადასხვა წარმოშობის ევრაზიის ენებს. ეს ნიშნებია, ერთის მხრივ, მონოტონია, ე. ი. ინტონაციის უქონლობა და, მეორე მხრივ, მაგარი და რბილი თანხმოვნების დაპირისპირება (Eigentunkorelation). აი, რას ემყარება ევრაზიის ენათა კავშირი იაკობსონთან. თავისთავად ცხადია, რომ არ შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა მივანიჭოთ ენათა ისეთ დაჯგუფებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ, თავისთავად სრულიად არაარსებით, ფონოლოგიურ ნიშანზეა დაფუძნებული. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეჭვს იწვევს თვით ის საკითხი, რამდენად მოიცავს ევრაზიის ენათა კავშირს დასახელებული ნიშნები (ასე, მაგალითად, იბერიულ-კავკასიურ ენათა უმრავლესობაში მაგარი და რბილი თანხმოვნების კორელაცია მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს). ისიც აშკარაა, რომ ცალ-ცალკე დასახელებული ორი ფონოლოგიური ნიშანი ბევრს არაევრაზიის ენაშიც გვხვდება, ამიტომ იაკობსონი აღნიშნავს: ევრაზიის ენებს ახასიათებს მონოტონიის დაკავშირება მაგარ და სუსტ თანხმოვანთა დაპირისპირებასთანო. მაგრამ ეს დაკავშირებაც არ არის სპეციფიკური ევრაზიის ენებისათვის. ამ მხრივ, დამახასიათებელია, რომ ანტ. მეიე, რომელიც საერთოდ დადებით დახასიათებას აძლევს ევრაზიის ენათა კავშირს, თავის რეცენზიაში იაკობსონის წიგნზე „ევრაზიის ენათა კავშირის დახასიათებისათვის“ მიუთითებს: იაკობსონი თვითონ აღნიშნავს, რომ „ევრაზიის“ ორივე ლინგვისტური ნიშანი გვხვდება ირლანდიურში. ეს ფაქტი არ უარყოფს თვით გამოკვლევას, მაგრამ ამცირებს მის მნიშვნელობასო[1]. სინამდვილეში ასეთი ფაქტები არა მხოლოდ ამცირებს, არამედ საერთოდ უკარგავს ფასს იაკობსონის ენათა კავშირებს. აშკარა ხდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კლასიფიკაციასთან, რომელიც ემყარება არაარსებითსა და ამასთან შემთხვევით ერთმანეთთან დაკავშირებულ ნიშნებს.

მიუხედავად ამისა, ევრაზიის ენათა კავშირი პრაღის წრეში მტკიცედ დადგენილად ითვლება და სხვა ავტორები ცდილობენ ახალი ნიშნები გამოყონ მასში. ერთ ასეთ ნიშნად სკალიჩკას ის მიაჩნია, რომ ევრაზიის ენებს არ ახასიათებს ხმოვანთა რაოდენობის კორელაცია, ე. ი. გრძელი და მოკლე ხმოვნების დაპირისპირება. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ იმ სლავურ, ურალურ და თურ-

---

[1] Antoin Meillet, R. O. Jakobson. K charakteristiko evrasijskovo jazikovovo sojuza. რეცენზია მოთავსებულია ჟურნალში Bulletin de la Société de Linguistique de Paris, 1931. ტ. 32, ნაკვ. 3 (№ 97), გვ. 7.

ქულ ენებში, რომლებიც ევრაზიის კავშირში შედიან, რაოდენობის კორელაცია არ არის შემონახული, მაშინ როდესაც იმავე ჯგუფების არაევრაზიის ენებში ეს კორელაცია დაცულია. სკალიჩკა ერთმანეთს უკავშირებს ხმოვანთა რაოდენობის კორელაციასა და თანხმოვანთა დარბილების კორელაციას და აცხადებს, მათი გავრცელების ისტორიული ერთმანეთს ემთხვევაო. მაგრამ იქვე ირკვევა, რომ ნამდვილი დაკვირვება აქ არა გვაქვს, გამონაკლისებიც ბლომად გვხვდება[1].

კიდევ უფრო მეტად ამცირებს ევრაზიის ენათა კავშირის მნიშვნელობას სკალიჩკას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ის ურალურ-ალთაური ენები, რომლებიც ამჟამად ევრაზიის კავშირს გარეთ დგანან, ავლენენ ევრაზიზმებს, რაც იმით აიხსნება, რომ, ალბათ, ეს ენებიც ოდესღაც ევრაზიის კავშირში შედიოდნენო. ასეთი ფაქტები, უპირველეს ყოვლისა იმაზე მიუთითებს, რომ არავითარი ევრაზიზმები, როგორც ეს პრაღელ სტრუქტურალისტებს ესმით, არ არსებობს, რომ ევრაზიის ენათა კავშირი მითს წარმოადგენს. მართლაც და, აბა, რა დამარწმუნებლობა უნდა ჰქონდეს სკალიჩკას მიერ გაკვრით ნახსენებ ორ სინტაქსურ ნიშანს — მიდრეკილებას სახელური წინადადებისაკენ და ქონა (haben) ზმნის უქონლობას — რაც, მისი აზრით, ევრაზიზმებს წარმოადგენს, რადგანაც გვხვდება ურალურ-ალთაურ ენებში, აგრეთვე რუსულშიო. ჯერ ერთი, აქ არაფერია თქმული იმის შესახებ, რამდენად დამახასიათებელია ეს მოვლენები ევრაზიის კავშირში შემავალი სხვა ენებისათვის, მეორეცაა და, ავტორის სიტყვით, ისინი გვხვდება ისეთ ურალურ-ალთაურ ენებშიაც, რომლებიც ევრაზიის კავშირში ამჟამად არ შემოდიან.

მეტი დამაჯერებლობა არ ახლავს კიდევ ერთ ნიშანს, რომელსაც სკალიჩკა ევრაზიის კავშირს მიაწერს. ესაა პოლისინთეტიზმის უქონლობა. პოლისინთეტიზმში ავტორი კომპოზიტთა წარმოებას გულისხმობს და ეს მოვლენა, მისი სიტყვით, ახასიათებს ლაპლანდიურს, ბალტიისპირეთის ფინურ ენებს, გერმანულ ენებს, აგრეთვე ამერიკის ენებს, არაევრაზიის აზიურ ენებს (ჩუკჩურს, კორიაკულს, კამჩადალურს). ამგვარად, პოლისინთეზური ენები ერთგვარ სარტყელს ქმნიან დედამიწის სფეროზე. მეორე ასეთ სარტყელს წარმოადგენს, სკალიჩკას აზრით, ევრაზიის ენები, რომელთაც პოლისინთეტიზმი, ე. ი. კომპოზიტთა წარმოებისაკენ მიდრეკილება არ

[1] V. Skalička, Zur Charakteristik des eurasischen Sprachbundes. Archiv Orientalni, Praha, 1933, ტ. VI, ნაკვ. 1.

ახასიათებს[1]. როგორც ვხედავთ, ევრაზიის ენათა კავშირს ამ შემთხვევაში რაიმე პოზიტიური ნიშანი კი არ მიეწერება, არამედ, მხოლოდ ნეგატიური.

ევრაზიის ენათა კავშირს ეხება ტრუბეცკოიც[2], რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს იაკობსონის ზემოთგანხილულ გამოკვლევებს. ტრუბეცკოი აღნიშნავს, მართალია, ამ გამოკვლევებში იაკობსონი მხოლოდ ფონოლოგიური მოვლენების შესახებ ლაპარაკობდა, მაგრამ კარგად ცნობილი ფაქტია, რომ მორფოლოგიური მოვლენები ალენენ ფართო გეოგრაფიულ ტერიტორიაზე გავრცელების ტენდენციას და მოიცავენ რამდენიმე ტერიტორიულად მეზობელ ენას ან დიალექტს, მიუხედავად იმისა, მონათესავე არიან ისინი თუ არაო[3]. ავტორი ამ თვალსაზრისით განიხილავს ბრუნების საკითხს. მისი აზრით, ევროპასა და აზიაში არსებობს ბრუნების კერა, რომელიც მოიცავს: ფინეთს, ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, იუგოსლავიას, თურქეთს, მთელ საბჭოთა კავშირს, მონღოლეთსა და იაპონიას. ამ ქვეყნებში შემავალ ენებში გვაქვს მდიდარი ბრუნების სისტემა, მათ გარეშე კი, პირუკუ, ბრუნება ღარიბია. მაგ., დას. ევროპაში რომანულ, გერმანულ, კელტურ ენებში, ალბანურში და ახალ ბერძნულში ბრუნება სრულიად არ არის ან მისი გადმონაშთებია მხოლოდ, ასევე ბრუნება არა აქვს აღმოსავლეთ აზიაში ტიბეტურსა და ჩინურ ენებს. თვით ბრუნების მქონე ენათა პერიფერიებში ბრუნების სისტემა შესუსტებულია. ამით ხსნის ტრუბეცკოი იმ ფაქტს, რომ ჩეხურთან შედარებით სლოვაკურში ბრუნების სისტემა ბევრად უკეთ არის დაცული. ეს იმიტომო, გვეუბნება ავტორი, რომ ჩეხური პერიფერიას ეკუთვნის, სლოვაკური კი არაო. ეს უკანასკნელი ემეზობლება სამ ენას, რომლებსაც ბრუნება კარგად აქვთ წარმოდგენილი: პოლონურს, უკრაინულსა და უნგრულსო[4].

ერთი შეხედვით, ბრუნების მქონე ენათა გავრცელება ტრუბეცკოისთან ევრაზიის ენათა კავშირს ემთხვევა თითქოს, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ეს ასე არ არის. მდიდარი ბრუნება ახასიათებს ბევრ ისეთ ენას, რომლებიც იაკობსონთან ევრაზიის ენათა კავშირ-

---

[1] Vl. Skalička, Zur ungarischen Grammatik. Prague, 1935, გვ. 64—65.

[2] N. Trubetzkoy, Gedanken über die slovakische Deklination. Sborník Matice Slovenskej. Časť Prvá. Jazykoveda. XV, 1937.

[3] იქვე, გვ. 40.

[4] იქვე, გვ. 43—44.

ში არ შეღოღნენ. ასეთია: ბალტური ენები, ფინური ენები, უნგრული, პალეოაზიური ენები (ჩუკჩური, კორიაკული, კამჩადალური...), იაპონური. მეორე მხრივ, თუმცა ტრუბეცკოი აღნიშნავს, საპ-ჭოთა კავშირის ენებს ბრუნების მდიდარი სისტემა აქვთო, მაგრამ იგი თვითონვე მიუთითებს, რომ, მაგალითად, დას. კავკასიურ ენებს არავითარი ბრუნება არ მოეპოვებათო. ამგვარად, აშკარაა, რომ ბრუნების გავრცელების იზოგლოსა არ ემთხვევა იაკობსონის ფონოლოგიური ენათა კავშირის გავრცელების არეს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ პრაღელ სტრუქტურალისტთა ცდა, გაემეყოთ ევრაზიის ენათა კავშირი, სრული მარცხით დამთავრდა. ამ კავშირს არ აღმოაჩნდა არც ერთი საყურადღებო მორფოლოგიური ან სინტაქსური ნიშანი. ავტორებმა ვერ მიუთითეს ვერც საერთო კულტურის სიტყვებზე, რომლებიც, ტრუბეცკოის განსაზღვრებით, დამახასიათებელი უნდა იყოს ენათა კავშირისათვის. თვით ფონოლოგიური ნიშნებიც შეთხვევითი და არადამაჯერებელია. არავითარი ევრაზიის ენათა კავშირის შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი იმ ერთეული და არასარწმუნო ფაქტების მიხედვით, რომლებზედაც იაკობსონი და სკალიჩკა მიუთითებენ. უსაფუძვლოდ აერთიანებენ რა ენათა კავშირში უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებულ სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებს, დასახელებული ავტორები უგულებელყოფენ ამ ენათა სპეციფიკას, აუპიროვნებენ მრავალფეროვან ენებს, უგულებელყოფენ მათ ისტორიას.

ასე გამოიყურება ის ენათა კავშირი, რომელზედაც ასე თუ ისე კონკრეტულად შეჩერდნენ პრაღის სკოლის წარმომადგენლები. მას შეესაბამება ასევე უსაფუძვლო თეორია, რომელიც კავშირების მიხედვით ენათა კლასიფიკაციას ედება საფუძვლად ზემოდასახელებულ ავტორებთან. უნდა ითქვას, რომ აქ პირობით თუ შეიძლება რაიმე თეორიის შესახებ ლაპარაკი. პრაღელი სტრუქტურალისტები იმასაც კი არ ცდილობენ, რომ მოგვცენ ოდნავ დამაკმაყოფილებელი ახსნა იმისა, თუ რაში მდგომარეობს ენათა კავშირის არსი. ისინი გვეუბნებიან, რომ კავშირი ემყარება საერთო მოვლენებს მეზობელ ენათა სტრუქტურასა და ლექსიკაში, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება იმაზე, თუ რა გზით წარმოიშვა ეს საერთო მოვლენები, ირკვევა, რომ ეს საკითხი არ არის ნათელი და არც მისი გადაჭრის საჭიროებას გრძნობენ ენათა კავშირის ავტორები. ასე, მაგალითად, ლაპარაკობს რა გეოგრაფიულად მეზობელ ენათა შორის საერთო მოვლე-

ნებზე, სკალიჩკა ტრუბეცკოის დამოწმებით წერს: ამ მოვლენათა მიზეზები ჯერ კიდევ არ არის კარგად ცნობილი. ნაადრევი იქნებოდა აქ დავკმაყოფილებულიყავით სუბსტრატის თეორიით ან ერთი ენის გავლენით მეორეზე[1].

კიდევ უფრო გაურკვეველია ენათა კავშირის წარმოშობის გზები იაკობსონთან. ამ უკანასკნელის აზრით, ენათა შორის მსგავსების მიზეზი შეიძლება ორგვარი იყოს. ერთია—ენათა გავლენა ერთმანეთზე, ხოლო მეორე — პარალელური განვითარება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, რაც გამოწვეულია ტენდენციების ერთგვაროვნობით[2]. მოსალოდნელი იყო, რომ იაკობსონი შეეცდებოდა გაემიჯნა ეს შემთხვევები ერთმანეთისაგან და ეჩვენებინა, რომელ მათგანს ემყარება ენათა კავშირი. მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. ავტორი გვეუბნება, ამჟამად მნიშვნელოვანია ის, რომ აღწერილ იქნეს ეს ფაქტები და გაიხაზოს მათი შესატყვისობანი სხვადასხვაგვარ გეოგრაფიულ გაერთიანებებთან ნაჩქარევ განზოგადებათა გარეშეო. ასეთ ნაჩქარევ განზოგადებად მას მიაჩნია ენათა ფონოლოგიური მსგავსების ახსნა ნათესაობით, შერევით ანდა ენათა ან ამ ენებზე მოლაპარაკე კოლექტივების ექსპანსიით[3].

როგორც ვხედავთ, ენათა კავშირის თეორეტიკოსები არ იკვლევენ იმ პროცესებს, რომლებმაც ეს კავშირები წარმოშვა. ისინი ერთნაირად ეპყრობიან ყოველგვარ მსგავსებებს ენებს შორის, ანგარიშს არ უწევენ იმას, წარმოშობითი ნათესაობით აიხსნება ეს მსგავსებები, ენათა შერევით თუ ენათა პარალელური, ე. ი. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, განვითარებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსგავსებათა წარმოშობის ისტორიული გზების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ამოცანად არის დასახული თვითონ მსგავსებათა ფაქტის დადასტურება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენათა კავშირის შესახებ მსჯელობა არ სცილდება აღწერითი ენათმეცნიერების სფეროს. ამ მხრივ დამახასიათებელია ტრუბეცკოის ერთ-ერთი სტატია, სადაც გეოგრაფიული თვალსაზრისით ენათა შესწავლა, რაც, მისი აზრით, ენათა კავშირების ჩამოყალიბებას ედება საფუძვლად, გარკვევით უპირისპირდება ენათა გენეტურ, დიაქრონიულ კვლევას. ავტორი წერს: სლავური ბრუნების პრობლემა ისეთ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, სადაც ენათა გენეტური და ტიპოლოგი-

---

[1] V. Skalička, Zur ungarischen Grammatik. გვ. 63.

[2] R. Jakobson, Sur la théorie des affinités phonologiques des langues. Actes du quatrième Congrès international de Linguistes. Copenhague, 1938, გვ. 52.

[3] იქვე, გვ. 58.

ური შედარება ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და სადაც დიაქრონიული განხილვა გვერდით უნდა მისდევდეს გეოგრაფიულ პარალელსო[1], ამგვარად, ერთ მხარეზე ექცევა გენეტური, დიაქრონიული ანუ ისტორიული განხილვა, ხოლო, მეორე მხარეზე—ტიპოლოგიური, გეოგრაფიული. ეს უკანასკნელი არ შედის ისტორიულში.

რომ ენათა კავშირის შესწავლა ენათა სტატიკური აღწერით ამოიწურება, ეს ჩანს ანტ. მეიეს რეცენზიაშიც იაკობსონის შრომის გამო. ანტ. მეიე აღნიშნავს: პრაღის ჯგუფის ტენდენციების თანახმად, იაკობსონი ცდილობს წარმოგვიდგინოს ფაქტები „სინქრონიაშიო"[2].

აშკარაა, რომ ენათა კავშირის შესწავლა ენათა შორის დაახლოებათა წარმოშობის გზებისა და მიზეზების ძიებას კი არ გულისხმობს პრაღელ სტრუქტურალისტებთან, ანუ სხვაგვარად, ენათა კავშირის შესწავლა ისტორიულ კვლევას კი არ ემყარება, არამედ იგი მხოლოდ აღწერითს ანალიზზეა დაფუძნებული. ეს მოვლენა ბუნებრივ ახსნას პოვებს სტრუქტურალისტთა ამოსავალ თეორიულ პრინციპში, რომლის მიხედვითაც ძირითადია სინქრონიული (აღწერითი) ენათმეცნიერება, ისტორიული (დიაქრონიული) ენათმეცნიერების მნიშვნელობა კი იზღუდება[3]. ენათა კავშირის თეორია წარმოადგენს ამ ზოგადი პრინციპის გამოხატულებას კონკრეტულ ენათა შესწავლის სფეროში.

---

[1] N. Trubetzkoy, Gedanken über die slovakische Deklination, გვ. 40.

[2] Antoin Meillet, R. O. Jakobson. K charakteristike evrasijskovo jazikovovo sojuza, გვ. 7.

[3] ამ საკითხის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება II. თავი მეორე. IV სტრუქტურალიზმი, როგორც სოსიურის კონცეფციის ტენდენციათა განვითარება; იმავე ავტორის: ისტორიზმის საკითხი ენათმეცნიერებაში სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების თვალთახედვით. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. III, 1952 და სარედაქციო წერილი ჟურნალისა „Вопросы языкознания". 1952, № 1, გვ. 6—7. პრაღელ სტრუქტურალისტთა შესახებ იხ. О. Лешка, К вопросу о структурализме (Две концепции грамматики в Пражском лингвистическом кружке), ჟურნ. „Вопросы языкознания", 1935, № 5; О. С. Ахманова, Основные направления лингвистического структурализма. Изд. Московского университета, 1955. მართალია, ისტორიზმის შეზღუდვის საკითხში პრაღელი სტრუქტურალისტები ისე შორს არ მიდიან, როგორც, მაგ., კოპენჰაგენის საენათმეცნიერო წრის წარმომადგენლები, ისინი ამ საკითხში სოსიურსაც კი ემიჯნებიან ერთგვარად (იხ. მაგ., პრაღის საენათმეცნიერო წრის თეზისები Travaux du Cercle linguis

თქმულის მიხედვით, ისიც გასაგები ხდება, თუ რატომ უპირისპირდება ენათა კავშირის ცნება ენათა ოჯახის ცნებას. ერთი შეხედვით, ასეთი დაპირისპირება უცნაურად შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს. ენათა ოჯახი წარმოშობის მიხედვით მონათესავე ენებს აერთიანებს, მაშასადამე, ენათა დიფერენციაციის პროცესს ემყარება. ენათა კავშირი ენათა დაახლოებას, ე. ი. უნიფიკაციას უნდა ემყარებოდეს. მაშ, რატომ უნდა უშლიდნენ ხელს ერთმანეთს ეს კლასიფიკაციები?! საქმე ის არის, რომ მონათესავე ენათა ოჯახების შესწავლა შეუძლებელია ოდენ სტატიკური თვალსაზრისით, იგი უეჭველად ისტორიულ კვლევას საჭიროებს. რაც შეეხება ენათა კავშირს, თუმცა მისი ავტორები აცხადებენ იგი ენათა დაახლოების პროცესის შედეგად წარმოიშვებაო, მაგრამ ამ დაახლოების პროცესს ისინი არ სწავლობენ, და დაახლოებათა ფაქტების აღწერითღა კმაყოფილდებიან. ამგვარად, ენათა კავშირი უპირისპირდება ენათა ოჯახს იმის გამო, რომ პირველი აღწერითი ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება, მეორე კი — ისტორიულისას. სწორედ ამიტომ არის, რომ ეს დაპირისპირება მეტ-ნაკლები სიცხადით თავს იჩენს ენათა კავშირის ყველა ვარიანტში. იგი საგრძნობია პრაღელ სტრუქტურალისტებთანაც.

აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელები არ უარყოფენ მთლიანად ენათა წარმოშობითს ნათესაობას. ისინი იწყებენ, ერთი შეხედვით, სწორი დებულებით, რომ ნათესაობის კვლევა ვერ ამოწურავს საენათმეცნიერო კვლევა-ძიებას. სტრუქტურალური ენათმეცნიერული განხილვისათვის არსებითია, რომ იგი ვერ შემოიფარგლება ენათა გენეტური ჯგუფებითო, აღნიშნავს ტრუბეცკოი[1]. სტრუქტურალისტები მოითხოვენ საერთო მოვლენების შესწავლას გეოგრაფიულად მეზობელ ენებში მიუხედავად იმისა, ენათესავებიან ეს ენები ერთმანეთს თუ არა. ენათა ოჯახებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება თავს იჩენს პირველ ყოვლისა იმაში, რომ სტრუქტურალისტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ენათა წარმოშობით ნათესაობას ზედმეტი ყურადღება ექცევაო. ასე, მაგალითად, რ. იაკობსონი წერს: გენეტური პრობლემისადმი ყურადღების გადაჭარბებამ უკანა რიგში

---

tique de Prague, I, Prague, 1929. რუსულად გამოქვეყნდა Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков. Составил В. А. Звегинцев, Москва, 1956) მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს საერთო ტენდენცია მათი საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკაშიაც იჩენს თავს.

[1] N. Trubetzkoy, Gedanken über die slovakische Deklination, გვ. 39.

დააყენა საკითხები საერთო მოვლენებისა, რომლებიც მეზობელი ენების სტრუქტურაში ჩნდებიან და არ არიან განსაზღვრული საერთო წარმოშობით. ენათმეცნიერებამ კი ენათა ოჯახების გვერდით ენათა კავშირებიც უნდა შეისწავლოსო[1]. თუმცა აქ ენათა ოჯახებისა და ენათა კავშირების ერთმანეთის გვერდით შესწავლაზეა ლაპარაკი, მაგრამ მაინც იგრძნობა მათი დაპირისპირება; ეს გამოიხატება თუნდაც იმის მოთხოვნაში, რომ ყურადღება მონათესავე ენათა ოჯახების შესწავლიდან გადატანილ იქნეს ენათა კავშირების შესწავლაზე. ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო ძლიერდება. განსაკუთრებით ნათლად ჩანს პრაღელ სტრუქტურალისტთა უარყოფითი დამოკიდებულება ენათა ნათესაობის საკითხისადმი იაკობსონის გამოსვლაში ენათმეცნიერთა IV საერთაშორისო კონგრესზე.

ავტორის განმარტებით, „თავდაპირველი იდენტურობის“ ტრადიციული ცნების გვერდით წარმოიშვება მნიშვნელოვანი ცნება „იდენტური განვითარებისა“. აქ იაკობსონი იმოწმებს ენათა ოჯახისა და ენათა კავშირის ტრუბეცკოისებურ განსაზღვრას და განაგრძობს: ენათა ოჯახს შეიძლება ჰქონდეს და ჩვეულებრივ აქვს კიდევაც „მასალობრივი დეტალების“ გვერდით გრამატიკული და ფონოლოგიური მსგავსებები. აქედან გამომდინარეობს, რომ სტრუქტურის მსგავსება არ არის დამოკიდებული მოცემული ენების გენეტურ მიმართებაზე და ერთგვარად შეიძლება შეეხოს, როგორც საერთო წარმოშობის, ისე სხვადასხვა წარმოშობის ენებს. ამგვარად, სტრუქტურის მსგავსება კი არ უპირისპირდება წარმოშობის მიხედვით ენათა ნათესაობას, არამედ მის ზევით მდებარეობს. ეს ფაქტი აუცილებელს ხდის ლინგვისტური მსგავსების (l'affinité) ცნებას: მსგავსება, ვან გინეკენის ზუსტი განსაზღვრით ენათმეცნიერთა III კონგრესზე, კი არ გამორიცხავს წარმოშობითს ნათესაობას, არამედ მხოლოდ აბსტრაქციას ახდენს მისგან. დაახლოება ანუ, სხვა ტერმინებით, სტრუქტურის მსგავსება, ახდენს რა მეზობელ ენათა უნიფიკაციას, აერთიანებს მათ ერთ ასოციაციაში[2].

ზემოთქმულში თითქოს ყველაფერი რიგზეა: ენათა ოჯახი სხვა რიგის დაჯგუფებაა, ასოციაცია ანუ კავშირი — სხვა რიგისა, ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ. მაგრამ გაუგებრობას იწვევს ავტორის მომდევნო მსჯელობა: ენათა ასოციაციის ცნება უფრო ფართოა,

---

[1] R. Jakobson, Über die phonologischen Sprachbünde, გვ. 334.

[2] R. Jakobson, Sur la théorie des affinités phonologiques des langues, გვ. 50.

ვიდრე ოჯახისა, რომელიც ასოციაციის ერთ კონკრეტულ შემთხვევას წარმოადგენს მხოლოდო[1]. როგორ უნდა წარმოადგენდეს ოჯახი ასოციაციის კონკრეტულ შემთხვევას? — იაკობსონი იმოწმებს მეიეს სიტყვებს: „ისეთ შემთხვევებში, როდესაც ევოლუცია საგრძნობლად ერთგვარი იყო, შედეგი ისეთივეა, როგორც თავდაპირველი ერთიანობის დროსო“ და აცხადებს: სწორედ იდენტური განვითარება ქმნის სტრუქტურის ყოველგვარი მსგავსების აუცილებელ წინაპირობასო. „თავდაპირველი იდენტურობა“, რომელსაც აღმოაჩენს შედარებითი გრამატიკა, იაკობსონის სიტყვით, წარმოადგენს მხოლოდ თანხვდენილი განვითარების ერთ მდგომარეობას და სრულიადაც არ გამორიცხავს ერთდროულ ან წინამავალ განსხვავებებს[2].

აქ წარმოდგენილი შეხედულება არსებითად უპირისპირდება ენათა წარმოშობითი ნათესაობის გაგებას. თავდაპირველი იდენტობა ერთგვარ განვითარებას კი არ გულისხმობს, როგორც ეს ენათა კავშირისათვისაა დამახასიათებელი, არამედ პირუკუ — სხვადასხვაგვარ განვითარებას. ნათესაობა იმის შედეგია, რომ ერთი ენისაგან რამდენიმე ენა წარმოიშვება, ამ ამოსავალი ფუძე-ენის ერთიანი მასალა სხვადასხვაგვარი განვითარების შედეგად სხვადასხვაგვარად შეიცვლება. თუ ასოციაცია, იაკობსონის სიტყვებითვე, უნიფიკაციის შედეგია, ოჯახი დიფერენციაციას ეჭყარება. მაშ, როგორღა შეიძლება გავაერთიანოთ ეს პრინციპულად სხვადასხვაგვარი დაჯგუფებები და ოჯახი ენათა ასოციაციის კერძო სახეობად გამოვაცხადოთ?!

შემდეგ: არ არის ნათელი, რას ნიშნავს იაკობსონის სიტყვები, საწყისი იდენტობა არ გამორიცხავს იმავდროულ ან წინამავალ განსხვავებებსო. ხომ არ იგულისხმება აქ, რომ ეს იდენტობა სხვადასხვა ენის დაახლოების გზით არის წარმოშობილი, ე. ი. რომ ენათა ნათესაობა ენათა დაახლოების შედეგია!

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ თუმცა სიტყვიერად იაკობსონი ენათა ოჯახებს და ენათა კავშირებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დაჯგუფებებად აცხადებს, მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს ენათა ოჯახები დაიყვანოს ენათა კავშირებამდე, ე. ი. უგულებელყოს პირველთა სპეციფიკა. იმავე შრომის სხვა ადგილებიდან უფრო ნათლად ჩანს იაკობსონის უარყოფითი დამოკიდებულება ენათა გენეტური ნათესაობის პრინციპებისადმი. ავტორი ენათა ნათესაობის

---

[1] **R. Jakobson, Sur la théorie des affinités phonologiques des langues**, გვ. 50.

[2] იქვე.

ტრადიციულ გაგებას ნატურალისტურ კონცეფციას უკავშირებს. მისი აზრით, ნათესაობის დოქტრინის ყველაზე სტაბილური ელემენტი საკამათო ხდება იმის გამო, რომ მას ახასიათებს ტენდენცია ორ ენას შორის ფონეტიკური და გრამატიკული მსგავსებები ახსნილ იქნეს მათი ერთი საერთო ფუძე-ენისაგან წარმოშობით; ვერ ხედავენ იმას, რომ ეს მსგავსებები არ შეიძლება იქნეს ახსნილი ამგვარად. იმათთანაც კიო, აღნიშნავს იაკობსონი, ვინც სერიოზულად აღარ იღებს ენათა გულუბრყვილო გენეალოგიას, შუხარდტის ზუსტი შენიშვნის თანახმად, გენეალოგიური ხის სურათი ძალაში რჩება. ავტორს მიუღებლად მიაჩნია, რომ ენათა შედარებითი შესწავლის არსებით ამოცანად ითვლება პრობლემა საერთო მემკვიდრეობისა, რომელიც საერთო საწყისისაგან მომდინარეობს. ეს ტენდენცია, იაკობსონის განცხადებით, უპირისპირდება თანამედროვე ენათმეცნიერების სოციოლოგიურ ორიენტაციას.

კიდევ უფრო მეტი: თურმე გენეალოგიური დიფერენციაცია უკვე აღარ შეესაბამება თვით ბუნებისმეტყველების ისტორიის თანამედროვე მდგომარეობას და ენათმეცნიერება აქ უფრო მეტად ბუნებისმეტყველური გამოდის, ვიდრე ეს უკანასკნელია. ავტორი იმოწმებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, „ორი ფორმის ორგანიზაციის მსგავსებები შეიძლება მეორეული იყვნენ, ახლად მიღებულნი და, პირუკუ, განსხვავებები კი — პირველადი, მემკვიდრეობითი ფაქტი იყოს“ და ასკვნის: ასეთ პირობებში განსხვავება მონათესავე და არამონათესავე ორგანიზმებს შორის კარგავს ზუსტ ხასიათსო[1].

როგორც ვხედავთ, აქაც იაკობსონი დაახლოებით იმ აზრს გამოთქვამს, რომელიც ზემოთაც შეგვხვდა. სახელდობრ, რომ მსგავსება მონათესავე ენებს შორის შეიძლება მეორეული იყოს. ამ ლიტონსიტყვიერი განცხადებით, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი არ მოეპოვება მონათესავე ენათა ისტორიაში, იშლება ზღვარი ენათა ოჯახებსა და ენათა კავშირებს შორის. ამგვარად, თუ თავში იაკობსონი გვეუბნებოდა, ენათა ოჯახები და ენათა კავშირები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დაჯგუფებებიაო, ბოლოს ამის საწინააღმდეგო დასკვნა მივიღეთ. ენათა ოჯახი არ ყოფილა განვითარების სხვა პროცესზე დამყარებული კლასიფიკაცია, ვიდრე ენათა კავშირია. ენათა ოჯახი ენათა ასოციაციის ანუ ენათა კავშირის სახეობა ყოფილა. ამგვარად, თვით იმ ეტაპზედაც კი, როდესაც

[1] რ. იაკობსონი, დასახ. შრ., გვ. 49.

ენათა თავდაპირველი ნათესაობა და ენათა ოჯახები ჯერ კიდევ პირდაპირ და გადაჭრით უარყოფილი არ არის[1], პრაღელი სტრუქტურალისტები ენათა კავშირის ცნების გაფართოების ხარჯზე სულ უფრო და უფრო ზღუდავენ ენათა ოჯახის მნიშვნელობას. ენათა კავშირის შესწავლა პრაღელ სტრუქტურალისტთა საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკაში თავისი მნიშვნელობით იმ ადგილს იჭერს, რომელიც მანამდის ენათა მონათესავე ოჯახების შესწავლას ეკავა. კავშირების წინ წამოწევა, კვლევა-ძიების ცენტრში მათი მოქცევა იმავე დროს ენათა ოჯახებისადმი ყურადღების განელების მაჩვენებელია. როგორც აღნიშნული იყო, აქაც იგივე ზოგადი ტენდენცია ვლინდება, რაც სტრუქტურალიზმისათვის არის საერთოდ დამახასიათებელი. კერძოდ, ისტორიული ენათმეცნიერების უფლებათა შეზღუდვა და სტატიკური (აღწერითი) ენათმეცნიერების წამოწევა წინა პლანზე. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ სტატიკური თვალსაზრისით წარმოებული კლასიფიკაცია ენათა კავშირებისა სტრუქტურალისტებთან ზღუდავს ან უარყოფს ისტორიულ კლასიფიკაციას — ენათა ოჯახებს[2].

ამგვარად, ჩვენ ორი თვალსაზრისით განვიხილეთ ენათა კავშირები. ერთის მხრივ, გავეცანით ევრაზიის ენათა კავშირს, როგორც ენათა დაჯგუფების კონკრეტულ ნიმუშს, ხოლო, მეორე მხრივ, ამოვკრიბეთ ის გამონათქვამები, რომლებიც პრაღელ ლინგვისტებთან გვხვდება ამ საკითხის შესახებ, რომ ამით გაგვეთვალისწინებინა დასახელებული კლასიფიკაციის თეორიული საფუძვლები. ასეთი განხილვის შედეგად აშკარა გახდა, რომ პრაღელმა სტრუქტურალისტებმა ვერ შეძლეს რეალური ღირებულების მქონე კავშირების ცნების ჩამოყალიბება. ნათელია, რომ არავითარი ევრაზიის ენათა კავშირი არ არსებობს. ისიც გამომჟღავნდა, რომ ენათა კავშირის შესახებ პრაღელ სტრუქტურალისტებს არ მოეპოვებათ რაიმე გარკვეული თეორია. მათ ასეთი თეორიის შექმნა არც მიაჩნიათ საჭიროდ, ხოლო ცალკეული დებულებები, რომლებიც მათთან გვხვდება, მიუღებელია, რადგანაც ისტორიული ენათმეცნიერების უფლებათა შეზღუდვისაგან გამომდინარეობს და ამ შეზღუდვის დაკანონებას ემსახურება.

---

[1] მოგვიანებით, როგორც ვნახეთ, ტრუბეცკოიმ სავსებით უარყო ინდოევროპულ ენათა წარმოშობითი ხათესაობა.

[2] ენათა კავშირის დაპირისპირება ენათა ოჯახისადმი თავს იჩენს ნეოლინგვისტებთანაც. იხ. G. Bonfante, The Neolinguistic Position (Language. 1947, ტ. 23, № 4, გვ. 349).

§68. გარდა პრაღელი სტრუქტურალისტებისა კლასიფიკაციას ენათა კავშირების მიხედვით იზიარებს ზოგი სხვა ავტორიც. მათთანაც, ისევე როგორც ტრუბეცკოისთან, „ენათა კავშირის" ორგვარი გაგება გვხვდება: ა) „ენათა კავშირი" გამორიცხავს ენათა ნათესაობას, ბ) „ენათა კავშირი" ენათა მონათესავე ოჯახების პარალელურ დაჯგუფებად გვევლინება.

პირველი შეხედულებისაკენ იხრება ულენბეკი[1]. იგი ბასკურის საკითხს ეხება და აღნიშნავს: ამ ორმოცდაათი წლის წინ ბასკურის კვლევა რომ დავიწყე, მთავარ ყურადღებას თავდაპირველ ნათესაობას ვაქცევდი, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენს უპირველეს ამოცანას შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში ის კი არ წარმოადგენს, რომ თავდაპირველი ნათესაობა დავადგინოთ, არამედ უფრო მეტად ის, რომ სხვადასხვა ენებსა და ოჯახებს შორის მეტად რთული ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური შეხვედრები აღმოვაჩინოთ და ასე გავიკვლიოთ გზა კიდევ უფრო რთული კვლევისათვის, თუ რა ხასიათისაა ეს შეხვედრები და როგორ აიხსნებიან ისინი ისტორიულ-გენეტურადო[2]. ამასთან დაკავშირებით ავტორი სვამს მთელ რიგ კითხვებს: გარკვეულ შემთხვევაში გვაქვს თუ არა საქმე მეტად ან ნაკლებ მრავალრიცხოვან სესხებებთან ორ ენასა ან ენათა ოჯახებს შორის? ცალმხრივია თუ ორმხრივი სესხებები? და ა. შ. ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი ადგილი: „აქვთ თუ არა განხილულ ენებს ძირითადი ბირთვი, რომელიც ერთი „წინარე ენის" (Ursprache) დიფერენციაციაზე შეიძლება მიუთითებდეს, თუ საქმე გვაქვს არსებითად ან ნაწილობრივ განსხვავებულ ენებთან, რომლებიც შემდგომ (sekundär) დაუახლოვდნენ ერთმანეთს? დიფერენციაციაზე დამყარებულ ენათა ოჯახებთან გვაქვს საქმე, თუ ენათა კავშირებთან ტრუბეცკოისებური გაგებით?"[3].

აქამდის თქმულის მიხედვით, ენათა ოჯახები და „ენათა კავშირები" არ გამორიცხავს ერთმანეთს და შესაძლებლად არის მიჩნეული ორგვარი ნათესაობა: თავდაპირველი (Urverwandtschaft) და მეორეული (Sekundäre Verwandtschaft), მაგრამ ამას მოსდევს ფრაზა: „თუ საერთოდ არ არსებობს მხოლოდ დიფერენციაციაზე

---

[1] C. C. Uhlenbeck, Vorlateinische indogermanische Anklänge im Baskischen. Anthropos, ტ. XXV—VI, ნაკვ. 1—3, 1940—41.

[2] იქვე, გვ. 202.

[3] იქვე.

დამყარებული ენათა ოჯახები?“[1]. აქ კი ენათა დიფერენციაციის საკითხი საეჭვოდ არის მიჩნეული.

ენათა კავშირები ენათა ოჯახებისაგან დამოუკიდებელ დაჯგუფებად მიაჩნია დეეტერსს[2]. მას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ინდოევროპული ენები საერთო ფუძე-ენისაგან წარმოიშვნენ. ასევე სარწმუნოდ მიიჩნევს იგი ფინურ-უნგრული, სემიტური, თურქული, დრავიდული, ტიბეტურ-ჩინური, ავსტრონეზიული და სხვ. ენების ნათესაობას[3]. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ენის საკითხი გაურკვეველია. ასე მაგალითად, სახელწოდებები ავსტრალიური ენები, პაპუასთა ენები, სუდანის ენები წმინდა გეოგრაფიულ ცნებებად მიაჩნია დეეტერსს. ქამიტური ენების მიმართ საკამათოა — წარმოშობით მონათესავე (urverwandt) არიან ისინი, თუ მიღებული არიან თავდაპირველად არამონათესავე ენებზე პრასემიტური ფენის გაბატონებითო. არც იმაში არიან შეთანხმებული—ალთაური ენები (თურქული, მონღოლური, ტუნგუსური) ენათა ოჯახს ქმნიან თუ ენათა კავშირსო. აქ დეეტერსი ტრუბეცკოიზე მიუთითებს და ენათა კავშირს განმარტავს, როგორც ენათა ჯგუფს, რომელში შემავალი ენებიც მონათესავე არ არიან, მაგრამ საერთო მოვლენებს (Gemeinsamkeiten) ავლენენ სიტყვათა მარაგში, ფონოლოგიურ სისტემაში და ენობრივ წყობაში[4].

როგორც ვხედავთ, ზოგი ავტორის აზრით, ენათა კავშირი არ გამორიცხავს ენათა ოჯახს. ისინი სხვადასხვა პროცესების შედეგს წარმოადგენენ: ოჯახი დიფერენციაციას ემყარება, კავშირი — დაახლოებას. მაგრამ ენათა კავშირის ასეთი გაგება თეორიულად არ არის დასაბუთებული. თუ ენათა კავშირი სხვაგვარი დაჯგუფებაა, ვიდრე ენათა ოჯახი, მაშინ გარკვეული უნდა იყოს, რა სახის მსგავსებებს ემყარება იგი, რით განსხვავდება ენათა თავდაპირველი, წარმოშობითი ნათესაობა მეორეული, შეძენილი ნათესაობისაგან? ეს საკითხები სპეციალური მსჯელობის საგნად ამ ავტორებთან არ იქცევა.

---

[1] უ ლ ე ნ ბ ე კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

[2] G e r h a r d D e e t e r s, Vergleichende Sprachforschung. Lehrbuch der Völkerkunde. Stuttgart. 1937. ტრუბეცკოის ემყარება ბროკელმანიც 1932 წ. ჟურნ. „Anthropos“, ტ. XXVII-ში დაბეჭდილ წერილში „Gibt es einen hamitischen Sprachstamm?“ იგი „ენათა კავშირად“ მიიჩნევს ქამიტურ ენებს, რომელთა ნათესაობის დამტკიცებისათვის საკმარ საბუთი არ არსებობს. ვინაიდან ეს წერილი ხელთ არა გვაქვს, მასზე სპეციალურად ვერ ვიჭერდებით.

[3] იქვე, გვ. 232.

[4] იქვე, გვ. 233.

ენათა კავშირი გამოიყენება შედარებითი მეთოდით ჯერ კიდევ საღანადოდ შეუსწავლელი ენების მიმართ, რომელთა ისტორია გაურკვეველია, რომელთა ნათესაობის დამტკიცებისათვის საკმაო საბუთები არ მოგვეპოვება. მაგრამ რა უფლება გვაქვს ეს ენები ენათა კავშირად გამოვაცხადოთ, თუ არ არის გარკვეული კავშირში გაერთიანებული ენები რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდნენ, რა უნდა ჰქონდეთ მათ საერთო და როგორი შეიძლება იყოს ეს ერთიანობა? სავსებით მართებულად შენიშნავდა ამის შესახებ არნ. ჩიქობავა: „ან ჩვენ ვიცით, დარწმუნებული ვართ, რა წარმომავლობისაც არიან „ენათა კონის“ (ენათა კონას ავტორი ენათა კავშირს უწოდებს.—თ. შ.) წევრები და მაშინ ეს ცნება ზედმეტია (ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა). ანდა არ ვიცით, განვითარების რა გზა გაუვლიათ „ენათა კონის“ წევრებს, და მაშინ ახალი ცნება მხოლოდ დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენ წინ გაურკვეველი ოდენობაა, თავისებური მოვლენაა, და ახალი ტერმინი სტატიკურად აღნიშნავს ამ ფაქტს, იძლევა ფაქტის კონსტატაციას, მაშინ როდესაც საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს სათანადო ენათა გენეზისის გარკვევას, მათი წარმომავლობის ისტორიის დადგენას. ეს, მაშასადამე, არაა საკითხის გადაწყვეტა“[1].

ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნული გარემოება იყო მიზეზი ტრუბეცკოის შეხედულებათა ცვლისა, რაზედაც ზემოთ მივუთითეთ: თავდაპირველად ტრუბეცკოი შეეცადა ენათა კავშირი ახალი, ოჯახებისაგან დამოუკიდებელი დაჯგუფების სახით წარმოედგინა, მაგრამ ასეთი გაგებისას გაურკვეველი დარჩა, რა კონკრეტული ნიშნები ახასიათებს მას. ამიტომ შემდეგ ტრუბეცკოიმ ენათა კავშირად მიიჩნია ენათა ოჯახები, ოღონდ ენათა ნათესაობის ცნობილ ფაქტებს მისცა ახალი გააზრება, ე. ი. თავისი თეორია ენათა დაახლოების შესახებ ისეთი ენების მიმართ გამოიყენა, რომელთა ერთმანეთთან სიახლოვე არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამგვარად, ენათა კავშირმა დაი-

[1] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945, გვ. 230. ხაზი ყველგან ავტორისაა. იხ. იმავე ავტორის „საბჭოთა ენათმეცნიერების ამოცანები და ძირითადი პრობლემები“. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, გვ. 95 (ეგევე წერილი რუსულ ენაზე მოთავსებულია კრებულში „Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В. Сталина по языкознанию, 1952, გვ. 36).

კავა ენათა ოჯახის ადგილი. რომ აქედანაც არაფერი გამოვიდა, ეს ზემოთ უკვე ვნახეთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ენათა კავშირის ორივე ვარიანტი, რომელიც ტრუბეცკოისთან და შემდეგ მის თანამოაზრეებთან გვხვდება, მოკლებულია რეალურ საფუძველს და ამიტომ მიუღებელია.

§69. ენათა კავშირის თავისებური გაგება აქვს მოცემული ბეკერს ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში, რომელიც 1948 წელს არის გამოსული[1]. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მას ჯერ კიდევ 1931—33 წლებში დაუმუშავებია.

ბეკერი იძლევა ენათა კავშირის ასეთ განსაზღვრას: „ენათა კავშირში ჩვენ გვესმის ენათა ჯგუფი, რომელი ენებიც ერთგვარ კულტურულ გარემოში (Kulturraum) საერთო ბედისა და ურთიერთზეგავლენის გამო ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ თითოეულ მათგანში დაახლოებით ერთი და იგივე დაახლოებით ერთგვარად შეიძლება ითქვას“[2].

ამგვარად, ენათა კავშირი აერთიანებს სხვადასხვა ენებს. მასში ერთფეროვნება მრავალფეროვნებაში გამოვლინდებაო, წერს ავტორი[3].

ენათა კავშირის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ფაქტები ემთხვევა ისტორიულ ურთიერთობებს[4]. ენათა ერთმანეთზე გავლენას გზა უნდა გაუხსნას არაენობრივმა მოვლენებმა[5]. ენა კულტურას მისდევს, მაგრამ ავტორი გახაზავს, რომ კულტურა მხოლოდ წინამძღვარია და არა მოქმედი ძალა. როდესაც ენობრივ გავლენებს გზა გაეხსნება, ენა დამოუკიდებელი ხდება. ერთი ენის გავლენა მეორეზე ევროპაში მაინც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი გამომწვევი კულტურული ფაქტორებიო,—აღნიშნავს ბეკერი და განაგრძობს: ენობრივი გავლენები არ ფარავს კულტურულ გავლენებს. ევროპული კულტურა ევროპის ყველა ხალხების შემოქმედებაა, ხოლო ენობრივ ევროპაში (Spracheuropa) მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ზოგმა პრივილეგირებულმა ენამ[6].

---

[1] Henrik Becker, Der Sprachbund. Leipzig und Berlin, 1948.
[2] იქვე, გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 13.
[4] იქვე, გვ. 16.
[5] იქვე, გვ. 15.
[6] იქვე, გვ. 60.

ამგვარად, ენობრივ ზეგავლენათა პირობას წარმოადგენს საზოგადოებრივი, სამეურნეო, კულტურული ან საერთოდ ისტორიული ფაქტები, მაგრამ ენა დამოუკიდებლად მოქმედებს. ენათა შორის მიმართებები წმინდა ენობრივ ნიადაგზე აიხსნება. ენათა ურთიერთობის ამსახველ ძირითად ცნებას წარმოადგენს სესხება და სწორედ იგი ქმნის, ავტორის აზრით, ენათა კავშირის საფუძველს[1]. სესხებას ბეკერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ენის განვითარებაში. მისი აზრით, „იგი ენის განვითარებისა და ენის ცხოვრების ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცევა, რომელიც ჩვენ მეტს აგვიხსნის, ვიდრე ყველა ბგერითი კანონები ან ის, რაც აქამდე ენობრივი ცხოვრების მამოძრავებლად მიაჩნდათ“[2].

ძირითადი და ყველაზე თვალსაჩინო სიტყვათა სესხებაა, მაგრამ ამით სესხების ფაქტები არ ამოიწურება. აქ ყველაფერი შედის, რაც ენობრივ ურთიერთობაში წარმოიშვება. ერთისა და იმავე კავშირის ენები თავიანთ წინადადებებს ერთგვარად აგებენ და თვით ბგერებამდე და ფორმებამდე მიჰყვებიან ერთმანეთს[3]. ამგვარად, სესხება შეიძლება ეხებოდეს ფორმასაც და შინაარსსაც[4]. სესხება მოიცავს სიტყვაწარმოებას[5], ბგერათკომპლექსებს, ბგერათცვალებადობას, ბრუნებას, სიტყვათა რიგს, სტილსაც კი[6]. არც ამით კმაყოფილდება ბეკერი, იგი ლაპარაკობს დამწერლობის, ხმის ტექნიკის, პოეზიის ფორმების, აზროვნების ენის, სამართლის ენის... სესხების შესახებ[7], აგრეთვე ანდაზების, გამოთქმების, ლოზუნგებისა და სხვ. სესხების შესახებ.

ენობრივი სესხების დამახასიათებლად ბეკერს ის მიაჩნია, რომ სესხება ყოველთვის ცალმხრივია[8].

ამის საფუძველზე ენათა კავშირში ბეკერი გამოყოფს მასწავლებელ ენებს და მოწაფე ენებს. მასწავლებელი ენა ზეგავლენას ახდენს მოწაფე ენაზე. მასწავლებელი ენები ქმნიან ენათა კავშირის ცენტრს. ერთ კავშირში შეიძლება ერთი ან რამდენიმე მასწავლებე-

---

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 11.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 36.

[5] იქვე, გვ. 37.

[6] იქვე, გვ. 39. აღსანიშნავია, რომ ავტორს ამ დებულების საილუსტრაციო მაგალითები არ მოჰყავს.

[7] იქვე.

[8] იქვე, გვ. 18, 19

ლი ენა იყოს ერთდროულად. რამდენიმე მასწავლებელი ენა ქმნის მასწავლებელთა საზოგადოებას. მასწავლებელი ენებია: ბერძნული, ლათინური, ფრანგული, ინგლისური, რუსული, გერმანული, ჩინური, სანსკრიტი, არაბული... მოწაფე ენას, შესაძლებელია, თავისი მოწაფეები ჰყავდეს[1]. სწავლების პერიოდის დამთავრების შემდეგ ყოველი მოწაფე მასწავლებლის თანაბარი ღირებულებისა ხდება. მაგალითად, მოწაფე ენაა უნგრული, მაგრამ ის არაფრით არ ჩამორჩება მასწავლებელ ენებს[2].

ვინაიდან ენათა კავშირები ხალხთა კულტურული ურთიერთობის შედეგად წარმოიშვება, ბეკერი აჯგუფებს ენებს კულტურის საფეხურების მიხედვით. იგი გამოყოფს დაბალი, საშუალო და მაღალი კულტურის ენებს და აღნიშნავს, რომ მეტწილად ერთი და იმავე კულტურის საფეხურზე მდგომი ენები ქმნიან ენათა კავშირს. მაღალი კულტურის ენებში, ბეკერის მიხედვით, გამოიყოფა ოთხი კავშირი: ევროპა — ისლამი — ინდოეთი — ჩინეთი. მათ შორის მოქცეულია 2 კავშირი, რომლებსაც ავტორი ხალხთა ხიდებს უწოდებს. ესაა მალაურ ენათა კავშირი და შინაევრაზიური (innereurasische) ენათა კავშირი (ამ უკანასკნელში შედიან თურქულ-მონღოლური მოდგმის ხალხები).

ბეკერის სპეციალური მსჯელობის საგანს წარმოადგენს ევროპის ენათა კავშირი. იგი ყველაზე დიდია. ამ კავშირს განეკუთვნება 500 მილიონი მოლაპარაკე ევროპაში და ამის ნახევარი ამერიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში. მის ისტორიას ავტორი ანგარიშობს 1000 წლიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე[3].

ევროპის ენათა კავშირში ყველაზე ადრე გავლენას ახდენდა ბერძნული ლათინურზე. მაგრამ შემდეგ ლათინური გაუტოლდა ბერძნულს და თავის მხრივ დაიწყო ზემოქმედება ევროპის ენებზე. პირველ ხანებში ენათა კავშირის წარმოშობას ხელს უშლიდა ის, რომ ლათინური ნთქავდა დაპყრობილ ენებს. მხოლოდ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ იწყება ევროპის ენათა ამოქმედება. ამ ენებმა თანდათანობით მიაღწიეს ლათინურისა და ბერძნულის ზონეს. პირველად ეს შეძლო XIV საუკუნეში იტალიურმა, შემდეგ მას ხელა მიჰყვა ფრანგული, რომელიც XVI საუკუნის ბოლოს ლათი-

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 20—21.
[2] იქვე, გვ. 21—22.
[3] იქვე, გვ. 51.

ნურსაც კი ექიშპება ხელმძღვანელის როლში. შემდეგ: ესპანური, პორტუგალიური, ინგლისური, ჰოლანდიური, გერმანული, დანიური, შვედური, პოლონური, რუსული, აგრეთვე ასლანდიური და ჩეხური. XVIII საუკუნის ბოლოს შედგა კავშირი 12 ენისაგან. საბოლოოდ ევროპის „კავშირი“ ჩამოყალიბდა 1917—18 წლებში. ამჟამად თითქმის ევროპის ყველა ენა მას განეკუთვნება. ევროპის კავშირის გავლენა ევროპას გასცილდა და ყველა კონტინენტს მოიცავს.

ევროპის ენათა კავშირის მასწავლებელ ენებად ბეკერი თვლის ბერძნულს, ლათინურს, ძველ ფრანგულსა და პროვანსულს, იტალიურს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, რუსულს.

ბერძნული ორმაგად მოქმედებს. ერთის მხრივ, იგი ენობრივი ევროპის სათავეში დგას, ხოლო მეორედ მისი გავლენა რენესანსის ეპოქაში იწყება[1]. ლათინურმა ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპაზე, მეტწილად, როგორც ბერძნულის შუამავალმა[2]. ევროპის მესამე დიდ ენას ფრანგული წარმოადგენს. მას ცოცხალ ევროპულ ენათაგან ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც პოეზიის, საზოგადოების, მეცნიერების... ენას[3]. ინგლისურის გავლენა ბევრად უფრო მცირეა. იგი ვლინდება უფრო ენის განაპირა სფეროებში: სპორტსა და ვაჭრობაში. ევროპაში ჯერ კიდევ ცოტა არიან ისეთები, რომლებიც ინგლისურად კარგად ლაპარაკობენ[4]. გერმანული ევროპის შუამავალი ენაა. ფრანგულის გავლენა ჩრდილოეთში, აღმოსავლეთში და სამხრეთ აღმოსავლეთში თითქმის მხოლოდ გერმანულის მეშვეობით ხორციელდებოდა. გერმანულის დამსახურებაა ახალი პოეტური ენისა და ახალი მეცნიერების ენის შექმნა[5]. რუსული მასწავლებელ ენად იქცა დაახლოებით 50 წლის წინ, როდესაც ახალმა რუსულმა თხრობითმა ხელოვნებამ მსოფლიო შეძრა. ბეკერი აღტაცებით ლაპარაკობს ტოლსტოის, დოსტოევსკისა და სხვა რუს კლასიკოსთა ღირსებებზე და ასკვნის: რუსული გონის შეჯვარედინებამ ენობრივ ევროპასთან განსაკუთრებით დიდი მოვლენა წარმოშვაო[6]. მიუხედავად ძლიერი კულტურული ურთიერთობისა რუსული ენის გავლენა ევროპაზე, მისი აზრით, ამჟამად სუსტია.

---

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 97.
[2] იქვე, გვ. 98.
[3] იქვე, გვ. 102—103.
[4] იქვე, გვ. 104.
[5] იქვე, გვ. 105.
[6] იქვე, გვ. 106.

რუსული ენის გავლენამ, ბეკერის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა იქონიოს ენობრივი ევროპის მომავალ განვითარებაზე.

ენობრივი გავლენები ევროპის კავშირში ცალმხრივია და, როგორც წესი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება[1].

რა პირობებმა განსაზღვრა ევროპული კავშირის ჩამოყალიბება? ავტორი გვეუბნება, რომ ასეული წლების განმავლობაში ერთად ცხოვრებისა და გარკვეული ენების, განსაკუთრებით ფრანგულისა და ლათინურის, ბატონობის შედეგად ევროპულ ენათა სამყარო შეირწყა ერთ ენათა კავშირად[2]. ბეკერი ასახელებს ენათა დაახლოების კონკრეტულ ფაქტორებს. ასეთებია: თარგმანები, უცხო ენების შესწავლა, მოგზაურობანი ევროპაში, სპეციალური ენების (მაგალითად, მეცნიერების ამა თუ იმ დარგისათვის) შექმნა, მსოფლიო დამხმარე ენები, გარკვეული ხასიათის შეთანხმებები ხალხთა შორის ურთიერთობისათვის (მაგ., ლათინური დამწერლობის გამოყენება სხვადასხვა ხალხების მიერ, ფრანგულის ხმარება ფოსტის ენად, ფრანგულისა და ინგლისურისა — პოლიტიკური საქმიანობის ენად, მხოლოდ განსაზღვრულ ენათა დაშვება სამეცნიერო სესიებზე და ჟურნალებში)[3]. თანამედროვე ევროპული კავშირები ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე, — წერს ბეკერი, — რადგან ყოველდღიურ პრესას თავისი ცნობები ენიდან ენაში გადააქვს რაც შეიძლება ნაკლები ცვლილებებით, რადგან სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მეცნიერებს უმჯიდროესი ურთიერთობა აქვთ და რადგან განვითარებულ თარგმნითს ხელოვნებას უცხო მწერლის ენობრივი ნაწარმოები ახალ ენაში შეაქვს[4]. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ ყველა ევროპულ ენაში თითქმის ერთი და იგივე თითქმის ერთნაირად ითქმის[5]. ავტორს მიაჩნია, რომ დღევანდელი გერმანული და დღევანდელი ფრანგული ყველაფრით უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვარდა მეტწილ სიტყვათა ბგერითი ფორმისა და სიტყვაცვალებადობის ფორმებისა, ვიდრე დღევანდელი გერმანული და სასახლის გერმანული ან დოიჩგერმანული (Deutschgermanisch) და გუთური, ან

---

[1] ბეკერი, დასახ. შრ., გვ. 57—58.
[2] იქვე, გვ. 57.
[3] იქვე, გვ. 61—62.
[4] იქვე, გვ. 58.
[5] იქვე, გვ. 57.

ვიდრე დღევანდელი ფრანგული და საშუალო საუკუნეების მინეზინგერებისა და მთხრობლების ენა[1].

ევროპის კავშირის ენებს ფორმათა ნაწილი და გამოხატვის საშუალებათა უდიდესი ნაწილი ერთნაირი აქვთ. ბეკერს შესაძლებლად მიაჩნია ამტკიცოს, რომ თითქოს არსებობს საერთო ევროპული ენა, როგორც ნორმა, რომლის განშტოებებს წარმოადგენენ რეალურად არსებული ენები[2]. ეს საერთო ევროპული ენა სრულ გამოხატულებას პოვებს მასწავლებელ ენებში.

საერთო ევროპული ენის დახასიათებისას, უპირველეს ყოვლისა. ირკვევა, რომ იგი რამდენადმე ხელოვნურია და დამუშავებულია მეცნიერული, უცხო ენაზე განსწავლული და ხშირად ხალხს დაშორებული ფენის მიერ, როგორც წიგნის ენა[3]. ყველგან სანიმუშო ენა რამდენადმე უცხოა ხალხისათვის. კარგ მეტყველებად ითვლება კლასების ენა, ე. ი. ჯერ თავადური (ხალხთა გადასახლების დროს), შემდეგ აზნაურული და ბოლოს ბურჟუაზიული სპეციალური ენა[4]. ევროპული საერთო ენა ემსახურება მეცნიერებასა და პოეზიას.

რაც შეეხება ევროპულ ენათა საერთო კონკრეტულ ნიშან-თვისებებს, აქ ავტორი განასხვავებს ნორმას და პოეტურ ენას. ნორმის საკითხთან დაკავშირებით იგი განიხილავს ევროპულ მართლწერას, ბგერადობას (Lautung), ენობრივ განსწავლას(Sprachschulung), მეტყველების ხელოვნებას (სცენის, კინოს ენა), ევროპული ლექსისა და სიმღერის საკითხს. სიტყვათშეერთების (Wortfügung) შესახებ აღნიშნულია, რომ იგი ჯერ კიდევ დაუმუშავებელია[5]. ლაპარაკია ავრეთვე ზრდილობიანი მეტყველების წესებზე (Höflichkeitsregeln)[6].

დასკვნა ასეთია: ევროპული ენის წესები მეტად ჭრელია. უპირატესობა ენიჭება პოეტურ ენას. ავტორი იძლევა ევროპული პოეზიის ფორმების დახასიათებას.

ცალკე ჩერდება ბეკერი ევროპული ენების გამომხატველობითი განძის საკითხზე. საერთო სიტყვების არსებობის გარდა იგი მიუთითებს საერთო გამოთქმებისა (გერმ. Man kan nie wissen

---

[1] ბეკერი, დასახ. შრ., გვ. 58.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ.65, შდრ. აგრეთვე გვ. 57.

[4] იქვე, გვ. 68.

[5] იქვე, გვ. 75—76. სიტყვათშეერთებაში ავტორი აერთიანებს სინტაქსსა და სიტყვის შესახებ მოძღვრებას.

[6] იქვე, გვ. 76.

ინგლ. You never can tell, ფრანგ. On ne sait jamait, ჩეხ. nelze rici) და ანდაზების (Der Mensch denkt, Gott lenkt, L'homme propose, dieu dispose, Человек ходит, бог видит) არსებობაზე ევროპულ ენებში [1].

ევროპული ენათა კავშირის გაგებისათვის ბეკერს აუცილებლად მიაჩნია გათვალისწინებულ იქნეს როგორც შემოქმედებითი, ისე მიბაძვითი წარმოებანი.

მიბაძვას იგი აუცილებელ მოვლენად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად წინააღმდეგობას უწევენ, ბეკერის აზრით, მიბაძვას ევროპაში ყოველთვის ვხვდებით. სწორედ მიბაძვას ემყარება ევროპული ერთიანობა [2]. ამასთან, მიბაძვა სრულიადაც არ ნიშნავს დამოუკიდებლობის უქონლობას, იგი არ არის სისუსტის მაჩვენებელი. ავტორი გვპირდება მიბაძვის საკითხის განხილვას ენის სხვადასხვა მხარეში. იგი გამოყოფს 5 ფენას ენაში: 1) გამოთქმის საშუალებები (Ausdrucksmittel). აქ პირველ რიგში სიტყვები შედის. 2) მეტყველების ფორმები (Redeformen). ივარაუდება პოეტური სტილები. 3) ენის მოქმედება (Wirkung). 4) ბგერადობა (Lautung). 5) სიტყვათშეერთება (Wortfügung). ამათგან პირველ სამში მიბაძვას უპირატესობა ენიჭება საკუთართან შედარებით, უკანასკნელ ორში კი საკუთარი სჭარბობს [3]. გავლენა ენის წყობასაც კი აღწევს, ავტორის აზრით. მის შედეგად ისპობა გარკვეული ფორმები და წარმოიშვება ახლები [4].

ევროპულ ენათა კავშირს, ბეკერის აზრით, სერიოზული საფრთხე ემუქრება: ენობრივი ევროპა დაბერდა და მას გაახალგაზრდავება ესაჭიროება [5]. იგი მიუთითებს საერთო ევროპული ენის გაახალგაზრდავების ორ შესაძლებლობაზე. პირველი არის ამ ენის გახალხურება, ე. ი. ცდა, რომ იგი გასაგები გახდეს ხალხისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ორი საშუალება გამოიყენება: 1) ცდილობენ ხალხის ენით ილაპარაკონ, 2) ცდილობენ განათლებული ფენის ენა ნათელი და მარტივი გახადონ. აქაც გასარკვევია „ხალხურად" გაამარტივებენ მას თუ მხოლოდ „ფაქტობრივად (sachlich) გასაგებს გახდიან. თუ პირველმა გზამ გაიმარჯვა, მაშინ ევროპული ერთიანობა ძლიერ

---

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 82—85.
[2] იქვე, გვ. 87.
[3] იქვე, გვ. 89—93.
[4] იქვე, გვ. 94.
[5] იქვე, გვ. 107.

დაიწევს უკანო, — აღნიშნავს ავტორი, — რადგან ხალხურ მეტყველებაში მეტი სხვადასხვაობაა, ვიდრე პოეზიისა და სპეციალობის ენებშიო[1].

ენის გაახალგაზრდავების მეორე საშუალებად მიჩნეულია ახალგაზრდა მასწავლებელი ენების — ინგლისურის, გერმანულის, რუსულის — შემდგომი წინსვლა და განვითარება. ამ მხრივ განსაკუთრებულ იმედს ამყარებს ავტორი რუსულზე[2].

ბეკერი ენათა კავშირებს ენათმეცნიერებაში ცნობილ ყველა სხვა კლასიფიკაციაზე მაღლა აყენებს. იგი ხშირად უპირისპირებს ერთმანეთს ენათა კავშირს და მონათესავე ენათა ოჯახს და გახაზავს პირველის უპირატესობას, საყვედურსაც გამოთქვამს ენათმეცნიერთა მიმართ, რომ ისინი დიფერენციაციაზე დამყარებულ ენათა ოჯახებს გადამეტებულ ყურადღებას აქცევდნენ. მისი აზრით, ძირითადი—ოჯახი კი არ არის და წარმოშობა, არამედ მსოფლიოს სხვა ენებს შორის ადგილი. საერთო ადგილი და ძლიერი ურთიერთობა გადალახავენ სხვადასხვა წარმოშობას[3]. ენათა კავშირი უმნიშვნელოვანესი დაჯგუფებაა, რომელიც აგვიხსნის და გააფორმებს როგორც ცალკეული ენის ბედს, ისე ენის ცხოვრებას საერთოდო, — წერს სხვაგან ავტორი[4].

ამის შესაბამისად აფასებს ბეკერი ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესებსაც. დიფერენციაცია მას მიაჩნია უმიზნო ცვალებადობად, რომელიც გამთიშველად მოქმედებს. ინტეგრაცია მიზნობრივ ცვალებადობას გულისხმობს, ავტორის აზრით, და მის შესწავლას მეტი მნიშვნელობა ენიჭება[5].

§70. ბეკერის შეხედულებათა შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ავტორის მსჯელობა ენის განვითარების მიზეზების შესახებ. ბეკერი არაერთგზის იმეორებს, რომ ენის განვითარებას განსაზღვრავს საზოგადოების ისტორია (ხალხთა შორის პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურული ურთიერთობანი) და ყოველთვის გახაზავს, რომ ენა არ არის ისტორიის უბრალო სარკე, რომ იგი თავის საკუთარ კანონებს მისდევს[6]. ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმა

---

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 108—109.
[2] იქვე, გვ. 107.
[3] იქვე, გვ. 24.
[4] იქვე, გვ. 15.
[5] იქვე, გვ. 13.
[6] იქვე, გვ. 116.

სავსებით მართებულია. იგი, ერთის მხრივ, ენის ისტორიას უკავშირებს საზოგადოების ისტორიას, ხოლო, მეორე მხრივ, ენის განვითარების შინაგან კანონებს აღიარებს. მაგრამ, საკითხავია, იყენებს თუ არა ამ მართებულ პრინციპებს თავის შრომაში ავტორი?

ენათა კავშირის შესახებ ბეკერის შეხედულებათა დაწვრილებით განხილვამდის საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ ავტორის კონცეფციაზე ენის რაობის შესახებ, რამდენადაც იგი თავს იჩენს ჩვენთვის საყურადღებო საკითხის გაშუქების დროსაც.

ბეკერი ენის განვითარების არსს ხედავს არა ენის ბგერითსა და მნიშვნელობის ცვალებადობაში, არამედ ენის მუდმივ აღმავლობასა და დაცემაში. იგი წერს: ენის დღევანდელ მკვლევართათვის სასაცილოა გავრცელებული შეხედულება, თითქოს ენის ცხოვრება შედგებოდეს ბგერისა და შინაარსის მუდმივი ცვლისაგან, ასე რომ „ბგერითი კანონი“ და „მნიშვნელობის ცვლა“ იყვნენ ენის ცხოვრების გამოვლენანი. რამდენად მატერიალური არის ეს![1] — აცხადებს იგი და დასძენს: ენის ცხოვრება ეწოდება ცვალებად აღმავლობას და დამავლობას გამოხატვის საშუალებებსა და შემოქმედებაში[2]. ასეთ გაგებასთან არის დაკავშირებული ავტორის თეორია ენათა მწვერვალებისა (**Höhepunkte**) და კრიზისების შესახებ, რასაც იგი ენათა კავშირს უქვემდებარებს. ბეკერის მიხედვით, ენათა განვითარება ტალღისებურია, მწვერვალს დაცემა, კრიზისი მოჰყვება[3]. პირველი კრიზისი თავს იჩენს მაშინ, როდესაც ენა შედის ენათა კავშირში, რადგან კავშირში პირველად შესვლა იწვევს შეკრთომას, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას. ამ კრიზისს მოჰყვება ენის მშვიდობიანი ზრდა, რაც მწვერვალით ბოლოვდება. მწვერვალს შემდგომი კრიზისი მოსდევს და ასე განუწყვეტლივ.

აშკარაა, საკითხი არამართებულად არის გადაწყვეტილი როგორც ნეგაციურ ნაწილში, ისე პოზიტიურში. ავტორი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს მწვერვალებისა და კრიზისების შესახებ ენაში და ირკვევა, რომ მწვერვალში იგი ვარაუდობს მეცნიერებისა და პოეზიის ენის აყვავებას[4], ხოლო კრიზისში ენის ავადმყოფობას, რაც შემოქმედების შეწყვეტაში გამოიხატება[5]. ამგვარად, ორივე შემ-

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 115.

[2] Sprachleben heißt die wechselnde Abstimmung, das Auf und Ab in Ausdrucksmöglichkeiten und Schöpferischkeit. გვ. 116.

[3] იქვე, გვ. 78.

[4] იქვე, გვ. 147.

[5] იქვე, გვ. 155.

თხვევაში საქმე ეხება არა სალაპარაკო, საურთიერთო ენებს, არამედ წიგნურ (მეცნიერების, პოეზიის) ენებს.

აქ ორი საკითხია: ჯერ ერთი, ენის განვითარების კანონზომიერების დადგენისას უნდა ვემყარებოდეთ არა წიგნურ ენას, რომელიც, ავტორისავე სიტყვით, გარკვეულ ფენებს ემსახურება (ლაპარაკია კაპიტალისტურ საზოგადოებაზე), არამედ საერთო-სახალხო ენას, საყოველთაო ურთიერთობის ენას.

მეორე და არსებითი ისაა, რომ არც სალაპარაკო და არც წიგნის ენაში ერთმანეთის მონაცვლე აღმავლობა და დაცემა არ წარმოადგენს განვითარების აუცილებელ კანონს. ენის განვითარების მიზეზს ბეკერი საზოგადოების ისტორიაში ეძებს, მაგრამ საზოგადოების განვითარებაში მუდმივი, ერთმანეთის მომდევნო პროგრესი და რეგრესი არაა გარდაუვალი. რა თქმა უნდა, გარკვეულ ეპოქაში შესაძლებელია ენა შედარებით სწრაფად და ენერგიულად ვითარდებოდეს, სხვა დროს უფრო ნელა და შეუმჩნეველად, არც ის არის გამორიცხული, რომ საზოგადოებაში მომხდარმა კატასტროფამ ენაზედაც მოახდინოს გავლენა, დროებით შეაჩეროს მისი განვითარება ან გააღარიბოს კიდევაც მდიდარი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის მქონე ენა, მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებლობაა და არა აუცილებლობა. ჩვეულებრივ, ენები წინ მიდიან. ხოლო ბეკერი აღმავლობისა და დაცემის ხანგრძლიობასაც კი განსაზღვრავს: მწვერვალი 60 წელზე მეტ ხანს არ გრძელდება, კრიზისი კი შეიძლება საუკუნეებით გაგრძელდესო[1]. ამგვარად, ძირითადი სწორედ კრიზისები გამოდის, რაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება.

მწვერვალები და კრიზისები მხოლოდ ენათა კავშირის საფუძველზე შეიძლება აიხსნასო, აღნიშნავს ბეკერი. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორია და რას ემყარება ენის განვითარება მის შესვლამდე ენათა კავშირში? (ბეკერის მიხედვით ხომ ევროპული ენათა კავშირი 1817—18 წლებში ჩამოყალიბდა საბოლოოდ!) და შემდეგ: თუ კავშირში შესვლა პირველ კრიზისს იწვევს ენაში, მაშინ იგი უარყოფითი მოვლენა ყოფილა ენისათვის და არა დადებითი, როგორც ამას ბეკერი წარმოგვიდგენს!

ენათა კავშირში ენის შესვლის, მისი ამაღლებისა და დაცემის შესწავლა, ბეკერის აზრით, მოგვცემს ბიოლოგიას, მოძღვრებას ენის ცხოვრების შესახებ[2]. ბიოლოგიის ხსენება ამ კონტექსტში შემთხვე-

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 154.

[2] იქვე, გვ. 118.

ვითი არ ჩანს. ავტორი ენას ადამიანს ადარებს, იგი ლაპარაკობს ენის ზრდის (Wachstum) შესახებ. რომ აქ უბრალო მეტაფორულ გამოთქმებთან არა გვაქვს საქმე, ეს თავს იჩენს იმაში, რომ ბეკერის მიხედვით, ენას აქვს ახალგაზრდობისა და სიბერის პერიოდები, რასაც სიკვდილი მოჰყვება[1].

ბიოლოგიზმი კარგა ხნის წინ დაძლეული საფეხურია ენათმეცნიერების განვითარებაში და მისკენ დაბრუნება, რა ფორმითაც უნდა იყოს ეს გამოვლენილი, უეჭველად წარმოადგენს ნაბიჯს უკან.

ენის განვითარების კანონზომიერება არსებითად განსხვავდება ორგანიზმის განვითარების კანონზომიერებისაგან. ენის განვითარების ნამდვილ სურათთან არაფერი საერთო არა აქვს ბეკერის მსჯელობას ენის სიბერისა და სიკვდილის შესახებ, აგრეთვე ენის განვითარებაში სისტემატური, გარდაუვალი კრიზისების შესახებ. ეს მსჯელობა შედეგია იმისა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ ენა ორგანიზმთან არის გათანაბრებული.

მარქსისტული ენათმეცნიერება სავსებით სამართლიანად ენას მიიჩნევს საზოგადოებრივ მოვლენად და, მაშასადამე, თვით ენათმეცნიერებაც, როგორც მეცნიერება ენის შესახებ, ენის ბიოლოგიას კი არ წარმოადგენს, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა წრეში ექცევა.

ენის სიბერის საკითხი, როგორც ვნახეთ, ბეკერთან მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპული ენათა კავშირის მომავლის საკითხთან. საიდან ჩანს, რომ ევროპის ენები დაბერდნენ, რომ მათ გაახალგაზრდავება ესაჭიროებათ? ამის ჩვენებას ავტორი, ბუნებრივია, ვერ ახერხებს. ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია მისი განცხადება: მომწიფებასთან ერთად არც მეცნიერული და არც პოეტური ენა უფრო ძლიერი არ ხდება, ცნებების არაჯანსაღი სიჭარბე, მეტად შორს მიმავალი დახვეწილობა ემუქრებიან მთლიანსო[2]. როგორ უნდა შევუგუოთ ეს დებულებას, რომ ენა საზოგადოების ისტორიასთან არის დაკავშირებული? გამოდის, რომ კულტურა წინ მიდის, ენა კი ჩამორჩენას იწყებს. გაუგებარია, რით აიხსნება ასეთი უცნაური დისპროპორცია და რით შეიძლება დამთავრდეს იგი? საქმე ის არის, რომ სინამდვილეში არავითარი პერიოდული და გარდაუვალი კრიზისები ენათა განვითარებაში არ არსებობს.

რაც შეეხება უშუალოდ ენათა კლასიფიკაციას, აქ პირველ რიგ-

---

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ 75 81, 82.

[2] იქვე, გვ. 160.

ში ყურადღებას იქცევს ის, რომ ენათა კავშირის რიგი არსებითი საკითხი ბეკერთან სხვაგვარად ისმის, ვიდრე ტრუბეცკოისთან.

ტრუბეცკოი, როგორც ვნახეთ, გენეალოგიური კლასიფიკაციის დაჯგუფებებს — ენათა ოჯახებს — აცხადებდა ენათა კავშირებად, ე. ი. ენათა დაახლოების გზით წარმოშობილად მიიჩნევდა მათ და ამ დაახლოების პირობად გეოგრაფიულ კონტაქტს სახავდა.

ბეკერთან ენათა კავშირები არ ემთხვევა ენათა ოჯახებს, მოცემულია ახალი, ოჯახებისაგან დამოუკიდებელი დაჯგუფებანი. ამ დაჯგუფებათა წარმომშობად მიჩნეულია საერთო კულტურულ-ისტორიული გარემო.

ენათა დაახლოება ბეკერთან სესხების გზით ხორციელდება. სესხება უპირისპირდება შეჯვარედინებას. შეჯვარედინება ენათა კავშირს არ გვაძლევს[1].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტრუბეცკოისთან ენათა დაახლოება ამ ენებს შორის ბგერათშესატყვისობებს წარმოშობდა, ბეკერთან ეს გამორიცხულია, ერთ კავშირში შემავალი ენები სწორედ ბგერითი თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სხვა ნიშნები მათ საერთო აქვთ.

სანამ ამ ნიშნებზე გადავიდოდეთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ბეკერის კლასიფიკაციის ერთ თავისებურებას: ენათა კავშირი აერთიანებს არა სახალხო სალაპარაკო ენებს, არამედ წიგნის ენებს, უფრო ზუსტად, პოეზიისა და მეცნიერების ენებს. ეს მეტად თავისებურ იერს აძლევს ბეკერის ნაშრომს და მკვეთრად იჩენს თავს ენათა კავშირის დახასიათებისას[2].

ყველაზე არსებითი ენათა კავშირისათვის არის ამ ნიშნების საკითხი, რომლებსაც ეს კლასიფიკაცია ემყარება. მართლაც, ენები რომ ერთმანეთზე მოქმედებენ, ეს ფაქტია. არც ის არის სადავო, რომ ევროპის ენებს აქვთ ერთმანეთისაგან ნასესხები სიტყვები და გამოთქმები. მაგრამ გასარკვევია, რა ადგილი უჭირავს ამ ნასესხებ მასალას ენაში.

ბეკერი გვეუბნება, რომ ენათა კავშირი განსაზღვრავს ამ კავ-

---

[1] ენათა კავშირი არ მოიცავს ენათა შეჯვარედინებას, რასაც სუბსტრატი ენის საკითხი უკავშირდება და ენათა დაშლის მიზეზიც კი შეიძლება იყოსო, აღნიშნავს ერთგან ბეკერი და მიუთითებს გალიურ სუბსტრატზე რომანულ ენებში (გვ. 40).

[2] ვფიქრობთ, ამასთან არის დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ ბეკერთან წინ არის წამოწეული ენის გამომხატველობითი ფუნქცია და ამის ხარჯზე მიჩქმალულია ენის, როგორც გაგებინების საშუალების, ძირითადი ფუნქცია.

შირში შემავალი თითოეული ენის განვითარებას. ეს დებულება მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ენათა კავშირი არ მოიცავს საერთო-სახალხო ენებს.

ამის გარეშეც: თუ ენათა კავშირი განსაზღვრავს ენათა განვითარებას, მაშინ იგი უნდა ემყარებოდეს ენის არსებით მხარეს, იმას, რაც ენის სპეციფიკას ქმნის. ასეთია ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. არც ერთი და არც მეორე არა აქვთ საერთო ენათა კავშირში შემავალ ენებს. უფრო მეტიც ითქმის: ენათა კავშირის დახასიათებისას ბეკერთან ენობრივი ნიშნები ან სრულიად არ გვხვდება (ლექსიკის გამოკლებით), ანდა მეტად ზოგადი ფრაზებით და არადამაჯერებლად არის წარმოდგენილი.

მოვიყვანოთ ნიმუში: საერთო ევროპული ენის ბგერადობის ერთიანობას ბეკერი ენის მელოდიკისა და ბგერითი სტილის ერთიანობაში ხედავს. ეს თურმე იმაში გამოიხატება, რომ ყოველი ევროპული ენის ჟღერადობა სპონტანურად კი არ შექმნილა, არამედ იმის ძიებაში, რომ ევროპულ კონცერტში თანატონურად ჟღერდეს. ევროპელ პოეტებს კარგად ესმოდათ, როგორი ბგერითი სტილი შეეფერებოდა მათ ენასო,—დასძენს ბეკერი[1]. რაკი ბგერადობის შესახებ არის ლაპარაკი, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ მოცემული გვექნებოდა ევროპული კავშირის დამახასიათებელი რაიმე ხელშესახები ფონეტიკური ნიშანი, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ადგილიდან კონკრეტული არაფერი გვრჩება ხელში. ასეა ყველა იმ მცირერიცხოვან შემთხვევაში, როდესაც ბეკერი ენობრივ ნიშნებზე ჩერდება.

დამახასიათებელია ავტორის განცხადება: „არაფერი არ არის ევროპაში მკაცრად და კარგად მოწესრიგებული. ამგვარად, არასოდეს არ უნდა ჩავთვალოთ ორგანიზმად ეს ენათა კავშირი, რომელიც ხან აშკარა მიზეზებით, ხან კულტურის განვითარებით, ხან კი შემთხვევითობით არის განსაზღვრული, და არ უნდა მოველოდეთ მასში მკაცრი წყობის არსებობას“[2]. ეს იმის აღიარებას უდრის, რომ ევროპულ ენათა კავშირს არა აქვს გარკვეული დამახასიათებელი ნიშნები. მაინც ავტორი გვეუბნება: ამ კავშირის ენებში დაახლოებით ერთი და იგივე დაახლოებით ერთნაირად ითქმისო. რაში გამოიხატება ეს ერთნაირობა, ბეკერმა ვერ გვიჩვენა. გერმანული, რუსული და ინგლისური ენების შესახებ ავტორი წერს: როდესაც ვამბობთ, რომ სამივე ევროპული კავშირის ენაა, ამით ჩვენ მათ შე-

[1] ბ ე კ ე რ ი, დასახ. შრ., გვ. 93.

[2] იქვე, გვ. 61.

სახებ ყველაფერი ვიცითო. ეს ყველაფერი თურმე ის არის, რომ ტექსტების გადათარგმნა ამ ენებზე მნიშვნელოვანი დანაკლისის გარეშე შეიძლება, რომ მათზე წერა წარმოებს ანბანური დამწერლობით, რომ მათში არსებობს სტენოგრაფია, მორზეს ანბანი და ა. შ., რომ მათში რითმიანი და ურითმო ლექსების შეთხზვა შეიძლება, რომ მათ ერთმანეთის გვერდით აქვთ რეალისტური და რომანტიკული სტილი, აქვთ გარკვეული ანდაზები, სპეციალური სიტყვები (Fachwörter), რომლებიც მეტწილად ლათინურ-ბერძნულია და ა. შ[1].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დახასიათებაში არაფერია ისეთი, რაც ენის განვითარებას განსაზღვრავდეს. ევროპულ ენებს ავტორი ახასიათებს არა ენათმეცნიერული, არამედ ძირითადად ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით. ერთის მხრივ, ეს თითქოს გასაგებიცაა, მისი მსჯელობის საგანს ხომ წიგნის ენა წარმოადგენს. პოეზიის წარმოშობისა და განვითარების, ლიტერატურული სტილის საკითხები ექცევა მისი ყურადღების ცენტრში (თვით ენის შესვლა ევროპის კავშირში იმით განისაზღვრება, თუ როდის ვითარდება ამ ენაზე პოეზია).

მაგრამ ამის შედეგად ვიღებთ ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დაუშვებელ აღრევას. პრობლემატიკა, რომელსაც ბეკერი სვამს, ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება, ამ პრობლემების გაშლისა და დამუშავებისას კი ავტორი ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისზე დგება, რაც პრინციპულად მიუღებელია.

როგორც ვხედავთ, ენათა კავშირი ბეკერთან არ ემყარება რაიმე კონკრეტულ ენობრივ ნიშნებს. განმსაზღვრელად მიჩნეულია კულტურულ-გეოგრაფიული წრე. მაგრამ ქმნის თუ არა ეს წრე ენათა დაჯგუფების რეალურ საფუძველს, ეს საკითხი ბეკერთან არსებითად გადაუწყვეტელი რჩება. ლექსიკისა და გამოთქმების გარკვეული რაოდენობით სესხება ერთი ენიდან მეორეში არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ენათა ევროპული კავშირის შესახებ ვილაპარაკოთ. მით უმეტეს, რომ, ერთის მხრივ, ლექსიკის სფეროშიაც არა გვაქვს ერთიანობა ევროპის კავშირის ყველა ენას შორის[2] და, მეორე მხრივ,

[1] ბეკერი, დასახ. შრ., გვ. 12.

[2] ვგულისხმობთ ნასესხებ ლექსიკას და არა შესატყვისობებს, რაც ამ ენების საერთო წარმოშობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ თვით ბეკერი სპეციალურად არ ჩერდება საკითხზე იმის შესახებ, თუ რა როლი მიუძღვის ევროპის კავშირის ენათა ერთიანობაში იმ ფაქტს, რომ ამ ენათა აბსოლუტური უმრავლესობა ერთმანეთის მონათესავეა.

ევროპის ენებში გავრცელებული ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი (სამეცნიერო, ტექნიკური, პოლიტიკური, რელიგიური, სპორტის და სხვა ტერმინოლოგია) საერთაშორისო სიტყვებად არის ქცეული და ევროპული კავშირის გარეთ მყოფ ენებშიაც გვხვდება.

§71. ენათა კავშირის პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით რამდენიმე ზოგადი ხასიათის საკითხი ისმის.

უპირველეს ყოვლისა, აშკარაა, რომ მოძღვრება ენათა კავშირის შესახებ მოკლებულია გარკვეულობას, სხვადასხვა ავტორს იგი სხვადასხვაგვარად ესმის და ცალკეულ ავტორებთანაც ძირითადი საკითხები, რომლებიც შინაგანი აუცილებლობით უკავშირდება ენათა კავშირის პრობლემას, გადაუწყვეტელია. მაგრამ არის ერთი რამ, რაც აერთიანებს ენათა კავშირის სხვადასხვაგვარ გაგებას. სახელდობრ, ყველგან ენათა კავშირი ენათა ინტეგრაციის პროცესს ემყარება. ტრუბეცკოისთანაც და ბეკერთანაც, მიუხედავად ამ ავტორების შეხედულებათა მნიშვნელოვანი განსხვავებისა, როგორც დავრწმუნდით, ენათა კავშირში იგულისხმება ენათა დაახლოების შედეგად მიღებული ჯგუფები. ამიტომ ენათა კავშირი პრინციპულად იმავე რიგის დაჯგუფებაა, როგორიც ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ ენათა სისტემები იყო. სისტემა სწორედ სხვადასხვა ენის დაახლოების შედეგად მიაჩნდა ნ. მარს. ამასთან მარისეული სისტემები ყველაზე ახლოს დგას ტრუბეცკოის ენათა კავშირების მეორე ვარიანტთან, რამდენადაც ორივესთან ეს დაჯგუფება (სისტემა ან კავშირი) მონათესავე ენათა ოჯახის რეინტერპრეტაციით არის მიღებული[1].

ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას ჩვენთვის საინტერესო ავტორების შეხედულებებში ის ქმნის, თუ როგორ ესმით მათ ინტეგრაციის პროცესი. ნ. მართან სისტემები შეჯვარედინების შედეგად წარმოიშვება. ტრუბეცკოი მიუთითებს გეოგრაფიულ კონტაქტზე, როგორც ენათა კავშირის შექმნის პირობაზე, ხოლო როგორია თვითონ დაახლოების პროცესი, ამას იგი არ არკვევს. რაც შეეხება ბეკერს, მასთან ენათა დაახლოება სესხების გზით ხორციელდება.

ენათა ინტეგრაციის პროცესის უარყოფა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამასთან ეს პროცესი სხვადასხვა სახით შეიძლება გამოვლინდეს (სესხება, შეჯვარედინება, შერწყმა...). შეჯვარედი-

[1] ნ. მარისა და ტრუბეცკოის შეხედულებებს შორის ანალოგია უფრო შორს მიდის, მაგრამ ამაზე აქ არ ვჩერდებით.

ნება და სესხება განსაკუთრებით ინტენსიურია კაპიტალისტურ სა-ზოგადოებაში. ამიტომ გასაგებია, რომ ინტეგრაცია იქცევს თანამე-დროვე ენათმეცნიერთა ყურადღებას. მაგრამ საკითხავია, სწორად არის თუ არა მოცემული ამ პროცესის ანალიზი ენათმეცნიერებაში და წარმოშობს თუ არა ინტეგრაცია ენათა ჯგუფებს, ე. ი. იძლევა თუ არა იგი საფუძველს ენათა კლასიფიკაციისათვის?

პირველ საკითხს, ე. ი. საკითხს ენათა ინტეგრაციის (კონვერგენ-ციის) პროცესის რაობისა და მიმდინარეობის შესახებ, ენათა კლასი-ფიკაციის ავტორები ან სრულიად არ სვამენ, ან მეტად ზერელედ და არადამაკმაყოფილებლად განიხილავენ. ისინი არ არკვევენ, როგორ მიმდინარეობს ინტეგრაციის პროცესი სხვადასხვაგვარ პირობებში, რა გზებით ხორციელდება იგი და რა შედეგებს გვაძლევს სხვადასხვა შემთხვევაში.

ენათა დაახლოების შესახებ მსჯელობა დასახელებულ ავტორებ-თან მეტისმეტად განყენებული ხასიათის მქონეა. იგი არ ემყარება კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზს, ამიტომ, ცხადია, არაა დამაჯერებელი.

რაკი არ არის მეცნიერულად შესწავლილი ენათა ინტეგრაციის არსი, ცხადია, ამ პროცესზე დამყარებული კლასიფიკაციაც არა-დამაკმაყოფილებელი იქნება. მართლაც, არც ერთ შემთხვევაში და-მაჯერებლად არ არის ნაჩვენები, კონკრეტულად რა ნიშნებს ემყარე-ბა ენათა კავშირი (მაგ., იაკობსონის „ევრაზიის ენათა კავშირი"). ამიტომ არის, რომ ენათა მანამდე ცნობილ დაჯგუფებებს— ოჯახებს — აცხადებენ ენათა კავშირებად (ტრუბეცკოი, ასევეა ნ. მარის სისტემები) ან არა და ამ ცნებას იყენებენ ისეთი ენების მიმართ, რომელთა ნათესაობა ჯერ კიდევ დადგენილი არ არის ან საეჭვოა, ე. ი. ამგვარად ჯგუფდება უცნობი ოდენობები, ისტორიულ-გენეტუ-რი თვალსაზრისით შეუსწავლელი ენები. გამონაკლისს ქმნის, ერთი შეხედვით, ბეკერის კლასიფიკაცია, სადაც ახალი დაჯგუფებებია მო-ცემული, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს დაჯგუფებები კულტურულ-გეოგრაფიული სფეროების მიხედვით არის წარმოებული, ხოლო მათი ენობრივი ნიშნები აქაც არაა ნაჩვენები.

ამგვარად, აქამდის ცნობილი ენათა კავშირები არ წარმოადგენს რეალური საფუძვლის მქონე ენობრივ დაჯგუფებებს. ღიად რჩება ყველაზე არსებითი საკითხი: ქმნის კი ენათა დაახლოება გარკვეული დამახასიათებელი ნიშნების მქონე ენათა ჯგუფებს?!

ამ საკითხზე სწორი პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხო-ლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ენათა განვითარების

კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს. როდესაც მეზობელ ენებს შორის საერთო მოვლენებზეა ლაპარაკი, აუცილებელია, პირველ ყოვლისა, გავარკვიოთ, რა გზით არიან ისინი მიღებული. საერთო მოვლენები ენათა მორფოლოგიურ და სინტაქსურ, აგრეთვე ფონოლოგიურ სტრუქტურაში შეიძლება ამ ენათა წარმოშობითი ნათესაობით აიხსნებოდეს, შესაძლებელია, ზოგი საერთო მოვლენა ენათა ურთიერთზეგავლენის შედეგი იყოს და, ბოლოს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთმანეთის დამოუკიდებლადაც ვითარდება სხვადასხვა ენებში საერთო მოვლენები (ე. წ. პარალელური განვითარება). ამ სხვადასხვა წარმოშობის საერთო მოვლენათა გამიჯვნა აუცილებელია ისტორიული ენათმეცნიერებისათვის. თუ ენათა კავშირის იდეას თანმიმდევრულად განვავითარებთ, მაშინ კავშირი არ უნდა უწევდეს ანგარიშს არც წარმოშობითი ნათესაობისა და არც პარალელური განვითარების[1] შედეგად მიღებულ საერთო მოვლენებს. გვრჩება ენათა ურთიერთზეგავლენა.

ურთიერთზეგავლენას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაემყაროს ენათა კლასიფიკაცია, თუ გავლენის დროს არსებითი, თვისებრივი ცვლილებები მოხდება ენებში, რის შედეგადაც სხვადასხვა წარმოშობის ენები იმდენად გარდაიქმნებიან, რომ ერთმანეთს დაემსგავსებიან თუ მთლიანად არა, სტრუქტურის მხრივ მაინც.

ხდება თუ არა ასეთი არსებითი გარდატეხა ენებში მათი ერთმანეთზე გავლენის შედეგად? ენათა ურთიერთზეგავლენა განსაკუთრებით ინტენსიურად ენათა შერევის (შეჯვარედინების) დროს ვლინდება. ენათა შერევის რეალური ვითარების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ შერევის დროს არ ხდება ისეთი დაახლოება, რომელიც გამოიწვევს არსებით მსგავსებებს სხვადასხვა წარმოშობის ენებში. გასახაზავია ისიც, რომ, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს ორი ენის შეჯვარედინებას. მით უფრო წარმოუდგენელია, რომ მრავალი ენა დაუახლოვდეს ერთმანეთს და ამან მოგვცეს ამ ენათა გაერთიანება, ასოციაცია. ამიტომ ბუნებრივია დავასკვნათ, რომ ენათა განვითარებაში ამჟამად არ მიმდინარეობს ისეთი პროცესები, რომლებიც არამონათესავე მეზობელი ენებისაგან მათი დაახლოების გზით წარმოშობდეს არსებითი ნიშნების მქონე ენათა ჯგუფებს ანუ ენათა კავშირებს.

---

[1] პარალელური განვითარებისათვის სრულიადაც არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას ენათა მეზობლობა.

ენათა კავშირს ამ კლასიფიკაციის ავტორები ინტეგრაციის (კონვერგენციის) პროცესზე ამყარებენ. ენათა დიფერენციაციას უკავშირდება მონათესავე ენათა ოჯახები. რაკი ენათა განვითარებაში დიფერენციაციაც შეინიშნება და ინტეგრაციაც, ამიტომ ამ ორმა დაჯგუფებამ თითქოს ერთმანეთი არ უნდა გამორიცხოს. სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, ასე არ არის: ენათა კავშირი ან უარყოფს ენათა ოჯახს, ან მეტად ზღუდავს და აუფასურებს მის მნიშვნელობას. თვით ბეკერიც კი, რომელმაც მოგვცა ოჯახებისაგან დამოუკიდებელი ენათა კავშირები, სისტემატურად ილაშქრებს ენათა ნათესაობისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭების წინააღმდეგ.

ამის მიზეზი დიფერენციაციის პროცესის შეუფასებლობაა, რასაც ხელს უწყობს ის, რომ ენათა განვითარების პროცესებს არ განიხილავენ იმ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ პროცესებს იწვევენ. ენათა ინტეგრაცია ამჟამად მეტად თვალსაჩინო და აქტიურად მოქმედი პროცესია, დიფერენციაცია კი ან სრულიად არ გვხვდება, ან ძლიერ იშვიათად. ამ ორი პროცესის სხვადასხვაგვარი ხვედრითი წონა ბუნებრივად გამომდინარეობს ამ ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებათა პირობების თავისებურებათაგან. თუ ამჟამად ინტეგრაციაა გაბატონებული, წინაკლასობრივ გვაროვნულ საზოგადოებაში დიფერენციაცია სჭარბობდა[1].

ენათა კავშირის ავტორებს თანამედროვე ვითარება წარსულზე გადააქვთ, ინტეგრაციას მიიჩნევენ ერთადერთ მოქმედ პროცესად ენათა განვითარებაში, ან არადა მეტისმეტად ზღუდავენ დიფერენციაციის პროცესის მოქმედების სფეროს და ამ პროცესის მნიშვნელობას ენის განვითარებისათვის. ორივე შემთხვევაში პრინციპულ შეცდომასთან გვაქვს საქმე.

ამასთან დაკავშირებით ბეკერი სვამს ერთ საკითხს, რომელსაც უეჭველად პასუხი უნდა გაეცეს. ადარებს რა ენათა კავშირს ენათა ოჯახებს, ბეკერი აღნიშნავს: ენათა კავშირი იმიტომაც არის ნათესაობაზე უფრო მნიშვნელოვანი, რომ, მაგალითად, ინდოევროპული ერთიანობა ათასი წლების წინ დაიშალა, ხოლო დაახლოება ამჟამად მიმდინარეობსო[2]. მართლაც, ერთი შეხედვით, თუ კი დიფერენციაციის პროცესი წარსულში მოქმედებდა უფრო ინტენსიურად, ინ-

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. აქვე, ნაწ. I, თავი II.

[2] ბეკერი, დასახ. შრ., გვ. 27.

ტეგრაცია კი ამჟამად არის გაბატონებული, ყოველ შემთხვევაში, ყურადღების ცენტრში ენათა ინტეგრაციის პროცესის შესწავლა უნდა იყოს თითქოს.

რა თქმა უნდა, ინტეგრაციის პროცესის კვლევა კონკრეტულ ენათა მასალაზე და აქედან სათანადო ზოგადი დასკვნების გაკეთება აუცილებელია, მაგრამ დიფერენციაციის შედეგების შესწავლა მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ენათმეცნიერებისათვის. ეს იმიტომ, რომ ენათა დიფერენციაციის შედეგად მიღებულ მონათესავე ენათა შედარებითი შესწავლა ამ ენათა ისტორიის გათვალისწინების შესაძლებლობას გვაძლევს. სხვა მეთოდი ენათა ისტორიული კვლევისათვის დღევანდელ ენათმეცნიერებას არ მოეპოვება. სწორედ ის არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ თანამედროვე მონათესავე ენები შორეულ წარსულში გამოეყვნენ ერთმანეთს, რადგან შედარებითი მეთოდით ვწვდებით ამ ენათა ხანგრძლივი ცვალებადობის პროცესს. ამასთან, შედარება გამოაკლენს მონათესავე ენების ყველაზე არსებითი მხარის — მათი ძირითადი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის — ისტორიას, რასაც ენის განვითარების შინაგანი კანონები წარმართავს.

ენათა ინტეგრაციასთან არ არის დაკავშირებული კვლევის სპეციალური მეთოდი. ამასთან, ინტეგრაცია ენათა შეჯვარედინების უკანასკნელ ფაზამდე არ გამსჭვალავს ენის სისტემას მთლიანად, უფრო ხშირად, იგი ენის ცალკეულ ფაქტებს მოიცავს მხოლოდ.

ზემომოყვანილი მსჯელობიდან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

1. ენათა კავშირები ვერ დაუპირისპირდებოდნენ ენათა ოჯახებს იმ შემთხვევაში, რომ შესაძლებელიც ყოფილიყო დაახლოების პროცესის საფუძველზე ენათა დაჯგუფება. მაშინ ჩვენ გვექნებოდა ენათა ორი დამოუკიდებელი კლასიფიკაცია. ასეთ შემთხვევაში კავშირების მიხედვით კლასიფიკაცია ისევე ისტორიული უნდა ყოფილიყო, როგორც ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციაა.

2. სინამდვილეში ენათა კავშირების გამოყოფისათვის ამჟამად არავითარი საფუძველი არა გვაქვს. საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში ენათა კავშირების შესახებ მსჯელობა სტატიკური ენათმეცნიერების ინტერესებს ემსახურება და, უგულებელყოფს რა ენათა განვითარების რეალურ პროცესებს, უსაფუძვლოდ აერთიანებს სხვადასხვა წარმოშობის მოვლენებს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ

ენათა კავშირის თეორია მიუღებელია ისტორიული ენათმეცნიერებისათვის.

უნდა გავხაზოთ: სხვადასხვა ენებს შორის საერთო მოვლენები არ იძლევა საფუძველს ენათა კლასიფიკაციისათვის, ე. ი. ენათა კავშირების გამოყოფისათვის. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უარი უნდა ვთქვათ თვითონ ამ საერთო მოვლენათა შესწავლაზე. უდავოა, რომ გენეტურ ურთიერთობათა შესწავლა არ ამოწურავს ენათა ისტორიას. თანამედროვე ჰონათესავე ენები მრავალი საუკუნეა რაც არსებობენ, როგორც დამოუკიდებელი ენები. ამ ხნის განმავლობაში ამ ენებში კანონზომიერად იცვლებოდა არა მხოლოდ ფუძე-ენისაგან ნამემკვიდრევი, ე. ი. საერთო წარმოშობის, მასალა, არამედ თითოეულ მონათესავე ენაში ვითარდებოდა ახალი მოვლენები. ამ, მოგვიანებით განვითარებულ, მოვლენათა შორის მცირე ხვედრითი წონა როდი აქვს სხვადასხვა ენებთან კონტაქტის შედეგად წარმოშობილ მოვლენებს. მათ შესწავლაზე ხელის აღება არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა გამართლებული. მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის ფაქტების გვერდით საჭიროა აგრეთვე არასაერთო წარმოშობის მოვლენათა კვლევაც. მათი გათვალისწინება შეავსებს ისტორიულ-შედარებით შესწავლას, მოგვცემს ენათა განვითარების სრულ სურათს. რა თქმა უნდა, არასაერთო წარმოშობის მოვლენათა შესწავლაც ისევე ისტორიულ ნიადაგზე უნდა იდგეს, როგორც მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის მოვლენებისა.

———————

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული იყო ენათა შვიდი კლასიფიკაცია: 1. გენეალოგიური, 2. მორფოლოგიური. 3. ფსიქოლოგისტური, 4. კონცეფტური, 5. ენობრივი წრეები, 6. სტადიური კლასიფიკაცია და 7. ენათა კავშირები.

ეს კლასიფიკაციები სხვადასხვა დროს და მეტწილად სხვადასხვა პრინციპთა მიხედვით იქმნებოდა. მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინც შეინიშნება გარკვეული ურთიერთმიმართება. ამ მიმართებებზე ყურადღების გამახვილება შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ განვსაზღვროთ თითოეული კლასიფიკაციის მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის და ამით შევაჯამოთ წინა თავებში მიღებული შედეგები.

განხილულთაგან ძირითადია ორი კლასიფიკაცია: გენეალოგიური და მორფოლოგიური. ყველა დანარჩენი კლასიფიკაცია ამ ორის გარშემო იყრის თავს ან როგორც მათი გადამუშავების შედეგი, ან არა და როგორც მათი საპირისპირო.

ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენათმეცნიერებაში. ეს იმით არის გამოწვეული, რომ გენეალოგიური კლასიფიკაცია ისტორიულია. ისტორიულია იგი ორმხრივ: ერთის მხრივ, ეს კლასიფიკაცია ენათა შორის არსებულ ისტორიულ ურთიერთობებს, ენათა წარმოშობის საკითხებს არკვევს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი აუცილებელია მინათესავე ენათა ისტორიული შესწავლისათვის. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება ანიჭებს ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კონკრეტულ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა შეუძლებელია გენეალოგიური კლასიფიკაციის გარეშე. ამგვარად, ეს კლასიფიკაცია შინაგანად არის დაკავშირებული საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკასთან და ხელს უწყობს რა ამ უკანასკნელს, მის წინსვლასთან ერთად თვითონაც ვითარდება და იხვეწება.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის თავისებურება ის არის, რომ იგი არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ შექმნილს, დასრულებულ, დახშულ კლასიფიკაციას. იგი განუწყვეტელი განვითარების პროცესში იმყოფება. ახალ ენათა მეცნიერულად შესწავლის შედეგად გამოიყოფა მონათესავე ენათა ახალი ოჯახები, ზუსტდება ისტორიული ურთიერთობანი თითოეული ოჯახის შიგნით, დღის წესრიგში დგება სხვადასხვა ოჯახის ენათა ურთიერთმიმართების საკითხი. ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩება ძირითადი პრინციპი, რომელიც გენეალოგიურ კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად. ყოველთვის საქმე გვაქვს წარმოშობით ნათესაობასთან, ერთი და იმავე ამოსავალი მასალის დიფერენციაციის შედეგებთან.

საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკის გაფართოება, სხვადასხვა ტიპის ენათა შესწავლა იწვევს ენათა ნათესაობის თეორიის გაღრმავებასა და დაზუსტებას. ამასთანავე სხვადასხვა ენათა ნათესაობის კვლევისას ენათმეცნიერებას წინ ეღობება სპეციფიკური სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვაც მოითხოვს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გაუმჯობესებას. ისმის აგრეთვე საკითხი ახალი სპეციალური მეთოდების შესახებ.

უარყოფითი დამოკიდებულება ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისადმი, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეინიშნება, მოკლებულია რეალურ საფუძველს. თავისი არსებობის თითქმის ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში გენეალოგიურმა კლასიფიკაციამ სავსებით გაამართლა თავისი თავი. ისტორიული ენათმეცნიერება მის გარეშე ვერ იარსებებს. გენეალოგიური კლასიფიკაციის წინააღმდეგ გალაშქრება ისტორიული ენათმეცნიერების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს. სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ ანტიისტორიული მიმდინარეობები თანამედროვე ენათმეცნიერებაში უგულებელყოფენ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ღირებულებას.

ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციასთან მისი წარმოშობის დღიდანვე იყო დაკავშირებული ანტიმეცნიერული თვალსაზრისი ენათა სხვადასხვაგვარი ღირებულების, სხვადასხვაგვარი განვითარების უნარის შესახებ. ეს არსებითი ხასიათის შანკი დიდხანს გაჰყვა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას და ივი დღესაც იჩენს თავს ენათმეცნიერების ზოგ წარმომადგენელთან.

მორფოლოგიური კლასიფიკაციის მეორე ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერ ასახავს ენათა მთელ მრავალფეროვნებას. თუ გენეალოგიურ კლასიფიკაციაში დასაშვებია ენათა ოჯახების გამო-

ყოფა ისე, რომ ანგარიში არ გაეწიოს დარჩენილ ენებს, მორფოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით აჯგუფებს ენებს, ვალდებულია ენათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა გაითვალისწინოს.

განსხვავებით გენეალოგიური კლასიფიკაციისაგან ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია არ არის ისტორიული. იზოლირებულ, აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენათა მიჩნევა ერთმანეთის მომდევნო საფეხურებად, რასაც ადგილი ჰქონდა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ავტორებთან, ნამდვილი ისტორიული თვალსაზრისით გაუმართლებელია და ზოგჯერ მორფოლოგიური ტიპების ერთიმეორეზე მაღლა დაყენების ამოცანას ემსახურება.

მიუხედავად ამ არსებითი ნაკლოვანებებისა, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის მთლიანად უკუგდება არ იქნებოდა გამართლებული. ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ფასეულია ენათა ტიპოლოგიური შეპირისპირება. ასეთი შეპირისპირება ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით სავსებით მისაღებია და საჭიროც არის.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის შემდგომი დამუშავების ამოცანა ისაა, რომ იგი საბოლოოდ უნდა გაიწმინდოს იმ მცდარი ინტერპრეტაციისაგან, რომელიც მის მთავარ ნაკლს წარმოადგენს. გარდა ამისა, მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში უნდა შეიდეს ის ენები, რომლებიც მასში არ არის გათვალისწინებული. ბოლოს, საჭიროა ენათა მორფოლოგიური ტიპების განხილვა ისტორიული თვალსაზრისით, ოღონდ აქ მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე უნდა დავდგეთ და მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ენათა მრავალფეროვანი ტიპები უეჭველად ერთმანეთის მომდევნო საფეხურებს არ წარმოადგენენ. შესაძლებელია, სხვადასხვა ენამ ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა ფორმით გამოხატოს.

ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას უკავშირდება ფსიქოლოგისტური და კონცეფტური კლასიფიკაციები.

ენათა ფსიქოლოგისტური კლასიფიკაცია არც არის დამოუკიდებელი კლასიფიკაცია, იგი ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის თავისებური ინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენს. ეს ინტერპრეტაცია (ჰ. შტაინთალისა), როგორც ფსიქოლოგისტური, პრინციპულად მიუღებელია. ამ კლასიფიკაციაში (განსაკუთრებით მისტელისთან) ფასეულია ის, რომ მასში მეტი ენა არის გათვალისწინებული და მეტი მორფოლოგიური ტიპიცაა გათხილული, ვიდრე მორფოლოგიური კლასიფიკაციის ტრადიციულ სქემაში.

რაც შეეხება ედ. სეპირის ენათა კონცეფტურ კლასიფიკაციას, იგი ავტორის მიერ მოწოდებულია იმისათვის, რომ მან შეცვალოს ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. ეს ამოცანა მიუღწეველი რჩება. კონცეფტური კლასიფიკაცია ვერ გასწევს მორფოლოგიური კლასიფიკაციის მაგივრობას თუნდაც იმის გამო, რომ იგი სხვა პრინციპით არის ნაწარმოები, ვიდრე მორფოლოგიური კლასიფიკაცია. ამასთან, რაკი მორფოლოგიური კლასიფიკაციის საჭიროება დაძლასტურებულია, სხვა კლასიფიკაციით მისი შეცვლის საკითხი საერთოდ არ დგას.

ენათა კონცეფტური კლასიფიკაცია იმით იქცევს ყურადღებას, რომ მასში საკლასიფიკაციოდ გამოყენებულია ახალი თვალსაზრისი, —ენაში გამოხატულ ცნებათა ფუნქციები. ამ თვალსაზრისის გამოყენება ენობრივ მოვლენათა ანალიზის დროს საჭიროა, ოღონდ ამის მიხედვით მსოფლიოს ენათა კლასიფიკაცია ნაკლებ მიზანშეწონილი ჩანს. უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ სეპირის კლასიფიკაციას გამოვიყენებთ თითოეული ენის სიტყვათა დაჯგუფებისათვის.

დანარჩენი სამი კლასიფიკაცია (ენობრივი წრეები, სტადიური კლასიფიკაცია, ენათა კავშირები) ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან მიმართებით უნდა იქნეს განხილული.

ვ. შმიდტის კლასიფიკაცია ენობრივ წრეებად მიზნად ისახავს უფრო შორს შეივიდეს ენათა ისტორიის სიღრმეში, ვიდრე ენათა ოჯახები და კულტურის წრეების მიხედვით დააჯგუფოს ენები. ეს უკანასკნელი ამოცანა საერთოდ განუხორციელებელია, რადგანაც არ არსებობს სრული პარალელიზმი კულტურისა და ენათა გრამატიკული წყობის საფეხურებს შორის. ამით აიხსნება ის, რომ ენობრივი წრეები შმიდტთან არ არის გამოყოფილი რაიმე რეალური საფუძვლის მიხედვით, ხოლო ენობრივი წრეების დაკავშირება კულტურულ წრეებთან ხელოვნურია.

შმიდტის კლასიფიკაციის ერთი ძირითადი ნაკლი ისიც არის, რომ იგი სრულიად არ უწევს ანგარიშს ენათა ისტორიას. ამ მხრივ მისი კლასიფიკაცია ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის გაღრმავებას კი არ წარმოადგენს, როგორც ავტორი აცხადებს, არამედ მას უპირისპირდება, როგორც ანტიისტორიული ისტორიულს. ამის გამო შმიდტის კლასიფიკაცია მიუღებელია ისტორიული ენათმეცნიერებისათვის.

ენათა სტადიური კლასიფიკაცია პრინციპულად გაუმართლებელია, რადგანაც იგი ემყარება „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მცდარ დებულებებს (ენის ზედნაშენურობა, ენის კლა-

სობრიობა, ერთიანი გლოტოგონიური პროცესი, ოთხი ელემენტის თეორია, ენათა განვითარება აფეთქებების გზით). ამოსავალ მცდარ პრინციპთა გამო სტადიურ კლასიფიკაციაში ბოლომდის გაურკვეველი დარჩა ძირითადი ცნება — სტადია. სტადია, როგორც საფეხური ორ აფეთქებას შორის, არ შეიძლება არსებობდეს ენათა განვითარებაში.

თვით ენათა დაჯგუფების თვალსაზრისით სტადიური კლასიფიკაცია ნ. მართან წარმოადგენს გენეალოგიურ და მორფოლოგიურ კლასიფიკაციათა გაერთიანების უშედეგო ცდას. ასევე უნაყოფოა ი. მეშჩანინოვის მიერ ენათა სინტაქსური კლასიფიკაციის შეფარდება სტადიური კლასიფიკაციის პრინციპებთან.

ენათა სტადიური კლასიფიკაცია არსებით მხარეებში იჩენს სიახლოვეს ე ნ ა თ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ თ ა ნ. მსგავსება ორმხრივ ხელინდება. ჯერ ერთი, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისადმი დამოკიდებულებაში. როგორც სტადიური კლასიფიკაცია, ისე ენათა კავშირები უპირისპირდება გენეალოგიურ კლასიფიკაციას. ორივე ამცირებს გენეალოგიური კლასიფიკაციის მნიშვნელობას და მეცნიერულ ღირებულებას. განსხვავება მათ შორის ხარისხობრივია. ენათა სტადიურ კლასიფიკაციაში სავსებით და პრინციპულად უარყოფილია ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. ენათა კავშირების მიმდევრები კი, ჩვეულებრივ, ასე შორს არ მიდიან, ისინი მხოლოდ ზღუდავენ გენეალოგიური კლასიფიკაციის გამოყენების სფეროს. რომ ენათა კავშირის პრინციპებსაც საბოლოოდ გენეალოგიური კლასიფიკაციის სრულ უარყოფამდე მივყავართ, ეს ჩანს ტრუბეცკოის მაგალითზე, რომელთანაც ენათა კავშირი ჯერ ენათა ოჯახისაგან დამოუკიდებელ დაჯგუფებას წარმოადგენდა, შემდეგ კი ენათა კავშირმა გამოდევნა ენათა ოჯახი. ანალოგიური ტენდენცია იჩენს თავს ენათა კავშირის თეორიის სხვა მიმდევრებთანაც. ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციასთან ერთად ორივე დასახელებულ კლასიფიკაციაში უმართებულოდ არის უგულებელყოფილი ენათა დიფერენციაციის პროცესიც.

ენათა სტადიური კლასიფიკაციის პრინციპები ემსგავსება ენათა კავშირისას პოზიტიურ დებულებათა თვალსაზრისითაც. ორივე ენათა დაახლოების პროცესს ემყარება, მაშინ როდესაც სინამდვილეში ენათა დაახლოება არ იძლევა საფუძველს ენათა დაჯგუფებისათვის.

რაც მთავარია, ორივე კლასიფიკაცია ანტიისტორიულია. სწორედ აქ ვლინდება შინაგანი კავშირი ნეგაციურსა და პოზიტიურ დებულებებს შორის: ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას უარყოფენ იმის გამო, რომ იგი ისტორიულია; ამის საპირისპიროდ ყალიბდება ენათა სტადიები ან ენათა კავშირები, როგორც არაისტორიული დაჯგუფებანი.

ანტიისტორიზმი ორივე კლასიფიკაციის ძირითადი ნაკლია. ანტიისტორიზმის გამო ენათა კავშირების მიხედვით კლასიფიკაცია პრინციპულად მიუღებელია.

ენათა დაჯგუფების თვალსაზრისით ენათა კავშირების მიმდევრებს სერიოზული და ანგარიშგასაწევი არაფერი შეუქმნიათ.

ამგვარად, განხილული შვიდი კლასიფიკაციიდან მნიშვნელოვანია ორი: ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია და ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. ეს არის ყველაზე ადრინდელი კლასიფიკაციები ენათმეცნიერებაში. ამ კლასიფიკაციებთან (განსაკუთრებით გენეალოგიურთან) არის დაკავშირებული ენათმეცნიერების წარმოშობაც და მისი შემდგომი განვითარებაც. ყველა სხვა ცდა ენათა ახალი კლასიფიკაციის შექმნისა, როგორც ვნახეთ, მარცხით დაბოლოვდა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ სხვა თვალსაზრისის მიხედვით ენათა კლასიფიკაცია საერთოდ შეუძლებელია? რა თქმა უნდა, — არა. ახალი კლასიფიკაციები ენათმეცნიერებაში შესაძლებელიც არის და საჭიროც. ასე, მაგალითად, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია სრულიადაც არ ამოწურავს ენათა სტრუქტურულ თავისებურებებს. თუ კი შესაძლებელია ენათა დაჯგუფება მორფოლოგიური თვალსაზრისით, ასევე შესაძლებელი იქნება სინტაქსური პრინციპის მიხედვით ენათა კლასიფიკაციაც[1]. სავარაუდოა აგრეთვე ენათა დაჯგუფება მეტყველების ნაწილთა წარმოების პრინციპის მიხედვით და სხვ. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებას მოჰყვება ენათა ახალ კლასიფიკაციათა შექმნის ცდები.

---

[1] სინტაქსური კლასიფიკაცია გამოყენებული ჰქონდა ი. მეშჩანინოვს, მაგრამ იგი დაჰქმდებარებული იყო სტადიური განვითარების მცდარი პრინციპებისადმი და, ცხადია, დადებით შედეგს ვერ მოგვცემდა.

КЛАССИФИКАЦИИ ЯЗЫКОВ И ИХ ПРИНЦИПЫ

Резюме

Проблема классификации языков является одной из основных проблем общего языкознания. В науке о языке известно несколько классификаций языков. Эти, построенные на разных принципах, классификации связаны с определенными общелингвистическими концепциями. Поэтому необходимо каждую классификацию языков рассматривать в связи с соответствующей теорией, определяющей ту или иную интерпретацию данной классификации и ее место в языкознании. Именно в этом аспекте изучали мы проблему классификации языков.

В настоящем труде критически проанализированы 7 классификаций языков: 1) генеалогическая классификация, 2) морфологическая классификация, 3) психологическая классификация, 4) концептуальная классификация, 5) классификация по языковым кругам, 6) стадиальная классификация, 7) классификация по языковым союзам.

Ниже приведены основные положения настоящего труда.

ГЕНЕАЛОГИЧЕСКАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ЯЗЫКОВ

Гл. I. Принципы генеалогической классификации языков

Генеалогическая классификация языков основывается на материальном родстве языков. Группу (семью) родственных языков составляют языки, имеющие общее происхождение, т. е. возникшие путем дифференциации территориальных диалектов одного и того же языка, называемого языком-основой.

Термины, связанные с генеалогической классификацией (родство, семья языков и др.) заимствованы из естественных наук, но в языкознании они употребляются в совершенно ином смысле. Язык—явление общественное, а не биологическое; поэтому и родство языков не имеет ничего общего с биологическим родством, с делением на расы.

Хотя вопрос об изначальном родстве индоевропейских и семитских или индоевропейских и финно-угорских языков по-

ка окончательно не решен, но принципиально вполне допустимо, чтобы некоторые семьи языков оказались родственными. Это обстоятельство не дает нам основания предполагать, как то делали некоторые лингвисты (напр. М. Мюллер, А. Тромбетти, Ф. Финк), что все языки мира возникли из одного языка-основы и, следовательно, все они являются родственными.

Родство языков устанавливается посредством сравнительно-исторического метода. Вопрос о родстве языков не решается на основе наличия одинаковых специфических звуков, грамматических категорий или морфологических типов в разных языках, так как аналогичные схождения не исключаются и в неродственных языках.

На материальное родство языков указывают регулярные звуковые соответствия, являющиеся результатом закономерного изменения общего исходного материала и, поэтому, имеющие место только лишь в родственных языках.

Гл. II. Процесс дифференциации языков и его отношение к процессу интеграции (унификации) языков

Дифференциацией в языкознании называется процесс, в результате которого язык может распасться на несколько самостоятельных языков и, таким образом, из одного языка возникает несколько родственных языков. Образование диалектов является только первой ступенью дифференциации.

Процесс дифференциации языков протекает в зависимости от общественных условий: дифференциация языков является результатом расчленения говорящего на одном языке общества и прекращения контакта между выделившимися частями. Обособившиеся таким образом территориальные диалекты развиваются в разных условиях и в конце концов превращаются в самостоятельные родственные языки.

Процесс интеграции или унификации ведет к взаимовлиянию, сближению языков.

Термин интеграция языков объемлет три процесса: заимствование, скрещение (смешение) и слияние языков. Названные три вида интеграции протекают в разных общественных условиях. С лингвистической точки зрения они отличаются друг от друга по степени интенсивности взаимовлияния языков.

Обязательным лингвистическим условием для скрещения является двуязычие, во время которого языковые явления проникают из одного языка в другой. При этом во время скреще-

ния двух языков, как правило отнюдь не создается третий, а побеждает один из двух.

Борьба языков, происходящая при их скрещении, обычно является отражением борьбы за господство неравноправных народов и наций. Исход этой борьбы определяют не качества самих языков, а конкретно-исторические условия общественной жизни говорящих на них народов и наций. Поэтому совершенно неоправдано мнение некоторых лингвистов (А. Мейе, Ж. Вандриеса), считающих, что якобы «престиж» и «сравнительная сила» языка являются решающими факторами, от которых при скрещении зависит победа одного языка над другим.

В противовес утверждениям некоторых языковедов, романские языки не являются результатом скрещения. Скрещение латинского языка с рядом языков бывшей Римской империи закончилось победой латинского языка и исчезновением местных языков. Уже после завершения процесса скрещения латинского языка с местными языками в результате государственного распада Римской империи создались благоприятные условия для дифференциации. Романские языки возникли в результате этой дифференциации, последовавшей за скрещением. Без распада Римской империи из латинского языка не возникли бы романские языки, несмотря на то, что этому предшествовала ассимиляция местных языков с латинским языком.

Из вышесказанного следует, что дифференциация языка осуществляется не только в результате деления общества по причине количественного роста однородного населения, но также и в случае распространения языка среди нового населения, когда дифференциации, происходившей вследствие государственного распада, предшествует скрещение языка победителей с языком побежденных. Необходимо разграничить эти два случая дифференциации. В то время, как первый из них характерен для первобытно-общинного строя, второй более распространен в классовом обществе. Между тем в языкознании замечается неоправданная тенденция придавать преувеличенное значение второму случаю дифференциации языков и считать почти единственной причиной этого процесса распространение языка-основы среди иноязычного населения.

Удельный вес процессов дифференциации и интеграции в различные исторические эпохи бывает неодинаков.

Выделение родственных языков из языка-основы является сложным процессом. В каждом конкретном случае, в зависимости от общественно-исторических условий, дифференциа-

ция языка носит своеобразный характер. Поэтому взаимоотношения языков каждой группы становятся предметом специального изучения; невозможно установить единую схему дифференциации всех групп родственных языков.

Гл. III. Смешанные языки и языковое родство

Смешанные языки состоят из двух или нескольких слоев разного происхождения. При этом эти слои по своему объему и значению неравнозначны. Основным является слой победившего при скрещении языка, основной словарный фонд и грамматический строй которого определяют качество смешанного языка.

Так называемые «языковые гибриды», в смешении которых, по мнению некоторых лингвистов, разные языки принимают одинаковое участие, являются лишь своеобразными жаргонами, находящими применение в очень узкой сфере человеческой деятельности.

Значительно уступая слою языка победителей, удельный вес слоя, восходящего к побежденному языку или языку-субстрату, может колебаться в зависимости от условий, в которых происходило скрещение.

Спорным является мнение, в силу которого при скрещении морфология представляет совершенно непроницаемую сферу языка. Безусловно, заимствование аффиксов, в особенности формообразующих, происходит редко, но анализ смешанных языков убеждает нас в том, что не исключена возможность перехода морфологических элементов из одного языка в другой.

Влияние субстрата на язык победителей объясняется тем, что двуязычный народ не овладевает в совершенстве навязанным ему языком.

Из языка-субстрата в победивший язык могут проникнуть не только слова, звуки, аффиксы и синтаксические конструкции, но также и некоторые языковые навыки и тенденции. В таком случае двуязычное население употребляет в навязанном ему языке ударение, свойственное его родному языку, избегает звуковых комплексов, чуждых этому последнему и, что особенно важно, производит такие изменения (ассимиляцию, диссимиляцию, редукцию, субституцию...), которые характерны для языка-субстрата. Все эти особенности, усваиваемые новыми поколениями от старых, могут создать основу для ответвления территориальных диалектов в победившем языке.

Не соответствует действительности утверждение Руссло и А. Мейе, что языковые особенности переходят по наследству, что «каждому населению присущи некоторые наследственные тенденции, не меняющиеся в результате перехода людей с одного языка на другой и определяющие в их новом языке значительные перемены» (А. Мейе).

В сохранении тенденций субстрата играет роль не наследственность, а беспрерывность передачи языка от одного поколения другому. Влияние субстрата сказывается только там, где население, усвойвшее победивший язык, представляло компактную массу. Это указывает на общественный, а не биологический характер влияния субстрата.

Гл. IV. Критика генеалогической классификации языков в зарубежном языкознании

Критическое отношение к теории родства языков возникает в языкознании в связи с усилением интереса лингвистов к изучению взаимовлияния (в особенности смешения) языков.

Трудности, возникающие при сравнительно-историческом изучении смешанных языков, побудили Г. Шухардта и И. Бодуэна-де-Куртенэ попытаться перестроить теорию родства языков.

Применяя к родственным языкам принцип лингвистической географии, Шухардт считал, что между родственными языками, как и между диалектами одного и того же языка, не существует резких границ. Исходя из этого предположения, Шухардт ставил под сомнение возможность классификации родственных языков.

Аналогичное мнение высказывал и Бодуэн-де-Куртенэ.

Как Шухардт, так и Бодуэн-де Куртенэ считали все языки смешанными, при этом они предполагали, что смешанные языки не поддаются генеалогической классификации, поскольку одновременно находятся в родстве с несколькими языками, и, следовательно, могут быть отнесены к различным семьям языков.

Шухардт выделил три возможных случая родства языков: а) родство по происхождению или историческое родство, б) заимствование и в) элементарное родство или параллельное развитие языков. Вместе с тем, по мнению Шухардта, не всегда удается выяснить, с каким из названных случаев имеем дело.

Основным недостатком воззрений Шухардта и Бодуэна де-Куртенэ является нечеткое разграничение процессов дифференциации, смешения и параллельного развития языков.

Кроме того, у названных авторов преувеличена трудность классификации смешанных языков. Неправильно также считать все языки мира смешанными. Что же касается препятствий, встречающихся при установлении родства языков, то они вовсе не дают основания сомневаться в возможности и полезности изучения изначального родства языков.

Значительный толчок к усилению критики принципов родства языков дало выступление ван-Гиннекена на третьем международном конгрессе лингвистов в 1933 г. Начиная с этого времени, скептическое отношение к теории родства в зарубежной лингвистике принимает всеобщий характер. Вместе с тем слабеет интерес к сравнительно-историческому изучению конкретных языков.

Критика понятия родства языков встречается у представителей различных школ современного зарубежного языкознания. Против традиционного понимания родства языков выступают Пизани, Брёндаль, Трубецкой, Якобсон, Бонфанте и др. лингвисты.

Аргументы, выдвигаемые в современном языкознании против понятия родства языков, те же, что и у Шухардта:

а) Указывается на трудность классификации смешанных языков.

б) Рядом с родством по происхождению или изначальным родством выделяются вторичное родство или сродство (Affinität) и элементарное родство языков. При этом выдвигается положение, что эти три случая родства часто невозможно отграничить друг от друга.

Анализ воззрений современных зарубежных лингвистов показывает, что нападки на теорию родства вызваны неправильным пониманием процессов сближения и параллельного развития языков. В результате такого неправильного понимания различные процессы развития языков (дифференциация, сближение, параллельное развитие) смешиваются друг с другом, что вызывает научно неоправданную недооценку значения изначального родства языков.

Отрицательное отношение к изучению генетического родства языков усиливается благодаря антиисторическим установкам, столь характерным для определенных направлений современного зарубежного языкознания.

Выявление источников ошибочных выводов различных направлений в отношении вопроса о родстве языков особенно настойчиво выдвигает задачу тщательной разработки проблем смешения и параллельного развития языков.

Ополчаясь против возможности родства языков по происхождению, Н. Я. Марр и его последователи заявляли, что:

а) Развитие языков обусловлено только лишь процессом скрещения, а не процессом дифференциации.

б) Родственные языки не могли возникнуть из одного общего языка, так как общие языки создаются на более поздних этапах развития общества. При этом признание возможности возникновения из одного языка-основы нескольких языков квалифицировалось, как проявление теории «праязыка».

в) Допущение родства языков по происхождению, по мнению Н. Я. Марра, ведет к расизму.

В действительности дифференциация является таким же закономерным процессом в развитии языков, как и интеграция. Следовательно, лишено основания положение Н. Я. Марра о том, что скрещение представляет собой единственный процесс, составляющий содержание исторического развития языков. Все родственные языки без исключения обнаруживают больше близости в прошлом, чем в последующие эпохи. Отсюда ясно, что эти языки возникли в результате процесса дифференциации, а не интеграции.

Искаженную картину процессов дифференциации и интеграции языков дает марровская «пирамида», которая в сравнительно-историческом языкознании, опирающемся на процесс дифференциации, стоит якобы на вершине, а в «новом учении» о языке, признающем родство результатом унификации (скрещения), стоит на основании.

Пирамида, стоящая на основании, несовместима с марровским положением о происхождении всех языков мира от четырех элементов. Что же касается пирамиды, стоящей на вершине, то, согласно принципам генеалогической классификации, общее происхождение имеют отнюдь не все, а только родственные языки; поэтому для изображения процесса дифференциации понадобилось бы много «пирамид». Самый существенный недостаток «пирамиды» заключается в том, что она может изобразить только один процесс в развитии языков, или дифференциацию, или интеграцию; сравнительно-историческое же языкознание признает в истории языков наличие обоих процессов.

Ничем не обоснованы резкие выступления последователей «нового учения» о языке против существования языка-основы, как общего источника для определенной группы языков. В противовес утверждениям марристов, общенародные языки су-

ществовали на всех этапах развития общества. Признание того, что из одного языка может возникнуть несколько языков, вовсе не противоречит марксистской точке зрения. Признание родства языков не имеет никакого отношения к библейской теории «праязыка».

Последователи Н. Я. Марра так часто и усердно нападали на «праязык», что, как отмечалось проф. Л. А. Булаховским, этот термин стал одиозным. Вследствие этого некоторые лингвисты избегали его и после лингвистической дискуссии 1950 г.. Между тем, следует со всей решительностью подчеркнуть, что нельзя признавать генетическое родство языков, не допустив наличия одного исходного языка, из которого путем дифференциации возникли родственные языки. Но что касается самого термина «праязык», он может ввести в заблуждение людей, непосвященных в вопросы языкознания. Праязык, как родоначальник определенной семьи языков, могут спутать с тем библейским первоначальным языком, из которого якобы возникли все языки мира и в существование которого верили еще в XVII—XVIII веках, т. е. до зарождения науки о языке. Поэтому вполне оправдана замена термина «праязык» термином «язык-основа».

Объявив, что теория родства языков основывается на расистской концепции, Н. Я Марр и его последователи не привели никаких доводов для доказательства этого столь же тяжкого, сколь и голословного обвинения. Эти доводы и неоткуда было взять, так как никакой связи между признанием языкового родства и расизмом не существует. Это утверждение служило лишь одной цели — опорочить основанную на родстве языков генеалогическую классификацию и тем самым расчистить путь для стадиальной классификации, созданной Н. Я. Марром в противовес генеалогической классификации.

Таким образом, обвинения, выдвигаемые приверженцами «нового учения» о языке против генеалогической классификации языков, являются либо результатом недоразумения (например, утверждение, будто бы согласно генеалогической классификации, все языки мира возникли из одного языка: «пирамида, стоящая вершиной!»), либо придуманы для дискредитации этой классификации (например, будто генеалогическая классификация основывается на расистском принципе и т. д.).

Гл. VI. О значении генеалогической классификации языков. Об успехах и трудностях сравнительно-исторического исследования

При подробном рассмотрении положений, выдвинутых в современном языкознании против генеалогической классификации языков, становится ясным, что критики этой классификации не приводили каких-либо серьезных доводов, могущих поколебать ее основу. Наличие материального родства языков не вызывает сомнения, следовательно, и классификация языков, опирающаяся на такое родство, является научно ценной.

Группируя языки по принципу их происхождения, генеалогическая классификация тем самым является исторической классификацией. Выяснение родственных отношений языков необходимо для дальнейшего плодотворного применения сравнительно-исторического метода, как научного метода, имеющегося в распоряжении современного языкознания для изучения истории конкретных языков. Именно этим обстоятельством определяется исключительное значение генеалогической классификации для языкознания.

Применение сравнительно-исторического метода затрудняется в следующих случаях:

а) когда родственные языки очень близки друг к другу, вследствие чего вместо звуковых соответствий в подавляющем большинстве случаев мы имеем слова и аффиксы с идентичным звуковым составом.

б) Когда родственные языки настолько разошлись, что невозможно установить общность их происхождения.

в) В изолирующих языках, которые не имеют формообразующих аффиксов.

г) В смешанных языках, для исторического анализа которых необходимо выделение слоев различного происхождения.

Сравнительно-исторический метод выявляет историю только тех фактов родственных языков, которые имеют общее происхождение, т. е. которые восходят к языку-основе. Поэтому, при определении возможностей сравнительно-исторического метода, естественно возникает вопрос о реконструкции языка-основы.

Реконструкция языка-основы невозможна по следующим причинам:

а) в родственных языках не сохраняются все факты, имевшие место в языке-основе. Поэтому наши знания об этом последнем, приобретенные путем сравнения родственных языков, не могут быть полными.

б) Не все факты языка-основы подвергаются дифференциации в родственных языках. Следовательно, сравнение, основывающееся исключительно на дифференцированных фактах, которые представлены звуковыми соответствиями, не охватывает всех явлений сравниваемых языков.

в) Не все родственные языки доходят до нас, некоторые из них вымирают вследствие исторических обстоятельств. Исчезновение некоторых родственных языков, возникших из того же языка-основы, лишает нас возможности проследить в живых родственных языках все факты, унаследованные ими от языка-основы.

г) Звуковые соответствия, имеющие место в родственных языках, с полной убедительностью указывают на происхождение этих последних из одного источника, но при этом не всегда удается установить, как должны были звучать слова и аффиксы общего происхождения в языке-основе.

д) Наличие звуковых соответствий в грамматических элементах языке-основе. Возможно, они возникли в родственных не всегда указывает на то, что эти элементы имелись и в языках после их дифференциации независимо друг от друга, но на основе материала общего происхождения.

Марристы и находящиеся под их влиянием языковеды без всякого на то основания смешивали проблему реального существования языка-основы с проблемой его реконструкции. В противовес утверждениям марристов, А. Мейе и Ж. Вандриес не сомневались в реальности языка-основы индоевропейских языков и отрицали лишь возможность его восстановления. Ясно, что из-за невозможности восстановления языка-основы, нельзя ставить под вопрос реальность его существования.

Сравнительно-историческое изучение не охватывает всех явлений сравниваемых языков. Оно не дает возможности проследить историю тех фактов в родственных языках, которые не имеют общего происхождения, а возникли в этих последних после их дифференциации или самостоятельно, или же под влиянием других языков. Современное языкознание не располагает специальными методами, в должной мере обеспечивающими историческое изучение таких явлений, ибо универсальное сравнение (сопоставление) языков нельзя считать специальным методом, поскольку оно лишь выявляет общие явления в разных языках, но не объясняет их происхождения.

Таким образом, сравнительно-исторический метод не всегда и не в достаточной мере помогает восстановить историю развития сравниваемых языков, в некоторых случаях применение этого метода затрудняется. Но это обстоятельство вовсе не дает основания отрицать значение сравнительно-историче-

ского метода. В тех многочисленных случаях, когда его применение не встречает существенных препятствий и в тех границах, о которых говорилось выше, результаты, достигнутые при помощи сравнительно-исторического метода, вполне надежны и весьма ценны.

Трудности, возникающие перед сравнительно-историческим исследованием языков, вызваны сложностью и своеобразием изучаемого материала. Таким образом, трудности эти объективного характера. Для их преодоления необходимо уточнить и усовершенствовать сравнительно-исторический метод в соответствии с особенностями языков различной структуры и восполнить его другими специальными методами.

МОРФОЛОГИЧЕСКАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ЯЗЫКОВ

Гл. I. Морфологическая классификация языков по Фр. Шлегелю

Один из основоположников морфологической классификации Фр. Шлегель не ставил себе целью создать исчерпывающую морфологическую классификацию языков. Он занимался вопросом родства санскрита с латинским, греческим, германскими и персидским языками. Для установления этого родства Фр. Шлегель пытался доказать, что перечисленные языки имеют одинаковую внутреннюю структуру и грамматику, отличную от структуры и грамматики остальных языков мира. С этой целью Фр. Шлегель выделил индоевропейские языки в особую группу флективных языков, а все остальные языки мира он объединил под названием нефлективных языков.

Несмотря на то, что Фр. Шлегель выделил две основные группы (флективные и нефлективные языки), мы находим у него характеристику всех морфологических типов, которые составляют подгруппы нефлективных языков. В первую подгруппу выделены языки без формообразующих аффиксов; типичным представителем таких языков является китайский. Во вторую подгруппу входят сополагающие (anfügende) языки, которые охватывают агглютинативные (баскский, коптский) и инкорпорирующие (американские) — по позднейшей терминологии — языки. Третью же подгруппу составляют языки с «мнимой» флексией, т. е. семитские языки.

По мнению Фр. Шлегеля, развитие языков является ступенчатым. Самая низшая ступень представлена в китайском языке, на второй ступени находятся баскский, коптский и аме-

риканские языки, на третьей ступени — семитские языки, самыми же совершенными являются индоевропейские языки, которые автор называет органическими языками.

Приняв априори мнение о превосходстве флективных языков, Фр. Шлегель не приводит никаких серьезных соображений в пользу своего ошибочного мнения.

Надо полагать, что предвзятое мнение о превосходстве структуры индоевропейских языков побудило Фр. Шлегеля исключить семитские языки из числа флективных языков, несмотря на то, что он заметил наличие в них внутренней флексии.

Кроме того, неправильно считая одним из доказательств родства языков общность их морфологической структуры, Фр. Шлегель был вынужден поместить семитские и индоевропейские языки в разные морфологические группы, чтобы избегнуть необходимости считать их родственными по происхождению.

Гл. II. Морфологическая классификация языков по Вильг. Гумбольдту

Вильг. Гумбольдт, признанный одним из основоположников морфологической классификации, пользовался уже существующей до него схемой этой классификации; им не был выделен ни один новый морфологический тип. Не принадлежат В. Гумбольдту и термины, обозначающие морфологические типы, в частности, он не является автором термина «агглютинация».

Вопреки общераспространенному мнению, В. Гумбольдт выделял не четыре, а три морфологических типа: изолирующий, агглютинативный и флективный. Инкорпорацию (Einverleibung) В. Гумбольдт считал не морфологическим, а синтаксическим типом, т. е. типом предложения.

В. Гумбольдт, так же как и Фр. Шлегель, не проводил резкой грани между понятиями агглютинации и инкорпорации.

В отличие от Фр. Шлегеля, В. Гумбольдт причислял семитские языки к числу флективных. Он правильно указывал и на то, что не существует чистых представителей морфологических типов.

Характерным для понимания В. Гумбольдта в данном вопросе является положение, что различные морфологические типы представляют собой различную ценность и что совершенными являются флективные языки. В этом отношении оценка, даваемая В. Гумбольдтом морфологическим типам, по существу не отличается от оценки, даваемой Фр. Шлегелем.

Доводы, приводимые В. Гумбольдтом в пользу положения о превосходстве строя индоевропейских языков, не выдерживают критики:

а) Ничем не доказано положение Гумбольдта, будто бы флективные языки лучше всех других морфологических типов обслуживают мышление.

б) Глубоко ошибочно положение В. Гумбольдта, в силу которого изначальный принцип, якобы лежащий в основе каждого языка, ставит преграды, которые данный язык не в силах преодолеть, как бы он ни развивался «в связи с развитием культуры и просвещения».

в) Лишено основания наличное у В. Гумбольдта противоположение подлинной (имеющей место во флективных языках) и «мнимой» (якобы свойственной нефлективным языкам) грамматической формы. В действительности всякая грамматическая структура является подлинной, а мнимой языковой формы вообще не существует.

г) Китайский язык, как изолирующий, В. Гумбольдт, согласно выдвинутому им принципу, должен был-бы признать самым неразвитым языком; однако, наличие высокой духовной культуры китайского народа, созданной на основе этого языка, вынудило В. Гумбольдта поставить китайский выше даже агглютинативных языков. Это, неоправданное с точки зрения самого В. Гумбольдта, допущение выявляет внутреннюю противоречивость исходных положений его концепции.

д) Тенденциозность точки зрения В. Гумбольдта особенно ясно видна из того, что хотя он и причисляет семитские языки к флективным, однако совершенными он их все-таки не считает.

Группируя морфологические типы языков по степени совершенства, В. Гумбольдт отнюдь не считает их за этапы развития, исторически следующие один за другим. Идея развития чужда концепции В. Гумбольдта о морфологической классификации языков.

По мнению В. Гумбольдта, являющемуся ошибочным, «совершенство языков не связано с прогрессом культуры и просвещения». Это совершенство или отсутствие совершенства заложено в языках изначала. Развитие формы языка не обусловлено и развитием мышления.

Не соответствует действительному положению вещей утверждение В. Гумбольдта, будто бы новые индоевропейские языки (романские языки, английский) находятся на более низкой ступени развития, чем древние представители этой семьи (санскрит, греческий язык).

Несостоятельны попытки В. Гумбольдта в отдельных случаях объяснить развитие языка лишь воздействием внешних сил, в частности, влиянием более совершенных языков.

Гл. III. Морфологическая классификация языков по Авг. Шлейхеру

Авг. Шлейхер, включив инкорпорирующие языки в качестве подтипа в разряд агглютинативных языков, выделяет в своей морфологической классификации три класса языков.

Исходной схемой для Авг. Шлейхера является гумбольдтовская морфологическая классификация. Мнение Авг. Шлейхера о единственном разногласии, якобы существующем между ним и В. Гумбольдтом, на самом деле основано на недоразумении: В. Гумбольдт не выделял инкорпорацию в особый морфологический тип и, следовательно, различение четырех типов произвольно приписывается В. Гумбольдту Авг. Шлейхером (да не только им одним!).

Подобно Фр. Шлегелю и Вильг. Гумбольдту, Авг. Шлейхер рассматривает морфологические типы языков как восходящие ступени, вершину которых образуют индоевропейские языки. Авг. Шлейхер так же не сумел доказать это положение, являющееся сугубо ошибочным, как не смогли это сделать Шлегель и Гумбольдт.

С точки зрения фактического положения вещей нельзя считать оправданным заявление Авг. Шлейхера, будто бы только флективному типу принадлежат языки народов, имеющих самую передовую историю и культуру, будто другие языки не только не способствуют, но иногда даже мешают развитию культуры. Вопреки утверждению Шлейхера, ни один морфологический тип не может стать помехой для развития культуры и мышления.

В качестве доказательства особого значения флективных языков не пригоден и второй довод Авг. Шлейхера, в силу которого флективные языки, в которых содержание и форма якобы органически сливаются, адекватнее всех остальных языков отражают процесс мышления. Авг. Шлейхер устанавливает чисто механическое соответствие между морфологическими типами языков и процессом мышления.

Заслуживает внимания попытка Авг. Шлейхера рассмотреть морфологическую классификацию языков в историческом аспекте. Но автору не удалось провести до конца историческую точку зрения. По существу антиисторическими и ненаучными являются положения Авг. Шлейхера, гласящие, что язы-

ки с самого возникновения обладали различными способностями к развитию, что языки, стоящие на низшей ступени, никогда не переходят в более высокий класс, что «языковой принцип» неизменим.

Неправильное понимание процесса развития языков особенно наглядно проявляется в воззрении Авг. Шлейхера о двух периодах в истории языков, в первом из которых якобы имеет место прогресс, а во втором — деградация языков. Если сначала Авг. Шлейхер уверял, что самая лучшая структура свойственна языкам народов, обладающих высокой культурой и богатой историей, то в дальнейшем — по Шлейхеру — оказывается, что прогресс культуры и истории отрицательно влияет на развитие структуры языка.

Такое внутреннее противоречие обусловлено тем, что, во-первых, совершенство языков Авг. Шлейхер усматривает в свойствах их морфологических типов. Во-вторых, признав без основания флективные языки верхом совершенства и видя при этом, что новые индоевропейские языки стали беднее флексией сравнительно с древними, Авг. Шлейхер по необходимости пришел к неверному заключению о разложении языков, якобы происходящем в исторический период их существования. Надо полагать, что в этом вопросе определенную роль сыграло влияние идей романтизма на мировоззрение Авг. Шлейхера.

Основной причиной ошибок Авг. Шлейхера является сильное влияние идеалистической философии Гегеля, лежащей в основе его лингвистической концепции. В частности, от Гегеля исходит неоправданное противопоставление развития языка развитию истории народа.

Основываясь на философии Гегеля, Авг. Шлейхер считает, что в доисторические времена мышление нуждалось в языке, как материальной оболочке, в исторический же период человеческая идея или мышление выявляется в «чистом» виде в истории народа. Необоснованность такого суждения не подлежит сомнению.

Авг. Шлейхеру не удалось на конкретном материале языков показать, в чем заключается распад языков. Его суждения об упадке новых индоевропейских языков неубедительны и полны противоречий. Это вызвано тем, что в действительности языки в историческую эпоху не деградируют, а развиваются вместе с развитием культуры и мышления.

Положительным в морфологической классификации Авг. Шлейхера следует считать более широкий охват языков, чем это имело место у Вильг. Гумбольдта, а также детальное описание морфологических типов и подтипов.

Гл. IV. Об основных вопросах морфологической классификации языков

Морфологическая классификация языков, которая была создана еще до возникновения сравнительно-исторического языкознания, сохранила вплоть до нашего времени следы донаучного мышления о языке.

Традиционная морфологическая классификация требует ряда поправок и уточнений с точки зрения группировки языков и характеристики отдельных типов.

а) В связи с уточнением данных о грамматическом строе китайского языка, требуется пересмотреть вопрос о характеристике изолирующих языков.

б) Следует разграничить инкорпорацию и полисинтетизм.

в) Полисинтетический тип, как это правильно отмечено в литературе, противостоит аналитическому и синтетическому, а не агглютинативному и флективному типам.

г) Одним из основных недостатков традиционной морфологической классификации является ограниченность охвата языков: она анализирует сравнительно малое количество языков мира и не учитывает структурных особенностей остальных языков.

Попытки некоторых лингвистов (Мистели, Финка) включить в морфологическую классификацию новые языки, показывают, что вместе с увеличением количества классифицируемых языков увеличивается и число морфологических типов.

Основная ошибка, которая допускалась при интерпретации традиционной морфологической классификации, заключается в том, что изолирующий, инкорпорирующий, агглютинативный и флективный типы считались различными ступенями развития, причем флективные языки объявлялись наиболее совершенными. Ни один из защитников такого понимания морфологической классификации не сумел привести каких-либо серьезных доводов в доказательство этого, в корне ошибочного, взгляда.

К началу XX в. теория об исключительной ценности флективных языков была отброшена, но в двадцатых годах она возродилась в новом виде. Самыми совершенными были признаны флективные языки аналитического строя (О. Есперсен).

Своеобразную интерпретацию морфологических типов дает Н. Трубецкой, по мнению которого, самыми совершенными являются агглютинативные языки. Сопоставление этого положения с теорией превосходства флективных языков наглядно показывает, что мнение о большем или меньшем совершенст-

ве морфологических типов, как таковых, вообще несостоятельно и сугубо субъективно.

Научно необоснованно и общественно вредно ставить один морфологический тип выше другого. Изолирующий, агглютинативный, флективный типы не отличаются друг от друга по ступеням развития, они лишь в разных формах выражают одинаковое содержание. Каждый морфологический тип имеет возможность непрерывно развиваться в связи с развитием культуры и мышления.

Развитие и усовершенствование языка выражается, главным образом, в обогащении его лексического состава и улучшении его грамматического строя. Обе эти стороны могут измениться коренным образом в пределах одного и того же морфологического типа, в то время, как морфологический тип изменяется очень медленно, даже медленнее грамматического строя языка.

Вследствие того, что морфологические типы не удалось рассмотреть в историческом аспекте, как восходящие ступени развития, следующие одна за другой, некоторые представители сравнительно-исторического языкознания (А. Мейе, Г. Шухардт, А. И. Томсон) совершенно отказались от морфологической классификации языков и признали ее ненаучной.

Такая оценка неприемлема. После устранения присущих ей недостатков, морфологическая классификация языков может стать полезной для общего языкознания.

Значение морфологической классификации определяется следующими обстоятельствами:

а) Она дает возможность охватить структурные особенности языков и, сравнивая разнообразные типы, делать заключения об общих и специфических закономерностях в структуре языков.

б) Морфологические типы тесно переплетаются с грамматическим строем языков. Поэтому морфологическая классификация языков может дать ценные указания о природе и становлении их грамматического строя.

ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ЯЗЫКОВ

Гл. I. Психологическая классификация языков Г. Штейнталя

Основным для концепции Г. Штейнталя является психологическое понимание сущности языка. Считая язык психическим процессом, автор сводит его сущность к формированию представлений.

Психологизм приводит Г. Штейнталя к идеализму, который проявляется в отождествлении языка и мышления, в оп-

ределении языка, как внутренней деятельности духа, в игнорировании значения звукового материала языка.

Психологическая и идеалистическая концепция лежит в основе классификации языков Г. Штейнталя. Классификация производится по трем принципам, первым из которых является противопоставление форменных (Form-Sprachen) и бесформенных (Formlose Sprachen) языков, вторым — противопоставление языков, имеющих подлинный субъект и объект, языкам, не имеющим их, и, наконец, третьим—морфологическая типология языков. Первые два признака автор считает психическими.

Г. Штейнталь дает кантовское определение формы языка. По его мнению, языковая форма, являющаяся субъективной духовной деятельностью, выражает не отношения между реально существующими предметами и явлениями, а связи представлений, созданных духом сообразно с его собственными закономерностями.

Несмотря на то, что основным классификационным признаком Г. Штейнталь считает образование внутренней формы, он не дает конкретного определения этой последней, не выдвигает он также и ясного критерия для различения форменных и бесформенных языков.

Не имея объективного мерила внутренней формы, Г. Штейнталь основывает свою группировку языков на внешней форме, на морфологической типологии, которая, по его словам, является выражением внутренней формы.

Попытка Г. Штейнталя применить в качестве критерия внутренней формы морфологическую типологию языков создает многочисленные противоречия. Оказывается, что языки с «несовершенной» внешней формой (напр., изолирующий китайский или агглютинативный египетский) могут «иметь внутреннюю форму» и, наоборот, «не имеющие внутренней формы», языки способны создать внешнюю форму, свойственную форменным языкам (напр., финский язык). Таким образом, языки, принадлежащие одному и тому же морфологическому типу (напр., изолирующие), оказываются и форменными (китайский) и бесформенными (языки Индо-Китая). Такие противоречия ясно показывают, что внешняя форма не совпадает с внутренней в понимании самого Штейнталя и, следовательно, первая не может стать мерилом для второй.

Понимание внутренней формы Штейнталя, на котором основывается группировка языков на форменные и бесформенные, научно неоправдано. Бесформенных языков не существует. Каждый язык выражает отношения между предметами и постольку каждый язык является «форменным».

Невозможно выделять форменные и бесформенные языки на основе того, используют они в роли аффиксов указательные местоимения или нет.

Решающим фактором при отнесении того или иного языка к форменным или бесформенным для Г. Штейнталя является культурный уровень народа, говорящего на этом языке. Форменными считаются языки народов, имеющих высокую, многовековую культуру. Этим объясняется то, что форменными Штейнталь считает не только флективные индоевропейские и семитские языки, но также китайский и египетский. Следует отметить, что при установлении основы классификации (principium divisionis) сам Г. Штейнталь не указывает на культурный уровень, как на критерий своей классификации.

Г. Штейнталь, так же, как и другие интерпретаторы морфологической классификации языков, распределяет морфологические типы по ступеням совершенства. Он также думает, что некоторые морфологические типы способствуют развитию культуры и мышления, другие же могут стать помехой для него. В этом отношении для концепции Штейнталя характерны те же ошибки, что и для теории Вильг. Гумбольдта, Авг. Шлейхера и др.

Несмотря на то, что Г. Штейнталь располагает морфологические типы по ступеням развития, он (так же как и Фр. Шлегель, В. Гумбольдт и др.) не стоит на исторической точке зрения. Он отрицает возможность перехода языка с низшей ступени на более высокую, он считает, что ничего нового при развитии языка не возникает, что языки в самом зародыше отличаются друг от друга по своим способностям к развитию.

Вследствие того, что морфологическая классификация у Г. Штейнталя подчинена делению на форменные и бесформенные языки, мы не находим у него последовательности с точки зрения распределения языков по морфологическим типам. Например, изолирующий тип расщеплен: индо-китайские языки составляют первую ступень, китайский же перенесен в группу форменных языков. Таким же образом оторван от других агглютинативных языков и египетский. В результате этого изолирующий и агглютинативный типы встречаются как в группе форменных, так и в группе бесформенных языков.

Психологическая классификация Г. Штейнталя представляет собой психологическую интерпретацию гумбольдтовской морфологической классификации языков. Основанная на идеалистических воззрениях, эта интерпретация в принципе неприемлема.

Гл. II. Переработка классификации Г. Штейнталя Францем Мистели

Классификация Г. Штейнталя в переработке Фр. Мистели освобождена от той тяжеловесной путаной психологической интерпретации, которая лишь осложняла теорию морфологической классификации языков. Однако, это не значит, что Фр. Мистели принципиально отмежевался от психологизма, он просто не вдавался в отвлеченные суждения, свойственные работам Г. Штейнталя. Но влияние психологической концепции этого последнего все же проявляется у Мистели в некоторых высказываниях.

Сосредоточив свое внимание на чисто языковых моментах, Ф. Мистели выделяет следующие шесть признаков, по которым должна производиться классификация языков: 1) наличие частей речи (низшая форма), 2) типы предложения (высшая форма), 3) строение глагола, 4) степень синтезирования слова, 5) морфологическую типологию, 6) противопоставление форменных и бесформенных языков. Ни один из этих признаков не имеет самостоятельного значения у Мистели, все они служат разносторонней характеристике морфологической классификации.

Перечисленные признаки находим и у Г. Штейнталя, но удельный вес и значение, придаваемое каждому из них Штейнталем и Мистели, различны.

Основное различие воззрений Штейнталя и Ф. Мистели заключается в понимании формы языка. Если для Штейнталя форма прежде всего являлась внутренней субъективной деятельностью, то по Мистели форму составляют грамматические средства языка. На основе этого различается форма слов (частей речи), называемая автором «низшей формой» и синтаксическая форма, считаемая им «высшей формой». Каждый язык имеет или низшую или высшую форму или же обе вместе. При таком понимании формы противопоставление форменных и бесформенных языков, являющееся краеугольным камнем концепции Г. Штейнталя, лишается основания.

Наряду с вышеприведенным, у Мистели встречается и штейнталевское понимание формы языка. Однако, придавая ему второстепенное значение и, всецело опираясь на схему Штейнталя, автор не пытается даже обосновать свою точку зрения о различии форменных и бесформенных языков.

Противопоставление языков с различным строением слов (языки, не имеющие слов, языки со словами-предложениями,

языки с мнимыми словами, языки с подлинными словами) ведет начало от Вильг. Гумбольдта и Г. Штейнталя, но Ф. Мистели придает ему гораздо больше значения, чем В. Гумбольдт и Г. Штейнталь.

В качестве мерила при делении языков для Ф. Мистели служит строение флективных (индоевропейских) языков, слова которых считаются подлинными, слова же других языков, структурно отличные от индоевропейских слов, или объявляются мнимыми или же вовсе не признаются за слова. Такая постановка вопроса неприемлема; вместо основательного изучения различной структуры языков, она дает ее ошибочную оценку на основе предвзятого мнения о превосходстве индоевропейских языков.

Деление на языки с подлинными словами, языки с мнимыми словами и языки без слов является отражением ошибочного воззрения о различной ценности различных морфологических типов, влияния которого не избегнул и Ф. Мистели. Следует, однако, отметить, что вопрос о совершенстве морфологических типов занимает у Ф. Мистели далеко не центральное место, как то наблюдается у В. Гумбольдта и Г. Штейнталя.

В классификации Ф. Мистели вместо четырех типов традиционной классификации выделено шесть морфологических типов (инкорпорирующий, корне-изолирующий, осново-изолирующий, сополагающий, агглютинативный, флективный). Хотя эти типы встречаются и в классификации Г. Штейнталя, но там они не выделены рельефно. Важно и то, что в отличие от Штейнталя, Ф. Мистели не отрывает друг от друга языков, принадлежащих к одному морфологическому типу. В его схеме китайский помещен рядом с другими изолирующими языками, египетский также занимает подобающее ему место в группе сополагающих языков.

КОНЦЕПТУАЛЬНАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ЯЗЫКОВ ЭД. СЕПИРА

В концепции Эд. Сепира дана по сути дела правильная критика недостатков традиционной морфологической классификации языков. Вместе с тем автор дает детализованную характеристику морфологических типов.

Исходным для концептуальной классификации языков Эд. Сепир считает своеобразное понимание флексии, согласно которому флексия характеризуется двумя признаками: наличием фузирующей техники (т. е. сплавлением корня и аффиксов) и применением этой техники к релационным понятиям.

Такое понимание противоречиво, ибо в некоторых языках названные два признака не совпадают.

В концептуальной классификации языки группируются по функциям формальных или грамматических элементов. На основе выделенных им четырех групп грамматических понятий (I основные, конкретные понятия, II деривационные понятия, III конкретно-релационные понятия, IV чисто-релационные понятия) Эд. Сепир делит языки на чисто-релационные и смешанно-релационные. Каждая из этих групп, со своей стороны, имеет по две подгруппы, вследствие чего получаем 4 группы языков: A) простые чисто-релационные языки (выражают понятия I и IV групп), B) сложные чисто релационные языки (выражают понятия I, II и IV групп), C) простые смешанно-релационные языки (выражают понятия I и III групп), D) сложные смешанно-релационные языки (выражают понятия I, II и III групп).

Вполне оправдано деление релационных понятий на чисто-релационные и смешанно-релационные.

Неудачна попытка Эд. Сепира связать с концептуальной классификацией деление языков по технике образования грамматических понятий и по степени синтезирования слов, поскольку эти три признака не зависят друг от друга.

Вопреки заявлению Эд. Сепира, концептуальная классификация не может заменить морфологической классификации языков, ибо эти классификации производятся по разным принципам: в то время, как морфологическая классификация группирует языки по технике образования грамматических категорий, концептуальная классификация основывается на функциях грамматических понятий.

Концептуальная классификация языков вовсе не относится к сфере морфологии. Значение выделенных Эд. Сепиром понятий изучается в семасиологии (конкретные понятия и деривационные понятия) и синтаксисе (релационные понятия).

Концептуальная классификация Эд. Сепира не в состоянии выявить морфологические особенности многообразных языков мира.

КЛАССИФИКАЦИЯ ПО ЯЗЫКОВЫМ КРУГАМ В. ШМИДТА

В. Шмидт ставил себе целью создать более широкие группировки языков, чем семьи родственных языков. Он выделил следующие круги языков: 1) древнейшие языковые круги, которые по географическому распространению делятся на южный, средний и северный (арктический) круги. 2) Первичные

языковые круги, в которых также выделяются южный круг, северный круг (куда входят урало-алтайские, индоевропейские, семито-хамитские языки, а также часть северокавказских языков) и средний круг (юго-восточные австралийские языки, большая часть яфетических языков, ряд американских языков и т. д.). 3) Вторичные и третичные языковые круги, которые являются смешанными.

В. Шмидт связывал языковые круги с культурными кругами, выделенными им вместе с В. Копперсом; древнейшие языковые круги соответствуют древнейшим культурным кругам, первичные — первичным, а вторичные и третичные языковые круги соответствуют высоким культурным кругам. Внутри первичных кругов имеются такие соответствия: средний языковой круг относится к матриархальному культурному кругу примитивного земледелия, северный языковой круг — к культурному кругу кочевников-скотоводов, а южный языковой круг к охотничьей тотемистической культуре.

Методы, применяемые В. Шмидтом для классификации языков, вызывают ряд серьезных возражений:

а) фонетические, морфологические и синтаксические признаки, которыми якобы характеризуются различные языковые круги, выбраны автором случайно, без установления того, существует ли внутренняя связь между ними и этапами развития культуры.

б) При отнесении того или иного явления к определенному кругу решающее значение придается его распространению в современных языках без учета истории данного явления. Автор не выясняет причин, обусловивших отсутствие какого-либо явления в интересующих его языках.

в) При классификации языков В. Шмидт исходит не из языковых признаков, а из культурных кругов. Многочисленные исключения, когда явления, причисляемые автором к определенному кругу, встречаются и в языках других кругов, показывают несостоятельность такого принципа классификации.

Неудовлетворителен и анализ отдельных языковых признаков, представленный в работе В. Шмидта. Например:

а) Неправильно мнение, что двойственное и тройственное числа возникли в морфологии после множественного для уточнения этого последнего. В действительности двойственное и тройственное, как более конкретные числа, являются переходными ступенями между единственным и множественным числами.

б) Грамматические категории («классы») человека и вещи не представляют собой трансформированных понятий

женского и мужского полов. Эти понятия строятся на двух различных принципах. Неоправдано выделение среднего рода в языках номадской (кочевнической) культуры: так наз. средний род по происхождению представляет собой или класс вещей (включая и животных) или же класс неодушевленных предметов.

в) Противопоставление чисто десятичной и пятерично-десятичной систем счисления выглядит искусственным.

г) Особенно спорны положения, представленные в синтаксисе. Не имеет никакого основания признание препозиционной постановки аттрибутивного генитива характерным для языков номадской культуры, а постпозиционной—для языков матриархальной культуры.

В классификации В. Шмидта неприемлема увязка отдельных языковых явлений с фактами культуры. Например, неправильно мнение о том, что причиной создания парной системы счисления является наличие моногамной семьи, или что возникновение инклюзива-эксклюзива вызвано локальной экзогамией. Так же неосновательно объяснение гласного анлаута и ауслаута стремлением к красоте или же приписывание постпозиционной постановки генитива спонтанному мышлению детей и женщин, а препозиционной — мужскому мышлению. Такой вульгарный социологизм, примеры которого обильно встречаются у В. Шмидта, ненаучен.

Классификация по языковым кругам антиисторична, несмотря на заявление В. Шмидта, что она предусматривает более ранние этапы развития языков, чем это в силах сделать генеалогическая классификация языков.

В. Шмидту не удалось создать классификации языков, вполне соответствующей культурным кругам. Например, в его классификации культуре бумеранга не соответствует ни один языковой круг. По языковым признакам выделяются только древнейший и средний языковые круги, а южный и северный круги представляют собой результат смешения первых двух. Отсюда следует, что тотемистическая и номадская культурные круги не создали в языках характерных только для них особенностей. Кроме того, непонятно, каким же образом произошло смешение древнейших и первичных (средних) языков, поскольку В. Шмидт отрицает возможность какого-либо контакта между древними культурами. И, наконец, если языки южного и северного кругов являются смешанными, то их следует отнести не к первичным, а ко вторичным кругам, которые автор действительно считает смешанными. Но в таком случае они оказались бы соответствующими высокому культурному

кругу, в то время, как люди, говорящие на них, по В. Шмидту, имели первичную, а не высокую культуру. Еще больше противоречий наблюдается при попытке распределить отдельные языки по языковым кругам.

Все эти недоразумения и противоречия доказывают, что попытка В. Шмидта создать классификацию языков, которая соответствовала бы классификации культурных кругов, окончилась неудачей.

Задача, которую ставил В. Шмидт перед собой вообще несуществима. Основанная на грамматических (и тем более фонетических) признаках классификация языков не может соответствовать классификации ступеней культуры по следующим причинам:

а) Явления культуры не всегда находят отображение в грамматическом строе языков.

б) Большая часть грамматических категорий выражает такие отношения, обозначение которых одинаково необходимо на различных этапах развития культуры.

в) Языки имеют возможность по разному изображать одинаковое содержание.

г) Темпы изменения языка и культуры не совпадают, языки могут долго сохранять пережитки минувшей культуры.

д) Не все изменения языка сводятся к изменению элементов культуры.

СТАДИАЛЬНАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ЯЗЫКОВ

Гл. I. Стадиальная классификация языков Н. Я. Марра

Стадиальную классификацию Н. Я. Марр пытался противопоставить голословно отвергнутой им генеалогической классификации языков. Признав все языки мира возникшими из четырех первичных элементов, Н. Я. Марр искусственно включил их в единый глоттогонический процесс и объявил представителями различных ступеней языкового развития.

В «новом учении» Н. Я. Марра не дается полной классификации языков по стадиям, и, что особенно важно, *не устанавливается, что из себя представляет стадия языка, какие признаки характеризуют ее*. Таким образом, в учении Н. Я. Марра не указан критерий, в силу которого отдельным конкретным языкам должно быть предоставлено определенное место в стадиальной классификации.

В различных трудах Н. Я. Марра различно понимается и истолковывается стадиальное развитие, в соответствии с чем и в понятие стадии вкладывается существенно различное содержание.

Согласно одной схеме Н. Я. Марр объявляет ступенями развития языков морфологические типы языков. При этом он использует традиционное понимание хронологической преемственности морфологических типов (аморфность, агглютинация, флексия). Но, в отличие от традиционного понимания, Н. Я. Марр считает, что языки различного морфологического типа возникли один из другого.

С точки зрения группировки языков, вышеназванная схема представляет попытку объединения морфологической и генеалогической классификаций.

Такое объединение морфологической и генеалогической классификаций по существу невозможно, поскольку нет соответствия между морфологическими типами и родственными группами языков. Логическим результатом такого искусственного слияния морфологической и генеалогической классификаций и явилось выделение полистадиальных языков. Если стадия должна пониматься как ступень развития языка, «полистадиальный язык» надо признать понятием внутренне противоречивым.

Поскольку стадиальная классификация так или иначе пытается соединить морфологическую и генеалогическую классификации, в результате такого объединения с необходимостью должны получиться две классификационные единицы: стадия (морфологический тип) и система (языковая семья). Но с точки зрения принципа стадиальной классификации допустимо существование лишь одной единственной классификационной единицы, именно, ступени языкового развития. Вследствие такой непоследовательности получается смешение понятий стадии и системы: в одних случаях яфетические языки у Н. Я. Марра признаны стадиями («яфетическая стадия»), в других — они являются системой («яфетическая система»).

Согласно второй схеме стадиальной классификации выделены четыре сменяющие друг друга ступени. Самыми совершенными признаны языки четвертичной стадии (индоевропейские языки). Что касается языков, находящихся на первых трех ступенях развития, они объявляются «окаменелыми», «застывшими» языками.

Это положение наглядно выявляет научную несостоятельность стадиальной классификации Н. Я. Марра. По заявлению последнего, стадиальная классификация должна группировать языки по ступеням их развития, в действительности же вышеназванная классификация содержит «окаменелые» языки, языки, лишенные способности развиваться. «Но живых языков, лишенных способности развиваться, наука о языке фактиче-

ски не знает и в принципе признать не может» (А. С. Чикобава).

По мнению Н. Я. Марра причиной потери языком способности к развитию является отход данного языка от Средиземноморского бассейна, который с определенных времен был признан Н. Я. Марром центром возникновения человеческой речи. Такое объяснение, прежде всего, глубоко механистично: оно отрицает возможность развития всех языков. К тому же утверждение, будто все языки ведут начало из Средиземноморского бассейна, высказано Н. Я. Марром без всякого обоснования.

С точки зрения принципа стадиального развития, каждая последующая стадия должна представлять собой преобразование предшествующей, но в трудах Н. Я. Марра предпочтение дается воззрению, в силу которого все системы языков ведут свое происхождение от яфетических языков. Это непоследовательно и противоречиво с точки зрения принципов самого Н. Я. Марра. Это неверно и фактически.

Причиной стадиальных трансформаций Н. Я. Марр считает перевороты, происходящие в общественном строе и процессе производства. В качестве примера такого преобразования Н. Я. Марр называет трансформацию яфетических языков в индоевропейские языки, что, по его мнению, было связано с открытием металлов и их использованием в хозяйстве. Такое понимание, как справедливо на это было указано в дискуссии по вопросам языкознания проф. А. С. Чикобава, содержит два противоречия: а) Если трансформация связана с развитием металлургии и если творцами металлургии являлись яфетиды, непонятно, почему именно яфетические языки не оказались на новой ступени развития? б) Если яфетические языки претерпели трансформацию, то как же объяснить факт существования этих самых языков рядом с якобы развившимися из них индоевропейскими языками?

Положение Н. Я. Марра, утверждающее, что перевороты, происходящие в социальном строе и производстве, вызывают возникновение различных языковых стадий, основывается на признании надстроечного характера языка.

В корне ошибочные, вульгарно-материалистические принципы, лежащие в основе стадиальной классификации языков Н. Я. Марра, являются причиной неудачи, постигшей эту классификацию.

Гл. II. Стадиальная классификация языков по И. И. Мещанинову

И. И. Мещанинов не ставил себе целью стать новатором в деле классификации языков, он стремился лишь дать сводку

основных высказываний Н. Я. Марра и применить положения Н. Я. Марра к материалу конкретных языков.

Несмотря на это, воззрения И. И. Мещанинова, лежащие в основе его стадиальной классификации, в значительной степени отличались от воззрений Н. Я. Марра. Разница во взглядах И. И. Мещанинова и Н. Я. Марра сводится к следующему:

а) В понимании И. И. Мещанинова единый глоттогонический процесс основывался лишь на общности путей развития языков и рассматривался независимо от четырехэлементной теории, в то время, как Н. Я. Марр увязывал все языки мира между собой также и материально, считая их возникшими из четырех первичных элементов.

б) В отличие от Н. Я. Марра, И. И. Мещанинов подчеркивал, что перевороты в общественной жизни отражаются в языке не непосредственно, а опосредствованным через мышление путем.

в) Хотя И. И. Мещанинов, так же как и Н. Я. Марр, придавал скрещению исключительное значение в развитии языков, однако, в отличие от Н. Я. Марра, он не применял теории скрещения в стадиальной классификации языков.

Вышеприведенные отклонения от позиций Н. Я. Марра дали возможность И. И. Мещанинову избегнуть некоторых противоречий, встречающихся в стадиальной классификации Н. Я. Марра, именно:

а) Вследствие того, что И. И. Мещанинов не опирался на четырехэлементную теорию в стадиальной классификации, ему удалось избавиться от необходимости объявить все конкретные языки мира образовавшимися один из другого в результате их трансформации.

б) По той же причине в классификации И. И. Мещанинова не возникало вопроса об «окаменелых», «реликтовых» языках, которые Н. Я. Марр, без всякого основания, считал потерявшими способность развиваться.

в) У И. И. Мещанинова отсутствовала также и т. н. теория Средиземного моря, которую Н. Я. Марр применял для объяснения того, почему языки «отпали от процесса развития».

г) Так как И. И. Мещанинов не прибегал при объяснении стадиального развития языков к теории скрещения, в его классификации отсутствовало то противоречие, которого не удалось избегнуть Н. Я. Марру, вследствие несовместимости принципов скрещения и трансформации.

При определении принципов стадиальной классификации И. И. Мещанинов полностью разделял положения Н. Я. Марра о том, что:

а) язык представляет собой надстроечное и классовое явление (в классовом обществе).

б) Что язык, как надстройка, развивается путем взрывов. Стадиальная классификация языков И. И. Мещанинова, так же как и классификация Н. Я. Марра, основывается на коренных сдвигах («трансформационных изменениях») в развитии языков.

Схемы стадиальной классификации И. И. Мещанинова существенно отличаются от схем Н. Я. Марра. Классификация И. И. Мещанинова является синтаксической в то время, как схемы Н. Я. Марра представляют собой объединение морфологической и генеалогической классификаций.

Типы, выделенные по морфологическому принципу, не совпадают ни количественно, ни с точки зрения группировки языков с типами, выделенными по синтаксическому принципу. Не совпадают также и, сгруппированные в этих двух классификациях, языки.

Схемы И. И. Мещанинова и Н. Я. Марра различаются также и с точки зрения постановки некоторых других вопросов:

а) В классификации Н. Я. Марра объединение морфологической и генеалогической классификаций с внутренней необходимостью обусловило выделение двух классификационных единиц — стадии и системы. И. И. Мещанинов не ставил вопроса об отношении типологической классификации к генеалогической, поэтому он изъял системы из стадиальной классификации и объявил их независимыми от стадий.

б) И. И. Мещанинов ставил яфетические языки в один ряд с другими языками в то время, как Н. Я. Марр считал все остальные языки мира возникшими из яфетических языков.

в) У этих авторов различно также и понимание полистадиальности яфетических языков: по Н. Я. Марру разные яфетические языки находятся на разных стадиях, по И. И. Мещанинову же в каждом яфетическом языке одновременно выделяется несколько стадий.

Из трех схем стадиальной классификации И. И. Мещанинова вторая (1936 г.) представляет собой переработку и уточнение первой (1935 г.). Что же касается третьей схемы (1940 г.), то ее отношение ко второй схеме можно охарактеризовать следующим образом:

а) В основе второй схемы лежит стадиальная типология мышления. В третьей же схеме не ставится вопрос о взаимоотношении синтаксических типов и ступеней развития мышле-

ния. Этим нарушается положение «нового учения» о языке, требовавшее увязки стадиальной классификации языков с периодизацией истории мышления, которой надлежало быть отражением коренных сдвигов в общественной жизни.

б) Во второй схеме каждый последующий тип является преобразованием предшествующего, в третьей же схеме синтаксические конструкции не следуют хронологически одна за другой. Следовательно, классификация не является исторической; она не отражает единого глоттогонического процесса в развитии языков.

в) В то время, как во второй схеме каждая конструкция предложения создает самостоятельную стадию, в третьей схеме не все выделенные типы дают отдельные стадии, и, таким образом, классификация языков, представленная в третьей схеме, фактически не является стадиальной классификацией.

Таким образом, попытка И. И. Мещанинова построить стадиальную классификацию языков на основе «нового учения» о языке, окончилась неудачей. Несмотря на то, что, стремясь сгладить резкие противоречия, И. И. Мещаниновнес поправки в принципы стадиальной классификации Н. Я. Марра, ему не удалось разработать стадиальной классификации. Такой результат является закономерным, поскольку понятие стадии в трудах И. И. Мещанинова осталось таким же неопределенным, как и у Н. Я. Марра.

КЛАССИФИКАЦИЯ ПО ЯЗЫКОВЫМ СОЮЗАМ

У Н. С. Трубецкого встречаем двоякое истолкование понятия «союза языков» (Sprachbund). В своем выступлении на первом международном конгрессе лингвистов (в 1928 г.) Н. С. Трубецкой применял этот термин по отношению к таким языкам, которые, по его словам, обнаруживают большое сходство в синтаксическом отношении, в принципах морфологического строя и большое количество общих «культурных слов» Kulturwörter), а иногда и внешнее сходство в составе звуковой системы, но не имеют систематических звуковых соответствий в звуковом облике морфологических элементов и общих слов основного словарного фонда.

При таком понимании языковой союз и языковая семья не исключают друг друга, они являются независимыми друг от друга группировками и считаются результатом различных процессов: семья основывается на дифференциации, союз — на сближении. Но и здесь чувствуется противопоставление

этих двух классификаций, поскольку изучению языковых союзов придается несравненно больше значения, чем изучению родственных языков.

Вышеприведенное понимание языкового союза совершенно не обосновано. Это понятие применяется к таким языкам, родство которых еще не установлено или сомнительно, иначе говоря, по этому принципу группируются языки, не изученные с историко-генетической точки зрения. При этом остается невыясненным основной вопрос, а именно: какого рода сходство между языками является характерным для языкового союза?

Если вначале Н. С. Трубецкой считал союз языков группировкой, существующей независимо и рядом с языковой семьей, то впоследствии это понятие вовсе вытеснило понятие языковой семьи. Н. С. Трубецкой изменил интерпретацию происхождения семьи родственных языков; индоевропейские языки, которые изучены лучше, чем языки других семей, и считаются возникшими в процессе дифференциации одного языка-основы, он объявил продуктом сближения языков различного происхождения. Таким образом, сближение языков заменяет у Н. С. Трубецкого процесс дифференциации языков; первым исключается второй Тем самым дается упрощенная и, по существу, неверная картина развития языка, так как в действительности неопровержимым фактом является как интеграция, так и дифференциация языков, протекающие различно в зависимости от общественных условий.

Доводы, приведенные Н. С. Трубецким против родства языков, возникшего в результате их дифференциации, не могут поставить под сомнение реальность изначального родства языков одной и той же семьи.

Лишено основания и его заявление о том, что звуковые соответствия в родственных языках могут возникать и в результате заимствования.

Не соответствует также действительности положение Н. С. Трубецкого, гласящее, что индоевропейские языки первоначально не были родственными и только впоследствии сблизились в результате территориального контакта. Истории не известны факты, когда неродственные по происхождению языки становились бы родственными вследствие длительного соседства.

Для определения близости индоевропейских языков совершенно недостаточно тех шести структурных признаков, которым Н. С. Трубецкой придает больше значения, чем звуковым соответствиям.

Мало чем обосновано положение, согласно которому индоевропейские языки представляют мост между урало-алтайскими и средиземноморскими (семитскими и иберийско-кавказскими) языками.

Из всего сказанного естественно вытекает вывод, что оба варианта определения языкового союза, которые находим у Н. Трубецкого, лишены какого бы то ни было реального основания и поэтому неприемлемы. Несмотря на это, учение о союзах языков нашло довольно широкий отклик в зарубежном языкознании. К нему сочувственно относятся такие лингвисты, как ван Гиннекен, Уленбек, Деетерс, Броккельман, представители неолингвистики (Пизани, Бонфанте...) и др.

Особенно увлекались этой классификацией пражские структуралисты (Р. Якобсон, В. Скаличка), которые попытались применить идеи Н. Трубецкого к конкретным языкам. Р. Якобсон выделил так наз. «евразийский языковой союз», который, по его словам, охватывает обширную территорию от Восточной Европы вплоть до Северной Азии.

Ознакомление с «евразийским языковым союзом» показывает, что эта группировка не отвечает даже тем требованиям, которые предъявлял к союзу языков Н. С. Трубецкой. По определению Н. С. Трубецкого, языки, входящие в один союз, должны иметь одинаковую морфологическую и синтаксическую структуру и общие культурные слова, тогда как «евразийский союз» строится всего-навсего на двух фонологических признаках, а именно, на монотонии, т. е. отсутствии интонации и наразличении твердых и мягких согласных. Несомненно, что объединение многочисленных неродственных по происхождению языков только лишь по двум, пусть даже существенным, фонологическим признакам, не может быть убедительным. Одновременно выясняется, что те же самые явления встречаются и вне «евразийского союза». Следовательно, эти совпадения носят случайный характер. Никакого «евразийского языкового союза» не существует.

Несостоятельна и общая теория союза языков, представленная в работах пражских лингвистов. Точнее говоря, тут мы не имеем никакой теории. Голословно заявляя, что союз языков возникает в результате сближения языков, пражские структуралисты не пытаются исследовать и показать конкретные пути сближения, считают излишним говорить об этих путях и удовлетворяются лишь описанием общих черт в соседних языках. При этом они не отрицают того факта, что общие черты могли возникнуть не только в процессе сближения, но также и в результате параллельного развития или дифферен-

ции одного языка-основы. Смешение этих существенно различных процессов развития ясно показывает, что «языковой союз» понятие, несовместимое с принципами исторического языкознания.

Этим последним обстоятельством и объясняется противопоставление союзов языковым семьям, т. е. группировкам, выделяемым по историческому принципу. Хотя пражские структуралисты на словах и не отрицают генетического родства языков, но они умаляют значение изучения семей языков и все свое внимание сосредоточивают на языковых союзах, т. е. на статическом изучении языков.

Своеобразное понимание языкового союза дает Г. Беккер, по определению которого, союзы языков представляют собой независимые от языковых семей группировки, причиной возникновения которых он считает общую культурно-историческую среду. Сближение языков осуществляется не путем скрещения, а посредством заимствований. При этом, в отличие от Н. С. Трубецкого, Г. Беккер не допускает существования звуковых соответствий между языками, объединенными в один союз.

При характеристике европейского союза языковые признаки Г. Беккером или вовсе не учтены (за исключением лексического состава), или же описаны чрезвычайно неубедительно. Наличие заимствований определенного количества слов и выражений не является достаточным основанием для того, чтобы говорить о союзе европейских языков.

Суждения Г. Беккера относительно языкового союза тесно связаны с концепцией автора о сущности языка. Несмотря на то, что Г. Беккер ставит вопрос о зависимости истории языка от истории общества, говорящего на данном языке, основные положения его концепции неверны, а именно:

а) При установлении закономерностей развития языка необходимо исходить не из письменного языка, как это делает Г. Беккер, а из общенародного разговорного языка.

б) Чередование подъема и упадка, периодические вершины и кризисы не являются непреложным законом развития языка, как это представляется Г. Беккеру. Неубедительны и рассуждения автора о «старости» языков европейского союза и о необходимости их омоложения.

в) Принципиально неприемлем биологизм Г. Беккера, представляющий собой результат произвольного уподобления языка живому организму.

Рассмотрение проблемы союза языков у различных авторов показывает, что, несмотря на значительные различия в их

взглядах, союз языков представляется всем им результатом конвергенции (сближения) разнородных языков. Поэтому «союзы языков» — классификация того же порядка, что и «системы языков» Н. Я. Марра, при этом марровские «системы» ближе всего стоят к «союзам языков» в понимании Н. С. Трубецкого.

Разницу во взглядах этих авторов создает понимание ими процесса конвергенции. По Н. Я. Марру «системы языков» возникли путем скрещения; Н. С. Трубецкой ссылается на географический контакт, как на условие образования союза языков, существа же самого процесса сближения он не разъясняет: по мнению Г. Беккера, сближение языков осуществляется путем заимствования.

Основным недостатком классификации языков по союзам является то, что ее авторы или вовсе не касаются сущности процесса интеграции (конвергенции) языков, или рассматривают этот процесс чрезвычайно поверхностно. Суждение о сближении языков носит весьма отвлеченный характер и лишено убедительности.

Поскольку сущность интеграции языков не изучена, естественно, что основанная на этом процессе классификация должна быть неудовлетворительной. Действительно, известные до настоящего времени союзы языков не представляют собой языковых группировок, имеющих реальное основание. Ни одному автору не удалось показать, по каким конкретным признакам выделяется понятие «союза языков».

Причину этого надо искать в том, что интеграция путем скрещения (и тем более заимствования из одного языка в другой) не дает необходимой основы для классификации языков.

Поскольку союз языков и языковая семья основываются на различных процессах в развитии языков (союз — на интеграции, семья — на дифференциации), эти группировки не могут исключать друг друга. А между тем, у интересующих нас авторов союз языков или вовсе отрицает языковую семью, или слишком ограничивает и обесценивает ее значение. Это является результатом недооценки процесса дифференциации, обусловленной тем, что развитие языков рассматривается этими авторами вне связи с теми общественно-историческими условиями, которые вызывают изменения языков.

Сосредоточивая внимание на языковых союзах, сторонники этой классификации переносят центр тяжести с исторического языко-

знания на статическое изучение языков. Тем самым в сфере исследования конкретных языков обнаруживается та общая тенденция отхода от историзма, которая характерна для определенных направлений современного зарубежного языкознания.

ბოლოსიტყვაობა

წინამდებარე შრომაში განხილული კლასიფიკაციები განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც თავიანთი თეორიული ღირებულებით, ისე საენათმეცნიერო პრაქტიკასთან კავშირის თვალსაზრისით. ზოგ მათგანს დღესდღეობით მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობაღა აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ წარმოგვედგინა ყველა, ასე თუ ისე გავრცელებული კლასიფიკაციის ანალიზი, რადგანაც თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება ენათა კლასიფიკაციების სრული და სისტემატური მიმოხილვა. ასეთი მიმოხილვის საჭიროება კი აშკარად იგრძნობა.

ენათა კლასიფიკაციის პრინციპებზე მუშაობა 1940 წ. დავიწყეთ. ცალკეული საკითხების შესახებ სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა სტატიები ქართულ და რუსულ ენაზე. მონოგრაფია საბოლოოდ გაფორმდა 1954 წ. გაზაფხულისათვის. ამიტომ 1954 წ. შემდეგ გამოსული სპეციალური ლიტერატურა ნაშრომში გათვალისწინებული არა გვაქვს. მხოლოდ აქა-იქ სქოლიოებში მივუთითეთ ზოგიერთ გამოკვლევაზე.

სასტამბოდ გამზადებისას მოგვიხდა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა ნაშრომის მოცულობა. ამან გამოიწვია ის, რომ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისათვის მიძღვნილი ნაწილიდან მთლიანად ამოღებულ იქნა „ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ისტორია“.

ავტორი

საკუთარ სახელთა საძიებელი

აბაევი ვ. (Абаев В. И.) 103,371
ავანესოვი რ. (Аванесов Р. И.) 130
ასკოლი (Ascoli G. I.) 59
ახვლედიანი გ. 345
ახმანოვა ო. (Ахманова О. С.) 468

ბალი შ. (Bally Ch.) 232
ბარტოლი მ. (Bartoli M. G.) 99
ბეკერი ჰ. (Becker H.) 477—491, 494, 535, 536.
ბენფეი (Benfey Th.) 5
ბერნშტეინი ს. (Бернштейн С. Б.) 61
ბერტონი ჯ. (Bertoni G.) 99
ბილიარსკი პ. (Билярский П.) 151
ბიხოვსკაია ს. (Быховская С. Л.) 448
ბოგორაზი ვ. (Богораз В. Г.) 141, 215, 217
ბოგოროდიცკი ვ. (Богородицкий В. А.) 9
ბოდუენ-დე-კურტენე (Бодуэн-де-Куртенэ) 30, 68—70, 73, 75—77, 80—82, 88, 96, 449, 450, 507
ბონფანტე ჯ. (Bonfante G.) 99—102, 473, 508, 534
ბოპი ფრ. (Bopp Fr.) 118, 127, 271
ბროკელმანი კ. (Brockelmann C.) 461, 475, 534
ბრონდალი ვ. (Bröndal V.) 97, 98, 324
ბულახოვსკი ლ. (Булаховский Л. А.) 60, 61, 112, 115, 510
ბულიჩი ს. (Булич С. К.) 5

გაბელენცი გ. ფონ დერ (Gobelentz G. von der) 9, 71, 208, 210, 285
გინეკენი ვან (Ginneken van J.) 84—91, 96, 135, 470, 508, 534
გიუნტერტი ჰ. (Güntert Herm.) 221, 299
გორნუნგი ბ. (Горнунг Б. В.) 57, 112, 113,131
გრეი ლ. (Gray Louis H.) 242, 463
გუხმანი მ. (Гухман М. М.) 105, 106

დეეტერსი გ. (Decters G.) 461, 475, 534
დელბრიუკი ბ. (Delbrück B.) 5, 53, 54, 55, 146
დესნიცკაია ა. (Десницкая А. В.) 103, 105, 106
დირი ა. (Dirr A.) 421
დოზა ა. (Dauzat A.) 11
დრაგუნოვი ა. (Драгунов А. А.) 208, 210, 213

ენგელსი ფრ. 31—33, 46, 50

ვანდრიესი ჟ. (Vendryes J.) 9, 10, 27—29, 35, 37, 57, 69, 70, 89, 90, 116, 119, 129, 130, 134, 135, 505, 512
ვიკო (Vico) 99
ვინოგრადოვი ვ. (Виноградов В. В.) 448
ვოლფელი დ. ი. (Wölfel D. J.) 358, 359
ზვეგინცევი ვ. (Звегинцев В. А.) 469

თოფურია ვ. 16, 19, 20, 21, 61

იაკობსონი რ. (Jakobson R.) 98, 462, 463, 465—472, 492, 508, 534
იაკოვლევი ნ. (Яковлев Н. Ф.) 448
იჰლმსლევი ლ. (Hjelmslev L.) 324

იესპერსენი ო. (Jespersen O.) 5, 128, 146, 150, 168, 212, 225—230,518
კანტი 269
კარლგრენი ბ. (Karlgren Bern.) 209, 210, 212, 213
კაცნელსონი ს. (Кацнельсон С. Д.) 448
კუნია (Kuny A.) 8
კონრადი ნ. (Конрад Н. И.) 208, 210, 211
კოპერსი ვ. (Koppers W.) 325, 525
კოჰენი მ. (Cohen M.) 104, 359
კროჩე ბ. (Croce B.) 99
კუდრიავსკი დ. (Кудрявский Д. Н.) 224
კუზნეცოვი პ. (Кузнецов П. С.) 116, 130

ლევი ე. (Lewy E.) 359
ლევინი ვ. (Левин В. Д.) 113
ლეინი გ. (Lane G.) 103, 104
ლენინი ვლ. 39, 40
ლეშკა ო. (Лешка О.) 468
ლომთათიძე ქ. 217, 230

მარი ნ. (Марр Н. Я.) 16, 18, 40, 61, 68, 104—109, 111—113, 115—117, 129, 210, 358, 360 — 402, 405, 409, 410, 412, 421, 423, 425—437, 439—440, 442—448, 491, 492, 501, 509, 510, 527—532, 536
მარქსი კ. 33
მასპერო ჰ. (Maspero H.) 209, 213
მეიე ანტ. (Meillet A.) 9, 10, 20, 26, 27, 37, 38 — 39, 44, 54, 59, 59, 60, 62—64, 68—73, 82, 104, 127, 128—132, 135, 242, 347, 357, 363, 368, 505, 507, 512, 519
მეშჩანინოვი ი. (Мещанинов И. И.) 41, 106, 108, 109—111, 117, 380, 382, 384, 401—448, 502, 529—532
მისტელი ფრ. (Misteli Fr.) 214, 218—219, 239, 281—299, 499, 518, 522, 523
მიულერი მ. (Müller M.) 9, 223, 504
მიულერი ფრ. (Müller Fr.) 10, 11, 150, 223

ნემიროვსკი მ. (Немировский М. Я.) 358

პაული ჰ. (Paul H.) 60, 69
პიზანი ვ. (Pisani Vittore) 87, 91—96, 508, 534
პორჟეზინსკი ვ. (Поржезинский В.) 9, 114, 223—224, 323
პოტი ა. (Pott A. F.) 146, 167

ჟირმუნსკი ვ. (Жирмунский В.) 130

რამიშვილი დ. 265
რეფორმატსკი ა. (Реформатский А. А.) 146, 168
როგავა გ. 126, 127
რუსლო ჟ. (Rousselot J. P.) 63—65, 501

სეპირი ედ. (Sapir Ed.) 217, 218, 300—324, 500, 523, 524
სერგიევსკი ვ. (Сергиевский В.) 130
სერებრენიკოვი ბ. (Серебренников Б. А.) 44, 45, 57, 59, 60, 113, 448
სეშე ა. (Sechehaye Alb.) 89
სიდოროვი ვ. (Сидоров В. Н.) 113
სკალიჩკა ვ. (Ska lička V.) 462, 463—465, 467, 534
სოსიური ფ. დე (Saussure Ferd. de) 9 54, 129, 131, 135, 264, 468
სტალინი ი. 50, 395
სუხოტინი ა. (Сухотин А. М.) 168
სხრეინენი (Schrijnen) 52

ტომსენი ვ. (Thomsen V.) 5
ტომსონი ა. (Томсон А. Н.) 242, 519
ტრნკა ბ. (Trnka B.) 181
ტრომბეტი ა. (Trombetti A.) 9, 504
ტრუბეცკოი ნ. (Trubetzkoy N.) 87, 89, 98, 231, 232, 449—262, 465—570, 473—477, 488, 491, 492, 501, 508), 518, 532—536

ულენბეკი (Uhlenbeck C. C.) 82, 83, 359, 374—375, 534
უშაკოვი დ. (Ушаков Д.) 9, 223, 224 323

ფილინი ფ. (Филин Ф.) 106, 117, 389, 390
ფინკი ფ. (Finck. F.) 9—11, 219—221, 239. 299, 504, 518
ფორტუნატოვი ფ. (Фортунатов Ф. Ф.) 323
შარაძენიძე თ. 5
შლაიხერი ავგ. (Schleicher Aug.) 7,9, 30, 51, 52, 54, 55, 76, 84, 86, 87, 100, 102, 115—116, 127, 128, 142, 181—206, 209, 218, 223, 516, 517, 521
შლეგელი ავგ. (Schlegel Aug.) 150, 207, 217
შლეგელი ფრ. (Schlegel Fr.) 29, 30, 142—150, 169, 172, 174, 195, 196, 206, 207, 214, 215, 218, 223, 513, 514, 516. 521.
შმიდტი ვილჰ. (Schmidt Wilh.) 325—359, 500, 524—527
შმიდტი იოჰ. (Schmidt Joh.) 52—54, 79, 100, 453, 460
შმიდტი პ. (Шмидт П. П.) 210, 212
შორი რ. (Шор Р.) 103, 110, 115, 130, 132, 168
შტაინთალი ჰ. (Steinthal H.) 146, 151, 167, 169, 171, 172, 173, 219, 244—281, 290—294, 296—299, 499, 519—523
შტრაიტბერგი ვ. (Streitberg W.) 168
შუხარდტი ჰ. (Schuchardt H.) 27, 29, 53, 59, 68—70. 73--83, 88, 96, 242, 472, 507, 508, 519
შჩერბა ლ. (Щерба Л.) 70

ჩემოდანოვი ნ. (Чемоданов Н.) 103, 106, 110, 115, 168, 389
ჩერნიშევსკი ნ. (Чернышевский Н. Т.) 224, 225
ჩიქობავა არნ. 8, 15, 17, 18, 19, 21, 23—25, 43, 60, 108, 113, 114, 120, 123, 127, 131, 181, 321, 342, 379, 389, 390, 396, 439, 468, 476, 529

ჭარაია პ. 182
ხოლოდოვიჩი ა. (Холодович А.) 358

ჯავახიშვილი ივ. 43, 342
ჯანაშია ს. 60
ჰაიმი რ. (Heim R.) 168, 171
ჰარმატა ი. (Harmatta J.) 103
ჰეგელი 202, 203, 517
ჰერბარტი ი. (Herbart J.) 244, 265
ჰესტერმანი ფ. (Hestermann Ferd.) 359
ჰირტი ჰ. (Hirt H.) 55
ჰოლი რ. (Hall R. A.) 99
ჰომბურგერი ლ. (Homburger L.) 461,, 462
ჰუმბოლდტი ვილჰ. (Humboldt Wilh.) 30, 142, 151—181, 185, 194—197, 199—201, 206, 209, 210, 214—216, 218, 219, 222, 223, 244, 252, 253, 255, 260, 264,—273—281, 292, 294, 298, 299, 514—517, 521, 523

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია 5

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპები . 5

თ ა ვ ი მ ე ო რ ე, ენათა დიფერენციაციის პროცესი და მისი მიმართება ენათა ინტეგრაციის (უნიფიკაციის) პროცესთან 30

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე, ნარევი ენები და ენათა ნათესაობა 56

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის კრიტიკა უცხოურ ენათმეცნიერებაში 73

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია . . . 104

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის მნიშვნელობა. ისტორიულ-შედარებითი კვლევის წარმატებები და სიძნელეები . 117

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია . 138

შ ე ს ა ვ ა ლ ი, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი ცნებები 138

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ფრ. შლეგელთან 142

თ ა ვ ი მ ე ო რ ე, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია, ვილჰ. ჰუმბოლდტთან 151

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ავგ. შლაიხერთან . 181

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი საკითხები . . 206

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე, ენათა ფსიქოლოგისტური კლასიფიკაცია 244

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი, ენათა ფსიქოლოგისტური კლასიფიკაცია ჰ. შტაინთალისა . . 244

თ ა ვ ი მ ე ო რ ე, ჰ. შტაინთალის კლასიფიკაციის გადამუშავება ფ. მისტელის მიერ . . 281

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე, ენათა კონცეპტური კლასიფიკაცია ედ. სეპირისა . 300

ნ ა წ ი ლ ი მ ე ხ უ თ ე, ენობრივი წრეები (ვ. შმიდტის კლასიფიკაცია) 325

ნ ა წ ი ლ ი მ ე ე ქ ვ ს ე. ენათა სტადიური კლასიფიკაცია 360

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი, ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია . 360

თ ა ვ ი მ ე ო რ ე, ენათა სტადიური კლასიფიკაცია ი. მეშჩანინოვისა . 401

ნაწილი შემდეგი. ესათა კავშირები. 449
დასკვნა. . . 497
Классификации языков и их принципы (Резюме). 503
ბოლოსიტყვაობა 538
საძიებელი. 539

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

გვ.	სტრ.	არის	უნდა იყოს
21	13	გ-ს წინ არის	ე-ს წინ არის
76	4.17	ბოუდენ	ბოდუენ
87	32	ტრუბერცკოის	ტრუბეცკოის
154	9—10	გაბულია	გაგებულია
160	24—25	განსხვავებს	განსხვავებას
168	10	l. რომ	(l. რომ
286	4	Satzwortige	satzwortige
288	16	შტაინთალი	მისტელი
468	34	1935	1953
502	2	ნეკაციურსა	ნეგატიურსა
512	17—19		д) Наличие звуковых соответствий в грамматических элементах не всегда указывает на то, что эти элементы имелись и в языке-основе.
541	5	Чернышевский Н. Т.	Чернышевский Н. Г.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი არნ. ჩიქობავა

გამომცემლობის რედაქტორი დ. ნათიშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ლ. გორდელაძე

გადაეცა წარმოებას 26.2.1958; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.7.1959; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 16,875; საბეჭდი ფურცელი 33,75; საავტორო ფურცელი 29,61; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 30,04;
შეკვეთა 445; უე 03807;; ტირაჟი 1000.
ფასი 22 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5